

დავით კობიძე

100

საიუბილეო კრებული მიძღვნილი
დავით კობიძის დაბადების
100 წლისთავისადმი

DAVID KOBIDZE

100

Jubilee Volume dedicated
to the 100-th anniversary
of David Kobidze

TBILISI, 2008



© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008

ISBN 978-9941-13-100-4

სარედაქციო კოლეგია:

ზაზა ალექსიძე
დარეჯან გარდავაძე
ნანი გელოვანი
მანანა კვაჭაძე (რედაქტორი)
ლილი ყორყოლიანი (რედაქტორი)
გიორგი სანიკიძე
აპოლონ სილაგაძე
ირინე ტატიშვილი
მარიამ ჩაჩიბაია
თეა ჯანაშია (მდივანი)
მარინე ჯიქია

რეცენზენტები:

ნანა ფურცელაძე
ირინე გოცირიძე
ინესა სულაკაძე

EPITORIAL BOARD:

**Z. Aleksidze
P. Gardavadze
N. Gelovani,
M. Kvachadze (Editor)
L. Zhorzholiani (Ediror)
G. Sanikidze
A. Silagadze
I. Tatishvili
M. Chachibaia
T. Janashia (Secretary)
M. Jikia**

REVIEWERS:

**Nana Purtseladze
Irine Gotsiridze
Inessa Sulakadze**

პროფესორი დავით კობიძე

(დაბადების 100 წლისთავის გამო)

დავით კობიძე იმ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება, რომელნიც უპრეტენზიოდ ცხოვრობენ და შრომობენ, ჩუმად, უხმაუროდ აკეთებენ დიდ, სერიოზულ საქმეებს, გამოსცემენ სქელტანიან, მნიშვნელოვან ნიგნებს, ყოველგვარი პომპეზურობისა და თვითრეკლამის გარეშე, ერთგულად ემსახურებიან თავიანთ, ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ საქმეს, ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებენ გარშემომყოფთ... და მხოლოდ საქმეში ღრმად ჩახედულეზმა თუ იციან, ვისთან, რა პიროვნებასთან აქვთ საქმე.

ასეთი ადამიანები, რეგალიების მიუხედავად, მაინც ჩრდილში ყოფნას ამჯობინებენ და, ასე გასინჯეთ, საპატიო ნოდებებსა და ჯილდოებსაც შესაშური უბრალოებით, სისადავითა და ღირსებით ატარებენ.

დავით კობიძე – გამოჩენილი ქართველი აღმოსავლეთმცოდნე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნეერ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის ლაურეატი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგე, ქართული მეცნიერული ირანისტიკის ფუძემდებელთა ღირსეული მონაფე, შემდგომში, ფაქტობრივად, ყველა ქართველი ირანისტიკის მასწავლებელი და მასწავლებელთა მასწავლებელია.

დავით კობიძის ცხოვრება და მოღვაწეობა ხასიათდება დაუღალავი კვლევა-ძიებით, პედაგოგიური შრომითა და საზოგადოებრივი საქმიანობით. მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგია ის საერთაშორისო აღიარება, რომელიც მოკლედ ასე ჩამოყალიბდა: „ქართული ირანისტიკა მართლაც საუკეთესოა“ (იან რიპკა, „ორინეტალისტიკ ლიტერატურაციაიტუნგ“, 1965, № 1/2).

მრავალფეროვანია პროფ. დავით კობიძის სამეცნიერო მოღვაწეობა. იგი წარმატებით მუშაობდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში: ლიტერატურის ისტორიაში, ენათმეცნიერებაში, ლექსიკოლოგიაში, ფოლკლორსა თუ პოეტიკაში.

დავით კობიძის შრომათა უმთავრესი ნაწილი ეძღვნება ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ანალიზსა და სპარსული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს. ამ პრობლემათა კვლევა-ძიების შედეგები გამოიყენა მისმა მომდევნო თაობამ; წარმატებით ეყრდნობიან მის გამოკვლევებს ახალგაზრდა ირანისტებიც, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტთა სამომავლო პერსპექტივებსაც.

მკვლევარმა მრავალი ფუნდამენტური ნაშრომი მიუძღვნა ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობებს. მისმა შრომებმა: „შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები“, „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“, „შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები“, საერთო აღიარება მოიპოვეს. მეცნიერული ანალიზის შედეგად ცხადი გახდა, რომ „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების კვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკუთრივ სპარსულ ვერსიათა შესწავლისათვის. ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევისას დავით კობიძე მთავარ ყურადღებას უთმობს თარგმანებში ეროვნულ-ქართულ საკითხებს, ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, – რა არის „შეგნებულად შეტანილი და რა მიზეზით არის გამონეული თარგმანის დედანთან დაშორება“. დავით კობიძე იკვლევს თარგმანის არა მარტო ლიტერატურულ ღირსებებს, არამედ ლექსიკის პრობლემებსაც. გამოცემას ერთვის ლექსიკონი, რომელშიც მრავალი სპარსული სიტყვის განმარტება ცალკეული გამოკვლევის ხასიათს ატარებს.

დავით კობიძის მეცნიერულ მემკვიდრეობაში საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი ფუნდამენტური ნაშრომი – „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“, II, 1969წ. (პირველ წიგნად „ვერსიები“ იგულისხმება). მასში წარმოდგენილია ავტორის ხანგრძლივი ძიების მნიშვნელოვანი დაკვირვებანი, შედეგები და დასკვნები; წიგნში თავმოყრილია სხვადასხვა დროს შექმნილი ნაშრომები, რომლებშიც განხილულია ქართლ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის საკვანძო საკითხები: რუსთაველი და სპარსული ლიტერატურა, „ვისრამიანის“ ქართული ვერსიის სპარსულთან დამოკიდებულება; ჯამი და ქართული მწერლობა, ბახთიარ-ნამეს ქართული ვერსიები, ქართული და სპარსული პოეტიკის საკითხები და სხვა. ამ წიგნს უმაღლეს შეფასებას აძლევენ სპეციალისტები. საგანგებოდ გამოვეყოფდით ალ. ბარამიძის აზრს, რომლის თანახმადაც, „ეს ნაშრომი ქართული ფილოლოგიური მეცნიერების ფრიად მნიშვნელოვანი შენაძენია“ და სპარსულ

ჟურნალ „ახბარში“ გამოქვეყნებულ რეცენზიას, რომელშიც ვკითხულობთ: „პროფ. დ. კობიძის ღრმა მეცნიერული ანალიზისა და კვლევის შედეგად აშკარა ხდება ქართული რედაქციების მნიშვნელობა თვით სპარსული ტექსტების დადგენის საქმეში“.

1978 წელს დავით კობიძე აქვეყნებს ამავე სახელწოდების წიგნს: „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“, III, რომელშიც შესწავლილია ქართულ-სპარსული რომანტიკული, დიდაქტიკური და სხვა ხასიათის თხზულებათა ურთიერთობა. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ლირიკის, პოეტიკისა და ლექსიკის საკითხებს. მისი კვლევა ქართულ-სპარსული პოეტიკის დარგში მნიშვნელოვანი მიღწევებით ხასიათდება. მან საფუძვლიანად გაარკვია მუხამბაზის, თეჯნისის, დუბეითის, ყაზალის, მაჯამისა და სხვა სალექსო ფორმათა სახეები. აქვე დაბეჭდილია ნაშრომი, რომელიც მან მიუძღვნა ირანში მცხოვრებ, წარმოშობით ქართველ პოეტებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით სპარსული პოეზიის განვითარებაში.

დავით კობიძის სამოღვაწეო ასპარეზი მეტად ფართოა და მრავალასპექტიანი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი, როგორც რედაქტორის საქმიანობა. დავით კობიძის რედაქტორობით გამოცემულია მრავალი საინტერესო კრებული, მათ შორის – „რუდაქი“ (1957წ.), „ჯამი“ (1964წ.); იგი წლების მანძილზე იყო აგრეთვე თსუ „შრომების“ აღმოსავლეთმცოდნეობის სერიის მთავარი რედაქტორი, მასვე ეკუთვნის მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული რეცენზიები, რომელნიც დაბეჭდილია სხვადასხვა სამეცნიერო ორგანოში და ქართველოლოგიისა და ირანისტიკის მნიშვნელოვან საკითხებს ეძღვნება.

დავით კობიძე მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა, ახალგაზრდობაში ცნობილი იყო, აგრეთვე, როგორც პოეტი.

ძალზედ დიდია ის ღვაწლი, რომელიც პროფ. დავით კობიძეს მიუძღვის ქართული ორიენტალისტული სკოლის განვითარებაში. სხვა ქართველ აღმოსავლეთმცოდნეებთან ერთად იგი არის ერთ-ერთი დამაარსებელი თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტისა და წლების განმავლობაში მისი დეკანი.

დავით კობიძეს გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი ნაშრომი, აქედან 16 – ცალკე წიგნად არის გამოცემული. ვფიქრობ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ პროფ. დავით კობიძის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის გვირგვინს წარმოადგენს მისი ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელოები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დავით კობიძის ყველა ნაშრომი, ყოველი გამოკვლევა, თავისი ფორმითა და შინაარსით, სახელმძღვანელოს წარმოადგენს; მაგრამ ის, რაც მან თავად წარმოგვიდგინა, როგორც სასწავლო სახელმძღვანელოები – მხედველობაში გვაქვს „სპარსული ქრესტომათიის“ ორი ტომი და „სპარსული ლიტერატურის ისტორია“ – ეს არის შედეგი მისი მრავალწლიანი დაუღალავი და ბეჯითი შრომისა, მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური ცხოვრებისა.

დავით კობიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილი იყო და სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებდა იმ სულისკვეთებას, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განვითარების ქართულ ტრადიციებს ეყრდნობოდა. ქართული უნივერსიტეტის დაარსებისთანავე გამოიკვეთა ის ტენდენციები, რომელნიც შემდეგში სწავლების მყარ კონცეფციად ჩამოყალიბდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის ერთ-ერთ პირველ დადგენილებაში (1918 წლის 18 ივნისი) აღნიშნულია, რომ ძირითად საგნებს გარდა, უნივერსიტეტში უნდა იკითხებოდეს ქართულ-ბერძნული, ქართულ-სპარსული, ქართულ-თურქული, ქართულ-არაბული და ქართულ-სომხური ისტორიული და კულტურული ურთიერთობის ამსახველი სპეცკურსები.

ქართულ-სპარსული ენობრივი და ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში აკადემიკოს ნიკო მარის მიერ, რაც შემდგომში ღირსეულად გააგრძელეს მისმა მოწაფეებმა დიდი ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.

უნივერსიტეტის დაარსების პირველი დღეებიდანვე, 1918 წლიდან, სპარსულ ენასა და ლიტერატურას სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ასწავლის ნიკო მარის მოწაფე, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის აღზრდილი იუსტინე აბულაძე.

თავდაპირველად სპარსული ენა, სხვა აღმოსავლურ ენებთან ერთად, კავკასიური ენების კათედრასთან იყო გაერთიანებული (კათედრას ხელმძღვანელობდა არნოლდ ჩიქობავა), 1939 წლიდან დაარსდა დამოუკიდებელი სპარსული ფილოლოგიის კათედრა, რომელსაც 1953 წლამდე პროფესორი იუსტინე აბულაძე განაგებდა, 1953 წლიდან 1981 წლამდე (გარდაცვალებამდე) – პროფ. დავით კობიძე. დავით კობიძის გამგეობის დროს კათედრას „ირანული ფილოლოგიის კათედრა“ ეწოდა, რაც გულისხმობდა სხვა ირანული

ენების: ძველი სპარსულის, ფალაურის, ოსურის, ქურთულის... შესწავლასაც. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაფართოვდა აგრეთვე კათედრის სამეცნიერო და სასწავლო ფარგლებიც.

დავით კობიძემ ცხოვრების საკმაოდ გრძელი და საინტერესო გზა განვლო, სანამ უნივერსიტეტის კარს შეაღებდა – ჯერ როგორც სტუდენტი (1930), შემდეგ პროფესორ იუსტინე აბულაძის მინვევით, როგორც ასპირანტი (1935); აქვე გახდებოდა დოცენტი (1938), პროფესორი (1946), კათედრის გამგე (1953)... უნივერსიტეტის კედლებში მყოფმაც საკმაოდ გრძელი, საინტერესო და შინაარსიანი გზა განვლო, სანამ თავის დიდ მეცნიერულ ცოდნასა და პედაგოგიურ გამოცდილებას თავს მოუყრიდა და სახელმძღვანელოდ შემოთავაზებას გადანიჭებდა.

კათედრის ხელმძღვანელად დანიშნვისთანავე იგი, როგორც უნივერსიტეტში მოღვაწე მეცნიერი, კვლევითი საქმიანობის პარალელურად, გამუდმებით ფიქრობს სწავლა-სწავლების საკითხებზე და ზედიზედ აქვეყნებს რამდენიმე სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ ნაშრომს: „მეტი ყურადღება სპარსული ენის სწავლებას“ (1953); „სადიპლომო შრომის დამუშავების საკითხები“ (1953); „როგორ ვმუშაობთ დიპლომანტებთან“ (1955) და სხვ.

1963 წელს გამოქვეყნდა დავით კობიძის ვრცელი „სპარსული ქრესტომათიის“ I ტომი, რომელიც მოიცავდა კლასიკური სპარსული მწერლობის ნიმუშებს (ამ ტომის მეორე შევსებული გამოცემა განხორციელდა 1981 წელს), ხოლო 1967 წელს გამოიცა II ტომი, რომელშიც შევიდა თანამედროვე (XX საუკუნის) სპარსული მწერლობის ნიმუშები.

„ქრესტომათიის“ შედგენილობამ და ტექსტების გამოქვეყნების მეცნიერულმა დონემ (ზოგი მათგანი პირველად იბეჭდებოდა) სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

დავით კობიძის მიერ შედგენილი სპარსული ქრესტომათია საგულისხმოდ მოვლენად იქცა ირანმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურაში. საქმე ის გახლავთ, რომ იმ დროისათვის სპარსულითა და ამ ენაზე შექმნილი მდიდარი მხატვრული ლიტერატურით დაინტერესებული პირები უკვე მწვავედ განიცდიდნენ ასეთი ნაშრომის უქონლობას. ძველად გამოცემული ქრესტომათიები და საკითხავი წიგნები (ვლ. ფუთურიძის, ა.ვ. ბოლდირევის, მ. გაფაროვის, მ.ა. ყაფარისა და სხვათა) ამ დროისათვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იყო ქცეული, ზოგი მათგანი უკვე მოძველებულადაც

მიიჩნეოდა. სათანადო დონის კრებულის გამოცემა საშურ საქმედ ითვლებოდა და დავით კობიძის მიერ შედგენილი ქრესტომათია დიდ შენაძენად იქნა აღიარებული გამოსვლისთანავე.

წინასიტყვაობაში ჩამოყალიბებულია ნიგნის გამოცემის მიზნები და ამოცანები, აქვეა მოკლე ცნობები ქრესტომათიაში წარმოდგენილ ავტორთა შესახებ, მოცემულია აუცილებელი ინფორმაცია თითოეული მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, გამოთქმულია მეტად საგულისხმო შენიშვნები და მოსაზრებანი.

შემდგენლისავე შენიშვნით, „ნიგნში წარმოდგენილი მასალების გაცნობა დახმარებას გაუწევს ფილოლოგიაში მომუშავეთ (სტუდენტებს, ასპირანტებსა და მეცნიერ მუშაკებს) არა მხოლოდ კლასიკური სპარსული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის თავისებურებათა შესწავლაში, არამედ კლასიკური ხანის ლიტერატურის წარმომადგენელთა შემოქმედების ზოგადად გაცნობის საქმეშიც“. მართლაც, ქრესტომათიაში, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სასწავლო მიზნებს ისახავს, შეტანილი ნიმუშებით მკითხველი ეცნობა კლასიკური პერიოდის მდიდარ და მრავალფეროვან სპარსულ ლიტერატურას. მასალა დალაგებულია ქრონოლოგიის მიხედვით, რაც ნათელ წარმოდგენას იძლევა როგორც სპარსული ლიტერატურის განვითარების უმთავრეს ეტაპებზე, ისე მოცემული მწერლის მთლიან შემოქმედებაზე და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საკუთრივ სპარსული ენის შესწავლის საქმეს.

ქრესტომათიაში წარმოდგენილია სპარსული ლიტერატურის კლასიკური ხანის მწერლობა: რუდაქის, ფირდოუსის, ფეროხის, ფახრ-ედ-დინ გორგანის, ნასერ ხოსროვის, ომარ ხაიამის, ზაჰირი სამარყანდის, ფერიდ-ედ-დინ ათარის, ხაყანის, ნიზამის, საადის, ჯელალ ედ-დინ რუმის, ხოსროვ დეჰლევის, ჰაფეზის, ჯამისა და ვა'ეზ ალ-ქაშეფის ნაწარმოებები.

ყურადღებას იქცევს მასალის სიუხვე და უანრობრივი მრავალფეროვნება. ქრესტომათიაში შესულია როგორც პროზის, ისე პოეზიისა და ლექსნარევი პროზის ნიმუშები, წარმოდგენილია: მესხვეი, ყასიდა, ყაზალი, რობაი და სხვა სალექსო ფორმები.

ნიგნში დაბეჭდილია ნაწყვეტები საქვეყნოდ ცნობილი ვრცელი ნაწარმოებებიდან – მხედველობაში გვაქვს ფირდოუსის, ნიზამის, ჯამისა და სხვათა ეპიკური თხზულებები. ლიტერატურული მასალის უბადლო ფლობის, ტექსტოლოგიურ საკითხთა ზედმინევნითი ცოდნისა და დახვეწილი გემოვნების ნყალობით ქრესტომათიაში შესატანი ეპიზოდები, სწორედ რომ, სანიმუშოდ არის

შერჩეული. ნარმოდგენილი ტექსტები, ძირითადად, ამოკრებილია ყველაზე უფრო ცნობილი და სანდო გამოცემებიდან. ამავე დროს, მთელ რიგ შემთხვევაში, დავით კობიძემ თავად ჩაატარა სერიოზული ტექსტოლოგიური მუშაობა პირველ ნყაროებზე, გამოიყენა თბილისის, ტაშკენტის, მაშინდელი ლენინგრადის წიგნსაცავებსა და მუზეუმებში დაცული ხელნაწერები და გვიჩვენა ვარიანტული ნაკითხვები. ქრესტომათიის შემდგენლის – პროფ. დავით კობიძის უდიდეს დამსახურებად ითვლება ისიც, რომ ზოგიერთი ეპიზოდი, საერთოდ, პირველად დაიბეჭდა და ფაქტობრივად კრიტიკული ტექსტის დადგენის ცდას ნარმოდგენს. მხედველობაში გვაქვს ეპიზოდი ხოსროვ დეჰლევის „ჰამთ ბეჰეშთიდან“ („რვა სამოთხე“) (გვ. 384-397), რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტისა და ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულ ხელნაწერებს ემყარება. ტექსტის დადგენისას დ. კობიძე ხშირად ეყრდნობა „ჰამთ ბეჰეშთის“ სალექსო ზომას, რაც მას ხელს უწყობს სწორი ნაკითხვის დადგენაში. ამას გარდა, ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერთა მიხედვითაა გამოცემული ქრესტომათიაში დაბეჭდილი ეპიზოდები ჯამის „იოსიფო ზოლეიხადან“ (გვ. 414-419), ხელნაწერებზე დაყრდნობით არის დაბეჭდილი აგეთვე ხაყანის ზოგიერთი ყასიდა, რობაი და სხვ.

ამ ქრესტომათიის ღირსება ოდენ სასწავლო მნიშვნელობით არ შემოიფარგლება. აქ გამოქვეყნდა მრავალი უნიკალური და სპარსულ ფილოლოგიაში მომუშავე სპეციალისტებისათვის ძნელად მოსაპოვებელი, იმ დროისათვის, ფაქტობრივად, ხელმიუწვდომელი ტექსტი.

როგორც აღვნიშნეთ, დავით კობიძის მიერ შედგენილი ეს ქრესტომათია საირანმცოდნეო სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დიდ შენაძენად იქნა აღიარებული. იგი მართლაც ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ყველას, ვინც დაინტერესებულია სპარსული ენისა და ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლით.

დავით კობიძის „სპარსული ქრესტომათიის“ I ტომის გამოსვლას ფართოდ გამოეხმაურა როგორც ჩვენი, ისე უცხოური პრესა. რეცენზიები გამოქვეყნებულია მსოფლიოში ცნობილ ისეთ აღმოსავლურ ორგანოებში, როგორებიცაა „ორიენტალისტიკე ლიტერატურციეიტუნგ“ (გერმანია), „არხივ ორიენტალნი“ (ჩეხოსლოვაკია), „ფოლია ორიენტალია“ (პოლონეთი), „ახბარ“ (ირანი) და სხვა. რეცენზენტები (ი. რიპკა, ი. ბეჩკა, ფ. მახალსკი, ბ. მაიევსკა...) წიგნს

უმალეს შეფასებას აძლევდნენ. არა ერთი და ორი რეცენზია მიუძღვნეს წიგნს ქართველმა კოლეგებმა (კ. ფალავამ, მ. მამაცაშვილმა, ვ. კოტეტიშვილმა...).

აღფრთოვანება და მადლიერებაა გამოხატული უამრავ წერილში, რომლებსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი და თავად ავტორი, პროფ. დავით კობიძე იღებდნენ სხვადასხვა საირანმცოდნეო ცენტრებიდან.

მაგრამ დავით კობიძისათვის, როგორც შემოქმედი მეცნიერი-პედაგოგისათვის, არ არსებობს სრულყოფილი ნაშრომი, ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილი პრობლემა, ამონურული თემა თუ საკითხი. მიუხედავად უკვე მოპოვებული აღიარებისა, 1981 წელს ქრესტომათიის პირველი ტომი ხელმეორედ გამოიცა. წინასიტყვაობაში იგი გულწრფელ მადლობას მოახსენებს თავის თანამემამულე თუ უცხოელ კოლეგებს დადებითი რეცენზიების, აღფრთოვანებული გამომხაურებებისათვის და გეთავაზობს მეორე, შესწორებულ და საგრძნობლად შევსებულ, გამოცემას. წინასიტყვაობაშივე მოკლედ შენიშნავს: „მეორე გამოცემაში შევიტანეთ ახალი ავტორები, რომელთაც სპარსული ლიტერატურის განვითარებაში გარკვეული როლი შეასრულეს“. ამ გამოცემაში ცრა ახალი ავტორი შევიდა, ესენი არიან: დაყიყი, ონსორი, მანუჩეჰრი, მასუდ-ი საად-ი სელმანი, სანაი, ანვარი, სელმან სავეჯი, ქემალ ხოჯენდი და მექთები შირაზი, – სახელები, რომელნიც სპარსული ლიტერატურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

1967 წელს გამოდის დავით კობიძის „სპარსული ქრესტომათიის“ II ტომი, რომელშიც XX საუკუნის პოეზიისა და პროზის ნიმუშებია წრმოდგენილი. წინასიტყვაობაში ავტორს ჩამოყალიბებული აქვს წიგნის მიზნები და ამოცანები, ის მეთოდოლოგიური პრინციპები, რომლებითაც იგი ხელმძღვანელობდა კრებულის შედგენისა და ტექსტების არჩევის დროს. „არჩევანს ვახდენდით იმის მიხედვით, – წერს დ. კობიძე წიგნის წინასიტყვაობაში – თუ რომელ მწერალთა ენისა და მხატვრული მეთოდების შესწავლა გაუადვილებს დაინტერესებულ პირთ თანამედროვე ენობრივ და ლიტერატურულ მოვლენებში გარკვევას ...ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ – განაგრძობს იგი – ლიტერატურული თვალსაზრისით ამა თუ იმ თხზულების შესწავლა მხოლოდ მისი შინაარსის შეთვისებით არ განისაზღვრება. იგი ერთ მთლიანობაში – ნაწარმოების ენობრივი და მხატვრული მონაცემების ანალიზის საფუძ-

ველზე, ლიტერატურის ისტორიაში მისი ადგილისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს“!

კრებულში დაბეჭდილია იმ დროისათვის ცნობილ და აღიარებულ მწერალთა ნაწარმოებები. წიგნის ძირითად ნაწილში პოეტთაგან წარმოდგენილი არიან: ირაჯ მირზა, არეფი, ბაჰარი, ლაჰუთი, ფეროხი იეზდი, ნიმა იუშიჯი, ფარვინ ეთესამი, შაჰრიარი. განყოფილებაში „გოლზარ“ (ვარდნარი) დაბეჭდილია დეჰხოდას, საიდ ნაფისის, რაშიდ იასემის, აფრაშთეს, ხანლარის, ფერიდუნ თაეალოლის, ეჰსან თაბარის, ყალეს, სიმინ ბეჰბაჰანის, საიეს, ნადირ ნადერფურის, ნოსრათ რაჰმანის, მეჰდი ახავან სალესისა და ფორულ ფაროხ-ზადის ლექსები. პროზაიკოსთაგან წარმოდგენილი არიან: ჯემალ-ზადე, საიდ ნაფისი, მორთაზა მოშფეყ ქაზემი, მოჰამედ ჰეჯაზი, სადეყ ჰედაიათი, ბოზორგ ალავი და ბეჰაზინი.

ქრესტომათიის ბოლოს „თარგმანებში“(თარჯომეჰა) მოთავსებულია სპარსულ ენაზე ნათარგმნი ქართული, რუსული და უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსთა შემოქმედების ნიმუშები. ესენია: ნანყვეტები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“ და ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობიდან“ მ. ფათემისეული თარგმანით, აგრეთვე ა. პუშკინის, მ. გორკისა და ტ. შევჩენკოს რამდენიმე ნაწარმოები ლაჰუთისეული თარგმანით.

„სპარსული ქრესტომათიის“ II ტომში წარმოდგენილი მასალა უხვია და მარავალფეროვანი როგორც ჟანრობრივი, ისე ენობრივი თვალსაზრისით, რაც ნოყიერ ნიადაგს უმზადებს ენის შესწავლით დაინტერესებულ პირებს. „ქრესტომათიის“ II ტომის გამოსვლასაც ფართო გამოხმაურება მოჰყვა, დაიბეჭდა რეცენზიები გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“, ჟურნ. „ნაროდი აზიი ი აფრიკი“-ში, ჟურნალებში „ორიენტალისტიკაში“ ლიტერატურცაიტიუნგი“, „ფოლია ორიენტალნი“, „არხივ ორიენტალნი“ და სხვ. რეცენზენტები: ც. ბოჭორიშვილი, ა. როზენფელდი, ი. რიჰკა, ფ. მახალსკი, ჰ. ბაჰრამი და სხვანი კრებულს მაღალ შეფასებას აძლევდნენ და მის დიდ სასწავლო-სამეცნიერო ღირსებებს აღნიშნავდნენ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ „სპარსული ქრესტომათიის“ ორი ტომის გამოცემისათვის პროფ. დ. კობიძეს პირველი ხარისხის საუნივერსიტეტო პრემია მიანიჭა.

შენიშვნის სახით მინდა აღვნიშნო, რომ, თავდაპირველად, „სპარსული ქრესტომათია“ სამ ტომად იყო ჩაფიქრებული: პირველ წიგნში კლასიკური პერიოდის(X-XVსს.) ნიმუშები შევიდოდა, მეორეში – თანამედროვე, XX საუკუნის მწერლობის ნიმუშები

იქნებოდა მოთავსებული, მესამე წიგნი კი ქრესტომათიის ორივე ნაწილის ლექსიკონისათვის იყო ნაწარაუდები. პირველი ორი ტომის შედგენა და გამოცემა დიდი წარმატებით განახორციელა თავად პროფესორმა დავით კობიძემ, რაც შეეხება ლექსიკონს, სამწუხაროდ, ჯერაც არ განხორციელებულა... თუმცა, სასიამოვნო აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ შემდგენელთა ჯგუფის მიერ (მ. ალექსიძე, მ. ბურჯანაძე, ლ. ჟორჯოლიანი, თ. შურღია) დიდი და ხანგრძლივი შრომის შედეგად გამოიცა „სპარსული ქრესტომათია“, III ტომი (ახალი სპარსული ლიტერატურის ნიმუშები XX საუკუნის II ნახევრიდან დღემდე), რედაქტორი პროფ. ალექსანდრე გვახარია. წიგნი პროფესორ დავით კობიძის ხსოვნას ეძღვნება და საიუბილეო – 2006 წელს გამოვიდა... სამწუხაროდ, ბ-ნი ალექსანდრეს გარეშე.

„ქრესტომათიის“ III ტომში, რომელიც პროფ. დავით კობიძის მონაფეხებმა დიდი მასწავლებლის ხსოვნას უძღვნეს, შესულია თანამედროვე სპარსული ლიტერატურის უახლეს წარმომადგენელთა შემოქმედების ნიმუშები. კრებული მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული, შედგენილია დიდი სიყვარულით, საქმისადმი უაღრესად საქმიანი დამოკიდებულებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით. წიგნის აკვარგიალობაზე მისი რეალური აპრობაციის შემდეგ შეგვეძლება საუბარი, თუმცა იმედს გამოვთქვამთ, რომ იგი ღირსეულად ივლის პირველი ორი ტომის მიერ წარმატებით გაკვალულ გზაზე.

1975 წელს ქართველმა მკითხველმა მიიღო პროფ. დავით კობიძის „სპარსული ლიტერატურის ისტორია“ – სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოდ განკუთვნილი ვრცელი, 521 გვერდიანი წიგნი. დავით კობიძის ეს ნაშრომი სამ ათეულ წელზე მეტ ხანს მზადდებოდა. სახელმძღვანელოში ცალკეულ თავებად და საკითხებად შესული მასალის დიდი ნაწილი ადრე იყო გამოცემული, ზოგიც პირველად გამოქვეყნდა. წიგნში სახელმძღვანელოსათვის შესაფერისი ფორმითა და თანმიმდევრობით, შევიდა ყველა ის ნაშრომი, რომელიც საკუთრივ სპარსული ლიტერატურის ისტორიასა და ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობას ეძღვნება; აქვე, შემოკლებული და გადამუშავებული სახით, გაერთიანდა 40-იან წლებში გამოცემული ორტომეული: 1. სპარსული ლიტერატურა, I (ფირდოუსის წინა პერიოდი), 1946 წ. და 2. სპარსული ლიტერატურა, II (საგმირო ეპოსი), 1947 წ.

წიგნში თავმოყრილია, ფაქტობრივად, ყველაფერი, რაც დავით კობიძეს ადრე უკვლევია. ამას გარდა, ლიტერატურის ისტორიის

კურსის სრულყოფილად გამართვისათვის, სახელმძღვანელოში შესულია ზოგი ისეთი საკითხი და ავტორი, რომელიც ადრე მისი საგანგებო კვლევის საგანი არ ყოფილა. ამ მხრივ ნიგნი შევსებულია ახალი გამოკვლევებითაც.

დავით კობიძის სახელმძღვანელოში განხილულია სპარსული ლიტერატურის განვითარების ისტორია დასაბამიდან მე-19 საუკუნემდე, მასში ნაჩვენებია სპარსული ლიტერატურის, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმის, ჩასახვისა და განვითარების გზები, მთელი თავისი ჟანრობრივი მრავალფეროვნებით.

ნიგნის ძირითადი ნაწილი ეძღვნება სპარსული ლიტერატურის კლასიკური პერიოდის (X-XV სს.) ანალიზს, განიხილება აგრეთვე როგორც ძველი და საშუალო სპარსული ლიტერატურა, ისე კლასიკური ხანის მომდევნო – სეფიანთა ეპოქის მწერლობაც.

ნიგნის შესავალში მიმოხილულია სპარსული ლიტერატურისადმი მიძღვნილი უმთავრესი ნაშრომები; მოწოდებულია დანვრილებითი ინფორმაცია ძველი (XIII ს-დან მოყოლებული) თეზქერეების, ანთოლოგიების, სხვადასახვა ლექსიკონებისა და ისტორიული ხასიათის თხზულებების, აგრეთვე სამოგზაურო ნიგნების შესახებ; საუბარია მათ ავკარგიანობაზე, გაანალიზებულია თითოეული მათგანის ნაკლი და ღირსება.

აქვე აღნიშნულია ევროპელ და რუს მეცნიერთა დამსახურება ირანისტიკის განვითარებაში, ხაზგასმულია ირანელ მწერალთა და სწავლულთა ღვაწლი მშობლიური ლიტერატურის შესწავლის საქმეში.

ავტორი საგანგებოდ ეხება ქართულ-ირანულ კულტურულ ურთიერთობებს, აღნიშნავს ქართველ ირანისტთა ღვაწლს როგორც ამ ურთიერთობის, ისე საკუთრივ სპარსული ლიტერატურის კვლევის საკითხებში.

აქვე განიხილება ლიტერატურის ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი, რთული და სათუთი პრობლემა, როგორც არის პერიოდიზაცია. ავტორი კრიტიკულად აანალიზებს ამ საკითხის ირგვლივ არსებულ ურთიერთგამომრიცხავ შეხედულებებს და მხატვრული ლიტერატურის ხასიათისა და თავისებურებათა შესახებ მსჯელობის დროს ფრთხილი, პედაგოგისათვის დამახასიათებელი თავშეკავებითა და ზომიერებით გამოთქვამს იმ დროისათვის საკმაოდ თამამ მოსაზრებებსა და შეხედულებებს.

საერთოდ მისი მსჯელობის ტონი, აქაც და შემდეგაც, დინჯია, ენა – სადა, თხრობა ხშირად ლექციას წააგავს.

როგორც აღინიშნა, ნიგში განხილულია ძველი, საშუალო და ახალი სპარსული ლიტერატურა; ავტორი ლიტერატურული ფაქტებისა და მოვლენების გადმოცემისას ყურადღებას უთმობს ირანელთა რელიგიებს, პოლიტიკურ-სოციალური წინააღმდეგობების საკითხებს, ფილოსოფიურ შეხედულებათა ანალიზს. დინჯად, აუჩქარებლად მოგვითხრობს ახალი სპარსული ლიტერატურის ჩასახვისა და განვითარების გზებზე; აღწერს სასანიანთა დროის ირანს, თაჰერიანთა და საფარიანთა დროის მწერლობას, სამანიანთა დროის მწერლობას... ყურადღებას ამახვილებს ახალი სპარსული პოეზიის ადრინდელ ეპოქაში გამოყენებულ ლიტერატურულ ფორმებსა და ჟანრებზე; განსაკუთრებული ყურადღებით ექცევა კლასიკური ხანის (X-XVსს.) დიდი ნარმომადგენლების: რუდაქის, ფირდოუსის, გორგანის, ომარ ხაიამის, ნიზამის, საადის, ჯელალ ედდინ რუმის, ჰაფეზისა და ჯამის შემოქმედების ანალიზს. ცალკე თავი ეძღვნება ლაზნელთა მეხოტბეებს; აქვე განიხილება ნასერ ხოსროვის შემოქმედება; ნიგში გარკვეული ადგილი ეთმობა ანვარის, ხაყანისა და ათარის თხზულებათა დახასიათებას.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალა, ძირითადად, ქრონოლოგიური პრინციპით განიხილება, თუმცა, პროზა ცალკე თავად არის წარმოდგენილი, რომელსაც მოსდევს სეფიანთა ეპოქის ლიტერატურის მიმოხილვა.

ლიტერატურის ისტორიის კურსის შედგენა და მისი წიგნად გამოცემა საერთოდ მეტად შრომატევადი, რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. მასში უნდა აისახოს მოცემული მხატვრული ლიტერატურის მეტ-ნაკლებად სრული სურათი, გათვალისწინებულ იქნეს მის შესახებ სხვადასხვა ენაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა მთელი თავისი პრობლემატიკით – სადავო, საკამათო საკითხებით, აზრებითა და შეხედულებებით.

სახელმძღვანელოთა ავტორები ხშირად კომპილაციური პრინციპით შედგენილ წიგნებს გვთავაზობენ; ჩვენს შემთხვევაში კი საქმე გვაქვს მაღალ მეცნიერულ დონეზე შედგენილ და გამოცემულ სახელმძღვანელოსთან, რომელშიც წარმოდგენილია ვრცელი ფაქტობრივი მასალა, შესწავლილია წყაროები, ხელნაწერები, გამოცემული ტექსტები; გამოყენებული და გათვალისწინებულია დიდალი სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ, რუსულ, ევროპულ, აღმოსავლურ ენებზე.

სახელმძღვანელოს ავტორის მიზანია მასალის მოწოდება, ძირითად დებულებათა ჩამოყალიბება, საკვანძო საკითხთა გაშუქება;

სადაეო და გადაუწყვეტელ პრობლემებზე მითითება და ზოგჯერ კატეგორიულობისაგან თავის შეკავება, რათა მკითხველმა ძალდაუტანებლად მიიღოს ინფორმაცია, გაერკვეს პრობლემის არსში და ეზიაროს ობიექტურ, ქრესტომათიულ ჭეშმარიტებას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით... ამავ დროს, რიგ შემთხვევაში, წიგნი ეყრდნობა ავტორის პირად გამოკვლევას და ხასიათდება ორიგინალური დებულებებითა და საკითხთა ახლებურად დასმით.

დავით კობიძეს ღრმად და საფუძვლიანად აქვს შესწავლილი სპარსელ კლასიკოსთა შემოქმედება. იგი სრულყოფილად ფლობს მთელ ამ ზღვა მასალას და ზედმინეწით ერკვევა ტექსტოლოგიური მუშაობის ურთულეს საკითხებში. ამ მხრივ მას მნიშვნელოვანი დაკვირვებანი და მიგნებანი აქვს, რასაც ანგარიშს უწევნ და ითვალისწინებენ სპეციალისტები, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. ასე მაგალითად, მან პირველმა შენიშნა რომ ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“ რუდაქის ლექსების ნაწილები გვხვდება (119-122). ფილოლოგიური კვლევის შედეგად მას გამოაქვს დასკვნა, რომ „რუდაქი გავლენას ახდენს ფირდოუსის შემოქმედებაზე და, შესაძლებელია, თვითონაც კი „შაჰ-ნამეს“ ზოგიერთი ეპიზოდის ავტორიც იყოს“ (121). ეს თვალსაზრისი, რამდენადაც ცნობილია, ბევრმა ირანისტმა გაიზიარა. აქვე შეიძლება აღინიშნოს მეორე საგულისხმო აღმოჩენის შესახებაც, – ჯამის ნაწარმოებთა ტექსტებზე მუშაობისას პროფესორმა დავით კობიძემ პირველმა შენიშნა, რომ სხვადასხვა თხულებათა ტექსტები ზოგჯერ ერთმანეთშია შერეული და ამ სახით იბეჭდება ევროპაშიც და აღმოსავლეთშიც. დავით კობიძემ გამოიკვლია ეს ვითარება და ფილოლოგიური ანალიზის საფუძველზე დაადგინა სწორი ტექსტი. ეს ნაკითხვაც გაზიარებულ იქნა უცხოელ კოლეგათა მიერ. აქვე დავძენთ, რომ ფრიად საგულისხმოა დავით კობიძის მიერ შემოთავაზებული მეთოდი ხაიამისეული რობაიების დადგენის საქმეში – თავდაპირველ ტექსტში სავალდებულო რითმის (ააბა ან აააა) უსათუო წარმოდგენის შესახებ და სხვა მრავალი.

სახელმძღვანელოში განხილულია სპარსული ლიტერატურის როგორც ლირიკული, ისე ვრცელი, ეპიკური ნაწარმოებები. მათი იდეურ-ესთეტიკური ანალიზისას დავით კობიძე გეთავაზობს თავის მიერ შესრულებულ, საოცარი სიზუსტით გამორჩეულ და შესანიშნავი ქართულით გამართულ თარგმანებს. წიგნში განხილულ ვრცელ პოემათა შინაარსიც ყოველთვის სანიმუშოდ არის გადმოცემული – შეძლებისდაგვარად მოკლედ, მაგისტრალური ხაზი-

დან გადაუხვევლად, ძირითადი ეპიზოდების დაუკარგავად, იდეურ-მხატვრული სამყაროს ასახვის შენარჩუნებით.

ამ სახელმძღვანელოს გამოსვლამ ძალზედ დიდი საქმე გააკეთა. იგი მნიშვნელოვან დახმარებას უწევს და კვლავაც გაუწევს სპარსული ლიტერატურის ისტორიის დაინტერესებულ ყველა მკითხველსა და სპეციალისტს.

* * *

ბატონი დავით კობიძე გამუდმებით ფიქრსა და მოქმედებაში იყო. იგი რუდუნებით იკვლევდა წარსულს, აქტიური მოღვაწეობით ეხმიანებოდა ანმყოს, ფილოსოფიურად ჭვრეტდა მომავალს, - ნუთისოფლის გარდაუვალ კანონს.

ერთხელ, 1973 წლის აპრილში მან დაბეჭდილი კონვერტი გადასცა ირანისტ ემა ლოლოძეს, - „როცა აღარ ვიქნები, მაშინ წაიკითხეთ“. ანდერძისამებრ, მის გარდაცვალებამდე - 1981 წლამდე კონვერტი არ გაგვიხსნია ...

ეს არის მიმართვა ახალგაზრდა ირანისტებისადმი. იგი მრავალმხრივ არის საგულისხმო და გასათვალისწინებელი. მარტო ის რად ღირს, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში - წერილის დატოვებიდან გარდაცვალებამდე (1973-81წწ.) დავით კობიძე ძველებურად ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას, ჩვეული წესით განაგრძობდა საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებას. ამ შუალედში მან 60-მდე ნაშრომი გამოაქვეყნა, მრავალი სპეციალისტი აღზარდა, მრავალ ადამიანს გაუწოდა დახმარებისა და მეგობრობის ხელი.

წერილის შინაარსი დღესაც აქტუალურია. მასში თავმოყრილი და წარმოჩენილია ქართული ირანისტიკის მიღწევები, დასახულია სამომავლო გეგმები. ეს არის ზედმინევენით საქმიანი წერილი, სავსე სითბოთი, სიყვარულითა და, რაც მთავარია, მომავალზე ზრუნვით, - მომავალ თაობაზე და დარგის მომავალზე ზრუნვით...

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ყოველი პასაჟი, ყოველი პუნქტი ამ წერილისა არის სამოქმედო გეგმა და სახელმძღვანელო პროგრამა ქართველი აღმოსავლეთმცოდნეებისათვის.

დავით კობიძე – „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების
მკვლევარი

2006 წლის 24 სექტემბერს 100 წელი შესრულდა გამოჩენილი მეცნიერის, მსოფლიოს ორიენტალისტურ წრეებში ცნობილი ქართველი ირანისტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის დავით კობიძის დაბადებიდან.

პროფ. დ. კობიძე 45 წლის მანძილზე უანგაროდ და ერთგულად ემსახურებოდა ქართულ მეცნიერებას. დიდი და მეტად ფასეულია მისი წვლილი და დამსახურება ირანული ფილოლოგიის განვითარებაში, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა-ძიებაში, მეცნიერთა კადრების მომზადებასა და სტუდენტების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საქმეში. მან თავისი გამოკვლევებითა და სამეცნიერო ნაშრომებით ქართულ ირანისტიკას მსოფლიო აღიარება მოუპოვა. პროფ. დ. კობიძეს იცნობდნენ და აფასებდნენ ავტორიტეტული, მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერები: ი.რიპკა, ა.როზენბერგი, ი.პეისიკოვი, ა.სტარიკოვი, შ.შაფა და სხვანი.

ცნობილია, რომ პროფ. დ. კობიძის მრავალრიცხოვან ნაშრომთა შორის, რომელთაგან ზოგიერთი უცხო ენებზეცაა ნათარგმნი, გამორჩეული ადგილი უკავია „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების სხვადასხვა საკითხისადმი მიძღვნილ გამოკვლევებს. „შაჰ-ნამეს“ ანუ „მეფეთა ნიგნის“ ქართული თარგმანების (ვერსიების) შესწავლას საფუძველი ნ.მარმა ჩაუყარა XIX საუკუნის ბოლო წლებში. 1916 წელს იუსტ. აბულაძის მიერ „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების I ტომისა და 1934 წელს იუსტ. აბულაძის, ალ.ბარამიძის, პ.ონგოროყვას, კ.კეკელიძისა და ა.შანიძის მიერ „მეფეთა ნიგნის“ II ტომის გამოცემის შემდეგ დაიწყო მათი ინტენსიური მეცნიერული შესწავლა (იუსტ. აბულაძე, ა.ბარამიძე, კ.კეკელიძე და სხვ.).

ბატონი დავითი ფირდოუსის შემოქმედებით და „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიებით ადრევე დაინტერესდა. თავდაპირველად მან თარგმნა და შეისწავლა ფირდოუსის სახელით ცნობილი „სატირა სულთან მაჰმუდზე“, რომელიც 1938 წელს გამოაქვეყნა ჟურნალში

„ახალი თაობა“. ახალგაზრდა მკვლევარმა სატირის ტექსტზე დაყრდნობით დაასაბუთა, რომ იგი იმ სახით რა სახითაცაა დღეს სპარსულ წყაროებში წარმოდგენილი არ შეიძლება ფირდოუსის ხელიდან იყოს გამოსული. 1939-1948 წლებში მეცნიერმა რამდენიმე სტატია მიუძღვნა ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ და მის მიბაძვა-გაგრძელებათა ქართულ ვერსიებს.

1946 წელს დ. კობიძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების სპარსული წყაროების შესახებ, რომელიც 1959 წელს შევსებული სახით წიგნადაც გამოიცა. აღნიშნული წიგნი ირანული საგმირო ეპოსის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნითაა დაწერილი. პროფესორმა დ.კობიძემ შეისწავლა რა „მეფეთა წიგნის“ ყველა ქართული ვერსიის ბექდური და ხელნაწერი ტექსტი, გაარკვია, რომ „მეფეთა წიგნის“ ქართული ვერსიები მხოლოდ ფირდოუსის თხზულებაზე არ არიან დამოკიდებული და ეყრდნობიან სპარსულ ჩანართებიან დედნებს; გამოავლინა, რომ ეს ჩანართები, ძირითადად, „შაჰ-ნამეს“ მიმბაძველ-გამგრძელებელთა თხზულებების, კერძოდ, „გერმასფ-ნამეს“, „ბარზუ-ნამეს“ და „საამ-ნამეს“ ნაწყვეტებია. გამოკვლევაში მეცნიერმა გამოთქვა ფრიად საინტერესო ვარაუდი „უთრურთიან-საამიანის“ პროზაული ტექსტის შესახებ. მისი აზრით, ამ თხზულების სახით შესაძლებელია ქართულ ლიტერატურაში შემონახული გვექონდეს ფირდოუსის პოემაზე ადრე შემუშავებული „შაჰ-ნამეს“ რომელიმე ვერსია, რომელიც, თავის დროზე, ფირდოუსის თხზულების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა. ვფიქრობთ, „უთრურთიან-საამიანი“ შესაძლოა იყოს თარგმანი ჩვენამდე მოუღწეველი აბულ მუაიად ბალხის ლექსნარევი პროზით შესრულებული ე.წ. „დიდი შაჰ-ნამეს“ ერთი მონაკვეთისა, რადგანაც სხვადასხვა წყაროს თანახმად, ქართული ვერსიის მსგავსად, სწორედ ამ წიგნში ყოფილა მოთხრობილი იმ ფალავანთა ამბები, რომლებიც ფირდოუსისთან ან საერთოდ არ გვაქვს, ან ზოგიერთის მხოლოდ სახელი იხსენიება. კარგი იქნებოდა, ირანელი კოლეგები დაინტერესებულიყვნენ ამ თხზულებით და ქართველ ირანისტებთან ერთად გაეგრძელებინათ კვლევა-ძიება.

აღნიშნული გამოკვლევის შესახებ 1961 წელს საინტერესო რეცენზია გამოაქვეყნა ცნობილმა რუსმა ირანისტმა „შაჰ-ნამეს“ შესანიშნავმა მცოდნემ ა.სტარიკოვმა. იგი თვლიდა, რომ „დ. კობიძის ნაშრომი ძვირფასი განძია „შაჰ-ნამეს“ შესწავლის საქმეში“ და ფიქრობდა, რომ „შაჰ-ნამეს“ კრიტიკული ტექსტის გამოცემისას,

რომელიც იმუამად მზადდებოდა მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ძირითადად 2 უძველესი ხელნაწერისა (ლონდონის 1276-77 ნნ. და სანკტ-პეტერბურგის 1333 ნ.) და ბუნდარის არაბული თარგმანის მიხედვით, საჭირო იყო „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიებისა და დ.კობიძის გამოკვლევის მოხმობაც, რადგანაც იცოდა, რომ „ისინი შეიცავენ ფრიად ფასეულ მასალას „შაჰ-ნამეს“ ნამდვილი ტექსტის დასადგენად“ (იხ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე“ №3, 1961, გვ.354). დასაბამი, რომ ა.სტარიკოვის რჩევა და რეკომენდაცია არ გაითვალისწინეს „შაჰ-ნამეს“ კრიტიკული ტექსტის გამომცემლებმა.

პროფ. დ. კობიძემ, ამასთანავე, გააგრძელა თავისი წინამორბედების მიერ დაწყებული „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ტექსტთა გამოცემა. მან დიდი შრომისა და რუდუნების შემდეგ 1974 წელს დასტამბა „მეფეთა წიგნის“ ქართული ვერსიების გამოუქვეყნებელი ნაწილები („უთრუთიან-საამიანის“ პროზაული ტექსტი, ამავე თხზულების ლექსითი ვერსიის პირველი ნაწილი, „წიგნი საამ ფალავნისა“, რომელიც თვითონ აღმოაჩინა და მის სპარსულ წყაროებსაც მიაგნო) და „შაჰ-ნამეს“ გაგრძელების „ბაჰმან-ნამეს“ ქართული თარგმანი „ბაამიანი“, რომლის დედანსაც მიაკვლია და გაარკვია თარგმანის დედანთან მიმართების საკითხი. მანვე წიგნს ნაუძღვარა სოლიდური გამოკვლევა და დაურთო ლექსიკონი. ამ ნაშრომისთვის 1976 წელს პროფესორი დ.კობიძე თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით დაჯილდოვდა ივ.ჯავახიშვილის სახელობის პრემიით.

საინტერესოა დ.კობიძის ფილოლოგიური დაკვირვებანი, მოსაზრებები და მიგნებები სპარსულიდან (ძირითადად „შაჰ-ნამეს“ ლექსიკიდან) ქართულში შემოსულ სიტყვებზე (მაგალითად, დაშუში, უზაბარი, ზაბილი, ზაბილური//ზაბულური, ნიატაკი, სათული, ქულუნგი, ყული, ყულუხჩი) და საკუთარ სახელებზე (მაგალითად, ხურომანი, უთრუთი და სხვა).

პროფესორ დ.კობიძეს, რომელიც 25 წლის წინ მოულოდნელად გარდაიცვალა, მრავალი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი. კერძოდ, მან ვერ მოასწრო საადის „გოლესთანის“ თარგმანის დასრულება და გამოქვეყნება. იმედია, მისი მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები გაჰყვებიან მის მიერ ირანისტიკაში გაკვალულ გზას და წარმატებით იღვანებენ ქართული მეცნიერების სარბიელზე.

David Kobidze - An Investigator of Georgian Versions of Shahnameh

Summary

The paper is devoted to the hundredth birth anniversary of worldwide recognized Georgian Iranist - David Kobidze. The outstanding credits for the scientist's explorations into Georgian versions of "The Book of Kings" are the concern of the present paper. In the studies of different aspects of Iranistics and Georgian-Iranian relations as a whole D. Kobidze gave much attention to the problems of Shahnameh and its Georgian versions on which he had worked since 1938. Amongst the large body of his research works, 'Iranian sources for Georgian versions of "Shahnameh" (1959), which was given a high appraisal by foreign Iranists, seems to hold lead. Moreover, the third volume of Georgian translations of "The Book of Kings" with sound explorations was published in 1974, and in 1976 the scientist was awarded the Ivane Javakhishvili Prize for the named research work.

ერთი მოგონება

მე დავიბადე 1931 წელს თეირანში ემიგრანტის ინჟინერ შალვა გიუნაშვილის ოჯახში, რომელიც 1947 წელს რეპატრიაციის წესით ჩამოვიდა საქართველოში. 1949 წელს, თბილისის მე-9 ვაჟთა სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განვაგრძე თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ირანული ფილოლოგიის განყოფილებაზე. მე ვიყავი აქტიური სტუდენტი, მქონდა აკადემიური მოსწრების კარგი მაჩვენებლები.

საბჭოთა საქართველოში უკანასკნელ მასობრივ რეპრესიებს ადგილი ჰქონდა 1951 წლის დეკემბერში, რის შედეგად 11200 „მტრული ელემენტი“ გადასახლებულ იქნა სამხრეთ ყაზახეთში (დღევანდელი ჩიმკენტის ოლქი). ამ დამსჯელ აქციას „მიზნობრივი“ ხასიათი ჰქონდა: გადასახლებას ექვემდებარებოდნენ ისინი, ვისაც რაიმე კავშირი ჰქონდა უცხოეთთან. ამ „მოთხოვნას“ კი ჩვენი ოჯახი ზედმინევით სრულად აკმაყოფილებდა.

1951 წელს გადასახლებულთათვის, როგორც „სამხრეთ ყაზახეთში მებამბეობის განვითარების საკოლმეურნეო კონტინგენტისთვის“ გათვალისწინებული იყო გარკვეული შეღავათები: გვექონდა მიმონერის უფლება და 40-50 კომლიანი დასახლებული პუნქტის ფარგლებში შეგვეძლო „თავისუფალი გადაადგილება“, ხოლო ამ სივრცის ნებართვის გარეშე დატოვების შემთხვევაში მძიმე კატორღას „დავიმსახურებდით“.

1952 წლის იანვარში ყაზახეთში გამოცემული გაზეთის საშუალებით გავეცანი ინფორმაციას ტაშკენტის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის საქმიანობის შესახებ. მიუხედავად მონიჭებული „მტრული ელემენტის“ სტატუსისა და მრავალი დამამცირებელი შეზღუდვისა, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ძალისხმევის ძირითადი ვექტორი ტაშკენტისკენ უნდა იყოს მიმართული, მაგრამ, პირველ რიგში, მჭირდებოდა სათანადო დოკუმენტები.

წერილით მივმართე თბილისის უნივერსიტეტის რექტორს აკად. ნიკო კეცხოველს და ვთხოვე ჩემთვის გამოეგზავნათ სკოლის ატესტატი და ცნობა აკადემიური მოსწრების შესახებ. წარმოიდგინეთ, მოკლე ხანში სამხრეთ ყაზახეთის ოლქის კელესის

რაიონის სოფ. აბაიბაზარში მივიღე სკოლის ატესტატი, აკადემიური მოსწრების ცნობა და... დახასიათება, რომელსაც ხელს აწერდნენ თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი სერგი ჯიქია და ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგე დავით კობიძე.

დახასიათების პათოსი იყო მაქებარ ტონალობაში (ფრიად გადაჭარბებულად) სწავლაში, სტუდენტთა სამეცნიერო წრის საქმიანობასა და საზოგადოებრივ მუშაობაში ჩემი თვალსაჩინო მიღწევების წარმოჩენა. ამჟამად იგრძნობოდა დახასიათების ავტორთა დიდი სურვილი რაიმე დახმარების აღმოჩენისა გაჭირვებაში მყოფი „მტრული ელემენტისათვის“.

ბატონი სერგისა და ბატონი დავითის მიერ იმ დროს გადადგმული ეს ზნემაღალი და გაბედული ნაბიჯი გმირობის ტოლფასი იყო. ფაქტობრივად მათ ოფიციალურად კითხვის ქვეშ დააყენეს უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტის „მტრულ ელემენტად“ შერაცხვის სამართლიანობა. ალბათობა იმისა, რომ ასეთი „შეფასების“ გამოვლენას 1952 წლის პირობებში შეიძლება მოჰყოლოდა დიდი უსიამოვნება, საკმაოდ მაღალი იყო. ცხადია, ამ ასპექტით გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა უნივერსიტეტის რექტორს, პარტიის წევრს ბატონ ნიკო კეცხოველს, რომელიც ჩემი თხოვნის ადრესატი იყო და, მიუხედავად ჩემი სტატუსისა, „საქმეს მისცა მსვლელობა“.

დღევანდელი გადმოსახედიდან, როცა სამოცდათხუთმეტ წელს გადავაბიჯე, დავძლიე მრავალი სიძნელე, მივალნიე გარკვეულ წარმატებებს, მყავს მონაფეები, გამოკვეთილად ჩანს თუ ტაშკენტის უნივერსიტეტის ექსტერნატი მოწყობისას რა დიდი როლი შეასრულა აღნიშნულმა დახასიათებამ (ექსტერნატი იმიტომ, რომ ყაზახეთში გადასახლებული „მტრული ელემენტი“ სხვა რესპუბლიკაში დასწრებულზე ვერ იხსნავლიდა).

ტაშკენტის უნივერსიტეტშიც აღმოჩნდნენ ერთობ გაბედული და კეთილგანწყობილი ორიენტალისტები, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა...

მოგონება

მოხარული ვარ, რომ კიდევ ერთხელ მომეცა საშუალება მადლიერების გრძნობით მოვიხსენიო ბატონი დავით კობიძე (მისი დაბადების 100 წლის და სამეცნიერო მოღვაწეობის 80 წლისთავთან დაკავშირებით).

ბატონი დავითი გახლდათ ჩემი უსაყვარლესი მასწავლებელი, რომელმაც შემასწავლა სპარსული ენის ანა-ბანა და შემდეგ, სტუდენტობისა და ასპირანტურაში სწავლის პერიოდშიც არ მოუკლია ჩემთვის ყურადღება და სიტბო.

ბატონი დავითის სამეცნიერო მოღვაწეობა ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ამჯერად მინდა ორიოდ სიტყვით შევებო მას, როგორც ადამიანს, მასწავლებელს და საოცარი იუმორით დაჯილდოებულ პიროვნებას.

1942 წელს შევედი თსუ ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე. პირველ კურსზე ისწავლებოდა სპარსული ენა, კურსი მიჰყავდა ბატონ დავითს. მაშინ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ცალკე არ არსებობდა (დაარსდა 1945 წ.). ნამყვანი მასწავლებლის რჩევით და სტუდენტის სურვილით ამ განყოფილებაზე სწავლა II კურსიდან იწყებოდა. აქ გაძლიერებით ისწავლებოდა ერთ-ერთი აღმოსავლური ენა და ლიტერატურა, ქვეყნის ისტორია, რუსული და უცხო ენა.

II კურსიდან ბატონი დავითის რჩევითა და დაძალებით გადავედი ამ განყოფილებაზე, რისთვისაც დღემდე მისი მადლიერი ვარ.

ყოველთვის მემამაყებოდა და ახლაც მემამაყება, რომ ვიყავი მისი რიგით პირველი მოწაფე. ჩემი და ჩემი მასწავლებლის ურთიერთობა კარგად უჩვენებს, ზოგადად, ბატონი დავითის პედაგოგიურ სტილს.

მან საოცრად შემაყვარა სპარსული ენა და ლიტერატურა, განსაკუთრებით სპარსული კლასიკური ლიტერატურის შედევრი ფირდოუსის „შაჰ-ნამე“, რომლის თეირანის გამოცემის ათი ტომი თავის ლექციებზე წამაკითხა და შემდეგ დისერტაციის თემაც ისე შემირჩია, რომ „შაჰ-ნამეს“ გარდა „გოლესთანის“, „ვისრამიანისა“ და სხვა ნაწარმოებების სერიოზული დამუშავება დამჭირდა.

მასხენდება მისი რეაქცია ძნელი ადგილების გაგებისას, როგორ უხაროდა და სიყვარულით უციმციმებდა კეთილი თვალები.

ბატონი დავითი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა სტუდენტის ხასიათსაც. ახალგაზრდობაში მიყვარდა, როცა მაქებდნენ (ალბათ, არც თუ კარგი თვისებაა). ეს მან კარგად შემატყო და კეთილ სიტყვებს არ იშურებდა. ერთხელ, II კურსის ბოლო სემესტრში განმიცხადა, რომ შემდეგი ლექციისთვის უნდა მომემზადებინა „შაჰ-ნამეს“ 9 გვერდის თარგმანი. ლექციაზე გულისფანცქალით მივედი. ბატონმა დავითმა მითხრა, შენ იკითხე და თარგმნე, მე ყურს დაგიგდებ, თუ რამე შეგეშალა, მხოლოდ მაშინ გაგაჩერებო. მთელი სამი საათი ვკითხულობდი, თან შიგადაშიგ მისკენ ვაპარებდი თვალს, მაინტერესებდა, რა რეაქცია ჰქონდა. იგი უხმოდ, თვალდახუჭული მისმენდა, როცა დავამთავრე, ძალიან შემაქო და მითხრა: ყოჩაღ, შეცდომა არ დაგიშვია. ძალიან გამიხარდა და გაათმავებული ენერგიით განვაგრძე სწავლა. ახლა კი ვხვდები, რომ II კურსის სტუდენტი მთელ 9 გვერდს, ალბათ, ვერ გავიგებდი ისე, რომ ერთი შეცდომაც არ დამეშვა – ამკარად ჩემ წასახალისებლად მოიქცა ასე.

ლექციის დროს (განსაკუთრებით, ლიტერატურის ისტორიის კითხვისას) სტუდენტებს მოდუნებას თუ შეგვატყობდა, მაშინვე ისეთ სახალისო ამბავს გაიხსენებდა, რომ სიცილს ვერ ვიკავებდით, დაღლილობაც გაივლიდა და გაცხოველებული ინტერესით ვუგვდებდით ყურს.

შეუმჩნევლად გაირბინა ხუთმა წელმა. ბატონმა დავითმა ასპირანტურაში ჩაბარება შემომთავაზა და, რა თქმა უნდა, სიხარულით ჩავაბარე. ცოტა ხანში კი დამიბარა და მითხრა, თუ გადანყვიტე, სერიოზულად იმუშაო, ერთი პირობა გაქვს გასათვალისწინებელი, სანამ დასრულებულ დისერტაციას არ ჩამაბარებ, არ გათხოვდები. ჯერ მეგონა, ხუმრობდა, ყურებს არ ვუჯერებდი, მაგრამ მის თვალებში მხოლოდ სიმკაცრე დავინახე. მაშინ გათხოვებაზე არც ვფიქრობდი, ხელწერილი დავდე და შევეუდექით მუშაობას.

ასპირანტურაში ყოფნისას რამდენიმე საათს ვუტარებდი სტუდენტებს. ბატონი დავითი არ იზარებდა და კვირაში ერთხელ მაინც მესწრებოდა მეცადინეობაზე, შემდეგ კი ძალზე საინტერესო და საქმიან რჩევებს მაძლევდა. ეს ასე გრძელდებოდა მას შემდეგაც, რაც შტატში ჩავირიცხე, ოღონდ – წელიწადში 3-4-ჯერ. ასეთი ყურადღება ძალიან დამეხმარა ჩემს მომავალ საქმიანობაში.

ბატონმა დავითმა მირჩია ახალი საგნის – სპარსული დიალექტოლოგიის კურსის შედგენა, რომელსაც წლების მანძილზე ვკითხულობდი.

მაშინ ომის მძიმე წლები იყო, ბატონი დავითი ჩვენი ყოფითაც ინტერესდებოდა და საოცარ ყურადღებას იჩენდა ჩვენი ყოველდღიური პრობლემების მიმართ.

შევეცადე ჩემს მაგალითზე მეჩვენებინა, რაოდენ გულითადი დამოკიდებულება ჰქონდა ბატონ დავითს თავის სტუდენტებთან.

ხელნერილს რაც შეეხება, პირობა პირნათლად შევეუსრულე, 1951 წელს ჩავაბარე დასრულებული დისერტაცია და ამის შემდეგ ერთ კვირაში გავთხოვედი (ბატონი დავითი ამ არჩევანითაც კმაყოფილი იყო).

ამ მცირედი მოგონებით მინდოდა პატივი მიმეგო ბატონი დავითის ნათელი ხსოვნისთვის.

† ვახუშტი კოტეტიშვილი

ერთი მოზონება

ბატონი დავით კობიძის დიდი დამსახურება ქართული ირანისტიკის წინაშე საყოველთაოდ არის ცნობილი და აღიარებული. ასევე ცნობილია მისი დიდი ღვაწლი პედაგოგიკის თვალსაზრისითაც, ვინაიდან იგი ბრძანდებოდა ქართველ ირანისტთა მრავალი თაობის აღმზრდელი. მე, როგორც მის ერთ მონაწილეს, მინდა მისი ნათელი სულის მიმართ კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი უღრმესი მადლიერება და გავიხსენო ერთი ეპიზოდი ჩვენი, როგორც მოძღვრისა და შეგირდის ურთიერთობისა, რომელიც ნათლად მეტყველებს ამ ღვაწლმოსილი მეცნიერის ადამიანურ ღირსებებზე, მის სათუთ სულიერ თვისებებზე, რაც, შესაძლოა, ფართო აუდიტორიისთვის უცნობი იყოს.

უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, უკვე დაოჯახებული ვიყავი და ექვსი თვის ვაჟის მამაც გახლდით. სპეციალობით სამეცნიერო მუშაობის დანყების ყოველგვარი მცდელობა ფუჭი გამოდგა. გავიდა რამდენიმე თვე. გვიანი შემოდგომაა. უცებ მირეკავს ბ-ნი დავითი და მისთვის დამახასიათებელი იუმორისტული ტონით მეკითხება:

– ჩემო ვახუშტი, ასპირანტურა გინდაა?

მე ენადაბმულმა და ბრინჯივით დაბნეულმა ძლივსძლივობით ამოვილულულე:

– რას ბრძანებთ, ბატონო დავით, განა ეს საკითხავია?

– მაშინ სასწრაფოდ მიდი უნივერსიტეტში და ამ საქმისთვის საჭირო საბუთები გაამზადე.

რასაკვირველია, ფრენა-ფრენით ხუთიოდ წუთში აღმოსავლეთ-მცოდნეობის ფაკულტეტის დეკანატში გავჩნდი. ბატონმა დავითმა ღერბიანი თუ რალაც ამდაგვარი ქალაღი გამომინოდა. ქალაღდზე ეწერა, რომ ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს ნება ეძლეოდა სემიტოლოგიის კათედრისთვის გამოყოფილი ასპირანტურის ადგილი ირანული ფილოლოგიის კათედრისთვის გადაეცა. საბუთს ხელს აწერდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრი ელიუტინი.

მე გაოგნებული შევყურებდი ბატონ დავითს. მან მისთვის ჩვეული დინჯი მეტყველებით ამიხსნა:

- ჩემო ვახუშტი, ბატონ გიორგი ნერეთელს ყოველ წელს აძლევენ ასპირანტურის ადგილს სემიტოლოგიის სპეციალობისთვის. წელსაც მისცეს, მაგრამ მე ვთხოვე, ჩვენთვის დაეთმო და იგი სულგრძელად დამთანხმდა. ამის შემდეგ თხოვნით მივმართეთ უმაღლესი განათლების საკაეშირო სამინისტროს და, აი, თანხმობაც მივიღეთ.

- კი მაგრამ, ბატონო დავით, აქამდე რატომ არ მითხარით?

- ახალგაზრდა კაცი ხარ და, ეს ამბავი რომ არ გამოსულიყო, გული გეტკინებოდა. მიდი ახლა და სასწრაფოდ შეავსე ეგ საბუთები - მითხრა ბატონმა დავითმა და თავისი საქმე განაგრძო.

მე, გაოგნებული, მაღლობისმაგვარ ფრაზეზად ვიღვრებოდი, ბატონი დავითი კი ისეთი სახით იღიმებოდა, თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარიყო.

ეს ამბავი ჩემთვის განსაკუთრებით იმით იყო აღსანიშნავი, რომ მანამდე ჩემი მცდელობა, გამეგრძელებინა მამაჩემის გზა ქართულ ფოლკლორისტიკაში, უშედეგო აღმოჩნდა. მართალია, ვახტანგ კოტეტიშვილი იმ დროს უკვე რეაბილიტირებული გახლდათ, მაგრამ აუტიკივარი თავი არ აიტკიეს და „თავაზიანი“ უარით გამომისტიუმრეს.

მე უკვე სამოცდაათ წელს გადავაბიჯე და ჩემი ძვირფასი მოძღვრის ეს სიკეთე და სათუთი დამოკიდებულება ჩემს როგორც მოწაფის მიმართ არ მავინყდება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბ-ნი დავითის სული.

ბედნიერებაა, დავით კობიძისთანა მასწავლებელი რომ გყავდა

ბატონ დავით კობიძეს უნივერსიტეტში შესვლამდე ვიცნობდი. ჩემი მეგობარი ნორა და ტიტე სიხარულიძეების ოჯახი ბატონი დავითის მეზობლად სახლობდა ქობულეთის აღმართზე. ჩანს, მათგან იცოდა ბატონმა დავითმა ლექსებს რომ ვწერდი.

უნივერსიტეტში შესვლამდე დავბეჭდე ლექსები „ცისკარში“ და „ლიტერატურულ საქართველოში“, „დროშასა“ და „მნათობში“. სწორედ მათგან, კერძოდ ჩემი სკოლის ლიტერატურის მასწავლებლის – ნორა სიხარულიძისგან გაუცვინია ეს ლექსები ბატონ დავითს და მოსწონებია, პოეზიის კარგი მცოდნე კი, როგორც მერე და მერე დავრწმუნდი, მართლაც იყო.

1960 წელს შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე. და, აი, ერთხელაც, ბატონმა დავითმა სიხარულიძეების მეოხებით დამიბარა და მიჩაია, აღმოსავლეთ-მცოდნეობის ფაკულტეტზე, კერძოდ სპარსული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე გადავსულიყავი; დამარწმუნა, რომ ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი და აუცილებელიც იქნებოდა სპარსული ენის შესწავლა. მომერიდა და უარი ვერ ვუთხარი, მაგრამ ის კი გამეგონა, მაშინ ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე გადასვლა შეუძლებელი თუ არა, ერთობ ძნელი საქმე რომ იყო და ბატონ დავითს შევახსენე ეს ამბავი. ეგ საქმე უკვე მე მომანდევო, მითხრა. მაშინ იგი ფაკულტეტის დეკანი ბრძანდებოდა.

ვიმეორებ: იმდენად ძნელი იყო მაშინ ფაკულტეტის შეცვლა, რომ ბატონ დავითს რამდენჯერმე მოუხდა რექტორთან – ევგენი ხარაძესთან შესვლა, რათა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩემი გადასვლის დასტური მიეღო მისგან. თურმე, როგორც შემდგომში თავად ბრძანა, არწმუნებდა რექტორს, რომ ჩემგან, როგორც კარგი მომავლის მქონე პოეტისაგან, სპარსული პოეზიის კარგი მთარგმნელი დადგებოდა.

მესამე კურსზე გახლდით, ბატონი დავითი დაბეჯითებით მიკიყინებდა, „შაჰ-ნამეს“ თარგმნას შევდგომოდი. მე კი, რატომღაც, თარგმანზე არც ვფიქრობდი...

1970 წლის იანვრის ბოლოს, აღმოსავლეთმცოდნეობის კაბინეტში დამიბარა ვახუშტი კოტეტიშვილმა, რომელიც უნივერსიტეტში დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა. ბატონმა ვახუშტიმ მითხრა, რომ გამომცემლობა „საქართველო“ მსოფლიო ლიტერატურის 80 ტომეულის გამოცემას აპირებდა, ამ გამოცემაში ერთი ტომი მთლიანად ირანულ პოეზიას ეთმობა და აუცილებელია ფირდოუსი კარგად წარმოვაჩინოთ. ამიტომ ერთი ვრცელი ეპიზოდი „შაჰ-ნამეს“ შენ უნდა თარგმნო. მე უარი შევბედე თუ არა, ვახუშტიმ მითხრა: – „მე კი არ გთხოვ, გობრძანებ და სათარგმნელად მომცა „ბეჟანისა და მანიყეს ამბავი“. დღეც დამინიშნა, როდის უნდა ჩამებარებინა ამ ეპიზოდის თარგმანი. ეს იყო 1970 წლის 10 სექტემბერი.

მე, რალა თქმა უნდა, თავი მივაკალი „ბეჟან-მანიყეს“ თარგმნას და დათქმულ დღეს კაბინეტში წარვუდექი ვახუშტის. მან ჩვეული გულმოდგინებით წაიკითხა ჩემეული თარგმანის რამდენიმე გვერდი. თარგმანი ძალიან მომიწონა. აბა, შენ იცი, „შაჰ-ნამეს“ აღარ შეეშვაო, – დასძინა და ასე დავშორდი.

ახალგაზრდისთვის, ეტყობა, ნაქეზება-შექება უებარი ნამალია და მეორე დღიდანვე დავინწყე „მანუჩარის“, იგივე „ზაალ-რუდაბეს ამბის“ თარგმნა.

ბატონმა დავით კობიძემ გულით გაიხარა, რაკილა ბოლოს და ბოლოს, ხელი მოვკიდე „შაჰნამეს“ თარგმნას.

1970 წლის მაისიდან გამომცემლობა „ნაკადულში“ დავინწყე მუშაობა. ბატონი დავითი ხშირად მობრძანდებოდა გამომცემლობაში, მჩუქნიდა თავის ახალგამოსულ ნიგნებს. აი ისინიც: „სპარსული ლიტერატურის ისტორია“, „როცა ახალი ცხოვრება იწყებოდა“ და „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“. თუმცა ძალიან მახარებდა ბატონი დავითის ყურადღება, მაგრამ რა დავმალო და ამ ნიგნების მნიშვნელობა ახლა ბევრად უკეთ მესმის, ვიდრე მაშინ მესმოდა.

ერთხელაც, ჩვეულებისამებრ, ბატონი დავითი მობრძანდა ჩვენთან, გამომცემლობაში და მეუბნება: – ერთი იდეა დამეზადა და მინდა გაგიმხილო. ჩემს შეკითხვას – რა იდეა-მეთქი, არც მოუსმინა და განაგრძო – უნდა გამოიცეს საადი შირაზელის თხზულებათა სრული კრებული! – მშვენიერი იდეაა, ბატონო დავით, – მივაგებე მე. ჰოდა, – ბატონმა დავითმა ისე განაგრძო, თითქოს ჩემი ნათქვამი არც მოისმინაო, – მოგეხსენება, საადი შირაზელს ასობით ყაზალი აქვს. სრული კრებულისათვის ორასი ყაზალი ხომ მაინც უნდა

შევიდეს ნიგნში; ამიტომ ასი ყაზალი უნდა თარგმნოს ჩვენმა დიდებულმა ვახუშტი კოტეტიშვილმა და ასი – ბელა შალვაშვილმა... ეს ისე ნარმოთქვა ბატონმა დავითმა, სადაოც რომ არაფერი იყო თითქოს და... – მე არ შემიძლია, ბატონო დავით, – შენუხებულმა ვუთხარი, დრო, დრო არა მაქვს... ბატონმა დავითმა თავისი ნათქვამი უფრო ბეჯითად გაიმეორა და მეტიც, გააგრძელა – ვახუშტი დიდებული მთარგმნელია და შენ ეს კარგად იცი, მაგრამ ცოტა ზარმაცია და ორასივე ყაზალის თარგმნა, ალბათ, შენ მოგიწევს.

რამდენიც არ ვეცადე, ბატონი დავითისათვის დამემტკიცებინა, რომ დრო არ მქონდა, ვერაფერს გავხდი. ამის შემდეგ, ბატონი დავითი კვირაში ერთხელ თუ ორ კვირაში ერთხელ მაინც შემოივლიდა გამომცემლობაში და მიმეორებდა, რომ საადი შირაზელის ყაზალები უნდა მეთარგმნა. ძლივს დადიოდა, მძიმე, მძიმე ნაბიჯებს ადგამდა და ძალიან მედარდებოდა, რომ ასე ნუხდა. ერთხელაც ვუთხარი – გეხვენებით, ბატონო დავით, ნუ შემინუხდებით ამდენს, ვინმეს მეოხებით მიხმეთ და თავად გენევეით, როცა დაგჭირდებით. „შაჰ-ნამედან“ საადიზე როგორ უნდა გადმოვერთო, მითუმეტეს, ახლა „სიაუშის ამბავსა“ ვთარგმნი. იცით რამხელაა? – ჰო, გამიგონია, მითხრა ბატონმა დავითმა მშვიდად, აუღელვებლად და ჩემი სულელური ნათქვამისა ახლა უფრო მრცხვენია, ვიდრე მაშინ...

ომარ ხაიამის ორმოცდაათზე მეტი რობაი ვიცოდი ზეპირად. რა თქმა უნდა, სპარსულად. ეს ძალზე ახარებდა ბატონ დავითს. დაიწყე ხაიამი – მეტყოდა. მეც დავიწყებდი... თვითონ, ჩვეულებისამებრ სადღაც მალლა იყურებოდა. დიდი პროფესიონალიც იყო და დიდად გულისხმიერიც, ძალზე ახარებდა თავისი მონაფეების მიღწევები. ძალზე პოეტური იყო და პოეზიაც ძალიან უყვარდა...

ხშირად გადმოვიღებ მის ნიგნებს და მიკვირს, რა დიდი შრომისა და გარჯის ნაყოფია ისინი...

ასი რომ ვთქვა ბატონ დავითზე, ათასი უთქმელი დამრჩება; კინოკადრებივით ჩამირბენს ხოლმე თვალწინ მასთან საუბრები, იუმორი, რომლითაც უხვად იყო დაჯილდოებული... ბედნიერი ვარ, რომ ვიცნობდი დავით კობიძეს, ამ დიდებულ მასწავლებელსა და გულისხმიერ ადამიანს!

ბატონ დავით კოზიძის მოსაგონარი მარსიას ნაცვლად!

ბატონი დავითი ფაქიზი სულის ადამიანი იყო. მასში ჭარბობდა პოეტური სანყისი, რასაც გულლიად ავლენდა ახალგაზრდობაში, ხოლო მოგვიანებით, სერიოზული მეცნიერული შრომების მიღმა, ყოველთვის იდგა მისი მეორე მე – მღელვარე რომანტიკოსი, მშფოთვარე სული, რომელიც თავს იზღუდავდა ყოველდღიურობისაგან და მხოლოდ ზოგჯერ გამოაშუქებდა სააშკარაოდ. ამისი მონმე მეც გავხდით ერთხელ: ავად იყო და საავადმყოფოში ვინახულე. გავბედე და ვარდები მივართვი – მაღალღეროიანი, ნორჩი, ჯერ კიდევ გაუშლელი ვარდები. თანაც ვშიშობდი, იქნებ ავადმყოფს არც კი ესამოვნოს-მეთქი. მონყენით იჯდა სანოლზე და ყველაფერი ნაცრისფერი იყო მის ირგვლივ გამოხედვიდან მოკიდებული. ჩემს დანახვაზე თითქოს გახალისდა, ვარდებს შეხედა, გამიღიმა და უცებ პოეტმა გაიღვიძა მასში. ჩემი ნამალი მოგიტანიაო, – მითხრა.

ეს ამბავი ამით არ დასრულებულა. მთელი თვე გაატარა საავადმყოფოში და ის ყვავილები არ დამჭკნარა თურმე. მოგვიანებით, როცა შევხვდი, მითხრა: სწორედ რომ საოცრება იყო. მათი სურნელი სიცოცხლის ძალას მმატებდა, რომ გამომწერეს, კიდევ ყვაოდა, დატოვებდა დამენანა და სახლში წამოვიღეო.

ასეთი ღრმა შინაგანი განცდების მქონე იყო ბატონი დავითი. ამიტომაც თუ მიიღო მეყსეულად მისი სული საქართველოს ზეცამ – ზაფხულის ერთ მოღუშულ დილას ცაზე ჩვენება ვნახე, – ნაცრისფერ ვარცლში თვალდახუჭული ინვა მშვიდად ჩვენი მოძღვარი და ზეციური სამყოფისაკენ მიემართებოდა.

იმ საღამოს გავიგე – გარდაცვლილიყო ბატონი დავითი. და, ჩემს დღიურში გაჩნდა შემდეგი სტრიქონები:

„მოხუც პროფესორს მივართვი ვარდი,
თურმე ვყოფილვარ მაინც თამამი.
მან სევდიანად მომაპყრო თვალი,
მრავალგზის ცრემლით გადანახანი.
გმადლობო, – მითხრა და გამიღიმა, –
მოგიტანია ჩემი ნამალი...
გარდაიცვალა უჩვენოდ, ოხლად,
დაასაფლავეს ვაებით დიდით.
ცაში წილნაყარ კაცს რა შეეკადრო,
მის ამაგს როგორ გადავიხდიდი.
ესაა, როცა ვარდებს შევხედავ,
მომაგონდება ყოველთვის რიდი“.

ნასესხობათა სინონიმიისა და ომონიმიისათვის

(სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა მასალაზე)

ირანულ ენათაგან, კერძოდ კი, სპარსულიდან ქართულ ენაში შემოსული ნასესხობები ირანულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა მკვლევართათვის მუდმივი ინტერესის სფეროდ გვევლინება. სპარსულ ლექსიკურ ნასესხობათა ყველაზე უფრო ვრცელი და საფუძვლიანი ეტიმოლოგიური ანალიზი აკად. მ. ანდრონიკაშვილის ფუნდამენტურ ნაშრომებშია წარმოდგენილი (1, 2). მიუხედავად ზემოთქმულისა, სპარსული და სპარსული გზით შემოსული არაბული ნასესხობები სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით მრავალპლანიან კვლევას საჭიროებენ. გასააზრებელია რა სახის სისტემური კავშირები (იერარქიული, სინონიმური, ანტონიმური, ომონიმური, პოლისემიური) დაუმყარდათ მათ მსესხებელი ენის სხვა ლექსიკურ ერთეულებთან და ერთმანეთთან უკვე ქართულ ნიადაგზე, რამდენად შეიცვალა მათი სემანტიკური მოცულობა და შინაარსი, როგორ გამოიკვეთა დერივაციული პოტენციალი. ამგვარი ფართო მიდგომის ფონზე უფრო მკაფიოდ წარმოჩნდება განსახილველ ნასესხობათა სტატუსი ქართულ ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში.

ნასესხობების დერივაციულ შესაძლებლობათა შესახებ საუბრისას ვგულისხმობთ არა მხოლოდ სიტყვათწარმოებით, არამედ ფრაზეონარმოებით პოტენციალსაც. აქვე დავსძენთ, რომ ხშირად ზმნური ელემენტის შემცველ სახელთა და ზმნურ ფრაზეოლოგიზმთა წარმოება ერთი და იმავე პროცესის ორგვარ სახეობად გვევლინება. ქვემოთაც ჩანს, რომ რიგ შემთხვევებში კომპოზიტი ზმნური ფრაზეოლოგიზმის კერძო შემთხვევა – რთული ზმნის ტრანსფორმია (5; 60).

სპარსულიდან ქართულში შემოსული ფრაზეოლოგიური ნასესხობები სამომავლოდ უსათუოდ უნდა იქცეს განკერძოებული კვლევის საგნად. სადღეისოდ სუსტად შესწავლილ ნასესხობათა ეს ტიპი მონოგრაფიულ შესწავლას იმსახურებს.

წინამდებარე სტატიაში ვეხებით ქართული ფრაზეოლოგიის ერთ ძალზე მცირე სეგმენტს – ძალ-ღონის ქონა-უქონლობის, მისი

გამოლევის აღმნიშვნელ ფრაზეოლოგიზმთა სახელად ნაწილებს, რომლებიც სპარსული წარმომავლობის სიტყვებს ან სპარსულის მეშვეობით შემოსულ არაბიზმებს წარმოადგენენ. ამგვარი სახელადი ნაწილები ნასესხობის სახით შემოსული 6 ლექსიკური ერთეულითაა („არაქათი“, „ილაჯი“, „სიქა“ “(ჰ)ოვსილა||ოვსილა“, „ჯანი“, „თავი“) წარმოდგენილი.

ზემოხსენებული ფრაზეოლოგიზმები ორი ტიპის სინონიმური რიგით დასტურდება, რიგთა შინაარსობრივი განსხვავება ორ სემანტიკურ კომპონენტს ეფუძნება. ერთ შემთხვევაში ესაა სიტუაციური თვისობრიობა, სტატიკურობა („ქონა“ კომპონენტთან რთულ ზმნებთან) და მეორე შემთხვევაში კი, პროცესუალობა და მისით გამოწვეული შედეგი („გამოლევა“, „გამოცლა“, „გაძრობა“, „განყვეტა“, „ამორთმევა“ და სხვ. კომპონენტთან რთულ ზმნებთან).

განსახილველი ნასესხობები წარმოქმნიან სახელადი და ზმნური ნაწილისაგან შემდგარ ორკომპონენტთან რთულ ზმნებს, რომელთაც ი. რუბინჩიკის კვალდაკვალ ზმნურ ფრაზეოლოგიზმთა ნაირსახეობად ვთვლით (6; 120-124). მეორე ინტერპრეტაციით, ამგვარი ზმნები შეიძლება მივაკუთვნოთ მყარ შეზღუდულ შესიტყვებებს (Bound collocations) (7, 41), რომელნიც თავისთავად იდიომურ (ფრაზეოლოგიურ) წრეში მოიაზრება.

ძალ-ღონის უქონლობის, მისი გამოლევის აღმნიშვნელ ზმნათა სპარსულ და არაბულ-სპარსულ სახელადკომპონენტისანი ჯგუფი შემდეგნაირად წარმოგვიდგება: „არაქათი გამოეცალა (გამოელია, გაუნყდა)“, VS „არაქათი აღარ ჰქონდა“, „ილაჯი გაუნყდა (ნაერთვა, ნაუვიდა)“, VS „ილაჯი აღარ ჰქონდა“, „სიქა გამოელია (გამოეცალა, გასძვრა)“ || „სიქა გააცალა (გააგდებინა, გაართვა)“ VS „სიქა აღარ აქვს“; „(ჰ)ოვსილა||ოვსილა გამოეცალა (გაუნყდა)“, VS „ოვსილა||ოვსილა აღარ აქვს“, „ჯანიდან დაიცალა“, VS „ჯანი აღარ აქვს“, „თავი აღარ ჰქონდა (რისამე)“, „ვინ მისცა ბრძოლის თავი“, „სადა აქვს (ჰქონდა) ბრძოლის თავი“¹.

„თავ“-ის შემცველი ზმნური ფრაზეოლოგიზმის გარდა ყველა დანარჩენი მაგალითი ბუნებრივად ტრანსფორმირდება სახელად კომპოზიტად, ანუ ხდება ნიშან-შეტყობინების გარდაქმნა ნიშან-სახელწოდებად (5; 200): „არაქათგამოცლილი||გამოლეული||განყვეტილი||წართმეული“, „ილაჯგამოლეული||ნასული||გაცლი-

¹ ამ მაგალითში „მისცა“ და „აქვს (ჰქონდა)“ კომპონენტისანი რთული ზმნები ღრმა სტრუქტურაში სემანტიკურად ტოლფარდია.

ლი||განყვეტილი", „სიქავამოცლილი", „(3)ოვსილაგანყვეტილი", „ჯანიდან დაცლილი" და ა.შ. იხ. ასევე მოქმედებითი გვარის მიმღობა „ილაჯის გამწყვეტი".¹

ოთხ შემთხვევაში ზემოთ მოტანილ რთულ ზმნათა სახელადი კომპონენტი არაბული წარმომავლობის სიტყვაა, ესენია: არაქათი, ილაჯი, (3)ოვსილა, სიქა. „არაქათ“-ის, „ილაჯ“-ის და ნაწილობრივ „(3)ობსილა“-ს ფონეტიკური ფორმა ქართულში მათი სპარსულის მეშვეობით შემოსვლას გვაფიქრინებს. ამის დასტურად შეიძლება მივუთითოთ თავკიდური h-სა („არაქათ“-ისა და ფაკულტატურად „(3)ოვსილა“-ს შემთხვევაში) და -ის („ილაჯ“-ის მაგალითზე) დაკარგვა. (3; 299-300), (იხ. häřäkät, housile || housele, `eläj.)

ამავდროულად, მაინც ძნელია დაბეჯითებით ამტკიცო ქართულ ლექსიკაში ზემოთ მოტანილი სამი სიტყვის („არაქათი“, „ილაჯი“, „(3)ოვსილა||ობსილა“) უსათუოდ სპარსულის მეშვეობით შემოსვლა, რადგან ქართულისათვის ჰ-ს დაკარგვა როგორც მკვიდრ, ასევე ნასესხებ სიტყვებში თითქმის ყველა პოზიციისთვისაა დამახასიათებელი (3; 300). „ილაჯ||eläj“-ის შემთხვევაში კი „სიქა||sekke“-ს მსგავსად სპარს.ē-||არაბ-ž გადმოცემულია ქართული g-თი და არა f-თი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო სპარსული გზით შემოსვლის შემთხვევაში (3; 309). შდრ. მაგ.: „ეშხი“||„ეშყი“. „სიქას“ შემთხვევაშიც ბუნდოვანია სპარსული მეშვეობა, რადგან აქაც „ილაჯ“-ის მსგავსად სპარს.ქ| არაბ. ž| გადმოცემულია ქართული g-თი და არა f-თი. სიტყვაშიც „(3)ოვსილა||ობსილა“ ფაკულტატური ჰ-ს არსებობის გამო ჭირს განსაზღვრა – უშუალო თუ გაშუალებული გზითაა შემოსული ეს სიტყვა.

აღსანიშნავია ერთი გარემოება – არაბული სიტყვების თუნდაც ის ნაწილი, რომელიც თავდაპირველად ქართულში უშუალოდ არაბულიდან შემოვიდა, მაინც სპარსულ პრიზმაში გარდატეხილად უნდა მივიჩნიოთ, რადგან XI საუკუნის შემდეგ წყდება არაბულ-ქართული სამყაროს უშუალო ენობრივ-ლიტერატურული ურთიერთობა. შემდგომ საუკუნეებში არაბიზმებით ნალექილ სპარსულ ენასთან ქართულის მჭიდრო კონტაქტი მყარ წინაპირობას ქმნიდა სპარსულიდან არაბიზმთა სასესხებლად და ასევე უშუალოდ

¹ როგორც ზმნურ ფრაზეოლოგიზმთა, კერძოდ, როულ ზმნათა, ასევე მათ სახელად შესატყვისთა მაგალითები ამოკრეფილია ქართული ლექსიკონებიდან (10;11;12) და ცოცხალი სასაუბრო მეტყველებიდან, სპარსული და არაბული ეტიმოლოგიები კი, ასევე შეხაბამისი ლექსიკონებიდან (13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20).

არაბულიდან შემოსულ ნასესხობათა ლექსიკურ აქტივში დასარჩენად, კერძოდ მათ ბაზაზე დერივატებისა და ფრაზეოლოგიზმების წარმოსაქმნელად.

საანალიზო 6 ლექსემათაგან ორი ნმინდა ირანული წარმომავლობისაა:

ახ.სპარს. jān-1) „სული, სიცოცხლე (სიკვდილის საპირისპიროდ)“, 2) „არსი, 3) სასაუბრო „ძალა, ღონე, ენერჯია“ <საშ. სპარს. gyān<*ირან. viāna-„სუნთქვა“,

ახ. სპარს. tāv „ძალა, ღონე, ძლიერება, ამტანობა“<საშ. სპარს.tav<ძვ. სპარს. tāv `ძლიერება“.

ქართულ სალექსიკონო განმარტებებში (10;11;12.) ექვსივე რთული ზმნის სახელადი ნაწილი გარდა „თავ“-ისა განიმარტება, როგორც „ძალა“ ან „ძალ-ღონე, ღონე“.

ზემოთ მოტანილი არაბულ-სპარსული წარმომავლობის სიტყვები ერთმანეთის მეშვეობითაც, სინონიმური წესითაა ხოლმე განმარტებული:

„ილაჯი“ – „ღონე, ძალა, არაქათი“ (10).

„სიქა“ – „ძალ-ღონე, გამძლეობა, არაქათი, ილაჯი“ (10).

ამგვარად, „არაქათი“, „ილაჯი“ და „სიქა“ ქმნიან სინონიმურ ტრიადას, როგორც სრულიად ურთიერთჩანაცვლებადი სიტყვები.

„(ჰ)ოვსილა||ობსილა“ ერთგან (11) მოცემულია „(ჰ)ოვსილა“ ფორმით და განმარტებულია როგორც „ძალა“, მეორეგან კი (10) ეს სიტყვა დასტურდება „ოვსილა“-ს სახით და სტილისტური თვალსაზრისით მარკირებულია როგორც არქაული და ასევე სასაუბრო სტილის ლექსიკური ერთეული. სადღეისოდ ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში „(ჰ)ოვსილა“ გვხვდება სახეცვლილი ფონეტიკური ფორმით „ობსილა“, ჩანაცვლებულია ასევე მისი სტილისტური მარკერი – თანამედროვე მეტყველებაში არცთუ ხშირად ხმარებული „ობსილა“, გამოკითხულ ინფორმანტთა პასუხების მიხედვით, არის არა მოძველებულ-სასაუბრო, არამედ ჟარგონულ-სასაუბრო დატვირთვის სიტყვა.

„ოვსილა“-ს სინონიმად „ძალ“-ისა და „ღონ“-ის პარალელურად წარმოდგენილია ასევე არაბულ-სპარსული წარმომავლობის სიტყვა „ნიათი“ (10). სპარსულშიც და არაბულშიც „niyyāt“ ნიშნავს „განზრახვა“-ს, „მიზან“-ს, „ჩანაფიქრ“-ს. ქართულში „ნიათი“ ძალზე იშვიათად გვხვდება დამოუკიდებლად, ამავდროულად ის არ

¹ სტატიაში განხილულ ყველა ლექსიკურ თუ ფრაზეოლოგიურ ერთეულთან დაკავშირებით გამოკითხულია განათლების მაღალი ცენზის მქონე 25 ინფორმანტი.

წარმოქმნის ზმნურ ფრაზეოლოგიზმს და მის დერივატივად მხოლოდ ცირკუმფიქს „უ-ო“-თი ნაწარმოები ზედსართავი „უნიათო“, ანუ „უმაქნისი, უღონო, უძლური“ გვევლინება (10, 11). ზემოჩამოთვლილ ლექსემათა ბაზაზე „უ-ო“ და „უ-ობა“ ცირკუმფიქსებით ნაწარმოებ ზედსართავთა და არსებითთაგან „უილაჯო||უილაჯობა“ და „უჯანო||უჯანობა“ არის დადასტურებული.

პოლისემიური „ჯანი“- 1. „ღონე“, „ძალა“, 2. „ჯანმრთელობა“ (10; 12) პირველი სიტყვათმნიშვნელობის გაგებით მხოლოდ „ღონე“-ისა და „ძალ“-ის მეშვეობით განიმარტება და მის სინონიმად არც ლექსიკონებსა და არც ცოცხალ სასაუბრო გარემოში არ გვხვდება „არაქათი“, „ილაჯი“, „სიქა“ და „(ჰ)ოვსილა||ობსილა“.

საკვლევ სიტყვათა სემანტიკური სტრუქტურის დიფერენცირებულად აღწერისათვის საჭიროა სრულყოფილი კომპონენტური ანალიზის ჩატარება ინფორმანტთა უფრო დიდი რაოდენობისა და თვისობრივად მრავალფეროვანი ჯგუფის მოხმობით. ხელთ არსებული მონაცემების თანახმად, „არაქათი“, „ილაჯი“, „სიქა“ და „(ჰ)ოვსილა||ობსილა“ სემანტიკურ კომპონენტ „ძალას“-თან, „შეძლებას“-თან ერთად მოიცავს როგორც ფიზიკური, ასევე ემოციური ძალ-ღონის, მზადყოფნის სემებს, ანუ ერთდროულად იგულისხმება ფიზიკური და ემოციური შეძლება. რაც შეეხება „ჯან“-ს, ის მხოლოდ ფიზიკურ ძალ-ღონესთანაა მიმართებაში, ყოველი შემთხვევისათვის ემოციური მხარე ნაკლებად იგულისხმება.

მიუხედავად იმისა, რომ „ჯან“-ის მსგავსად ცალკე აღებული „(ჰ)ოვსილა||ობსილა“-ც არ განიმარტება ლექსიკონებში „არაქათი“-ის, „ილაჯ“-ისა და „სიქა“-ს მეშვეობით, სამივე ეს სიტყვა თავისუფლად შეიძლება ჩაენაცვლოს „(ჰ)ოვსილა||ობსილა“-ს, რაც საკმაოდ ნაკლებადაა სავარაუდო „ჯან“-თან მიმართებაში. „(ჰ)ოვსილა||ობსილა“-ს სინონიმურ მიმართებას ტრიადასთან „არაქათი-ილაჯი-სიქა“ ადასტურებს სახელადი დერივატის სალექსიკონო განმარტება: „(ჰ)ოვსილაგანყვეტილი“ - „დაღლილი“ (10), რაც სინონიმია „არაქათი||ილაჯი||სიქაგანყვეტილი“-სა, ასევე ჩანაცვლებადია „ობსილა არა მაქვს“ და „არაქათი||ილაჯი||სიქა არა მაქვს“, ამ ფრაზეოლოგიზმთა სინონიმად შეიძლება გამოვიყენოთ „თავი არა მაქვს“.

თუ „(ჰ)ოვსილა||ობსილა“-ს სინონიმური სამეულისაგან „არაქათი“, - „ილაჯი“, - „სიქა“ მხოლოდ სტილისტური მარკერი განასხვავებს (უნინ - არქაულ-სასაუბრო, ამჟამად კი, უარგონულ-სასაუბრო მარკერი), „ჯანი“ ზემოთ მოყვანილი ოთხივე სიტყვი-

საგან სემანტიკური ნიუანსით – ფიზიკურ და არაემოციურ მდგომარეობასთან მიმართებით განირჩევა.

საანალიზო სიტყვათაგან ლექსიკონში (10) მხოლოდ „(ჰ)ოვსილა“ არის სტილისტურად მარკირებული, თუმცა ინფორმანტები „არაქათ“-ს, „ილაჯ“-ს, „სიქა“-სა და „ჯანი“-საც არ აღიქვამენ სტილისტურად ნეიტრალურ სიტყვებად, ანიჭებენ რა მათ მცირეოდენი არქაულობის ხარისხს, ამავდროულად, მათთვის ამ სიტყვათა გამოყენების წრე ქართლური და კახური დიალექტებითაა შემოფარგლული.

დომინანტური სემანტიკური კომპონენტით, ანუ ჰიპერსემით „ძალ-ლონე“ გაერთიანებული სიტყვათა რიგი „არაქათი-ილაჯი-სიქა-(ჰ)ოვსილა-ჯანი“ ქმნის სინონიმურ მწკრივს, სადაც პირველი სამი ერთეული წარმოგვიდგენს აბსოლუტური სინონიმის სურათს, რაც საკმაოდ იშვიათი მოვლენაა ბუნებრივ ენათათვის (8;61). პირველ სამ ელემენტს აზრობრივად უტოლდება სტილისტურად შეფერილი „(ჰ)ოვსილა|ობსილა“. „ჯანი“ ახლო მდგომი სინონიმია (near synonym, 8: 60) მწკრივის დანარჩენ წევრთათვის.

„არაქათი-ილაჯი-სიქა-(ჰ)ოვსილა“-ს სინონიმურობა (აბსოლუტური პირველი სამი სიტყვის შემთხვევაში) ჩანს მყარ შესიტყვებათა დონეზეც. ამ ლექსიკურ ერთეულთა ბაზაზე წარმოქმნილ რთულ ზმნათა პრაქტიკულად აბსოლუტურ სინონიმურობას ადასტურებს ზმნურ კომპონენტთა სრული იგივეობა და ურთიერთჩანაცვლება: „არაქათი||ილაჯი||სიქა||(ჰ)ოვსილა(ობსილა) (აღ)არ აქვს“ და „არაქათი||ილაჯი||სიქა||(ჰ)ოვსილა(ობსილა) გამოეცალა, გამოეულია, გაუნყდა, გასძვრა, წაერთვა“ (იხ. ასევე ამ ზმნათა მოქმედებითი გვარის შესატყვისები „არაქათი||ილაჯი||სიქა||(ჰ)ოვსილა(ობსილა) გამოეცალა, გამოეულია, გაუნყვიტა, გააძრო, წაართვა“).

საკუთრივ სპარსულში ზემოხსენებული 5 ლექსემის ეტიმონებს შორის სინონიმია არ დასტურდება. იხ. სხვადასხვა ლექსიკონებიდან (14,16,17,18,19,20) ამოკრეფილი სპარსულ ანბანურ რიგზე განყოფილი დეფინიციები:

jän – 1) „სული, სიცოცხლე (სიკვდილის საპირისპიროდ)“, jän o(vä) bädäin „სული და ხორცი, სული და სხეული“; 2) „არსი“;

¹ ასეთივე სურათი გვაქვს არაბულშიც, „არაქათ“-ის, „ილაჯ“-ის, „სიქა“-სა და „(ჰ)ოვსილა(ობსილა)“-ს ეტიმონები არ წარმოადგენენ ერთმანეთის სინონიმებს (13).

3) სასაუბრო „ძალა, ენერგია“,¹ (dʰst-ჰს jün nǐdārǎd „სუსტი, უძლური ხელები აქვს“); 4) საალერსო მიმართვა „ძვირფასო, საყვარელო“ (მდრ. ქართ. „დედიჯან“, „მამიჯან“).

(hǎrǎkǎt მრავლ. hǎrǎkǎt) – 1) „მოდრობა, გადაადგილება; 2) „სვლა“; 3) „გამურება“; 4) „მოქმედება“; 5) „მანერა, ყესტი“; 6) ლინგვ. ტერმინი „გახმოვანება“.

housǎle||housele I, „მოთმინება, ამტანობა, გამძლეობა, თავშეკავება“. sekke – 1) „მონეტა, ლითონის ფული“, 2) არქაიზმი „ბექედი, დამლა“, 3) არქაიზმი „ზნე, ხასიათი, ბუნება“, 4) სასაუბრო „ბრწყინვალეობა, ნათება, სილამაზე“, 5) არქაიზმი „ნესი, განრიგი“. elǎj – 1) „მკურნალობა, განკურნება“, 2) „გამოსწორება, მოშორება (სიძნელეების ნაკლოვანების)“; 3) „წამალი“; 4) „გამოსავალი, საშუალება, ხსნა“.

სპარსულ სალექსიკონო განმარტებათა მიხედვით, ეტიმონთაგან ყველაზე დიდ სიახლოვეს ქართულ შესატყვისებთან housǎle||housele და jün ამჟღავნებს. როგორც უკვე მივეუთითეთ, ქართული „ჯან“-ის მნიშვნელობა „ღონე, ძალა“ ეფუძნება პოლისემანტ ქი-ის სასაუბრო სტილით მარკირებულ სიტყვათმნიშვნელობას „ძალა, ენერგია“. „(ჰ)ოვსილა||ობსილა“-ს შინაარსიც „ძალა, ღონე“ ზუსტად არ შეესატყვისება სპარსულ housǎle||housele „მოთმინება, ამტანობა, გამძლეობა, თავშეკავება“-ს, მაგრამ ძალზე ახლოს დგას მასთან. სპარსულში ასევე დასტურდება ქართული ფრაზეოლოგიზმის (რთული ზმნის) „(ჰ)ოვსილა||ობსილა არა აქვს“ – „ძალა, ღონე არა აქვს“ შინაარსობრივად ახლო მდგომი, მაგრამ არა ტოლფარდი სპარსული რთული ზმნა housǎle dǎštǎn- „მოთმინების, გამძლეობის ქონა“. ფრაზეოლოგიური ნასესხობა „(ჰ)ოვსილა||ობსილა არა აქვს“. ეტიმონ housǎle dǎštǎn-ის სტრუქტურული კალკია (სპარს. dǎštǎn-„ქონა, ყოლა“).

ინფორმანტები ფრაზეოლოგიზმს „ობსილა არა აქვს“ რუსიზმად აღიქვამენ, რადგან ბგერათკომპლექსი „სილა“ მათთვის ასოცირებულია რუსულ „сила-თან“ „ძალა, ღონე“. სამი ინფორმანტი „ობსილა“-ს განმარტავს, როგორც „силовная сила-ს“ („თავდაცვითი ძალა“) აბრევიატურას. „ობსილა“-ს ზეპირი ინტერპრეტაციის მაგალითი ნათლად აჩვენებს ხალხური ეტიმოლოგიების ასოციაციებით (ამ შემთხვევაში, ბგერითი ასოციაციებით) განპირობებულობას.

¹ როგორც ჩანს ქართული „ჯანი“ ამ მნიშვნელობას ეფუძნება.

პოლისემიური *h̄ir̄ik̄k̄* „sekke, el̄aj“-ის ის სიტყვათმნიშვნელობები, რომლებიც საფუძვლად უდევს შესაბამის ქართულ ნასესხობებს, სემანტიკური მოცულობის შეუცვლელადაა (მნიშვნელობის გაფართოებისა და დავინროების გარეშე) გადააზრებული. ეს გადააზრებები ასოციაციურ მიმართებებს ეფუძნება, ასე მაგალითად, „არაქათ“-ში, როგორც ჩანს, გადააზრებულია *h̄ir̄ik̄k̄*-ის ძირეული მნიშვნელობები „მოძრაობა, სვლა“, რადგან მოძრაობისა და სვლის უნარი ძალ-ღონის ქონასთანაა ასოცირებული, ეს კარგად ჩანს ქართულ ფრაზეოლოგიზმში „ველარ ვინძრევი“, ანუ „არაფრის ძალა (თავი) აღარ მაქვს“.

ქართულ „ილაჯ“-ს *el̄aj*-ის ის მნიშვნელობა უნდა ედოს საფუძვლად, რომელიც „საშუალება“-ს ნიშნავს, რადგან „ძალა“, „ძალ-ღონე“ და „საშუალება“ ასოცირებულია „უნარ“-თან.

„სიქა“-ს აქვს სადღეისოდ მივიწყებული მნიშვნელობაც, რომელიც ზუსტად შეესაბამება „sekke“-ს არქაულ ლექსიკურ-სემანტიკურ ვარიანტს „ბეჭედი, დამლა“, იხ. რუსთაველთან „კვლას უცხო ფერთა ჭურჭელთა სხდის უცხო-უცხო სიქები“. „sekke“-ს არაბულ ეტიმონს არა აქვს „ბეჭდის, დამლის“ მნიშვნელობა, ის განიმარტება, როგორც 1) „მონეტა“, 2) „გზა“, 3) „ქუჩა“ (13). ეს ფაქტი ქართულში „სიქა“-ს სპარსული მეშვეობით შემოსვლის ვარაუდს აძლიერებს. ამ სიტყვის ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობა „ძალ-ღონე, არაქათი“ უნდა ეფუძნებოდეს „sekke“-ს ძირითად ლექსიკურ ვარიანტს „მონეტა“. შესაძლებელია, ძალ-ღონისა და მონეტის ერთმანეთთან ასოცირება სიმტკიცის, გამძლეობის თვისობრივი მახასიათებლით მოხდეს.

საზოგადოდ, ენობრივი სესხების პროცესში ასოციაციურ მიმართებებზე დაფუძნებული სემანტიკური გადააზრების შესწავლა იდიომთა (ფრაზეოლოგიზმთა) ანალიზის იგივეობრივად გვესახება, რამდენადაც იდიომატიზაციის (ფრაზეოლოგიზაციის) პროცესი ასევე ასოციაციური მიმართებითაა განპირობებული. სწორედ ასოციაციური მიმართებებია ფრაზეოლოგიზმთა ღრმა სემანტიკური ანალიზის სირთულის მიზეზი. ენათმეცნიერთა აღიარებით, პრობლემის არაცალსახოვნებისა და ბუნდოვანების გამო იდიომთა (ფრაზეოლოგიზმთა) შინაარსობრივ ანალიზს გვერდს უვლიან სემანტიკური ხასიათის ნაშრომებშიც კი (9; 209). ვფიქრობთ, ასეთივე ბუნდოვანება ახლავს პოლისემიზაციისა და ენობრივი სესხების იმგვარ პროცესს, როცა ხდება მნიშვნელობის გადააზრება სემანტიკური მოცულობის შეუცვლელად. ეს ვითარება ნასესხობათა

სემანტიკური ადაპტაციის პოლისემიურობასა და იდიომატურობასთან ურთიერთკავშირში შესწავლის საჭიროებას გვკარნახობს.

ცალკეული განხილვის საგანია ფრაზეოლოგიზმი „თავი არ აქვს“, რომელიც სპარსული რთული ზმნის სტრუქტურულ-სემანტიკური კალკია. სპარსული *tāv||tāb dāštān* განიმარტება როგორც „ძალ-ლონის ქონა, თავის ქონა“ (15,17,18). მიუხედავად ამგვარი გამჭირვალობისა, ფრაზეოლოგიზმს „თავი არა აქვს“. ლექსიკოგრაფებიცა და ირანისტებიც კი სომატიზმ „თავ“-ით მოტივირებულად მიიჩნევენ. შესაბამისად, ეს ფრაზეოლოგიზმი სომატიზმ „თავ“-ის სალექსიკონო ბუდეშია შეტანილი (10,11). საანალიზო ფრაზეოლოგიზმი უფრო ემოციურ, ვიდრე ფიზიკურ ულონობას გულისხმობს, ინფორმანტებიც შემდეგნაირად განმარტავენ ამ იდიომის მათეულ მოტივაციას: „თავი ტვინის სინონიმია, ემოციურ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობა კი ტვინს აკისრია“. რეალურად საქმე გვაქვს სპარსული „*tāv||tāb*“-იდან („ძალა, ღონე, შეძლება, გამძლეობა“) მომდინარე ნასესხობის ომონიმიზაციასთან. ეს ნასესხობა გაიგივდა ადამიანის სხეულის ნაწილის ქართულ სახელწოდებასთან. ამ გაიგივებას შესაძლებელია ხელი შეუწყო ასევე სომატიზმით მოტივირებული ფრაზეოლოგიზმის „გული არა მაქვს“ (ე.ი. „ხალისი არა მაქვს“) არსებობამაც. ნასესხობა „თავ“-ი დამოუკიდებლად არ გვხვდება, იგი მხოლოდ ხსენებულ ფრაზეოლოგიზმშია დადასტურებული.

იმ ფაქტს, რომ ფრაზეოლოგიზმს „თავი არა აქვს“ ირანისტებიცა და ლექსიკოგრაფებიც სპარსიზმად ვერ აცნობიერებენ, შემდეგი მიზეზი აქვს – *tāv||tāb* სპარსულში ორი ფონეტიკური ფორმითაა დადასტურებული, ამათგან *tāv* ძალზე იშვიათად გვხვდება, მაგალითად, ეს ფორმა არ მოიძიება რუბინჩიკისა და მოინის ლექსიკონებში, გაფაროვთან, ანვარისთან და ამიდთან კი *tāv*-ფორმა წარმოდგენილია, როგორც *tāb*-ის პარალელური ვარიანტი. შესაბამისი რთული ზმნის *tāv||tāb dāštān*-ის საილუსტრაციო მაგალითებში *tāb* ფორმად დადასტურებული.

„*tāb-e moqāvevāt nādarām*“ – „წინააღმდეგობის თავი არა მაქვს, წინააღმდეგობის ძალა არ შემწევს“ (17).

„*to tāb vā tābūmol-e āu gārmā vā sārmā dāri?* – „გაქვს იმ სიცხისა და სიცივის თავი (გაძლება, ატანა)?“ (16).

„*tāv*“ ფორმა, როგორც საკვლევე რთული ზმნის სახელადი ნაწილი, მოვიძიეთ ფირდოუსისთან, „შაჰ-ნამე“-ს ერთ-ერთ თავში „ზაალის მისვლა ქაბულელ მერაბთან“. ამ მაგალითში ზმნური კომპონენტი

„dāštān“ - „ქონა, ყოლა“ ჩანაცვლებულია ზმნა budān-ით („ყოფნა“): „hāmi dād hār sāl bā sām-e sāv ke bā vei be rāzū-āš nābud (h)ic tāv“ (4;34), „ყოველწლიურად ხარკს აძლევდა საამს საავისას, რადგან არ იყო არანაირად თავი (ძალა) „მასთან ბრძოლისა“.

მოყვანილი მაგალითებით ჩანს, რომ lāv||tāš dāštān მისი ქართული ეკვივალენტის მსგავსად მეტნილად უარყოფით და კითხვით წინადადებებში გვხვდება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სომატიზმ „თავ“-ის ომონიმი დამოუკიდებელი სახით არ დასტურდება, ამასთანავე იგი სინონიმური მწკრივის სხვა წევრებისაგან განსხვავებით პრაქტიკულად არ წარმოქმნის მყარ შესიტყვებებს სხვა ზმნების („გამოეცალა“, „გამოელია“, „გაუნყდა“, „გასძვრა“...) საშუალებით. ერთადერთი ზმნა „მიცემა“ დასტურდება „თავ“ ნასესხობასთან „ქონ“-ის („აქეს“, „ჰქონდა“) პარალელურად, როგორც მისი აქტიური ეკვივალენტი: „ვინ მისცა ამის თავი (ძალა)?“.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილი სპარსულ და არაბულ-სპარსულ ნასესხობათა ანალიზის ფონზე შემდეგი სურათი იკვეთება: განხილულმა ექვსმა ნასესხობამ „არაქათი||ილაჯი||სიქა||(ჰ)ოვსილა(ობსილა)||ჯანი||თავი“ ქართულში შეადგინა სინონიმური რიგი, გაერთიანებული ჰიპერსემით „ძალ-ლონე, შეძლება“. ამ ნასესხობების ეტიმონთაგან სპარსულში მხოლოდ სამს აქვს ერთმანეთთან არააბსოლუტური ხასიათის სინონიმური ურთიერთობა (housāle|| jān „ძალის, ენერჯის“ მნიშვნელობით || lāv||tāš). ვფიქრობთ, ის ფაქტი, რომ მსესხებელ ენაში ნასესხობები ერთმანეთთან ამყარებენ ისეთი სახის სისტემურ (აქ: სინონიმურ) კავშირებს, რომელთა ანალოგი მათ ეტიმონებს შორის არ დასტურდება, მიგვითითებს ნასესხობათა მთელი კორპუსის სტრუქტურულ-სემანტიკური, სისტემური (იგულისხმება იერარქიული, სინონიმურ-ანტონიმური, პოლისემიური, ომონიმური ურთიერთობები, სიტყვათ-და ფრაზეონარმოებითი პოტენციალი) თვალსაზრისით შესწავლის აუცილობლობაზე.

საკვლევი სინონიმური მწკრივის სამი წევრი („არაქათი“, „ილაჯი“, „სიქა“) აბსოლუტურ სინონიმებს წარმოადგენენ, შინაარსობრივად მათთან ყველაზე ახლო მდგომ „(ჰ)ოვსილა||ობსილა“-ს განასხვავებს სტილისტური შეფერილობა. სწორედ ამ ოთხი ნასესხობის ეტიმონებს შორის არ დასტურდება სპარსულში სინონიმია. ქართულ ნიადაგზე დამყარებული სინონიმური ურთიერთობები

განპირობებულია ცალკეულ სიტყვათმნიშვნელობათა ასოციაციურ მიმართებებზე დაფუძნებული სემანტიკური გადააზრებით.

მიახლოებითი სინონიმები „ჯანი“ და „თავი“ განირჩევა ფიზიკური („ჯანი“) და ემოციური („თავი“) ლონე-ულონობის სემანტიკური კომპონენტებით.

მოხდა [äy|täb-იდან მომდინარე ნასესხობის ომონიმიზაცია ქართულ სომატიზმ „თავ“-თან მიმართებაში. ამის შედეგია ხსენებული ნასესხობის შეზღუდული ვალენტობა, კერძოდ მისი არსებობა მხოლოდ – „თავი აქვს“, „ვინ მისცა თავი“ ფრაზეოლოგიზმთა სახელადი კომპონენტის ფორმით და მისი გაიგივება სომატიზმთან სპეციალისტთა მიერაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ გაიგივებას ქართული „თავ“-ის პოლისემიურობამ, უფრო ზუსტად „ტვინ“-ის სინონიმურმა მნიშვნელობამაც შეუწყო ხელი, რადგან ენის მატარებელთა მიერ ტვინი მოიაზრება გონებრივ-ემოციურ მდგომარეობაზე პასუხისმგებელ ორგანოდ.

„(ჰ)ოვსილა||ობსილა“-ს წარმომავლობა ადვილი საცნობია ირანისტებისა და არაბისტებისათვის, მაგრამ ენის სხვა მატარებლები ამ სიტყვას რუსიზმად აღიქვამენ „სილა“ ბგერათკომპლექსის რუსულ „сйла“-სთან გაიგივების გამო.

ექვსივე ნასესხობა ფრაზეოლოგიზმთა კერძო სახეობის – რთულ ზმნათა მამოტივირებელ ელემენტად გვევლინება. ექვსივე შემთხვევაში რთულ ზმნათა ერთი რიგის ზმნურ კომპონენტად დასტურდება „ქონა“. ორი ფრაზეოლოგიზმი „(ჰ)ოვსილა||ობსილა არა აქვს“ და „თავი არა აქვს“ სპარსულ ეტიმონთა პირველ შემთხვევაში სტრუქტურული, მეორეში კი სტრუქტურულ-სემანტიკური კალკია.

„თავ“-ის გარდა ყველა საანალიზო ნასესხობა საკუთრივ ქართულ ნიადაგზე წარმოქმნის ზმნურ ფრაზეოლოგიზმთა მეორე რიგს და შესაბამის კომპოზიტებს სხვადასხვა ზმნების („განყდომა“, „გამოლევა“, „გაძრობა“, „გართმევა“...) გამოყენებით მაკომპონირებელ ელემენტებად.

ვფიქრობთ, წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილი მცირე მასალის ანალიზიც კი ნათელყოფს ქართულ ლექსიკაში შემოსული სპარსულ და არაბულ-სპარსულ ნასესხობათა სისტემური თვალსაზრისით, სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლების მიხედვით კვლევის აქტუალობას.

გამოყენებული ლიტერატურა და ლექსიკონები

1. ანდრონიკაშვილი მ. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ.1 თბ., 1966.
2. ანდრონიკაშვილი მ. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ.2 თბ., 1996.
3. ანდრონიკაშვილი მ. არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში თსუ-ის შრომები, ტ.105. 1965.
4. კობიძე დ. სპარსული ქრესტომათია ტ.1 თბ., 1981.
5. Кубрякова Е.С. Титы языковых значений. Семантика производного слова. М., 1981.
6. Рубинчик Ю.А. Основы фразеологии персидского языка. М., 1981.
7. Cruce D.A. Lexical Semantics, Cambridge. 2000.
8. Lyons G. Linguistic Semantics, University of Pennsylvania. Press 1995
9. Weinreich U On Semantics. University of Pennsylvania. Press 1980.
10. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, თბ., 1950-1964.
11. ნეიმანი ალ. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. თბ., 1978.
12. სახოკია თ. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბ., 1950-1955.
13. Баранов Х.К. Арабско-русский словарь. М., 1977.
14. Гаффаров М.Г. Персидско-русский словарь. (т. 1-2). М., 1974.
15. Персидско-русский словарь. (под ред. Ю.А Рубинчика (т. 1-2) М., 1985.
16. ašār s. , hākāmi n., hākāmi n., fārhāng-e mo'āser-e fārsi, Tehrān 2004.
17. ānvārī h. fārhāng-e fešorde-ze soxān (j. 1-2) Tehrān 2003.
18. fārhāng-e āmid, Tehrān 1997.
19. mo in M. fārhāng-e fārsi, (j. 1-6) Tehrān 1998.
20. ašāfī n. fārhāng-e fārsi – ye amiyāne (j. 1-2) Tehrān 1999.

FATIANTADZE

On the Synonymy and Homonymy of Borrowings (On the material of Persian-Georgian language contacts)

Summary

The given paper deals with six borrowings from Persian into Georgian ('არაქატი,' 'ილაჯი,' '(3)ოფსილა/ობსილა,' 'სიქა,' 'ჯანი,' 'თავი'). Out of these, only two words ('ჯანი' and 'თავი') are of Iranian origin, the remaining four are Arabisms, which, assumedly, penetrated into Georgian via Persian.

The borrowings under research create a set of synonyms in Georgian, i.e. they have a common dominant semantic component 'strength, power, ability.' It should be mentioned that in Persian only three of these etymons are characterized by near-synonymy: 'tāv/tāb' (power, ability), 'housāle/housele' (power, ability, patience, endurance) and polysemantic 'jān' meaning 'strength, energy.'

Three members of the studied synonymous chunk – 'არაქატი,' 'ილაჯი,' 'სიქა' are absolutely interchangeable, whereas '(ჰ)ოვ-სილა/ობსილა,' bearing equal meaning to the rest, is stylistically marked.

Near-synonyms 'ჯანი' and 'თავი' (borrowed from Persian 'tāv/tāb' and homonymous to 'თავი' (head), denoting the part of the body in Georgian) should be distinguished by semantic components of physical strength ('ჯანი') and emotional power ('თავი').

The synonymous relationships between the borrowings under study, based on Georgian grounds, are determined by semantic changes of the meanings of these Persian words. These changes in meaning are based on associative relations.

The studied borrowings generate two chunks of particular types of phraseological units. The verbal component of one of these chunks is 'Have' ('ქონა') for all the six lexemes. The second chunk is generated with verbs like 'გამოღევა,' 'გამოცლა' 'განყდომა,' 'გადზრობა' and the like (common meaning 'to exhaust,' 'to emaciate'). The verbal components of the second chunk are not met with 'თავ,' probably due to its homonymy.

For homonymy reasons, in the complex verb 'თავი არა აქვს,' 'თავ' is viewed as a somatism, even by lexicographers. This is added by one of the meanings of the somatism 'თავი,' which is synonymous to 'ტვინი' ('brain'). Native speakers view „ტვინი' as an organ, responsible for emotional state. '(ჰ)ოვსილა/ობსილა' is considered of Russian origin by the informants, as «Сила» in Russian means 'power, strength, ability.'

Even the analysis of this brief material has proved the relevance of the research of structural and semantic features of Persian and Arabic-Persian borrowings from the systemic point of view.

ნომადი ბართაია

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან

ა ბ ჯ ა რ ი თ უ ა ვ შ ა რ ი ?

ჩვენი ყურადღება მიიპყრო „ვეფხისტყაოსნის“ 85-ე სტროფის მესამე ტაეპის სიტყვამ ა ბ ჯ ა რ ი, აი, ისიც:

„ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი ლ ა გ ა მ - ა ბ ჯ ა რ - უ ნ ა გ ი რ ს ა .
ცრმელსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდულრად ანატირსა (1.85).

როგორც ტექსტიდან ჩანს, მარგალიტი ესხა ლ ა გ ა მ ს , ა ბ ჯ ა რ ს ა და უ ნ ა გ ი რ ს ა .

აღნიშნული სამივე ლექსიკური ერთეული ცნობილია ქართულ ენაში, მათი მნიშვნელობებია:

ლ ა გ ა მ ი – აღვირის ნანილი. ცხენის პირში ამოსადგამი რკინა, შუაზე სახსრიანი.

ა ბ ჯ ა რ ი – სამხედრო საჭურველი, იარაღი (ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანში“ ოცდაცამეტჯერ გვხვდება ნ. ბ.).

უ ნ ა გ ი რ ი – მხედრის დასაჯდომი მონყობილობა, ცხენის ზურგზე დასადგმელი (2).

ცხენის მოკაზმულობის აღწერისას ჩვენი ეჭვი დაბადა ერთ სემანტიკურ რიგში, ლაგამსა და უნაგირს შორის სამხედრო საჭურველის – ა ბ ჯ ა რ ი ს მოხვედრამ.

მაშ რა შეიძლება იყოს ტექსტში ა ბ ჯ რ ი ს ნაცვლად? შევეცდებით გავცეთ პასუხი:

ქართულ ენაში არის ლექსიკური ერთეული – ა ვ შ ა რ ა , რომელიც სპარსულიდან ჩანს შემოსული اسف /აფსარ/ ა ვ შ ა რ ა (3).

მზია ანდრონიკაშვილის აზრით, შესაძლოა, „ქართული ა ვ შ ა რ ა იყოს შედეგი კონტამინაციისა ორ სიტყვას შორის: *afsār* და *efšorāh*, რომლებიც ქართულში მოგვეცემდნენ ა ვ ს ა რ ს ა და ე ე შ ო რ ა ს ერთი და იმავე მნიშვნელობით – „აღვირი“, „ჭიმი“; – ა ვ ს ა რ + ე ე შ ო რ ა = ა ვ შ ა რ ა . საინტერესოა, რომ სპარსული კომპლექსების *af* და *afš* ქართულში გადმოცემა ვს და ვშ-თი, უფრო გავრცელებულია ვს-ს, და ფშ-ს სანაცვლოდ“ (4, 59).

ავშარა ქართულ ლიტერატურაში მეთერთმეტე საუკუნიდან დასტურდება:

„უპყრია ავშარასა და ზიდვიდა მას სელად“ (5).

„რა ერთხელ დიაცისაგან ნებას აიღებ, პირს ავშარა ამოდებულსა დაამსგავსებ“ (6,79).

ასევე დასტურდება ეს სიტყვა აღორძინების ხანის ლიტერატურაში (XVI-XVIII სს.):

„ხოსროს უჭირავს ზეალებით ხელი და ავშარას უჩვენებს ცხენსა“ (7,282).

„ესეც მზითვად გააჭენეს, პირს აუდეეს გულ-ავშრები“ (8,269).

„ჯორმან ავშარა ნაიყარა და აეშვა“ (9,75).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ავშარა არის აღვირი, რომელიც განმარტებულია ასე: – მონყობილობა ცხენის სამართავი – ცხენის ჩამოსაცმელი და ხელში დასაჭერი თასმები (ლაგამითურთ) (2).

თუ კონტექსტში აბჯარის ნაცვლად ჩავსვამთ ავშარს მივიღებთ ერთი სემანტიკური რიგით გადმოცემულ ცხენის მოკაზმულობის სრულ სურათს – ლაგამ-ავშარ-უნაგირს.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთ ხელნაწერში აბჯარის ნაცვლად იკითხება აბჟანდი (1,26).

აბჟანდი კი არის უნაგირის ფეხის შესადგმელი ნაწილი – უზანგი (2).

არის ხელნაწერთა ჯგუფი, სადაც არც აბჯარი და არც აბჟანდია დადასტურებული და იკითხება – „ლაგამსა და ჰუნეგირსა“ (1,26).

აბჯარი უფრო იმ სტროფში იყო მოსალოდნელი, სადაც აღწერილია უცხო მოყმის – ტარიელის გარეგნობა. იქ კი ასეთი სურათია:

„მას ტანსა კაბა ემოსა, გარე-თმა ვეფხის ტყავისა,
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა,
ხელთა ნაჭედი მათრახი ჰქონდა უსხოსი მკლავისა.
ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა“ (1,86).

როგორც ვხედავთ, რუსთველი გვიხატავს ვეფხის ტყავით შემოსილ ველად გაჭრილ მიჯნურს და არა აბჯარას ხმულ მეომარს.

ჩვენ დავინტერესდით, იყო თუ არა ქართულში შეწყვილება „ლაგამ-ავშარ“, მაგრამ მას ვერ მივაკვლიეთ, სამაგიეროდ, როგორც ზემოთ ვნახეთ, არსებობს შეწყვილება „ლაგამ-უნაგირი“ („ლაგამსა და ჰუნეგირსა“).

მართალია, ავშარს პოემის არც ერთი ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერი არ უჭერს მხარს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი რომელიმე ხელნაწერში არ არსებულებო. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები ხომ მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნიდან, თანაც არასრული სახით აღწევს ჩვენამდე.

ამგვარად, ვინაიდან ავშარ-ი უფრო ბუნებრივად გამოიყურება სიტყვათა მოცემულ სემანტიკურ რიგში, ვიდრე აბჯარი, ვფიქრობთ, ტექსტიც ასე უნდა გასწორდეს:

შორად ესხა მარგალიტი ლაგამ-ავშარ-უნაგირსა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შ. რუსთველი, „ვეფხისტყაოსანი“, ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1966.
2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1950-1964.
3. Персидско-русский словарь, под редакцией Ю. А. Рубинчика, Москва, 1983.
4. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, ტ. II, ნაწილი პირველი, თბილისი, 1966.
5. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექციის ხელნაწერი – ტკ. 21,30რ,21, XI ს.
6. „ეისრამიანი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს აღექსანდრე გვახარიამ და მაგალი თოდუამ, თბილისი, 1967.
7. „რუსუდანანი“, ილ. აბულაძის და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ივ. გიგინეიშვილმა, თბილისი, 1957.
8. „შაჰ-ნამე“ ანუ „მეფეთა წიგნის“ ქართული ვერსიები, ტ. I, იუსტ აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1916.
9. ს. ს. ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, ქართული პროზა, წიგნი V, თბილისი, 1983.

A b j a r (a r m o u r) o r A v s h a r (b r i d l e) ?

Summary

The word **a b j a r (a r m o u r)** unnaturally appears among the same semantic words – **l a g a m**

(*bit*) and **u n a g i r (s a d d l e)**, in the 855th couplet of the 12th century poem - “The Knight in the Panther’s Skin” by Shota Rustaveli, when the poet describes the decoration of the horse.

In my opinion, the word **a v s h a r (b r i d l e)**, which came into the Georgian language from Persian, should be instead of **a b j a r (a r m o u r)** (*afsar* – افسار). **A v s h a r (b r i d l e)** has been mentioned in Georgian literature since the 11th century.

ემოციურ-ასოციაციური ფენომენი გოლი თარაყის
ლირიკულ პროზაში

კარლ გუსტავ იუნგი წერდა: „ნლების სწრაფი დინება... თავბრუს გვახვევს და მრავალ რამეს უკან ისე ჩამოვიტოვებთ, რომ მათ მოგვარებას ვერ ვასწრებთ. ეს მათგან გათავისუფლებას როდი ნიშნავს (ხაზი აქაც და ქვემოთაც ჩემია – მ.ბ.), უბრალოდ, ჩვენ მათ ვცილდებით. თუ ნლების შემდეგ ბავშვობის მოგონებებს მივუბრუნდებით, საკუთარი პერსონის ჯერაც ბევრ ცოცხალ ნაწილს აღმოვაჩენთ, რომელიც... ჩაგვებლაუჭება და გარდასულ დროთა გრძნობით განგვემსჭვალავს. ეს ნაწილები კვლავ ბავშვურ სტადიაში მყოფი ნაწილებია... ძლიერი და უშუალო. ისინი ინფანტილურ ასპექტს... მაშინ დაკარგავენ, თუ მოზრდილ ცნობიერებას დაუკავშირდებიან. ჯერ „პიროვნულ არაცნობიერთან“ უნდა მოვაგვაროთ საქმე (გავაცნობიეროთ) და... ამის შემდეგლა შევძლებთ კოლექტიური არაცნობიერის კარის შეღებას“ (5,65-66).

იუნგის გამონათქვამი შემთხვევით არ მოგვიხშია. გვეჩვენება, რომ მისი ალქმისა და ანალიზის მეთოდი ყველაზე სრულად და სწორად ხსნის თანამედროვე ირანელი მწერლის გოლი თარაყის ნოველებისა და მოთხრობების არსს და მიზანს. მით უფრო, რომ განათლებით ფილოსოფოსი მწერალი თავს იუნგის მიმდევრად მიიჩნევს და არც უარყოფს, რომ მის შემოქმედებით მეთოდზე შესაძლოა ამ ფილოსოფოსის გავლენაც იგრძნობოდეს.

გოლი თარაყი ამბობს: „ჩემი ახლანდელი „მე“ უნდა შევიმეცნო და ეს რეალური არსება ხვალინდელ დღესა და მომავალში ნარ-მოვიდგინო. არ შემიძლია. მომავალი მზარავს, დღეს ცარიელი და უფესვებო დროა და არც ერთ ადგილს არ უკავშირდება. მხოლოდ წარსულია რეალური და დედაჩემის ყვავილებით მოჩითულ კაბასავით თავს ვაფარებ მას“ (4,19).

ეს იყო მწერლისთვის ტკივილიანი, მტანჯველი გზა-გზა „პიროვნული არაცნობიერის“ გაცნობიერებისკენ. აუცილებელი გზა იმისთვის, რომ დღევანდელ დღეს შეჰკუთებოდა და სულიერი წონასწორობა აღედგინა. მისთვის ეს გზა ორმაგად მძიმე აღმოჩნდა იმიტომაც, რომ დედამისის „ყვაილებით მოჩითული კაბა“ არა

მარტო ჩავლილი ბავშვობის, არამედ დაკარგული სამშობლოს სიმბოლოდაც იქცა. გოლი თარაყის შემოქმედების დიდი ნაწილი წარსულის (ძირითადად, სწორედ ჩავლილი ბავშვობის) გახსენებაა, სამშობლოს ფერებთან და ბავშვობის სურნელთან შეხვედრისა და მისი ხელმეორედ განცდის მცდელობა. სწორედ ამ რიგის თხზულებებია გამორჩეული განსაკუთრებული ლირიზმითა და დახვეწილობით. ეს თხზულებებიც, თავის მხრივ, შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს: მწერლის ნოსტალგიური, „ამონახეთქი“ მოგონება – აღსარებები და ცნობიერი, მიზანმიმართული „ხელახალი გახსენება.“

ფროიდის თქმით, „თუ ბავშვობას ყურს არ დაუგდებ, მისგან ვერ გათავისუფლდები.“ იუნგი ამატებს: „ახალი წყარო.. ვერ გამოინახება, თუ ცნობიერება „ბავშვურ სამყაროში არ დაბრუნდება, რათა იქ... არაცნობიერისგან მითითებები მიიღოს... მომდევნო მწვერვალამდე მისაღწევად ჯერ ქვევით, იმ ქვეყანაში უნდა ჩავიდეთ, საიდანაც იწყება გზა, სადაც იყრება გზები“ (5, 62-64).

შვილების გადასარჩენად ევროპაში შეხიზნული გოლი თარაყი, თავისი პერსონაჟების მსგავსად, დიდხანს დარჩა გამოკიდებული „ცასა და მიწას, წარსულსა და არაფერს შორის,“ დიდხანს დადიოდა „უმოგონებო ქუჩებში“ და ყველა კუთხე-კუნჭულიდან „ცარიელ, უმოგონებო სუნს“ გრძნობდა მხოლოდ.

„უცხოობაში ცხოვრება მოგონებებში სეირნობა და წარსულში მოგზაურობაა და სხვა არაფერი,“- ამბობს მისი ერთ-ერთი პერსონაჟი (2,141). ბუნებრივია, ამგვარმა ყოფამ, სულიერი და მატერიალური ცხოვრების სრულმა გახლეჩამ (როცა სინამდვილე ანმყოში გაბრუნებს, სულს კი რეალობა წარსულში ეგულება) მძიმე დეპრესიაში ჩააგდო მწერალი და ერთხანს ფსიქიატრიულ კლინიკაში დაუდო ბინა. როგორც ჩანს, შემთხვევითი არ ყოფილა გოლი თარაყის ბედის ამგვარი შემობრუნება. სწორედ იქ გააცნობიერა საბოლოოდ, რომ გარდაუვალია შეიმეცნოს საკუთარი „მე,“ ჩაეშვას „იმ ქვეყანაში,.. საიდანაც იწყება გზა,“ რათა შეიძლოს ცხოვრება ანმყოში, შეიძლოს ხვალის მომავლად მიჩნევა და წარსულის მოგონებებში დაბინავება მოახერხოს.

ბავშვობის ფერადოვან და სურნელოვან სამყაროში საკმაოდ დიდხანს დაჰყო გოლი თარაყიმ. იყო ეს „პიროვნული არაცნობიერის“ შესამეცნებლად, თუ უბრალოდ იმიტომ, რომ „მოგონებებს უცნაურად დიდი ემოციური მუხტი აქვს“ (1,204), მკითხველისთვის, იქნებ, სულ ერთიც იყოს – მას ხომ ამ მოგზაურობის შედეგი აინტერესებს და არა – მიზანი. შედეგი კი უდავოდ მშვენიერია. ამაზე

თანხმდება ყველა მკითხველი. ყოველ შემთხვევაში, ყველა, ვინც მე შემხვედრია. ისიც, ვინც მხოლოდ ზედაპირს შეხებია – ლირიკულს, მომხიბლავს, მსუბუქს, სიღრმეებში კი არ ან ვერ შეულწევია და ისიც, ვინც ბოლომდე ჩასწვდომია ამ მოთხრობების ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური განსჯის სიღრმეს და მათი სიმსუბუქე და ლირიზმი არა ერთადერთ, არამედ თანამდევ ღირებულებად, სამწერლო მანერად მიუჩნევია.

„მომვლელები... (კლინიკაში – მ.ბ.) ნებას მრთავენ, სიტყვებს შორის ვისეირნო, სახეზე მივუალერსო, ჩავეხუტო, მივეფერო ან... გავუნყრე კიდეც... სიტყვების ფერადი ძაფებით ხალიჩა მოვქსოვო და ნარსულის უშორეს დღეებში, პირველ მოგონებებში გავემ-გზავრო“ (4,25).

გოლი თარაყის მოთხრობები მართლაც სიტყვებს შორის სეირ-ნობაა, მათთან ალერსი, მოსიყვარულება. მისი ბატონი ალექსი, გურამ დოჩანაშვილის ლიტერატურის მოყვარული კაცისა არ იყოს, „ფრაზებს იტკობდა, წერტილებს გემოს უსინჯავდა, ისრუტავდა და სიტყვების ნაჭურს სიცოცხლის ელექსირივით წვეთ-წვეთად ყლაპავდა... თვალებს ხუჭავდა და ელოდა, როდის დაილექებოდა სულში ასოთა გემო“ (2,207).

გოლი თარაყი ერთი იმ მწერალთაგანია, განსაკუთრებული სიფრთხილითა და სიფაქიზით რომ ეკიდებიან სათქმელს. ყოველი მისი სიტყვა ანონილ-დანონილია, მრავალჯერ ნაფიქრი და ათასი შესაძლო ვარიანტიდან სწორედ ის ერთადერთი – შერჩეული, რომელიც მოცემულ სიტუაციას ზუსტად ერგება.

სიტყვის ასეთი ღრმა გრძნობა უდევს, როგორც ჩანს, საფუძვლად მოვლენების განსაკუთრებული სიმძაფრით აღქმის უნარსაც. „სიტყვების ფერადი ძაფებით ნაქსოვი ხალიჩით მიფრინავს მწერალი „ნარსულის უშორეს დღეებში,“ რათა იქიდან ბავშვობისა და სამშობლოს ფერადოვნება, სურნელი და გემო გამოიყოლოს აქაურ, მოზრდილთა „უმოგონებო“ და „ცარიელსუნიან“ სამყაროში.

ფერადი ძაფებით მხოლოდ ნარსულის (ან ნარსულისთვის განკუთვნილი) ხალიჩაა ნაქსოვი.

ჭრელი აღმოსავლური ბაზარივით ფერადოვანია მშობლიური სიტყვა (თეირანი):

„თეირანი თავისი ონავარი რ-თი, ენის ქვეშ რომ სხლტის; გრძელი, მაღალი ა-თი მრავალფერი ბაზრის მაცდური ლაბირინთივით სიღრმეში მითრევეს“ (4,13).

ყოველი სიტყვა თუ ბგერა, მთლიანობაში და ცალ-ცალკე, დამოუკიდებელ ღირებულებას ატარებს და ხშირად ასოციაციათა ფერად გამასაც ქმნის. ასეა ამ შემთხვევაშიც.

ფერადოვანია (ფერთა ჭრელი გამა) თოთხმეტი წელი.

ფერადოვანია, ჭრელია მეოცნებე ბიჭის მოლივლივე ფრანიც: „მისი ჭრელი ფრანი... ისე მაღლა აიჭრებოდა, რომ... თვალს ვერ ვუნვდენდი“ (1,176).

ფერადი, ჭრელი მწერალთან ყოველთვის დადებითი მუხტის მატარებელია. იქნებ იმიტომაც, რომ წარსულის კუთვნილებაა.

ფერების (ისევე, როგორც გემო-სუნის შეგრძნებების) ასოციაციური აღქმა, საერთოდ დამახასიათებელი ბავშვური შეგრძნებებისთვის, გამძაფრებული აქვს მწერალს და რუდუნებით დაძებნილი და ბოლოს მიგნებული უზუსტესი სიტყვა მოსწავლე გოგონას მიერ კვირის დღეების დახასიათებისას ცოცხალ სურათს ქმნის: „ხუთშაბათი საღამო (პარასკევი ირანში უქმეა – მ.ბ.)... ნათელია და ვერცხლისფერი... სამშაბათი ღია მწვანეა ან ლიმონისფერი... პარასკევი ორნაწილიანია... საღამოსკენ (მეორე დღეს სწავლა ახლდება – მ.ბ.)... ყველაფერს მუქი ყავისფერი ედება“ (2, 61).

ნათელი, მხიარული ფერები ხალისიან, მყუდრო, უზრუნველ განწყობას უკავშირდება, მუქი, პირქუში ფერები – უსიხარულო, მტანჯველ მოგონებებს. თუმცა, სხვადასხვა შემთხვევაში, ერთ განწყობას შეიძლება სხვადასხვა ფერი ან მისი ელფერი შეესაბამებოდეს (ნათელი ან ბნელი, მაგრამ – სხვადასხვა) – მწვანე ან ყვითელი, ყავისფერი ან შავი („ფრანგი ქალბატონის წარმოსახვითი სურათი ოქროს ნამცვრევად გაიფანტა ჰაერში“/4,136/). მაგრამ არის ერთი თანამდევი – ნაცრისფერი, რომელიც, განუშორებლად და შეუცვლელად, ერთადერთი ასოცირდება სევდა-ნაღველთან გოლი თარაყის მოთხრობებში. აქ დგანან „მგლოვიარე ხეები ნაღვლიანი, ნაცრისფერი ჩრდილებით“ (4,11);

„ამ ნაღვლიან, ნაცრისფერ ატმოსფეროში შემირანის ბალის მწვანე სიზმარი შემოდის“ (94, 13);

„უთქმელი სიტყვები და მრავლისმთქმელი მზერა ნაცრისფერ ნისლად ილექება სახეებზე“ (1,101);

„ნაცრისფერი – გამოუთქმელი სიტყვებისა და ფარული სევდის ფერი“ (1,178);

ასევე მუქია (მაგრამ არა ნაცრისფერი, რომელიც სევდის კუთვნილებაა) ცოდვა, სიცუდე: „გითი ხანუმის სიცუდე... ბლანტი

მელანივით მიცოცავს საგანთა კრიალა ზედაპირზე და მუქ ლაქებს ტოვებს“ (1,22).

ფერთა ობიექტური აღქმისთვის ცემენტიც ნაცრისფერია. ნაცარი და ცემენტი თითქმის ერთი ფერისაა. თუმცა ასე არ არის გოლი თარაყისთვის. ქალაქის თავზე „ცემენტისფერი ღრუბლები ჩამოქუფრულა“. ურბანული ყოფის ამაოების, ნარმავეალი ღირებულებების ფაციფუცის გარემოში ღრუბლები ცემენტისფერია და სწორედ ეს სიტყვა გამოხატავს მთელი სიზუსტით მწერლის სათქმელს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ცემენტის ფაქტურა, მისი შინაარსი სიცივის, გულგრილობის, სიმძიმისა და უჰაერობის ატმოსფეროსთან ასოცირდება, აგრესიული ქალაქის ჩამოქუფრული ცემენტისფერი ღრუბლების ფონზე უფრო საცნაური ხდება მშვიდი უდაბნოს მოსარკული ლაჟვარდი ცა და „კრიალა სახლი“, როგორც მარადიული, ხელშეუხები ფასეულობანი. აქ უკვე, გარკვეულწილად, ფერის განცდა სიმბოლურ გაგებას ატარებს. ამგვარი აღქმა, ანუ ფერის გარკვეული სიმბოლიკით დატვირთვა (როგორც შემდეგ დავინახავთ, გემოსა და სუნის შემთხვევებშიც) ხშირია გოლი თარაყისთან. თვითონ მწერალი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, „სიმბოლოები და სათქმელი, რომელიც ხელოვნების მეშვეობით მოგვეწოდება, არაცნობიერის მანიფესტაციაა“ (1,204).

როდესაც ამირალი („სადმე სხვაგან“) ბოლოს და ბოლოს გაექცა ამაოებას, ყალბ ფაცაფუცსა და ფარისევლურ კეთილდღეობას, „ჰორიზონტი ფერად სამყაროს უერთდებოდა, ციდან ნარინჯისფერი სხივი იღვრებოდა“ (1,193). ამ სახეებში შეიძლებოდა არც დაგვენახა სიმბოლური დატვირთვა, თუ მწერლის ჩანაფიქრს არ გავითვალისწინებდით. მართლაცდა, რა არის გასაოცარი, თუ ჰორიზონტს იქით ფერადი ველ-მინდვრები გადაჭიმულა, ან ციდან მზიან შუადღეზე ნარინჯისფერი სხივი იღვრება? ეს ხომ სრულიად ჩვეულებრივი, ბანალური პეიზაჟია. მაგრამ აქ აშკარაა, რომ ჯერ კიდევ უხილავი, ჰორიზონტს გაღმა არსებული ფერადი სამყარო და ნარინჯისფერი (იმედიანი, მზიანი, ნათელი) სხივი ამირალის იმედიან და ნათელ (თუმცა ჯერ გაურკვეველ) მომავალს უნდა უკავშირდებოდეს. ესაა სიხარულის, სილალის, თავისუფლების ფერები: „მზიანი ნაპირები (ალბათ, ნარინჯისფერი – მ.ბ.), კრიალა, ნათელი ცები, მწვანე მინდვრები და ვრცელი ტრამალები ელიან მას...“ (1,198).

მწვანე აქ რეალური ფერიცაა და, ამასთანავე, სიმბოლურადაც სიხალისეს, სიმშვიდეს, განახლებას უნდა უკავშირდებოდეს. მწე-

რალთან ხშირად გვხვდება მწვანე ფერის სიმშვიდესთან, სულიერ წონასწორობასთან, სიმყუდროვესთან ასოცირება:

„ხასხასა სიმწვანე თხელი აბრეშუმით ეფარება მის ფიქრებს“ (1,201);

„ამ ნალელიან, ნაცრისფერ ატმოსფეროში შემირანის ბალის მწვანე სიზმარი შემოდის“ (4,13).

აქ იმდენად არაორაზროვნად უკავშირდება სიმწვანე სიხარულს, სიხასხასეს, უშფოთველობას, რამდენადაც ნაცრისფერი – სევდას და ნალველს.

კიდევ ერთი ფერი, რომელიც ძალიან ხშირად გვხვდება გოლი თარაყისთან და, ვფიქრობ, მკვეთრად გამოხატულ სიმბოლურ სახესაც ქმნის, თეთრი ფერია. თეთრს (ისევე, როგორც სხვა ფერებს) სხვადასხვა კულტურაში განსხვავებული დატვირთვა აქვს. გოლი თარაყისთან კი იგი აუცილებლად შეურყვნელობის, ხელთუქმნელობის, არამინიერობის სიმბოლოა.

ზეციური სამყოფელი, სახლი მოთხრობიდან „ჩემი სულის დიდი ქალბატონი“ „თეთრია და კრიალა. იგი მარადიული ფასეულობის სიმბოლოს წარმოადგენს.

ნატანჯ, შვილებისთვისაც ზედმეტად ქცეულ და იმქვეყნიურ გზაზე დამდგარ მაჰინ ბანუს („სახლი ზეცაში“) „ფეხქვეშ თეთრი ღრუბლების მინდორი ეგო. ანგელოზთა სიზმარივით ნათელი, მსუბუქი და შეურყვნელი“ (1,131);

„თეთრი შარაგზა ედო ნინ“ (1,132).

საგულისხმოა, რომ ეს შარაგზა თოვლიანია. თოვლს კი გოლი თარაყისთან, ჩემი ღრმა რწმენით, ორმაგი დატვირთვა აქვს. მწერლის მოთხრობებში ხშირად თოვს. პატარა გოგონას ახარებს თოვლის მოსვლა, ფანტილებს ეთამაშება და გემოსაც უსინჯავს. თოვლში თამაშის გაიგივება ხდება დროებით სწავლის შეწყვეტასთან, გართობასთან, მხიარულებასთან. აქ თოვლი წმინდა და ნათელი სამყაროს სიმბოლოა, იმ სამყაროსი, სადაც ნაწარმოების პერსონაჟთა ბავშვობა ჩარჩენილა, სამყაროსი, რომელსაც ვერასდროს შეეხება უხეში ხელი. მაშინ კი, როდესაც ამ ქვეყნისკენ ზურგშექცეული, ცხოვრებისგან გატეხილი მაჰინ ბანუ თოვლიან შარაგზას მიუყვება და თოვლის ფანტილებს შეერთვის, თოვლი (ისევე, როგორც თოვლივით თეთრი ღრუბლების მინდორი) სიკვდილთან შენივთებას, სამოთხის უძველეს გზას უნდა გულისხმობდეს.

გოლი თარაყის „მფრინავი ხალიჩის“ ფერად ძაფებს სხედასხვა სურნელი (და ხშირად გემოც) ახლავს. „არის... სურნელი, გემო, ფერები, რომლებიც მინდა, ვიპოვო,“ – ნერს გოლი თარაყი და „ახლანდელი მე“-ს შესაცნობად (რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს) წარსულში მიემგზავრება, რომ ჯერ „პიროვნულ არაცნობიერთან“ მოაგვაროს საქმე. იქ პოულობს იგი მივინყებულ სურნელს და გემოს, ფერებს და განწყობებს და ხელახლა განცდილი წარსულის შეგრძნებებით მოსავს მოგონებების სურათებს. თავისთავად, ეს არც უნდა იყოს გასაოცარი, რადგან პიროვნების ფესვიცა და ხერხემალიც სამშობლოშია, მათ გარეშე კი სხედასხვაგვარი სამშენისი ზვარში ჩადგმული საფრთხობელას ასოციაციას ინევეს მხოლოდ.

გემო და სუნი სხედასხვა მოგონებას უკავშირდება, ასოციაციურ სახეებს ქმნის და ხშირად (ისევე, როგორც ფერები) სიმბოლურ ხატადაც იქცევა.

არის წმინდა პოეტური სახეები, აგებული გემო – სუნის ასოციაციებზე:

„ლოგინი ზაფხულის ღამის და სველი ყვავილების სურნელით ივსებოდა“ (2,202);

მოახლე გოგონას სინორჩე „აკაციის სურნელივით იფრქვეოდა ეზოში“ (2,131);

„ნეტავ ზაფხულის სურნელი მოჟონავდეს კარ-ფანჯრიდან“ (1,52);

„ნიავეს ბალახის სუნი ახლავს. ცვრიანი ბალახისა და ახლად ამოყრილი ყვავილების სუნი. თითქოს ზეციურ ხეივნებში ჩამოიქროლა, ისეთ არომატს აფრქვევს ირგვლივ“ (1,57).

ხშირად საყოველთაოდ მიღებული და გასაგები სუნისა თუ გემოს განცდა სუბიექტურ (და, როგორც წესი, ისევე წარსულთან, ბავშვობასთან ასოცირებულ) აღქმად გრძელდება:

„იასამნის და სველი მინის სურნელი მცემს (ობიექტურად სასიამოვნო სურნელი – მ.ბ.). დღესასწაულის ღამის და არდადეგების სურნელი. ზაფხულის, მას რომ მოჰყვება“ (2,76).

ხაზგასმული ფრაზები უკვე სუბიექტური, ბავშვობიდან გამოყოლოლი ასოციაციებით აგრძელებს სურნელის ობიექტურ განცდას: ნოურუზის ღამის საზეიმო განწყობა, გამძაფრებული არდადეგების უზრუნველი და მხიარული დღეებით, გაზაფხულის ყვავილების სურნელებით ჩაბეჭდილა შეგრძნებებში.

იმავე განწყობას ვხედავთ შემდეგ ფრაზაშიც:

„ხეების მვნანე ტანებიდან სამი ფარვარდინის (ისევ ნოურუზის, გაზაფხულის პირველი თვის ასოციაცია – მ.ბ.) სუნი იფრქვეოდა“ (2,249);

„დედას ყველაფრისგან განსხვავებული სუნი აქვს. ეს ის სურნელია, ფრანგულ სუნამოსა და ფერუმარილს რომ ახლავს... დედას მომავალი დღეების სუნი აქვს, ხვალინდელი დღის.“ აქაც სრულიად გასაგები სუნი მხოლოდ მისეული ასოციაციით უკავშირდება ხვალინდელ დღეს.

საძულველ სამუსიკო სტუდიას „საავადმყოფოს, ხრნისა და სიბერის სუნი აქვს“ (120) – ესაა ძალადობის, სიძულვილის, უარყოფითი ენერჯის სუნი.

გითი ხანუმის სიცუდეს „უსიამოვნო სუნი და გემო ახლავს“ (1,22).

როგორია ეს უსიამოვნო სუნი და გემო? ცხადია, ესაა ცოდვის შეგრძნება. ცოდვა კი „მნარე გრძნობაა, გულისრევას და მუცლის გვრემას ჰგავს“ (4,36).

სიმნარე აქ პირდაპირი მნიშვნელობით, სრულიად მატერიალურად გულისხმობს მნარე გემოს, რომელიც საწამლაევიით რეალურად იწვევს მუცლის გვრემას. ასევე მნარეა სიტყვა „ალარასოდეს“, რადგანაც ეს სიტყვა იმ ტკივილთან ასოცირდება, რომელსაც ნოსტალგია ჰქვია და რომელიც სამშობლოს დაკარგვის გამო ჩნდება: „ალარასოდეს მნარე და პირქუში სიტყვაა“ (1,104). ეს „მნარე“ გარკვეულ გემოთშეგრძნებასაც უნდა გულისხმობდეს. მისი დანალექი ჯერ ენაზე ტოვებს სიმნარეს და მერე – სულში.

ასევე „მნარეა და ბოროტი“ შაბათიც, რომელიც სასწავლო კვირის პირველი დღეა და ბავშვის გონებაში ნვალეებასთან ასოცირდება.

ამგვარი გემოთშეგრძნება (ისევე, როგორც ბგერათშეგრძნება, ფერის, სურნელის აღქმა) დამახასიათებელია და ბუნებრივი გოლი თარაყისთვის. ბუნებრივისა და არაბუნებრივის, არაჩვეულის ორგანული შერწყმა ერთგვარი სიახლის განცდას ქმნის, რაც, უთუოდ, მწერლის საინტერესო და მეტად ორიგინალურ სტილურ სიახლედ შეიძლება მივიჩნიოთ და რაც, იმავდროულად, მისი თხზულებების ერთ-ერთ (და არა ერთადერთ) ხიბლსაც წარმოადგენს.

უცხოეთს შეხიზნული ბატონი ალექსი სამშობლოდან მოსული წერილის „ფრაზებს იტკობდა, წერტილებს გემოს უსინჯავდა, ისრუტავდა და სიტყვების ნაჟურს სიცოცხლის ელექსირივით წვეთ-წვეთად ყლაპავდა... თვალეებს ხუჭავდა და ელოდა, როდის

დაილექებოდა სულში ასოთა გემო" (2,207). ამ ასოთა გემოებისგან (და სუნებისგან) შემდგარი გემოთა (და სურნელთა) გამაა ის სიტყვები, რომელთაც მწარე თუ ჯადოსნური გემო აქვთ, იასამნისა თუ ცოდვის სურნელი ასდით. სამშობლოდან წამოსულ ასოთა გემოს სულის სიტყვობების მაცოცხლებელი ძალაც აქვს, უკვდავების ელექსირის მაცოცხლებელი ძალა, არსებობის აზრი და მიზანი. უცხოეთში იმიტომაა გაუსაძლისი ცხოვრება, რომ შენობის, სახლის ფუნდამენტსა და სახურავს შორის სიცარიელეა, დედაბოძი ნაქცეულია და, რაც მთავარია, ამ სიცარიელეს აღარც სუნი აქვს შერჩენილი და აღარც – გემო. ამ მტკივნეულ, უზარმაზარ და ამოუვსებ სიცარიელეს იმიტომ აქვს ხახა დაღებული, იმიტომ მოჟონავს იქიდან მუდმივი, მომქანცველი და გაუსაძლისი ტკივილი, რომ არც ერთ მოგონებას არ უკავშირდება. ცარიელია, რადგან უმოგონებოა: „ოთახის კუთხეებიდან უცნობი სუნი მოდიოდა. ცარიელი და უმოგონებო სუნი" (2,201).

აქ, უცხოეთში, სახელებიც უსუნოა. კლინიკაში ევროპელი ავადმყოფები თამაშ-თამაშით ირიგებენ აღმოსავლურ სახელებს, რომლებსაც შინაარსი, ე.ი. მხოლოდ მათთვის კუთვნილი შეგრძნებები მოჰყვება. ამ ავადმყოფებს „თავიანთი უსახო და უსუნო სახელები მოსწყენოდათ" (4,209).

მყარი, კომფორტული სულიერი მდგომარეობა აუცილებლად დაკავშირებულია ნაცნობ სურნელთან და საყვარელ გემოსთან. ქალბატონ ნობოვათის წერილი „ტკბილია" იმიტომ, რომ „ნაცნობი სუნი აქვს." ესაა „სოფლური სუნელისა და შინაური ცხელი კერძების" სუნი.

გოლი თარაყის მოთხრობებში ცხელი კერძების გემო, მწვადის ოხშივარი, ბრინჯზე მოყრილი ზაფრანა, ძირა და დარიჩინი, გემრიელი სადილის სუნი არათუ სიმამლისა და პროზაულობის განწყობას არ ქმნის, არამედ ვირტუალური, ჯადოსნური სამყაროს თანაზიარობასთან ასოცირდება, ოდესღაც ტრივიალური, დღეს უკვე მიუწვდომელი, დაკარგული სამოთხის განცდებს იწვევს:

„შინაური საჭმლის ჯადოსნური გემო და სამზარეულოს სამოთხისეული სიმშვიდე" (2,114).

„საჭმლის ჯადოსნური გემო" თავისთავად, სრულიად მოულოდნელი სიტყვათშეთანხმებაა. ცხადია, ეს არის ბავშვობისდროინდელი სიმყარის განცდა, მშობლების გრძნობა. სახლის გული – სამზარეულო – ყველაზე ტბილი, სურნელოვანი და გემრიელი – სამოთხეა. სამოთხეში კი, ბუნებრივია, საჭმელიც ჯადოსნური უნდა იყოს.

ბავშვობის დღეების სიმყარისა და სიმშვიდის ბედნიერი შეგრძნების სიმბოლო – სამზარეულო – ბავშვობის ხანასთან ერთად „გამჭვირვალე ბუშტივით“ უჩინარდება (შემირანის სახლი ქალაქის განაშენიანებას შეენირა – მ.ბ.). „ჰასან აყას სამზარეულო, გამჭვირვალე ბუშტივით, ათასობით მოფარფატე ნამსხვრევად იქცევა და მასთან ერთად ბავშვობის საამო სურნელი, ჩავლილი გემოს სიტკბოება, წარსულის გულუბრყვილო სიამეები ჩვენი ცხოვრების სივრცეებს შორდება...“ (2, 198).

მშობლიური სახლი მწერლის ცნობიერებაში მუდამ ნათელ ფერებთან, მსუბუქ სურნელთან და საამო გემოსთან ასოცირდება: „გითი ხანუმის სახლის მძაფრი სუნი ნაცნობმა და მსუბუქმა სურნელმა (შემირანის სახლის – მ.ბ.) შეცვალა“ (1, 26); „ჰაერი სურნელს დაუცვარავს (შემირანის ბაღში – მ.ბ.) ეს სურნელი მსუბუქ საბურველად ეხვევა ჩემს დამტკვერილ ფიქრებს“ (1,28).

სიმსუბუქე ყველგან სითბოსთან, სინათლესთან, ფერადოვნებასთან, სულიერ კომფორტთანაა დაკავშირებული. ამდენად, შემირანის სახლის სურნელი მტვრით დამძიმებულ ფიქრებსაც ამსუბუქებს.

მარადიული, უხრწნელი ფასეულობების სიმბოლო – თეთრი სამყოფელი (სახლი) – „კრიალაა და სურნელოვანი.“ სურნელოვნება ამ კონტექსტში, თითქოს, უადგილოცაა. ზეციური, მიუნვდომელი კრიალა რომ იქნება, ბუნებრივი ჩანს, მაგრამ სურნელოვანი რატომღაა? ალბათ იმიტომ, რომ იქ ზეციური ბალებია („ნიავეს ბალახის სუნი ახლავს. ცვრიანი ბალახისა და ახლად ამოყრილი ყვავილების სუნი. თითქოს ზეციურ ხეივნებში ჩამოიქროლა, ისეთ არომატს აფრქვევს ირგვლივ“/1,57/). ზეციურობა მარადიული სიმბოლოს ხატებას ფერთან ერთად სურნელსაც ანიჭებს. იდეალური უსურნელო არ უნდა იყოს.

საინტერესოა სხვადასხვა სუნის კომპლექსური აღქმის შემთხვევებიც გოლი თარაყისთან. სრული დისჰარმონია ცალკეული კომპონენტების თვალსაზრისით აზრობრივად გასაგებ და მისაღებ ასოციაციას ქმნის. ოთახის ტყვედ ქცეული მოხუცი წარსულ დღეებს იხსენებს. მოახლე ქალს „რა საამო სუნი ჰქონდა! გარეთა სუნი, ქუჩების, დუქნების, წყლის არხების, ავტობუსების სუნი!“ (1,53).

ცალკე აღებული არც ავტობუსის სუნი შეიძლება იყოს საამო, არც ნაგვით სავსე წყლის არხების და არც სანვრილმანო დუქნების. მაგრამ ეს გარეთა სუნია, ყოფილი (და არა ახლანდელი) ცხოვრების სუნია, სიცოცხლის სუნია, რომელმაც უკვე, რამდენი წელია, ჩაიარა.

წინ სიკვდილის მოლოდინილა. ეს საამო სუნი ნოსტალგიაა, ჩავ-
ლილი სიყმანვილის მონატრება.

საინტერესოდ მეჩვენება იმის აღნიშვნა, რომ შინაური სიტბოს,
სინათლის, სურნელოვნების და სიტკბოს განცდა მხოლოდ
ბავშვობის სახლს უკავშირდება. მოზრდილთა სამყაროში, სადაც
ათასი სიყალბე და ტყუილი იკიდებს ფეხს, აღარც საკუთარი სახლია
ციხესიმაგრე, ის ველარ იძლევა სიმყარის შეგრძნებას. ამირალის „ამ
სახლის... სუნიც კი ეუცხოებოდა“ (1,199). ეუცხოებოდა, რადგან ამ
სახლში კარგად მორგებული ნიღბებით დადიოდნენ. ტყუილით
ცხოვრობდა თვითონ ამირალიც. და, როდესაც ტყუილი და სიყალბე
ველარ დაატია სხეულში, იგრძნო, რომ „კანის ფორებიდან უსია-
მოვნო სუნი იფრქვეოდა“ (1,191). ეს არის სიყალბის, სულის სიკვ-
დილის და ხრწნის სუნი. ბავშვობის ფერადი და სურნელოვანი
სამყაროს (გულწრფელი, ოცნებით აღსავსე სამყაროს) შეცვლა პირ-
ქუში, ყალბი კეთილდღეობით სავსე არსებობით ხრწნის სუნს
ბადებს ამირალიში და მოთხრობის ბოლოს, ახერხებს რა ამ სიყალ-
ბიდან თავის დაღწევას, თავისუფალი სიერცის მაცოცხლებელი
შეგრძნება ისევ ბავშვობისდროინდელ სურათებად ხორციელდება:
„ბავშვობისდროინდელი ზაფხულის, ბალის სველი თივითა და თიხით
ნაგები გალავნის, ფიჭვის ხეების წებოვანი წენის სურნელი ეცემა
ცხვირში“ (1, 201).

ძნელი სათქმელია, რამდენად მოახერხა მწერალმა „ახლანდელი
მე“-ს შეცნობა წარსულში დაბრუნებით, არაცნობიერის ერთგვარი
გაცნობიერებით, ის კი ფაქტია, რომ „სიმბოლოები და სათქმელი,
რომელიც ხელოვნების მეშვეობით“ მოგვანოდა, ღრმა ემოციურ
კვალს ტოვებს მკითხველზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოლი თარაყი, „სახლი ზეცაში“, სპარსულიდან თარგმნეს მზია
ბურჯანაძემ და თეა შურლაიამ, თბილისი, „დიოგენე“, 2004;
2. გოლი თარაყი, „ხათერეპაიე ფარაქანდე“, თეპრან, „ბაყე აინე“,
1373(1994). სპარს. ენაზე;
3. გოლი თარაყი, „ჯაიე დიგარ“, თეპრან, „ნილუფარ“, 1380(2001), სპარს.
ენაზე;
4. გოლი თარაყი, „დო დონია“, თეპრან, „ნილუფარ“, 1381(2002), სპარს.
ენაზე;
5. კარლ გუსტავ იუნგი, „ფსიქოლოგია და აღქმია“, თარგმნა მათა
ბადრიძემ, თბილისი, „დიოგენე“, 2005.

Emotional-Associative Phenomenon in Goli Taraki's Lyric Prose

Summary

The main theme of Goli Taraki's work is the recollection of past (mostly childhood), an attempt to revisit and feel again the colours of motherland and the aroma of childhood.

Sheltered in Europe in order to save her children, Goli Taraki stayed hung for a long time 'between heaven and earth, past and nothing,' where she felt 'empty smell with no memory.' In order to manage to live in present, to consider tomorrow as future and to settle past in memories, she realized that she had to find her own 'self,' 'sink into the very country... from where the journey begins.' (C.G.Jung).

Goli Taraki is among those writers who treat the word with great care and caution. The ability to have especially sensitive and associative perception of events, colours of motherland, taste and smell of childhood based upon deep understanding of word.

Very often, in her works associative images used to turn into symbolic icons. It is hard to say how the writer managed to find her 'present self,' by revisiting the past, but the fact is that the symbols and the message she sent to us leaves deep emotional traces in readers.

ლექსემა „ლ ა ნ გ ა რ ი“ „რუსუდანიაში“

„რუსუდანიაში“ XVII საუკუნის საგმირო-სათავგადასავლო თხზულებაა, რომელიც მეტად საინტერესოა ლექსიკის თვალსაზრისით. მასში უხვად არის სამოხელეო და სოციალური ურთიერთობების გამომხატველი ტერმინები, ბრძოლის იარაღების სახელწოდებები, ფულის, ძვირფასი ლითონებისა და პატიოსანი თვლების, ტანსაცმლის, საომარი საჭურველის, სუფრის იარაღების სახელები და სხვ. ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ლექსემა ლანგარ-ი, რომელიც ერთხელ სახელდება „რუსუდანიაში“ და ლექსემა ბარქაშთან ერთად იხსენიება:

„მიხედა ღმერთმან მას გლახასაცა და ხელმწიფემან თავისისა ფირუზის ბარქაშით საჭმელი უბოძა ერთსა მონასა: ეს იმ შიშველს გლახას მიუტანეო. მან მონამან წაიღო და ამდენი არ აცალა, ან ერთი ლუკმა შეეჭამა და ან დაჯდომილიყო და იმ ფუტის კალთაში ჩაეყარა, ის თავს დააყარა და ლანგარი წამოიღო“ [1, 567₃₆].

ჩვენთვის საინტერესო სიტყვას სულხან-საბა არ განმარტავს.

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მასალებში გარდა „რუსუდანიაში“ ლანგარ-ი გვხვდება მრავალ ძეგლში: „...ერთის მომცროს ლანგარი, ახალი ლობიო ერბოკვერცხითა შემგბარი... დაუდგეს ონისიმეს-ძეს...“ [კალმ., II, 23₂₃]; „მოვიდა ერთი კაცი, ერთის ლანგარით ვარდი ეჭირა“ [მილ., 127₁₁]; „...ხილი ...ლანგარით უნდა მიერთვას მოურავს...“ [საქ. სიძვ., II 526₇ (1784-1790)]; „...ერთის ლანგარით ფიჩხული უნდა მიართვან ...“ [საქ. სიძვ., II, 526₁₃ (1784-1790)]; „აუკრეს ხელი მონათა ლანგრებს, სინმათ მინანქართა“ [არჩ., II, 924₄]; „...დიდი ბადიები, დიდი ლანგრები... დიად, კაი და დიდრონი ჭურჭლები იყო“ [საბა, I, 216₃₆]; „აგრეთვე ზოგი რამ მიმირთვა, ეფრემის ნიგნი ჩემი დანერილი, დიად კარგი სანერელი და ჩინის ლანგარი“ [ცხ.-ანდ., 33_{26,27} (XVIII-XIX)]; „...ნიხრისათვის ერთი ლანგარი ზეთისხილი უნდა მოერთვას“ [საქ. სიძვ., II, 526₂₄ (1784-1790)]; „ერთი ვერცხლის ლანგარი კათალიკოზს დომენტის მიართვა...“ [ქართ. სამართ. ძეგლ., VII, 155₁₁ (1769)]; „არის სპილენძის იარაღი ლანგარი ერთი“ [ქართ. სამართ. ძეგლ., III, 685₂₆ (1712)]; „ერთი ლანგარი იმ ვაჟის ძმას შეუდგეს თავზედა“ [ზლ., 88₈ (XVII)]; „...ჩვენც დაგემოყურენით და მოგათხოვეთ და

ჩვენი ბატონი ანა და გამოვაცანეთ ზითვად ...საფარემოს იარაღისაგან: ორხოვა ჯუფთი ერთი, ...ლანგარი მისის ზარფუშითა ორი, სუფრაყაშული (ალბათ უნდა იყოს „...ყაშული“, თ.გ.) ერთი, ...ცხრა თეფში, ცხრა ჯამი, ... [საქ. სიძვ., II, 435₃ (1692-1703)].

არნ. ჩიქობავას მიერ რედაქტირებულ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ლანგარი არის: 1) დიდი ბრტყელი თეფში, მრგვალი ან ოვალური (ჩვეულებრივ ლითონისა) – ლანკანი (მდრ. სინი); „მოჰქონდათ ლანგრებით ოქრო და ვერცხლი, იაგუნდი და ლალი“ (ვაჟა); „ჩაის სმა გაათავეს თუ არა მაშინვე ფლავით თავშედგმული ორი ლანგარი მოიტანეს“ (შ. არაგვისპ.); „რამდენიმე სინი და ლანგარი სპილენძისა იქვე გვერდით ეკიდა“ (ა. ყაზბეგი); „ტახტზე ნაბდები ეფინა, ხინკალი ედგა ტაბკითა, იქვე ხის ჯამით ერბო და ჭრელი კალმახი ლანგრითა“ (ბაჩანა); 2) კუთხ. (კახ.) თიხის სინი, რომელიც იხმარება ქვაბის ხუფად; 3) კუთხ. (ქართლ.) რძის ჭურჭელი [5, 1474].

დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში ლანგარს აქვს დიდი სინის მნიშვნელობაც და „მუშაითთა ხელ-საჭერი გრძელი ლატანის“ ანუ ჯამბაზების გრძელი ხელ-საჭერი ძელის მნიშვნელობაც [2, 642].

ი. რუბინჩიკის რედაქციით გამოცემული სპარსულ-რუსული ლექსიკონის მიხედვით لنگر [ლანგარ] არის: 1) ლუზა; 2) ჯამბაზების ლატანი, ჭოკი; 3) დიდი საათის ქანქარა; 4) მედიდურობა; 5) სიმძიმე; წონა; 6) იშვ. ზღუდე საფლავის გარშემო; 7) იგივეა, რაც هانگرن [ლანგარხანე] მოძვ. ჰოსპიტალი ლარიბებისათვის, დავრდომილთა თავშესაფარი [8, 430].

მ. მოინის სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონში მინიშნებულია ლანგარის ბერძნული წარმომავლობის შესახებ: لنگر langar [ბერძ. agkyra, ლათ. ancora = არაბიზ. انجر ანჯარ]. გარდა ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობებისა, „ლანგარ“-ი აღნიშნავს ადგილს, სადაც ყოველდღე საკვებს აძლევენ უმნეოებს; დერვიშების (მოხეტიალე ბერების) გამოსაკვები და თავშესაფარი დანესებულება. მაგ., არსებობდა შეიხ ჯამისა და ყასემ ანვარ-შაჰის „ლანგარ“-ები, ანუ თავშესაფრები [13, 3632-3].

لنگر [ლანგარ]-ის არაბიზებული ფორმაა انجر [ანჯარ]. არაბულ ენაში გვხვდება انجر [ანჯარ], انجر [ანჯარა] მრ. რ. انجر [ანჯირ „angar“-ები] „ლუზა“ [7, 324]; არაბული ენის განმარტებით ლექსიკონში გვხვდება انجر [ანჯარ] მნიშვნელობით „ხომალდის

ნავსაყუდელი, პორტი", რომელთანაც მითითებულია სიტყვის სპარსული წარმომავლობის შესახებ [14, 791].

მ. მოინის ლექსიკონში აგრეთვე გვხვდება სიტყვა **لنگر** langar-ი [ბერძნ.-სპარს.] მნიშვნელობებით: 1) ლუზისა, ლუზასთან დაკავშირებული; 2) დერვიშების თავშესაფართან დაკავშირებული; 3) საქმლისათვის განკუთვნილი დიდი სინი, დიდი ფართო თეფში თავისი თავსახურით (სპარს. „სარფუშ“-ით). სპარსული **سروش** [სარფუშ] „თავსახური“ ქართულში დამკვიდრებულია „ზარფუშ“-ის ფორმით. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ძეგლებში ლანგარი მოხსენიებულია „მისის ზარფუშითა“ [საქ. სიძე., II, 435₃ (1692-1703)]

მ. მოინს მაგალითი მოჰყავს XI ს. ძეგლიდან „ბეიჰაყის ისტორია“:

"سو هزار چینی دیگر از لنگری و کسه های کلان و خمره های چینی کلان خرد و سیصد شادروان..."
(**ბეიჰაყი**)

„ორი ათასი სხვა ფაიფურის ჭურჭელი: ლანგარი, დიდი თასები, ფაიფურის დიდი და პატარა ქვევრები და სამასი შადრევანი..." [13, 3635].

ალი-აქბარ დეჰხოდას სპარსული ენის ლექსიკონში აღნიშნულია, რომ ლექსემა ლანგარი-ს მნიშვნელობა - „ძალიან დიდი თეფში, რომელზეც ფლავს დებენ“, მიმართებაშია დერვიშების თავშესაფართან [12, 17465]. ამ ჭურჭლით, რომელიც წარმოადგენს მრგვალ, ფართოპირიან, ძალიან დიდ სინს, როგორც ჩანს, საქმელი (ძირითადად, ფლავი) მიჰქონდათ სუფიების დასაპურებლად თავშესაფარში.

ამრიგად, langar-ი არის „langar“-ისათვის (ანუ უმწეოთა და დერვიშთა თავშესაფარისთვის) განკუთვნილი ჭურჭელი, სიტყვასიტყვით „ლანგრისა, სალანგარე“. **س** [ი] სუფიქსის (მიმართებითი **س**) ფუნქციას სპარსულ ენაში წარმოადგენს ერთი საგნის მიმართება მეორესთან. ამ სუფიქსით წარმოებული ზედსართავი სახელები გამოხატავენ შემდეგ შინაარსს - „რაიმესთან კავშირში მყოფი“, „რაიმესთვის დამახასიათებელი“: **بهاران** „წვიმისა, საწვიმარი“ < **بهار** „წვიმა“; **خوبان** „ჯიბისა, ჯიბისათვის განკუთვნილი“ < **خوب** „ჯიბე“; **ساحران** „განთიადისა“ < **ساحر** „განთიადი“ [10, 51].

ლანგარი გვხვდება სომხურში ფორმით ლანკარი (დიალექტური ფორმა) და ნიშნავს: 1) სპილენძის დიდ ბრტყელ ჭურჭელს; 2) გადატანითი მნიშვნელობით - მრგვალსახიანი; ტაჯიკური **lenger** [9. 183].

ლანგარი გვხვდება ქართული ენის დიალექტებშიც: ლანგარ-ი (**ქიზიყ**) გადატანითი მნიშვნელობით „გაშლილი ვაკე“; ლანგარ-ი

(თუშ.) ტაშტი [4, 322]; „ლანგრულა მომცრო ლანგამორდილი თეფშია. ლანგრულასა იმას ვეძახით, გაშლილი მორდილი თეფშია. ლანგრულაი თიხისა იყო ხომე ტაბაკი ტოლაი და ძირი დაბლა ჰქონდა, წყალიც რო ყოფილიყო, დგებოდა ზედა“ [3, 263].

ლანგარი ქართულ ენაში უშუალოდ სპარსული ენიდან ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილებების გარეშე შემოსული ლექსიკური ერთეულია. ქართულში ორი მნიშვნელობით დამკვიდრდა: „მუშაითა ხელ-საჭერი გრძელი ლატანი“, ანუ ჯამბაზების გრძელი ხელსაჭერი ძელი და „დიდი ბრტყელი თეფში, მრგვალი ან ოვალური (ჩვეულებრივ ლითონისა)“.

XVIII საუკუნეში ლანგარი გვხვდება როგორც საჭმლის საზომი თევზეულობის, ზეთისხილისა და ხილეულობისათვის: „ახალციხიდან და აწყვერიდან ხილი რაც საპალნე შემოვიდეს, ამისთვის ლანგრით უნდა მიერთვას მოურავს ნიხრის მიცემისათვის“ [საქ. სიძვ., II, 526] [6, 131].

როგორც „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მასალებიდან ჩანს, ლანგარი არის ვერცხლის, სპილენძის, ფაიფურის, მინანქრისაგან დამზადებული ჭურჭელი, საჭმლისათვის განკუთვნილი დიდი სინი.

როგორც ვნახეთ, „რუსუდანიაში“ ლანგარი ბარქაშთან ერთად იხსენიება და, ერთი შეხედვით, ისინი სინონიმებსაც წარმოადგენენ, მაგრამ კონტექსტი გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ შესაძლოა ბარქაში ლანგარზე იდო, ანუ, ამ შემთხვევაში, ლანგარს საჭმლის მისართმევი სხვა ჭურჭლის – ბარქაშის დასადები სინის დანიშნულება აქვს:

„... ხელმნიფემან თავისისა ფირუზის ბარქაშით საჭმელი უბოძა ერთსა მონასა: ეს იმ შიშველს გლახას მიუტანეო. მან მონამან ნაილო ..., ის თავს დააყარა და ლანგარი წამოიღო“ [1, 567₃₆].

საინტერესოა, რომ ჰ. ამიძის სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონში ლანგარის სწორედ ეს მნიშვნელობაა დადასტურებული (განსხვავებით სხვა ლექსიკონებისაგან) – „დიდი სინი, რომელზედაც დებენ სტუმრებისათვის მისართმევ საჭმლის ჭურჭელს“ [11, 2121].

ამრიგად, ლანგარი ქართულ ენაში სპარსულიდან ფონეტიკური ცვლილებების გარეშე არის შემოსული

ლიტერატურა

1. „რუსუდანინი“, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, ნინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ივ. გიგინეიშილმა, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1957.
2. ჩუბინაშვილი დ., ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და ნინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1984.
3. ქართული დიალექტის ლექსიკონი, შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, „მეცნიერება“, თბილისი, 1981.
4. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ლლონტი, „განათლება“, თბილისი, 1984
5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, I-VIII,
6. ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, წინათ და ეხლა, წიგნი III, ნაკვეთი მესამე, ქართული საფოს-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია, ტფილისი, კრებული „ჩვენი მეცნიერების“ გამოცემანი, 1925.
7. Баранов X. K. Арабско-русский словарь. Т. I-II. Ташкент. 1994.
8. Персидско-русский словарь, под редакцией Рубинчика Ю.А., I-II, «Русский язык», Москва, 1985.
9. Толковый словарь армянского языка, составил Ст. Малхасянц. Государственное издательство Армянской ССР, Ереван, 1944.
10. Чхеидзе Т.Д., Именное словообразование в персидском языке, „Мет-ინერება“, Тбилиси, 1969.
11. Amid H., Persian Dictionary, Amir Kabir Publications, Tehran, 1375. (სპარსულ ენაზე).
12. Delkhoda Aliakbar, Loghatname (Encyclopedic Dictionary), Tehran University Publications, Tehran, 1993-94. (სპარსულ ენაზე).
13. Mo'in Muhammad, Persian Dictionary, I-VI, Amir Kabir Publishing Corporation, Tehran, 1998. (სპარსულ ენაზე).
14. المنجد في العربية، بيروت، لبنان، ١٩٨٦

Lexeme 'langari' in the "Rusudaniani"

Summary

The heroic-adventure story "Rusudaniani" (XVII c.) contains a large number of lexemes expressing social relations, clothes, side-arms, jewellery, precious stones, different kinds of dishes, etc.

The present work considers the lexeme 'langari' ('tray')

Georgian *langar-i* (morph. - i is nominative case ending) is direct borrowing from Persian 'langar.' The etymology of 'langar' leads us to the Greek 'agkyra' ('anchor') that in Persian besides the meanings 'anchor,' 'perch, pole of acrobats,' 'clock pendulum,' 'haughtiness,' 'weight,' 'fence around the tomb' acquired the meaning of 'institution providing shelter and food for dervishes (wandering monks).' The Persian word 'langar,' i.e. 'a round, very big tray' is connected to this meaning. It seems that the tray was used for carrying meals (mainly pilaw) to Sufis at shelter.

Georgian 'langar-i' is the lexical unit directly borrowed from Persian without any phonetic modification. The word has implanted in Georgian with two meanings: 'a long pole for acrobats' and 'a big plain dish that is round or oval (usually made of metal).'

„თარის-ე სისტანის“ ერთი ადგილის გაგვიანათვის

ანონიმურმა თხზულებამ „თარის“-ე სისტანმა“ შემოგვინახა რუდაქის (Xს.) ყასიდა „მნდარ-ე მეჲ“ („ღვინის დედა“). ამ ლექსში პოეტმა ოსტატურად გადმოსცა ღვინის დამზადების ტექნოლოგია, ყურძნის დამწიფებიდან მაჭრის დაღვინებამდე. ევგენი ბერტელსი აღნიშნავდა, რომ „მნდარ-ე მეჲ-ის“ მსგავსი ყასიდა „ახლო აღმოსავლეთის პოეზიაში არ მოიძებნება“ (ე. ბერტელსი, გვ. 144).

თხზულების ტექსტში, რომელიც თეირანის ხელნაწერის მიხედვით 1935 წელს ცნობილმა პოეტმა და მეცნიერმა მალექ ოშ-შოარა ბაჰარმა გამოსცა, ამ ყასიდაშია წარმოდგენილი:

ხოდ ბედავიდი ბე სნე ფეიქე მორათაბ,
ხედმათე ურჲ გერეიქთე ჯამე ბე დანდნ
ვითარცა მაცნე თავად გავიქცეოდი
მის სამსახურში ტანსაცმლით კბილებში.

„ჯამესთან“ დაკავშირებით სქოლიოში შემოთავაზებულია ვარიანტები: „ჩამე“ „ნამე“ და „ხამე“. საქმე ის გახლავთ, რომ თეირანის ხელნაწერში არ არის დაცული სათანადო გრაფემებთან დიაკრიტიკული ნერტილების ხმარების ნორმები. მაგალითად, „ჩ“-ს დართული აქვს ერთი ნერტილი და არა სამი. მ. ბაჰარი ძირითად ტექსტში გვთავაზობს „ჯამე ბე დანდნს“, მაგრამ, როგორც ჩანს, ცალსახად არ გამორიცხავს სხვა ვარიანტებსაც.

თბილისურ და პარიზულ ნუსხებში, რომლებსაც მ. ბაჰარი არ იცნობდა, იკითხება „ჯამე ბე დანდნ“. ამრიგად, სახეზეა ტექსტის ვარიანტები:

ვითარცა მაცნე	„ჯამე ბე დანდნ“ ტანსაცმლით კბილებში
თავად გავიქცეოდი	„ჩამე ბე დანდნ“ ლექსით კბილებში
	„ხამე ბე დანდნ“ კალმით კბილებში
	„ნამე ბე დანდნ“ წერილით კბილებში

მ. ბაჰარის გამოცემის შემდეგ რუდაქის პოეზიის ისეთმა ცნობილმა მკვლევარებმა და გამომცემლებმა, როგორებიც იყვნენ საიდ

ნაფისი (ს.ნაფისი, გვ. 508), აბდულლანი მირზოევი (ა. მირზოევი, გვ. 32), იოსებ ბრაგინსკი (ი. ბრაგინსკი, გვ. 98), უპირატესობა მიანიჭეს ვარიანტს -

„ჩამე ბე დანდანს“ - „ლექსით კბილებში“.

1976 წელს „თარბი“-ე სისტემის რუმში გამოცემულ ინგლისურ თარგმანში ვკითხულობთ „poem between my teeth“ (გვ. 264), მაგრამ ლენინგრადელმა ირანისტმა ლიდია სმირნოვამ მის მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანში შემდეგნაირად გადმოსცა ჩვენთვის საინტერესო ბეითის შინაარსი:

Я бы сам побежал, как назпаченный вестник
На службу к нему закусив зубамы полы своего халата
(ლ. სმირნოვა, გვ. 309).

უნდა აღინიშნოს, რომ სპარსული ენის გრამატიკული ნორმების თვალსაზრისით აღნიშნული ოთხი შესიტყვება ტოლფასია, მაგრამ იბადება კითხვა, რომელი მათგანი ესადაგება რუდაქის პოეტურ ხედვასა და მხატვრულ-ესთეტიკურ გემოვნებას.

წერილობით ძეგლებში და ლექსიკონებში ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ „ჩამე ბე დანდან“, „ხამე ბე დანდან“ და „ნამე ბე დანდან“. რაც შეეხება კონსტრუქციას „ჯამე ბე დანდან“ ან „ჯამე დარ დანდან“ - „ტანსაცმელი კბილებში“, იგი წარმოდგენილია კლასიკური პერიოდის პოეტებთან, კერძოდ ფარიდედინ ათართან, სანაისტან და ზოგიერთ ლექსიკონში. მაგალითად, მ. გაფაროვის ლექსიკონში „ჯამე ბე დანდან გერექთან“ განმარტებულია შემდეგნაირად: „Быстро бежать, буквально - ухватить платок в зубы“ (მ. გაფაროვი, გვ. 205).

შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რა კავშირშია სწრაფად, აჩქარებულად სირბილი კბილებით ტანსაცმლის დაჭერესთან.

ირანელი მკვლევარი ა. რავაყი, აღწერს რა ირანის სამხრეთით მდებარე ნახევრად უდაბნოში მცხოვრებ ტომთა ყოფითსა და ენობრივ თავისებურებებს, გვთავაზობს ასეთ ინფორმაციას: „მათი ტანსამოსი წარმოადგენს გრძელ პერანგს, რომელსაც „დაშდოშას“ უწოდებენ. იგი აღწევს ფეხის კოჭებს. სირბილის დროს ეს გრძელი პერანგი ფეხებში ეხლართება კაცს და იგი იძულებული ხდება ტანსაცმლის კალთა კბილებით დაიჭიროს, რათა ადვილად შეძლოს სირბილი. მეტყველებაში ეს ასახულია შესიტყვებებში - „დაშდოშა

ვე დანდუნ“, „ჯუმა ვე დანდუნ გერთან“ ალეგორიულად ეს ნიშნავს „აჩქარებით, აჩქარებულად“.

ამრიგად, „ჯამე ბე დანდან“ დადასტურებულია კლასიკური პერიოდის ავტორებთან და ლექსიკონებში. იგი იხმარება ზეპირ-მეტყველებასშიც და, რაც არანაკლებად მნიშვნელოვანია, მას ჩვენ დროშიც აქვს რეალური ყოფითი, ეთნოგრაფიული საფუძველი.

აღნიშნული გვაძლევს საფუძველს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ალბათობა იმისა, რომ რუდაქიმ იხმარა „ჯამე ბე დანდან“ გაცილებით დიდია სხვა განხილულ ვარიანტებზე.

რუდაქის პოეზიის მეცნიერული გამოცემის ტექსტში უნდა იყოს:

ხედმათე ურნ გერეჟთე ჯამე ბე დანდან.

ლიტერატურა:

1. ე. ბერტელსი, Е. Э Бертельс, История персидско-таджикской литературы, М., 1960.
2. ი. ბრაგინსკი, Рудаки, Стихи, редакция и комментарии И.С. Брагинского, М., 1964.
3. მ. გაფაროვი, М.А. Гаффаров, Персидско-русский словарь, I, М., 1974.
4. ა.მირზოევი, А. Мирзоев, Осорн Рудаки, Сталинобод, 1958.
5. ს. ნაფისი, S Nafisi, Mohite zendegi va ahvāl va āsāre Rudaki, Tehrān
6. ლ. სმირნოვა, Тарих-и Систāн. Перевод, введение и комментарии Л.П. смирновой, М, 1974.
7. თარხიბ-ე სისტანის ინგლ. თარგმანი, The Tārikh-e Sistān, Translated by Milton Gold, Roma, 1976.

JEMSHID GHUNASHVILI

On the Interpretation of a Fragment of the “Tārikh-e Sistān”

Summary

In the major source of the history of Eastern Persia, Afghanistan and Central Asia edited by M. Bahar (1935), a fragment of a poem by Rudaki (X c.) is published:

Khod bedavidi be sāne paykc moratab.
khedmate ura gerefte jāme be dandān
I would run to him like a courier,
to serve him, my dress between my teeth.

Taking into account the peculiarities and possibilities of conjectural readings, the editor in his foot-notes presented some variants: *čāme be dandān* – ‘Poem between teeth.’ *khāme be dandān* – ‘pen between teeth.’ *nāme be dandān* – ‘Letter between teeth.’

In most editions and translations of the poem we have *čāme be dandān*, for instance, in “The *Tārikhe Sistān*.” translated by Milton Gold. Roma, 1976, p. 264- ‘poem between my teeth.’

In literary and lexicographical sources and ethnographical materials we can find – *jāme be dandān*, *jāme dar dandān*, *dashdosha* (a very long and loose shirt) *be dandān*, *dashdosha dar dandān*.

While running with speed one must raise the hem of *dashdosha* or hold *dashdosha* between teeth.

ზოგიერთი ეტიკეტური ნორმის შესახებ ქართულსა და საარსულში

(საჩუქარი)

ეტიკეტის, როგორც თავაზიანობის, მორალური და ზნეობრივი ნორმების ერთობლიობის, ჩამოყალიბება ადამიანთა შორის ხანგრძლივი დროის მანძილზე მონესრიგებული და კანონზომიერი ურთიერთობის შედეგია. ამ ნორმათა გარეშე ნარმოუდგენელი იქნებოდა საზოგადოებრივი ცხოვრება.

ეტიკეტი (ფრანგ. etiquette) ყველა დროისა და საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი. ყოფით ურთიერთობებში კარგად აისახება ამა თუ იმ ხალხის როგორც ისტორიულ-კულტურული განვითარების საფეხურები, ასევე გავრცელებული რელიგიური შეხედულებანი. ეტიკეტის მნიშვნელობას ჯერ კიდევ შორეულ წარსულში მიხვდნენ. დიდი ხნის ისტორია აქვს აგრეთვე ამ საკითხის შესწავლასაც [2].

თანამედროვე საზოგადოებაში თავაზიანობისა და ტაქტის ინსტიტუტს, სამეტყველო ეტიკეტის ნორმებს დიდი ყურადღება ექცევა. კულტურული ადამიანი ცდილობს დაიცვას ეტიკეტური ნორმები ნებისმიერ სიტუაციაში შინ და გარეთ: სამსახურში კოლეგებთან, სახლში - ოჯახის წევრებთან და ა.შ. არსებობს აზრი, რომ ეტიკეტის წესები უსარგებლო ფორმალობა და ანაქრონიზმია, რომელიც თავის უკანასკნელ დღეებს ითვლის [6]. სინამდვილეში, ეტიკეტი თავისი ნორმებითა და წესებით უფრო და უფრო მყარდება ყოველდღიურ ცხოვრებაში და გარემოებათა მიხედვით განიცდის შესაბამის ცვლილებებს.

ტიპოლოგიური თვალსაზრისით ეტიკეტი, მასში გაერთიანებული მსაგავსი და განსხვავებული ნორმებითა და წესებით, საინტერესო სურათს გვიხატავს. იგი, ზოგადად, საერთოა ყველასათვის, მაგრამ ამასთანავე არაა ერთგვაროვანი და უნივერსალური; სხვადასხვა ხალხში დატვირთულია კონკრეტული ეთნოკულტურისა და სოციუმისათვის დამახასიათებელი ტრადიციებითა და ზნე-ჩვეულებებით. შესაბამისად, ეტიკეტური ნორმები და მათი დაცვის წესებიც განსხვავებულია; ის, რაც ნორმაა ერთი საზოგადოებისათვის, შეიძლება მიუღებელი და უცხო აღმოჩნდეს მეორისათვის.

პირობითად განასხვავებენ ეტიკეტურ ნორმათა ორ მიმართულებას – დასავლურსა და აღმოსავლურს [3,14-15].

„დასავლური“ ეტიკეტი საგანგებოდ არის ორიენტირებული ინდივიდის ცხოვრების საგარეო მხარეზე. იგი არეგულირებს მხოლოდ იმას, რაც ამა თუ იმ მიზეზით იკრძალება და შეუფერებელად მიიჩნევა კულტურული საზოგადოებისათვის. მიუხედავად არსებული ნორმების და აკრძალვებისა, დასავლურ ეტიკეტში ადამიანს შეუძლია საკუთარი ინდივიდუალურობის გამომჟღავნება. აღმოსავლური ეტიკეტი უფრო რიტუალურია, არ დაუშვებს საზოგადოდ მიჩნეული ნორმებიდან გადახვევას. აქ ყოველ სიტყვასა და ქცევას თავისი დანიშნულება აქვს.

ეტიკეტური სიტუაციები მრავალფეროვანია: მისალმება, მოკითხვა, მადლიერების გამოხატვა, მობოდიშება, დაპატიჟება, შეთავაზება, დალოცვა, მილოცვა, დამშვიდობება, ქათინაური, თანაგრძნობის გამოხატვა და ა.შ. ასევე, მრავალფეროვანია ამ სიტუაციებთან დაკავშირებული ქცევის ნორმები და მათი გამომხატველი თავაზიანი ფრაზები.

მრავალფეროვან ეტიკეტურ სიტუაციათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია საჩუქარი. იგი, როგორც ეტიკეტური სიტუაციის განმაპირობებელი მოვლენა, რამდენიმე საკითხს მოიცავს. ესენია: საჩუქრის შერჩევა-მირთმევისა და მიღება-გამორთმევის წესები, თავაზიანობისა და მადლიერების გამომხატველი ვერბალური ფორმულები და სხვ. განვიხილავთ აღნიშნულ საკითხებს ქართულსა და სპარსულში ტიპოლოგიური თვალსაზრისით.

არ არსებობს ქვეყნად ადამიანი, რომელიც გულგრილი რჩება საჩუქრის მიმართ.

საჩუქარი მრავალნაირია. საჩუქარი შეიძლება გამიზნული იყოს დაბადების დღის, ქორწილის ან სხვა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნად გამართული წვეულებისათვის. საჩუქარი შეიძლება იყოს ზედმინევენით პირადი ხასიათისაც.

საჩუქრის მოფიქრება მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. საჩუქარში კარგად ჩანს მჩუქებლის ხასიათი, გემოვნება და დამოკიდებულება იმ ადამიანისადმი, ვისთვისაც იგი შეირჩა.

საჩუქარზე ფიქრის დროს გასათვალისწინებელია ის გარემო, რომელშიც მისი გადაცემა უნდა მოხდეს და, რაც მთავარია, ადრესატის ადგილი და მნიშვნელობა მჩუქებლის ცხოვრებაში (ნაცნობი, მეგობარი, თანამშრომელი, ნათესავი, ოჯახის წევრი, შეყვარებული...). სიტუაციიდან გამომდინარე, საჩუქარი შეიძლება იყოს სიმბოლური, ან საგულდაგულოდ შერჩეული, ზოგჯერ – ძვირფასიც.

აუცილებელი არ არის საჩუქარი უსათუოდ ძვრფასიანობით გამოირჩეოდეს. ასეთმა საჩუქარმა შეიძლება უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდოს მისი ადრესატი და იქ დამსწრე საზოგადოებაც, თუ საჩუქრის მირთმევა ხდება წვეულების ყველა სტუმრის თვალწინ. ამიტომ საჩუქრის შექმნისას სასურველია გათვალისწინებულ იქნეს არა მარტო მჩუქებლის შესაძლებლობები, არამედ იმ ადამიანის მატერიალური მდგომარეობაც, ვისთვისაც მას შეარჩევენ [6].

საჩუქრის მიღებასაც თავისი ეტიკეტური ნორმები აქვს. ისევე, როგორც ყოველ ეტიკეტურ სიტუაციას ახასიათებს სპეციფიკური ქცევის წესები და ნორმები, საჩუქრის მიღებაც სხვადასხვა ნორმებითაა შეზღუდული.

თუკი დასავლური ეტიკეტის მიხედვით სავალდებულოა საჩუქრის მიღებისთანავე, მჩუქებლის თანდასწრებით მისი გახსნა, აღფრთოვანებისა და სიხარულის გამოხატვა და ამით მჩუქებლისადმი მადლიერებისა და თავაზიანობის ჩვენება, აღმოსავლეთში ეს პროცესი უფრო მოკრძალებულია გრძნობათა გამოხატვის თვალსაზრისით. დასავლეთში საჩუქრის გაუხსნელად დატოვება წვეულების ბოლომდე არათავაზიან საქციელად ითვლება, გარდა ამისა მჩუქებელი შეიძლება განანწყენდეს კიდევ [6], ასევე ხდება საქართველოშიც (სავარაუდოა, რომ ეს დასავლური გავლენა უფროა, ვიდრე ტრადიციული ჩვევა, წესი), აღმოსავლეთში, კერძოდ ირანში არაა მიღებული საჩუქრის მაშინვე, მჩუქებლის თანდასწრებით გახსნა, ამჯობინებენ მიღებული საჩუქრების გაუხსნელად შენახვას, და წვეულების დამთავრების შემდეგ ოჯახის წევრებთან ერთად დათვალიერებას.[4, 109-110]; [7].

საჩუქარი, როგორც მოვლენა, მოიცავს მნიშვნელოვან ეტიკეტურ აქტს – მადლიერების გამოხატვას.

საჩუქრის მიღება წარმოუდგენელია მადლობის გამომხატველი თავაზიანი ფორმულების გარეშე.

ქართულში მადლიერების გამომხატველი სიტყვაა *მადლობა*. იგი ლექსკურ წყვილს ქმნის სიტყვებთან *დიდი*, *ულრმესი*: *დიდი მადლობა*; *ულრმესი მადლობა*; ასევე იხმარება მისი ზმნური ფორმა, მეორე ობიექტური პირით გამოხატული: *გმადლობ(თ)*[1].

სპარსულში მადლიერება გამოიხატება გამოთქმებით: *ممنون* 'მამნუნამ'; *متشكر* 'მოთაშაქერამ'; *سپاسگزارم* 'სეფასაგოზარამ' (ამოსავალია სიტყვები : *سپاسگزار*, *تشكر*, *ممنون*). ხშირად ისმის ფრანგული სიტყვა „მერსი“ *مرسى*

გარდა ცალკეული სიტყვებისა, იხმარება მადლიერების გამომხატველი უამრავი ფორმულა:

سايه شما كم نشه 'საიე შომა ქამ ნაშე'

„თქვენი წყალობა ნუ მოგვაკლდეს“

از شما متشكرم 'აზ შომა მოთაშაქერამ'

„გმადლობთ / თქვენი მადლიერი ვარ“

خدا سايهتان را از سرمان كم نكند

'ხოდა საეთან რა აზ სარემან ქამ ნაქონად'

„ღმერთმა თქვენი წყალობა ნუ მოგვაკლოს“

لطف شما زياد 'ლოთფე შომა ზიად'

„დიდი თქვენი წყალობა“

از مراحم شما بسيار سپاسگزارم 'აზ მარაჰმე შომა ბესიარ

სეფასგოზარამ'

„მადლობელი ვარ თქვენი, გულისხმიერების გამო“

سست شما درد نكند 'დასთე შომა დარდ ნაქონე'

„მადლობა / გმადლობთ“

سر شما درد نكند 'სარე შომა დარდ ნაქონე'

„მადლობა / გმადლობთ“

ეტიკეტი მჩუქებლის მხრიდანაც მოითხოვს მადლობაზე პასუხის გაცემას. ქართულში ამ მიზნით იხმარება სიტყვა *არაფრის*, ამ სიტყვით მჩუქებელი გამოხატავს, რომ განუული მცირე გარჯისა და ხარჯისათვის ამდენ თავაზიანობას და მადლობას არ იმსახურებს. მადლობის საპასუხოა გამოთქმები: *რას ამბობ, რისი მადლობა! რაც შემიძლო, ის გავაკეთე!*

სპარსულში:

قابلي ندر 'ყაბელი ნადარად'

„არაფრის“

ارزشي ندر 'არზეში ნადარად'

„ამად არ ღირს“

نميآرزد 'ნემიარზად'

„რას ამბობ, არ ღირს“

اختيار داري 'ეხთიარ დარიდ'

„ნუ ამეტებთ“

مرا (بنده را) شرمنده ميكنيد 'მარა (ბანდე რა) შარმანდე მიქონიდ'

„მე (თქვენს მონა-მორჩილს) მარცხვენთ“

خواهش مي كنم 'ხაჰემ მიქონამ'

„არაფრის“

მათი მნიშვნელობები შეესაბამება ქართულ გამოთქმებს: *არაფრის! აბა რას ამბობთ! ნუ მარცხვენთ! ნუ გამანითლეთ! არ ღირს! დიდი არაფერია და ა.შ.*

ირანში არსებობს საჩუქრის კიდევ ერთი სახეობა, რომელსაც 'სოუყათ'-ს უწოდებენ. ესაა საჩუქარი, რომელიც მოგზაურობიდან დაბრუნებულ ადამიანს ჩამოაქვს ახლობლებისათვის, რაც ყველაზე მეტად საინტერესოა. 'სოუყათ'-ის ჩამოტანა, შეიძლება ითქვას, სავალდებულოც კია და იგი სიმბოლურ ხასიათს ატარებს. ის, როგორც წესი, პატარა სუვენირს წარმოადგენს.

საზოგადოდ მიჩნეულია, რომ საჩუქარი არ მოითხოვს საპასუხო საჩუქარს. მაგრამ სინამდვილეში მირთმეული საჩუქრის ადრესატი თითქმის ყოველთვის თავს „ვალდებულად“ თვლის, რომ მჩუქებელს ნებისმიერი ხელსაყრელი სიტუაციის შექმნისას საკადრისი მადლობა გადაუხადოს ისევ საჩუქრის სახით.

საჩუქარი, როგორც ინსტიტუტი, მეტად რთული და საინტერესო თემაა. იგი მრავლისმომცველია და მასში ერთიანდება სოციოეთნოკულტურულ საკითა მთელი რიგი. ამჯერად მისი ზოგადი მიმოხილვით შემოვიფარგლეთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აფრიდონიძე შ., მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქციონირება ახალ ქართულში, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2003.
2. ე. გოგალაძე, ფატიკური კომუნიკაციისა და სამეტყველო აქტების შესახებ სპარსულში, საენათმეცნიერო ძიებანი (22), თბილისი, 2006.
3. Энциклопедия Этикета, М., 2001.
4. تهران 1380 چهگونه معاشرت باشیم محمد تقی صالحی
5. آداب معاشرت برای همه تهران 1383
6. www.geo-pro.org/ctiket.html (ქართულ ენაზე).
7. www.kwitesential.co.uk/resources/global-etiquette/iran-country(ინგლ. ენაზე).

EKATERINE GOGALADZE

On Some Norms of Etiquette in Georgian and Persian Languages (Gift)

Summary

Etiquette is a set of formal rules of behavior regarded as correct or polite in social life.

The main etiquette situations are: greetings, farewells, thanks, apologies, invitations, offers, blessings, phrases of expressing condolence and others.

The present article analyses one of the etiquette situations - formal rules and norms of giving and accepting a gift.

კვლავ „ვეფხისტყაოსნის“ *ქაჯთა* სემანტიკისთვის

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკაში სიტყვა *ქაჯის* ხმარების შემთხვევები რელევანტურია როგორც სემანტიკური, ასევე ფუნქციური თვალსაზრისით. ამ მხრივ აშკარად იკვეთება ორი ჯგუფი, რომელთაგან პირველი ტროპული ფუნქციითაა დატვირთული (შედარება, მეტაფორა, სიმბოლო) და სახეებით გარკვეული შინაარსის მატარებელია. იგი ემთხვევა ხსენებული სიტყვის მითოსურ გაგებას და აღნიშნავს, როგორც საბა იტყოდა, „მაცთურთა რასმე... საემმაკოთა“: „ვითა ქაჯი დაგვემალე“ (288);* „ულონიოდ მართალ იყვნეს, რომელთაცა ქაჯად თქვიან“ (192); „მან უამბო დაეარ ქაჯსა“ (575); „მამიდაი ქაჯი იყო, გრძნეულობა იცის კარგა“ (1585).

იგივე სიტყვა, უმეტესად მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილი (ქაჯნი), პოემაში იხმარება არა ტროპული, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით და აღნიშნავს რეალურად არსებულ ხალხს, ხორციელს, პოემის პერსონაჟებს, რომელთაც სიუჟეტში არცთუ უკანასკნელი როლი ენიჭებათ, ვინაიდან მათთან აღმოჩნდება დაკავშირებული მთავარი კვანძის გახსნის პრობლემა. მაგრამ სწორედ მნიშვნელობაა მისი დაბინდული, ვინაიდან ამ სახელწოდებით აღნიშნული ეთნიკური ცნება არ არის ცალსახა და თვით პოემის პერსონაჟებისთვისაც კი ერთნაირად გასაგები. ამიტომაც ინვეს იგი მკვლევართა და ინტერპრეტატორთა ცხოველ ინტერესს და ხშირად ურთიერთგამომრიცხველ მოსაზრებებს. ჩვენს ამჟამინდელ ინტერესსაც ამ მეორე ჯგუფის სემანტიკა წარმოადგენს, მაგრამ იმის გასარკვევად, თუ რა მემკვიდრეობა დახვდა ამ მხრივ რუსთაველს, თავს ნებას მივცემთ წარმოვადგინოთ მცირე ექსკურსი ხსენებული პირველი ჯგუფის – ე. ი. მითოსური პერსონაჟის აღმნიშვნელი *ქაჯ* ტერმინის ისტორიიდან.

ეტიმოლოგიურად ეს სახელი უკავშირდება სპარსულ სიტყვას *ქაჯ* (ჯ), რაც ნიშნავს მრუდეს, მცდარს, არასწორს, ე. ი. ნორმიდან გადახრილს, ტრანსცენდენტულს. სახელდების მოტივაცია აქ იმავე მოდელისა ჩანს, რაც *სატანის* შემთხვევაში გვაქვს (ძვ. ებრაულში სატან=მონინააღმდეგე; ანგელოზ *სატან* – ბოროტი სული). სპარ-

* სტატიაში დამონებულია „ვეფხისტყაოსნის“ 1951 წლის აკადემიური გამოცემა [1].

სულ დემონოლოგიაში *ქაჯ* სახელწოდების პერსონაჟი არ ჩანს. ქართულში ეს სახელი შედარებით გვიანდელი ნასესხობა უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ქართული ლიტერატურის დოკუმენტური ისტორიის უძველესი ძეგლები მას არ იცნობს, ფოლკლორული მონაცემების გათვალისწინება კი, სამწუხაროდ, ვერ ხერხდება ძველი ჩანაწერების უქონლობის გამო. რუსთველის წინამორბედი ხანის სამი ძეგლი („ქართლის ცხოვრება“, „ვისრამიანი“, „ამირანდარეჯანიანი“) იცნობს ამ სახელს. მათგან ყველაზე საგულისხმო „ვისრამიანის“ მონაცემებია, ვინაიდან სპარსული დედნის არსებობა შესაძლებელს ხდის სიტყვის სემანტიკური ველის გათვალისწინებას. ირკვევა, რომ „ვისრამიანის“ ქართველი მთარგმნელისათვის ცნება *ქაჯი* (რომელსაც იგი 11-ჯერ ახსენებს და მათგან 10 შემთხვევას დედანი შეესატყვისება), არ არის მხოლოდ ოდიოზური. იგი, მსოფლიო მითოსის ბევრი პერსონაჟის სახელის მსგავსად, ამბივალენტური შინაარსისაა და თანაბრად ესადაგება კეთილსა და ბოროტ სანყისს (სპარსულ დედანში მისი შესატყვისებია: ფერია, ჰურიია, ღმერთი, ანგელოზი, კერპი – ერთი მხრივ, და დევი, ჯადო – მეორე მხრივ), ხოლო კონტექსტი ხშირად ხაზს უსვამს ქაჯისა და კაცთა მოდგმის ანტონიმურ შინაარსს (ქაჯი=უხსეულო არსება): „გუარად არცა ქაჯი ხარ და არცა ანგელოზი, ერთი ჩუენგანი ხარ, მინისაგანვე დაბადებული“ [2, 98]. ხან უჩვეულო სილამაზის სინონიმია: „მიჩუენა ანაზდეულად ქაჯისაგან უტურფესი პირი“ (2, 75).

ამ მემკვიდრეობას ეყრდნობა „ვეფხისტყაოსნის“ *ქაჯის* ზემოთ ნახსენები პირველი ჯგუფის სემანტიკა, ოღონდ რუსთველისათვის იგი ერთნიშნად ოდიოზური შინაარსისაა.

რაც შეეხება იმავე სიტყვის ხმარების შემთხვევათა მეორე ჯგუფს – ეთნოსის აღმნიშვნელ სახელწოდებას – მისი შინაარსი ვერ დაიყვანება პირველზე და ვერც მხოლოდ ფოლკლორული მონაცემებით აიხსნება ბოლომდე, თუმცა ეთნოსის მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა *ქაჯნი* მთლად თავისუფალი არ არის მითოსური შინაარსისგან, რადგან ამ სახელის მატარებელ ხალხს ზებუნებრივი, ექსტრასენსორული თვისებები მიენერება:

„*კაცნი*, გრძნებისა მცოდნენი, ზედა გახელოვნებულნი“ (1247), (მაგრამ მაინც – კაცნი!), რაც სრულიად გაუგებარია ავთანდილისთვის: „ქაჯნი ყველა უხორცოა, რამან შექმნა ხორციელად?“ (1245); „მაგრა ქაჯნი უხორცონი რას აქნევენ, მიკვირს, ქალსა?“ (1246).

სწორედ ავთანდილის ამ სიტყვებითაა გამოხატული ცნება *ქაჯის* სემანტიკის მითოსური შინაარსი, როგორც რუსთველის

თანამედროვე, ასევე ყველა დროის ქართველის წარმოდგენაში. ხოლო ფატმანის პასუხი-განმარტება – „არ ქაჯნია, კაცნიაო“ – იმ ფენომენის არსია, რაც „ვეფხისტყაოსნის“ *ქაჯების* ცნებით არის ცნობილი და ორ სანყისს აერთიანებს: ფიზიკურსა და მეტაფიზიკურს. ეს უკანასკნელი მხოლოდ ნომინალურად, დეკლარაციულადაა წარმოდგენილი (ქაჯთა ზებუნებრივი თვისებების ჩამოთვლა ფატმანის მიერ) და პოემის მანძილზე არსადაა რეალიზებული მათი ექსტრაორდინარული უნარი. ქაჯთა ტომის ცნება პოემაში ავტორისაგან მოდელირებულ ერთგვარ კონგლომერატად წარმოგვიდგება, რომელიც უჩვეულო უნდა იყოს მისი მკითხველისათვის, რადგან ავტორის მიერ შემოთავაზებული იერ-სახე ქაჯებისა ამკარად სცილდება იმ ცოდნას, რაც პოემის ქართველ მკითხველს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ მშობლიური ფოლკლორისა და მითოლოგიის დონეზე. ამიტომ ხსნის ავტორი ასე გულმოდგინედ მის შინაარსს, თითქოს შიშობს, არ მოხდეს მითოსის პერსონაჟებთან სრული გაიგივება.

ქაჯთა კაცებრივი თვისებებით შემკობას რუსთველოლოგთა ერთი ნაწილი ავტორის რეალისტური ტენდენციების სათვალავში რიცხავს და ამოსავალ სანყისად *ქაჯის* მითოსურ შინაარსს მიიჩნევს, რის შედეგადაც მიიღება ერთგვარი მოდელი „გაადამიანურებული ქაჯისა“ [3, 66]. ჩვენ გვეჩვენება, რომ, პოემის მიხედვით, ამ ცნებაში მეორე სანყისი – კაცებრივი, ხორციელთა თვისებაა ამოსავალი და ნამყვანიც, იგია მთავარი იმპულსი მოცემული ცნების იმ შინაარსით ასავესებად, რომელიც სიუჟეტის ზედაპირზე ძვეს. ჩვენ ხაზს ვუსვამთ *სიუჟეტის დონეს*, ვინაიდან ფაბულის სიღრმისეულ ნიაღში მართლაც საგულისხმოა განსახილველ ცნებაში დაშიფრული არქეტიპი ბოროტი ძალისა, მაგრამ სიუჟეტად მისი გაშლისას რუსთაველი განსაკუთრებული გულმოდგინებით უსვამს ხაზს მის მიერ დახასიათებული ტომის მითოსური არსებებისგან განსხვავებულობას.

როგორც ჩანს, ქაჯთა ფენომენი „ვეფხისტყაოსანში“ მარტო ავთანდილის კი არა, რუსთველოლოგთა გაკვირვებასაც იწვევს, რადგან ახალი დროის რუსთველოლოგიაში ცოტა ავტორს აუვლია მისთვის გვერდი (პოემის პირველ კომენტატორებს – ვახტანგ VI-სა და თეიმურაზ ბატონიშვილს *ქაჯისთვის* ყურადღება არ მიუქცევიათ). არსებობს როგორც ფონეტიკურ-ეტიმოლოგიური პარალელების ძიების, ასევე – სიმბოლურ-მხატვრული ფუნქციის გარკვევის ცდები. მაგალითად, პ. მირიანაშვილი მას უკავშირებდა სომხურ

ქაჯს, რაც ნიშნავსო ღონიერს. ქაჯაპაე – საარაკო გრძნეული [4, 11]. ზ. ავალიშვილი ყურადღებას ამახვილებდა სამხრეთ ავღანეთში მცხოვრებ თურქულ ტომზე, რომელსაც ეწოდება ქალჯ [5, 101-102]. მ. ჯანაშვილს ეს ლექსიკური ერთეული გამოჰყავდა ეთნიკური სახელიდან *კლარჯი* და იმონმებდა I ს. ისტორიკოსის – პომპონიშელას ცნობას იმის შესახებ, რომ კასპიის ზღვის ზემოთ ცხოვრობენ ქაჯნი, ჰირკანნი და იბერნი [6, 69]. ა. სვანიძე ქაჯეთს ესპანურ მავრიტანიაში, გიბრალტალში ეძებდა [7, 252-272], ვ. ნოზაძე – თანამედროვე ინდოეთის *კაჩის* ოლქში [8, 321-322], შ. ჩიჯავაძე კი – „ქაჯის/ქაჯეთის პროვინციაში“ [9].

მკვლევართა უმრავლესობა „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯებს ფანტასტიკურ, მითურ არსებებად მიიჩნევენ, რითაც ხაზს უსვამენ პოემის სიახლოვეს ქართულ ფოლკლორთან [10, 121; 11, 56-57; 12, 178; 13, 179-197...].

შ. ნუცუბიძის შენიშვნით, „... *каджей* в поэме Руставели служат средством художественного выражения для определенных действий и людей. Тем не менее, никак нельзя отрицать, что это представление заимствовано из грузинской народной сказки, где оно получило соответствующее оформление и образ. *Руставели не меняет этот образ, начиная от его внешнего выражения вплоть до его внутреннего смысла*, но откидывает тот фантастический плюс, который делал этих чудовищ реально существующими и чем-то отличными от людей. Само собой разумеется, что Руставели мог сделать из образа «каджей» то употребление, которое допускалось его временем и, соответственно, его миропониманием, но способ применения... не меняет... путей происхождения. Последнее было и остается связанным с грузинской народной сказкой – одним из истоков творчества Руставели (11. 57). აქვე ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქაჯთა ეპიზოდის მხატვრულ ფუნქციაზე: *Образ этих страшных людей был нужен Руставели для оттенения печальной участи прекрасной Нестан, попавшей в плен к безобразным людям с «некротким ликом». Руставели хорошо знал законы контраста при накладывании красок, и картина безобразной охраны при красавице Нестан делается весьма ощутительной через этот контраст*“ (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – ი. კ.).

არაფერი გვეთქმის ავტორის ამ დასკვნის სანინააღმდეგოდ – ნესტანის ქაჯეთში ტყვეობის პასაჟი მართლაც ინვეს კონსტრასტის მხატვრულ ეფექტს, რადგან პოემის მიხედვით ქაჯები ოდიოზურ ცნებად ნივთდება მკითხველის ცნობიერებაში, მაგრამ – არა

მათი უსახურობის გამო, როგორც მკვლევარი მიუთითებს (ნაჰინრაჟ-ნიჟნი. სტრაჟნიჟნი. ყაჟაშიაჟი), არამედ იმ ფუნქციის გამო, რომელიც მათ სიუჟეტში აქვთ დაკისრებული. ესაა მათი მძლავრობა და გადაულახავ დაბრკოლებად ქცევა მთავარ გმირთა ბედნიერების გზაზე. დატყვევებული ნესტანის ძრწოლა მისი გამტაცებელი ქაჯების წინაშე ქაჯთა უძლეველობის რეპუტაციას უფრო უკავშირდება, ვიდრე მათი გარეგნობის რაიმე დეფექტს. დასკვნა ქაჯთა უსახურობის, მით უმეტეს – შავკანიანობის შესახებ, რასაც ზოგი სხვა მკვლევარიც [9] და პოემის ზოგიერთი ილუსტრატორიც უსვამს ხაზს, ტექსტის არაადეკვატური ინტერპრეტაციის შედეგია. ეპითეტს *нехотривный* შ. ნუცუბიძე ხმარობს ცნობილ სტრიქონში იმ ეპიზოდთან, სადაც მამიდა დავარისაგან ნესტანის უმონყალოდ ცემის შემდეგ „ნამოდგეს ორნი მონანი, პირითა მით ქაჯებითა“ (580): „Перед ней они предстают, нехотривны слово каджни“. აქ ქაჯები მხატვრული შედარების ფუნქციის მქონეა და შესადარებელ ობიექტად მითური ქაჯები (და არა – ქაჯეთის ციხეში მცხოვრები ხალხი) იგულისხმება. ტროპის შინაარსია – *ქაჯებივით მახინჯები* (გონჯი, ელამი. შდრ. სპარსული ქაჯ (ჯა)–ელამი). ამიტომ რუსული *нехотривный* აქ სავსებით გამართლებულია, რადგან მენავენი მართლაც შავკანიანები არიან (იხ. ფატმანის ნაამბობიდან: „ორთა კაცთა, ტანად შავთა, თვით პირიცა ედგა შავი“, – 1129; „შავნი ვნახენ მეტად წყენით“, – 1134). მაგრამ საეჭვოა, მათ კავშირი ჰქონდეთ ქაჯეთის ქვეყნის ხალხთან. მათი გაიგივება რამდენიმე დებულებების არასწორ დედუქციას ემყარება: 1. დავარი ქაჯეთს იყო გათხოვილი, 2. მისი მონებიც ქაჯები (? – ი. კ.) არიან. 3. მონები შავკანიანები არიან, ე. ი. ქაჯები შავკანიანი ტომია. მაგრამ ამ სილოგიზმში ერთი მოცემულობა მცდარია, რადგან პოემის ტექსტით არ არის დადასტურებული, რომ დავარის ორი მონა, შემდეგში – მენავენი – ქაჯები არიან. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ფრაზის („პირითა მით ქაჯებითა“) *ქაჯებისთვის* აშკარად განსხვავებული შინაარსი აქვს ნაგულისხმევი ა. შანიძეს თავის „ვეფხისტყაოსნის სიმფონიაში“, სადაც ხსენებული მაგალითი ახალი ციფრით (2), არის გამოყოფილი [14], მაგრამ მის მიერვე შედგენილ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონში ეს ფრაზა განმარტებული არ არის. სიტყვა *ქაჯი* ერთადერთი კომენტარითაა წარმოდგენილი: „ზღაპრული არსება, რომლის აღწერა მოცემულია 1247-49 სტროფებში“ [15].

რაც შეეხება ქაჯეთის ციხის (შესაბამისად – ნესტანის) მცველებს, მათ თვით ნესტანი ახასიათებს, როგორც კარგი გარეგნობის მქონე მოყმეებს (*არ პირ-ნასები*), რაინდებს, (*ჭაბუკნი*), რჩეულებს (*ხასები*): „გვირაბის კარსა ნიადაგ მოყმე სცავს არ პირ-ნასები, ათი ათასი ჭაბუკი დგას, ყველაკაი ხასები“ (1243). ასე რომ, ქაჯების

ზემოთ ხსენებული დახასიათება „*незнакомые, страшные...*“ – რუს-თველის თვალსაზრისს არ გამოხატავს, თორემ, ნინალმდეგ შემთხვევაში, როგორ აიხსნებოდა დულარდუხტის გარდაცვლილი დის (ე. ი. მახინჯი ზანგის?) შესახებ ნახმარი ეპითეტი – „ხმელთა მნათი“: „*ვითა ვკადროთო დავსება პირისა, ხმელთა მნათისა?*“ (1222).

კიდევ ერთი შენიშვნა ზემოთ ციტირებული მოსაზრების შესახებ: „*Пусть авели мог сделать из образа калжси ти употребление, которое пошускалось еги временим*“. პოემაში შემოთავაზებული ქაჯების იერსახე ავტორის თანამედროვეთათვის რომ ასე ადვილად დასაშვები და მისაღები ყოფილიყო, პერსონაჟთა ამგვარ გაოცებასა და დაინტერესებას არ გამოიწვევდა. მკითხველთა ნინამე ქაჯები ნარმოჩინდებიან ხორციელთა თვისებებით, რომელთაგან ყველაზე უფრო აქცენტირებულია მათი სამხედრო ხელოვნება და ბრძოლაში უძლეველობა, ჰყავთ ძლიერი მეფე და ცხოვრობენ კლდეზე მიშენებულ ციხე-ქალაქში, რომელიც ყოველი მხრიდან ბუნებრივი ზღუდეებით არის დაცული: („ყოველგნით კლდეა, გარშემო მტერი ვერა მიადგების, თუ იდუმალ არ შეუვალთ, ცხადად შებმა არ ეგების“, – 1388).

ქაჯებთან საბრძოლველად საგანგებო თათბირი და იარაღისაჭირო. დევების საჭურჭლეში გმირები პოულობენ საომარი აღჭურვილობით სავსე კიდობანს, რომელსაც აწერია: „*თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, დღე იყოს იგი ძნელიო, უმისჟამისოდ ვინც გახსნას, არის მეფეთა მკვლელიო*“ (1368). ქაჯთა სარჩოს მოსაპოვებელ საშუალებას ყაჩაღობა და მეკობრეობა წარმოადგენს. ამ საქმიანობის წყალობით მათ სამეფოში, ჩანს, დიდძალი განძია დაგროვილი, რადგან ტარიელის გამარჯვებულმა მებრძოლებმა „*რომე პოვნეს საჭურჭლენი, ანმცა თვალვა ვით ითქმოდა*“ (1425). განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ქაჯთა სამეფო პოემის ავტორს ბოლომდე მოაზრებული აქვს ჩვეულებრივ კაცთა და არა მხოლოდ გრძნეულთა სამყოფად, რაკი ტარიელი ყოველგვარი შეცბუნების გარეშე შესაძლებლად თელის, მისგან აღებული ქვეყანა ზღვათა მეფეს – მელიქსურხავს უბოძოს: „*სრულად ქაჯთა სამეფოსა გიძლენი, ჩემგან შეინირე, კაცნი შენნი შეაყენენ, ციხე მაგრად დაიჭირე*“ (1430). ქაჯთა სამეფოს სოციალურ სფეროშიც პატრონყმური ურთიერთობაა ნაგულისხმები, როგორც პოემის სხვა ქვეყნების შემთხვევაში.

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ პოემის მიხედვით ქაჯთა ცნებაში კაცებრივი თვისება და საქმიანობაა დომინანტი იმ ფენომენის შესაქმნელად, რომელიც ასეთ ინტერსსა და ვნებათა ლელ-

ვას ინვესსიას რუსთაველილოგიაში. ამიტომ შემთხვევითად არ გვეჩვენება მთელ რიგ მეცნიერთა მიერ ჩატარებული ექსპურსები „ვეფხისტყაოსნის“ *ქაჯთა* არა მხოლოდ ფონეტიკური, არამედ ისტორიული რეალიების იდენტიფიკაციის ხაზითაც.

ამ ასპექტის კვლევისათვის აქვებდა ვ. ნოზაძე მეცნიერებს ზემოთ დამოწმებულ [8] ნაშრომში: „ქაჯთა სამეფო უეჭველად ისტორიული ქვეყანაა და სწორედ ამ მიმართულებით ძიება უნდა მიმართოს იმან, ვისაც ძალი აქვს ცდისა“. თუმცა ამ დროისათვის უკვე იყო განხორციელებული ასეთი ცდები. 1904 წელს მ. ჯანაშვილმა „ვეფხისტყაოსანში“ მოთხრობილი ამბები რუსთაველის თანადროულ ეპოქაში აგრესიით სახელგანთქმულ მულიდთა /ასასინთა ორდენის თავზარდამცემ საქმიანობასა და მათ ცნობილ ალამუთის ციხე-სიმაგრეს დაუკავშირა [6], რომელიც ჩრდილოეთ ირანში, ელბრუსის მთებში მდებარეობდა და აულეზის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, რაკი სელჩუკთა მიერ მისი ალების ყველა ცდა წარუმატებლად დასრულდა. მხოლოდ მონღოლებმა ჰულაგუ-ყაენის მეთაურობით შეძლეს 1256 წ. მისი განადგურება მულიდთა კაპიტულაციის შედეგად.

მოგვიანებით ეს იდეა განავრცო და გააღრმავა კ. კეკელიძემ [16, 165] და „ვეფხისტყაოსნის“ დანერის შესაძლებელი დროის შესახებ მისეული მოსაზრების შესამაგრებელ ერთ-ერთ არგუმენტად გამოიყენა. როგორც ცნობილია, მკვლევარი, სხვა მეცნიერთაგან განსხვავებით, ასეთად მიიჩნევდა არა თამარის ეპოქას, არამედ – რუსუდანის მეფობის ხანას და პოემის შექმნის თარიღიც XIII ს-ის შუა წლებზე გადაჰქონდა. იდეა მულიდთა შესახებ მეცნიერებაში გაზიარებული არ იქნა და ავტორმაც უარყო იგი. მის გვიანდელ პუბლიკაციებში რუსთაველის პოემის დანერის ხანის განმსაზღვრელ არგუმენტებს შორის მულიდებისა და ალამუთის ფაქტორი აღარ არის მოხსენებული, თუმცა „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის დროის შესახებ კ. კეკელიძეს თვალსაზრისი არ შეუცვლია (17, 149-160).

შ. ჩიჯავაძის მრავალრიცხოვან პუბლიკაციებში „ვეფხისტყაოსნის“ *ქაჯების* შესახებ არ არის უგულებელყოფილი ისტორიულად არსებულ ხალხთან მათი იდენტიფიკაციის არგუმენტებიც. როგორც უკვე აღინიშნა, ასეთად მკვლევარს მიაჩნდა ინდოეთის ერთ-ერთი პროვინციის მცხოვრები ტომი – *ქაჯი /ქაჯი* [9], რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ *ქაჯების* მსგავსად *შავკანიანები* (sic!) არიან... *ქაჯის* ტომის შავკანიანი ადამიანები, როგორებიც „ვეფხისტყაო-

სანშია" ასახული (?! – ი.კ.) ახლაც ცხოვრობენ". [9, 86]. ჩვენ უკვე გვერნდა შემთხვევა, გვეჩვენებინა, რამდენად შეუსაბამოა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტთან *ქაჯთა შავკანიანობაზე* მსჯელობა.

გასული საუკუნის ბოლო წლებში ისევ იქნა აღორძინებული თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯებისა და მულიდების იდენტიზაციის შესახებ. ისტორიკოსი თ. ნატროშვილი მულიდთა ისტორიული პორტრეტის ფონზე, რუსთველის პერსონაჟების გამორჩეულ თვისებათა განხილვის შედეგად, დაასკვნის: „ყოველივე ზემოთქმული საქსებით საკმარისია „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯებისა და ალამუთის მულიდების გასაიგივებლად“ [18, 125-143]. ამასთანავე, ამ იგივეობის დასამტკიცებლად თ. ნატროშვილი, განსხვავებით კ. კეკელიძისგან, აუცილებლად არ მიიჩნევს პოემის დანერის თარიღის გადანევასა და ალამუთის დაპყრობის თარიღთან მის დაახლოვებას. ამის შედეგად წარმოქმნილი ანაქრონიზმის მოსახსენლად ავტორი მეტად ორიგინალურ თვალსაზრისს გამოთქვამს: „არ არის აუცილებელი „ვეფხისტყაოსნის“ ფინალში აღწერილი ქაჯეთის ციხის აღება მივიჩნიოთ ალამუთის აღებით შთაგონებულ სურათად. მხატვრული თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსნის“ გმირთათვის საგმირო საქმედ ჩაითვლებოდა სწორედ აუღებელ ციხედ აღიარებული ქაჯეთის (ანუ ალამუთის) ციხის აღება და გაცილებით მკრთალად გამოიყურება სინამდვილეში მომხდარი ამბის (ალამუთის დაპყრობა მონღოლთაგან) გადატანა პოემის ფურცლებზე... როდესაც „ვეფხისტყაოსანი“ იწერებოდა, ალამუთის ციხე ჯერ კიდევ ბრწყინავდა უძლეველობის შარავანდედით, აუღებელ ციხედ ითვლებოდა მთელს აღმოსავლეთში და მისი აღება მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ სწორუპოვარ გმირებს თუ შეეძლოთ ავტორის შემოქმედებითი ფანტაზიის აღმაფრენის შედეგად...“ (18, 133).

უაღრესად რომანტიკული სურათია დახატული, შესაბამისად – ნაკლებად რეალისტური.

ამ კონტექსტში ჩვენს ყურადღებას იპყრობს შუა საუკუნეების სპარსულ ლექსიკოგრაფიასა, ისტორიოგრაფიასა და მხატვრულ მწერლობაში კარგად ცნობილი ეთნიკური სახელი *ქუჯ/ქურ* (/ 𐬑𐬀 𐬑𐬀), რომელიც ინტენსიურად განიმარტება XI-XVIII სს სპარსულ ლექსიკონებში: ასადი ტუსელის (XI ს), ნახჩევანის (XIV ს.), სორურის (XVII ს.) ნაშრომებში და აგრეთვე „ბორჰან-ე ყათა“-ში (XVIII ს.). ეს სახელი ახსნილია, როგორც ქირმანსა და ისფაჰანს შორის მდებარე მთებსა და უდაბნოში მცხოვრები ტომი, ცნობილი საარაკო მშვილდოსნობითა და მეკობრეობით, ქარავანთა დარბევით (ასადი ტუსე-

ლი). დაახლოებით ამასვე იმეორებს ნახევრავანი. სორურის აზუსტებს მათ ჩამომავლობას – ისინი ჰეჯაზიდან არიან და მათ საქმიანობას ბრძოლები და სისხლისღვრა წარმოადგენსო. ეთნონიმი *ქუჯი*, ჩვეულებრივ, მეორე ტომის – ბელუჯის (جلی) / ბელუჯის (جلی) სახელთან ერთად განიშარტება. გეოგრაფიულად ის ქუჯების უშუალო მეზობელია და ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობს. შედარებით ვრცელ ინფორმაციას ამ ტომების შესახებ იძლევა „ბორჰანი“, რომლის თანახმადაც, „სიტყვები *ქუჯ* და *ბელუჯ* ალიტერაციის პრინციპზეა დაფუძნებული და იმ მომთაბარე ტომთა სახელებია, რომლებიც ქირმანის მთებში ბინადრობენ, ჰეჯაზის არაბებიდან არიან წარმოშობით და მათი მთავარი საქმიანობაა ბრძოლა, სისხლისღვრა, ქურდობა და თავდასხმები. თუ შემთხვევით უცხოვს ვერავის გადაეყრებიან, თავისიანებს ხოცავენ და ერთმანეთს ძარცვავენ. ძმები, ნათესავები და მეგობრებიც ეომებიან ერთმანეთს და ამ ხელობას ისინი საუკეთესოდ ფლობენ. ზოგიერთის თქმით კი – ქუჯი და ბელუჯი ადგილია ისფაჰანსა და ქერმანს შორის“. სიტყვები *ქუჯ* და *ბელუჯ* ბორჰანში განიშარტება როგორც მომთაბარე ტომების სახელები და საგანგებოდ შენიშნულია ბელუჯების შესახებ, რომ ისინი არიან „ჭკუასუსტნი და მამაცი“. მოგვიანებით ხსენებულმა სიტყვებმა დაივიწროვეს სემანტიკური ველი და თანამედროვე ლექსიკონებში მათ განმარტავენ, როგორც მომთაბარეს, ქურდსა და ყაჩაღს [19].

ეს ტომები ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებით არიან წარმოდგენილნი კლასიკური პერიოდის სპარსულ მხატვრულ ლიტერატურაშიც (ხათირი, უნსური, ფირდოუსი, ნიზამი განჯელი...). ფირდოუსისთვის ამ ტომთა სახელები საბრძოლო შემართებისა და სიმამაცის სიმბოლოა:

سپاهی بکردار کرج و بلج مسگنده جنگ و برارده خوج

ლაშქარმა ქუჩთა და ბელუჯთა მსგავსად ომი / განიზრახა და მუზარადები მოიშარჯეა.

სიაუშის ლაშქარი შედგენილია ირანის სხვადასხვა კუთხის საუკეთესო მეომრებისგან:

گزین کرد از ان نمداران سوار دلیران جنگی ده و دو هزار
هم از بیلو پارس و کرج و بلج ز گیلان جنگی و نشنت سروچ

გამოარჩია სახელოვანი მხედარნი / მამაცი მომარანი რიცხვით თორმეტი ათასი – / ფარსის, ქუჩისა და ბელუჯის ფალავანთაგან / მომარ გილანელთა და სორუჯის ველის მკვიდრთაგან.

(აქ ჩამოთვლილ ტომონიშთაგან სორუჯის ველის გეოგრაფიული მდებარეობა უცნობია). უნსურის (ზოგი წყაროს მიხედვით კი –

პოეტ ქესაის) ერთი ბეითის მიხედვით ეს ტომები ქურდებსა და ავაზაკებს განასახიერებენ:

زنگ داشتند کوج و بلو ج

اندر آن نلحیه بمعدان کوج

იმ მხარეში, სადაც ბუთა იყო სადგომი, ქურდების თავშესაფარი
ქონდათ ქუჩებსა და ბელუჩებს.*

ყველაზე უფრო სრულად ამ ტომების ისტორია, ყოფა და საბედინერო დამარცხების ამბავი წარმოდგენილია სელჯუკთა სულთნების ცნობილი ათაბაგისა და ვეზირის – ნიზამ ულ-მულქის (XI ს.) თხზულებაში „სიასეთ-ნამე“ ანუ „ნიგნი მმართველობის შესახებ“ [23, 65-73].

თავში, სადაც საუბარია საჰიბ-ხაბართა (ანუ მოენეს – ინფორმატორ-აგენტთა) სახელოს შემოღების აუცილებლობის შესახებ (მთელი თხზულება, როგორც ცნობილია, მიმართულია სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის წინააღმდეგ), ავტორი მკითხველს მოუთხრობს ერთ ეპიზოდს მაჰმუდ ლაზნელის საომარ გამარჯვებათა ისტორიიდან.

ქვევით მკითხველს ვთავაზობთ ამ ვრცელი მოთხრობის შემოკლებულ თარგმანს „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯების ეპიზოდთან პარალელების ხაზგასმით:

„სულთან მაჰმუდმა“ რომ ერაცე დაიპყრო, მოხდა ისე, რომ ერთი ქალი ქარავანთან ერთად იმყოფებოდა დეირ-გაჩინში და ქურდებმა მას საქონელი მოსტაცეს. ეს ქურდები ქუჯთა და ბელუჯთაგანნი იყვნენ, ხოლო ქვეყანა ქერმანის მახლობლად მდებარეობდა. ქალმა მაჰმუდს მიაშურა და შესჩივლა: ქურდებმა დეირ-გაჩინში საქონელი მომტაცეს. დამიბრუნე იგი ან ზარალი მიზღეო. სულთანმა ჰკითხა, დეირ-გაჩინი სად მდებარეობსო? ქალმა კი მიუგო: „შენც მხოლოდ იმდენი სამფლობელო დაიპყარ,

* იური მარის არქივში დაცულია მის მიერ 30-იან წლებში გაკეთებული ერთი ლაკონური მინაწერი უნსურის ზემოთ მოყვანილი ბეითის გასწვრივ: Cp. „ქაჯი“ (20, 191), მაგრამ ეს იდეა ავტორს აღარ განუვიტარებია. 1983 წ. გამოცემულ მონოგრაფიაში უნსურის ეპიკური მეგვიდრეობის შესახებ ჩვენ ვივარაუდეთ, რომ ი. მარის ასოციაცია: „кучу → гурз каджы не липица основания, если понимать это слово не в мифологическом аспекте, а в том смысле, как оно представлено в поэме ..., где каджы – племя каджин – название воинственного племени. обладающего колдовством и мастерством военного искусства...“ [21, 183]. 1984 წ. ნაკითხულ მოხსენებაში უფრო ღრმად განვიხილეთ ეს საკითხი [22, 48-50] და იმავე ძირითად დასკვნამდე მივედით, რომელსაც წინამდებარე სტატიით ვთავაზობთ მკითხველს.

** იგულისხმება მაჰმუდ ლაზნევი, ლაზნევიდების სახელმწიფოს (ირანი) სულთანი 998-1030 წწ.

რომ მისი გაცნობა, მართვა და დაცვა შეგეძლოსო. სწორიაო, დაეთანხმა სულთანი, მაგრამ თვითონ კი იცი, ვინ იყვნენ მძარცველები და საიდან მოსულნი? ვიციო, ისინი ქუჯები და ბელუჯები იყვნენ, ქერმანის მახლობელი მხრიდან. სულთანმა ბრძანა: ეგ მხარე შორსაა, ჩემს სამფლობელოს არ ეკუთვნის, მათზე ვერაფერს ვიღონებო. ქალმა კი მიუგო: რალა ქვეყნის პატრონი ხარ, თუ მისი მოვლა არ შეგიძლიაო. მაჰმუდს ცრემლი მოადგა და თქვა: მართალს ამბობ, ყველაფერს ვიღონებ, რაც ჩემს ძალას არ აღემატება, რომ შენი საქონელი დაგიბრუნოო. შემდეგ ბრძანა, რომ იმ ქალისთვის ოქრო მიეცათ სახელმწიფო საგანძურიდან, ხოლო ქერმანის ემირს – ბუ-ალი ილიასს ნერილი მისწერა: ერაყში ჩემი ჩამოსვლის მიზანი თვით ერაყი არ ყოფილა, მე ხომ მუდმივად ინდოეთში საღვთო ომით ვარ დაკავებული. მიზეზი იყო მრავალრიცხოვანი ნერილები იმის შესახებ, რომ დეილემელები ერაყში აშკარად ავლენენ ამბოხს, ძალადობასა და წარმართობას [ამას მოსდევს ვრცელი პასაჟი ერაყში ერეტიკული გამოხდომების შესახებ – ი. კ.]... ახლა კი ჩემთვის ისიც ცნობილი გახდა, რომ *ქუჯთა და ბელუჯთა შფოთისთავი ტომები* თავს დაესხნენ დეირ-გაჩინს და ქონება გაიტაცეს. მე მოვითხოვ, რომ ისინი შეიპყრონ, ქონებაც დააბრუნონ. ისინი კი ხელშეკრულნი მათ მიერ ნაღებულ ქონებასთან ერთად ქ. რეიში ჩამოიყვანონ, რათა მათ არ აღეძრათ განზრახვა, ქერმანიდან ჩემს სამფლობელოში ჩამოვიდნენ სამეკობრეოდ. თუ შენ ამას არ შეასრულებ, ლაშქარს დავძრავ ქერმანისაკენ და ამ მიწაზე მათ სახსენებელს მოვსპობო. შიკრიკმა ბუ-ალის სულთნის ბრძანება მიართვა. იგი ძლიერ შეშინდა, შიკრიკს პატივი მიაგო, ძღვნად გაგზავნა დიდძალი მდიდრული სამკაული, ზღვის საოცრებანი, ოქრო-ვერცხლით სავსე ტომარა და თქვა: მე მონა ვარ და ბრძანებას ეემორჩილები. მაგრამ სულთანმა არ უწყის, რა ვითარებაში იმყოფება მისი მონა-მორჩილი ქერმანში. იგი არც ერთ მეამბოხეს გასაქანს არ აძლევს, ქერმანის ხალხი კი კეთილმორწმუნე სუნიტები არიან. ხოლო *ქუჯთა და ბელუჯთა მთები ქერმანიდან მონყვეტილია მდინარეებით, მიუვალი მთებით, გზები ძნელად მისადგომია*. მე თვითონაც გამწარებული ვარ მათგან, ვინაიდან მათი *უმრავლესობა ავაზაკია და შფოთისთავი*. მათგან ორასი ფარსანგის მანძილზე მოსვენება არავის აქვს. ისინი საძარცვავად მოდიან, ბევრი არიან. მე მათთვის წინააღმდეგობის განევა არ შემიძლია. მთელს მსოფლიოში მხოლოდ სულთანს შესწევს ძალა, მათ რომ გაუმკლავდეს. მისი მონა-მორჩილი კი ყველაფრისათვის მზადაა, რასაც სულთანი უბრძანებს... საპასუხო ნერილი რომ მიიღო, მოციქული დაასაჩუქრა და დააბარა: გადაეცი

ბუ-ალის, რომ შეკრიბოს ქერმანის ჯარი, შემოუაროს ქერმანს და ამა და ამ თვის დასაწყისში ქერმანის საზღვართან მივიდეს, იმ მხარეს, სადაც ქუჯები და ბელუჯები იმყოფებიან იქ გაჩერდეს. როცა ჩვენი მსტოვარი მოვა, დაიდრას სალაშქროდ, შევიდეს მათ ქვეყანაში, ამონყვიტოს ყველა ახალგაზრდა, ხოლო მოხუცებსა და ქალებს ქონება წაართვას და აქ გამოგზავნოს, რომ მე იგი მათგან გაქურდულებს დავუბრუნო. შემდეგ მათ მოელაპარაკოს და უკანვე დაბრუნდეს". მოციქული რომ გაისტუმრა, ბრძანება გასცა საქვეყნოდ გამოეცხადებინათ, რომ ყველა *ვაჭარს*, ვისაც კი იეზდსა და ქერმანში გამგზავრება ენადა, საქმეები მოეგვარებინა და ბარგი ჩაელაგებინა, - მე ცხენოსანთა რაზმს ვაახლებ და პირობას ვიძლევი, სამეფო სალაროდან ვუზღავ ყველას, ვისაც მტაცებელი ქუჯები და ბელუჯები საქონელს ნაგვრიანო. როდესაც ცხენოსანთა რაზმი მხად იყო გასამგზავრებლად, მან იხმო ემირი - რაზმის მეთაური, მინის ჭურჭელი მისცა შხამით სავსე და უბრძანა: ისფაჰანს რომ მიალწვე, ათი დღით შეისვენე, რომ იქაური ვაჭრები შემოგიერთდნენ. ამასობაში *იყიდე ათი ხარვარი ისპაჰანური ვაშლი, ათ აქლემზე დატვირთე და როცა დაიდრებით, ეს აქლემები მექარავნეთა აქლემებს შორის გაანანილე*. როდესაც მძარცველებამდე ერთი დღის სავალი დაგრჩება ისე მოანყვე, რომ ღამით ვაშლიანი საპალნეები კარავში მოგიტანონ; გადმოყარე, ყველა ვაშლი სადგისით დაჩხვლიტე, შემდეგ ნემსის ნვერივით წერილი ნკირი გამოთალე, შხამში ჩაანე და ვაშლის ნაჩხვრეტებში ჩაარჭე, ვიდრე ყველა ვაშლი შხამით არ გაიჟღინთება. შემდეგ ისევ გაანანილე დანარჩენ ტვირთს შორის და გზას დაადექი. როცა ყაჩალები გამოჩნდებიან და ქარავანს დაეცემიან, შენ ნუ შეებმები - *ისინი ხომ ბევრნი არიან, თქვენ კი - ცოტა*. ქარავნიდან ნახევარი ფარსანგით უკან დაიხიე იმათთან ერთად, ვინც შეიარაღებულია, დრო იხელთე და ყაჩალებზე გაინიე. უეჭველია, რომ უმეტესობას ვაშლი მოუღებს ბოლოს, შენ კი ხმალი მოიმარჯვე და დახოცე რამდენსაც შეძლებ. მათგან რომ მოიცლი, ათი მხედარი გაგზავნე ბუ-ალისთან ჩემი ბეჭდით და შეატყობინე, რაც დაემართათ ყაჩალებს, თან დასძინე - ახლა კი იჩქარე იმ მხარისაკენ, რამეთუ იქ აღარ დარჩნენ ახალგაზრდები, ჩაუქნი და ქვეყნის დამცველები..

მაჰმუდს რომ დაშორდა, [რაზმის უფროსმა ემირმა] ქარავანი ისფაჰანს წაიყვანა, ვაშლი იყიდა და ქერმანისკენ გაემურა. ავა-ზაკებმა მსტოვრები გაგზავნეს ისპაჰანისკენ და შეიტყვეს - იმხელა ქარავანი მოდის და იმდენი სიმდიდრე მოაქვს, რომ მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცის მისი რაოდენობა, ათასი წლის მანძილზე ასეთი

ქარავანი არავის უნახავს, ხოლო ცხენოსანთა რაზმი *ასორმოც-*
დაათი თურქი მხედრისგან შედგებაო. მათ გაიხარეს და გამოაცხა-
დეს, რომ შეკრებილიყო ყველა ქუჯი და ბელუჯი, ვისაც იარაღის
ტარება შეეძლო. გზაზე გამოვიდა ოთხი ათასი სრულად შეიარ-
ღებული კაცი და ქარავანს ჩაუსაფრდა. როდესაც ემირმა ერთ-
ერთ დასასვენებელ ადგილს მიაღწია, იქაურმა მცხოვრებლებმა
შეატყობინეს: რამდენიმე ათასმა ავაზაკმა გზა გადაგიჭრათ და
მერამდენე დღეა გელოდებიანო. ემირმა იკითხა: რა მანძილია აქე-
დან მათ ადგილამდეო? ხუთი ფარსანგიო – მიუგეს. მექარავნებს ეს
რომ ესმათ, შელონდნენ და იმ ადგილას ჩამოქვეითდნენ. ნამაზის
დროს ემირმა იხმო ყველა ბარ-სალარი და ქარავან-სალარი¹ და
უბრძანა, ვისაც იარაღიც ჰქონდა და ბრძოლის უნარიც, მასთან
მისულიყო. მივიდნენ. გადათვალა და *სამას სამოცდაათი* კაცი აღ-
მოჩნდა... ემირმა ბრძანა: ამ სალამოს რომ დაეიძვრებით, მხედრები
ჩემთან უნდა იყვნენ ქარავნის წინ, ქვეითნი კი ქარავანს მიჰყვნენ. ამ
ყაჩაღებს ჩვევად აქვთ ქონების გატაცება და არა ვინმეს მოკვლა,
იმათ გარდა, ვინც წინააღმდეგობას უწევს და ბრძოლაში იღუპება...
*როცა ისინი დაგვეცემიან, მე უკუვიქცევი, თქვენც მომყევით. მე
მათ თამაშს ვაეუმართავ – ხან შევებრძოლები, ხან უკუვიქცევი,
სანამ თქვენ ნახევარი ფარსანგით არ ჩამოშორდებით მათ. შემდეგ
მეც თქვენ შემოგიერთდებით, ერთი საათით შევდგებით, მერე კი
ერთბაშად მივბრუნდებით, შევუტევთ და თქვენ იხილავთ სას-
ნაულს.* ასეთი ბრძანება მაქვს. მე ვიცი რალაც ისეთი, რაც თქვენ არ
იცით და მხოლოდ ხვალ იხილავთ თვალით. უეჭველია, ყველასთვის
ცხადი გახდება მაჰმუდის ზრუნვა. ღამით ემირმა დახსნა ვაშლიანი
საპალნეები, შხამით გაჟლინთა, უკანვე ჩაანყო, ათი აქლემის
საპალნეს ათი კაცი დაუყენა და უბრძანა: როდესაც მე უკან და-
ვიხევ, ყაჩაღები ქარავანს დაეცემიან და საპალნეების დაფატვას
დაიწყებენ. თქვენ ღვედები დანყვიტეთ, ყუთებს თავი ახსენით,
გადმოაპირქვეავეთ და თავს უშველეთ. ნაშუალამევს დაიდრნენ...
ყაჩაღები სამი მხრიდან დაესხნენ თავს გამიშვლებული ხმლებით.
ემირმა რამდენჯერმე შეუტია, ისრები სტყორცნა, შემდეგ უკუიქცა.
ქვეითებმა რომ ყაჩაღები დაინახეს, უკანვე გაიქცნენ. ემირი ქვე-
ითებს იცავდა და არავინ დაკლებია. ყაჩაღებმა რომ მცირერი-
ცხოვანი ჯარის უკანდახვეა იხილეს, მშვიდად დახსნეს საპალნეები.
ვაშლებს რომ მიადგნენ, ხარბად დაიტაცეს, ერთმანეთში დაინა-

¹ ბარ-სალარი – ტვირთის უფროსი; ქარავან-სალარი – ქარავნის უფროსი.

წილეს და ცოტა დარჩა ისეთი, ვაშლი რომ არ ეგემა. ცოტა ხანში ძირს ცვენა და კედლმა დაიწყეს.

ორი საათის შემდეგ ემირი ბორცვზე შედგა, თვალი მოავლო ქარავანს და მთელ მინდორზე მოფენილი ხალხი იხილა. სძინავთო, თქვა, ძირს ჩამოვიდა და ხალხს აუწყა: სულთნის მაშველი ძალა მოვიდა, ქურდები ამოხოცა, ცოტანილა დარჩნენ... ყველამ ქარავანს მიაშურა, *ვინც ცოცხალი დახვდათ, გაიქცა. ემირი და მექარავნეთა რაზმი უკან დაედევნენ და ამოხოცეს, ამბის მიმტანიც კი არ დარჩენიათ.* ემირმა იარაღის შეკრება ბრძანა, დაიძრა და ქარავანი მოსასვენებელ ადგილზე მიიყვანა. ზარალი არავის უნახავს. სიხარულისგან ტყავში ველარ ეტეოდნენ.

იმ ადგილამდე, სადაც ბუ ალ-ილიასი იმყოფებოდა, ათი ფარსანგი იყო. ემირმა სასწრაფოდ აახლა მას ათი მსახური სულთნის ბეჭდით და მომხდარი შეატყობინა. ბეჭედი რომ მიიღო, მან ახალი ჯარი გაგზავნა ქუჯთა და ბელუჯთა ქვეყანაში. ემირიც მათ შეუერთდა. *ათი ათასზე მეტი კაცი დახოცეს, წამოიღეს რამდენიმე ათასი დინარი და აურაცხელი ქონება, იარაღი და ოთხფეხი. ეს ყველაფერი ბუ-ალიმ სულთანს აახლა ემირთან ერთად.* მაჰმუდმა ბრძანა გამოეცხადებინათ: ყველა, ვისაც კი ყაჩაღმა ქუჯებმა და ბელუჯებმა რაიმე მოსტაცეს ერავში ჩემს მოსვლამდე, ჩემგან მიიღებს საზღაურს. ყველა დაზარალებული მასთან მიდიოდა და კმაყოფილი ბრუნდებოდა უკან.

ორმოცდაათი წლის განმავლობაში ქუჯებს ფიქრადაც არ მოსვლიათ რაიმე თავხედობა.

შემდეგ მაჰმუდმა ყველგან დანიშნა საჰიბ-ხაბარები და ფისყალები. თუკი ვინმე უკანონოდ ქათამს მიიტაცებდა ანდა ვინმე ვინმეს მუშტით სცემდა, სულთანი შეიტყობდა და შურისგებას ბრძანებდა.

ძველი დროიდან ხელმწიფენი ამ წესს იცავდნენ ვიდრე სელჯუქთა დინასტიამდე, ისინი კი მას აღარ მისდევენ.

მთელი ეს მოთხრობა, როგორც აღვნიშნეთ, საჰიბ-ხაბარის თანამდებობის შემოღების საჭიროებისთვის მოჰყავს ავტორს, რომელიც ამ თავის დასასრულს კვლავ აღვნიშნავს: „უმჯობესია, რომ არსებობდეს საჰიბ-ხაბარი. საჰიბ-ხაბარის სახელოს არსებობა სამეფოს ერთ-ერთი საფუძველთაგანია. თუ შესაბამისი სიმტკიცე იქნება, შფოთი მოისპობა“.

ქუჯთა და ბელუჯთა კატასტროფული დამარცხების თემა მეტად პოპულარული ჩანს შუა საუკუნეების სპარსულ ისტორიოგრაფიაში. ზემოთ მოყვანილი ამბავი საკმაო სიზუსტითაა გამეორე-

ბული ისტორიულ თხზულებებში – „თარიხე გოზიდე“ (1329) და „ნე-გარესთანნი“. რამდენადმე განსხვავებულია აუფის (XIII ს.) ვარიანტი. მის თხზულებაში „ჯავამილ აღ-ჰეჯაიათ“, რომლის მიხედვითაც ლაზნელთა ლაშქარს წინამძღოლობას არა ვინმე უსახელო გმირი, არამედ თვით მაჰმუდის შვილი მასუდი უწევდა.

ბ. ზახოდერი იმონმებს იბნ მისქავეიჰის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ქუჯებსა და ბელუჯებს, რომლებსაც ეკავათ ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი სპარსეთის ყურემდე, საკმაოდ ჰქონდათ შენარჩუნებული პრიმიტიული გვაროვნულ-ტომობრივი ნყოფა და მეზობელი ქერმანის მოსახლეობისაგან განსხვავებულ ენაზე მეტყველებდნენ [24, 283]. იბნ მისქავეიჰისვე ცნობით, ქუჯთა და ბელუჯთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა გადაიხადა არა მაჰმუდ ლაზნელმა, არამედ ბუიდმა აზუდ ად-დაულემ 972 წ. ქუჯებმა და ბელუჯებმა *კატასტროფული დამარცხება იგემეს*, ტყვედ ჩავარდა და ნანამებ იქნა მათი ბელადი იბნ აბი-რაჯალ ბალუსი. *დამარცხებულნი გამოიყვანეს მათი კუთვნილი ტერიტორიიდან და ნაცვლად მინათმოქმედი ხალხი ჩაასახლეს* [იქვე].

სპარსელ ისტორიკოსებთან ზოგჯერ განსხვავებული ვარიანტებითაა წარმოდგენილი ქუჯების მიმართ გამოყენებული სამხედრო ცბიერების ხერხები, მაგრამ თვით ფაქტი მათი გამოყენებისა უძლეველი ტომის – ქუჯების დასამარცხებლად უცვლელია ყველა თხრობაში.

ამ მასალის ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ეთნიკური სახელი *ქაჯნი* შეიძლება ინსპირირებულ იყოს მე-12 საუკუნის მახლობელი ხანის სპარსულ ისტორიოგრაფიაში პოპულარული თემით – ქუჯებით და მათი საარაკო დამარცხების ფაქტით. ამ თემას რამდენადმე ლეგენდარული იერი და ვარიანტული ცვლილებები უკვე სპარსელ ისტორიკოსებთან შეუძენია.

ადვილი შესაძლებელია, რომ რუსთაველი ფოლკლორის ან ისტორიული ლიტერატურის დონეზე იცნობდა ამ რეზონანსულ და უკვე ლეგენდად ქცეულ ისტორიას მეზობელი ხალხის ცხოვრებიდან. გამორიცხული არც ის არის, რომ რუსთაველამდეც სიტყვა *ქუჯი* ქართულ ენობრივ სამყაროში გაფორმებული იყო იმ ფონეტიკური ცვლილებით, რომლითაც პოემაშია წარმოდგენილი (ქუჯი → ქაჯი), რაც ქართულ მითოსურ ცნებასთან დამთხვევის გამო გარკვეულ უხერხულობასაც უქმნიდა ავტორს და მას ერთგვარი რევერანსი სჭირდება უკვე დამკვიდრებული ცნების წინაშე („ამისთვის

ქაჯად უხმობენ“). მეორე მხრივ, ასეთი დამთხვევით გამონეული ასოციაციები ავტორს უკარნახებდა ეთნიკური ტერმინის დატვირთვის მითოსური ელფერით, რაც აძლიერებს მასთან დაკავშირებულ ემოციურ ეფექტს – მკითხველს (და პერსონაჟებსაც), თუმცა რამდენადმე აბნევს „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯის შინაარსი, მაგრამ, ამასთანავე, იზიდავს მისი იდუმალი ძალა. ამ ემოციის წყალობითაა, ალბათ, თავდაპირველი შეცბუნების მიუხედავად მაინც რომ იღებს ამ აშკარად არაერთგვაროვან ცნებას.”

ქუჯების ეთნიკური ჯგუფის აღმნიშვნელ სახელთან „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟ ქაჯებს აახლოებს თვალში საცემი ფონეტიკური (ქუჯი-ქაჯი) და სემანტიკური ანალოგიები: საარაკო საბრძოლო უნარის მქონე მამაცი ხალხი, მიუვალ კლდეზე დასახლებულნი, დაუმარცხებელი ტომის რეპუტაციის მქონენი და, ბოლოს, სასტიკად დამარცხებულნი – მოტყუებით, სამხედრო ხრიკით (ვაჭრებად გადაცმული მეზრძოლების შეპარვა / შხამით გაჟღენთილი ვაშლებით მონინააღმდეგის მონამვლა), საგანგებო თათბირით და გამორჩევით; აგრეთვე, კარგად მოფიქრებული თავდასხმის ტაქტიკით (ქაჯეთის ციხის სამსავე კარიბჭეზე ერთდროული შეტევის განხორციელება / ემირის ჯარის ხან მეზრძოლება ქუჯებთან, ხან – უკუქცევა; ერთი საათის დაყოვნების შემდეგ – უეცარი შეტევა!); დამარცხებული ქაჯების (ქუჯების) მინებზე უცხო ტომების ჩასახლება; ქაჯების (ქუჯების) უდიდესი რიცხობრივი უპირატესობა ბრძოლაში (ათი ათასი კაცი სამასკაციანი ტარიელის რაზმის / ემირის მცირერიცხოვან მეზრძოლთა წინააღმდეგ: „ათი ათასი ნობათი, უსულო, მსგავსი მტვერისა“, – 1418; „გვირაბის კარსა ჭაბუკი ათი ათასი მცველია“, – 1392; ემირის მეზრძოლებმაც ათი ათასზე მეტი კაცი დახოცეს და თან ნაიღეს აურაცხელი ქონება. შდრ.: „რომე პოვნეს საჭურჭლენი, ანმცა თვალვა ვით ითქმოდა!“ – 1425; „სამი ათასსა აჰკიდეს მარგალიტი და თვალეზი“, – 1426); ბრძოლას გადარჩენილი მეომრების საგულდაგულო ამონყვეტა („მონახეს და არ აცოცხლეს, რაცა მზრძოლი დარჩომოდა, – 1425“)...

აღსანიშნავია, რომ ყველა ის ანალოგია, რაც შენიშნულია მუხლიდთა და „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯთა ცხოვრების წესისა და თავგადასავლის შესახებ, ახასიათებს ქუჯების ტომსაც, ოღონდ –

* სახეზეა მითოსისა და ისტორიზმის ურთიერთშელეწიერების თეორიის ერთი კონკრეტული გამოვლინება.

** „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში ცნებათა პოლისემია იშვიათი გამონაკლისი არ არის (შდრ. უგულო).

უფრო ფართო მასშტაბით, თუნდაც იმიტომ, რომ პრინციპულად განსხვავებულია ქაჯეთისა და ალამუთის ციხეების ისტორია – ალამუთი უბრძოლველად ჩაბარდა მონინაალმდეგეს და, შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია ქაჯთა და ქუჯთა ტომების საბრძოლო ეპიზოდებში ზევით აღნუსხულ ანალოგიებს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვან მარკერად მოჩანს მათი დამარცხება მხოლოდ სამხედრო ხრიკების გამოყენებით და დამარცხებულთა ტერიტორიების დასახლება უცხო ხალხით. ისიც არ არის გამორიცხული, რომ თვით მულიდთა ისტორიული პორტრეტი მასზე გაცილებით ადრე ჩამოყალიბებული ქუჯების ლეგენდით იყოს შთაგონებული ან რომელიმე საერთო წყაროს უკავშირდებოდეს.

წარმოდგენილი მასალა, ცხადია, არ უპირისპირდება ქაჯთა ცნების ფოლკლორულ ასპექტში ინტერპრეტაციის მონაპოვარს; მით უმეტეს, არ გამორიცხავს ფოლკლორის როლს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მითოსური პირველსაფუძვლების კვლევაში. იგი მხოლოდ აზუსტებს ამ არაერთგვაროვანი ცნების სემანტიკურ ველს და აფართოებს იმ ისტორიულ-კულტურულ კონტექსტს, რომელშიც მოიაზრება პოემის ავტორის ფართო ცოდნა და ერუდიცია. ჩვენი ჰიპოთეზის გაზიარების შემთხვევაში, აღმოსავლეთისა და დასავლეთის იმ კულტურულ ასპექტებს, რომლებთანაც რუსთველის ნაცნობობა დადასტურებულია მეცნიერებაში, შეიძლება სპარსული ისტორიოგრაფიული ლიტერატურაც დაემატოს.

ბიბლიოგრაფია

1. *შოთა რუსთაველი*, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1951.
2. *ვისრამიანი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალექსანდრე გვახარიამ და მაგალი თოდუამ, 1962.
3. *მ. ანთაძე*, რუსთველის მხატვრული სიმართლე და შემოქმედების ფსიქოლოგია: ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, ტ. VI, თბილისი, 1974.
4. *პ. მირიანაშვილი*: სალაყბო წერილები – ქაჯი „ვეფხისტყაოსნით“, ჟ. „განთიადი“, თბილისი, 11-16, 1915.
5. *ზ. ავალიშვილი*, „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები“, პარიზი, 1931.
6. *მ. ჯანაშვილი*, მოსე ხონელი და მისი ამირანდარეჯანიანი: ჟ. „მოამბე“, 4, 1904.

7. *А. Сванидзе*, Руставели и его поэма: Ж. «Новый мир», М., № 9, 1936.
8. *ვ. ნოზაძე*, ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963.
9. *შ. ჩიჯავაძე*, ქაჯ პერსონაჟთა საკითხისათვის: ფ. „ლიტერატურული აჭარა“, 5, 1964.
10. *ვ. ბერიძე*, ვეფხისტყაოსნის ხალხურობისთვის: თსუ შრომები, 67, 1957.
11. *III. ნურიანიძე*, Творчество Руставели, Тб., 1958.
12. *II. Мезрелиძე*, Руставели и фольклор, Тб., 1960.
13. *მ. კარბელაშვილი*, ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის პრობლემისათვის: ლიტერატურული ძიებანი, II (XVIII), თბილისი, 1987.
14. *ა. შანიძე*, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბილისი 1956.
15. *ა. შანიძე*, ლექსიკონი: შოთა რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი, თბილისი, 1957.
16. *კ. კეკელიძე*, ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დანერისა, ფ. „მნათობი“, 7-8, 1931.
17. *კ. კეკელიძე*, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 1958.
18. *თ. ნატროშვილი*, „არ ქაჯნია, კაცნიაო“: მაშრიყით მალრიბამდე, თბილისი, 1991.
19. *Персидско-русский словарь* (под руководством Ю. А. Рубинчика), Т. II, М., 1983.
20. *Хакани – Незами – Руставели*. II. Подготовка архивных материалов Ю. Н. Марра и К. И. Чайкина к печати, составление сборника, редакция текста, предисловие и примечания С. М. Марр и А. А. Гвахария, Тбилиси, 1966.
21. *И. Каладзе*, Эпическое наследие Унсური, Тбилиси, 1983.
22. *ი. კალაძე*, „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯთა სემანტიკის დაზუსტებისთვის: ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს სამეცნიერო სესია, XIX, (მოხსენებათა თეზისები), თბილისი, 1984.
23. *Сиясет-наме*. Книга о правлении везира XI столетия Низам ал-Мулька. Перевод. введение в изучение памятника и примечания Б. Н. Заходера, М., Л., 1949.
24. *Б. Н. Заходер*, Введение в изучение и примечания к тексту *Сиясет-наме*: ნიგზში: *Сиясет-наме* [23].

On the Semantics of the *Kajis* in Rustaveli's

"*The Man in the Panther's Skin*"

summary

The name of an ethnic group active in *Vepkhistqaosani* ("*The Man in the Panther's Skin*") – the *Kajis* – is not an unequivocal, specific concept. Therefore, it arouses keen interest of specialists. There are attempts to seek for phonetic-etymological parallels of this concept and the word denoting it, as well as to identify its symbolic-artistic function. The majority of researchers explain the meaning of this concept entirely by the evidence of Georgian folklore and mythology, which, in my view, meets contradictions in the text of the poem. The image of the *Kajis* offered by Rustaveli obviously goes beyond the knowledge which a potential reader of the poem may have on the level of only Georgian folklore. This is confirmed by Avtandil's astonishment and doubting when he hears the characterization of the *Kajis* furnished by Patman ('but let me hear more fully about Kadjethi: every Kadj is fleshless, how can it become human?'; 'but I marvel what the fleshless Kadjis can do to a woman!' - translation by M. Wardrop), whereas Patman's reply-explanation ('They are not Kadjis, but men') is the basis of the phenomenon which is known as the *Kajis* of *Vepkhistqaosani* and unite in itself two principles – physical and metaphysical. The latter is presented only nominally, on the level of a declaration ('men skilled in sorcery, exceeding cunning in the art'), as their extraordinary ability is not realized anywhere throughout the poem. In the development of the plot they appear only with the features of human beings, of which their military art and the myth of their invincibility in battle are emphasized most of all. The kingdom of the *Kajis* is interpreted by the author as the abode of ordinary mortals, and not supernatural creatures, as Tariel without any confusion considers it possible to present their kingdom to the King of the Seas.

The *Kajis* of *Vepkhistqaosani* should be conceptualized as a somewhat inconsistent concept, modeled by the author which, along with the folkloric elements, may also be inspired by a certain historical-geographical fact.

In this regard, attention attaches to the ethnic denomination *Kuj*, well-known in medieval Persian historiography, lexicography and fiction. This is a tribe living in inaccessible mountains, between Kerman and Isfahan, notorious for piracy and invincibility in battle. The story of the fabulous defeat of this people by means of military cunning at the end of the 10th c.

and settlement of foreign tribes on their land is a popular theme in Persian historiography of the 11th-14th cc. (Miskaveyh, Nezam ul-mulk, Abu-Shuja, Mohammad Ibrahim, Mohammad Afi, and others). This story acquired legendary air and variations already with Persian historians.

It is not ruled out that from historical literature or on the level of folklore Rustaveli was aware of this legendary story from the life of the neighbouring people. Phonetic, as well as semantic analogies bring the *Kajis* of *Vepkhistqaosani* close to the ethnic concept the *Kujis*.

The presented material, of course, does not contradict to the achievements of the interpretation of the above-mentioned concept in the folkloric aspect, moreover, it does not exclude the role of this aspect in the study of the mythical sources of the poem's plot. This material only specifies the semantic contents of the heterogeneous concept under discussion and widens the historical-cultural context in which the knowledge and erudition of the author of the poem is considered. That is, in case this hypothesis is shared, Persian historiographic literature may also be added to the literary, historical and philosophical sources with which the familiarity of *Vepkhistqaosani* is acknowledged in scholarship.

სომატიური ლექსიკა თურქულში

(კომპოზიციის გზით el 'ხელი' ლექსემის სიტყვანარმოებითი შესაძლებლობები)

სიტყვანარმოების ერთ-ერთი ხერხია ორი ან მეტი ფუძის (სიტყვის) შეერთება, რის შედეგადაც ვიღებთ რთულ სიტყვას ანუ კომპოზიტს. ნარმოქმნას ანუ დერივაციას უპირისპირდება თხზვა, ანუ კომპოზიცია. მას შუალედური მდგომარეობა უჭირავს ენის ერთეულების დაკავშირების მორფოლოგიურ და სინტაქსურ მეთოდებს შორის, თუმცა ახასიათებს ორივე მათგანის თავისებურებები. სიტყვათა შეერთება ანუ თხზვა ენაში ახალი ცნებების გამოხატვის ერთ-ერთი გზაა. თურქულ ენაში გვაქვს რთული სახელები, რომლებიც იწერება ერთად ანუ შერწყმის პროცესი დასრულებულია. მაგრამ მათ პარალელურად არსებობს რთული სახელები, რომლებიც იწერება ცალ-ცალკე. თურქული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის შესავალ ნერილში ერთი დიდი თავი ეთმობა კომპოზიტებსა და მათ მართლწერას (İmla K..29-47).

ჩვენი მიზანია კომპოზიციის გზით el „ხელი“ სომატიზმის სიტყვანარმოებითი შესაძლებლობების ჩვენება თანამედროვე თურქულ ენაში. რთულ სიტყვებში კარგად ჩანს ამ ლექსემის პოლისემანტიკური ბუნება.

el „ხელი“ სიტყვა კომპოზიციის გზით მონაწილეობს როგორც რთული სახელების, ასევე რთული ზმნების წარმოებაში. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ კომპოზიციის სხვადასხვა ხერხით მიღებულ მხოლოდ რთულ სახელებს.

მირთვით ნაწარმოები კომპოზიტები. ამ შემთხვევაში el 'ხელი' ლექსემა თხზული სიტყვის პირველი კომპონენტია, კავშირი წყვილებს შორის მირთვითაა გამოხატული. ახალმიღებული რთული სიტყვები, როგორც ამას მაგალითებიც ცხადყოფს, el ლექსემის ძირითადი მნიშვნელობიდან გამომდინარეობს. ზოგი მათგანი რთული არსებითი სახელია, ზოგი – რთული ზედსართავი, ზოგი კი – რთული ზმნიზედა.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

el araba(sı) – საზიდარა, ურიკა; **elbeşte** – დიდი თასი, რომელსაც დაბალები (მეტყავეები) ხმარობენ; ყურიანი (ყულფიანი) დიდი ქვაბი; **el birlik** – გაერთიანება, ერთიანობა, თანამშრომლობა; **el birlikli (el birliğıyle)** – ერთად, ერთობლივად, საერთო ძალებით [შესრულებული]; **eldamarlı: ~ yaprak** – (ბოტ.) თითებიანი ფოთოლი, თათებიანი ფოთოლი, ნაკვებიანი ფოთოლი; **eldikiş** – ხელით ნაკერი; **eldiven** – ხელთათმანი; **elense (çekmek)** – კისრული; **elezer** – სადისტი (**elezerlik** – სადიზმი); **elşpen** – (საუბ.) ხელიკი; **elşpme** – ხელზე მთხვევა, ხელზე ამბორი (საპატიო რიტუალი, რომელიც სრულდება უფროსების მიმართ განსაკუთრებული პატივისცემის გამოხატვის მიზნით: ხელზე მთხვევას მოსდევს ამ ხელის შუბლზე მიდებაც); **elverdikçe** – ხელსაყრელი (შესაფერი) მომენტი; **elveriş (elverişli, elverişlik, elverişlilik)** – ვარგისიანობა, შესაფერისობა, მოხერხებულობა; **elverişsiz** – შეუფერებელი, უვარგისი, არახელსაყრელი, მოუხერხებელი; **elvere** – ალბათ, შესაძლებელია; **elverme** – იხ. **elveriş**; **el yazılı** – ხელით ნაწერი, ხელით დანერვილი.

ორიოდ სიტყვით გვინდა '**eldiven** – ხელთათმანი' ლექსემაზე შევჩერდეთ. იგი მირთვით ნაწარმოებ კომპოზიტა ცხრილში მოვიტანეთ. ა. ტიტცე თელის, რომ **eldiven** სპარსული '**dastavan**'-ის ანალოგიითაა მიღებული. პ. ერენს მიაჩნია, რომ **el-diven (divan, duvan)** კომპოზიტის მეორე ნევრის მნიშვნელობა დადგენას საჭიროებს (Eren, 132). ი.ზ.ეიბოლლუს აზრით კი, ეს არის **el** და **tüğmek (bağlamak** – შებმა. მობმა; **sarmak** – მოხვევა) სიტყვების შერწყმით მიღებული კომპოზიტი: **eltügen, altögen, eldüven, eldiven, elcek (Eyuboğlu, 227)**. XVII საუკუნიდან ფიქსირებული **eldiven**-ის დღევანდელი სახე ბგერათა მონაცვლეობის შედეგადაა მიღებული. **d, t, g, v, ş, ç** ბგერათა ერთმანეთში გადასვლა ჩვეულებრივი მოვლენაა თურქულში: **tüğme > düğme, güzel > güzel, koğmak > kovmak**. როგორც ჩანს, ეს არის ხელზე დასახვევი საგნის მნიშვნელობით მიღებული რთული სიტყვა. ხალხურ მეტყველებაში მას აქვს სინონიმები: **ellik, elecek, elcek, elçek**, რომლებიც ასევე **el** 'ხელი' სიტყვიდან აფიქსაციის საშუალებით ნაწარმოები ლექსემებია (კაჭარავა, 231-245).

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

1. Tellal bir **eldikiş** makinesini satışa çıkardı (T.H.. 12). დალაღმა ხელის საკერავი მანქანა გასაყიდად გამოიტანა.

2. Kısacası, ayrılmak da kavuşmak da *el öpmeye* başlar (Orhun, I, 147) მოკლედ, შეხვედრაც და დამშვიდობებაც *ხელზე მოხვევით* იწყება.

3. *El yazılı* ifade veremezdim; bu yazılar elbet birtakım ellere geçecekti (C.D., I.6.1986.13). *ხელით დანერილ* ჩვენებას ვერ მივცემდი; ეს ნერილები, უეჭველია, უამრავი კაცის ხელში გაივლიდა.

მართვით განხორციელებული კავშირის დროს პრეპოზიციურ ნყობასთან ერთად გვაქვს პოსტპოზიციური ნყობაც, როცა *el* ლექსემა კომპოზიტის მეორე ნევრია. აქ მხოლოდ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა: *açık el* – სიუხვე, ხელგაშლილობა (აქედან: *açık elleri* – უხვი, ხელგაშლილი).

მართვით ნაწარმოები კომპოზიტები. აქ იგულისხმება მართვის სხვადასხვა საშუალებით მიღებული რთული სიტყვები. მართვის საშუალებათაგან უპირველესი არის *იზაფეტური კონსტრუქცია*. რთული სიტყვების წარმოებაში სწორედ *იზაფეტი* არის ძირითადი და ყველაზე პროდუქტიული წყარო.

სიტყვანარმოებაში უმეტესწილად მეორე *იზაფეტი* გამოიყენება. მის ბაზაზე წარმოიქმნება სხვადასხვა ტიპის კომპოზიტები. ხშირად ახალწარმოქმნილი სიტყვა თავისი მნიშვნელობით წარმოადგენს არა მისი შემადგენელი ინგრედიენტების მექანიკურ ჯამს, არამედ გამოხატავს ახალ ცნებას. ამასთან დაკავშირებით საჭიროა გავითვალისწინოთ ორი მთავარი გარემოება: პირველი ის, რომ ყველა ტიპის *იზაფეტი* ერთნაირი უფლებით ვერ მონაწილეობს კომპოზიტების წარმოების პროცესში; მეორე ის, რომ საქმე გვაქვს პროცესთან. ამ პროცესში ზოგი *იზაფეტი* ჯერ გზის დასაწყისშია; მსაზღვრელ-საზღვრულს შორის შერწყმის (შეერთების) ხარისხი ძლიერ სუსტია; შემადგენელი ელემენტები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ინდივიდუალობასა და დამოუკიდებლობას; ახალი ცნების წარმოქმნა ჩანასახის მდგომარეობაშია. მაგრამ არის ისეთი *იზაფეტური კონსტრუქციები*, რომლებიც უკვე გადასულია რთული სიტყვების რიგში და მათში *იზაფეტის* აღმოჩენა მხოლოდ ეტიმოლოგიური ანალიზით თულაა შესაძლებელი.

el ლექსემა გვხვდება *იზაფეტის* როგორც პირველ – მსაზღვრელ, ისე მეორე – საზღვრულ ნევრად.

მოგვყავს მეორე *იზაფეტის* კონსტრუქციით სიტყვანარმოების მაგალითები, სადაც *el* ლექსემა *იზაფეტის* მსაზღვრელი ნევრია:

1. *el açıklığı* – ხელგაშლილობა, დიდსულოვნება; 2. *el afişi* – [სპექტაკლის, კონცერტის და მისთ.] პროგრამა; 3. *el alışkanlığı*, *el yatkinlığı* – [ხელის] ჩვევა; 4. *el arabası* – ურიკა, საზიდარა; 5. *el aracı*

– ხელსაწყო, ხელის ინსტრუმენტი; 6. **el ayası** – ხელისგული; 7. **el aynası** – ხელის (ჯიბის) სარკე; 8. **el baltası** – პატარა ცული; 9. **el başı** – ნამყვანი, ხელმძღვანელი (თამაშში და მისთ.); 10. **el bezi** – ხელსახოცი; 11. **el bileği** – მაჯა; 11. **el birliği** – ა. გაერთიანება, თანამშრომლობა; ბ. კოლექტიური მუშაობა, ურთიერთანამშრომლობა; 12. **el bombası** – ხელყუმბარა; 13. **el çabukluğu** – ხელმარჯვეობა; 14. **el çanı** – ხელის ეყვანი; 15. **el çantası** – ხელჩანთა (ქალის); 16. **el çarkı** – ა) ვერტიკალური გამფანტველის მექანიზმი, ბორბალი (დაზგის ტყვიამფრქვევისა); ბ) (საზღ.) შტურვალის ბორბალი (გემის საჭე); 17. **eldarlığı** – ხელმოკლეობა; 18. **el değirmeni, el taşı** – ხელსაფქვავე, ხელის ნისქელი; 19. **el duşu** – ხელის შხაპი; 20. **el dürbünü** – ხელის ჭოგრიტი; 21. **el emeği** – ხელის შრომა; 22. **el falı** – ხელზე მკითხაობა, ხირომანტია; 23. **el feneri** – ხელის ელექტროფარანი; 24. **el flaması** – დროშის შუქნიშანი; 25. **el freni** – ხელის მუხრუჭი; 26. **el gölgesi** – სარეკომენდაციო წერილი; 27. **el havlusu** – პატარა პირსახოცი, ხელსახოცი; 28. **el imalâthanesi** – ხელით შრომის სახელოსნო; 29. **el işçiliği** – ხელის შრომა, ხელით შრომა; 30. **el işi** – ხელსაქმე; 31. **el kantarı** – ხელის სასწორი; 32. **el keseri** – დურგლის ხელსაწყო: პატარა მკენეტელა; 33. **el kılavuzu** – პატარა ცნობარი; 34. **el kiri** – ა) ხელის ჭუჭყი (ფული); ბ) ადვილად გადასაგდები (გასამეტებელი) ნივთი; 35. **el kitabı** – ნიგნაკი; 36. **el kremi** – ხელის კრემი; 37. **el kundağı** – თოფის კონდახის ყელი; კონდახის დასაწყისი; 38. **el lâmbası** – გადასადგმელი (ხელის) ლამფა; 39. **el leğeni** – ხელსაბანი თასი; 40. **el matkabı** – ხელის ბურღი; 41. **el mengenesi** – ხელის (საზინკლო) გირაგი; 42. **el merdiveni** – გადასატანი კიბე; 43. **el oltası** – კარჩხანა თევზის დასაჭერი ანკესი; 44. **el sabunu** – ხელის საპონი; 45. **el sanatları** – ხელის დაზგაზე ხელით გაკეთებული ყველანაირი შრომის ნიმუში; 46. **el sanayii** – კუსტარული წარმოება(ხელით შრომა); 47. **el sözlüğü** – პატარა ლექსიკონი, ჯიბის ლექსიკონი; 48. **el şahmerdanı** – ხელის ურო; 49. **el şakaları, el şakası** – ხელის ფათური, გადაკიდება, ბლლარძუნი; 50. **el şakırdıları** – ტაშისკერა; 51. **el takımı** – ხელსაწყო, ხელის ინსტრუმენტების ნაკრები; 52. **el tarağı** – ხელის მტევანი; 53. **el taşı** – ჯამი, ლამბაქი; ხელსაბანი თასი; 54. **el (cep) telefonu** – მობილური ტელეფონი; 55. **el telsizi** – ხელის (პატარა) რაცია (გადამცემი); 56. **el testeresi** – ხელის ხერხი; 57. **el topu** – ხელბურთის ბურთი; 58. **el torbası** – ხელჩანთა (ტოპრაკი); 59. **el ulağı** – ხელქვეითი, დამხმარე (აქედან: **el ulaklığı**); 60. **el uzluğu** – მოხერხებულობა; 61. **el yapısı** – ხელნაკეთი; 62. **el yarası** – ხელით

მიყენებული ჭრილობა: 63. *el yazısı* – ხელნაწერი; 64. *el yazması* – ა) ხელნაწერი წიგნი; ბ) ხელნაწერი; 65. *el yordamı* – ხელით შეგროვება, ხელით შეხება, ხელის ცეცება; 66. *el zımbası* – სახვერეტელა (ხელის), სახვერეტი.

როგორც ვხედავთ, ორთოგრაფიაში ერთგვაროვნებაა, ყველა მათგანი ცალკე იწერება. ჩანს, შეერთება-შერწყმის პროცესი ჯერ არ დაწყებულა. კომპოზიტთა ორივე კომპონენტი საგნობრივი სემანტიკის გამომხატველია.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

1. Onu Doğu tren istasyonunun iki numaralı durağında. elindeki kırmızı *el çantasıyla* beklerken gürdüm (Ö.S..50) – იგი დავინახე აღმოსავლეთის რკინიგზის სადგურში, მეორე ბაქანზე ხელში წითელი *ხელჩანთით* იცდიდა.

2. Leğenle ibrik bir saat evvel kalaylanmışlar gibi parıl-parıl. *el havlusu* demin yıkanmış gibi temizdi (K.T.,200). ტაშტი და ტოლჩა თითქოს ერთი საათის წინ მოკალესო, ისე პრიალებდა, *ხელსახოცი* (პირსახოცი) თითქოს ახლახან გარეცხესო, ისეთი სუფთა იყო.

3. *Elîşi* de sterimin arasına sakladım (N.G..16). *ხელსაქმე* ჩემს რეეულში ჩავმალე.

4. Para dediğin *el kiri* (Ö.A.A.333). ფული *ხელის ქუჭყია*.

5. Yıkanan ve suda dinlendirilen ayakları iyice kuruladıktan sonra, *el kremi* veya vücut losyonu gibi bir yumuşatıcı ile ovalıyabilirsiniz (C.D..5.4.1997,13). დაბანილი და წყალში დამბალი ფეხები კარგად გაიმშრალეთ, შემდეგ შეგიძლიათ *ხელის კრემით* ან სხეულის ლოსიონის მაგვარი დამარბილებლით დაიზილოთ.

6. Azıksız yola çıkıyor iki gün *el torbasında* kalır (Ö.A.A..153). უსაგზლოდ გზაზე დამდგარს ორთავ თვალი *ხელჩანთისაკენ* (*ტოპრაქისაკენ*) უჭირავს.

7. Burada daha çok *el yapısı* işlerine uğraşılır (C.D..21.7.1996.17). აქ უფრო მეტად *ხელნაკეთი* საქმეებით არიან დაკავებული.

8. *El yarası* olunur, dil yarası olunmaz (Ö.A.A..283). *ხელით მიყენებული ჭრილობა* მოშუშდება, ენით მიყენებული ჭრილობა კი – არა.

9. Evet, *el yazısını* tanıdım (H.P.,63). დიახ, მისი *ხელნაწერი* ვიცანი.

10. Tüm *el yazmaları* sessizce yırtar ve masanın altına fırlatır (A.Çeh.,152). წყნარად ხევს მთელ თავის *ხელნაწერებს* და მაგიდის ქვეშ ყრის.

აქვე შევნიშნავთ, რომ el სიტყვასთან დაფიქსირდა მართული (II იზაფეტური) კონსტრუქციის ერთი შემთხვევა – საზღვრული სივრცობრივი სახელია და დგას დანყებით ბრუნვაში: el altından – ჩუმად, საიდუმლოდ, ფარულად, დამალულად.

მაგ.: Çünkün Amerika ile İngiltere, Fransa ve el altından Rusya, Batı'ya dıñman İslam ülkelerine karşıdır (Sabah gaz.-si, 5.1.1999). იმიტომ, რომ ამერიკა და ინგლისი, საფრანგეთი და *ფარულად* რუსეთი, დასავლეთის მტერი ისლამური ქვეყნების წინააღმდეგ გამოდიან.

მესამე იზაფეტის კონსტრუქციის საშუალებით სიტყვანარმოება თითქმის არ შეგვხვდა. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც განსაზღვრული ორნიშნიანი იზაფეტის დროს ხომ კერძო, კონკრეტული კუთვნილება იგულისხმება. თითო-ოროლა მაგალითის დაფიქსირება მაინც შევძელით:

elin tersi, elin üstü – ხელის ზურგი; elinin altında – ა) ვილაცის ხელში [ყოფნა]; რალაცის გაკეთების ძალის [ქონა]; ბ) ვილაცის ხელქვეითად [ყოფნა]; ვილაცის განკარგულებაში [ყოფნა]; elin(in) körü – (უხემ.) 'რაებს ჩმახავ! მოკეტე!'

მაგალითები:

1. Hamdi soğan doğruyor, arasıra elinin tersiyle yaşaran gözlerini uñuşturuyordu (K.T.,49). ჰამდი ხახვს ჭრიდა და ხანდახან *ხელის ზურგით* აცრემლებულ თვალებს ინმენდა.

2. Çocuk kirli ellerinin üstü ve kollarıyla gözlerini kuruladı (A.A.,11). ბავშვმა ჭუჭყიანი *ხელის ზურგით* და მკლავებით თვალები შეიმშრალა.

3. Elinin körü. çalışmazsan çalışma, kimsenin sana yalvaracak hali yok (Korkmaz,240). *მოკეტე*, თუ არ იმუშავებ, ნუ იმუშავებ, არავინ შეგეხვენება.

el ლექსემასთან – როცა იგი მეორე იზაფეტის კონსტრუქციის საშუალებით ნანარმოები რთული სიტყვის საზღვრული წევრია – სიტყვანარმოების მხოლოდ ოთხი მაგალითი შეგვხვდა:

1. hanımeli – (ბოტ.) კაპრიფოლი (Lonicera caprifolium)
2. havan eli – ფილთაქვის ქვა (სახელური, რითაც ინაყება)
3. havvaanaeli – (ბოტ.) პატარა თეთრყვავილებიანი ერთწლიანი მცენარე (Anastatica hierochuntia)
4. terazi eli – სასწორის ხელი, სახელური

მაგალითი:

Burnu bencileyin, yamyassi. *havan eli* gibi, yumru-yumru bacakları da açık (M.E..39-40). ცხვირი ჩემსავით მიჭყლეტილი, *ფილთაქვის სახელურივით*, მიგრეხილ-მოგრეხილი ფეხებიც გაშლილი ჰქონდა.

როგორც მოყვანილი ოთხი მაგალითიდან ჩანს, ორთოგრაფიაში სიჭრელეა: ორი მათგანი ცალკე ინერება და მათი მნიშვნელობა გამომდინარეობს შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობიდან. დანარჩენ ორში კი ატრიბუტული მსაზღვრელის ფუძე შეზრდილია საზღვრულთან და ვიღებთ ერთცნებიან, მნიშვნელობით სრულიად განსხვავებულ რთულ ფუძეს, კერძოდ ორ ბოტანიკურ ტერმინს.

ფუძის რედუპლიკაციით მიღებული კომპოზიტები. ფუძის გამეორება, გაორკეცება ერთ-ერთი საშუალებაა კომპოზიტის შესადგენად, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია როგორც სახელებში, ისე ზმნებში. სახელებში ფუძის გაორკეცება შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს.

el ლექსემასაც აღმოაჩნდა ფუძის რედუპლიკაციის უნარი:

ა) მარტივად ფუძის სრული გაორმაგებით მივიღეთ:

el el – ხელიდან, ხელით, პირდაპირ

ბ) დაფიქსირდა შემთხვევა ფუძის სრული გაორკეცებისა, როცა მეორე რედუპლიკანტი დგას მიცემით ბრუნვაში:

el ele – ხელი ხელს.

მაგალითები:

1. Marianne`la Valere bir ara birbirlerine bakmadan *el ele* dururlar (M.T..18). მარიანა და ვალერი ერთ ხანს დგანან *ხელიხელჩაკიდებულნი*, ისე რომ ერთმანეთს არ უცქერენ.

2. Gel kardeşim. seninle oynayalım *el ele* (TOK, 19).

მოდი, ძმაო, მე და შენ

ვითამაშოთ *ხელი ხელს (ხელიხელჩაკიდებულებმა)*.

გ) შეგვხვდა მაგალითები, როცა ფუძეგაორმაგებული კომპოზიტის მეორე წევრი დგას ადგილობითსა და დაწყებით ბრუნვებში:

el elde baş başta – ძველებურად, ისევ ისე

el elden kalmaz da dil dilden (Ö.A.A., 260). ხელი ხელს არ ჩამორჩება და ენა ენასო.

დ) დაიძებნა შემთხვევა, როცა პირველი წვერი დანყებით ბრუნ-
ვაშია, მეორე კი – მიცემითში: **elden ele** – ხელიდან ხელში

მ ა გ ა ლ ი თ ი:

Eğer meslek saygısı ona kalemi bıraktırmasaydı, bugün **elden ele** do-
laşan romanlarını görecektik. (ÖTS, 808) პროფესიის პატივისცემას
მისთვის კალამი რომ არ გაეგდებინებინა, დღეს ეიხილავდით მის
ისეთ რომანებს, **ხელიდან ხელში** რომ გადავიდოდა.

სხვადასხვა ხერხით ნაწარმოები კომპოზიტები. el ლექსემას
აქვს უნარი კუთვნილებითი აფიქსებით დაუკავშირდეს დამოუკი-
დებელი მნიშვნელობის სიტყვებს და მოგვცეს სრულიად ახალი,
ხშირად შემადგენელი კომპონენტების სემანტიკისაგან სავსებით
დაშორებული კომპოზიტები. ამ შემთხვევაში მსაზღვრელი დგას
საზღვრულის შემდეგ და ეს უკანასკნელი გაფორმებულია მესამე
პირის კუთვნილებითი აფიქსით (განსხვავებით მეორე იზაფეტი-
საგან, სადაც ორი სიტყვის დაკავშირება აგრეთვე მესამე პირის
კუთვნილებით აფიქსს ეკისრება). ჩვენს შემთხვევაში მხ. რიცხვის III
პირის კუთვნილებითი აფიქსი ერთვის კომპოზიტის პირველ წვერს.
ასეთ კომპოზიციაში რთული სიტყვის შემადგენელი მეორე ნაწილი
ყოველთვის ზედსართავი სახელია ან იშვიათად ზმნიზედა. ამის
გამო, ამ ტიპის რთული სიტყვები უმეტესწილად იღებენ ზედ-
სართავი სახელის მნიშვნელობას. ფორმულა:

საზღვრული + კუთვნილებითი სუფიქსი + მსაზღვრელი:

el-i açık [ხელი+მისი+ლია] – ხელგაშლილი; დიდსულოვანი
(ნაცვლად açık el-ისა – ხელგაშლილობა, დიდსულოვნება);

1. eli açık – თაბაშირხელიანი; 2. eli açık – დიდსულოვანი,
ხელგაშლილი; 3. eli ağır – ა) მძიმე ხელის პატრონი; ბ) ზანტი, ნელი,
აუჩქარებელი; გ) არააკურატული, გამოუსწორებელი (გადაშხდელ-
ზე); 4. eli baltalı – ხელკეტიანი; 5. eli bayraklı – მეამბოხე, ბუნ-
ტისთავი; 6. eli beratlı – სრულუფლებიანი, დიდი რწმუნებულების
მქონე; 7. eli boş – ა) ხელცარიელი; უქონელი; ბ) უსაქმო; 8. eli çabuk –
ხელმარჯვე, ხელსწრაფი; 9. eli çantalı – ხელჩანთიანი; 10. eli dar –
ძუნნი, კრიჟანგი; 11. eli darda – ფულში შეზღუდული, მცირედ (კო-
ტად) უზრუნველყოფილი; 12. eli değnekli – უსირცხვილო, უსინ-
დისო, თავხედი; 13. eli dolu – ხელსავსე, ხელდამშვენებული; 14. eli
düzgün – ოქროს ხლებიანი; 15. eli emirli – ხელში რაიმე წე-
რილობითი ბრძანების მქონე; 16. eli geniş – ა) კეთილი, გულუხვი,

ხელგაშლილი; ბ) მშვიდობიანი, ბედნიერი, მკონებელი; 17. *eli hafif* – მსუბუქ ხელიანი (*ექიმზე და მისთ.*); 18. *eli koynunda* – უზრუნველი, თავისი ყოფით (*მდგომარეობით*) კმაყოფილი; 19. *eli maşalı* – უხეში, თავხედი; უნამუსო (*ქალზე*); 20. *eli mızraklı* – ხელშუბიანი; 21. *eli şüphecek* – დასაფასებელი, პატივსაცემი; 22. *eli sıkı* – ძუნწი, ნუნწურაქი, ხელმოჭერილი; 23. *eli sopalı* – მოჩხუბარი; 24. *eli sulu* – ხელიდან საქმე რომ გამოსდის, ხელმარჯვე, გამოცდილი, ხელგავარჯიშებული (*რამეში*); 25. *eli uz* – ა) მოხერხებული, უნარიანი, შნოიანი; ბ) ხელმარჯვე, თავისი საქმის ოსტატი; 26. *eli uzun, eli yaramaz* – ხელმრუდე; ქურდი; 27. *eli üstün* – გამარჯვებული, აღმატებულ მდგომარეობაში მყოფი; 28. *eli virgili* – ხელგაშლილი; გულუხვი; 29. *eli yatkın* – გამოცდილი, ხელგავარჯიშებული (*რამეში*); 30. *eli yordamlı* – გამოცდილი; 31. *eli yufka* – ღარიბი, უქონელი.

მიღებული კომპოზიციები რთული ზედსართავი სახელი ან რთული ზმნიზედებია, ე. ი. სახეზეა ადიექტივაციისა და ადვერბიალიზაციის პროცესები.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

1. Teknik Direktor Hiddink. *eli açılış* Müjdat ile B. Şenol arasında tercih yapamıyor (Milliyet gaz.-si, 24.10.2005). ტექნიკური დირექტორი ჰიდდინგი *თაბაშირხელიან* მუყდათსა და ბ.შენოლს შორის არჩევანს ვერ აკეთებს.

2. Damat da *eli açık* adandı ya? (H.T.,15) სიძვეც ხომ *ხელგაშლილი* კაცი იყო, აა?

3. Adam *eli baltalı*, binlerce. yüzbinlerce yıkıcı görünüyordu sanki (O.R., 83). *ხელკეტიანი (ხელნაჯახიანი)* კაცი ათასჯერ, ათიათასჯერ უფრო საშიში [დამანგრეველი] ჩანდა თითქოს.

4. *Eli boşa* – ağa uyur, derler, *eli doluya* – ağa buyur, – derler (Ö.A.A.,221).

ხელცარიელს – ეცყვიან, ბატონს სძინავსო და *ხელდამშვენებულს* – მობრძანდით, ბატონოო.

5. Bakanlıkların merdivenlerinde *elleri kara çuntalı*. gözükün, papyon-kıravatlı uzmanlar inip çıkıyorlardı (A.N.,22). სამინისტროების კიბეებზე *ხელში შავჩანთიანი*, სათვალეებიანი, ბაფთა-ჰალსტუხიანი სპეციალისტები ადიოდ-ჩამოდიოდნენ.

6. – Evet, siz muhakkak *eli şüphecek* bir alimsiniz.

– Hayır, birader. ben ne *eli şüphecek* bir alimim, ne de dünyanın bütün bilgisi bende (M.T.,8).

– დიახ, თქვენ უცილობლად *პატივსაცემი* პიროვნება ბრძანდებით.

– არა, მე არც *პატივსაცემი* და მეტადრე არც ბრძენი კაცი ვახლავართ.

კომპოზიციის ამგვარ შემთხვევებში მაკავშირებელს წარმოადგენს მხოლოდ მხ. რიცხვის III პირის კუთვნილებითი აფიქსი. ს.ს. მაიზელი თვლის, რომ ამ ტიპის რთულ ზედსართავ სახელებში პირველი კომპონენტი არის ე.წ. ერთშემადგენლობიანი იზაფეტის ნაშთი (Маи́зуле, 127):

eli siki – ძუნნი, ხელმოჭერილი (**eli** – მისი ხელი + **siki** – მჭიდრო, ვინრო).

კომპოზიციის ეს ყალიბი განხილული აქვს **თ. ბანგუოლლუს**, **პ. ედისკუნსა და ზ. კორკმაზსაც**.

მ. ჯიქია ამგვარ კონსტრუქციებს პოსესიურ სტრუქტურებს უწოდებს და თვლის, რომ ესაა ენობრივ ერთეულთა თურქულ ენათათვის დამახასიათებელი მორფოლოგიურ-სინტაქსური წარმონაქმნი, რომელიც ფაქტობრივად სიტყვაფორმათა სპეციფიკური რიგის მქონე წინადადებაა. იგი ამ მოდელის შემდეგ ფორმულას გვთავაზობს: არსებითი სახელი + III პირის მხ. რიცხვის კუთვნილებითი აფიქსი = ქვემდებარე + შედგენილი შემასმენელი: მაგ., **adi demur** – მისი სახელია რკინა (**მ.ჯიქია**, 21).

კომპოზიციის სხვადასხვა ხერხთაგან გვხვდება აგრეთვე ისეთი მაგალითები, როცა ადგილობრითა და დანყებით ბრუნვებში მდგარი **el** სომატიზმი რთული სიტყვის მეორე კომპონენტია, ანუ იგი თვითონ შეიწყობს სხვა სიტყვებს და სიტყვანარმოების ახალ ნიშუშებს ვიღებთ: **ilk elde** – მაშინვე, უცებ; **art elden** – ჩუმად, მალულად, საიდუმლოდ; **ilk elden** – 1. თავიდანვე; 2. პირველი ხელიდან (*ვაჭრობაში*); **tek elden** – ერთმმართველობის ქვეშ; **tez elden** – 1. ხელდახელ, სწრაფად, ჩქარა 2. სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ.

აღმოჩნდა, მაგალითი, როდესაც მესამე პირის კუთვნილებით აფიქსიან **el** ლექსემას ერთვის ადგილობრივი ბრუნვის ნიშანი და შემდეგ აბსტრაქტულობის გამოხატველი **-lik** სუფიქსი. ასეთი შედგენილობის ეს სიტყვა უკვე გაქვეავებული სახით იხმარება და აღნიშნავს ფილოსოფიურ ტერმინს:

elindelik (-ğil) - (ფლობს) ნების თავისუფლება.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან კარგად ჩანს, თურქულ ენაში არ არის აუცილებელი რთული სიტყვა ერთად იწე-

რებოდეს, როგორც ეს გვაქვს ქართულში ან როგორც ეს მიღებულია ზოგად ენათმეცნიერებაში. ბევრ შემთხვევაში კომპოზიტებში შემავალი კომპონენტების შერწყმის პროცესი დამთავრებულია და ორი ფუძე საბოლოოდ ერთ რთულ ფუძედაა ქცეული. მაგრამ მაგალითების ფონზე დავრწმუნდით, რომ არის შემთხვევები, როცა შერწყმის პროცესი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და ძნელია გადწყვეტა ერთ რთულ ფუძესთან გვაქვს საქმე თუ შესიტყვებასთან. თუმცა, თურქულ ენაში, როგორც ცნობილია, მათ ერთი საერთო სახელი აერთიანებთ – რთული სახელები (Birleşik kelimeler). თურქული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის შესავალ ნერილში გამოყოფილია თავი – თხზული სიტყვები, რომელშიც მითითებულია, რომ რთული სიტყვები მართლწერის თვალსაზრისით იყოფა ორად: კომპოზიტები, რომლებიც იწერება ერთად (მათ bitişik kelimeler ჰქვია) და – რომლებიც იწერება ცალ-ცალკე (მათ ჰქვიათ რთული სახელები, რომლებიც ცალკე იწერება). ამას მოსდევს მთელი რიგი პუნქტებისა, სადაც ჩამოთვლილია რთული სიტყვების ერთად და ცალ-ცალკე დანერილობის წესები (İmla K., 29-47).

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ el ლექსემა უხვად გვხვდება როგორც გეოგრაფიული, ასევე გვარ-სახელების წარმოებაში [Elöve (გვარი), Elegez (მთა), Eldivan, Eleşkirt (ილჩეები) და მრავალი სხვ.]. საკუთარი სახელებისა და ტოპონიმის ალმნიშვნელი ტერმინოლოგიის მართლწერაში სრული წესრიგი სუფევს. ამგვარი რთული სიტყვები ერთად იწერება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ჯიქია – მარინე ჯიქია, თურქიზმები ქართველურ ანთროპონიმიკონში, ფილ. მეცნ. დოქტორის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის სადისერტაციო მაცნე, თბილისი, 1995.
2. კაჭარავა – ნანა კაჭარავა, baş 'თავი', el 'ხელი', dñz 'თვალი' ლექსემების სიტყვანარმოებითი შესაძლებლობანი თურქულ ენაში (აფიქსაცია), ტიპოლოგიური ძიებანი, IV, თბილისი, 2000.
3. Майзель – Майзель С.С., Изафет в турецком языке, Москва-Ленинград, 1957.
4. Banguoğlu – Banguoğlu Tahsin, Türkçenin Grameri, Ankara, 1995.
5. Ediskun – Ediskun Haydar, Türk Dilbilgisi, İstanbul, 1996.
6. Eren – Eren Hasan, Türk Dilinin Etimoloji Sözlüğü, Ankara, 1999.

7. Eyuboğlu - Eyuboğlu İsmet Zeki, Türk Etimoloji Sözlüğü, İstanbul, 1995.
8. İmla K - İmla Kılavuzu, TDK, Ankara, 2002.
9. Korkmaz - Korkmaz Zeynep, Türkiye Türkçesi Grameri (Şekil Bilgisi), TDK, Ankara, 2003.

გამოყენებული წყაროები:

1. A.A. - Adalet Ağaoğlu, Oyunlar, Ankara, 1990.
2. A.Çeh.- Anton Çhöv, Martı, İstanbul, 1995.
3. A.N. - Aziz Nesin, Şimdiki Çocuklar Harika, İstanbul, 1967.
4. C.D. - Cumhuriyet Dergisi, 'Cumhuriyet' gazetesinin eki.
5. H. P. - Harold Pinter, Aldatma, İstanbul, 1992.
6. H.T.- Haldun Taner, Ay Işığında Çalışkur, İstanbul, 1954.
7. K.T. - Kemal Tahir, Gül İnsanları, Ankara, 1969.
8. M.F.- Max Frisch, Don Juan ya da Geometri Aşkı, İstanbul, 1994.
9. M.T. - Moliere, Tartuffe, Ankara, 1998.
10. N.G. - Nikolay Gogol, Bir Evlenme, İstanbul, 1991.
11. O.R. - Oktay RıfâL Yağmur Sıkıntısı, Ankara, 1997.
12. Orhun - Türkçe öğreniyoruz, Orhun 1, Ders Kitabı, Ankara, 2005.
13. Ö.A.A.- Ö.A.Aksoy, Atasözleri Sözlüğü, Ankara, 1995.
14. ÖTS - Örnekleriyle Türkçe Sözlük, Milli Eğitim Bakanlığı, 4 cilt, 1995.
15. Ö.S.- Özgür Savaşçı, Dilsizin Dilinden, İstanbul, 1981.
16. T.H. - Türk Hikayeleri, Sofya, 1958.
17. TOK- Türkçe Okuma Kitabı, შემდგენლები ირინე გოცირიძე, ედიშერ სარიშვილი, თბილისი, 1986.
18. YTS - Yeni Tarama Sözlüğü, TDK, 1985.
19. Турецко-Русский словарь, Академия Наук СССР, Институт Востоковедения, Москва, 1977.

NANA KATCHARAVA

Somatic Vocabulary in Turkish (Possible collocations with lexeme el 'hand')

Summary

Lexeme: el –'hand' collocates with many lexemes. These collocations are grammatically linked by different means of composition. Among them

the most important forms are parataxis and government, where lexeme **el** may take the initial as well as final position in the compound. Formed according to the laws of parataxis, the composites are generated not only from the initial meaning of the **el** 'hand,' as compound nouns (**elezer - sadist**), compound adjectives (**elverişli - suitable, acceptable, handy, cosy**), compound adverbs (**elvere - possibly, perhaps**); **açık el - liberality, generosity, abundance, wealth, etc.** 13 compounds have a similar structure.

Among the forms of government the most important one is *izafet* construction. Here lexeme **el** 'hand' appears to be a determinate (66 examples) as well as a determinant (only 4 examples found) member of the second *izafet*: **el ayası - palm of the hand; el yazması - manuscript; terazi eli - bar of the scales; havan eli - pestle (of the mortar) etc.**

Wordbuilding by means of the third *izafet* construction is very rare. We could find only three examples of it: **elin tersi, elin üstü - back of the hand; elinin altında - a) be ready b) at the disposal of; elin(in) körü! - shut up!**

The article discusses several composites that are made up by reduplication of the stem - lexeme **el**:

el el - on hand;

el ele - hand to hand;

el elde baş başta - to be left with nothing;

el elden kalmaz da dil dilden - hand wouldn't remain behind hand and tongue behind tongue.

Lexeme **el** may link with notional/independent words with the help of a possessive affix. This produces new composites that differ in meaning from their immediate constituents. In this case, the second part of the compound word is always taken by the adjective, or rarely by the adverb. Due to the above-mentioned fact, such compounds are mostly adjectives. The formula is as follows:

determinant+possessive affix+determinate:

el-i açık [hand+his+open] - generous (instead of açık el - generosity): 31 composites are discussed.

There are some examples, when the lexeme **el** in the locative and vocative cases is the final component of the compound, i.e. other words collocate with it. Thus, it creates new samples of word building, such as: **ilk elde - immediately, suddenly: 5 examples are found.**

Lexeme - **el** is abundantly used in toponyms and proper names. Therefore, they are worth studying.

**ეტიკეტური სიტუაციისა და ლიტერატურული
ეტიკეტის შესახებ**

(ნიზამი, „ლეილი და მაჯნუნი“)

შუა საუკუნეების პოეზია საზოგადოდ და აღმოსავლური პოეზია - კერძოდ, მკაცრად დადგენილ კანონიკურ ხასიათს ატარებს. გაბატონებული ლიტერატურული ეტიკეტის მიერ შემუშავებული კანონები განსაზღვრავს შინაარსისა და ფორმის კავშირს. დაკანონებულია ტროპული სისტემა, განსაზღვრულია თემატური რკალი და მოტივები. ავტორისეული ორიენტაცია და შემოქმედებითი მიდგომა არსებულ ორიენტირთა შერჩევასა და მხატვრულ საშუალებათა ვარიანტულობაში ვლინდება. [1,95]; [2]; [3, 112-114; 129]; [4]; [5].

შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ფილოსოფიურ თუ რელიგიურ აზროვნებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რომანულ ჟანრს. სიყვარულის საზოგადოებრივი ინსტიტუტის მიერ შემუშავებულია გარკვეული თვალსაზრისი, როგორც ამ ცნების, ისე მისი ლიტერატურული გამოხატვის შესახებ, - სიყვარულის თემა განიხილება უფრო როგორც ზნეობრივ-ესთეტიკური კატეგორია და მისტიკური ცნება, ვიდრე გრძნობადი მოვლენა. ეს ინსტიტუტი, როგორც ცნობილია, არაბულ ნიადაგზე აღმოცენდა, მაგრამ მალე გავრცელდა სპარსულ და თურქულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რასაც დიდად შეუწყო ხელი სუფიზმის წარმოშობამ და გაბატონებამ. სუფიზმმა, რომლის მსოფლმხედველობის ღერძს სიყვარული წარმოადგენს, შუა საუკუნეებში მუსლიმური აღმოსავლეთის შემოქმედებითი აზრი მოიცვა და მთელი სიცხადით თავი იჩინა პოეზიაში. [6]; [7, 96-117].

ნიზამი განჯელის შემოქმედება მთლიანად და კერძოდ მისი პოემა „ლეილი და მაჯნუნი“, წარმოადგენს შუასაუკუნეობრივ ეტიკეტურ ნორმათა გადმოცემისა და მათი ლიტერატურული გამოხატვის ვირტუოზულ ნიმუშს.

ლეილისა და მაჯნუნის სევდიანი სიყვარულის ამბავი უძველეს დროში იღებს სათავეს; ნიზამიმდე ამ სიუჟეტს განვითარების გრძელი და რთული გზა ჰქონდა გამოვლილი, რომელიც, ძირითადად, ბედუნური პლატონური სიყვარულის მეხოტბეობაში პირველობისათ-

ვის გამართულ ბრძოლას უკავშირდება უზრასა და ამირის ტომთა პოეტებს შორის [8, 302-313]; [9, 588-632]; [10, 243-249]. ნერილობით ძეგლებში დაფიქსირებული უამრავი თქმულების მიხედვით, ხელში გვრჩება საკმაოდ მარტივი ფაბულის რამდენიმე ვარიანტი, რომელთაგან ორი, შეიძლება ითქვას, ერთმანეთის სანიხალმდგეო მიმართულება გამოიყოფა: ძირითადად წარმოდგენილია პლატონურ-მისტიკური სიყვარულის მეხოტბე გენიალური პოეტი; შედარებით მკრთალად გამოიყურება, მაგრამ ცალკე აღნიშვნის ღირსია თქმულებათა მეორე ნაკადი, სადაც ამ პოეტის (ყაისის) სახეს ლოველასური იერი დაჰკრავს. თქმულებებში გმირის ერთიანი სახე არ იკვეთება, არაერთგვაროვანია აზრი მისი ისტორიულობის შესახებ, – არაბ სწავლულთა ნაწილი მას ისტორიულ პირად მიიჩნევს, სხვანი – ლეგენდარულ გმირად სახავენ... და, რაც მთავარია, არაბული ნერილობითი წყაროები ამბის ტრაგიკულობის ხელშესახებ მოტივირებას არ შეიცავენ. მოჯადოებული წრე, შეიძლება ითქვას, უსაბაზოდ იკვრება: ბავშვებს ერთმანეთი შეუყვარდებათ, ყაისი გიჟდება ლეილის სიყვარულის გამო, ქალის მიცემაზე უარს ეუბნებიან სიგიჟის გამო.

ნიზამი იყო პირველი პოეტი, რომელმაც ეს საქვეყნოდ ცნობილი ამბავი ერთ კომპოზიციურ მთლიანობაში მოაქცია და გალექსა. თუმცა, ნაწარმოების შექმნის ინიციატივა მას არ ეკუთვნის, იგი მან თავისი მბრძანებლის, ახსათან ბენი მანუჩქორის დაკვეთით დაწერა.

ნაწარმოების შესავალში მოცემულია იმ ეტიკეტურ ნორმათა ჩამონათვალი, რომელსაც ეს შეკვეთილი თემა ვერ აკმაყოფილებდა: „არც ნალკოტი, არც სამეფო ლხინი, არც საკრავი, არც ლვინო, არც სიტყბოება... გამომშრალ ქეიშასა და სიპ კლდეზე სანამდე ივლის დანაღვლიანებული სიტყვა?!“ – წუხს პოეტი [11].

ნიზამის აფიქრებდა თავისი მომავალი პოემის ბედი, მისი წარმატება – ვაითუ ზარ-ზეიმის მოტრფიალე აუდიტორიას მარტივ ფაბულაზე აგებული სევდიანი სიყვარულის ამბავი მოსაწყენად ეჩვენოსო, მაგრამ „ლეილი და მაჯუნის“ სახით ნიზამიმ მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი შედევრი, ხოლო თავისი შემოქმედების გვირგვინი შექმნა, რომელშიც გადმოცემულია ეპოქის სულიცა და იდეოლოგიური ატმოსფეროც, რომელიც სავსებით შეესატყვისებოდა მკითხველი საზოგადოების გემოვნებასა და მსოფლმხედველობას. აქ ყველაფერია არეკლილი და გათვალისწინებული – როგორც აღსაწერი, რეალურ ცხოვრებაში არსებული ეტიკეტური სიტუაციები და ნორმები, ისე მათ აღსაწერად გამოყენებული მხატვრული საშუალებანი. ეს გახლავთ: ვარიანტის სიმრავლიდან მკაცრად შერჩეული ეპიზოდების

მიხედვით გამართული სოუჟეტური ხაზი, იდეოლოგიური პრინციპით შეკრული და გამთლიანებული კომპოზიცია; ეპოქისათვის დამახასიათებელი და აუცილებელი მოტივებისა და რეალიების შემოტანა; პერსონაჟთა დიალოგები, ავტორისეული რემარკები და ლირიკული ნიაღსვლები, რაც მთავარია, ტრაგედიის მამოტივირებელი ძალის წარმოჩენა და ეს ყოველივე ეპიკური თხრობითა და მალალმხატვრული ენით მონოდებულნი – ისეთით, შუა საუკუნეების ლიტერატურული ეტიკეტი რომ მოითხოვს.

არაბული წყაროებისა და ნიზამის პოემის შეჯერება ცხადყოფს, რომ პოეტი მისდევს თქმულებათა ერთ, საგანგებოდ შერჩეულ რიგს და დიდი სიფრთხილით ეკიდება მას; იგი შეგნებულად უვლის გვერდს ყველა, მეტ-ნაკლებად სათავგადასავლო ხასიათის ეპიზოდს. მის პოემაში უკვალოდ არის გამქრალი მოარშიყე მაჯუნუნის სახე; ეპოქის გავლენით შემოაქვს ცვლილებებიც: შეყვარებულთა მამები წარჩინებულ არაბებად მოგვევლინენ, მწყემსი ბავშვები – სკოლის მოსწავლეებად; შუა საუკუნეების რაინდულ წრეთა ტიპობრივ სახედ წარმოგვიდგება ნოფალი; გამოკვეთილია ველად გაჭრის მოტივი, – ურთიერთობა ცხოველთა სამყაროსთან, საუბრი ვარსკვლავებთან და სხვ. საინტერესო დამატებად გვეჩვენება მაჯუნუნის მამის მიერ ღვთისაგან შეილის გამოთხოვის ეპიზოდი, რითიც მაჯუნუნის პიროვნებას შეგნებულად ეცლება ყოველგვარი კონკრეტულ-ისტორიული საფუძველი, ხაზი ესმება მისი, როგორც იდეალური მიჯნურის განზოგადებულ, აბსტრაპირებულ სახეს.

ნიზამისთან ტრაგედია მოტივირებულია. ლეილისა და მაჯუნუნის ტრაგედია, ნიზამის მოტივირებით, ბედისწერა იყო, განგების სურვილი. ეპოქის გავლენა რელიგიურ-მისტიკურ პლანში ვლინდება [12].

ეპოქის სულითა და იდეოლოგიური ატმოსფეროთი არის განპირობებული ნიზამის „ლეილი და მაჯუნუნის“ ზედმინევნით სუფიური ხასიათი. ნიზამის პოემა სუფიური ალეგორიაა და პირობითობის სხვადასხვა დონეზე ტრაგედია სხვადასხვაგვარად მოტივირდება.

რეალური ცხოვრების ფონზე იხატება ეტიკეტური სიტუაციები, ის მოქმედებანი და ხასიათები, რომელნიც პოემის შინაარსში ჩაქსოვილი ძირითადი პრობლემის დასმასა და გადაჭრას, მისი მთავარი იდეის გამოვლენას ემსახურება. პოემის ცენტრში დგას საკითხი პიროვნების, საზოგადოების და ღვთის მიმართებისა, მათ შორის არსებული კავშირურთიერთობით-თანხმობითა თუ წინააღმდეგობით ვითარდება მოქმედება და მოტივირდება პერსონაჟთა ქცევები. ამ მიმართების შეცნობა კონცენტრირებულია ლეილის მამის სიტყვებში. იგი უარს ამბობს

მიათხოვოს ქალიშვილი ყაის-მაჯუნუნს შმაგსა და თავნება ყმანვილს: – შმაგობს თქვენი ვაჟი, შმაგი კი ჩვენი მოყვასი ვერ იქნება, – აცხადებს იგი. ეს მამის პოზიციაა, მისი ნება და სურვილი, მაგრამ არა პირადი, არამედ საზოგადოებრივ აზრთან, მიღებული ქცევის ნორმებთან შეთანხმებული; იგი არაბთა კირკიტა ბუნებას შეახსენებს ხელის მთხოვნელებს და თანატომელთათვის ანგარიშის განევას აუცილებლობად მიიჩნევს: – მოგეხსენებათ, არაბნი რაოდენ ნაკლისმჩხრეკელნი არიან, ეს საქმე ვქნა, (მერე ისინი) რას მეტყვიან? [11.134 (48)]... მაგრამ უპირველესი და უმთავრესი არგუმენტი, რომელიც მას მოჰყავს, ეს არის ზეცის გადანყვეტილება, მოვლენათა განმაპირობებელი ძალა: – ეს საქმე ჩვენი გადასაჭრელი არ არის, შენ ლაპარაკობ, ზეცა კი თავისას იქმს [11, 133 (40)] – ამბობს იგი.

ლეილის მამის უარი რეაქციაა გარკვეულ ეტიკეტურ სიტუაციაზე და გამობატავს ურთიერთდამოკიდებულებას ცალკეულ პირთა შორის, პიროვნებასა და საზოგადოებას შორის, თითოეული მათგანის დამოკიდებულებას ღვთიური ძალისა და ნებისადმი. შუა საუკუნეების (და არა მარტო შუა საუკუნეების) ადამიანთა დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ, მათი დამოკიდებულება ბედისა და განგების მიმართ ექვემდებარება გარკვეულ ეტიკეტს, ტრადიციებს, ჩვევებს როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში [1], [2], ამ ეტიკეტური ნორმით არის განპირობებული პოემის ალეგორიული და სიმბოლური სისტემა.

რეალური ცხოვრების დონეზე, ანუ ნიზამის მიერ აღწერილ წრეებში ადამიანთა ნება ბატონობს – მათ მიერ დადგენილი ეტიკეტური ნორმები და კანონები, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ აზრს, ადათ-წესებს, ტრადიციებს; ყოველი პიროვნება, შეიხი იქნება იგი თუ ტომის რიგითი წევრი, ვალდებულია ანგარიში გაუწიოს საზოგადოებას, მის მორალსა და ეთიკურ ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი გაძევებულ იქნება ტომიდან, მოკვეთილი იქნება საზოგადოებიდან [11, 226(68-71)] და სხვ.

ეტიკეტურ ნორმებს, ადათ-წესებსა და ტრადიციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ წრის ცხოვრებაში, რომელშიც პოემის მოქმედება იმლება, ცნებები: ღირსება, პატივი, სინდის-ნამუსი, სირცხვილი და თავის მოჭრა, სახელის გატეხა; ასევე მტერი, მოყვარე – ხშირად გვხვდება პოემაში და, კონტექსტის მიხედვით, მამოტივირებელი ფუნქცია ეკისრებათ. პოემის გმირები ყველაფერს ჩადიან იმისათვის, რომ ზედმეტი ლაპარაკის, სჯა-ბაასისა და მითქმა-მოთქმის ობიექტად არ იქცნენ, რომ არ შელახონ თავიანთი სახელი და ღირსება, რომ არ დაარღვიონ არაბთა წესი.

პატიოსნების, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის ცნებანი, ტრადიციისადმი პატივისცემისა და მოკრძალების შეგნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მუსლიმური საზოგადოების ცხოვრებაში, განსაზღვრავს მის მორალურ და ეთიკურ ნყოფას [13]; [14, 3-11]; [15, 38-59] მოცემული საზოგადოების ნევრებიც, მუსლიმურ აღმოსავლეთში გაბატონებული დოგმების თანახმად, ნორმათა ტყვეობაში არიან. გამჟღავნებულ სიყვარულს ამ საზოგადოების აკრძალვათა რთულ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და ტომის მესვეურნიც სწორედ მის ნინაალმდგე ილაშქრებენ (სხვათა შორის, გამჟღავნებული და გახმაურებული სიყვარული გაკილვისა და გმობის საგანია არა მხოლოდ აღმოსავლეთში, არამედ შუა საუკუნეების დასავლეთშიც).

პირობითობის ამ დონეზე, პოემაში ნაჩვენებია პიროვნებისა და საზოგადოების შეუთავსებლობა, პიროვნების უკიდურესი კონფლიქტი მის გარემომცველ სინამდვილესთან...

პოემა გამსჭვალულია ცდათა უშედეგობისა და ამაოების იდეით. პოემის გმირებს სწამთ გარეშე ძალის მოქმედება-ბედისწერა.

ბედი, ბედისწერა არის ნიზამის „ლეილი და მაჯნუნის“ მოქმედებათა წარმმართველი ძალა, ზეცის ხელშია პოემის პერსონაჟთა ყოფაცხოვრება.

ბედისწერის იდეა საყოველთაო ხასიათს ატარებს შუა საუკუნეების ლიტერატურაში [16, 135]; [17]. ზეცა (პოემაში *fāḩk, as(c)man, chārkh*) – არის ბედის დამდგენელი, იგი განუწყვეტლივ ბრუნავს და აბრუნებს ყველა ვარსკვლავს, რომელიც ადამიანთა ბედს განაგებს. ბედის გამომწვევი და დამდგენელია აგრეთვე სოფელი, დრო-დონია (პოემაში: *jāhan, ruz(c)gar, zaman, douran*); ბედის აღსანიშნავად პოემაში გვხვდება აგრეთვე: *bāxt, eqbal, fal, tal'e, qāza, sānuvesht* და სხვ. პოემაში ხშირად გაისმის ცრუ და გაუტანელი სოფლის სამდურავი, როგორც პერსონაჟთა სიტყვებში, ისე ავტორისეულ კომენტარებსა და ლირიკულ ნიაღვრებში. პოემაში გატარებული ბედის იდეის ნათელსაყოფად ცენტრალური ადგილი უჭირავს მაჯნუნის სახეს, ძირითადად მის სიტყვებში, მის მიერ გაცნობიერებულ შეფასებებში ვლინდება ეპოქის სულიცა და ნიზამისეული კონცეფციაც. ბედის იდეა გატარებულია შუა საუკუნეების რელიგიურ-ფილოსოფიურ აზროვნებასა და პოეზიაში მიღებულ დებულებათა შესაბამისად: ბედი აქ შეფარდებითია და ექვემდებარება ღმერთს, შემოქმედს, ერთადერთს და უზენაესს. ამ თვალსაზრისით, პოემის მნიშვნელოვანი ეპიზოდია ლამის სურათი და მაჯნუნის ვედრება [11, 330-341], სადაც ასტროლოგია სავსებით მორგებულია მონოთეი-

ტურ ისლამს: [16, 135]. ბედის ვარსკვლავთა - ზუჰრასა და მუშტა-რისაგან განზილებული მაჯუნუნი თავად ცათა უფლის, ერთი ღვთაე-ბის ძალას აცნობიერებს და მას მიმართავს საშველად. ერთ ღმერთს (კჰოდა, izas, allah. haqq) მიმართავენ სხვა პერსონაჟებიც, მას ადიდებენ, მასზე ლოცულობენ, მას იფიცებენ. ერთ ღმერთს აღუვლენს სადიდებელს პოემის ავტორიც [11, 354-354; 362; 417-418; 422; 429; 512 და სხვა მრავალი].

ნიზამის „ლეილი და მაჯუნუნი“ სიყვარულის პოემაა, პოემის პერსონაჟთა და მოქმედებათა განმგებელი ღმერთიც სიყვარულის ღმერთია, უფრო ზუსტად, - ეს არის ღმერთი-სიყვარული, ღმერთი-მშვენიერება, ღმერთი-ჭეშმარიტება, საბოლოოდ, შემეცნების სუ-ფიური თეორიის თანახმად, ეს არის ღმერთი-ადამიანი.

სუფიზმის მიხედვით, სამყაროს შექმნის მიზეზი სიყვარულია, მიზანი - ღმერთი, ხოლო ღერძი - ადამიანი. ნიზამი იმ უზენაეს სიყ-ვარულს გვიხატავს, რომელმაც ყაისში დიდი პოეტი დაბადა, მისი გმირი, პირველ ყოვლისა, შეყვარებულია, ვინაიდან სიყვარულია მი-სი არსი და არსებობის საბოლოო მიზანი. ყაისის ამ ქვეყნად მოვლენ-ის მიზანი სიყვარული იყო, მისი ბედი იმთავითვე გარდანყვეტილი ჰქონდა განგებას, ლეილი კი მისი მინიერი ობიექტი გახლდათ, რო-მელიც მას სრულყოფის გზაზე, პირველ საფეხურთან უნდა დახვედ-როდა, რათა დასაბამი მიეცა მისი შემდგომი სვლისათვის.

ლეილისა და მაჯუნუნის ამბის ნიზამისეული გადანყვეტა, შიძ-ლება ითქვას, გამართული მოდელია სიყვარულის სუფიური კონ-ცეფციისა. პოემის კომპოზიცია სიყვარულის ეტაპობრივი განვითა-რების ჩვენებას ემსახურება.

ალეგორიის ფონის დონეზე, ე.ი. რეალური ცხოვრების დონეზე, ამბის მამოძრავებელი ძალა კაცთა ნებაა, აქ ადამიანის მიერ შემოღე-ბული კანონები ბატონობს. ამ კანონთა მიხედვით, ტრაგედია მოტივი-რებულია საზოგადოებაში გაბატონებული ადამ-ნესებით და ტრადი-ციებით. კაცთა ნებით შემოღებული ნესების თანახმად, სიყვარულის თავისუფალი არჩევანი დაუშვებელია. შინაარსობრივ დონეზე, პოემის მამოძრავებელი ძალა ბედია, წერა, იგი განაგებს პერსონაჟთა მოქმე-დებას, თუმცა თავად ბედი რელატიურია, მეორეული და სავსებით ექ-ვემდებარება ერთი ღვთის, ყოვლისმომცველისა და უზენაესის ნებას - განგებას. ამ ღმერთმა მოავლინა ყაისი მაჯუნუნად, უბოძა მას გრძნობა, გონება, ნიჭი და დააკისრა დიდი მისია - განელოს სრულყოფის ყველა საფეხური და შემდეგ დაბრუნებოდა იდეალურ სამყაროს, კვლავ შერ-წყმოდა აბსოლუტს.

ძველსძველი ლეგენდის ნიზამისეული გადაწყვეტა სავსებით უპასუხებდა ეპოქის იდეოლოგიურ და ესთეტიკურ მოთხოვნებს, გამოსატავდა ავტორის მსოფმხედველობით პოზიციას. ნიზამისეულმა ინტერპრეტაციამ დააკანონა მაჯუნის მისტიკური სიყვარულის იდეალად და დასაბამი მისცა პოემის გმირთა ტრიუმფალურ სვლას აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურებში [8]; [10]; [18].

ნიზამის მიზაძვით, ფაქტობრივად, სავალდებულო ნორმად იქცა „ხამსეს“ (ხუთეულის) შექმნა და მასში „ლეილისა და მაჯუნის“ შეტანა. ნიზამის შემოქმედებამ დიდად განსაზღვრა მისი შემდეგდროინდელი ლიტერატურული ცხოვრება და კლასიკური სპარსული ლიტერატურული ეტიკეტის ნორმები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Д.С. Лихачев, Поэтика древнерусской литературы, Л., 1971.
2. Восточная поэтика. Специфика художественного образа, М., 1983.
3. ე. ჯაველიძე, შუა საუკუნეების აღმოსავლური პოეზიის ტიპოლოგიის და შესწავლის მეთოდისათვის, „მტუდიები“, თბილისი, 1985. გვ.74-152.
4. ო. გოლიაძე, ძველი ქართული მწერლობის ლიტერატურული ეტიკეტისათვის (V-XIII სს.), თბილისი, 1998.
5. ო. გოლიაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურული ეტიკეტისათვის, ძველი ქართული ლიტერატურის პრობლემები (ეძღვნება პროფესორ ლევან მენაბდის დაბადებიდან 75-ე წლისთავს), თბილისი, 2002. გვ. 245-258.
6. Е.Е. Бертельс, Суфизм и суфийская литература, М., 1965.
7. ე. ჯაველიძე, რუჰი ბაღდადი, თბილისი, 1968.
8. დ. კობიძე, ნიზამი და მისი სკოლა, სპარსული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1975. გვ.280-344.
9. И.Ю. Крачковский, Ранняя история повести о Маджнуне и Лейле в арабской литературе, Избранные сочинения, т. II, М.-Л., 1956.
10. Е.Е. Бертельс, Низами и Фузuli, М., 1962.
11. نظامی گنجوی لیلی و مجنون مسکو 1965
12. მ. კვაჭაძე, ბედისწერის იდეის შესახებ ნიზამის „ლეილი და მაჯუნში“, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 309, სერია „აღმოსავლეთმცოდნეობა“, თბილისი, 1992, გვ.31-36.
13. ყურანი (არაბულიდან თარგმნა, შესავალი ნერილი და განმარტებანი დაურთო გიორგი ლობჟანიძემ), თბილისი, 2006.

14. А.М. Решетов, Народы Передней Азии и их Этикет в сб.: Этикет у народов Передней Азии, М., 1988. გვ. 3-11.
15. Е.А. Резван, Этические представления и этикет в Коране, იქვე, გვ. 38-59.
16. ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება, სანტი-აგო დე ჩილე, 1957.
17. G. L. Dreyer, A History of Astronomy from Thales to Kepler. New York. 1953.
18. Jan Rypka. The Epic Poet Nizami and his Imitators Amir Khusrau and Maktabi. History of Iranian Literature. Dordrecht – Holland.

MANANA KVACHADZE

On Etiquette Situation and Literary Etiquette

(Nezami, "Leyli and Majnun")

Summary

Medieval poetry, in general, and oriental poetry, in particular, follow strict canonic rules. The laws of the prevailing literary etiquette define the relationship between content and form. The system of tropes, thematic shape and motives is strictly determined. The author's orientation and creative approach are revealed in the selection of the existing guidelines and the choice of artistic means.

Romance, as a genre, plays an important part in the philosophical and religious thinking of the Medieval Middle East. The social institute of love has its opinion about the very concept, as well as its literary expression.

The entire creative work of Nezami Ganjavi and his "Leyli and Majnun" in particular, is a masterful description and literary expression of the norms of etiquette. Nezami's version of the ancient legend was fully in line with the ideological and aesthetic requirements of the epoch and expressed the worldview of the author. It was exactly Nezami's interpretation that turned Majnun into an ideal of mystique love, which was the basis of the triumphant journey of the poem's characters into the literatures of Eastern peoples. On his analogy, it was considered obligatory to create the *Khamsa* and to include the story of Leyli and Majnun in it.

Nezami's creative work largely determined the literary life of the following period and contributed to the definition of the classical Persian literary etiquette norms.

ქეთევან მეგრელიშვილი

„ვისრამიანის“ ცხოველთა სამყაროდან

ცხოველთა სამყაროს აღმნიშვნელი ლექსიკა, როგორც ცნობილია, მცენარეთა სამყაროს აღმნიშვნელ ლექსებებთან ერთად, ენის ძირძველ ფონდს განეკუთვნება. ამდენად, იგი ხშირად იქცევა სხვადასხვა სფეროს მკვლევართა დაინტერესების ობიექტად. ჩვენ შევისწავლეთ ფახრ ედ-დინ გორგანის „ვის ო რამიანისა“ და მისი ქართული თარგმანის „ვისრამიანის“ ფიტონიმები სიმბოლური ხმარების თვალსაზრისით სპარსული და ქართული ტექსტების შეპირისპირებითი მეთოდის საფუძველზე (1).

ამჯერად განზრახული გვაქვს მიმოვიხილოთ დასახელებული ძეგლის ზოონიმები ზოგადად და დანვრილებით შეეჩერდებით ორიოდ ტერმინზე.

„ვისრამიანისა“ და „ვის ო რამიანის“ ფაუნა ისეთივე მდიდარი და მრავალფეროვანია, როგორც ფლორა (მცენარეთა სამყაროდან „ვის ო რამიანისა“ და „ვისრამიანში“ აღნუსხულია სულ 61 ლექსიკური ერთეული. აქედან 26 დასტურდება ორივე ძეგლში, 23 მხოლოდ სპარსულ ტექსტში, ხოლო 12 ფიტონიმი პოემის მხოლოდ ქართულ ვერსიაშია დაფიქსირებული). რა ვითარებაა ამ მხრივ ზოონიმების ხმარების თვალსაზრისით?

სპარსულ ორიგინალში¹ გამოვლინდა 59 ზოონიმი (اژ - დრაკონი, اسب - ცხენი, استر - ჯორი, اسد - ლომი, اشتر - აქლემი, اهر - ველური თხა, ქურციკი, ანტილოპა, შველი, *ب - ფეხმარდი ცხენი, *ب - ვეფხვი, *ب 1. კრავი, ბატკანი, 2. ვერძი (ზოდიაქოს თანავარსკვლავედი), بز - თხა, *ب - ლეოპარდი, *ب - სპილო, *ب - თოხარიკი (ცხენი), *ب - ბედაური ცხენი, *ب - დრაკონის თანავარსკვლავედი, *ب - კურო (თანავარსკ.), *ب - სწრაფმავალი აქლემი, *ب - ვერძი (თანავარსკ.), *ب - ცხოველი, *ب - ვირი, სახედარი, *ب - კიბორჩხალა, *ب - დათვი, *ب - კურდღელი, *ب - ქრცვინი, *ب - თეთრონი, თეთრი ცხენი, *ب - ლორი, *ب - ცხენების რემა, *ب - რახსი ცხენი, თაფლა, *ب - მელია, *ب - გარული

¹ ეყრდნობით მ. თოდუასა და ა. გვახარიას მიერ ქ. თეირანში გამოცემულ ტექსტს -

ویس و رامین ، تصحیح منگلی تودوا و الکستدر گواخاریا ، تهران 1349

მხეცი, ۳ - დევი, ستر - სასაპალნე ან სამგზავრო ცხენი, سر طين - კირჩხიბი (თანაფარსკ.), سگ - ძაღლი, سمنند - ბედაური, سمور - სიასამური, سنجاب - ციყვი, شتر - აქლემი, شغل - ტურა, شير - ლომი, غم - მთის თხა, ჯიხვი, فلفل - ჯორი, فام - ყარყუმი, كى // كى - მაიმუნი (შავი), كز - მორიელი, گل - ძროხა, گل ميش - კამეჩი, گراز - ტახი, გარეული ღორი, گره - კატა, گرگ - მგელი, گور - ზებრა, კანჯარი, گوز - ირემი, گوسفند - ცხვარი, مر - გველი, ميش - ცხვარი, گنه - ნიანგი; ვეშაპი, ۳ - ავაზა). „ვისრამიანში“ ცხოველების აღმნიშვნელი 51 ლექსემა გვხვდება: ავაზა, არნი, აქლემი, გველი//ასპიტი, დევი, დრაკონი, ვერძი, ვეფხი, ვეშაპი, ვირი, ზროხა, თაგვი, თევზი, თხა, ირემი, კანჯარი, კატა, კირჩხიბი, კურდღელი, კურო, ლეკვი, ლომი, მართვე, მარტორქა, მელი, მგელი, მოზვერი, მყვარი, მხეცი, ნადირი, პირუტყვი, სახედარი, სპილო, ტახი, ტურა, ფოცხვერი, ქოში, ღორი, ღრიანკალი, ყარყუმი, შველი, ცხენი / ჭარმაგი / კვიცი / თუხარიგი / ტაიჭი / რახსი, ცხვარი, ძაღლი, ჯორი). აქედან შვიდი ლექსიკური ერთეული მხოლოდ ქართულ ვერსიაში დასტურდება: თაგვი, კურო, ლეკვი, მართვე, მარტორქა, მყვარი, ქოში (ვაციკი, წლის ბოტი – საბა).

ფაუნის ამ ჭრელი და საკმაოდ ვრცელი სურათიდან ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ ორ მათგანზე, ესენია *ვეფხვი და ლომი*. შევეცადეთ გამოგვევლინა მათი მხატვრული როლი და ესთეტიკური ფუნქცია ნაწარმოებში, მათი ადგილი სპარსულ ტროპოლოგიასა და ქართულ სახისმეტყველებაში. ყურადღება გავამახვილეთ ასევე ჩვენთვის საინტერესო ზოონიმების ეტიმოლოგიაზე.

„ვისრამიანის“ *ვეფხი* სპარსულის ორი ზოონიმის ۳ – ბაბრ-ისა და گن-ფალანგ-ის სადარად გვხვდება ქართულ თარგმანში. ორივე შემთხვევის მაგალითები განვიხილოთ ცალ-ცალკე:

بجست از خواب شاهش چون ببر ز خشم تل خروشان گشته چون ابر (221-209)

შაჰინშაჰი წამოხტა საწოლიდან ვითარცა ბაბრი, / გულის ბრაზისგან დაიქუხა, როგორც ღრუბელმა.

„ვისრამიანის“ შესაბამის ადგილას იკითხება:

„მოაბად განალამცა შეატყვა, ვითა ვეფხი, საგებელთაგან აიჭრა“ (129-16).

მოცემულ მაგალითში *ვეფხი* განრისხებული მოაბადის მხატვრულ შედარებად გვევლინება. შედარება, როგორც მხატვრული გამოსახვის ერთ-ერთი საშუალება, „ვისრამიანის“ ძირითადი სახვითი ხერხია. შედარების უხვი გამოყენება იმ მხრივაცაა საყუ-

რადღებო, რომ ის ნათელს ჰყვენს მწერლის თანამედროვე ცხოვრების ზნე-ჩვეულებებს, ყოფას, ერის შინაგან სამყაროს, მის ფსიქიკასა და ფსიქოლოგიას (2, 176). ამ შემთხვევაში *ვეფხი* – სპ. *ბაბრ* მოაბადის ფსიქოლოგიურ პორტრეტს ქმნის.

(243-76) گلاب نشت اگر شمشیر باشد و گر ریگش چو ببر و شیر باشد

ბალახი ველად ხმალი რომ იყოს, / ან მისი ქვიშა ბაბრი და ლომი.
[არ მეშინია].

„შენსა ძებნასა შიგან მე ვერა შემაშინებს, თუ სანუთროცა ჩემი მტერია, ...ველთა თივა ხრმალია, ქვიშა – ლომი და ვეფხი“ (138-17).

სიყვარულით გამხნეებულ რამინს ვისისკენ მიმავალ გზაზე სიძნელები არად მიაჩნია. აქ ხაზი ესმება მის გულოვნობასა და გამბედაობას, რომელსაც ვერც ვეფხვი და ვერც ლომი ვერ დააბრკოლებს.

ჩვენ მიერ მოყვანილ ორივე მაგალითში სპარსულ *ბაბრ*-ს ქართულში *ვეფხი* შეესატყვისება. მ. გაფაროვის, ბ. მილერისა და ი. რუბინჩიკის რედაქციით გამოცემულ სპარსულ-რუსულ ლექსიკონებში ♣ განმარტებულია, როგორც *тигр*, რასაც თანამედროვე სალიტერატურო ქართულით *ვეფხვი* მიესადაგება. ზოოლოგიურ ლიტერატურაში ვეფხვის სახელწოდებაა *Felis tigris*. იგი კატისებრთა ოჯახის წარმომადგენელი მტაცებელი ცხოველია, სხეულის სიგრძე 3 მ-ს აღწევს, ახასიათებს შავი განივი ზოლები (3, 608).

მოჰამედ მოინისა და დეჰხოდას სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონებშიც ♣ – *Felis tigris* ზოლებიანი ცხოველია; ახლავს ილუსტრაციებიც (4, 471; 5, 3756).

დღეს ჩვენ *ვეფხვი* ისევე გვესმის, როგორც რუსული *тигр*, ლათინური *tigros*. ირ. ქერქაძის დაკვირვებით, სხვა ვითარებაა ძველ ქართულში. ძველი ალექსის ნიგნებში ქართული *ვეფხის* შესატყვისად ლათინურში იკითხება *pardus*, რუსულში *барс* (6, 73). ამ სახელთა მატარებელი ცხოველი სპეციალურ ლიტერატურაში *Felis pardus* – ის სახელწოდებითაა ცნობილი. ეს იგივეა, რაც *ლეოპარდი*.

Felis pardus, ისევე როგორც *Felis tigris*, კატისებრთა ოჯახის წარმომადგენელია, უფრო მოკლეა (150 სმ.), აჭრელებულია ხშირი მოშავო ლაქებით (7, 403).

საბასთან *ბაბრი* „სხუათა ენაა, ქართულად ჯიქი ჰქვიან“. ჯიქებზე კი გვეუბნება: „ვეფხსა ჰგავს, უდიდეა, რომელსა სპარსნი ბაბრს უწოდენ“. ვეფხზე არაფერს ამბობს, თუმცა ლექსიკონის ქართულ-იტალიურ ნაწილში *ვეფხი თიგროდ* აქვს განმარტებული (8,

87). ი. ბაგრატიონის მიხედვით, ნაწი ჯიქია, ბაბრი. ვეფხვის შესატყვისად მოაქვს რუს. *нѣцѣ*, ლათ. *Felis pardus* და თურქული *ყაფლან*, ხოლო რუს. *тигр*, ლათ. *Felis tigris* ქართულად გადმოაქვს, როგორც **ტიგრი**. „ფრიად მძვინვარე მხეცია. შესახედავად უგავს ვეფხსა და ფოცხვერსა, არამედ სამგზის უდიდეს არს მას ზედა“ (9; 27, 30, 198). ქეგლ-ის მონაცემებითაც ბაბრი იგივეა, რაც ჯიქი (10, 56).

ამ ტერმინთა აღრევა შეიმჩნევა არა მარტო ლექსიკონებში, არამედ სპეციალურ ლიტერატურაშიც.

სიტყვა *ვეფხმა*, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია თავის დროზე „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით და მთელი რიგი კრიტიკული წერილებისა მიეძღვნა მას (11). მათ შორის, დ. კობიძის გამოკვლევა – „ვისრამიანის“ საკითხები. საერთო აზრი ამ წერილებისა არის ის, რომ ხალებიანი ცხოველი რუსთაველის ეპოქაში ვეფხვია, ზოლებიანი – ჯიქი. ე.ი. *ж* – *тигр* ჯიქია და *нѣцѣ* – *леопард* – ვეფხვი. ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალაც იძლევა ამგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას. ირ. ქერქაძე კიდევ უფრო განამტკიცებს ამ მოსაზრებას. მისი აზრით, *ვეფხი* რომ ხალებიანი ცხოველია, ანუ იგივე *ლეოპარდია*, ამას ამტკიცებს ტერმინ *აქლემ-ვეფხის* არსებობა ქართულში. *აქლემ-ვეფხი*, ლათ. *Camelopardalis*, იგივეა, რაც ჟირაფი. სახელწოდება *აქლემ-ვეფხი* ამ ცხოველმა, ჩანს, მიიღო იმის გამო, რომ იგი სიმაღლით აქლემს ჰგავს, ხოლო მოხატულობით ვეფხვს – აქვს მოყვითალო ფერის ბენვი შავი, ხშირი წინწკლებით (6, 74).

რადგან *Felis tigris* ისეთი მძვინვარე მხეცია, რომ „დაესხმის არა მხოლოდ სხუათა პირუტყვთა და მძვინვარეთა მხეცთა, არამედ თვით კაცსაცა, რომელთა მიერ გამოსწოვს სისხლსა“ (9, 198), გასაგებია, რატომ მიუჩნევია ინგლისელ მეცნიერ სტივენსონს არაესთეტიკურად „ვეფხისტყაოსანში“ ქალის შედარება მასთან. *Felis pardus* კი კატისებრთა ოჯახის ყველაზე ლამაზი და მოხდენილი წარმომადგენელია. ახასითებს არაჩვეულებრივი მოქნილობა და სისწრაფე. სხეული ყველა მიმართულებით ეკლაკნება და ეზნიქება. საერთოდ, მთელი მისი მოძარაობა ერთობ წარწარი და მოხდენილია. მართლაც, უფრო ლოგიკურია ნესტანის *Felis pardus*-თან ანუ *ფალანგთან*, ანუ *ვეფხთან* შედარება.

დ. კობიძე იკვლევს იმასაც, თუ რა მდგომარეობაა „ვისრამიანში“ ვეფხის ხმარების თვალსაზრისით. განიხილავს ამ ლექსემის ხმარების თითქმის ყველა შემთხვევას. ათი მაგალითიდან ხუთი სპარსულ ტექსტში არ დაიძებნა, ორ შემთხვევაში ქართულ *ვეფხს*

შესატყვისება **ب** - **ბაბრ** (იხ. ზემოთ), დანარჩენ სამში კი **გნ** - **ფალანგ**. დ.კობიძის აზრით, მთარგმნელი ზოგჯერ საკუთარი ლიტერატურული გემოვნების მიხედვით ცვლის ამა თუ იმ სიტყვას და მხტვრულ სახეს. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაშიც ასე მოიქცა (12, 359). ჩვენი დაკვირვებით, საქმე რამდენადმე სხვაგვარადაა. თვითონ სპარსულ ტექსტში **ب** - **ბაბრ** უფრო იშვიათად გვხვდება (4-ჯერ), ვიდრე **გნ** - **ფალანგ** (11-ჯერ). „ვის ო რამინის“ ავტორი იქ, სადაც გმირის სიბრაზისა და მრისხანების გამოხატვა სურს, **ب** - **ბაბრს** მიმართავს შესადარებლად (მაგ.: (33-13) **میں رزم بد غرنده بیری** ომში მძვინვარე ბაბრი იყო; ქართული შესატყვისი არ დაიძებნა), ხოლო გმირის მოხერხებულობის, მოქნილობის, სისწრაფის თუ გამბედაობის ხატის შესაქმნელად **გნ** - **ფალანგი** უფრო ესიმპათიურება:

به موج اندر دلیران چون نهنگان به کوه اندر سواران چون پلنگان (67-14)

ტალღებში ვაჟკაცნი - ვეშაპთა ბადალნი, / მთაში მხედარნი - ლეოპარდთა მსგავსნი.

„ვისრამიანი“: „გულოანნი მინდორთა შიგან ლომთაებრ იყვნეს და მთათა შიგან ფიცხელისა ვეფხისაებრ იყვნეს“ (24-19).

ციტირებულ მაგალითში, უდავოდ, ხაზი ესმება მეომართა სისწრაფესა და გამბედაობას. *Felis ligris* ეტანება მიყრუებულ ადგილებს, ხოლო *Felis pardus* ვეფხვზე საშიშია, რადგან მასზე უფრო გამბედეია და შეუპოვარი (13, 7). მთებში მებრძოლი ვაჟკაცების ხატადაც გორგანის **ფალანგ** დაუნახავს, რაც ადეკვატურად აისახა „ვისრამიანის“ მთარგმნელის მიერაც. ქართული ვერსიის ავტორს არ აეინყდება **ფალანგ** - **ლეოპარდ** - **ვეფხის** სხვა მახასიათებელი ნიშნებიც (სიმსუბუქე, მოქნილობა, სისხარტე) და მხატვრული შედარებისთვის მიმართავს მაშინაც, როცა დედანში ლექსემა **გნ** - **ფალანგ** არ ფიგურირებს. მაგალითად:

„მაღალი ზღუდე იყო წალკოტისა. რამინ, ვითა ვეფხი, ზედა შეხლტა“ (111-12).

„ვის ო რამინის“ შესაბამის ადგილას იკითხება:

سبک بر رقت رامین روی نیوار (203-82)

რამინი სხარტად ავიდა კედელზე.

მოცემულ კონტექსტში მთარგმნელის მიერ შემოტანილი მორგებული შედარება უფრო დიდ მხატვრულ ეფექტს იწვევს მკითხველში.

ხეთურ მითოლოგიაში ლეოპარდს „ღმერთების ცხოველთა“ რიგში პირველი ადგილი უჭირავს. მას სხვა რიტუალური ცხოველებისაგან (ლომი, დათვი) განსხვავებით მიეწერება „ცეკვის“ უნარი. ერთ-ერთი რიტუალის აღწერისას ვკითხულობთ: „... და ისინი ლეოპარდებით ცეკვავენ“ (14, 500). მისი ეს გრაციოზული მიხვრა-მოხვრა, ნარნარად სიარული და მოძრაობის სიმსუბუქე კიდევ ერთ ეპიზოდში გამხდარა ქართველი მთარგმნელისათვის ექსპრესიული მხატვრული სახის წყაროდ:

ციხიდან ჩამოშვებულ დაგრეხილ სტავრას „ მოეკიდა რამინ და ზე გავიდა ვეფხისაგანცა უკისკასედ“ (144-35).

დედანში შედარებად ლექსემა شاهين - შაჰინ - შევარდენი გვაქვს.

(253-107) پرو بر رفت رامین همچو شاهین

რამინი მასზე ავიდა შევარდენის მსგავსად.

სიმალის დაბრკოლების გადასალახავად ფრინველთან შედარება, ვგონებთ, იმდენად შთამბეჭდავი და ეფექტური არ არის, რამდენადაც *ვეფხთან*. აღმატებით ხარისხში დასმული სიტყვა „უკისკასედ“ კიდევ უფრო აძლიერებს მწერლის ოსტატობით მოგვრილ შთაბეჭდილებას.

საგულისხმოა, რომ გორგანის პოემაში *ფალანგ* გვხვდება ცხენის შედარებადაც:

(398-49) به بالا بر شدی همچون پلنگان به دریا در شادی مثل نهنگان

მწვერვალზე ავიდოდა ლეოპარდების მსგავსად, / ზღვაში შედიოდა ვეშაპთა დარად.

„ვის ო რამინის“ ავტორს ცხენის სიმკვირცხლე და მოქნილობა საპირნონეზე დაუდვია ლეოპარდთან. „ვისრამიანის“ მთარგმნელს კლდეთა და მწვერვალთა მპყრობელი ქართული ფაუნის მკვიდრი *არნი* (გარეთხა, ნიამორი) უფრო მისაღებად მიუჩნევია ქართული ხატოვანი აზროვნებისათვის:

„გამოირჩინა ქვიანთა შიგან არნთაებრ მავალნი, ნყალთა შიგან თევზთაებრ მცურავნი კვიცნი“ (233-8).

ზემოთ მოყვანილი მაგალითები, ვფიქრობთ, ნათელს აჰყენს *ვეფხის* როლს „ვისრამიანის“ ხატოვან მეტყველებაში. თუ იგი სპარ-

სული კ-ვეფხვის ფარდია, პერსონაჟის მრისხანებას, დაუდგრომ-
ლობას გამოხატავს და თუ ღჷჷ - ლეოპარდს ედარება, უფრო გმირის
მოქნილობას, სისხარტესა და მოხერხებულობას ესმება ხაზი.

როგორც აღენიშნეთ, დიდი ხანია, ეჭვს აღარ ინვეეს ის,
რომ „ვეფხისტყაოსნისა“ და „ვისრამიანის“ ეპოქაში *ვეფხის* ქვეშ
დღევანდელი გაგებით ლეოპარდი მოიაზრება. თავისთავად
ლექსემა *ლეოპარდი* შედგენილი ფუძეა. მასში გამოიყოფა *ლეო-* და
-პარდ. ირ. ქერქაძე თავის მონოგრაფიაში ამ ფუძის ეტიმოლოგიის
საინტერესო ვარიანტს გვთავაზობს, რომელიც ეკუთვნის გერმანელ
მკვლევარს ფ. კლუგეს. მისი აზრით, სო- იგივეა, რაც „ლომი“, ხოლო
pardus უკავშირდება ძველ ინდურ pṛdākṣ ფუძეს, რაც ნიშნავს
„გველს“ (15). ცნობილია, რომ გველი არაჩვეულებრივად მოქნილია,
რომელსაც ტყავი მოხატული (დანინკლული) აქვს. ე.ი. ლეოპარდი
იგივეა, რაც „ნინკლებიანი, ლაქებიანი ლომი“ (6, 75) (საინტერესოა,
რომ ლეოპარდ - Felis pardus-ის პირველ მნიშვნელობად იოანე
ბაგრატიონს თავის ლექსიკონში გააქვს სწორედ *ლომვეფხვი*) (9,
122). მ. ანდრონიკაშვილი ძვ. ინდურ ფუძეს pṛdākṣ ასახელებს
ქართულ *ბრანგე*-თან მიმართებაში და ფიქრობს, რომ იგი
უკავშირდება ოსურ ფორმას *ṭrank-* „ლეოპარდი, ვეფხვი“ (16, 80).
თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი განიხილავენ სოგდურ *paṛd'nk*;
ავღანურ-pṛāng, სპარსულ - palang - „ჯიქი, ლეოპარდი“ ფორმებს
და დასძენენ, რომ ამ ფორმებს ეფუძნება ოსური *faṭank// ṭrank*
„ჯიქი, ლეოპარდი“ და პამირული ფორმები; ვახანური *paṭang*
„თოვლის ჯიქი“, იქვანური *paṭang*. რომლებიც შეესატყვისება ძველ
ინდურ pṛdākṣ -ს - „ლეოპარდი, ვეფხვი“ (სიტყვა დასტურდება
ძველინდოელ ლექსიკოგრაფებთან) (14, 501). აქედან გამომდინარე,
ნათელია, რომ pardus „ლეოპარდია“ და არა „გველი“.

ახალსპარსული სიტყვა კ-ბაბრ-ის ამოსავალი, მ. ანდრონი-
კაშვილის მიხედვით, ფალაური ფუძე *vagr* უნდა იყოს: *vagr* > *bagr* >
bayr > *babr*. რაც შეეხება სემანტიკას *тигр*. იგი არ გვხვდება საერთო
ინდოევროპულში; მოგვიანებით ჩნდება ცალკეულ დიალექტებში და
მოდის ავესტურიდან *tiyra-* „ბასრი, მჭრელი“; *tiyri* - ისარი; ძვ. სპ.
tigra- „მჭრელი, ბასრი“. აქედან არის ნასესხები ვეფხვის სახელწოდება
Felis tigris ლათინურში და ახალ ევროპულ ენებში (14, 500-501).

მეორე ზოონიმი, რომელსაც შეეხებით, გახლავთ *ლომი*. ცხო-
ველთა სამყაროს მეფედ აღიარებული, პირველობას მხატვრული
სახეების შექმნაშიც არ თმობს. სპარსულ ტექსტში იგი გვხვდება 92-
ჯერ, 67 შემთხვევაში მიმართავს მას „ვისრამიანის“ ავტორი. იგი

პოემის ტროპულ მეტყველებაში გვევლინება სხვადასხვა ფუნქციით: შედარებად, მეტაფორად, ეპითეტად, დაპირისპირების ხერხის ელემენტად, ჰიპერბოლად და ა.შ.

شیر-შირ-Felis leo - ლომი მტაცებელთა შორის უძლიერესია, ამიტომ ხშირად მიმართავს მას ფახრ ედ-დინ გორგანი ვაჟკაცობის, ძალ-ღონის, შეუპოვრობისა და გულადობის გამოსახატავად. მთარგმნელის დიდოსტატობა საშუალებას აძლევს ქართველ მკითხველს ეზიაროს ამ ხატებს. არ რჩება ნაწარმოებში არც ერთი პერსონაჟი, რომელსაც ავტორი არ უდარებდეს ლომს მათი მამაცობისა თუ ემოციური და სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემად. მოაბადის მეტაფორა-შედარებებად გვხვდება: გააფთრებული ლომი - شیر زبانی (55-304); მონადირე ლომი - شیر شکاری (88-185); მბრძღვინავი ლომი - شیر غران (166-298); ლომებზე ზვიადი - از شیران سر افشان (7-31); გაცეცხლებული, ფიცხი ლომი - شیر تند (53-292); ლომისაებრ უზენაარო (83-6); გამწყრალი ლომი (99-27) და ა.შ.

მოაბადის სულიერი განწყობილება, კერძოდ სიხარულია აღწერილი შემდეგ ფრაზაში:

„ესრე მხიარულად იყო მოაბად, ვითარ მშიერმან ლომმან კანჯრისა ჯოგი დაინახოს“ (37-29).

(91-120)

چنان شیری که بیند گر بسیر

[გამხიარულდა], ვითარცა ლომი, რომელიც მრავალ კანჯარს ხედავს.

ორიგინალში გადმოცემულ შესადარებელ ხატს მთარგმნელი ეპითეტს უმატებს და ამით უფრო მეტ ემოციურ ელფერს სძენს ვისის ხელში ჩაგდებათ გახარებული მოაბადის განცდას.

სხვა ადგილას „მშიერი ლომი“ არაჩვეულებრივადაა მორგებული ძიძის მიერ შეკრული მოაბადის უიმედო და უილაჯო მდგომარეობას:

„დარჩა მოაბადის თვალთა შიგან ვისი, ...ვითა მშიერსა ლომსა, ტოილოთა დაბმულსა წინა კანჯარი წყნარად მავალი“ (50-32).

چو شیر گرسنه بسته به زنجیر چنان در پیش او بی باک نخچیر (112-57)

[მოაბადი], ვითარცა მშიერი ლომი, ჯაჭვით დაბმული, / მის წინ უშიშრად მძოველი ნადირი.

რამინის პერსონაჟის ფიზიკური ძალ-ღონისა და გულოვნების შესადარად ავტორი არ იშურებს ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა

ხვადი ლომი - شیر نر (51-302); მძვინვარე ლომი - شیر ملان (67-241); ლომკაცი - شیر مردی (70-134); მებრძოლი ლომი - شیر جنگی (10-140); სულის ამომხდელი ლომი - شیر جان گیر (62-171); შურისმაძიებელი ლომი - شیر کینه دار (79-134); გაცეცხლებული ლომი - شیر تند (120-120); გაჯავრებული ლომი - شیر خشم آلود (4-350); მწყრომი ლომი (137-29).

დაპირისპირების ხერხს მიმართავს გორგანი შემდეგ ბეითში:

(305-36)

تو شیری چند نالی از شغالان

„შე, თავისა ბედისაგან მჩვიანო, შენ ლომი ხარ, ტურათაგან რას ჩივი?“ („ვისრ“. 176-13);

რამინი-ლომი შეპირისპირებულია ტურასთან, რომელიც ამ შემთხვევაში მოაბადის სიმბოლურ სახეს ნარმოადგენს. ავტორი ამ დაპირისპირებით მკვეთრად გამიჯნავს რამინის უპირატესობას მოაბადთან შედარებით.

ლომი იხმარება ზარდთან, ვიროსთან მიმართებაში და, ზოგადად, მეომრების, დიდებულების, გულთამყრობელი ვაჟკაცების მხატვრულ სახედ. რაც შეეხება ქალ პერსონაჟებს, ლომი გვხვდება მათი ფსიქოლოგიისა და ბუნება-ხასიათის გადმოსაცემად. მაგალითად, გზაზე შემოყრილ მძინარე ლომს მტრის ხატად ხედავს ავტორი, რომელსაც მოაბადისთვის ვისი ჰქვია („ვ. ო რ.“ 167-170; „ვისრ“. 155-18); გაბრაზებული ვისი მძვინვარე ლომს ემსგავსება („ვისრ“. 258-18); სიყვარულით ძალამიცემული ვისის გულიც ცხოველთა მეფეს ედარება („ვ. ო რ.“ 177-20; „ვისრ“ 95-1; 272-12); რამინისთვის ვისი ჭანგოქრო ლომია (სპარსულში - რვალისჭანგა - چنگ روي (171-256), რომელიც მის სულს ინადირებს („ვისრ“. 147-1); ძუ ლომი გვხვდება ძიძის მხატვრულ შედარებად და ა.შ.

ნანარმოებში ლექსემა *ლომი* გვევლინება არა მხოლოდ კონკრეტული გმირების სახედ და ხატად, არამედ ისეთი ზოგადი ცნებების სიმბოლოდ, როგორებიცაა მიჯნურობა და ბედისწერა.

„ვისრამიანში“ ეკითხულობთ:

„მგზებარისა ცეცხლისაგან გამომიყვანე, კაცისა მჭამელისა ლომისა ჭანგისაგან მიხსენ“ (56-16).

შესაბამისი სპარსული კონტექსტი ასე უღერს:

(120-124) مرا زین آتش مسوزنده برهان ز چنگ شیر مردم خوار بستان

მიხსენ ამ მწველი ცეცხლისაგან, / ხალხის მჭამელი ლომის ჭანგს დამხსენ.

„კაცის მჭამელი ლომი“ – ანუ მიჯნურობა. მთარგმნელს ზედ-მინეწვითი სიზუსტით გადმოაქვს ორგანულად მორგებული და არასტანდარტული სახე ამ პასაჟში და დიდ ეფექტსაც ახდენს.

სხვა ადგილას „მძვინვარე ლომი“ ბედისწერას განასახიერებს, რომელიც ადამიანებს კანჯარივით ინადირებს:

(183-53) لا ای تیره گشته بخت شوم تو شیر خشنماکی منت گورم

ჰე, დაბნელებულ ბედო ჩემო უბედურო, / შენ ლომი ხარ გან-რისხებული, მე შენი კანჯარი.

ქართულ ტექსტში მიმართვა შენარჩუნებულია, შედარება კი დაკარგულია.

როგორც მოსალოდნელი იყო, ლექსემა *ლომი* ხასიათდება განსაკუთრებული მრავალფერვნებით „ვისრამიანისა“ და „ვის ო რამინის“ სახისმეტყველებაში. მისი მეშვეობით შექმნილი ეპითეტები, შედარებები თუ მეტაფორა-სიმბოლოები გამოხატავენ გმირთა ძლიერებასა და გულოვნებას, მონანილეობენ პერსონაჟთა ემოციური და ფსიქოლოგიური პორტრეტის გამოძერწვაში; ზოგჯერ გამოხატავენ აბსტრაქტულ ცნებებსაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქ. მეგრელიძე, ფიტონიმები და მათი სიმბოლიკა „ვის ო რამინისა“ და „ვისრამიანში“, ავტორეფერატი, თბ., 1999.
2. მ. მამაცაშვილი, გორგანის „ვის ო რამინ“ და ქართული „ვისრამიანი“, თბ., 1977.
3. არჩ. ჯანაშვილი, ხერხემლიანთა ზოოლოგია, თბ., 1956.
4. محمد معین ، فرهنگ فارسی (متوسط ، جلد اول) تهران ، 1996.
5. لغت نله داهخدا ، جلد سوم ، تهران ، 1372.
6. ირ. ქერქაძე, ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, თბ., 1974.
7. Жизнь животных по Бремю. III, М-Л. 1930.
8. ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991.
9. ი. ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986.
10. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986.
11. მ. მამულაშვილი, აღ. ქუთათელაძე, ტერმინ „ვეფხის“ სწორი გაგებისათვის, ლიტ. საქ., 1965, 34; ნ. ყიასაშვილი, „ვეფხვი თუ ჯიქი“, „რანდი თუ მეომარი“, ლიტ. საქ., 1965, 28; ს. ცაიშვილი, „ჯიქი“ და „ვეფხი“

- რუსთაველის პოემაში, გაზ. „კომუნისტი“, 1965, 28. 11, 281; არჩ. ჯანაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ცხოველები, შოთა რუსთაველი, თსუ საიუბილეო კრებული, თბ., 1966, გვ. 293...
12. დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბ., 1983.
 13. აღ. პაპავა, „ვეფხისტყაოსნის“ ცხოველთა სამყარო, თბ., 1966.
 14. Т. В. Гамкрелидзе. В.В. Иванов. Индоевропейский язык и индоевропейцы, т. 2. 1984.
 15. F. Kluge, Etimologisches Wörterbuch der deutschen Sprache, Berlin, 1957.
 16. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. I, თბ., 1966.

KETEVEN MEGRELISHVILI

On the Animal World in “Visramiani”

Summary

Scholars have long been arguing that in the epoch of “The Knight in the Tiger’s Skin” and “Visramiani” Georgian term ‘Vepkhi’ (tiger) meant a spotted representative of the feline family ‘*Felis pardus*’ i.e. leopard and not ‘*Felis tigris*’ tiger (striped species of the feline family).

The analysis of the text of the Persian original of “Visramiani” from the viewpoint of symbolic usage of zoological terms ‘*babr*’ and ‘*palang*’ gives the following picture: ‘*babr*’ – ‘tiger’ is used when the author wants to denote fury and power of the main character. However, when denoting agility, rapidity and flexibility of the literary character. Gorgani – the author of “Vis o Ramin” considers it more correct to use the lexeme ‘*Palang*.’ The Georgian translator in both cases makes use of the term ‘Vepkhi’ (‘tiger’).

Another synonym ‘*sir*’ – ‘lion’ (*Felis leo*), often associated with the „King of the Beasts,” is also widely used to create literary images. Nearly all the characters of the poem are compared to the lion. Epithets, similes and metaphoric symbols connected with the lion are used to denote power and courage of the heroes, they help create emotional and psychological portraits of characters, and often symbolize such abstract notions as ‘love,’ ‘fate,’ and ‘destiny.’

რთული ზმნები საშუალო სპარსულ ენაში (უწინდებულ რთული ზმნები)

საშუალო სპარსულში გვხვდება ორნევრიანი ზმნური ფრაზეოლოგიზმები, რომელთაც სამეცნიერო ლიტერატურაში რთულ ზმნებს უწოდებენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ისეთ აკადემიურ კრებულში, როგორცაა „Основы иранского языка и иранские языки“ (1), ამ ტიპის ზმნური ფრაზეოლოგიზმები, ანუ ე.წ. „ანალიზური ზმნები“ საშუალო სპარსულ ინოვაციადაა განხილული, ანუ უგულებელყოფილია ის ფაქტი, რომ უკვე ძველი სპარსული ენის ძეგლებში გვხვდება გარკვეული რაოდენობა ორნევრიანი ზმნური შესიტყვებებისა, რომლებიც შეგვიძლია მივაკუთვნოთ ზმნათა ამ კატეგორიას“. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ რთული ზმნების არსებობა სპარსული ენის მთელ დიაქრონულ ხაზს გასდევს, უბრალოდ ამ ზმნათა მნიშვნელობა და, შესაბამისად, რაოდენობაც ენის განვითარებასთან და მისი სტრუქტურის ცვლილებასთან ერთად უფრო იზრდებოდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იყო სპარსულში ფლექსიური ნყოფის მოშლასა და ენაში ანალიტიზმის გაძლიერების ტენდენციასთან.

სწორედ ამ ტენდენციის გამო უკვე საშუალო სპარსულში შეიმჩნევა რთული ზმნების როლის გააქტიურება. მიუხედავად იმისა, რომ ენის განვითარების ამ ეტაპზე მათი რაოდენობა არც ისე დიდია, საშუალო სპარსული რთული ზმნები უკვე ავლენენ სტრუქტურულ-სემანტიკურ მრავალფეროვნებას.

ამჟამად ჩვენ შევეცდებით სტრუქტურულ-მორფოლოგიური თვალსაზრისით ზოგადად გავაანალიზოთ ის საშუალო სპარსული რთული ზმნები, რომელთა სახელადი ნაწილი წინდებულს არ დაირთავს, შევხებით მათი შემადგენელი, ანუ სახელადი და ზმნური ნაწილების გადმოცემის ლექსიკურ საშუალებებს, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ რთულ ზმნათა სემანტიკასა და სხვა მახასიათებლებს.

საშუალო სპარსულში რთული ზმნის სახელადი ნაწილი შეიძლება იყოს სხვადასხვა სემანტიკური კლასის მარტივი, წარმოქმნილი და რთული არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, იმ-

ვიათად, ზმნიზედა. გვხვდება ერთი სახელის საფუძველზე სხვა-დასხვა მაკომპონირებული ზმნით (რთული ზმნის ზმნური ნაწილი) წარმოქმნილი ზმნების სერიებიც.

ყველაზე დიდ ჯგუფს შეადგენენ რთული ზმნები, რომელთა სახელადი ნაწილი არსებითი სახელით არის გამოხატული. არსებითი სახელი, როგორც რთული ზმნის სახელადი ნაწილი, შეიძლება იყოს მარტივი და წარმოქმნილი. მარტივი არსებითი სახელი გვხვდება შემდეგ რთულ ზმნებში¹⁰⁰:

zēn kartan 6¹². 26¹⁹. 27¹⁵// *zēn sāxtan* 25¹⁴. 26⁶. 28¹¹⁻¹² – ცხენის გახედვნა: (< *zēn* „იარალი, ჯავშანი; ცხენის აღჭურვილობა“);

zan kartan 63¹⁶// *zan x"āstān* 67⁵ – ცოლის მოყვანა, დაქორწინება (< *zan* „ქალი, ცოლი“);

zamān handāxtan – დროის გამოთვლა, ჰოროსკოპის შედგენა 7⁶ (< *zamān* „დრო“);

viyān kartan – კარვის გაშლა. მონყობა 20²²⁻²⁴ (< *viyān* „კარავი“);

vāng kartan – დაყვირება 16¹⁶; ყვირილი; მუსიკალური ინსტრუმენტის ხმის გამოცემა 20¹⁰; ჭიხვინი 28²⁶; *vāng burtan* – ყვირილი 46⁶; *vāng bē burtan* (ბ) – დაყვირება ვინმესთვის 38⁸; *vāng xrōstān* – ღრიალი 61⁵ (< *vāng* „ხმა, ყვირილი, ტირილი“).

რთული ზმნის სახელად ნაწილად გვხვდება აბსტრაქტული სახელები:

მაგ., *stahmakēh kartan* – ძალის გამოყენება (< *stahmakēh* „ძალადობა“);

hayyārēh datan ბ – დახმარების განევა (< *hayyārēh* „დახმარება“, „ხელშეწყობა“);

a-x"asāndēh kartan – წყენინება (< *a-x"asāndēh* „უკმაყოფილება“).

რთული ზმნის სახელად ნაწილად შეიძლება შეგვხვდეს მოქმედების აღმნიშვნელი არსებითი სახელები, რომელთაგან ნაწილი ნაწარმოებია ზმნური ფუძეებიდან -*išn* სუფიქსის დართვით.

მაგ., *menišn nihātan* ბ – განხილვა (< *menišn* „აზროვნება“, „ფიქრი“, „აზრი“);

gēbšn burtan – თქმა, მტკიცება (< *gēbšn* „გამონათქვამი“, „სიტყვა“, „ბრძანება“);

bozšn gūfān – შეწყალების თხოვნა (< *bozšn* „გადარჩენა“, „გამართლება“).

რთული ზმნის სახელად ნაწილად გვხვდება არსებითი სახელები -*išn* სუფიქსის გარეშეც. მათი უმრავლესობა ძველი ზმნური ფუძეებისაგან წარმოიქმნა.

მაგ., **pahrēč kartan** – ზრუნვა (< **pahrēč** „შენარჩუნება“, „დაცვა“).

რთული ზმნის სახელად ნაწილად შეიძლება გამოვიდეს სხვადასხვა ზმნური ფუძეებიდან წარმოქმნილი დერივატები და კომპოზიტები.

მაგ., **griftar kartan** – „დაპატიმრება“, „შეპყრობა“ (< **griftar** „ის ვინც იჭერს, დამჭერი“; ზმნისაგან **griftan** „დაჭერა“);

sardār kartan – სარდლად დანიშვნა (< **sardār** „სარდალი“, „ხელმძღვანელი“).

რაც შეეხება რთული ზმნის ზმნურ ნაწილს, არსებითი სახელებით გადმოცემულ სახელად ნაწილთან შეიძლება შეგვხვდეს შემდეგი ზმნები: ყველაზე ხშირად ზმნა **kartan** „კეთება“, რომელსაც, როგორც წესი, დაკარგული აქვს თავისი ძირითადი მნიშვნელობა და, ხშირ შემთხვევაში, მოქმედების (ძირითადად მოქმედების გარდამავლობის) გამოხატვის ფუნქცია ეკისრება. გარდა ზმნისა **kartan**, მაკომპონირებელ ზმნებად გვხვდება შედარებით ხშირად – ზმნები **dātan** „მიცემა“. **būtan** „ყოფნა“. **burtan** „ნალება“, **guftan** „თქმა“. **nihātan** „დადება“, **xʾāstan** „სურვილი“. **dāštan** „ქონა“, „ყოლა“, და იშვიათად – ზმნები **mēnītan** „ფიქრი“, **xʾartan** „ჭამა“, „სმა“. **baxtan** „განანილება“, „განსაზღვრა“, **rāyēnītan** „გამართვა“, „მართვა“. **varzītan** „მუშაობა“, „ეარჯიში“, „დამუშავება (მინის)“, **nimātan** „ჩვენება“, „აღნიშვნა“. **framūtan** „ბრძანება“, **apispārtan** „ჩაბარება“, „გადაცემა“ და **griftan** „ალება“, „დაჭერა“.

სიდიდით მეორე ჯგუფს შეადგენენ რთული ზმნები, რომელთა სახელადი ნაწილი ზედსართავი სახელით არის გადმოცემული. ამ შემთხვევაში ზედსართავი სახელი შეიძლება იყოს მარტივიც და წარმოქმნილიც (სინქრონიულ ქრილში). მარტივი ზედსართავი სახელი, როგორც რთული ზმნის სახელადი ნაწილი, გვხვდება შემდეგ რთულ ზმნებში:

xūp kartan – მოაწესრიგა 13⁵ (< **xūp** „კარგი, შესანიშნავი, მისაღები“);

vēh kartan – კარგი გააკეთა 92⁵. 99^{20.24} (< **vēh** „კარგი, საუკეთესო (აჭურამაზდას ქმნილებაზე)“);

tapāh kartan – მოკლა, გაანადგურა, გააფუჭა 8¹³ (< **tapāh** „გაფუჭებული, გაანადგურებული, დანგრეული“); **tapāh būtan** – გაფუჭდა 81²² (< **tapāh** „გაფუჭებული, გაანადგურებული, დანგრეული“);

stōb kartan – დაამარცხა 33¹⁰. 85^{8.12}. 115²⁴ (< **stōb** „უძლური, სუსტი“); **stōb būtan** – დამარცხდა 91² (< **stōb** „უძლური, სუსტი“);

purr (hač) kartan – გაავსო 2¹⁸. 128¹⁵⁻¹⁶ (< **purr** „სავსე“);
pāk būtan (hač) – განინმინდა 101¹⁸⁻¹⁹ (< **pāk** „სუფთა, ნმინდა“);
paitāk kartan – გამოავლინა, თავისთავს უფლება მისცა (p. 149; 89^b) (< **paitāk** „ცხადი“, „აშკარა“); **paitāk būtan** – გამოჩნდა 41³. 47²⁷. 52²⁴. 53²¹. 54^{1,8} (< **paitāk** „ცხადი“, „აშკარა“); **paitāk bē hurtan** – განმინდა (ადგილის წინააღმდეგობათაგან) 39²³ (< **paitāk** „ცხადი“, „აშკარა“);

hāmoš būtan – გაჩუმდა, ლაპარაკი შეწყვიტა 34²³ (< **hāmoš** „ჩუმი, გაჩუმებული“);

frāmōš kartan – დაავინყა 8²⁵. 9⁹ (< **frāmōš** „დავინყებული“);
frāmōš būtan – დავინყებული, უგულვებელყოფილი გახდა 68¹⁶ (< **frāmōš** „დავინყებული“);

avd sahiştan – გაოცება, გაოგნება (**pat**) 2². 3²²⁻²³. 15⁸⁻⁹. 97²⁴⁻²⁴ (< **avd** „გასაოცარი, შესანიშნავი, გამოოგნებელი“);

ზოგჯერ სახელადი ნაწილი მიმღეობაა:

ravāk kartan – ბრუნვაში გაუშვა, გაავრცელა 80¹⁵. 107² (< **ravāk** „მსვლელი, მიმდინარე“); **ravāk** < **raftan** „სვლა“, ზმნის ანმყოს ფუძეს + -āk სუფიქსი;

როგორც დავინახეთ, ამ ზმნათა შემადგენლობაში მაკომპონირებელ ზმნად ყველაზე ხშირად ზმნა **kartan** „კეთება“, შემდეგ კი **būtan** „ყოფნა“ გვხვდება. განსხვავებით ახალი სპარსული ენისაგან, სადაც გარდამავლობა-გარდაუფლობის ოპოზიცია იმ ზმნებისა, რომელთა სახელადი ნაწილი ზედსართავი სახელითაა გადმოცემული, ძირითადად **kardan** და **šodan** ზმნებით გადმოიცემა, საშუალო სპარსულში ამ გრამატიკული ოპოზიციის გამოხატვა **kartan** და **būtan** ზმნების საშულებით ხდება (**tapāh kartan**: **tapāh būtan**; **stōb kartan**: **stōb būtan**; **paitāk kartan**: **paitāk būtan**; **frāmōš kartan**: **frāmōš būtan**)⁹.

რთული ზმნის სახელად ნაწილად გვხვდება ზმნიზედაც, რაც საშუალო სპარსულისათვის ნაკლებად პროდუქტიული მოდელია.

მაგ., **rāstihā baxtan** – სამართლიანად განანილება (< **rāstihā** „სამართლიანად“, „მიუკერძოებლად“);

hamistihā kartan – გაერთიანება, შერიგება (< **hamistihā** „ერთად“).

უკვე საშუალო სპარსულში გვხვდება სინტაქსური მოდელი, როდესაც რთული ზმნა წარმოქმნის ჩარჩოსებრ კონსტრუქციას, ანუ როცა რთული ზმნის სახელად და ზმნურ ნაწილებს შორის შეიძლება მოთავსდეს წინადადების რომელიმე წევრი, რომელიც სახელად ნაწილთან იზაფეთით არის დაკავშირებული.

მაგ., čārak i ... x^uāstan – გამოსავლის პოვნის მცდელობა (< čārak „გამოსავალი“);

kēn i ... x^uāstān – შურისძიება (< kēn „შურისძიება“).

ამრიგად, აღნიშნულ ნაშრომში ჩვენ შევეხეთ საშუალო სპარსული უნიტებულ რთული ზმნების მხოლოდ ერთ ასპექტს, კერძოდ კი მათ სახელად და ზმნურ ნაწილებს, რომელთა მორფოლოგიურ-სტრუქტურული შესწავლა აღნიშნული ლექსიკური ერთეულების სემანტიკურ თავისებურებათა უფრო ღრმა კვლევის საშუალებას მოგვცემს.

ლიტერატურა

1. Основы иранского языкознания, Среднеиранские языки... გვ. 135.
2. М.М. Сахокия, К вопросу образования и классификации сложных глаголов в древнеперсидском языке, *ჟურნალი „მაცნე“* (ენისა და ლიტერატურის სერია), 1, 1979, გვ. 111-118. იხ. აგრეთვე М.М. Сахокия, О сложных глаголах в древнеперсидском языке и их отношении к слову, *Труды Самаркандского университета им. Алишера Навои. Вопросы фразеологии*, 4.11, 219, გვ. 41-47.
1. ინდექსი აღნიშნავს გვერდსა და სტრიქონს ნიგნიდან Н. S. Nyberg. *A Manual of Pahlavi*, II, Wiesbaden, 1974.
2. ¹. ეს აიხსნება იმით, რომ ზმნას šodan საშუალო სპარსულში და ახალი სპარსულის საწყის ეტაპზე მხოლოდ „ნასულის“ მნიშვნელობა ჰქონდა, იგი ამ მნიშვნელობით ფირდოუსის „შაჰ-ნამესა“ და სხვა ძეგლებშიც დასტურდება, ხოლო მნიშვნელობა „გახდომა, გადაქცევა“ მან მოგვიანებით შეიძინა.

MAKA ANTADZE

Complex verbs in Middle Persian Language

(Non-prepositional complex verbs)

Summary

There are two-component phrasal verbs in Middle Persian language that are called complex verbs in scientific literature. Even in Ancient Persian language there are a certain number of two-component verbal phrases, which indicates that the existence of complex verbs is characteristic for Persian language diachronically but the meaning of these verbs and. accordingly. the

number increased together with the development of the language and the change of its structure. First of all, it was connected with disarrangement of inflexion order and the trend of intensification of analysis in the language.

The present article considers a general structural-morphological analysis of Middle Persian complex verbs the nominal component of which is not prefixed: the lexical means of expressing the composing nominal and verbal components of phrasal verbs are also considered.

Simple, derived and complex nouns, adjectives, rarely adverbs of different semantics may be nominal components of Middle Persian complex verb. There are also the series of verbs derived by different composing verbs (verbal component of complex verb) on the basis of the same noun.

ხალხური „როსტომიანის“ ქართული და სპარსული ვარიანტები

ქართული ხალხური „როსტომიანი“ აერთიანებს თქმულებათა ციკლს ირანელი მითოლოგიური გმირის როსტომის შესახებ. იგი უშუალოდ სპარსული ეპოსიდან მომდინარე თხზულებაა. ამის შესახებ გარკვეული მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ნ. მარს, აკ. შანიძეს, კ. კეკელიძეს, დ. კობიძეს. აღნიშნული ციკლი თითქმის ემთხვევა ფირდოუსის პოემის შესაბამის ნაწილს, მაგრამ ის უშუალოდ „შაჰ-ნამედან“ არ უნდა იყოს ნასაზრდოები. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ტექსტში არსებული განსხვავებანი. ქართული ვარიანტები გაცილებით არქაული შინაარსისაა და, ამასთანავე, იგრძნობა, რომ ისინი ადრეულ ეტაპზევე უნდა იყოს შექმნილი მთქმელების მიერ. შეინიშნება მითოლოგიური აზროვნების ისეთი შრე, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ქართველები როსტომის საგმირო ამბებს შორეულ წარსულში გაეცნენ, რაც, შესაბამისად, აისახა ზეპირსიტყვიერებაში.

დავით კობიძე წერს, რომ „მეფეთა წიგნის“ ქართული ხალხური ვერსიების შესწავლისათვის საჭიროა ძველი და ახალი ვერსიების ერთმანეთისაგან გამოყოფა. ეს კი შეუძლებელია, თუ ქართული ლიტერატურული ვერსიების მონაცემებთან ერთად გათვალისწინებული არ იქნა სპარსული ვერსიების მონაცემებიც“.¹ „როსტომიანის“ სპარსული ლიტერატურული ვერსიები შეისწავლა თვითონ ბატონმა დავითმა, ამჟამად კი რამდენადმე შესაძლებელია შესწავლილი იქნეს „როსტომიანის“ სპარსული ხალხური ვარიანტები. ამის საშუალებას გვაძლევს შემდეგი გამოცემები: ა. გრიუნბერგისა და ი. სტებლინ-კამენსკის მიერ შედგენილი „სისტანური ზღაპრებისა და ლეგენდების“ კრებული, ანჯავის მიერ შედგენილი „ხალხი და შაჰ-ნამე“ და ზარიის „როსტომისა და სოჰრაბის დასტანი“.²

¹ დ. კობიძე, „შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები“, თბ., 1959.

² „Сказки и легенды Систана“, М., 1951 (სპ. ა.); სეიდ აბულყასემ ანჯავი შირაზი, „მარდომ ვა შაჰნამე“, თეჰრან, 1975 (სპ. ბ.); მარშედ აბას ზარიი, „დასტანი როსტომ ვა სოჰრაბ“, ესფაჰან, 1990 (სპ. ც.);

თავს ნება მიეცით, შემოკლებით „როსტომიანად“ მოვიხსენიოთ არა მხოლოდ ქართული ვარიანტები, არამედ სპარსულიც – სისტანური იქნება ეს თუ სხვა.

ძირითად საორიენტაციო ტექსტად მივიჩნიეთ ფირდოუსის პოემა და სპარსულიდან ქართულად თარგმნილი როსტომის ამბავი, ე.წ. „როსტომიანი“, რომლის ძირითადი ნაწილი გოსტასაბის მეფობამდე, გაულექსავს სერაპიონ საბაშვილს, ხოლო დასასრული – ხოსროვ თურმანიძეს (XV-XVI სს.).¹

„შაჰ-ნამე“ 60000-მდე ბეითს შეიცავს. პოემის შინაარსი ეყრდნობა მანამდე არსებულ პროზაულ ვერსიებს, რომელთაც ბევრგან ავტორი თავისი შეხედულებიანებრ ამუშავებს. ამავე დროს, ფიქრობენ, რომ იგი ანგარიშს უწევდა ხალხურ ვარიანტებსაც.²

როსთამი (როსტომი) „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია. იგი ლეგენდარული გმირია. ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ეს სახე ირანულ სამყაროში საკებმა შემოიტანეს. ისინი ძველ დრანგიანში დამკვიდრდნენ და საკასტანი – საკების ქვეყანა უწოდეს. აქედან უნდა იყოს მიღებული სისტანი. სისტანის ერთ-ერთი მხარეა როსტომის სამშობლო – ზაბულისთანი. როსტომი ირანული ეპოსის გმირად იქცა. რა თქმა უნდა, ფირდოუსი ხალხში გავრცელებულ ყველა ვერსიას თავის პოემაში ვერ შეიტანდა, ხალხმა კი შემოინახა ისინი, განაგრცო ან პირიქით, რალაც ნაწილი დაკარგა კიდევ. ამასთანავე, უდავოა, რომ მოგვიანებით მან „შაჰ-ნამედანაც“ ბევრი რამ აიღო და ამ ათი საუკუნის მანძილზე მრავალი ვერსია შექმნა.

ფირდოუსის მიხედვით, როსთამმა თითქმის 600 წელი იცოცხლა. მისი მოღვაწეობა მოიცავს რამდენიმე თაობას, 9 მეფის მმართველობას. ესენია: მანუჩეჰრი, ნაუდარი, ზავი, გერშასფი, ქაიყობადი, ქაი-ქავოსი, ქაი-ხოსროვი, ლოჰრასფი, გომთასფი. ხალხურ ვარიანტებშიც ჩანს ზოგიერთი მათგანის სახელი, უფრო ხშირად კი სახე განზოგადებულია და მეფის ვინაობა არ კონკრეტდება, რაც საზოგადოდ დამახასიათებელია ფოლკლორისათვის.

ჩვენ შევეხებით სამ მოტივს როსტომისა და ზურაბის ამბიდან და ვნახავთ, როგორი დამოკიდებულება არსებობს ქართულ და

¹ ფერდოუსი, „შაჰ-ნამე“, მ., I, 1960; II, 1963; „შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა ნიგნის ქართული ვერსიები“, ტექსტი გამოსცა... ი. აბულაძემ, თბ., 1916.

² E. Э. Бертельс, «История персидико-таджикской литературы», М., 1960. გვ. 196-197.

სპარსულ ვარიანტებსა და ლიტერატურულ ვერსიას შორის. საუბარია ცალკეულ მოტივზე.

ეს მოტივებია: 1. როსტომის (იგივე, როსთამის) მიერ ცოლის შერთვა, განშორება და ბავშვისთვის დატოვებული ნიშანი; 2. დედის მიერ შვილის საბრძოლო გამოცდა და 3. ზურაბის (იგივე, სოჰრაბის) სიკვდილი და როსტომის განცდები.

აღ. გომიაშვილისა და რ. გვეტაძის მიერ შედგენილ კრებულში დაცულია „როსტომიანის“ ერთი ვარიანტი¹, რომელიც ვრცელი არ არის, მაგრამ შეიცავს რამდენიმე საგულისხმო მოტივს. აღნიშნული ვარიანტი ხასიათდება არქაიზმითა და მითოლოგიური სახეებით და არსებულ ხალხურ ვარიანტებს შორის ყველაზე ძველად მიგვაჩნია. მასში შემორჩენილია როსტომის მახასიათებელი ნიშნებიც, მჭექარე ხმა, კარიანი კბილები, მოხრილი ბეჭები და სხვ.

ჩვენი სამუშაოს პირველი მოტივი ამ ვარიანტში ასეა წარმოდგენილი: როსტომს ცოლად მოჰყავს ხურომანი, რომელიც ჯერ ნითელი არაბის ცოლი იყო, შემდეგ კი – შავი არაბისა. ქალი გაექცევა: შავი არაბი ღალატით მოკალი და ცოლად არ დაგიჟდებო. როსტომმა ძალა იხმარა და ხურომანი დაიმორჩილა. განშორებისას გააფრთხილა: თუ ქალი გაგიჩნდება, შენთან იყოს, თუ ვაჟი – მხარზე ეს ნიშანი დააკერეო და ნიშანი მისცა.

მეორე ქართული ვარიანტი² როსტომი ცოლს არ ირთავდა. ხუროვანმა ქექავაზ კეისარს აღუთქვა – როსტომს მე შევეუჩნდები და შვილს გაუჩენო. მართლაც, აცდუნა როსტომი, რომელიც მეორე დღესვე დასცილდა მას და დაუბარა: თუ ვაჟი გეყოლება, ზურაბი დაარქვი, ერთი შარნი მოაბი ყელზე, ჰეშმა ახალუხის ჯიბეში ჩაუდე, მუზარადი უნაგირის ტახტაზე დააკარი და ასე ვიცნობ ჩემს შვილსო.

სისტანურ ვარიანტში (სპ. ა) როსთამს რახში დაეკარგა, კვალს დაადგა და ერთ სამეფოში მივიდა. შაჰმა სტუმრის პატივსაცემად ნადიმი მოანყო და შესთავაზა: ერთი რაინდი მყავს და იმას შეერკინეო. როსთამმა აჯობა იმ რაინდს, მალლა აიტაცა და სურდა ძირს დაენარცხებინა. მეფემ შესძახა: ფრთხილად, შე უმსგავსო, ეგ ჩემი ქალიშვილიაო. როსთამმა ცოლად შეირთო ის ქალი და ცოტა ხანს იცხოვრა მასთან. ნასვლისას თავისი სამკლავე მოიძრო, ქალს

¹ „ხალხური პოეზია“, შემდგ. აღ. გომიაშვილი და რ. გვეტაძე, თბ., 1950, გვ. 450 (ქართ. ა).

² „ქართული ხალხური ეპოსი“, რედაქტორი სოლ. ყუბანეიშვილი, თბ., 1940, გვ. 70 (ქართ. ბ).

გადასცა და უთხრა: თუ გოგო გარჩდება, ეს გაყიდე და ფული მას მოახმარე და თუ ბიჭი დაიბადება, ეს სამკლავე შეაბი და ზაბუ-ლისთანში გამოგზავნეო.

ეს მოტივი რამდენადმე ახლოსაა „შაჰ-ნამეს“ ანალოგიურ ეპი-ზოდთან, სადაც თურანელებმა სანადიროდ გამოსულ როსთამს რახში მოპარეს. როსთამი სამანგანის გზას დაადგა. იქ ყველას დაემუქრა, თუ ცხენს არ მიპოვით, შურს ვიძიებო. დილით რახში მოჰკვარეს. სამანგანის მეფის ქალიშვილს შეუყვარდება როსთამი და სარეცლის გაზიარებას სთხოვს. როსთამმა მობედი მოაყვანიდა და სხვ. მაგრამ თაჰმინე „შაჰ-ნამეში“ მებრძოლი ქალი არ არის, როგორც სისტანური ვერსიის მეფის ასული ან ქართული ვარიან-ტების ხურომანი და ხუროვანი, თუმც ის ძალიან აქტიურია „რუს-თამისა და სოჰრაბის დასთანში“ (სპ. c).

ნინასნარ უნდა შევნიშნოთ, რომ მეორე მოტივი – დედის მიერ შვილის საბრძოლო გამოცდა, „შაჰ-ნამეში“ არ არის. იგი დაცულია ორივე ქართულ ვარიანტში (ქართ. a. b) და სისტანურ ამბავშიც (აქ ორგზის ცდის დედა ვაჟს). მაგრამ, საერთოდ, მებრძოლი ქალის სახე პოემაში არის. ეს არის ქალნული გორდაფარიდი, რომელიც მოგვაგონებს სპ. a – ვარიანტის მეფის ასულს, მაგრამ მასზე მალლა დგას თავისი თვისებებით, თავგანწირვით, მიზანდასახულობით. მას ახასიათებს სიძლიერე, სიმამაცე, მოხერხებულობა. ყოველივე ამას ემატება პატრიოტიზმის დიდი გრძნობა, რითაც პოეტი სრულყოფს გმირი ქალის პორტრეტს. საგულისხმოა, რომ გორდაფარიდი თავისი ფუნქციით გვხვდება ანჯავის კრებულში (სპ. b) და როს-თამისა და სოჰრაბის დასთანშიც (სპ. c).

რაც შეეხება სამკლავით, ან სხვა ნიშნით ვაჟის დანიშვნას, ის ყველა ვარიანტშია. სისტანურ ლეგენდამი თვით სოჰრაბიც, რომელიც მამის სამკლავეს ატარებს ნიშნად, ასეთივე ნიშანს სთავაზობს ერთ ასულს, რომელიც მოენონება და ცოლად შეირ-თავს, განშორებისას კი სამკლავეს დაუტოვებს მომავალი ვაჟის სანიშნედ (სპ. a).

მესამე მოტივში (სოჰრაბის სიკვდილი და მამის გლოვა) ქარ-თული ვარიანტით (ქართ. a), შვილის სიკვდილის შემდეგ, განრის-ხებულმა როსტომმა ქაქაოზს შვილები დაუხოცა და თვითონ ზღვაში ჩავარდა. ზღვამ პირი შეიკრა. ერთმა ბებერმა თქვა: მე გამოვიყვან როსტომსო, შავი მატყელი ნაილო და ზღვაში დაუნყო რეცხვა. როსტომმა უთხრა: არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა. ბებერმა მიუგო: მკვდარი ვის გაუცოცხლებავ ტირი-

ლითა და ვიშითა. როსტომი გამოვიდა ნაპირზე და დედაბერი ზღვაში მოისროლა. „შაჰ-ნამესაგან“ განსხვავებით, ამ ეპიზოდის ანალიზოგურია სისტანური ლეგენდის (სპ. ა) ფინალი: როსტომს ხმა ჩაესმა – ორმოცი დღე ატარე მხრებით შენი შვილი და გაცოცხლდებო... ორი დღით ადრე, ქეი-ქაუუსის დავალებით, ერთმა დედაბერმა შავი ფარდაგი აიღო და რეცხვა დაუნყო. როსთამი ნყლის დასაღვეად მივიდა. უთხრა ქალს: განა შავი ფარდაგი რეცხვით გათეთრდებო? დედაბერმა მიუგო: შავი ფარდაგი არ გათეთრდება და შენი მკედარი კი გაცოცხლდებო? როსთამს გულმა რეჩხი უყო, სკივრი მინაზე დადგა¹...

ქართული თქმულების მოტივები საგრძნობლადაა დაშორებული „შაჰ-ნამეს“ ტექსტს და მეტ სიახლოვეს ავლენს სპარსულ ხალხურ როსტომის ციკლთან (სპ. ა. ბ.). შეიძლება ითქვას, რომ ქართული ხალხური „როსტომიანის“ კვლევა სპარსული ფოლკლორისა და მითოლოგიის გათვალისწინებით, ჩვენი ხალხის უძველესი კულტურული და ისტორიული წარსულის კიდევ ერთ გვერდს გადაგვიშლის. როსტომის თქმულებათა ქართული ციკლი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს „შაჰ-ნამესა“ და, მით უმეტეს, ქართულად თარგმნილ „როსტომიანს“². იგი დიდი ხანია, რაც ქართული ფოლკლორის კუთვნილება გახდა. სწორედ ამიტომ, ალბათ, რუსთაველი თავის პოემაში ასე შინაურულად, უკომენტაროდ რომ მოიხსენიებს როსტომს: ავთანდილმა „ისრითა მოკლის ნადირი როსტომის მკლავ უგრძესითა“.

ქართული ხალხური „როსტომიანი“ ძალზე საინტერესო ფოლკლორული წყაროა, რომელიც შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

¹ „ქართული ხალხური ეპოსი“, რედაქტორი სოლ. ყუბანიშვილი, თბ., 1940, გვ. 223 (ქართ. ბ).

² თუმცა, დღესდღეობით, ქართულ მეცნიერებაში კვლავ დომინირებს საპირისპირო მოსაზრება. იხ. ლ. ყორეოლიანი, „ზააქიანის“ სპარსული და ქართული ვერსიები“, თბ., 2003, გვ. 18.

Georgian and Persian Variants of the Folk Story “Rostomiani”

Summary

The Georgian folk story “Rostomiani” joins the legend cycle about the Iranian mythical hero Rostom. It is a story coming from the Persian epos. It corresponds to one of the parts of Firdawsi’s “Shah-Nameh,” but there are some differences which make us think that the Georgian folk version of „Rostomiani’ originates from the Persian national stories about Rostom coming from the ancient time. This opinion is proved by the material studied by us.

The Georgian “Rostomiani” is a very interesting folkloric source which requires further study.

„შაჰ-ნამე“ საქართველოში

„შაჰ-ნამე“, რომლის გალექსვა ფირდოუსის 999 ნელს, ხოლო საბოლოო რედაქცია 1010 ნელს დაუმთავრებია, ძალიან მალე პოპულარული გამხდარა როგორც ირანსა და სპარსულენოვან სამყაროში, ისე აღმოსავლეთის მრავალ სხვა ქვეყანაში. ამაზე ნათლად მეტყველებს „შაჰ-ნამეს“ ხელნაწერთა ურიცხვი ნუსხის არსებობა, ამ პოემის მიბაძვა-გაგრძელებათა შექმნა, თხზულების ტექსტის პროზაული გადაკეთებანი, „შაჰნამეხანების“ ინსტიტუტის შექმნა და მისი ძველი თარგმანები.

„შაჰ-ნამეს“ ჩვენამდე მოღწეული ადრინდელი თარგმანებიდან ყველაზე ძველია XIII საუკუნეში არაბულ ენაზე ბუნდარის მიერ შესრულებული თარგმანი. ასეთ თარგმანებს მიეკუთვნება XVI საუკუნის პოეტური და XVII საუკუნის პროზაული თარგმანები თურქულ ენაზე, ასევე ამ თხზულების XV-XVIII საუკუნეებში შესრულებული ქართული თარგმანები (უფრო სწორად, ვერსიები).

„შაჰ-ნამეს“ ძველი ქართული თარგმანები ქართული ლიტერატურის აღორძინების პერიოდს მიეკუთვნება, მაგრამ ქართული მწერლობის კლასიკური ხანის საისტორიო (ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) და მხატვრული ლიტერატურის („თამარიანი“, „აბდულმესიანი“, „ვეფხისტყაოსანი“) ძეგლებში „შაჰ-ნამეს“ მრავალი გმირის სახელია მოხსენიებული, ხოლო ლეონტი მროველს „ზააქზე თქმულების“ ნაწყვეტიც აქვს ჩართული თავის თხზულებაში (1, 12-13). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ თხზულებაში სახელთა უმეტესობა ახალი სპარსული ფორმით (როსტომი, ზაალი, საამი, აფრიდონ, სალიმ, თური) დასტურდება, ორი მათგანი საშუალო სპარსულიდან ნარმოდგება (სპანდიატ, ბევრასფი), ხოლო ერთი სახელი (ვაშტაშაბ) ძველი სპარსული ფორმითაც გვხვდება. ამის საფუძველზე ზოგი მკვლევარი (მაგ., ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი) თვლიდა, რომ „მეფეთა ნიგნის“ ანუ „შაჰ-ნამეს“ ქართული თარგმანი XII საუკუნეშიც უნდა გვექონოდა, მაგრამ ჟამთა სიავის გამო მათ ჩვენამდე არ მოუღწევია (2;3, 342). მკვლევართა ნაწილი (მაგ., მ. ანდრონიკაშვილი, დ. კობიძე) ვარაუდობს, რომ ზოგიერთი ირანული ეპიკური თქმულება საქართვე-

ლოში უძველესი დროიდან ზეპირგადმოცემათა სახით ყოფილა გავრცელებული და ლეონტი მროველს თავის წიგნურ წყაროსთან ერთად, რომელსაც ის „სპარსთა ცხოვრებას“ უწოდებს, ამ თქმულებითაც უნდა ესარგებლა (4, 148-149; 5, 102). ლეონტი მროველის წიგნური წყარო კი, შესაძლოა, ფალაური „ხოდაი-ნამაქ“ ან თვით ფირდოუსის თხზულების სპარსული ტექსტიც ყოფილიყო, როგორც ეს დასაშვებად მიაჩნია მ. თოდუას (6, 7).

„მეფეთა წიგნის“ ძველი ქართული თარგმანები გვაქვს როგორც პოეტური, ისე პროზაული სახისა.

პოეტური თარგმანებია:

1. „როსტომიანი“ - გალექსილი (ნაწილობრივ ნათარგმნი) სერაპიონ საბაშვილისა და ხოსრო თურმანიძის მიერ XV-XVI საუკუნეებში.

2. „ზააქიანი“-ლექსად თქმული მამუკა თავაქალაშვილის მიერ XVII საუკუნეში.

3. „უთრუთიან-საამიანი“, რომელიც XVII საუკუნეში ბარძიმ ვაჩნაძეს გაულექსავს.

პროზაული თარგმანებია:

1. „ფრიდონიანი“ - მთარგმნელის ვინაობა უცნობია. თარგმანს XVI საუკუნეს მიაკუთვნებენ.

2. „უთრუთიან-საამიანი“- თარგმნილია XVI საუკუნეში უცნობი მთარგმნელის მიერ.

3. „წიგნი საამ ფალავნისა“ - თარგმანი XVIII საუკუნით თარიღდება. მთარგმნელის ვინაობა ჯერჯერობით დადგენილი არ არის.

ამ თარგმანთაგან არც ერთი არ არის „შაჰ-ნამეს“ სრული ტექსტის შემცველი. ძველად ქართველებს „მეფეთა წიგნის“ მხოლოდ მითოლოგიური და საგმირო ნაწილები უთარგმნიათ, ისტორიული ნაწილით კი არ დაინტერესებულან. ქართულად გვაქვს აგრეთვე „შაჰ-ნამეს“ გაგრძელები- „ბაჰმან-ნამეს“ თარგმანი „ბაამიანი“.

„შაჰ-ნამეს“ ქართული თარგმანები ეყრდნობა სპარსულ ინტერპოლირებულ ტექსტებს, რომლებშიც სრული ან ნაწყვეტების სახით ჩართულია ხოლმე ფირდოუსის პოემის მიმბაძველ-გამგრძელებელთა თხზულებები. ქართველი მთარგმნელ-გამლექსავეები და რედაქტორ-გადამწერებიც თავისებურად ასხვაფერებდნენ ორიგინალის ტექსტს, ამის გამო ქართული თარგმანები ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ორიგინალს ხშირად საკმაოდ დაშორებულია და უფრო მის ვერსიებად წარმოგვიდგებიან. მართალია, ქართულ თარგმანებს (ვერსიებს) სხვადასხვა სათაური აქვს, მაგრამ ხშირად მათ აერთიან-

ნებდნენ და „როსტომიანს“ უწოდებდნენ. „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ხელნაწერები ჩვენამდე საკმაოდ უხვადაა შემონახული.

დღეისათვის სამ ტომადაა გამოცემული „მეფეთა წიგნის“ ქართული თარგმანები (ვერსიები). I ტომი გამოსცა იუსტ. აბულაძემ 1916 წელს საინტერესო გამოკვლევით, ლექსიკონითა და საძიებლით. ფირდოუსის დაბადებიდან 1000 წლის საიუბილეოდ, 1934 წელს დაიბეჭდა II ტომი, ე.წ. „მდიდრული გამოცემა“ „მეფეთა-წიგნის“ ქართული ვერსიებისა, რომლის გამოცემაში მონაწილეობდნენ იუსტ. აბულაძე, კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა და ა. შანიძე. „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ტექსტთა გამოცემა დაასრულა დ. კობიძემ, რომელმაც 1975 წელს გამოცემულ III ტომს სოლიდური გამოკვლევაც წაუძღვარა და ამავე ტომში ჩართო „ბაჰმან-ნამეს“ ქართული თარგმანიც.

ქართველების ინტერესი „შაჰ-ნამეს“ თარგმნისადმი არც ჩვენს ეპოქაში განელებულა. დ. კობიძეს ჯერ კიდევ 1938 წელს უთარგმნია ფირდოუსის სახელით ცნობილი „სატირა სულთან მაჰმუდზე“ (7, 55-62). ცნობილმა ქართველმა ირანისტმა და მთარგმნელმა მ. თოდუამ 1959 წელს კრებულში „აღმოსავლური პოეზია“ გამოაქვეყნა „შაჰ-ნამეს“ მითოლოგიური და საგმირო ნაწილებიდან რამდენიმე ეპიზოდის (ქავა მჭედლის ამბავი, ზურაბის ეპიზოდი, გოდერძისა და ფირანის ბრძოლის მონაკვეთი) და ისტორიული ნაწილიდან „მაზდაქის ამბის“ თარგმანი. მან აქვე ჩართო „სულთან მაჰმუდზე სატირის“ მისეული თარგმანი, მოგვიანებით (1977წ.) ეს თარგმანები შეტანილ იქნა ვ. კოტეტიშვილის მიერ გამოცემულ კრებულში „ირანული პოეზია“. ამავე კრებულშია დაბეჭდილი ბ. შალვაშვილის მიერ შესანიშნავად ნათარგმნი „ბეჟან-მანიყეს ამბავი“ და ვ. კოტეტიშვილის მიერ შესრულებული „შაჰ-ნამეს“ ორი ნაწყვეტის თარგმანიც. ბ. შალვაშვილმა თარგმნა და ცალკე წიგნებად გამოაქვეყნა „შაჰ-ნამეს“ მონაკვეთები - „მანუჩარი“ (1976 წ.), „სიაუში“ (1979) და „ქეიქაუსი“ (1987წ.). ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თარგმანი პოეტურია. 1992 წელს კი მ. თოდუამ გამოსცა „შაჰ-ნამეს“ შემოკლებული პროზაული თარგმანი. ქართულად არსებობს აგრეთვე ე.წ. „მეცნიერული თარგმანი“ ფირდოუსის თხზულებისა, რომელიც მთარგმნელთა კოლექტივის (მ. თოდუა, ა. გვახარია, ი. კალაძე, ლ. თუშიშვილი, ნ. ბართაია) მიერ არის შესრულებული, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, ჯერ არ დაბეჭდილა.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მთარგმნელებიც „შაჰ-ნამეს“ ისტორიული ნაწილისადმი ნაკლებ ინტერესს იჩენენ. დღეის-

თვის „მეფეთა წიგნის“ ისტორიული ნაწილიდან მხოლოდ ზემოთ ხსენებული მ. თოდუას მიერ თარგმნილი „მაზდაქის ეპიზოდი“ არსებობს. გვაქვს ცნობა, რომ ბ. შალვაშვილი ამჟამად მუშაობს ისტორიული ნაწილის ეპიზოდის თარგმანზე, რომელშიც ხოსროფარეზისა და შირინის სიყვარულის ამბავია მოთხრობილი.

„შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების შესწავლას საფუძველი ნ. მარმა ჩაუყარა XIX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში გამოქვეყნებული სტატიებით „ვეფხისტყაოსნის გამო“ (8) და „როსტომიანი“ (2). მისი დაწყებული საქმე განაგრძეს და „მეფეთა წიგნის“ ქართული ვერსიების რაობისა და ხასიათის, თარგმანთა დათარიღების, მთარგმნელთა ვინაობისა და მრავალ სხვა საკითხთა გარკვევაში იუსტ. აბულაძეს, ალ. ბარამიძეს, კ. კეკელიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვით (9), ხოლო დ. კობიძის გამოკვლევა „შაჰ-ნამეს“ ვერსიების სპარსული წყაროები“ (1959წ.) მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ამ თხზულების ქართულ თარგმანთა კვლევის საქმეში. გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი „შაჰ-ნამეს“ ქართულ თარგმანთა (ვერსიათა) შესწავლაში მ. ანდრონიკაშვილს (რომელმაც საქართველოში გავრცელებულ და გაქართულებულ „შაჰ-ნამეს“ გმირთა სახელებს მიუძღვნა თავისი სამეცნიერო ნაშრომების ძირითადი ნაწილი) (4), მ. ხუბუას (10, 308), კ. ფალავას (11, 163-183), მ. მამაცაშვილს (12, 67-78), მ. თოდუას (13, 153-155) და ამ სტრიქონების ავტორს (14, 39-53; 15).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ირანელმა მეცნიერებმა და უცხოელმა ირანისტებმა იციან „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების არსებობის შესახებ, მაგრამ ზოგიერთი გამოწაკლისის გარდა, ისინი ჯეროვნად ვერ აფასებენ ამ თარგმანთა (ვერსიათა) მნიშვნელობას ფირდოუსის თხზულების კრიტიკული ტექსტის დადგენისა და ტექსტოლოგიურ საკითხთა კვლევაში.

ქართველ ირანისტებს საკუთრივ ფირდოუსის თხზულების პრობლემათა კვლევაშიც აქვთ შეტანილი თავიანთი წვლილი. ამ მხრივ აღსანიშნავია ლ. თუშიშვილის ნაშრომი „შაჰ-ნამეს“ არაბული ლექსიკის შესახებ (16, 131-152). ფართოდ გააშუქა დ. კობიძემ ფირდოუსის ცხოვრება და შემოქმედება, ასევე „შაჰ-ნამეს“ მიბაძვა-გაგრძელებანი 1975 წელს გამოცემულ „სპარსული ლიტერატურის ისტორიაში“. მრავალმხრივ საინტერესო წიგნი მიუძღვნა ფირდოუსისა და მის „შაჰ-ნამეს“ მ. თოდუამ (6). „შაჰ-ნამეს“ ქალთა სახეები შეისწავლა ლ. გიუნაშვილმა (17, 181-197). ჩვენ კი კარგა ხანია „შაჰ-ნამეს“ მხატვრული დროის პრობლემაზე ვმუშაობთ. დაბოლოს,

ისიც აღსანიშნავია, რომ მკითხველთა ფართო მასების ინტერესის გათვალისწინებით, ალ. გვახარიამ 1963 წელს გამოსცა მეტად საინტერესოდ დანერგილი წიგნი „ფირდოუსი“.

საქართველოში „შაჰ-ნამეს“ ზოგიერთი ამბისა და ეპიზოდის ფოლკლორული ვერსიებიც ჩამოყალიბებულა. ასეთებია მაგ., „როსტომიანი“, „ბეჟანიანი“. ქართველ მეცნიერებს (ნ. მარი, ე. თაყაიშვილი, ალ. ხახანაშვილი, ა. შანიძე, შ. ძიძიგური) მათ ჩანერასა და გამოქვეყნებაზეც უზრუნველად და მეცნიერულად შეუსწავლიათ. ამასთან, გაურკვევიათ, რომ ისინი ლიტერატურული ტექსტებიდან მომდინარეობენ.

ამრიგად, ჩვენ ძალიან მოკლედ მიმოვიხილეთ საქართველოში „შაჰ-ნამეს“ (ამ ჭეშმარიტად „წიგნთა მეფის“) ზოგიერთი თქმულების ზეპირი გავრცელების, ამ თხზულების ქართულად თარგმნის, „მეფეთა წიგნის“ ქართული ვერსიების ტექსტთა გამოცემისა და მათი მეცნიერული შესწავლის ისტორია.

ლიტერატურა:

1. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.
2. ნ. მარი, „როსტომიანი“ (ორიოდე სიტყვა „შაჰ-ნამეს“ ქართული თარგმნის შესახებ), გ. „ივერია“, 1891, №133.
3. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, 1967.
4. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966.
5. დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, II, თბ., 1969.
6. მ. თოდუა, ფირდოუსი და მისი „შაჰ-ნამე“, ქუთაისი, 1995.
7. დ. კობიძე, ფირდოუსის სატირა სულთან მაჰმუდზე“ (თარგმანი), ე. „ჩვენი თაობა“, თბ., 1938.
8. ნ. მარი, ვეხისტყაოსნის გამო, გ. „თეატრი“ 1890, №12.
9. იუსტ. აბულაძე, შესავალი წერილი „შაჰ-ნამეს“ ანუ „მეფეთა წიგნის“ ქართული ვერსიების I ტომისათვის, თბ., 1916.
10. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბ., 1952.
11. ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1940.

12. მ. ხუბუა, სამი იამანელი ასულის საკუთარ სახელთა ეტიმოლოგია „შაჰ-ნამეს“ ქართული პროზაული ვერსიით, ლიტერატურული ძიებანი, II, თბ., 1944.
13. კ. ფალავა, ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ რომანული ეპიზოდების შესწავლისათვის, თსუ შრომები, ტ. 41, 1950.
14. მ. მამაცაშვილი, „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ახალი ხელნაწერის გამო, ჟ. „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), №3, 1974.
15. მ. თოდუა, ტექსტოლოგიური შენიშვნები, („შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსია), თსუ შრომები, ტ. 108, 1964.
16. ლ. ჟორჯოლიანი, „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ქალთა სახელები, თსუ შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობა, ტ. 290, თბ., 1989.
17. ლ. ჟორჯოლიანი, „ზაქიანის“ სპარსული და ქართული ვერსიები, თბ., 2003.
18. ლ. თუშიშვილი, არაბული ლექსიკური ელემენტები ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, (აღმოსავლურ ენათა სერია), I, თბ., 1954.
19. Л.С. Гиунашвили, Заметки о женских образах „Шах-наме“, Труды ТГУ, т.116, 1965.

LILY ZHORZHOLIANI

“Shahnameh” in Georgia

Summary

The paper makes a short survey of oral spreading of certain tales of “Shahnameh” in Georgia. The author also discusses the poem’s translation into Georgian and publication of its manuscripts and texts. A special mention is made of the contribution of Georgian Iranists to the research and translation of Firdawsi’s “Shahnameh.”

ძველი ინდურისა და სანსკრიტის ზმნური უღლება სპარსულის ნამყო დროების დიაქრონიის შუქზე

სპარსულის ნამყო დროთა მორფოინტაქსური გარდაქმნების დინამიკური პროცესის გასათვალისწინებლად, კერძოდ კი, ძველი სპარსულის ფაქტების კვალიფიკაციისათვის, უთუოდ მნიშვნელოვან სურათს ქმნის ძველი ინდურისა და სანსკრიტის ზმნათა პარადიგმებისა და სემანტიკის წარმოჩენა: ფრაგმენტულად შემორჩენილი ძველი სპარსულის გარკვეულ ფორმათა აღდგენა სწორედ სანსკრიტის მონაცემთა საშუალებით ხდება. ამიტომაც შევეცდებით, წარმოვადგინოთ სანსკრიტის ფლექსიის ურთულესი სისტემა ყველა მორფოლოგიური მონაცემით.

სანსკრიტში, უღლების თვალსაზრისით, ზმნა ორ გვარს განასხვავებს: მოქმედებითს (Parasmañipadam) – მოქმედება სხვისთვის და საშუალებითს (Ātmanepadam) – მოქმედება თავისთვის. მაგრამ გარკვეულ ზმნათა მოქმედებითი გვარის ფორმა არ აღნიშნავს გარდამავალ მოქმედებას, ხოლო საშუალებითი გვარისა – გარდაუვალს.

სანსკრიტში განარჩევენ ზმნის შემდეგ დრო-კილოებს:

1. Praesens – სისტემა, რომელშიც შედის ანმყო დროის ფუძისგან ნაწარმოები დროები: Praesens, Imperfectum, Imperativus და Optativus (Potentialis).

2. Perfectum – სისტემა: უბრალო და აღწერილი Perfectum და Plusquamperfectum.

3. Aoristum – სისტემა: აორისტი უბრალო, გაორკეცებული, სიგმატური და Precativus (აორისტის ნატვრითი კილო).

4. Futurum – სისტემა: უბრალო და აღწერილი მომავალი, Conditionalis (პირობითი ფორმა).

პირის ნიშნები სანსკრიტში ორგვარია: პირველადი (Praesens და Futurum დროთათვის) და მეორეული (Imperfectum, Imperativum, Aoristum, Optativus, Conditionalis, Precativus დროებისთვის). გარდა ამისა, Perfectum-ის პირის სუფიქსებს განაკუთვნიებენ პირველად ნიშნებს (იხ. მილერი-კნაუერი 1891, 47-48; კნაუერი 1809, 46). აქვე შევნიშნავთ, რომ პირის ნიშანთა სქემებს ქვემოთ მოვიყვანთ ჩვენთვის საინტერესო დროის ფორმათა განხილვისას.

სანსკრიტში ძირი, რომელზე დაყრდნობითაც ფორმდება და ინარმოება სხვადასხვა ზმნური ფუძე, სამგვარია: ძლიერი, საშუალი და სუსტი. ინდოელი გრამატიკოსების ტრადიციული აზრით, ამ სამი სახეობიდან ძირითადია სუსტი ძირი, რომლისგანაც გამოჰყავთ საშუალი და ძლიერი ძირები შემდეგი სახელწოდებებით: პირველი საფეხური (गुण) და მეორე საფეხური (वृद्धि), რომელთაც ხსნიან ფუძისეული ხმოვნების წინ თავსართებით (गुण) და a (वृद्धि). მათი გაგებით, ფუძისეული ხმოვნები (a. i. u. r. l) შემდეგ რიგებს გადაძლევენ:

Guṇa (პირველი საფეხური) – e(ai), o (au), ar. al.

Vṛddhi (მეორე საფეხური) – ā. āi. āu, ār, āl.

ევროპელი გრამატიკოსები კი მიიჩნევენ, რომ საშუალი და ძლიერი ძირებიდან მოდის სუსტი ძირი დასუსტების შედეგად, ანუ ესაა ხმოვანთა ანეულობის საფეხურები ან აბლაუტი – შინაგანი ფლექსია.

სანსკრიტის ზმნაში არჩევენ ზმნურ ფუძე-ძირს (მაგ., budh-) და ანმყო დროის ფუძეს (bodh-a). რომელიც ანმყო დროის თემას წარმოადგენს.

ფუძეთა წარმოების მიხედვით, ინდურში ზმნები იყოფა კლასებად. ინდოელ გრამატიკოსთა მიხედვით, ასეთი კლასი სანსკრიტში ათია. შესაძლებელია, ეს კლასები გაერთიანდეს ორ შედარებით დიდ ჯგუფში: პირველი და მეორე ტიპის უღლებაში (იხ. მილერი-კნაუერი 1891, 52).

პირველი ტიპის უღლებაში ანმყოს ფუძე ბოლოვდება a-ზე და მახვილს აქვს ერთი განსაზღვრული ადგილი: იგი მოუდის ფუძეს და არასდროს გადადის პირის დაბოლოებაზე. ამ უღლებაში შედის I, IV, VI, X კლასის ზმნები. ეს არის ე. წ. თემატური უღლება, რაც იმას ნიშნავს, რომ ანმყოს სანარმოებლად ზმნას თემატური ნიშანი დაერთვის.

მეორე ტიპის უღლებაში, რომელსაც ათემატურს უწოდებენ, აერთიანებენ II, III, V, VII, VIII, IX კლასის ზმნებს, რომლებშიც პირის დაბოლოებანი უშუალოდ ერთვის გაორკეცებულ ძირს, ხან კი ისეთ ძირს, რომელსაც რამდენიმე ნიშანი აქვს. მახვილი ზოგ ფორმას მოუდის ფუძეზე, ზოგს – პირის დაბოლოებაზე, რომელზედაც დამოკიდებულია ძირის ძლიერი თუ სუსტი სახე.

სანსკრიტის დროთა სისტემებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ნამყო დროების წარმოება და ფუნქციები. ეს დროე-

ბია: Imperfectum, Perfectum და Aoristum. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე კლასების მიხედვით.

I. Imperfectum

I ტიპის ულლება: თემატური

1. Imperfectum – I კლასის ზმნის ფუძე შედგება: საშუალო საფეხურის ძირი+ნიშანი a. იმპერფექტი ინარმოება ანმყო დროის ფუძეზე მეორეული პირის ნიშნების დართვით:

Parasmāipadam (Activum) Ātmanepadam (Medium)

მხ.	ორ.	მრ.	მხ.	ორ.	მრ.
1. -m	-va	-ma	-i(a)	-vahi	-mahi
2. -s	-tam	-ta	-thās	-āthām	-dhvam
3. -t	-tām	-an(ur)	-ta	-ātām	-anta (ran)

I კლასის ზმნის ულლების მაგალითი იმპერფექტში:

ზმნა: bhū 'ყოფნა' ანმყო. ფ. bhava

Parasmāipadam

მხ.	ორ.	მრ.
1. ábhavam	ábhavāva	ábhavāma
2. ábhavas	ábhavatam	ábhavata
3. ábhavat	ábhavatām	ábhavan

Ātmanepadam

მხ.	ორ.	მრ.
1. ábhave (a+i)	ábhavāvahi	ábhavāmahi
2. ábhavathās	ábhavāthām	ábhavadhvam
3. ábhavata	ábhavātām	ábhavanta

VI კლასის ზმნები იმით განსხვავდებიან I კლასის ზმნათაგან, რომ მახვილიანი ნიშანი -a დაერთვის ძირის სუსტ სახეობას: ძირი tud 'დარტყმა', ანმყო. ფუძე tudá; ძირი pēach 'კითხვა' – სუსტი ძირი pŕch, ანმყო. ფ. pŕchā.

VI კლასის ზმნები იმპერფექტს აწარმოებენ ანმყოს ფუძეზე პირის ნიშნების დართვით:

pēach 'კითხვა':

Parasmāipadam

მხ.	ორ.	მრ.
1. ápŕcham	ápŕchāva	ápŕchāma
2. ápŕchas	ápŕchatam	ápŕchata
3. ápŕchat	ápŕchatām	ápŕchan

Ātmanepadam

მხ.	ორ.	მრ.
1. ápr̥che(a+i)	ápr̥chāvahi	ápr̥chāmahi
2. ápr̥chathās	ápr̥chāthām	ápr̥chadhvam
3. ápr̥chata	ápr̥chātām	ápr̥chanta

IV კლასის ზმნათა ანმყო დროის ფუძე შედგება ზმნის სუსტი ძირისა და ya-ნიშნისაგან. მახვილი ძირს მოუდის. მაგ., nah 'ქსოვა', ანმყ. ფ. náhya:

Parasmāipadam

მხ.	ორ.	მრ.
1. ánahyam	ánahyāva	ánahyāma
2. ánahyas	ánahyatam	ánahyata
3. ánahyat	ánahyatām	ánahyan

Ātmanepadam

მხ.	ორ.	მრ.
1. ánahyi	ánahyāvahi	ánahyāmahi
2. ánahyathās	ánahyāthām	ánahyadhvam
3. ánahyata	ánahyātām	ánahyanta

აქვე შევნიშნავთ, რომ სხვადასხვა კლასის ზმნათა ანმყო დროის ფუძის წარმოებასთან დაკავშირებულ თავისებურებებს სტატიაში ვერ განვიხილავთ (დანვრილებით იხ. რევია 2006, თავი I).

II ტიპის უღლება: ათემატური

ამ ტიპის უღლების ზმნები ანმყოს სისტემის ფორმებს აწარმოებენ ძლიერი და სუსტი ფუძეებით. ძლიერი ფუძით, რომელსაც მახვილი მოუდის, იწარმოება აქტიური Imperfectum-ის მხ. რიცხვის ყველა ფორმა, ხოლო დანარჩენი – სუსტი ფუძის საშუალებით, ამ დროს მახვილი პირის ნიშნებს დაესმის (იხ. მილერი-კნაუერი, 57).

II ტიპის უღლების ყველა ზმნას საშუალი გვარის იმპერფექტის მრ. რიცხვის მე-3 პირში აქვს სუფიქსი –ata, ნაცვლად –anta-სი.

II კლასი, ანუ ძირეული

II კლასის ზმნათა ანმყოს ფუძე ემთხვევა ზმნის ძირის ძლიერ ან სუსტ სახეობას, რომელსაც Imperfectum-ის საწარმოებლად დაერთვის პირის ნიშნები:

doh 'წველა' (ძლიერი სახე),

duh (სუსტი სახე)

Parasmāipadam

მხ.	ორ.	მრ.
1. ádoham	áduhva	áduhma
2. ádhok*	ádugdtam	ádugdta
3. ádhok**	ádugtām	áduhan

Ātmanepadam

მხ.	ორ.	მრ.
1. áduhi	áduhvahi	áduhmahi
2. ádugdthās	áduhāthām	ádhugdthvam
3. ádugdta	áduhātām	áduhnta

* მეორე პირის ფორმა adhok ← adhokš, მაგრამ, რადგან სიტყვის ბოლოს არ დაიშვება თანხმოვანთა ჯგუფი, რამდენიმე თანხმოვნისგან (ჩვენს შემთხვევაში, kš-თანხმოვნებისგან) რჩება პირველი მათგანი.

** მესამე პირის ფორმა ádhok ← áhokt; აქაც იგივე ფონეტიკური წესი მოქმედებს.

ზმნათა გაორკეცება, ანუ, ინდოელ გრამატიკოსთა მიხედვით, III კლასი

III კლასის ზმნების ფუძეთა სუსტი სახეობა ზმნის სუსტი გაორკეცებული ძირია, ხოლო ძლიერი – ძლიერი გაორკეცებული ძირი. იმპერფექტის საწარმოებლად ამ ძირებს უშუალოდ დაერთვის პირის ნიშნები (ძირთა გაორკეცების ტიპები იხ. რევია 2006, თავი I).

III კლასის ზმნებს Act. Imperfectum-ის მრ. რიცხვის მესამე პირში აქვს საკუთარი დაბოლოება -ur (ნაცვლად an-ისა), რომლის წინაც ხმოვანზე დამთავრებული ძირები იღებენ ძლიერ სახეს; მაგ., hu 'შენირვა' – ajuhavur:

Parasmāipadam

მხ.	ორ.	მრ.
1. ájuhavam	ájuhava	ájuhuma
2. ájuhos	ájuhutam	ájuhuta
3. ájuhot	ájuhutām	ájuhavur

Ātmanepadam

მხ.	ორ.	მრ.
1. ájuhvi	ájuhvahi	ájuhumahi
2. ájuhuthās	ájuhvāthām	ájuhudhvam
3. ájuhuta	ájuhvātām	ájuvhata

III კლასის ã-ზე დაბოლოებულ ზმნებს ფუძის სუსტ სახეობაში აქვს ī ან i, რომლებიც ხმოვნით დანყებული პირის ნიშნების წინ ამოვარდება (იხ. მილერი-კნაუერი, 63-65).

ზმნათა ფუძეების წარმოება ცხვირისმიერი თანხმოვნით სუფიქსის საშუალებით

V კლასის ზმნების სუსტი ფუძე შედგება: სუსტი ძირი + სუფიქსი -იუ; ძლიერი ფუძე კი – ძლიერი ძირი + სუფიქსი -იო. ხმოვანზე დაბოლოებულ ძირებში ხმოვნით დანყებულ პირის ნიშანთა წინ -იო იღებს -იáv სახეს, ხოლო ნიშანი -იუ > იv-ს (ი, v-სა და იშვიათად ი-ს წინ). თანხმოვანზე დამთავრებულ ძირებში -იო ხმოვანთა წინა პოზიციაში წარმოდგენილია -იáv სახით, ხოლო -იუ → -იუv.

სა¹ განურვა; ძლიერი ფუძე sonó, სუსტი sunu:

Imperfectum Act.

მხ.	ორ.	მრ.
1. ásunavam	{ ásunuva ásunva	{ ásunuma ásunma
2. ásunos	ásunutam	ásunuta
3. ásunot	ásunutām	ásunvan

Imperfectum Med.

მხ.	ორ.	მრ.
1. ásunvi	{ ásunuvahi ásunvahi	{ ásunumahi ásunmahi
2. ásunuthās	ásunvāthām	ásunudhvam
3. ásunuta	ásunvātām	ásunvata

V კლასის ზმნების ანალოგიურად იცვლება ზოგიერთი ი-ზე დაბოლოებული ზმნა (მაგ., tan¹ გაჭიმვა) და ძირი kř (kar) 'კეთება'.

მათ ძლიერ ფუძეში აქვთ არა ნიშანი -იო. არამედ -ი, სუსტ სახეობაში კი - ა. ინდოელი გრამატიკოსები ამ ზმნათაგან გამოყოფენ VIII კლასს. მაგალითად, ძირი *kr* იუღლება შემდეგნაირად:

Imperfectum Act.

მხ. 1. *ákaravam*

2. *ákaros*

3. *ákarot*

ორ. 1. *ákuva* და ა.შ.

Imperfectum Med.

ákurvi

ákuruthās

ákuruta

ákurvahi და ა.შ.

IX კლასის ზმნების სუსტი ფუძე შედგება: სუსტი ძირი + -*nī*, ძლიერი - სუსტი ძირი + -*nā*. მაგალითად, *krī* 'ყიდვა': ძლიერი ფუძე *kri-nā*, სუსტი ფუძე *krī-nī*. ხმოვნით დაწყებული პირის დაბოლოებათა ნიშნები იკარგება.

Imperfectum Act.

მხ.
1. *ákrīṇām*

2. *ákrīṇās*

3. *ákrīṇāt*

ორ.
ákrīṇīva

ákrīṇītam

ákrīṇīām

მრ.
ákrīṇīma

ákrīṇīta

ákrīṇan

Imperfectum Med.

მხ.
1. *ákrīṇi*

2. *ákrīṇīthās*

3. *ákrīṇīta*

ორ.
ákrīṇīvahi

ákrīṇīthām

ákrīṇīām

მრ.
ákrīṇīmahi

ákrīṇīdhvam

ákrīṇata

ამავე კლასის *ṁ*-ზე დაბოლოებულ ძირებში ეს ხმოვანი მოკლდება -*nā* და *nī* სუფიქსის ნინა პოზიციაში: *pṁ*-განმენდა, სუსტ. ფუძე-*punī*- ძლიერი ფუძე-*punā*.

ფუძეთა წარმოება ცხვირისმიერი ინფიქსის საშუალებით

VII კლასის ზმნებში, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ თანხმოვანზე ბოლოვდება, სუსტი ფუძე შემდეგნაირია: სუსტ ძირში ჩართული *n*, ძლიერი - სუსტ ძირში ჩართული *nā* მარცვალი უკანასკნელი თანხმოვნის წინ.

ყუჲ შეერთება: სუსტი ფუძე ყაბჲ, ძლიერი ყა-იბ-ქ:
Imperfectum Act.

მბ.	ორ.	მრ.
1. áyub̄ajam	áyub̄jva	áyub̄jma
2. áyub̄as	áyub̄ktam	áyub̄kta
3. áyub̄at	áyub̄ktām	áyub̄jan

Imperfectum Med.

მბ.	ორ.	მრ.
1. áyub̄ji	áyub̄jvahi	áyub̄jmahi
2. áyub̄kthās	áyub̄jāthām	áyub̄jdhvam
3. áyub̄kta	áyub̄jātām	áyub̄jata

სანსკრიტში იმპერფექტი გამოხატავს წარსულ დროს და გამოიყენება წარსულში შესრულებული (ან არსებული) მოქმედების გამოსახატავად, „ისტორიულ მონათხრობში“ (იხ. ბიულერი 1960, 17-20).

ნიშანდობლივია, რომ მოყვანილ ლიტერატურაში არ ზუსტდება, ასპექტი სრულია თუ უსრული. სათარგმნ სავარჯიშოებში კი ნიმუშები ორივე ასპექტს განეკუთვნება, ანუ შეიძლება აქვე დავასკვნათ, რომ სანსკრიტის იმპერფექტი, სწორედ რომ, დასრულებულსაც შეესაბამება და დაუსრულებელსაც, განგრძობითს; სანსკრიტის იმპერფექტი ზოგადად გამოხატავს მოქმედებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში (იხ. შდრ. ბიულერი, 17-19). აქედან გამომდინარე, ქართულში მისი ეკვივალენტია ნამყო წყვეტილიც, ნამყო უწყვეტილიც და, შესაძლოა, აღწერილი პერფექტიც (ქართულ აღწერით პერფექტივზე იხ.: სახოკია 1985, 1998, 2002).

სანსკრიტის Imperfectum-ის ეს დახასიათება მისი ქართული შესატყვისების ჩათვლით ღირებულია, აგრეთვე, ძველი სპარსულის ფაქტების შეფასებისთვისაც, რაც ჩვენს სადისერტაციო ნაშრომშია ასახული (იხ. რევია 2006, I თავი).

ამდენად:

1. სანსკრიტის იმპერფექტი გამოხატავს წარსულში შესრულებულ, დასრულებულ მოქმედებას და ქართულში შეიძლება ითარგმნოს ნამყო წყვეტილით ან აღწერილი პერფექტით.

მაგ.: parthivasyājñām śatrū atyakrametām 'მეფის ბრძანება ორმა მტერმა დაარღვია' (aty+akrametām – იმპერფ., ორ. რ., III პ.):
vānaprasthah śayyārtham bhūmim narapatrarhari naḥaṣṣmalhḥḥ

ბერძნული 'ასკეტმა დასანოლად მინა ახალი ფოთლებითა და ანტილოპის ტყავებით მოჰფინა' (astinot – იმპერფ. აქტ., III პ., მხ. რ.).

2. იმპერფექტი დაუსრულებელ მოქმედებასაც აღნიშნავს, რომელსაც უმათვრესად ქართული ნამყო უწყვეტლის ფორმა შეესატყვისება.

მაგ.: nгарasya rutyāsu gajāv abhramyatām 'ქალაქის ქუჩებში ორი სპილო დაეხეტებოდა' (abhramyatām – იმპერფ., ორ. რ., III პ.); kavayah sabhāyām kāvyānyapathan 'პოეტები კრებულს პოემებს უკითხავდნენ' (anyapathan – იმპერფ. აქტ., მრ. რ., III პ.).

3. გამოხატავს მოქმედებას, რომელიც საერთოდ ხდება.

მაგ.: nṛpatīṛṣinā pāpāṅpraty asidhyata 'მეფე წინასწარმეტყველის მიერ ცოდვისაგან შეიკავება' (asidhyata – იმპერფ. მედ., მხ.რ., III პ.).

შევიშნავთ, რომ მასალა ამოკრებილია გ. ბიულერის სახელმძღვანელოს სხვადასხვა პარაგრაფიდან (იხ. ბიულერი 1960).

ამავე სახელმძღვანელოში XI პარაგრაფისათვის შეკვეთილი რუსული ტექსტებიდან, რომლებიც სანსკრიტზე საგანგებოდ იმპერფექტის ფორმებით უნდა ითარგმნოს, შევადართოთ სრული და უსრული ასპექტის შემცველი რუსული ზმნური ფორმების ნიმუშები: просили, были, находились, пели, принесли, ругали, жали, чужаши, прославились (იხ. ბიულერი 1960, 18-21). მანამდე სახელმძღვანელოში ოდენ ანმყო დროა ახსნილი და, მასში გატარებული პრინციპის შესაბამისად, XI პარაგრაფში მოცემული წარსულის ყველა დრო იმპერფექტის ფორმას უნდა განეკუთვნებოდეს.

კვლავაც ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ სანსკრიტის იმპერფექტის აღნიშნული ნიშნები მახასიათებლების სახით იჩენს თავს მისი ახლო ენობრივი ნათესავის – ძველი სპარსულის ნამყო დროების კომპარატივისტული და ტიპოლოგიური კვალიფიკაციისას.

II. Perfectum

სანსკრიტში Perfectum-ს საკუთარი პირის ნიშნები აქვს (იხ. მილერი-კნაუერი, 74):

Parasmāipadam			Ātmanepadam		
მხ.	ორ.	მრ.	მხ.	ორ.	მრ.
1. -a	-vā	-mā	-é	-vāhe	-māhe
2. -tha	-āthur	-ā	-ṣé	-āthe	-dhvé
3. -a	-ātur	-úr	-é	-āte	-re

პერფექტში უღლების დროს გამოიყოფა სუსტი, საშუალი და ძლიერი ფუძეები:

1. სუსტი ფუძე=გაორკეცებული სუსტი ძირი
2. საშუალი ფუძე=გაორკეცებული საშუალი ძირი
3. ძლიერი ფუძე=გაორკეცებული ძლიერი ძირი

აღნიშნულ დროში მხ. რიცხვის I პირის აქტივის ფორმებს აქვს საშუალი ან ძლიერი ფუძე, მხ. რიცხვის II პირის აქტივის ფორმებს – საშუალი, ხოლო მხ. რიცხვის III პირის აქტივის ფორმებს – ძლიერი ფუძე (იხ. მილერი-კნაუერი, 75). ყველა დანარჩენი ფორმა ინარმოება ზმნის სუსტი ფუძის დახმარებით. თანხმონით დაწყებულ ძირებზე მოქმედებს გაორმაგების იგივე კანონები, რომელთა საშუალებითაც ორმაგდება Perfectum-ის II ტიპის უღლების III კლასის ზმნები იმ განსხვავებით, რომ ძირეული a. ā და ǃ გაორმაგებულ მარცვალში წარმოდგენილია არა i-ს, არამედ –a-ს შემდეგ. მაგ.: pǃ `ავსება', Perfectum-ის ფუძე papǃ- (გაორმაგების ძირითადი კანონები და თავისებურებანი დანვრილებით იხ. რევია 2006, თავი I).

nī 'ნაყვანა' ზმნის უღლება Perfectum-ში:

Parasmāipadam

მხ.	ორ.	მრ.
nināya (-āya)	ninyivá	ninyimá
ninétha (nináy-i-tha)	ninyáthur	ninyá
nināya	ninyátur	ninyúr

Ātmanepadam

მხ.	ორ.	მრ.
ninyé	ninyiváhe	ninyimáhe
ninyšc	ninyáthe	ninyidhvé
ninyé	ninyáte	ninyiré

stu `qeba`.

Parasmāipadam

მხ.	ორ.	მრ.
tušívā (āva)	tušívá	tušimá
tušótha	tušíváthur	tušívá
tušívā	tušívátur	tušívúr

Ātmanepadam

მხ.	ორ.	მრ.
საქაჲს	საქაჲსაჲც	საქაჲსაჲც
საქაჲს	საქაჲსაჲცე	საქაჲსაჲცე
საქაჲს	საქაჲსაჲცი	საქაჲსაჲცი

აღწერიითი (პერიფრასტული) პერფექტი (Perfectum Periphrasticum)

აღწერიითი პერფექტი გრძელი ხმოვნით დანწყებულ ძირებს ეწარმოება, რომელთაც დაერთვის დაბოლოება -ამი და ეს ფორმა ახლავს ზმნების: აჰ 'ყოფნა'. კჲ 'კეთება' და ხიმ (ძალზე იშვიათად) 'გახდომა' პერფექტის ფორმებს; ამასთან ერთად, მედიუმში გამოიყენება მხოლოდ კჲ ძირის Perfectum-ი (იხ. მილერი-კნაუერი, 81-82). მაგალითად: ikḥ 'შეხედვა'. აღწ. პერფ. III პ., მხ. რ. ikḥā m āsa. ikḥā m cakrē an ikḥā m babhūva; ās 'ჯდომა' - āsā m cakrē. Perfectum-ის ასეთ წარმოებას არ ემორჩილება ძირი āp 'მიღწევა' და ყველა სხვა ძირი, რომლებიც იწყება a+ თანხმოვანთა ჯგუფით.

აღწერიითი პერფექტი გვხვდება ზოგიერთ ზმნასთან, რომლებიც პერფექტს გაორკეცებით აწარმოებს (იხ. მილერი-კნაუერი, 82). მაგ.. ხი 'შეშინება'. ხიჲ 'ტარება'. ხუ 'განირვა', ხრი 'სირცხვილის ქონა', vid 'ცოდნა'.

კლასიკურ სანსკრიტში Perfectum-ს ჰქონდა იგივე მნიშვნელობა, რაც Imperfectum-ს და გამოიყენებოდა უფრო იშვიათად (იხ. ბიულერი, 97). მაგ.: dvijatibhghahḥ kṣatriyā jahrire vasu (har-) 'კეთილშობილებს მეომრებმა მოსტაცეს ქონება'. bhimasya duhīlā damayanti nalani varayamāsa patitve (pat) 'ბჰიმას ასულმა დამაიანტიმ არჩევანი ნალას შეახვედრა': sa tu bhimeanujnato jagama (gam) svamnayarani tatra ca reme(ram-) saha patnyā 'იგი ბჰიმას ბრძანებით წავიდა თავის ქალაქში და იხარებდა (გაიხარა) ცოლთან ერთად'.

როგორც ვხედავთ, პერფექტი და იმპერფექტი თანაბრად არ განარჩევენ ასპექტს: სრულსა და უსრულს (იხ. ზემოთ იმპერფექტი).

კლასიკური სანსკრიტის პერფექტ//იმპერფექტის ამგვარი ასპექტუალური და სხვა სახის სემანტიკური განურჩევლობა (მაგ., შედეგობრიობა, რეზულტატიურობა პერფექტისთვის და სხვ. მისთ.) სიმპტომატურია ძველი ინდოევროპული ენებისათვის, პირველ რიგში, ძველი სპარსულის მონაცემების კომპარატივისტული შეფასებისა და ტიპოლოგიური კვალიფიკაციისთვისაც (იხ. რევია 2006, თავი).

III. Aoristum

სანსკრიტში სამი სახის აორისტია: უბრალო, გაორკეცებული და სიგმატური.

უბრალო აორისტის ფუძე ემთხვევა ზმნის სუსტ ძირს, რომელსაც ერთვის პირის ნიშნები თემატური a ხმოვნის საშუალებით. მაგრამ a ხმოვანზე დამთავრებული ძირები და ძირი ხიჲ 'გახდომა' პირის ნიშნებს დაირთავს თემატური a-ს გარეშე. ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი უბრალო აორისტის ორ სახეობას გამოყოფს: I. ძირები, რომელთაც პირდაპირ დაერთვის პირის ნიშნები, და II. ძირები, რომლებიც პირის მარკერებს თემატური a ხმოვნის დახმარებით მიიერთებენ.

გაორკეცებული აორისტის ფუძეს პირის მარკერები დაერთვის – a ხმოვნის მეშვეობით. გაორკეცებულ მარცვალში ძირეულ მოკლე ხმოვანს შეესატყვისება გრძელი ხმოვანი და, პირიქით (თუმცა იშვიათად), ძირეულ გრძელ ხმოვანს – მოკლე (იხ. მილერი-კნაუერი, 83). პირველ შემთხვევაში, გაორკეცებისას ძირეულ a და [ხმოვანს შეესატყვისება Ἰ. მეორე შემთხვევაში კი, ძირეული გრძელი მარცვლის დროს, თანხმოვანთა ჯგუფის წინ, ძირეული a და Ἰ ორკეცდება a ხმოვნის საშუალებით.

jan 'დაბადება' ზმნის უღლება გაორკეცებულ აორისტში:

Parasmāipadam

მხ.	ორ.	მრ.
1. ájījanam	ájījanava	ájījanama
2. ájījanas	ájījanatam	ájījanata
3. ájījanat	ájījanatām	ájījanan

სიგმატური აორისტი ოთხგვარად ინარმოება:

პირველი სახის წარმოება (სუსტი ძირი + sa) გამოიყენება მხოლოდ წ. ზ. ხ თანხმოვნებზე დაბოლოებულ ძირებთან, რომელთა თავკიდური ზგერა i, u, e ხმოვნებია. მაგ., diç 'ჩვენება':

	მხ.	ორ.	მრ.
Act.	1. ádikṣam	ádikṣāva	ádikṣāma
	3. ádikṣat	ádikṣatām	ádikṣan
Med.	1. ádikṣi	ádikṣāvahi	ádikṣāmaḥ
	3. ádikṣata	ádikṣātām	ádikṣanta

მეორე სახით წარმოებისას (საშუალი ან ძლიერი ძირი + s):

ა) i და u-ზე დასრულებულს Activum-ში აქვს ძლიერი სახე, ხოლო Medium-ში – საშუალი;

ბ) r-ზე დაბოლოებული Activum-ში ძლიერი სახისაა, ხოლო Medium-ში – სუსტი;

გ) ძირები, რომელთაც ძირშივე აქვს a. i. u ხმოვნები, აქტივში იყენებს ფუძის ძლიერ სახეობას, ხოლო მედიუმში – სუსტს (იხ. მილერი-კნაუერი, 84).

მხ. რიცხვის მესამე პირის ნიშნებია: ur. āta. ხოლო მხ. რიცხვის მეორე და მესამე პირში s და t თანხმოვანთა წინ ჩნდება i ხმოვანი, ვფიქრობთ, გამყარის ფუნქციით. მაგ., kr 'კეთება':

Parasmāipadam

მხ.	ორ.	მრ.
1. ākārṣam	ākārṣva	ākārṣma
2. ākārṣis	ākārṣyam	ākārṣja
3. ākārṣit	ākārṣām	ākārṣur

Ātmanepadam

მხ.	ორ.	მრ.
1. ākr̥ṣi	ākṛṣvahi	ākṛṣmahi
2. ākr̥ṣiḥs*	ākṛṣāḥiḥm	ākṛṣivam
3. ākr̥ṣta	ākṛṣāim	ākṛṣata

*ინდოელი გრამატიკოსების მიხედვით, მოკლე ხმოვნებისა და i და t-ს ბგერების წინ s იკარგება, მაგრამ ნათელია, რომ მედიუმის მხ. რიცხვის მეორე და მესამე პირი იყენებს ძირეული აორისტის ფორმებს.

მესამე სახის წარმოების დროს (საშუალი ან ძლიერი ძირი + iḥ):

ა) ძირებს, ძირეული i, u. r ხმოვნებით, აქვს საშუალი სახე.

ბ) i, u. r ხმოვნებზე დამთავრებული აქტივში ძლიერი სახისაა, მედიუმში – საშუალი.

გ) ძირები, ძირეული a ხმოვნით, ზოგჯერ აქტივის ფორმებში იგრძელებს ამ ხმოვანს, უფრო ხშირად კი იგი პირვანდელი სახით არის შენარჩუნებული როგორც აქტივის, ისე საშუალი გვარის ფორმებში.

მეოთხე სახის წარმოება: ძირი + tsiḥ (მხოლოდ აქტივის ფორმებში).

ამ სახის წარმოებას იყენებს უმეტესი \bar{a} ხმოვანსა და ზოგიერთი -am მარცვალზე დაბოლოებული ძირი. მაგ.: yā 'ნასვლა', nam 'ჩათვლა':

Parasmāipadam

მხ.	ორ.	მრ.
1. āyāsiṣam	āyāsiṣva	āyāsiṣma
2. āyāsiṣ	āyāsiṣam	āyāsiṣṭa
3. āyāsiṣi	āyāsiṣāṃ	āyāsiṣur

Ātmanepadam

მხ.	ორ.	მრ.
1. ānamsiṣam	ānamsiṣva	ānamsiṣma
2. ānamsiṣ	ānamsiṣam	ānamsiṣṭa
3. ānamsiṣi	ānamsiṣam	ānamsiṣur

აორისტის ნატვრით კილოს (Optativus), რომელიც ინარმოება უშუალოდ ძირისაგან, Precativus-ს უწოდებენ (იხ. მილერი-ენა-უერი, 87). მის ნიშნად მიჩნეულია -s, რომელიც ოპტატივის მანარ-მოებელსა და პირის მარკერთა შორის ჩაისმის. Precativus-ი იშვიათად გვხვდება (წარმოებისა და თავისებურებების შესახებ იხ. რევი, 2006, თავი I).

აორისტი კლასიკურ სანსკრიტში გამოხატავდა წარსულ დროს და ჰქონდა იგივე მნიშვნელობა, რაც პერფექტსა და იმპერფექტს (იხ. ბიულერი, 102-108):

kva gatābhūt suteyam tavetyuvāca nṛpa naradaḥ (bhū, vac)

'სად წავიდა ეს შენი მეეტლეო', – უთხრა მეფეს წარადამ'.

mā gurorvacana pratihāsiḥ (ha+prati)

'მასწავლებლის სიტყვას ნუ უგულვებლყოფ (უგულვებლყოფი)!'.

სახეზეა ძველი სპარსულის ანალოგიური წინარემდგომარეობა: ფლექსიურ ნამყო დროთა (პერფექტი-იმპერფექტი-აორისტი) ერთ-გვარი სემანტიკური უნიფიკაცია. სანსკრიტის ვითარება ჩვენთვის საინტერესო ირანულ ენებსაც ჰყენს ნათელს და გვეხმარება უკანასკნელთა ნამყო დროების დაზუსტებულ ტიპოლოგიურ კოდიფიკაციაში.

ნამყო დროებთან სემანტიკურ კავშირშია აბსოლუტივების ან გერუნდივის ფორმებიც, როგორცაა მოყვანილ ნიმუშებში ერთ-ერთი ფორმა: *ṣru-ivā* 'მოისმინა რა, მას მერე რაც მოისმინა, მოსმენის მერე, როცა მოისმინა, რომ მოისმინა, მოისმინა და...' და

ა.შ. ის ინარმოება –tvā ან –ya სუფიქსით, შინაარსობრივად შეესაბამება რუსულ причастие-ს, ახალ სპარსულ ანმეოს ერთ-ერთ მიმღობას და უმეტესად ქართულად ითარგმნება „რა“, ძვ. ქართ. „რაა“ ნანილაკის მეშვეობით ან ფორმებით: -ისას, -ით და მისთ. (მაგ., დანახვისას, სირბილით, მოსმენისას და ა. შ.) (იხ. ბიულერი, 1960, 56-59; შდრ. კოჩერგინა 1956, 2003 და სხვ.).

ჩვენი აზრით, აბსოლუტივი, თუ იგი წარსულ დროს გამოხატავს, ნანილობრივ მაინც უნდა მივაკუთვნოთ წამყო დროთა ფუნქციურ-სემანტიკურ მორფოსინტაქსურ ველს. ამ მოსაზრების საუკეთესო დასტური ისიცაა, რომ ინგლისურენოვან სახელმძღვანელოში –tvā-ya ფორმებსაც წამყო დროის მიმღობა ჰქვია, ოღონდ – უბრუნველი: Indeclinable Past participle ending in –tvā. Indeclinable Past participle ending in –ya ინგლისურში მას -ing-იანი ფორმები შეესატყვისება (სან-30, 166-169). რაც შეეხება ბრუნვად, წამყო დროის -ta ვნებით მიმღობას, მასზე, როგორც პრედიკატულ ბირთვზე, საგანგებოდ სხვაგან ვსაუბრობთ (იხ. რევია 2006, I თავი). -ta მიმღობა მეორეულ, ახალ აღწერით პერფექტს აწარმოებს.

ახალი აღწერითი პერფექტები

საგანგებოდ შეეჩერდებით ჩვენი მასალითვის უმნიშვნელოვანეს მორფოსინტაქსემებზე – აღწერით პერფექტებზე, რომლებიც არც სტანდარტულ და ტრადიციულ სანსკრიტულ გრამატიკებსა და სახელმძღვანელოებში აღინერება და არც ინდურ, ევროპულ თუ რუსულ სასწავლო ლიტერატურაში. სამაგიეროდ მას ეძღვნება მდიდარი სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა (იხ. კარდონა 1970; კლაიმანი 1973; პირეიკო 1968; პრაი 1976; პროკოფიევა 1983; რენუ 1956; შმალსტიგი 1980, 1991; ლაზარი 1978; იუდაკინი 1984; ბლოკი 1953; ბაროუ 1954; უიტნი, 1955; ელიზარენკოვა 1982; ჰუკი 1976; ჰოკი 1982; ლიპეროვსკი, 1987; ალექსიძე-ასათიანი 2005; სახოკია 1985, 1998, 2005; რევია 1981 და სხვ.).

ვედებშიც და კლასიკურ სანსკრიტშიც გამოიყენებოდა წამყო დროის ვნებითი გვარის მიმღობა პრედიკატულ ბირთვად აგენსურ (ერგატიულ) სუბიექტთან კოორდინაციაში. ამ ირიბი აგენსური სუბიექტის ბრუნვა იყო გენეტივი – უფრო იშვიათ ბრუნვად, მაგრამ უფრო ადრინდელად რომ ითვლება – ან ინსტრუმენტალისი, რომელსაც უფრო გვიანდელად მიიჩნევენ (იხ. პირეიკო 1979, შდრ.: დელბრუკი 1888, 1897). საქმე ისაა, რომ აქ აშკარად ვაწყდებით

პოსესიურობისა და პასივობის ურთიერთგადაკვეთისა და ურთიერთალრევის მორფოსინტაქსურ ფენომენს (იხ. სახოკია 1985, 129-140). მთლიანობაში გასარჩევია გარდამავლობის, პოსესიურობის, პასივობისა და ერგატიულობის ურთიერთმიმართების რთული პრობლემატიკა. პასივისა და პოსესივის ფორმალური ნანილობრივი დამთხვევის მაჩვენებელი ზედაპირული სტრუქტურები ერთი სიღრმისეული სემანტიკითაა შეკრული და ერგატივის ვარიანტებად ვლინდება: მიმღებური პრედიკატული ბირთვი **P-PartPastPass-in SGenAgens-საც** (პოსესივი) შეიწყობს და **SInstrAgens-საც** (პასივი). პოსესიური ერგატივი **SG** გენერალიზებულია ინდოევროპულში.

ეს სულ სხვაგვარი მოვლენაა, ვიდრე ზემოთ განხილული ტრადიციული პერიფრასტიკული პერფექტი. ამ ინდოევროპული პოსესიური გარდამავალი პერფექტის პრობლემას ეძღვნება მ. სახოკიას ტიპოლოგიური ხასიათის მონოგრაფია, სადოქტორო დისერტაცია და მრავალი სტატია; იქვე მოცემულია ფართო სამეცნიერო პროფილის მრავალრიცხოვანი ბიბლიოგრაფიაც. ამიტომ ჩვენ აქ დანერჩილებით ამ უმნიშვნელოვანეს თემას, ცხადია, არ განვიხილავთ. მხოლოდ შევეცდებით მოკლედ წარმოვადგინოთ ძირითადი მორფოსინტაქსური ფაქტები. ლაპარაკია მიმღებურ ირიბსუბიექტურ (ანუ ერგატივიზებულ) აღწერით პერფექტულ მორფოსინტაქსემებზე, რომლებიც ინოვაციის სახით ჩნდება ძველ ინდოევროპულ ენებში: ლათინურში, ინდოირანულში (კერძოდ, ძველ და შემდგომ საშუალ სპარსულში), სლავურში, ბალტურში. ეს კონსტრუქციები დასაბამს აძლევენ მრავალი სხვადასხვა თანამედროვე ცოცხალი ინდურ-ირანული ენის ერგატიულ კონსტრუქციებს. ეს საწყისი მორფოსინტაქსემა კარგადაა წარმოდგენილი სანსკრიტშიც და ვედურშიც. მისი ზოგადი საერთო მოდელია: **S Instr (an Gen)+P-PartPastPass+O nom.**

პირიელი (ფინიტიური) ზმნის ეკვივალენტური ნამყო დროის მიმღებობის მეშვეობით წარსულში შესრულებული მოქმედების გამოხატვა ვედებსა და სანსკრიტში, ჩვენი ღრმა რწმენით, უნდა მივიჩნიოთ ნამყო დროთა პარადიგმის ახალი წარმოების ერთ-ერთ ფორმად და უნდა ჩავრთოთ იგი უღლების სისტემაში. მაგ.: *sa maya drstah; yamena dadatah* 'იგი-ჩემით=ჩემ მიერ, ჩემგან (ინსტრ.) დანახული [ა-არის; იამას მიერ აღებული]ა'='მე ის დავინახე, დანახული მაქვს, ჩემი დანახულია, ჩემი ნანახია; იამამ აიღო,

იამას ალებულია, იამას ალებული აქვს' (იხ. რენუ 1925, 80; ბაროუ 1954, 369).

ამავდროულად ინდოევროპეისტიკასა და ტიპოლოგიაში ცნობილია, რომ ამგვარი პოსესიური, ზოგჯერ კი პასიური, ერგატივიზებული მორფოსინტაქსემები, რომელთა პრედიკატული ბირთვი ეყრდნობა პრინციპს სახელი=ზმნას, დამოუკიდებლად და ციკლურად ნარმოიშობა სხვადასხვა ენაში სხვადასხვა დიაქრონიულ დონეზე. მათს რეკონსტრუქციას მთელი რიგი მემკვიდრე ენების მონაცემების საფუძველზე ინდოევროპეისტიები პროტოინდოევროპულის შედარებით მოგვიანო ეტაპისთვისაც ახდენენ მოდელით: *S gen Erg Ag+noun-verb+O abs>S gen (instr)+PartPastPass+O nom (იხ.: შმალსტიგი 1989, 1991; შდრ. მასლოვი 1984; შმიდტი 1962, 1972, 1979, 1982; შტემპელი 1983, 1987; ვაიტენბერგი 1986; მელიქიშვილი 1991; სახოკია 1985, 1998, 2005). მოგვიანო *პიე-ად ითვლება გამყრელიძე-ივანოვის *პიე-ეტაპის შემდგომი ეტაპები (იხ. გამყრელიძე-ივანოვი 1984//1995, სტეპანოვი 1985, 1989; მარტინე 1986, სახოკია 1998).

ეს ახალი აღწერითი ირიბსუბიექტური (ერგატიული) პერფექტია, რომლის შემდგომი განვითარება ირანულ ენებში, კერძოდ, ძველ სპარსულში, ადასტურებს იმ დებულებას, რომელსაც ვეცნობით მ. სახოკიას შრომებში. მართებულად მივიჩნევთ რა მ. სახოკიას თეორიას ინდოევროპული აღწერითი ერგატიული პერფექტების შესახებ, ძველინდურ და სანსკრიტულ მიმღებობურ პერფექტებსაც ვაკუთვნებთ ამ ბლოკს და, რაც მთავარია, შეგვყავს ისინი ნამყო დროების უღლების პარადიგმებში.

ამრიგად, ჩვენ შეძლებისდაგვარად მოვახდინეთ სანსკრიტის ნამყო დროების სისტემის ილუსტრირება, რადგან ეს მნიშვნელოვანია ირანული ენების ფაქტების კვალიფიკაციისთვის. სანსკრიტში ვხედავთ ძირითადად სინთეტიკური ფორმების ძლიერ შინაგან ფლექსიას ე. წ. სანდჰი-ს (sanddhi) ფონეტიკურ წესებზე დაყრდნობით. მიუხედავად იმისა, რომ სანსკრიტი ხელოვნურად დაკონსერვებულ ენად ითვლება (sanskṛta- 'შექმნილი, შეთავსებული'), იგი უთუოდ საერთო-ინდოევროპული უზუსის მატარებელია. მისი ვითარება, უეჭველია, ჩვენი განსახილველი ენის – სპარსულის ჭრილის წინა პერიოდის პროტოტიპულ მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ. სწორედ ამ შედარებისას გამოვლინდება ძველი ფონოლოგიური სახეცვლილებების შესუსტება განახლებული ანალიზურობის ფონზე. სანსკრიტის მაგალითზე შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ნამყო დროების პარადიგმის იმ ნიშნებსა და მახასიათებლებს,

რასაც ენათმეცნიერების ერთ-ერთი უახლესი დარგი - მორფო-
ნოლოგია შეისწავლის (იხ. კასევიჩი 1986). ხოლო უკვე ძველი
სპარსულის დონეზე ნამყო დროთა ანალიზის თვალსაზრისით
მორფონოლოგიის ადგილს მორფოსინტაქსი იკავებს, იზრდება ანა-
ლიზურ ფორმათა ხვედრითი წონა და ძლიერდება მორფო-
სინტაქსემა ფლექსიური ფორმების საპირისპიროდ. უკანასკნელნი
კარგავენ დიფერენციულ ნიშნებს, რაც კარგადაა წარმოდგენილი
სანსკრიტში.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა სანსკრიტის გვარზე. სანსკრიტში
ვნებითი გვარიცაა, რომელიც ინარმოება სპეციალური მანარ-
მოებლის ზმნის ძირზე დართვით. ეს სინთეტიკური პასივია (kar-
mani prayoga), რომელსაც უღლებისას საშუალი გვარის (Ātmanepada)
პირის ნიშნები მოუდის. ასეთ პრედიკატს კი მოქმედ სუბიექ-
ტად (აგენსად) ნორმატიულად შეენყობა სახელი ინსტრუმენტა-
ლისში (იხ. ბიულერი 1960, 16-17, სან-30, 158-160 და სხვ.), ანუ მოქ-
მედებით ბრუნვაში (იხ. ბიულერი, 16-17, პარ. X; სან-30, 158-161).
უკანასკნელს შეესაბამება ახალქართული აგენსური თანდებულები:
-ის მიერ, -ისგან, ან თავად მოქმ. ბრუნვა (-ით), ხოლო პრედიკატს -
ვნებითი გვარის ფორმა. მაგ.: mayā pāḥam pāḥiyate 'ჩემ მიერ
გაკვეთილი იკითხება=მე ვკითხულობ ნიგნს' (სან-30, 158). სიღრ-
მისეული სემანტიკური სტრუქტურის დონეზე აქტივი და პასივი ამ
შემთხვევაში თანაბარია და ერთი სიღრმის ორ ზედაპირულ ვა-
რიანტს (ორ ზედაპირულ სტრუქტურას) გვიჩვენებს. ცხადია, ეს
ნამყო დროის პრედიკატებსაც შეეხება. მთავარი კი ისაა, რომ ზე-
მთ განხილული ახალი (მეორეული) მიმლეობური აღწერითი პერ-
ფექტიც, იმის გამო, რომ მის პრედიკატულ ბირთვის ნამყოს ვნებითი
მიმლეობა წარმოადგენს, ხშირად განიხილება, ნანილობრივ მაინც,
ვნებით გვართან (პასივთან) კავშირში.

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ამ პერფექტის ერგატიული აგენსი
ორ ბრუნვაში შეიძლება იდგეს: გენიტივში ან ინსტრუმენტალისში.
უკანასკნელი სანსკრიტისთვის ნორმად ითვლება, მაშინ როდესაც
ძველი სპარსულისთვის ანალოგიურ პერფექტულ მორფოსინ-
ტაქსემაში გენიტივია ნორმა. ამასთან, გენიტივი უფრო ადრინდელ
ინდოევროპულ ერგატიულ აგენსად ითვლება. სამაგიეროდ სან-
სკრიტის ინსტრუმენტალისიანი პერფექტებისგან თანამედროვე ინ-
დური ენების ერგატიული კონსტრუქციები მივიღეთ, სადაც აგენსი,
სწორედ რომ, ძველი ინსტრუმენტალისიდან მომდინარე სპე-
ციალურ სუფიქსს დაირთავს. ამიტომაც ჟ. კარდონა ინდურ-ირა-
ნულ კონსტრუქციას mayā/mamā kartam(h)-ს 'ჩემი/ჩემ მიერ/ჩემ-

გან გაკეთებულია=მე გავაკეთე' პასიურს უნოდებდა და არა გენიტორს. პოსესიურ კონსტრუქციას კი, როგორც ცნობილია, ე. ბენვენისტის შემდეგ, აქტიურად დაუჭირა მხარი მ. სახოკიამ (იხ.: სახოკია 1985, 1998, 2005; შდრ.: კარდონა 1970; დელბრუკი 1888, 1897; ბენვენისტი 1952, 1974; ლაზარი 1978, 1984; ელიზარენკოვა 1982; ბლოკი 1934, 1953; ჰუკი 1976, 1986 და სხვ.). მაგრამ ყველა შემთხვევაში ფაქტი ის არის, რომ ინსტრუმენტალისტი+მიმღებობა ფორმალურად მართლაც ენებით გვარს უკავშირდება. ამავდროულად, სანსკრიტის მორფოსინტაქსემა S Agens Instr+Past Partic.+O nom შინაარსით აქტიურია და ერგატივიზებული პერფექტების რიგს განეკუთვნება: ramena dṛṣṭāh// ramāsyā dṛṣṭāh. ramena uktah//ramāsyā uktah 'რამამ დაინახა: რამას მიერ დანახული[იქნა]//რამას დანახული[ა], რამამ უნოდა: რამას მიერ ნოდებულ[იქნა]//რამას ნოდებულ[ა](რამა: ინსტრ./გენ.-მიმღ. ვნ. გვ.-[ობ. ნომ.]' (იხ. სახოკია 2005, 199).

აღნიშნული სანსკრიტულ მორფოსინტაქსემების ძველ სპარსულ ეკვივალენტს ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში განვიხილავთ (იხ. რევია 2006, I თავი). აქ მხოლოდ დავსძენთ, რომ ვეთანხმებით მ. სახოკიას, რომელიც სამართლიანად მიიჩნევს ახალ აღწერით პერფექტებს უღლების პარადიგმების კუთვნილებად. ამის საფუძველზე დავადასტურებდით: სანსკრიტის ახალი (მეორეული) აღწერითი ერგატიული მიმღებობური ირიბსუბიექტური პერფექტები ჩვენ მიერ განხილული ნამყო დროების სისტემას უნდა მივაკუთვნოთ. ამ სისტემაში ძირითადად ძველი ფლექსიური ფორმებია წარმოდგენილი, მაგრამ ამავდროულად, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ტრადიციული აღწერითი პერფექტი მასში ისედაც შედის (იხ. მილერი-ჯაუერი, 81).

ამდენად, სანსკრიტის ნამყო დროები, პირველ რიგში, ძველ ფლექსიურ (სინთეტურ) სისტემას ქმნიან. ამ სისტემაში წარმოდგენილია ერთი ტრადიციული აღწერითი პერფექტიც. ჩვენი აზრით, ამ უკანასკნელს უნდა დაემატოს სწორედ ის ახალი მიმღებობური ერგატივიზებული პერფექტული მორფოსინტაქსემაც, რომელიც სათავეს უდებს თანამედროვე ინდური ენების ერგატიულ კონსტრუქციებს. ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში განხილული ირანული მასალა კი ამყარებს ამ კომპარატივისტულ და ზოგადტიპოლოგიურ მოსაზრებას, რადგან ნათლად ავლენს მიმღებობური ერგატიული პერფექტული რიგების როლსა და ადგილს ირანული ენების და, კერძოდ, სპარსული ენის ნამყო დროების პარადიგმების მორფოსინტაქსურ დინამიკაში.

ლიტერატურა

1. ალექსიძე-ასათიანი 2005 – ალექსიძე ე., ასათიანი მ., ჰინდი ენა, თბილისი, 2005.
2. ბაროუ 1954 – Burrow T., The Sanskrit Language, London, 1955.
3. ბენვენისტი 1952 – Benveniste E., La construction passive du parfait transitif, BSL, t. 48, 1-2, 1952.
4. ბენვენისტი 1974 – Бенвенист Э., Пассивное оформление перфекта переходного глагола, Общая лингвистика, М., 1974.
5. ბიულერი 1960 – Биулер Г., Руководство к элементарному курсу санскритского языка, Львов, 1960.
6. ბლოკი 1934 – Bloch J., L'indo-aryen du veda aux temps modernes, Paris, 1934.
7. ბლოკი 1953 – Bloch J., Application de la cartigraphie a l'histoire de l'indo-aryen, Paris, 1953.
8. გამყრელიძე-ივანოვი 1984/1995 – Гамкрелидзе Т. В., Иванигов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы, т. 1-2, Тбилиси, 1984; Indo-European and Indo-Europeans, Mouton de Gr., 1995.
9. დელბრუკი 1888 – Delbruck B., Altindische Syntax, Halle, 1888.
10. დელბრუკი 1897 – Delbruck B., Vergleichende Syntax der indogermanischen Sprachen, H. II, Strassburg, 1897.
11. ელიზარენკოვა 1982 – Елизаренкова Т. Я., Грамматика ведийского языка, М., 1982.
12. ვაიტენბერგი 1986 – Weitenberg J. J. S., Infinitive and Participle in Armenian, Annual of Armenian Linguistics, v. 7, 1986.
13. იუდაკინი 1984 – Юдакин А. П., Развитие структуры предложения в связи с развитием структуры мысли, М., 1984.
14. კარდონა 1970 – Cardona G., The Indo-Iranian construction *mama (mama) kartam*, Language, v. 46, n 1, 1970.
15. კასევიჩი 1986 – Касевич В. Б., Морфология, Л., 1986.
16. კლაიმანი 1973 – Klaiman M. H., Bengali Dative Subjects, Lingua, t. 51, N4, 1973.
17. კნაუერი 1809 – Кнауер, Учебник санскритского языка, Лейпциг, 1809.
18. კოჩერგინა 1956 – Кочергина В. А., Начальный курс санскрита, М., 1956.
19. კოჩერგინა, 2003 – Кочергина В. А., Санскрит, М., 2003.
20. ლაზარი 1978 – Structures d'actance dans les langues irano-aryenne, Actes de Session linguistique de l'universite Sorbonne Nouvelle, 1978.
21. ლაზარი 1984 – Lazard G., Les modes de la virtualite en moyen-iranien occidental, Middle Iranian Studies, Leuven, 1984.
22. ლიპეროვსკი 1987 – Липеровский В. П., Возможности использования эргативной конструкции предложения в современном литературном хинди и в современном брджე, АПИЯЮА, М., 1987.

23. მარტინე 1986 – Martinet A., Des steppes aux océans: L'indo-européen et les indoeuropéens, P. Payot, 1986.
24. მასლოვი 1984 – Маслов Ю. С., Очерки по аспектологии, Л., 1984.
25. მილერი-კნაუერი 1891 – Миллер В., Кнауэр, Руководство к изучению санскрита, Санкт-Петербург, 1891.
26. მელიქიშვილი 1991 – Меликишвили И. Г., Перфект в картвельском и индоевропейском, Историческая лингвистика и типология, Посв. Т. В. Гамкрелидзе, М., 1991.
27. პირეიკო 1968 – Пирейко Л. А., Основные вопросы эргативности на материале индоиранских языков, М., 1968.
28. პრაი 1976 – Pray B., From passive to Ergative in Indo-Aryan. The notion of Subject in South Asian Languages. SAS Publ. Series., 1976.
29. პროკოფიევა 1983 – Прокофьева И. Т., Глагольные диатезы и категории залога в современном бенгальском языке. Автореф канд. дисс., М., 1983.
30. რევია 1981 – Ревия Т. С., Из истории образования и функций прошедших времен персидского глагола, Сборник докладов конференции молодых востоковедов, Тбилиси, 1981.
31. რევია 2006 – რევია თ., სპარსულის ნამყო დროების მორფოსინტაქსური დინამიკა (დიაქრონია და ტიპოლოგია), საკანდიდატო დისერტაცია და ავტორეფერატი, თბ., 2006.
32. რენუ 1925 – Renou L., La valeur du parfait dans les hymnes vedique, Paris, 1925.
33. რენუ 1956 – Renou L., L'Histoire de la langue sanskrite. Paris, 1956.
34. სა6-30 – Learn Sanskrit in 30 Days, Balaji Publications, Madras-14, 1972, 1974, 1976, 1978.
35. სახოკია 1985 – Сахокия М. М., Посесивность, переходность и эргативность. Тбилиси 1985.
36. სახოკია 1998 დის./ავტ. – მანია სახოკია, დიაქრონიული ტიპოლოგია მორფოსინტაქსში: ინდოევროპული/ ქართველური. სადოქტორო დისერტაცია და ავტორეფერატი, თბილისი, 1998.
37. სახოკია 2002 – Sakhokia M., New Analytical Perfects of Modern Georgian to Computational Descriptions, Proceedings IV Symp LLC, Amsterdam-Tbilisi, 2002.15 p.
38. სახოკია 2005 – სახოკია მ., ბალტურ-ქართველური მორფოლოგიური და მორფოსინტაქსური პარალელები, ტიპოლოგიური ძიებანი, V, თბილისი, 2005.
39. სტეპანოვი 1985 – Степанов Ю. С., Герундивы и имена действия в древнейшем строе индоевропейского предложения. ВЯ. №6, М., 1985.
40. სტეპანოვი 1989 – Степанов Ю. С., Индоевропейское предложение, М., 1989.
41. უიტნი 1955 – Whithney W., Sanskrit Grammar, Cambridge, 1955.
42. შმალსტიგი 1980 – Schmalstieg W. R., Indo-European Linguistics, A new Synthesis. Pennsylvania and London, 1980.
43. შმალსტიგი 1989 – The Genitive of Agent vs the Instrumental of Means: An Old Idea Worth Retaining. GL. v. 29, N4, 1989.

44. შმალსტიგი 1991 – Schmalstieg W. R., The syntax of the –TA Participle in Lithuanian and Old Indic, VI Intern. Congress of Baltistics, Abstracts, Vilnius, 1991.
45. შმიდტი 1962 – Schmidt K. H., Zum umschriebenen Perfekt in Indogermansischen Sprachen, IF, 67, 1962.
46. შმიდტი 1972 – Schmidt K. H., Zum Agens beim Passiv, IF, 68, 1972.
47. შმიდტი 1982 – Шмидт К. Х., Индоевропейские основы древнеармянского глагола, I Межд. симп. по армянскому языкознанию, Доклады, Ереван, 1982.
48. შტემპელი 1983 – Stempel R., Die Infiniten Verbalformen des Armenischen, Frankfurt am Main, Bern, New York, 1983.
49. შტემპელი 1987 – Штемпель У. Р., Основы индоевропейского происхождения па – ит в армянском языке, 2-й Межд. Симпозиум по армянскому языкознанию, Ереван, Тезисы, 1987.
50. ჰოკი 1982 – Hock H., Papers on Diachronic Syntax: Six Case Studies, Studies in the Linguistic Sciences, v. 12, N 2, Illinois, Urbana, IL, 1982.
51. ჰუკი 1976 – Hook P., The Conceptual Restructuring of the OIA Passive and NIA Ergative or How to Become an Ergative Language, Paper Read at the American Oriental Society Meetings, 1976.
52. ჰუკი 1986 – Hook P., Coexistent Analysis and Participant Roles in Indo-Aryan, Indian Linguistics, v. 46, N3-4, 1986.

TAMAZ REVIA

Verbal Conjugation of the Old Indian and Sanskrit in the Light of the Diachrony of the Persian Past Tenses

Summary

The present article covers in full the complex system of the Sanskrit flexion with all its morphological data. We have posed a thesis about the possibility of locating the absolutive (by the ending – tvā) used in the past tense meaning within the past tense body.

The new descriptonal perfects have been picked out as separate paragraphs, which have not yet been described nor in the traditional Sanskrit Grammar and Manuals, neither in the Indian, nor in European or Russian educational literature. However, the descriptonal perfects are the main topic of numerous scientific articles and literature.

According to M. Sakhokia's well-known theory on the descriptonal, Indo-European ergative perfects, we consider the Old Indian and Sanskrit

participial perfects a part of the Past Tense block. In our opinion, the most important for this study is that we locate them within the past tense conjugation paradigms.

The new participial ergativized perfect taxeme gives rise to the ergative constructions of the Modern Indian languages [The general model of the original Old Indian taxeme is: **S Instr** (or earlier - **Gen**) + **P –PartPastPass + O nom**].

The Iranian material given in our article supports the comparativist and typological view, as it clearly states the role of the participial ergative perfect ranks and their place in the Iranian Languages: namely, in the dynamics of the morphosyntactic paradigms of the past tense of the Persian Language.

მერაბ რობაქიძე

პიროვნების შინაგანების აღმნიშვნელი ცნებები ქართულ ენაში

ენის ყოველი ცალკეული ელემენტი თავს ავლენს, როგორც მთელის ნაწილი. ენა სისტემაა, მას შინაგანი კანონზომიერება აქვს; ერთი სიტყვის ნედრომაც კი ენაში არსებული ურთიერთკავშირების ნედრომას გულისხმობს. ჰუმბოლდტის ეს ფუძემდებლური თვალსაზრისი განსაზღვრავს ენის მეცნიერული კვლევის პრინციპებს.

ამა თუ იმ ენის სემანტიკური ველები გარკვეული ნიშნით ამთლიანებენ სიტყვათა განსაზღვრულ ჯგუფებს. პრინციპი მათი გამთლიანებისა შინაარსობრივია.

ჩვენი კვლევა-ძიების დროს ვეფუძნებით ენათმეცნიერებაში შემუშავებულ დებულებებს ენის შინაარსობრივი მხარის, როგორც ეროვნული ენობრივი გონის მიერ სამყაროს ორიგინალური ხედვის შემუშავებულ პრინციპებს, რაც საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ გარკვეული ნიშნით აღბეჭდილი სიტყვათველი.

ცნობილმა ლინგვისტმა გ. რამიშვილმა შეისწავლა სიტყვათა შინაარსობრივი პრობლემები და მიუთითა: „ენათა ლექსიკურ ფონდში უნდა გამოიყოს სიტყვათშინაარსთა მარტივი და რთული სტრუქტურები; პირველი აღქმითი სფეროა, მეორე კი – გონითი შინაარსის მოვლენათა არსში ნედრომითა და განზოგადებით მიიღება. უფრო მაღალი სფეროა სულიერი პროცესები. გონითი რეალობანი მხოლოდ ენობრივი გადამშავებით იქცევა ადამიანური ცნობიერების ხილულ ფაქტად და სიტყვათველშიც ასე იქნება ჩართული“ (1, 145-146). ენათმეცნიერის მიერ დასმულია არსებითი მნიშვნელობის საკითხი: „რანაირად უნდა შეირჩეს მასალა ისე, რომ იგი იყოს ქართული ენის ფაქტი? როგორც ცნობილია, სრული განმარტებითი ლექსიკონის ამოცანაა აღნუსხვა ყოველგვარი ფაქტისა, რაც ენაშია; ვ ე ლ ე ბ ის ლ ე ქ ს ი კ ო ნ შ ი კ ი მხოლოდ ის შევა, რაც ქართული ენის შინაგანი ფორმისაკენ გავიკვალავს გზას და სემანტიკის სწორ სურათს მოგვცემს“ (1, 146-147); გ. რამიშვილის სიტყვით, „შინაარსზე ორიენტირებულ ლინგვისტიკას შეუძლია წარმოაჩინოს ენობრივ ერთეულებში მოქცეულ ემოციათა ფართო სპექტრი და, როგორც ერთი ენის შიგნით, ისე

ენათა შეპირისპირების გზით ააგოს ემოციათა განლაგების შედეგებით უფრო ობიექტური და რამდენადმე სრული სურათი“ (1, 147).

ფსიქოლოგი ნ. ბერულავა მიიჩნევს, რომ „კვლევისას მნიშვნელობა აქვს იმასაც, ისტორიულად ძირეულია თუ შემოსულია ესა თუ ის სიტყვა, აქვს თუ არა მას შესატყვისი ფუძეობრივად თუ სტრუქტურულად სხვა ენებში“ (3, 11); ცდილობს გაარკვიოს, როგორაა პიროვნება წარმოდგენილი ენაში, რა ღირებულებისაა წარმოდგენილი მასალა, როგორც ფსიქოლოგიური დოკუმენტი, რამდენადაა განსაზღვრული ზოგადფსიქოლოგიური ტენდენციით, თუ დასტურდება რაიმე კანონზომიერება ამ მასალაზე დაყრდნობით (3, 13); ქართული ენის ქარაქტეროლოგიური სიტყვების რვა კატეგორიიდან ნ. ბერულავა ერთ-ერთ ჯგუფად გამოყოფს ემოციური მდგომარეობის აღმნიშვნელ სიტყვებს. მისი თქმით, „კლასიფიკაციისთვის სიტყვის განმარტებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. განმარტების მიზანია სიტყვის შინაარსის გახსნა, ძირითადი აზრის წვდომა და გაგება. ამ მიზნის მიღწევა შეიძლება სიტყვის შინაარსის აღწერით, სინონიმების მისადაგებით“ (3, 22).

გ. ოლპორტის სიტყვით, „ყოველი ეპოქის ტენდენციაა დაახასიათოს ადამიანის თვისებები ამ პერიოდის ნორმა-ინტერესების მიხედვით; ამ ნიშან-თვისებათა სახელწოდების დამკვიდრება ექვემდებარება კულტურული დეტერმინაციის პრინციპს“. მეცნიერი მალალ შეფასებას აძლევდა ადამიანის პიროვნების თავისებურებათა აღმნიშვნელ სიტყვებს, ახასიათებდა მათ როგორც სალი გონების დაკვირვების შედეგს ადამიანის ქცევაზე, მიაჩნდა, რომ „ყოველი სიტყვა ფსიქოლოგისთვის ავთენტიკური პრობლემაა, ადამიანის ნიშან-თვისებათა სახელწოდებები არც კი წარმოიშვებოდნენ, რომ ინდივიდუუმის შინაფსიქოლოგიურ „მონყობილობაში“ მართლაც არ იყოს ისეთი რამ, რაც ინვეეს სიმბოლოების გაჩენას“ (2, 214).

საკაცობრიო კულტურის ისტორიაში ყოველი ერი თავის „სიტყვას“ ამბობს, თავისი ენობრივი გონით აცნობიერებს სამყაროს. ყოველ ენას თავისი ორიგინალური მსოფლხედვის მეოხებით საკუთარი ენობრივი ველები გააჩნია. არასოდეს დაიყვანება ერთი ენის ველი სხვა ენის სემანტიკურ ველზე. სიტყვათა შინაარსები ყოველთვის სხვაობენ, ამასთან, არ არის გამორიცხული სტრუქტურულ-შინაარსობრივი სიახლოვე. „დედაენის სიტყვათა ჯგუფები ვ ე ლ ე ბ ი ს შიგნით ორგანულად დაკავშირებულ ერთეულთა შინაარსობრივი ჯგუფებია და თითოეული სიტყვის მნიშვნელობის

დადგენა მათი გამაერთიანებელი მთელით, ე. ი. ველით მოხერხდება" (1, 143).

ჰუმბოლდტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ენის ლექსიკური მხარის შესწავლას. მისი სიტყვით, „განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომპოზიციების, შესიტყვებების, ფრთიანი გამონათქვამების და ა. შ. შესწავლას. მათში კარგად ჩანს აზროვნებითი ელემენტი, სამყაროს თავისთავადი, ორიგინალური ხედვა, პირველსიტყვის მადლი და ეშხი, ერის ბავშვობის ხანა და დავაჟუაცება, საგანთა, მოვლენათა და საკუთარი თავის აღქმა ფსიქო-ფიზიკური თვალსაზრისით, ენობრივი გონის მოძრაობა, მისი სიცოცხლე და შემოქმედებითი უნარები" (4, 339). მნიშვნელოვანია ჰუმბოლდტის მიერ მონოდებული შინაარსობრივი შედარების შეფასება სხვადასხვა ენაში: „რამდენიმე ენის შედარებისას ყურადღებას ვაქცევთ მათში მნიშვნელობით ახლომდგომ სიტყვათა შეფარდებას. ჩვენს წინაშე ამ დროს სულ უფრო გარკვეულად გამოიკვეთება ჩვენი საკუთარი ენის სიტყვათა მნიშვნელობა. მეორე მხრივ, ამავე შედარებას შემოაქვს თავისებური აზრი, რომელიც განასხვავებს ენას უბრალო პირობით ცნებათა ნიშანთაგან" (4, 369).

როგორც ვხედავთ, ემოციური შინაარსების სწორად ამოკითხვას ენაში სჭირდება ენათმეცნიერული და ფსიქოლოგიური ცოდნა. გ. რამიშვილი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე ენათმეცნიერებაში შემუშავებულ მყარ დებულებაზე: „ენობრივი ერთეულის აღმოცენება ხდება სისტემაში და სისტემის პრინციპით" (1, 79); „სახელდებულ საგნებს აქვთ შინაარსობრივი სტრუქტურის ნევრობის თვისება, ყოველი მათგანი სემანტიკური ბადის სტაბილური ნევრია" (1, 85); მეცნიერი მიიჩნევს, რომ „ემოციის მასალა არ არის საკვლევად მთლად ადვილი" (1, 147). იგი არ ტოვებს უყურადღებოდ ადამიანის შინაბუნების აღმნიშვნელ სიტყვებს: „სულიერი განცდების აღმნიშვნელ სიტყვათა კლასიფიკაციაც მაშინ არის შესაძლებელი, როცა თვითონ ამ სულიერ განცდათა სახეებსა და ბუნებას გავეცნობით" (1, 86); მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორ ავსებენ ერთმანეთს სიტყვათა ანალიზის დროს ლინგვისტური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისები (1, 88-89).

ჩვენს საკითხთან დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ინროების“ ფსიქოლოგიური შინაარსის დადგენა იმ სემანტიკური ველის მეოხებითაა შესაძლებელი, რომლის ორგანული ნევრიც ის არის. ეს სტრუქტურა მოიცავს იმ სიტყვებს, რომლებიც ენათესავებიან მას გრძნობით-ემოციური ნიშნის მიხედვით, რომელთა

საერთო განმსაზღვრელია პ ი რ ო ვ ე ნ უ ლ ი მ თ ლ ი ა ნ ო ბ ი ს რ ღ ვ ე ვ ა. ეს სიტყვებია: „შეინრება“, „მოკლება“, „განკაფა“, „განლევა“, „შემცირება“, „დაკინება“, „განკვეთა“, „განპება“, „განხერხვა“ და სხვა. საზოგადოდ, ეს სიტყვები შესაძლებელია მოვიაზროთ როგორც სინონიმები და წარმოვადგინოთ როგორც „შეინრება-მოკლების“ სემანტიკის მატარებელი სიტყვები. პიროვნული რღვევა განპირობებულია ადამიანის მთლიანი ბუნების „შეინრებით“, რაც მისი შინაბუნების უმთავრესი მახასიათებლის – გ ო ნ ე ბ ი ს ფ ა რ თ ო მ ი მ ო ქ ც ე ვ ი ს დ ა ქ ვ ე ი თ ე ბ ი თ ა გამოწვეული.

„შეინრებას“ ჩვენ მიერ განხილული მასალის მიხედვით აქვს თავისი გრადაციები: საკუთრივ „ინროება“, „განფიცხება“, „დამძიმება“, „განცოფება“ და „კრულება“ („სკუნა-ამოსკუნა“, ჩაკეტვა, დახურვა). საზოგადოდ, პიროვნული მთლიანობის დაკარგვა ნიშნავს სიმყარის, სიმტკიცის დაკარგვას, შინაგან კონფლიქტს, „იჭენეულობას“, რაც გამოხატულია ისეთი „ინროებითი“ შინაარსის ცნებით, როგორიცაა „ორგულება“ (ანტონიმური შინაარსის ცნება – „ერთგულება“ გამოხატავს პიროვნულ სიმტკიცესა და მთლიანობას). ნიშანდობლივია, რომ სულხან-საბას ლექსიკონში ისეთი ემოციური შინაარსის ცნება, როგორიცაა „განცოფება“ განმარტებულია – „ჭკუის წასვლა“, ხოლო „ცოფი“ – „გონება და ცნობამოძარცული“. აქვე, „გულის ტანჯვა“-სთან მოცემულია ამგვარი ახსნა: „გონებით შეჭირვება“. ცხადია, ლექსიკოგრაფი ამ ფსიქოლოგიურ ცნებებს მოიაზრებს როგორც პიროვნების ბუნების (გონიერების ასპექტით) შ ე ი ნ რ ე ბ ა ს („შეჭირვებას“). საყურადღებოა იმის აღნიშვნაც, რომ ქართული ენობრივი გონისთვის „გულის წასვლა“ სხვა არაფერია, თუ არა „გონების დაკარგვა“, რაც ამ ცნებათა მთლიანპიროვნულ შინაარსზე და ა დ ა მ ი ა ნ ი ს „ბუნების შევიწროებაზე“ მიუთითებს. საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ სომხურში კომპოზიტი „ნელსირტ“ („გულინრო“) სინონიმია „გონება“ სიტყვით შედგენილი კომპოზიტი – „კარჭამიტ“ („მოკლე ჭკუისა“, „ნაკლულევანი გონებითა“), რაც ადასტურებს უარყოფითი ემოციების მოაზრებას „გონების“ (ადამიანის „ბუნების“ ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალის) შ ე ი ნ რ ე ბ ი თ. აქვე აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე ქართულ ფსიქოლოგიაში ემოციური შინაარსების არსებით ნიშნად მიჩნეულია „ცნობიერების შევიწროება“.

„ინროება“, როგორც ადამიანის შინაგანი ფსიქიკური მდგომარეობის გამოხატველი სიტყვა, ემოციურ შინაარსს შეიცავს. იგი

ზოგადი ცნებაა და გრძნობა-ემოციათა მრავალფეროვან შინაარსს გამოსახავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ბუნების ინროება სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა შინაარსით იტვირთება და განსხვავებულ „გულისთქმებზე“ მიგვანიშნებს.

ქართულ ენაში „გულისთქმა“-ს, როგორც ემოციურ-ნადიერებით ცნებას აქვს ის სპეციფიკა, რომ გამოხატავს გულის ავტონომიურ ფუნქციობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანის არსებაში (ბუნებაში) დევს ისეთი ბირთვი, რომელიც თვითმოქმედია, დამოუკიდებლად ფუნქციობს. მის მოქმედებას ამ დროს ბოლომდე (ზოგჯერ კი სრულიად) ვერ აკონტროლებს გონება. „გულისთქმები“ ცნობიერებას „ავინროებენ“, არღვევენ პიროვნულ მთლიანობას, რომლისკენაც მიისწრაფვის ადამიანი და რომლის მისაღწევადაც მას რთული გზა აქვს გასავლელი – გზა ინროებდა და ფართობისკენ. ეს გზა მიიმართება თავისუფლებისკენ, რომლის მისაღწევადაც იღვწის ადამიანი და რომლის რეალიზაციაც ლოგიკურ აზროვნებას და ჭეშმარიტების მიღწევას გულისხმობს. „ინროებიდან“ მიმავალი გზა „ფართობისკენ“ გულისხმობს როგორც შინაგან გამთლიანებას, ასევე გარე სამყაროზე პროეცირებას – ადამიანი თავისუფლების კონკრეტული აქტის რეალიზაციას აღწევს, როგორც საზოგადოებრივი არსება. ამასთან, პიროვნებას „ავინროებს“ არა მხოლოდ ლტოლვა-მისწრაფებები, არამედ სუბიექტური განცდა-ვნებები.

ამდენად, „ინროება“ უნდა მოვიაზროთ ორი შინაარსით – სუბიექტური (განცდითი) და მისწრაფებითი (გარკვეული მიზნისკენ მიმართული). ერთიც და მეორეც ადამიანის ბუნებისთვის არსებითად დამახასიათებელია.

„ინროება“, როგორც ენობრივი ცნება, რა თქმა უნდა, იზოლირებული არ არის სხვა სინონიმურ ემოციურ ცნებათაგან – იგი ამ სიტყვათველის უარსებითესი წევრია. მეტიც, იგი, როგორც გვარეობრივი ცნება, მოიცავს სხვა ემოციათა აღმნიშვნელ სახეობრივ ცნებებს.

„ინროება“-ს ძველ ქართულ ენაში, როგორც ზემოთ ითქვა, არაერთი სიტყვა ენათესავება. მათ შორის, უპირველესად, უნდა დავასახელოთ „მოკლება“. პიროვნების „შევიწროება“ იმავდროულად „მოკლება“, „ნაკლულევანებაა“. „ინროება“ და „მოკლება“ ამ შემთხვევაში სინონიმებად წარმოგვიდგებიან, ისევე როგორც „გულიწრება“ და „სულმოკლება“. ამ კომპოზიტთა სინონიმურობა კი იმით აიხსნება, რომ სინონიმებად მოიაზრებიან „გული“ და „სული“,

როგორც მთლიანპიროვნული შინაარსის გამომხატველი სიტყვები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია შემოვიტნოთ „ინროება-მოკლების“ ცნება, როგორც არაერთი ემოციური შინაარსის მნიშვნელობისა, რომლებიც მას მიემართებიან, როგორც სახეობრივი ცნებები. სხვაგვარად: „ინროება-მოკლების“ შინაარსი გულისხმობს უარყოფითი შინაარსის სიტყვათველს.

„მოკლება“, ისევე როგორც „ინროება“, პიროვნების გარკვეული შინაგანი მდგომარეობის გამომხატველი სიტყვაა. რას ნიშნავს ადამიანის მიერ „ნაკლულეევანების“ ანუ „ინროების“ გრძნობის განცდა, რაც მისი „ნუხილის“, „წყენის“, „ურვის“, „ჭმუნვის“ და ა.შ. მიზეზია? აქ ისევე გავამახვილებთ ყურადღებას ორ გარემოებაზე: ადამიანში, ერთი მხრივ, „ნაკლულეევანების“ განცდას იწვევს უარყოფითი განცდა-გრძნობები, მეორე მხრივ, ბუნებრივი მისწრაფებების, სურვილების, ნადილების დაუკმაყოფილებლობა; ადამიანი ნაკლულელია („შეინრებულია“), ვიდრე იგი თავის მიზანს არ შეასრულებს. ამ შემთხვევაში იგი სრულყოფს თავის ჩანაფიქრს და თვითონაც სრულდება (მთლიანდება).

ადამიანში „ნაკლულეევანების“ („ნაკლოვანების“) გრძნობას საგანგებოდ ეხება ა. ადლერი, რომლის სიტყვით, „ადამიანის ყოფიერებაა ნაკლოვანების გრძნობის ფლობა, რომელიც მუდამ გვიბიძგებს მისი გადალახვისაკენ; კაცობრიობის ისტორიულ მოძრაობას უნდა შევხედოთ, როგორც ნაკლოვანების გრძნობის ისტორიას და მისი გადანყვეტის ცდას“ (5, 76).

ადამიანი ვერასდროს აღწევს იდეალურ სრულყოფას, ამდენად, ნაკლოვანების გრძნობა მისი იმანენტური თვისებაა და მარადიულ სწრაფვაში ამალღებულისაკენ ავლენს თავის თავს; მაგრამ, ამასთან, ადამიანი თავის სწრაფვას „სიცოცხლისაკენ“ თავისუფლების კონკრეტული აქტების განხორციელებაში გამოავლენს, რაც ამალღებულისაკენ იდეალური სწრაფვის ერთი კონკრეტული ასპექტია. „ნაკლოვანების“ გრძნობა (ის, რაც ადამიანის „გულს აკლია“) ადამიანის შემოქმედებითი აქტივობის აუცილებელი პირობაა. „ნაკლოვანების“ გრძნობა ა. ადლერთან წმინდა ფსიქიკურ მდგომარეობამდე არ დაიყვანება. იგი მოიცავს ფსიქიკურისა და გონითის სფეროებს – „აქ ემოციურ მდგომარეობას ერწყმის შეფასების, ღირებულების წვდომის გონითი აქტები და, ამდენად, იგი განსხვავებული მომენტების გამაერთიანებელ ტერმინს წარ-

მოადგენს" (5, 76). ნაკლოვანების გრძნობა მძაფრი იმპულსია პიროვნული ძალების მობილიზებისა და რეალიზაციისთვის.

ამასთან, „ნაკლოვანებად“ („ინროებად“) ძველი ფსიქოლოგიური ცოდნა მოიაზრებს უარყოფით ემოციურ განცდებს (მწუხარება, ტანჯვა, შური, რისხვა, ამპარტავენობა, შიში და სხვა). ამ აზრით, „ინროების“ ფრიად დამახასიათებელ განსაზღვრას გვანდის ჰაიკაზიანთა ფუნდამენტური სომხური განმარტებითი ლექსიკონი: „ინრო“ და „შეჭირვებულა“ ადამიანი ისეთი ვნებებით, როგორცაა ვერცხლისმოყვარეობა, ავხორცობა და სხვა ამგვარი, რაც ხელს უშლის გონებას ფართოდ მიმოიქცეოდეს“ (6).

„ინრო“ ენობრივი სიტყვათველის, როგორც სისტემის, ნევრია. რაში იჩენს თავს ენობრივი ველი, როგორც სისტემა? – სიტყვათა შინაარსების გარკვეულ საერთო ნიშანში, რაც სიტყვათველის შემკერელს წარმოადგენს და სიტყვათა გარკვეულ შინაარსობრივ ჯგუფს ერთიველის ნევრებად მოგვააზრებინებს. ჩვენ შემთვევაში ესაა პიროვნების მთლიანობის რღვევის გამომხატველი ემოციური შინაარსები, რომლებიც ამ ნიშნით ერთ ველში ექცევიან.

უარყოფითი ემოციური შინაარსების სიტყვათველის განსაზღვრისას, ჩვენი აზრით, არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ველის ნევრთა ანტონიმური შინაარსების ჩვენებას, სადაც აგრეთვე სისტემურად დალაგდება დადებით ემოციათა ნიშნით გაერთიანებული სიტყვები. ეს ნიშანი უკვე ფართოების ხასიათს ატარებს და პიროვნების გამთლიანებას ემსახურება. ამ ორი ჯგუფის („ინროებაფართოების“) შინაარსები ერთ დიალექტიკურ მთლიანობას ქმნიან, ერთმანეთს განაპირობებენ: „ინროების“ ჯგუფი „ფართოების“ ჯგუფის გარეშე არ მოიაზრება და პირუკუ. ამდენად, ესენი ერთ საერთო „გულისთქმათა ველში ერთიანდებიან. უარყოფითი ემოციური ჯგუფის შინაარსს, როგორც საკონტროლო საშუალებას, ადასტურებს „ფართოება-განვრცობის“ სიტყვათა ჯგუფი, რომლებიც დადებით ემოციურ შინაარსებს გადმოსცემენ.

ქართული ენობრივი გონის დამახასიათებელ ნიშნად ემოციურ სიტყვათველში შეიძლება მივიჩნიოთ „გულ“ სიტყვის მონანილეობა ქარაქტეროლოგიურ კვალიტეტებთან ერთად (გულისთქმა, გულინრო, გულფიცხელი, გულკრული, გულსრული, გულსავსე და სხვა), რაც ემოციური სიტყვათველის შეკვრის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

„ინროება – მოკლები“ სემანტიკა მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორცაა „ჭირი“, „ურვა“, „სალმობა“, „ტიკილი“. ამათ

აერთიანებთ მ ნ უ ხ ა რ ე ბ ი ს საერთო სემანტიკა. ადამიანს „ავინ-როებენ“ სხვადასხვა სახის ნ უ ხ ი ლ ე ბ ი („ვენებები“), რომელთაც უარყოფითი გულისთქმები და განცდები აწვევენ. ასეთ მდგომარეობაში ადამიანი „შეჭირვებულია“, „სენით“ შეპყრობილია, „ვენებულია“, რაც მისი პიროვნული მთლიანობის რღვევას იწვევს. გრძნობა-განცდათა გამოთავისუფლება ხდება ცნობიერების შევინროების შედეგად. არსებობს სუსტი და ძლიერი – ინტრავერტული და ექსტრავერტული გრძნობები. „გულიწრო“, „სულმოკლე“, როგორც ზოგადი ცნებები, გრძნობათა სხვადასხვა გრადაციებს მოიცავენ.

ის გარემოება, რომ „ინროება-მოკლების“ ფსიქიკური მდგომარეობა იწვევს ნ უ ხ ი ლ ი ს გრძნობის აღმოცენებას დასტურდება ნემესიოს ემესელის (Vs.) ანთროპოლოგიურ ნაშრომში. მისი სიტყვით, „შემავეინროებელი ბ უ ნ ე ბ ი თ თ ა მ ო ქ მ ე დ ე ბ ა თ ა მ ნ უ ხ ა რ ე ბ ა არს“ (9, 105); შემდეგ ჩამოთვლის „მწუხარების“ სახეებს. საყურადღებოა, რომ სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში ხშირად სარგებლობს ძველ ფსიქოლოგ-ანთროპოლოგთა შრომებით. ამასთან, აანალიზებს ქართული ენის სიტყვათა შინაარსებს. მაგალითად, „შური“ ლექსიკოგრაფთან განმარტებულია ისევე, როგორც ნემესიოსთან: „შ უ - რ ი არს მ ნ უ ხ ა რ ე ბ ა სხვისა კეთილსა ზედა“; მაგრამ საბა არ კმაყოფილდება ამით და წარმოგიდგენს „შურის“ სახეებს, ანუ გვანდის ამ ცნების სიტყვათველს, რომელსაც საერთო ნიშნით კრავს (ამთლიანებს) მ ნ უ ხ ა რ ე ბ ა. ამ ნიშნით მყარი ადგილი ეძებნება შ უ რ ი ს ჯგუფის სიტყვათა („ლაზობა“, „გვაჯი“, „ბაძი“) შინაარსებს უარყოფითი ს ი ს ტ ე მ ი ს სიტყვათველში.

ასევე მ ნ უ ხ ა რ ე ბ ი ს ნიშნით განსაზღვრავს საბა ისეთ სიტყვას, როგორიცაა „ს უ ლ მ ო კ ლ ე“ – რომელმან ვერარა მოითმინოს და მყის შე ნ უ ხ დ ე ს (7). საზოგადოდ, სიტყვათველის პრინციპებით სახელოვანი ლექსიკოგრაფის მიერ არაერთი სიტყვაა განმარტებული, რის გამოც იგი მიჩნეულია ნეოჰუმბოლდტიანელების ნინამორბედად (1, 141).

ნემესიოს ემესელის ნააზრევიდან ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ მის თხზულებაში „ბუნებისათვის კაცისა“ ვხვდებით „ბუნების“, „აღვსების“, „მოკლების“, „წუხილის“ ანთროპოლოგიურ ცნებებს, მსჯელობას ისეთ კარდინალურ საკითხებზე, როგორიცაა „ბუნების მოკლება“, „ბუნების აღვსება“, რაც ცხადყოფს „კლასიკური“ (ძველი) ფსიქოლოგიის ცოდნას და საშუალებას

გვაძლევს ეს ცოდნა გამოვიყენოთ კლასიკური ლიტერატურის ან-თროპოლოგიურ ცნებათა პრობლემების კვლევისას.

ნემესიოსის მიხედვით, „აღვსება“ უკავშირდება „გონებით ხედ-ვას“, რომელიც ადამიანის ბუნების შინაგანი გამამთლიანებელია და ურომლისოდაც „ნაკლულ“, („შეინრებულ“) მდგომარეობაში რჩება, რაც მისი „მნუხარების“ მიზეზია.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი სიტყვათველი ნათელყოფს, რომ „ინროება“-ს მკვიდრი ადგილი უჭირავს გულისთქმათა შინაარ-სებში. მისი ანტონიმური ცნებაა „ფართობა“. პიროვნების შეეინ-როებას განაპირობებს „გონების შეინრება“, როგორც გარკვეული ფსიქიკური სიტუაციური მდგომარეობა და არაერთხელ და სამუ-დამოდ მოცემული ბუნებრივი არასრულფასოვნება. საყურად-ღებოა, რომ ივ. ჯავახიშვილი სულხან-საბას მიერ წარმოდგენილი „გონების ნაკლულევენების“ სიტყვათველის შესახებ წერს: „საბა-ორბელიანის ნაშრომი ცხადყოფს, რომ გონიერებას მოკ-ლ ე ბ უ ლ თ ა თვისებებზე დაკვირვება და ამისდამიხედვით ერთ-გვარი კლასიფიკაციაც უნდა არსებულიყო ძველ საქართველოში. ტერმინი „გიჟის“ ქვეშ მას ნათქვამი აქვს, რომ „სიგიჟენი განი-ყოფებიან თერთმეტად: შმაგად, ცოფად, ნალველიანად, რეგვენად, ტეტერად, შლეგად, შტერად, ფეთიანად და შეთიანად“-ო. სულით ავადმყოფობით აღმნიშვნელ სიტყვებს რომ თავი დავანებოთ, – განაგრძობს მეცნიერი, – და მხოლოდ გონებანაკლულობას რომ მივაქციოთ ყურადღება, უკვე მოხსენებულის გარდა ორბე-ლიანის განმარტებათაგან შემდეგ მდგომარეობათა დამახასია-თებელი ტერმინების მოყვანა შეიძლება. მისი სიტყვით, „სულელი“ არს, რომელი არცა სრულიად ცნობამიღებული იყოს და არცა სასარგებლო ქმნას რამე“, ხოლო „ნალველიანი“ ისეთი მდგომარე-ობის აღმნიშვნელია, როდესაც ადამიანი „ოდესმე ცნობას იყოს და ოდესმე უცნობობასა“ (ხაზგასმა ჩვენია – მ.რ.). „ტეტერი“ კიდევ ისეთს ეწოდებოდა, „რომელსა სიბრძნე არა აკლდეს, არამედ ხელურსა რასმე იქმოდეს“. „შლეგი“ კი ყოფილა არცა ხელი, არცა ცნობამიღებული, არამედ დაუცადებელად თავგანწირვით განუსუენებელი“ (10, 87).

დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ წარმოდგენილი ცნე-ბები ე მოციური შინაარსისაა, რომელთა სიტყვათველს აერ-თიანებს „გონებაშეინრებულობა“, როგორც „გრძნობის ლოგიკით“ მოქცევის ნიშანი.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შევეცდებით წარმოვადგინოთ სიტყვათველი, რომელიც მოიცავს „ინროება-მოკლებისა“ და „განფართების“ ჯგუფებს:

I. „ინროება-მოკლება“ – გულისა, სულისა, გონებისა, ბუნებისა (რღვევა, ვნება, სენი, მწუხარება, ბოროტება):

1. გულწრო, გულწაქული, გულწიციხელი, გულწრული, ორ-გულება;
2. სულის შეინრება, სულმოკლება, სულმცირე, სულკნინი;
3. გონების შეინრება, გონების ნაკლულევანება, ჭკუის სიმოკლე;
4. ბუნების ინროება, არაბუნება.

II. „ფართობა“ – გულისა, სულისა, გონებისა, ბუნებისა (სათნობა, სიკეთე):

1. გულწრული, გულწაცხე, გული მრთელი, ერთგული, გულწოვლობა;
2. სულგრძელი, დიდსულოვანი (სულდიდი);
3. გონების სიფართე, გონების სისრულე;
4. დიდბუნება (დიდბუნებოვანი).

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. გ. რამიშვილი, ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, თბილისი, 1995.
2. გ. ოლპორტი, პიროვნება, ლონდონი, 1949 (ქართული თარგმანი ინახება დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიურ ინსტიტუტში, ხელნაწერი)
3. ნ. ბერულავა, პიროვნების თვისებები და ენა, თბილისი, 1976.
4. 4.В. Гуманянт, Язык и психическая культура. Москва, 1985.
5. ვ. კაკაბაძე, ადამიანის პრობლემა სიღრმის ფსიქოლოგიაში, კრებ. „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები“, თბ., 1971.
6. სომხური ენის (ჰაიკაზიანთა) განმარტებითი ლექსიკონი, ვენეცია, 1836-1837.
7. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბილისი, 1993.
8. ნემესოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა (თარგმანი იოანე პეტრინისა), თბილისი, 1915.
9. ივ. ჯავახიშვილი, ადამიანი ძველ ქართულ მწერლობაში, თბილისი, 1956.

On the Semantic Field of Psychological Concepts in Georgian

Summary

The author makes an attempt to represent a semantic field of the words denoting the state of human psychology, characterized by „Narrowing’ and „Broadening’ (completeness). These antonymic concepts constitute a dialectic unity and are strongly interlinked. „Narrowing’ is an emotional state, which is overcome by „Broadening.’ Such attitude makes it possible to correctly understand the words of the given semantic field which are frequently used in old Georgian texts. The research of the issue was based on the principles elaborated in Georgian as well as in general linguistics.

სპარსული ენის ისტორიული მორფოსინტაქსის
მასალები

(თეორია და პრაქტიკა)

არსებობს სპარსული ენის გრამატიკის საკითხებისადმი მიძღვნილი მრავალი სხვადასხვა ხასიათის გამოკვლევა და სახელმძღვანელო, მათ შორის საკუთრივ ირანული. (იხ. ბიბლ.). მიუხედავად ამისა, ბევრი საკითხი კვლავაც შეუსწავლელია, გასარკვევი ან არასაკმარისად განხილული. ადგილი აქვს თანამედროვე ენის საინტერესო და საყურადღებო ინოვაციურ მოვლენებსაც, ან, პირიქით – დიაქრონიული ფაქტების თავისებურ ციკლურ განმეორებას ახალ ენობრივ დონეზე. ამ მხრივ ყველაზე ნაკლებად იყო შესწავლილი მორფოსინტაქსი და სინტაქსი.

ავტორის მრავალწლიანი კვლევის საგანს შეადგენს სპარსული ენის მორფოსინტაქსი, რომელიც მანამდე საზოგადოდ არ შეისწავლებოდა როგორც გრამატიკის დამოუკიდებელი ნაკვეთი, აგრეთვე სინტაქსი, რომელიც სპარსული ენის შემთხვევაში მხოლოდ ელემენტარული ან ძირითადი საკითხების დონეზე იყო ხოლმე წარმოდგენილი.

აქ მორფოსინტაქსზე ვისაუბრებთ, რომლის კომპენდიუმსაც ვამზადებთ და რომლის ერთგვარი არასრული ვარიანტი ადრევეა წარმოდგენილი (სახოკია 2004/2006). ცალკეული საკითხები მრავალსპეციალურ წერილშია განხილული (იხ. ბიბლ.). უკვე გამოქვეყნებული საკითხების დეტალური, გამოწვლილვითი შესწავლა-გალრმავება კვლავაც გრძელდება და, შესაბამისად, ვითარდება მათი თეორიული შეფასებაც. მიღებული დებულებები ახალ გრამატიკას უნდა დაედოს საფუძვლად, რომლის შესახებაც წერილი გამოქვეყნდა (სახოკია 2005)¹.

კვლევა წარმოებს ორმხრივი მიმართულებით: ა) დიაქრონიულად, ანუ სპარსული ენის ჭრილი ძირითადი რგოლებისა და ქვერგოლების გათვალისწინებით ძველიდან ახლისკენ; ბ) რეტროსპექტულად, ანუ თანამედროვე და კლასიკური ახალსპარსულის

¹ აღსანიშნავია, რომ ამგვარად გრამატიკის ეს ნაკვეთი ნლების მანძილზე უკვე იკითხება სპეცკურსის სახით თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში.

მორფოსინტაქსური ერთეულებისა და ბლოკების თუ მორფოსინტაქსური ნიშნების მოძიება უკუსვლით ახლიდან ძველისკენ. ამ გზით ხერხდება პროტოტიპული მორფოსინტაქსური ნიშნების გამოვლენა.. იმავდროულად გამოიყენება ტიპოლოგიური კვალიფიკაციებიც. ამგვარი კომპლექსური ანალიზის შედეგად მიიღება რიგი ახალი კოდიფიკაციები ტრადიციული ელემენტებისთვის, ან გამოვლენილია ახალი მორფოსინტაქსური ჯგუფები და მწკრივები.

მთავარი მიზანი კი ისაა, რომ გავითვალისწინოთ ყველა პერიფერიული ფრაგმენტიც, მორფოსინტაქსემა თუ ელემენტი, - არაოდენ ნორმირებული ჯგუფები. ამით მიიღწევა დეტალიზაციის გარკვეული ხარისხი, ხოლო ძირითადი ბლოკები განიხილება როგორც სპარსული ენის მორფოსინტაქსის შემადგენლები (კონსტიტუენტები). ეს კონსტიტუენტები განიხილება დინამიკურ ცვლილებაში, რის შედეგადაც გამოიყოფა ცვალებადობის ციკლური ნიშნები და ციკლთა რგოლები.

შედეგები საბოლოო ჯამში ღირებულება ორმხრივად: სამეცნიერო-თეორიული თვალსაზრისით და თანამედროვე სპარსული ენის სწავლების პრაქტიკისთვის. დიაქრონიულ-ტიპოლოგიური მიდგომა აადვილებს ახსნას.

ჯერ-ჯერობით დამუშავებულია და მოცემული ნაშრომის მასალაში ზოგადად ნარმოდგენილია შემდეგი მორფოსინტაქსური ბლოკები:

1. კლიტიკური ნარმოშობის მორფები - ობიექტური პირის ნიშნები და სპარსული ზმნის ორპირიანობა (პოლიპერსონალობა);

2. მობილური (მოძრავი) კლიტიკური მორფების ოცამდე ბლოკი;

3. ფსიქოლოგიური (პრაგმატული) სუბიექტის ფენომენი და მისი სახეები;

4. ობიექტური უღლების ალტერნატივა და შერეული (ორმაგი) მარკირების პერიფერიული შემთხვევები;

5. -რა თანდებულის ძველი ფუნქციების ნარმოჩინების შემთხვევები და თანამედროვე ახალსპარსულში (თახსპ) მორფოსინტაქსური ციკლურობის ნიშნების ნიმუში (-რა როგორც ირიბი ობიექტი, -რა როგორც უბრალო დამატება, შდრ. აგრ. - რა-თახსპ ადვერბიალური);

6. -რა თანდებული შერეულ-ალტერნატიულ მარკირებაში და სიტყვათა რიგის საკითხი ასეთ სპეციალურ მორფოსინტაქსე-

მეზში; ფსიქოლოგიური სუბიექტის მიმართება ალტერნატიულ თუ ობიექტურ მარკირებასთან;

7. -რა თანდებულის ინოვაციური ხმარების ნიმუშთა კომპლექსი თანამედროვე სპარსულში და მისი ტიპოლოგიური ანალიზის ცდები;

8. გარდაუვალი ზმნის სუბიექტური პირის ნიშანი: მე-3 პ. მხ. რ.-ის მეორადი მარკირება;

9. სხვადასხვა სემანტიკისა და სტრუქტურის ირიბსუბიექტური ბლოკები: სპეციალური კონსტრუქციები („ასაკის ჯგუფი“, პოსესიურობის ბლოკი, აფექტური სემანტიკის კომპლექსი და სხვ. მისთ.);

10. ფრაზემებისა და წინადადების ნევრების სინტაქსური და სემანტიკური როლების დაზუსტება;

11. წინდებულების ფუნქციათა და სემანტიკის დაზუსტება წინადადებაში; ზოგიერთ წინდებულთა ინოვაციური გამოყენება თანამედროვე სპარსულში;

12. სპეციალური კონსტრუქციები, რომელიც გამოიყოფა ან გრამატიკული, ან სემანტიკური ნიშნით (როგორიცაა: ერგატიული [ძველი და საშუალო სპარსული], პოსესიური, აფექტური, სახელდების, რთულზმნიანი, ორ- (მრავალ)პრედიკატული, რელატივები, იმპერატივები, ნომინალური, კოპულაჩაშეებული მორფოსინტაქსემები და სხვ.).

13. სტანდარტულ სტრუქტურათა დეტალიზაცია; მარტივი და რთული წინადადებების შინაარსი და სტრუქტურა: გრამატიკა, სტილი და პრაგმატიკა; ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში უსულო საგნებთან – ინოვაციის საკითხი; სიტუაციური სინტაქსი; აქტუალიზაცია და საკომუნიკაციო სემანტიკა თანამედროვე სპარსულში: სამეცყველო ნაკადი.

14. სიტყვათგანლაგება: სტანდარტული რიგი, ნორმა და ტენდენცია, სტაბილური რიგი და ინვერსია; ინვერსიის ხარისხები; თავისუფალი რიგის ნიმუშები; რიგი სტანდარტულ წინადადებასა და სპეციალურ კონსტრუქციებში: სპეციალური კონსტრუქციების ნორმა და ინვერსია. სტანდარტული და სპეციალური რიგის დინამიკა.

საკითხთა ნაწილი სინტაქსია. აქ ძირითადად მორფოსინტაქსს შეეხებით. განსაკუთრებით ამ წერილის საგანს თანამედროვე სპარსული და სასწავლო პროცესის თვალსაზრისით საინტერესო საკითხები შეადგენს, სამეცყველო ნაკადის, სასაუბრო თუ სა-

ლაპარაკო ენის ფორმათა ჩათვლით. სასაუბრო ენის ნიმუშების მასალა შეიცავს ავტორის მიერ უშუალოდ ინფორმანტებისგან მოპოვებულ ცოცხალ ენობრივ მონაცემებსაც დიდწილად.

წინამდებარე წერილში გავამახვილებთ ყურადღებას თანამედროვე ენის თეორიული, ტიპოლოგიური თუ ისტორიული ან ინოვაციური თვალსაზრისით საინტერესო ფაქტებზე. უკუსვლითი მიმართულებით ახლიდან <ძველისკენ ნაჩვენები იქნება განსახილველ ერთეულთა თუ ნიშან-თვისებათა რეტროსპექტული პროტოტიპები, ენობრივ მოვლენათა პროტოტიპული ნიშნები.

იმავდროულად ხაზი ესმება ქართულენოვანი სტუდენტებისთვის სპარსული ენის სწავლების პროცესისთვის ღირებულ და საყურადღებო მორფოსინტაქსურ ნიშნებს.

ამჯერად შერჩეულ საკითხთა ერთობლიობა შემდეგია:

1. ობიექტური მორფები - პირის ნიშნები - მარკერები.

როგორც ადრევე ვაჩვენეთ, საერთო ახალსპარსულში აღინიშნება მარტივ და რთულ ზმნებში პირის ნიშანთა ორი მწკრივი - სუბიექტური და ობიექტური პირის მარკერები. ამდენად, სახეზეა ორპირიანი ზმნის - მრავალპირიანობის (პერსონალობის) ფრაგმენტული ანუ ნაწილობრივი (პარციული) ნიმუშები. ეს სწორედ რომ პერსონალობაა, პირიანობაა და არა ვალენტობა, რადგან ეს უკანასკნელი ზმნაში მორფოლოგიურად არ გამოიხატება, პირველი კი ზმნაში მორფოლოგიურად აღინიშნება მაგ.: *didam-aš, dādam-aš, hordand-aš, čerā bāyad bešenāsam-at? migiram-aš, xāhad xānd-aš, dust-aš dārand, dust dārand-aš, sedā-š/m kon. komak-am kon, vel-aš/m kon. vel-at mikonam. javāb-etun dādam, mikašand-aš pāin. birun mišvard-ešān, gir-aš/at nayāmad* (საუბ., ლექსიკ., სახელმძღვან., ტელევ., ინფორმანტი, დანეშვ.227. 258.რადოვ.47) „ვნახე-ის, მივეცი-მას, წაიყვანეს-ის, რატომ უნდა გ-იცნობდე? ვიღებ/ვყიდულობ-მას, დაუძახებს-მას, უყვართ-ის, დაუძახე-მას, და-მ-ი-ძახე, და-მ-ეხმარე, გაუშვი-ის/გა-მ-ი-შვი, გ-იშვებ, გ-ი-პასუხე/პასუხი მო-გ-ეცი, ქაჩავდა-მას ძირს, გარეთ გაჰყავდა-ისინი, არ შე-გ/მ-ხვდა“ და მისთ.

ნიმუშებიდანვე ჩანს, რომ რთული ზმნები ორ ვარიანტს გვიჩვენებენ: მარკერი ზმნაში (1) და მარკერი სახელთან (2). წინამდვილეში ობიექტურმარკერიან რთულ ზმნათა დიაქრონიული დინამიკა ახალსპარსულში მომართულია ასე: (1)>(2). (2) ნორმად იქცა თანამედროვე სპარსულში, მაგრამ (1) - ციხმარება იშვიათად; ხოლო კლასიკურ სპარსულში პირიქით - ნორმაა (1) ობიექტური მარკერი ზმნაში, მაგრამ ხშირად იხმარება (2)-ც.

დანვრილებით ეს რთული, ტიპოლოგიურად ღირებული და დი-
აქრონიულ-რეტროსპექტულად ფასეული პრობლემა სპეციალურ
შრომებში გვაქვს განხილულ-კოდიფიცირებული და შეფასებული
(სახოკია 2004/2005, 2005/2006).

მთლიანობაში განხილვადი ფორმები ძალიან გავრცელებულია
თანამედროვე სპარსულში, და პირველ რიგში – სასაუბრო ენაში.
იმავდროულად კლასიკური სპარსულისთვისაც ნორმატიულია.

მაგრამ, როგორც ვაჩვენეთ, ზმნაში გამოხატული ობიექტური
პირის ნიშნები არ წარმოადგენს ახალსპარსულის ინოვაციას: ეს
პროტოტიპულად დაფიქსირებულია ძველი სპარსულიდანვე (იხ.
სახოკია 1998, 2004/2005, 2005/2006).

ზემომოყვანილ ფენომენს ვანიჭებთ ტიპოლოგიურად ობი-
ექტური მარკერებისა და, შესაბამისად, ზმნის ორპირიანობის
კოდიფიკაციას (დანვრილებით იხ.სახოკია, ბიბლ.).

სწავლების დროს უპრიანია განხილული ფენომენოლოგი-
ური მოვლენა სწორედ ასე მივანოდოთ სტუდენტებს და მიუწუ-
თითოთ ტიპოლოგიურ მსგავსებაზე ქართულთან, რითაც ეფექ-
ტურად მიიღწევა ქართულენოვან შემსწავლელთაგან ამ ენობ-
რივი ფაქტების უკეთ შეცნობა.

2. მობილური მორფები; გარდაუვალი და გარდამავალი სუ-
ბიექტური, ობიექტური მორფები.

ზმნისგარეთა კლიტიკური მორფები, რომელიც ერთვის სხვა-
დასხვა სახელურ თუ დამხნარე ელემენტებს, ქმნიან მთელი
დიაქრონიული ჭრილის ფარგლებში სხვადასხვა მორფოსინტაქსურ
ბლოკებს. ამ მორფებს ვუნოდებთ მოძრავს ანუ მობილურს. თანა-
მედროვე სპარსულში გრამატიკული – მორფოსინტაქსური მახა-
სიათებლების მიხედვით აგრეთვე გამოიყოფა მობილურ მორფთა
სხვადასხვა ბლოკების მთელი კომპლექსი, რომელიც ადრევე წარ-
მოვადგინეთ (სახოკია 2004/2005). იგულისხმება ისეთი ნიმუშები,
როგორიცაა: *begid/bedid be-š*, *bedid be-m*, *be-t begam*, *pul-at mideham*,
ham-aš miāram, *ham-ešun baladand*, *ham-aš mitarsam*, *ham-aš xošmaze*, *či-š*
šode, *hičēi-š namiše*, *čizi-aš nabud*, *hič peidā-t nist*, *ham-aš xube*, *hame-mun*
gerefiār šodim, *ham-aš kāre xānerā mikard*, *ham-ešān dast be yeki kardand*,
ham-aš xābhāye ašofte dide bud, *akjā-š kutāhe?* (საუბ., დანემვ., პედ-
კობ., იადგ., რადოვ. 114) „უთხარი/მიეცი მას, მომეცით, გითხრა,
ფულს-შენ მოგცემ, ყველაფერს-მას (მას მთლიანად), მოვიტან,
ყველამ-მათ იციან, სულ-მისი მეშინია, ყველაფერი-ის გემრიელია,
რა მოუვიდა-მას, მას-არაფერი მოუვა/სჭირს, არაფერი-მას

ქონდა/=სჭირდა, სულ არ ჩან-ხარ, ყოველი-ის კარგია, ყველანი-ჩვენ ჩავვარდით, სულ-ის სახლის საქმეს აკეთებდა, ყველამ-მათ პირი (ხელი) შეკრეს, სულ-ის შფოთიან სიზმრებს ხედავდა, სადა-ა-ის/მისი სადაა მოკლე?". (პირდ.ობ.,ირ.ობ., უბრ.დამ., პოსეს.ირ.სუბ., გარდამ.სუბ., გარდაუფ.სუბ., პას.გარდაუფ.სუბ.).

როგორც ვხედავთ, მობილური ანუ მოძრავი მორფები სრულიად სხვადასხვა სინტაქსურ-სემანტიკურ როლებს შეესაბამება. ამ ნიშნით ისინი დაყოფილი გვაქვს როლებრივ ჯგუფებად (სახოკ.2004/2005). ქართულენოვან შემსწავლელთათვის ამ შემთხვევაშიც ნათელია პირის ნიშნებთან (ან/და ქცევასთან) შესატყვისობა, რაც აადვილებს სპარსულ მორფთა ფუნქციობის გაგებას.

მობილური მორფების ნიმუშები იხ. აგრეთვე სხვა მუხლებშიც, კერძოდ – სპეციალურ კონსტრუქციებში (დანვრილებით იხ. სახოკია 2004/2005, 2004/2006).

ზედმეტია იმის ხაზგასმა, რა ადგილი უჭირავს თანამედროვე სპარსულ სალაპარაკო თუ *ნევეშთარის* (ბეჭდურ, წიგნის, ლიტერატურულ) ენაში ამგვარ მორფოსინტაქსემებს და რაოდენ მნიშვნელოვანია მათი გამონვლილვითი, ბლოკებად ანალიზი სწავლებისას.

3. ფსიქოლოგიური ანუ პრაგმატული სუბიექტი. ტერმინი „ფსიქოლოგიური“ სპარსული ენის გერმანულენოვანი გრამატიკის ავტორებს ეკუთვნის (ამინმად.336-337). ჩვენც ვიყენებთ მას, თუმცა ვფიქრობთ, მას შეიძლება ეწოდოს აგრეთვე პრაგმატული სუბიექტი. ეს უკანასკნელი ზოგადდტიპოლოგიურად გულისხმობს პრაგმატული, სიტუაციური, საკომუნიკაციო სემანტიკის ნიშნით გამოყოფას, ანუ აქტუალიზაციას. ეს შეეხება წინადადებაში ორჯერ განმეორებულ ნევრს, რომელიც სიტყვათგანლაგების მიხედვით აუცილებლად თავკიდურობს, ხოლო კვლავაც მეორდება კლიტიკური ანტიცედენტის სახით. ასეთი ნევრებია თანამედროვე სპარსულში: ატრიბუტული მსაზღვრელი, გარდაუვალი სუბიექტი, გარდამავალი ზმნის პირდაპირი ან ირიბი ობიექტი, „სხვადასხვა სპეციალური კონსტრუქციების ირიბი (ლოგიკური) სუბიექტები და სხვა. ადრევე მივუძღვენით საგანგებო განხილვა ამ ფენომენს (სახოკია 2004/2006). აქ ჩვენ მიერ გამოვლენილ საყურადღებო ახალ ჯგუფებს წარმოვადგენთ. მაგალითად: *Hasan raft-aš, Hasan imad-aš (S intrans); Hasan bordand-aš, in kaš nigiram-aš (Od); kuzeye man/bačeye man če kār-eš kardi? To ham mosāferi gir-at nayāmad (Oid); Pedaram čizi-aš nabud, Hasan lebāse nimdār tan-aš bud, man sard-am nist, man garm-am-*

e/asL man gošn-am-e/cešn-am-e man xoš-am miäd. u yäid-aš raft (Sobl. Spec.) ((საუბ., სახელმძღვან., -ები, ტელევიზ., რადიო.47,57). „ჰასანი-ნავიდა-ის, ჰასანი-მოვიდა-ის (გარდაუვ.სუბ.); ჰასანი-ნაიყვანეს-ის, ეს ფეხსაცმელი-ვეყიდულობ-მას (პირდ.დამატ.); ჩემი სურა/ჩემი ბიჭი-რა უქენი-მას? შენც-მგზავრი ხელთ არ მოგვიდა//მე-გ-ხვდა (ირიბი დამატ.); მამაჩემი-არაფერი ჰქონდა/სჭირდა, ჰასანი-ტანთ ჰქონდა/ეცვა ნახმარი სამოსი; მე არ მ-ცივა, მ-ცხელა, მ-წყურია, მ-შია, მო-მ-ნონს; მას-დააიწყდა“ (სპეციალური ირიბი სუბ.: პოსესიური, გრძნობის, გონების და სხვა.) და მისთ.

ეფექტურია ამგვარი მორფოსინტაქსემების ცალკეულ სემანტიკურ-სტრუქტურულ ჯგუფებად მიწოდება და ახსნა.

როგორც ვხედავთ, სიტყვათა რიგის ფაქტორი ს-ფსიქ/პრაგმის გამობატვისთვის და მარკირებისთვის გადამწყვეტია.

ფსიქოლოგიური ან პრაგმატული სუბიექტი საკმაოდ გავრცელებულია თანამედროვე სპარსულში და ძალიან მიღებულია, პირველ რიგში, სასაუბრო ენაში. მიუხედავად ამისა, ეს სპეციფიკური ფენომენოლოგიური მოვლენა, რომელიც სიტუაციური, პრაგმატული პრაქტიკული სინტაქსის სფეროს განეკუთვნება, არ წარმოადგენს ახალსპარსულის სამეტყველო ნაკადის ინოვაციას: მას დაეძებნება სრული პროტოტიპები საშუალო სპარსულში, ანუ სამნიგნობრო ფალაურში (სახოკია, 2004/2006). რაც შეეხება სწავლებას, ეს საკითხი პრაქტიკული სპარსული სინტაქსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა..

4. შერეული და ალტერნატიული მარკირება ობიექტური პირის ზმნური მორფების – ნიშნების (მარკერების) ალტერნატივას წარმოადგენს –რა-RA თანდებული და –ბე-Be ნინდებული. მაგრამ ეს ალტერნატივა არაა აბსოლუტური, – გვაქვს შერეული მარკირების საინტერესო შემთხვევები: მორფი-მარკერი და თანდებული –რა ერთდროულად გამოიყენება. ასეთი ნიმუშები ცოტაა, მაგრამ გამოკვეთილად აღიბეჭდება სამეტყველო ნაკადსა და ავტორიტეტული სახელმძღვანელობის საკითხავ ტექსტებში, – კოდიფიკაციისა და კომენტარების გარეშე (დანვრ.იხ.სახოკია 2004/2006). მაგალითები: *dar äyande avaz-aš-raš mikonid, harf-eš-o nazanid, fekr-eš-o nakonid, če kār-eš konam bače-raš.* (საუბ., ფილმები, ტელევიზ., რადიო.80) „მომავალში ჩაანაცვლებთ მას, ამას ნუ ილაპარაკებთ, ამას ნუ იფიქრებთ“ (მარკერი.+ -რა).

ნიმუშთა ვარიანტების შედარებისას ირკვევა, რომ სიტყვათა რიგი აქაც ასრულებს განმსაზღვრელი ფაქტორის როლს (მაგ.: შდრ.: bačelāṛān ḥe kār konam. ḥe kāreš konam bačera). გარდა ამისა, ს-ფსიქ/პრაგმ. აქაც მონანილეობს და უკავშირდება სიტყვათგანლაგების ფაქტორსაც (იხ.ს-ფსიქ). სწავლების პროცესში ასეთ ცალკეულ, მაგრამ ღირებულ მორფოსინტაქსემებსაც უნდა მიექცეს ყურადღება და მათ მოცემული სათანადო კოდიფიკაცია უნდა მიენიჭოს. მოყვანილი შერეული და ალტერნატიული მარკირების ტიპები კლასიკური სამწერლობო სპარსულის ფონზე თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ მორფოსინტაქსურ ინოვაციებს.

5. გარდაუვალი სუბიექტის მეორეული ნიშანი, ანალოგია. თანამედროვე სპარსულში, პირველ რიგში, სალაპარაკო სამეტყველო ენობრივ ნაკადში ხშირად გვხვდება გარდაუვალი ზმნის მე-3 პ. მხ. რ.-ის კლიტიკური მორფი, რომელიც გარდაუვალი სუბიექტის მეორეულ პირის ნიშნად გვევლინება. ნამყო დროის ნყვეტილის მწკრივის ამ პირ-რიცხვის ფორმები წარმოდგენილია ნამყოს შიშველი ფუძით. ეს ფუძე დანარჩენ პირ-რიცხვის ფორმებთან ოპოზიციური შეპირისპირების გზით, თავისთავად, მარკერის გარეშე, უტოლდება პარადიგმაში მე-3 პ. მხ. რ.-ის ფორმას. აშკარაა, რომ ამ სიცარიელის შესავსებად და დანარჩენ პირ-რიცხვებთან ანალოგიით, მოხდა ფუძისეული მე-3 პ. მხ. რ.-ის ფორმის მეორეული, დამატებითი და დამაზუსტებელი მარკირება. მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს მარკირება ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს, რადგან შემოზღუდულია არსებობა/ყოფნა და მოძრაობის ზმნების (მარტივი და რთული) სემანტიკური ჯგუფებით (Verba Existenciae. Verba Movendi). კერძოდ, საუბარში დაფიქსირებულია: hasteš. nisteš. moujud hasteš. moujud nisteš, budaš; raflaš. āmadaš „არის, არსებობს, არ არის, არ არსებობს, იყო, ნავიდა, მოვიდა“; ეს მოვლენა ბოლო წლების ზოგ სახელმძღვანელოშიც აღიბეჭდა, მაგ.: xub budaš? (პოლ.ნას. 152) „კარგი იყო-ის?“;

ამ ფენომენსაც გააჩნია ნორმატიული პროტოტიპები საშუალო სპარსულში და იგი არ არის ახალსპარსულის სრული ინოვაცია. სწავლების პროცესში სასურველია ეს ფორმები მიენოდოს შემსწავლელს, როგორც თანამედროვე სპარსულის სასაუბრო ენის ერთ-ერთი ფრაგმენტული მორფოსინტაქსური მახასიათებელი. იგი მონანილეობს ფსიქოლოგიური – პრაგმატული სუბიექტის მორფოსინტაქსურ ბლოკშიც (იხ. ზევით).

6. წინდებულები; აზ-აზ წინდ. - ის ჯგუფები; სა-თუ წინდებულები.

წინდებულები მთელი დიაქრონიული დინამიკის ჭრილში ავლენენ მრავალ ჯერ შეუსწავლელ ფუნქციებსა და ნიუანსებს (იხ. ბიბლ., სახოკია, 1998, 2004/2006, ბიბლ. 1998-ში; მაზუროვა, დემეტრაშვილი და სხვ.). წინდებულებიანი სახელური ფორმების სინტაქსური და სემანტიკური როლების კოდოფიკაციები კვლავაც დასადგენია და დასაზუსტებელი თანამედროვე სპარსულშიც. შესწავლას ართულებს წინდებულთა სიმრავლე და მრავალფუნქციობა; ანალიზის შედეგად კი გამოიყოფა სხვადასხვა, ტრადიციული გრამატიკისთვის ინოვაციური გრამატიკულ-სემანტიკური ჯგუფები, როგორცაა, მაგალითად: აგენსური ან კვაზიაგენსური წინდებულები, მოქმედების/მდგომარეობის წყარო და მისთ (მაგ.: აზ, *dasie. az dasie. be vasileye. tavasote. az tarafē.* „გან/დან, ხელით/ხელიდან, საშუალებით, მხრიდან, მიერ“ და სხვ.); -აზ -აზ (ძვ.სპ.სამ.სპ.<hač/az<hača) წინდებულის ფართო სემანტიკური ველები (წარმოშობის, ნათესაობის, გეოგრაფიული კუთვნილების, სოციალური ან ეთნიკური წარმომავლობა/კუთვნილების სემანტიკური ჯგუფები; პოლარული სემანტიკური ველები: გამოსვლითობა და მიწვევითობა) და სხვა.

დღესდღეობით აქ საგანგებოდ შევიჩრდებით *tu(ye)* თუ>ოუჟე წინდებულის, როგორც ჩანს, ახლად ჩამოყალიბებულ და გამოკვეთილ ფუნქციებზე, რომელსაც ინოვაციურს ვუნოდებთ. მას ქვემოთ სპეციალური ცალკე მუხლი ეთმობა.

7. *TU-Y* (იზაფ.-*YE*) თუ წინდებულის კლასიკურ სპარსულ ლიტერატურულ ენაში, როგორც წესი, სრული იზაფეთური კავშირითაა წარმოდგენილი წინდებულურ სინტაგმაში (*TuYe*). თანამედროვე სასაუბრო ენაში (*გოფთარი-Gofštari*) იზაფეთი ნორმირებულად ჩავარდნილია, ანუ იხმარება წინდებულის, ასე ვთქვათ, შემოკლებული ვარიანტი (ტიპი: *Tu kif* “ჩანთაში”). ეს უკანასკნელი კი წარმატებით გადაინაცვლებს ხოლმე გოფთარიდან *ნევეშთარიში (nevestari)* - ბეჭდურ, ლიტერატურულ ენაში.

საინტერესოა, რომ ეტიმოლოგიურად ახალსპარსულ ოუიფ-ს პროტოტიპი არ უჩანს ძველ და საშუალო სპარსულში, ანუ თავისთავად ახალსპარსულისთვის იგი ინოვაციური მოვლენაა. მაგრამ დღეს აქ ეს კი არ არის ჩვენი მსჯელობის საგანი, არამედ განსახილველი ელემენტის ფუნქციების ცვლილება ინოვაციური

(და არა ციკლური!) მიმართულებით, კლასიკურიდან თანამედროვე სპარსულისაკენ.

კერძოდ, კლასიკურ სპარსულში *tuyc-თუყე* მხოლოდ ადგილმდებარეობის წინდებულად გამოიყენება, თუმცაღა *მოძრაობა* რაიმისკენ იკვეთება *რთულ ზმნებსა და ფრაზეოლოგიზმებში*. *შინაგნობის* გამოხატვა მისი პირველადი ფუნქციაა, რომელიც სინონიმურია და ანალოგიური *dar-დარ* წინდებულის მნიშვნელობისა. მათი საერთო სემანტიკა ახალ ქართულში შეესაბამება –ში ადგილმდებარეობის თანდებულის სემანტიკას. ძირითადად ასე მიენოდება მკითხველს ეს სალექსიკონო ერთეული ყველა არსებულ ლექსიკონში, ყველა გრამატიკაში და სახელმძღვანელოში, თუმცა თარგმანების მითითებულ შესატყვისებში და თვით მოცემულ სათანადო მაგალითებშიც თავისთავად ჩანს და იკვეთება *მოძრაობა-მიმართულების სემანტიკაც* (იხ. ბიბლ.). ამგვარ ინფორმაციას იღებენ საყოველთაოდ ყველგან სპარსულის შემსწავლელი სტუდენტებიც. არის ასეთი ზეპირი აზრიც: *dar-დარ* წინდებული უფრო დიდ სივრცეს, ხოლო *tuyc-თუყე* უფრო მცირე სივრცეს შეესატყვისება, მაგრამ ეს ოპოზიცია მყიფეა და ვერ არის მკვეთრად გამოკვეთილი ან მკაცრად განსაზღვრული. იმავდროულად თანამედროვე სპარსულში *tu-თუ* ელემენტმა განივითარა ახალი ფუნქცია: ესაა მიმართულებითი ფუნქცია, სინონიმური და ანალოგიური *be -ბე* წინდებულისა. ასეთ შემთხვევაში იგი შეესაბამება ახალქართულ მიმართულებით –ში თანდებულს ან –კენ-ს, და ძველქართულ მიმართულებით მიცემით ბრუნვას. *tu-თუ-ს* ეს ახალი ფუნქცია მანამდე არსად აღინიშნება, – ჩვენ ადრევე დანერგილი გვაქვს ამის შესახებ (სახოკია, 2004/2006).

კლასიკურ სპარსულში მიმართულებითი *tu-თუ* ასეთი ხარისხით არ დაგვიფიქსირებია, ის მხოლოდ დღევანდელ სპარსულში მჟღავნდება ამ სახით.. ნიმუშები: *miravam tuyc ab, berid tu daryā. haunemun tu dam ofnādim, tuyc samāvar āb mirixtid. yā beyāid tu yā beravid birun, dota bezan tu saraš, tu zouqam zad/bezanad/xord, tu dāmi namiofnādim, āb mirizi tu dig. ejāzast beam tu? midavad beofte tuš, berid tuš. emšab mirim tu operā, miāram tu Tehrān. havā yexorde biād tu otāq. raft tu otāq. befarnāid tu* (საუბ., აზფა, რადოვ.55,57, ფილმები: „სიბ“ვამლი, “დო ზან” ორი ქალი და სხვ.) „მივდივარ წყალში, შედით ზღვაში, ყველანი მახეში ჩავცვივდით, სამოვარში წყალს ასხამდით ან შემოდით, ან გადით, ორჯერ ჩაარტყი თავში, გემოვნებაში ჩამცა, მახეში არ ჩავევარდებოდით, წყალს ასხამ ქვაბში, შეიძლება შემოვიდე?, მირბის ჩა-

ვარდეს შიგ, ამ საღამოს ოპერაში მივდივართ, ნავილებ თეირანში, ცოტა ჰაერი შემოვიდეს ოთახში, შევიდა/ნავიდა ოთახში, შემობრძანდით შიგნით“ და ა.შ.

ნიმუშები მოპოვებულია სტანდარტული სახელმძღვანელოებიდან, კინოფილმებიდან, პრესიდან, ლიტერატურიდან და ირანელთა სამეტყველო ნაკადიდან.

ხაზგასასმელია, რომ მასალობრივადაც და ზოგადტიპოლოგიური თვალსაზრისითაც, ეს ინოვაცია უთუოდ სასაუბრო ენაშია წარმოშობილი, ხე-ბე წინდებულის ანალოგიითა და თავად *თ-თ-ს ფუნქციის გაორება-გაყოფით*, სპლიტიზაციით (ინგლ. split „გახლეჩა/გაყოფა“). ამგვარი ტრანსპოზიციული ცვლილებები დამახასიათებელია ზოგადად წინდებულთა დინამიკისთვის. ამდენად, ეს საუკეთესო მაგალითია თანამედროვე სპარსულის ვითარებაში *გოფთარის* გავლენისა *ნევეშთარიზე*. *თ-თ-ს* ეს ფუნქციური მკვეთრი გაორება უთუოდ ხაზგასასმელია ენის სწავლებისას.

8. RA-რა. IA-რა თანდებულის სპეციფიკაციები თანამედროვე სპარსულში საინტერესოა ორმხრივად: ა) ძველი ფუნქციების ციკლური წარმოჩინების ფრაგმენტული ნიმუშები თუ ცალკეული შემთხვევები; ბ) ინოვაციური გამოყენების ფენომენი.

ზედმეტია იმის ხაზგასმა, თეორიულ-ტიპოლოგიური შეფასების გარდა, ორივე ამ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს ენის სწავლების/შესწავლის პრაქტიკისთვისაც.

სინამდვილეში ამ ერთადერთი სპარსული (ირანული) თანდებულის მრავალფუნქციობა, ერთი მხრივ, მეორე მხრივ – მისი ხშირად ორაზროვანი და ბუნდოვანი სემანტიკა არაერთხელ გამხდარა სპეციალურ გამოკვლევათა საფუძველი (ტომპსონი, ლაზარი, რუბინჩიკი, გადილია, ვერეტენიკოვი, ვიდრინი, სახოკია, და სხვ.: იხ. ბიბლ.) ამ გამოკვლევებში კი, დეფინიციათა და ტერმინთა კვალიფიკაციათა და კოდირებისათა მრავალფეროვნებასაც ვხედავთ (მდრ. ბიბლ.). – რა ხან განსაზღვრებითი არტიკლია, ხან გამოყოფითი არტიკლი, ხან რთულ ზმნათა ორმაგი ზოგადი ობიექტის ნიშანი, ხან საკმაოდ გაურკვეველი მნიშვნელობისა და ფუნქციის მატარებელი მარკა; ხანაც სინკრეტული მორფემა, რომელიც ერთსა და იმავე კონტექსტში შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული ან გაგებულ როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ობიექტის ან უბრალო დამატების მარკად (დემეტრაშვილი). ბოლო წლებში განსაკუთრებით გახშირდა საუბარი –რა თანდებულის არაორდინალური, არატრადიციული ხმარების შემთხვევებზე თანამედროვე სპარსულში.

(ვერეტენიკოვი, ვიდრინი, ნაჯაფი და სხვ.; იხ.ბიბლ.). ჩვენც მათ შორის, ჩვენი მხრიდან, ვეკუთვნით იმ ავტორთა რიცხვს, ვინც ერთ-ერთმა პირველმა ხაზგასმით და გამოკვეთილად აღნიშნა თანამედროვე სპარსულში –რა-ელემენტის ერთადერთ (ან დომინირებულ) ენობრივ ნორმად საყოველთაოდ აღიარებული ფუნქციისგან (განსაზღვრული პირდაპირი დამატების მარკირება) განსხვავებული მნიშვნელობებით ხმარება (სახოკია, 1998, 2004/2006). აქ ორივე ზემოხსენებულ ფაქტორს გამოვეყოფთ, რომელთაგან მეორე (ინოვაციები) არც კი განგვიხილავს აქამდე დანვრილებით.

ა) ირიბი –RĀ თან.სპ.-ში (ირიბი დამატება, უბრალო დამატება, გარემოება, ირიბი სუბიექტი სპეციალურ კონსტრუქციებში-ში): ციკლურობა – ძველი ფუნქციების ასახვა-ალორძინება.

ნიმუშები: išan-rā ci šode? შდრ. ci-š šode?. hic ci-š namiš (ტელევ., საუბ.) „მათ/მას-რა/კლიტ. რა მოუვიდა (თ)?“ „მას არაფერი მოსდის (ემართება)“ (ირ. ობ.); mā-rā migui? (რადოვ.31) „ჩემზე/ჩემ(ჩვენ)ს შესახებ ამბობ/იტყვი?“ (უბრ.დამ.); inrā miguyand შდრ. be in ce miguyand (გიუნ. 142) „ამას რას ეძახიან, ამას რა ჰქვია“ (ირ. ობ.); marā forsate farār bud. amma jor'āte farār nabud (ფილმი „გაბე“) „გაქცევის საშუალება მქონდა, მაგრამ გაქცევის გამბედაობა არ მქონდა“ (ირიბი პოსეს. სუბ.); har kerā del roušan ast (ტელ.) „ვისაც გული ნათელი აქვს“ (ირიბი პოს. სუბ.); xāhaše javānīnrā dar ān rāh nabud (საკ.ნ., 156) „ახალგაზრდების სურვილს იმაში გზა არ ჰქონდა“ (ირიბი პოს. სუბ.); še kār konand bastanīrā. bačehārā še kār konam, pesaramrā še kār kardand (ფილმ. „სიბ-ვამლი“, „დო ზან-ორი ქალი“, საუბ.) „რა უქნან ნაყინს, ბავშვებს რა ვუყო, ჩემ ბიჭს რა უქნეს“; და ა. შ. ამას ემატება ზოგადად სხვადასხვა რთული ზმნების ორაზროვანი დამატებებიც: პირდაპირი თუ ირიბი დამატება? – ისეთ რთულ ზმნებთანთან (რზ), როგორიცაა: kār kardan. jā dādan. negāh kardan და სხვა მრ.; განსაკუთრებით მკვეთრია ირიბი ობიექტის შესაძლებლობა ისეთ დამხმარე ზმნებთან, როგორიცაა „მიცემა, თქმა“ და მისთ (იხ. სახოკია, 1998, 2004/2006, შდრ. დემეტრაშვილი,, ხადარცევი).

აქვე გასათვალისწინებელია გაყინული არქაული ფორმებიც, როგორიცაა: šerā. xodmīrī „რისთვის=რატომ (უბრ.დამ.); ღვთის გულისათვის (უბრ.დამ.)“ და სხვა.

გარემობითი –რა გვხვდება „თბილისის აღწერაში“ (იხ. სალტანე), აღინიშნება „ხალხურ ლექსიკონში“ (ხალხ.ლ.), სახელმძღვა-

ნელოებში (მაგ., ფანჯ.ოსთ.,ბასირი11,14), ლექსიკონებში (ოქჩინ.) და რაც მთავარია – სალაპარაკო ენაში: ფიქსირდება დროისა და ადგილის გარემოება, შესაძლოა სხვაც. ტიპები: *umruz-rā manzel hastam, emsal-rā Iran miimunān. omāsh-rā injā baš; kojā-ro negāh mikoni?unjāro hebin!* „დღეს სახლში ვარ, წელს ირანში ვრჩები, ამაღამ აქ იყავი; სად იყურები? იქ უყურე! (გარემ.-რა)“ და მისთ. თუ ამ გამოყენებას XX სკ.-ის დასაწყისიდან ვაფიქსირებთ და კლასიკაში არ გვხვდება, შესაძლოა, ისიც შედარებით და გარკვეულწილად ინოვაციურ გამოყენებას მიეკუთვნოს. ჩანს, ისიც სასაუბრო ენიდან მომდინარეობს.

ბ) –RĀ –ს ახლებური გამოყენება: ზმნის შემდეგ; შემოკლებულ რთულ წინადად.-ში – ინოვაციები.

čand tā qābe čini ke sāl tā sāl tuye sanduq xāk mixord-RĀ, bar dāšt va bar gašt (ფაჟეაქ) „რამდენიმე ფაიფურის სინი, რომელიც წლიდან წლამდე ზანდუკში, იმტვერებოდა/მტვერს ყლაპავდა (პირდ.-დამ.-ის -რა), ამოიღო და წავიდა“; *omidvārim amvāle farhangiye kešvar ke be toure bi qānuni az mamlakat xārej šode ast-RĀ. bāz pas begirim* (ვერეტენიკ.139) „ჩვენ ვიმედოვნებთ, ქვეყნის საგანძურებს, რომელიც გატანილი იყო (რა) უკანონოდ, კვლავ დავიბრუნებთ“; *bexatere inke shoma va gorohetan roze 9 october be marze Astara miresand loifan liste asami afradi ke mixahand ba ham dar otaghe 3 taxte bashand-RA beferestid* (E-mail: 5 oct.2005. 16:41:28, Vala Parsian Tour, georgiapost55@mail.ru, h.m.pouri@parsonline.net) „იმის გამო, რომ თქვენ და თქვენი ჯგუფი 9 ოქტომბერს ასთარის საზღვარს მიაღწევს, გეთაყვათ, იმ პირების სახელების სია, რომელთაც სურთ, სამსაწოლიან ოთახში ერთად იყონ (რა), გამოგვიგზავნეთ“.

ამგვარი უჩვეულო გამოყენება ბოლო წლებში აღნიშნულია რამდენიმე ავტორთან (ვერეტენიკოვი, ვიდრინი, ნაჯაფი). მათ შორის ზოგი თვლის, რომ ეს არასწორი ხმარება უნდა აღიგავოს (ნაჯაფი), მაგრამ ამას ეწინააღმდეგება ზემომოყვანილი ნიმუშები თანამედროვე სპარსული პროზის აღიარებული ოსტატების თხზულებებიდან, ისევე როგორც – სახელმძღვანელოებიდან. ჩვენი აზრით, ეს საკითხი ნორმათა დიქტატით კი არ გადაწყდება, არამედ ქვეცნობიერი ენობრივი დინამიკური მორფოსინტაქსური ნაკადით. სწავლებისას კი უნდა მივანოდოთ ეს ხმარება არა როგორც ნორმა, არამედ როგორც ჯერ-ჯერობით არსებული ინოვაცია, რომელიც სამეცხველო ნაკადიდან უკვე შეიჭრა ბეჭდური ენის სფეროშიც. ზოგადტიპოლოგიური თვალსაზრისით

ეს მოვლენა კვლავაც შესასწავლია, თუმცა ახლავე შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს აქტუალურ ხაზგასმასთან, პრაგმატულ გამოყოფასთან.

დაახლოებით იგივე ითქმის მეორეგვარ ინოვაციაზე: პირდ-დამ.-ის-*RĀ*-ს გადასმა გარდამავალი ზმნის ველიდან გარდაუვალი ზმნის ველში, – მთავარ წინადადებაში განსაზღვრებითი რთული წინადადების განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებად. მაგალითები: *ketābirā ke man ruyē miz migozāram, sangin ast; mardirā ke to mibini, duste pedaram ast; ketābirā ke man bc to dādām. māle bahrām ast; mardirā ke dar xiābān mibini, pir ast* (ზარყამ., ტ.3., 30-40;საუბ.) „ნიგნი, რომელსაც მაგიდაზე ვდებ, მძიმეა; კაცი, რომელსაც ხედავ, მამარემის მეგობარია; ნიგნი, რომელიც მოგეცი, ბაჰრამისაა; კაცი, რომელსაც გამზირზე ხედავ, მოხუცია“.

ფენომენი შესასწავლია, თუმცა ახლავე შეიძლება ითქვას: აშკარაა, ერთი მხრივ, წინადადების შემოკლების ტენდენცია; მეორე მხრივ კი – კვლავ აქტუალიზებული ხაზგასმა და პრაგმატული გამოყოფა. ამ ინოვაციის მიწოდებაც უნდა მოხდეს სწავლებისას, როგორც არანორმატიული ვარიანტისა, რომელიც შეიძლება შეგვხვდეს არა მარტო საუბარში, არამედ ბეჭდურ ენაშიც.

9. ირიბსუბიექტური სპეციალური კონსტრუქციები, მათი სემანტიკური და გრამატიკული ჯგუფები. სემანტიკურად ან გრამატიკულად მოტივირებული სპეციალური კონსტრუქციების მთელი კომპლექსი სრული დიაქრონიული დიაპაზონით განიხილება დანვრილებით ჩვენს ადრეულ შრომებში (იხ.ბიბლ.). ძირითადად ესენია: პოსესიურობა ანუ ქონა-ყოლა, აფექტურობა ანუ გრძნობა-გონება, ერგატიულობა ანუ ირიბაგენსური გარდამავლობა, სახელდება, ნომინალობა, რთულზმნიანობა, ორპრედიკატულობა, რელატივები, იმპერატივები, კოპულატიური ფრაზები, წარმოშობა-ნათესაობისა და სხვადასხვა კუთვნილების წინდებულებიანი სტრუქტურები, კვაზიაგენსური კონსტრუქციები და სხვა.

ამ შემთხვევაში გვსურს საგანგებოთ ხაზი გავუსვათ ირიბი (ლოგიკური) სუბიექტის გრამატიკული ნიშნით აღბეჭდილ მორფოსინტაქსემებს, რომელიც იმავდროულად სხვადასხვა სემანტიკური ნიშნებით ხასიათდება. ასეთებია: პოსესიურობა, ასაკის გამოხატვა და აფექტურობა. მაგალითები: *čē te, čē bc te, pul-aš nist, pul-emun kame, xāb-am kame. vāz-am pul nis, sard-am-e, garni-am-e, tešn-am-e, gošn-am-e, čand sāl-et-e? čand sāl-eš-e? čand sāl-etun-e? bist sāl-em-e, se sāl-eš-e*, „რა გჭირს, ფული არა აქვს, ცოტა ფული გვაქვს, ცოტა

ძილი მაქვს, კვლავ ფული არა მაქვს, მცირეა, მცხელა, მწყურია, მშია, რამდენი წლის ხარ/ხართ/აა, ოცი წლის ვარ, სამი წლისაა" (საუბ., ტელევიზ., ლიტ., რადიო. 49) და მისთ. მოყვანილ ნიმუშებში ირიბსუბიექტურობა კლიტიკური მორფით აღინიშნება, რომელიც ზოგადტიპოლოგიურად ექვემდებარება ტრანსფორმას ირიბი ობიექტი>ირიბი სუბიექტი: S Oid> Sobl. ბირთვის Vesse+S Obl არსი აქ იგივეა, როგორიც ინვერსიულ ქართულ ზმნებში, რომელიც თარგმანში შესატყვისებადაა მოყვანილი. მაგ.: „რამდენი-წელი-შენდა-არის=რამდენი წელი გაქვს?“ და ა.შ.

სწავლებისას საჭიროა აღნიშნოს, რომ ამგვარი კონსტრუქციები სხვადასხვა სტრუქტურული ვარიანტებით სპარსულის მთელი დიაქრონიის ჭრილში ნორმატიულად მუშაობს. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაეკეთებინათ კლასიკურსა და თანამედროვე სპარსულის მოდელს შორის არსებულ სხვაობებს; მაგალითად, კლასიკურ სპარსულში – რა თანდებულის აქტიურ გამოყენებას ირიბი სუბიექტის გამოსახატავად ისეთ კონსტრუქციებში, როგორიცაა პოსესიური (ქონა-ყოლის), აფექტური (გრძნობის) და სხვა.

10. ნომინალური, უზმნო სტილი. ზმნით ელიპსირებული ფრაზები ძველი სპარსულიდანვე სრული დიაქრონიული ჭრილის დინამიკაში ერთ-ერთი მკვეთრი მორფოსინტაქსური მახასიათებელია. მეტწილად ესაა ჩაშვებული კოპულა („ყოფნა“ ზმნა), – სახელური ფრაზები, რომელიც უხვად გვხვდება საშუალო სპარსულში, კლასიკურ სპარსულ პროზაში, თანამედროვე სპარსულის გოფთარიშიც და ნევეშთარიშიც. სწავლებისას ეს ბლოკიც ცალკე გამოსაყოფია. ნიმუშები: in tamām, man motarjem, šomā monāseb foruš nā monāseb. gušc šeitān kur, man be šoma nasihat, daste xodā hamrāhetun, hazine belāvusul, hamaš xošmāze, injā etelā'ate telefon, la'nat bar mardomāzār, xāneat ābādān, foruš xarāb! šomā faqat motarjem: ku sābun? kifām ku? man nahārxor, āhu domaš kutāh (საუბ., რადიო., პრესა, ტელევიზ., გიუნ. 150) „ეს დამთავრებულია; მე თარჯიმანი ვარ; თქვენ შესაფერისი [ხართ], ვაჭრობა შეუფერებელია; ეშმაკის ყური ყრუ იყოს, მე თქვენ რჩევას [გაძლევთ], ღმერთის ხელი შენი თანამგზავრი [იყოს], ხაზინა დაზარალებულია, ყოველივე გემრიელია, აქ ტელეფონის ცნობები [ა], წყევლა ხალხის მჩაგვრელთ, შენი სახლი აყვავებული იყოს, გაყიდვა ჩავარდნილია, თქვენ მხოლოდ თარჯიმანი [ხართ], სად [აა] საპონი? ჩემი ჩანთა სად [აა]? მე სადილის მჭამელი ვარ, შველი – მისი კუდი მოკლე [ა]“ და მისთ.

როგორც ვხედავთ, ზმნის (კოპულის) ელიპსისი (ჩამევა) ხშირად თავისთავად ლოგიკურად განაპირობებს პირობით ინვერსიასაც, მათ შორის უმაღლესი ხარისხის ინვერსიულ მოდელს პრედიკატი+სუბიექტი (პს) წარმოადგენს (მაგ.: ku [*ast] sībun „სად[ა] საპონი“.

11. განუსაზღვრელობის ი-სუფიქსისა და -რა თანდებულის ერთდროული ხმარება პირდაპირ დამატებასთან მარტივ წინადადებაში: i+rā. -რა თანდებული ზოგჯერ გვხვდება პირდაპირ დამატებასთან განუსაზღვრელობის i-ი სუფიქსთან ერთად. განსაზღვრება-განუსაზღვრელობის კატეგორიების თანამედროვე ტრადიციული ნორმების მიხედვით ამას შეიძლება „შერეული მარკირება“ ვუნოდოთ. -ი სუფიქსს „გამოყოფით არტიკლსაც უწოდებენ“, რაც ამ შემთხვევისთვის უპირიანად გვეჩვენება (იხ.გადილია). ეს ხმარება კლასიკურ სპარსულშიც გვხვდება. ახალსპარსულის ეს ფენომენი კელავაც შესასწავლია გრამატიკული სემანტიკის თვალსაზრისით. ჩვენი აზრით, აქ ადგილი აქვს ერთი გარკვეული საგნის (პირდაპირი დამატების) პრაგმატულ გამოყოფას და მის განსაზღვრას გამოყოფის არტიკლის დამატებითი გამოყენებით ზოგადად განსაზღვრულ -რა არტიკლთან ერთდროულად. ამით „ეს ერთი საგანი“ კიდევ უფრო მეტად გამოიყოფა და კონკრეტდება. მაგ.: ba'd az se čahār daqiçe šomārc-i-rā dād (რადოვ. 69) „სამი-ოთხი წუთის მერე ერთი[რალაც გარკვეული] ნომერი მომცა“; bejāye vey šaxse digar-i-rā mansub nemāyad (კალინ. 24) „მის ადგილას სხვა პირი [ერთი გარკვეული] დანიშნოს“; xanum šomā če zabānhā-i-rā midānid? (ფათ.-კალ. 89) „ქალბატონო, თქვენ რა ენები[რალაც გარკვეული] იცით?“; kas-i-rā nemibinad (ვიდრ.) „ვერავის ხედავს“; ketāb-i-rā āvard, majale-i-rā did (საუბ.) „ერთი[გარკვეული] წიგნი მოიტანა, ერთი[გარკვეული] უფრნალი დაინახა“: yek ketāb-i-rā nečāh mikardam namixāndam; čonin čizhā-i-rā dar on bebinad (ვიდრ.) „ერთ [გარკვეულ] წიგნს ვუყურებდი, არ ვკითხულობდი; ისეთი რალაცეები[გარკვეული] მასში დაინახოს“; mard-i-rā did, man ketāb-i-rā xaridam. tarh-i-rā dāštand (ვიდრ.) „ერთი[გარკვეული] კაცი დაინახა, ერთი[გარკვეული] წიგნი ვიყიდე, ერთი[გარკვეული] გეგმა პქონდათ“: მოვიყვანთ ნიმუშებს კლასიკური სპარსულიდანაც არა მარტო პირდაპირი დამატებისთვის, არამედ სპეციალური კონსტრუქციის (პოსესიურის) ირიბი სუბიექტისთვისაც: digar-i-rā dar avaze ta'in o arz nemāyad (Sani, 377,საისტ.) „სხვა [ერთი გარკვეული] ნაცვლად დადგენილისა და პატივისა

წარმოადგინოს"; hič āfaride-i-rā qodrate ān nist (Xandamir, 287, საისტ.) „არავითარ [ერთ გარკვეულ] სულიერს არა აქვს იმის ძალა“.

სწავლებისას აუცილებელია ეს საერთო ნორმისგან განსხვავებული ფენომენოლოგიური გამოყენება სათანადოდ იყოს აღნიშნული და ახსნილი.

12. რიგის დინამიკა: ნორმა, ტენდენცია და ინვერსია ეპოქების მიხედვით.

საყოველთაოდ ითვლება, რომ თანამედროვე სპარსულის სტანდარტული რიგი ნორმირებულად სტაბილურია ბირთვით SOP - სოპ და შემდეგი ძირითადი მოდელით:

At+S+Od+Oid+Oext+Ap+Act+Apurp.+Acirc.+P(V)

(გარ-ქვემ.-დამატ.-გარ-შემასმ.).

(დანვრ. იხ. სახოკია, 1982, 1998, 1985, შდრ. მაჰმუდოვი). სინამდვილეში ასეთი მოდელის სქემა დიდწილად პირობითია.

იმავდროულად სალაპარაკო ენის (*გოფთარის*) ნაკადში საკმარისად გავრცელებულია ინვერსიის შემთხვევები, რომელთა სიხშირე თავისუფალი რიგის ხარისხს უახლოვდება. *გოფთარის* ეს დინამიკა ბექდურ ენაშიც, *ნევეშთარიშიც* იჩენს თავს. განსაკუთრებით აღსანიშნავია უმაღლესი ხარისხის – პრედიკატი-სუბიექტი (პს) და პირველი ხარისხის – პრედიკატი-ობიექტი (პო) ინვერსიები, როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ (1998). მესამე ხარისხი – პრედიკატი-გარემოება (პადე), ხოლო პ-ის გარეშე ინვერსიები მეოთხე-მეხუთე ხარისხისაა (მაგ., ოს, ს-ო-ადვ-ს მიმართება) და ა. შ.; ანუ პოსტპრედიკატულობიდან (სოპ-ბირთვის დარღვევის ათვლის ნერტილიდან) ვარიანტებით: სუბიექტი-ობიექტი-პრედიკატი – სოპ>[ოპს, [სპო, სხვა ნევრთა მიმართებაზე გადასვლისკენ კლების ხარისხით. ყველაზე იშვიათია პს, პო საკმაოდ ხშირია, ისევე როგორც პადე; ძალიან ხშირად ბოლოკიდურობს პრედიკატის სახელური ნაწილი – პრედიკატული სახელიც. მაგალითები: sarbāz-am man (პოლ.ნას. 395) „ჯარისკაცი ვარ მე“; diruz rafte budam sinemā (პოლ.ნას. 395) „გუშინ წასული ვიყავი კინოში“; bar gašt xāneye man (პოლ.ნას. 341) „დაბრუნდა ჩემს სახლში“; alān berid forušgāh (საუბ.) „ახლა(ვე) წადით უნივერსიტეტში“; Irān kešvarist dārāye hokumate jomhuriye eslāmi (კალ. 24) „ირანი ქვეყანაა ისლამური რესპუბლიკური ხელისუფლების მქონე“; če kār konand bastanirā (ფილმი „სიბავაშლი“) „რა უქნან წაყინს“; xub baladand zabāne farsirā (საუბ.)

„კარგად იცინა სპარსული“; komak kardand be man (საუბ.)
„დამეხმარნენ მე“ და მრ. სხვ.

ღიაქრონიულ-რეტროსპექტული მიმოხილვა ავლენს იმ საერთო ვითარებას, რომ სტაბილური რიგი სპარსული ენის ისტორიაში მთელი მისი დინამიკის მანძილზე ძირითადი ტენდენცია უფროა, ვიდრე *აბსოლუტური ნორმა*. პოსტპრედიკატული სიტყვათგანლაგება, რომელსაც ზემოხსენებული ძირითადი ტენდენციის სანი-ნალმდეგოდ *თავისუფალი რიგი* შეიძლება ეწოდოს, საკვებით გავრცელებულია ძველ სპარსულსა და საშუალო სპარსულში (იხ. პალე, მეკარსკა, შდრ. სახოკია 1998); საერთო ახალსპარსულ ეპოქაში კი ტენდენცია, ნორმა და ინვერსია სხვადასხვა ხარისხითა და შეფარდებით მერყეობს შიდა პერიოდების შესაბამისად. კერძოდ, ჩვენ მიერ გამოვლენილია რიგის დინამიკის ქვეპერიოდები კლასიკური სპარსული, პროზაული, ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ძეგლების მონაცემების მიხედვით (დანერ. იხ. 1998):

ა) ადრეული პერიოდის ძეგლებში რიგი უმეტესწილად თავისუფალია (X-XII სკ.: ბალამი, ბუხარა და სხვ.იხ.საისტ.); მაგ., „ფარს-ნამეში“, რომლის ტექსტური სემანტიკა (გეოგრაფიული აღწერა) გამორიცხავს მოტივირებას, ადგილთა პირველადი აღწერისას 20 ნიმუშიდან ერთია ნორმირებული ზმნა-კოპულის ბოლოკიდურობის თვალსაზრისით, ხოლო 19 – პრედიკატული სახელის პოსტპრედიკატული (პოსტკოპულური) მოდელითაა განწყობილი (პირველადი და გეოგრაფიული აღწერები) (იხ. სახოკია, 1982, 1998; ფარსნ.).

ბ) XIV სკ.-ის ძეგლში ინვერსია საგრძნობლად კლებულობს (ჯუფეინი,საისტ.).

გ) სეფიანთა ეპოქის ძეგლებში რიგი სტაბილურდება და სოპ – ბირთვის ძირითად ნორმას გვიჩვენებს. იმავდროულად იგი არ არის აბსოლუტური და გვხვდება არამოტივირებული თუ მეტნაკლებად მოტივირებული ინვერსიაც (XVI-XVIII სკ.; XVIII სკ.).

გ) XIX სკ.-ის ბოლო ხანების – XX-ის დასაწყისის მონაცემების მახასიათებლად წარმოდგენილი შეიძლება იყოს ძეგლი „თბილისის აღწერა“, სადაც ინვერსია კვლავ აქტიურდება და ეს ციკლური დინამიკა გრძელდება თანამედროვე სპარსულში, როგორც უკვე ითქვა, – ერთგვარი ტენდენციის სახით წამყვანი ნორმის ფონზე.

ცხადია, იგულისხმება, რომ მხატვრულ ლიტერატურაში ინვერსია მეტადაა დასაშვები აპრიორულად და მეტადაა მოტივირებული, ვიდრე ეს ისეთ ნეიტრალურ ტექსტებში გვაქვს, როგორიცაა, მაგალითად, ისტორიული თუ გეოგრაფიული ტექსტები.

ამგვარად, სპარსულის სწავლების პროცესში შეგვიძლია სტუდენტებს ვუთხრათ, რომ სტაბილური და ფიქსირებული რიგი ძირითადი წესია, მაგრამ არა აბსოლუტური ნორმა; ამასთანავე, აღნიშნული ნორმისა და ინვერსიის (ანუ თავისუფალი რიგის) პროპორციული შეფარდების დინამიკა სპარსულის დიაქრონიულ წრილში ციკლურად ცვალებადია.

რაც შეეხება სპეციალური კონსტრუქციების (სპკ) რიგებს, ნორმა და ინვერსია ყველა სპკ-ში თავისია და შინაგანი. იგი შესაბამისად განიხილება დანვრილებით ყოველი სპკ-ს მიმართ (იხ. სახოკია, 1998). მაგ., ორპრედიკატულ სპკ-ში ნორმაა "ზმნა+პრედიკატული აქტანტი" და პირიქით – ინვერსიაა. მაგ.: *šoru' kard [be] mo'āene kardān* (გაზ.ნ, რადოვ.56) „დაიწყო გასინჯვა“; ასევე რთულ ზმნებში: „სახელი+ზმნა“ ნორმაა, მაგრამ გვხვდება ინვერსიაც: *begir bexāb, bezan hālā. bezan/zadim/mizanim kenār. kandim/hekanim az bālā. bekan az bālā. ofīāde dombālam. bekaš/bekašam kenār. begozār kenār. boro jelou. boro pāin. āmad bālā. benzin nemiād hālā. rafī dombāl. hefārimāid tu. biād/biām tu. mikašandaš pāin* (საუბ.,, პრესა, დანემვ.227, რადოვ. 39,50,53,55,57,74,გაზ.6) „დაიძინე, ანოე მალლა, გაიწიე გვერდზე, ჩამოვიღებთ ზევიდან, გაჰყვა კვალდაკვალ, ნადი წინ, ჩამოდი ძირს, ავიდა ზევით, შემობრძანდით შიგნით, შემოვიდე(ს) შიგნით, ქაჩავდა მას ქვემოთ“ და ა. შ.

სხვადასხვა სახის ინვერსიები გაბნეულია აგრეთვე ამავე ნერილის სხვა მუხლებში წარმოდგენილ მაგალითებშიც.

საერთო დასკვნა. როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი ფაქტები და მათი კოდიფიკაცია სიახლეს შეიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

როგორც მეცნიერულ-თეორიული ტიპოლოგიური ლინგვისტური ანალიზისას, ისე სწავლებისას, სინამდვილეში ღირებული და ფასეული ჩანს არა ოდენ ნორმატიული თუ პარციული (ფრაგმენტული), არამედ პერიფერიული მორფოსინტაქსური ბლოკები და იშვიათი, უნიკალური შემთხვევები და გამონაკლისებიც. სპარსული მორფოსინტაქსის განხილვის საფუძველზე ვასკენით, რომ მცირე რაოდენობის საყურადღებო სტრუქტურული მოდელები თუ გამონათქვამებიც დიდწილად მაღალი საკოდიფიკაციო ხარისხით ხასიათდება; მით უმეტეს, თუ ისინი აქტიურად არიან ჩაბმულნი ცოცხალი სალაპარაკო ენის სამეტყველო ნაკადში.

ბიბლიოგრაფია

1. აბულყასემი-Dasture 'Tarixiye Zabane Farsi, Samt., Tehran, 1375. Historical Grammar of the Persian Language;
2. აბუმალჰუბი-.-Abumalhub M.A., Persian Language Structure. Saxe Zabane Farsi, Tehran, 1996.
3. აზფა- AZF (Azfa), Persian Language Teaching. Elementary Course, By Yadollah Samareh, Tehran, BB. 1-5.
4. ალ. ბურჯ. ყორჟ. შურდ. – ლექსიძე მ., ბურჯანაძე მ., ყორყოლიანი ლ., შურღაია თ. – სპარსული ქრესტომათია, მე-3 ტ., ახალი სპარსული ლიტერატურის ნიმუშები, თბილისი, 2006.
5. ამიდ –Hasan Amid. Farhange Amid. 1375, Tehran, 3 ა.(სპარსული ენის განმარტებითი ლექსიკონის სამტომეული).
6. ამინ მადანი- ლუტცი- Amin-Madani S., Lutz D., Persische Grammatik, Heidelberg. 1972.
7. არენდსი – Аренде А., Синтаксис персидского языка , М-Л, 1941.
8. ბათენი-Bateni M. R., Tousife saxtemane dasturie zabane farsi, Ent. Amirkabir, Tehran, 1377.
9. ბასირი- Basiri M. S., Mohavereye Farsiye Emruze Iran: Ketabe darsi, Gostareshe Zabane Farsi, Tehran, 1997.
10. ბერეზინი- Березин Н., Грамматика персидского языка, Казань, 1853.
11. ბოილი-Boyle L. A., Grammar of Modern Persian, Wiesbaden, 1966.
12. გაფაროვი – М. А. Гаффаров, Полный персидско-русский словарь, 1-2 ტ., Москва. 1927.
13. გაზეთი – Ettela't, 1995, 14 სექტემბერი, 20574.
14. გივი, ანვარი – Givi H A., Anvari H. Dasture Zabane Farsi, 1-2. Tehran, 1375.
15. გიუნაშვილი – გიუნაშვილი ჯ., სპარსული ენის სახელმძღვანელო, თბილისი, 1987.
16. გლადკოვა- Гладкова Н., Учебник персидского языка, Москва, 1999-2001
17. დაბირ-მოყადამი 1990 – Dabir-Moghaddam Mohammad, Piramune ra dar zabane farsi (On postposition –ra in Persian) Majalloye zabansenasi (Iranian Journal of Linguistics), 7(1), Spring/Summer, Tehran, p. 2-60.
18. დაბირ-მოყადამი 1992 – Dabir-Moghaddam Mohammad, On the (In)dependence of Syntax and Pragmatics: Evidence from the Postposition –ra in Persian), D. Stein (ed.), Cooperating with Written Texts. Berlin: Mouton de Gruyter.
19. დანეშვარი – Dancshvar Simin, Sovešun, Xorezmi. თეჰრან, 2000. (თან. სპ. რომანი)
20. დემეტრაშვილი – დემეტრაშვილი თ., აქტანტთა კლასიფიკაცია სპარსული ენის დიაქრონიულ ჭრილში, საკანდიდატო დისერტაცია და ავტორეფერატი, თბილისი, 2006.
21. დეჰხოდა – Dehxoda Ali Akbar. Loqat-Nameh, Farhange Zabane Farsi, Rasht-Tehran, 1349.
22. დღე-სპ. – Farhange Farsiye Emruz, Tehran, 1375, Gh. S. Afshar, N. Hakami, N. Hakami, Virayeshie dovvom. A Contemporary Persian Dictionary. (დღე-ვანდელი სპარსული ენის ლექსიკონი).

23. ვერეტენიკოვი – Веретенников А. А., Об одной парадигматической инновации в современном персидском языке (некодифицированная функция послелога -ra), Вопросы языкознания, М. 1994, 03, 134-139.
24. ვიდრინი – Выдрин А.П., Система детерминации прямого дополнения и подлежащего в персидском языке, Четвертая Международная школа по лингвистической типологии и антропологии, Ереван-ЦахКадзор, Материалы лекций и докладов, Москва, 2005, 114-116.
25. ვინდფურტი – Windfuhr G.L., Persian Grammar, History and State of its Study, Trends in Linguistics, 12, Mouton, Hague, 1979
26. ვოსკანიანი – Восканян Г. А., Русско-персидский словарь, Москва, 1986.
27. ვადილია – Гадиллия К.Т., Выделительный артикль и числительное «один» в персидском языке, Мацне, Тбилиსი, 1, 1993, , 128-143.
28. ზარყამიანი – Zargamian Mehdi, Doureya Amuzeshe Zabane Farsi, 1-2-3 J., Tehran, 1377 (სახელმძღვანელო).
29. ზალემანი-ჟუკოვსკი – Залеман К., Жуковский В. А., Краткая грамматика новоперсидского языка, Санкт-Петербург, 1890., Salemann С., Shukovski V., Persische Grammatik, Leipzig, 1947.
30. თუშიშვილი 2000 – თუშიშვილი ლ., კლასიკური სპარსული ენის ელემენტარული გრამატიკა, თბილისი, 2000.
31. თუშიშვილი 1970 – თუშიშვილი ლ., სპარსული ქრესტომათია ლექსიკონით, თბილისი, 1970.
32. იადგ. – Jadgare Xoshksalihaye Baq, Nilufar, Tehran, 1999. (თანამედროვე სპარსული პროზა, კრებული).
33. იე–Иранское языкознание, Москва, 1980-1981-1982-1985-1987.
34. იეს–Основы иранского языкознания, М., 1979-1981-1982-1987-1991-1999-2001-2004.
35. იეიტკე – Опыт историко-типологического исследования иранских языков. тт. 1-2, Эволюция морфологического типа, Эволюция грамматических категорий, М., 1975.
36. იეშიმ–Очерки по истории изучения иранских языков. М., 1962.
37. ივანოვი – Иванов В.Б., Учебник персидского языка, Ч., 1, М, 1999.
38. იუნკერი, ალავი – H.F.J. Junker, B. Alavi, Persisch-Deutsches Wörterbuch, Leipzig, 1965.
39. კალინინი – Калинин Е. Л., Учебное пособие по военному переводу, персидский язык, Тбилиსი, 1-2, 1984, 1991.
40. კალინინი, კვირიკაშვილი – კალინინი ე., კვირიკაშვილი ც., ირანული პრესის მასალების ქრესტომათია, თბილისი, 1974.
41. კვაჭაძე, მეგრელიშვილი – კვაჭაძე მ., მეგრელიშვილი ქ., – საკითხავი ნიგნი სპარსულში, თბილისი, 2005.
42. კომპ–Compendium Linguarum Iranicarum, Wiesbaden, 1989.
43. კობიძე – კობიძე დ., სპარსული ქრესტომათია, 1-2, თბილისი, 1963, (1984), 1967.
44. ლაზარი 1957–Lazard G., Grammaire du persan contemporain, Paris, 1957.

45. ლაზარი 1963–Lazard G., *La langue de plus anciens monuments de la persan*, Paris. 1963.
46. ლაზარი 1966 – Lazard G., *L'enclitique nominal – i en persan*, BSL., Paris, t. 61, p. 249-264.
47. ლაზარი 1982 – Lazard G., *Le morpheme –ra en persan et les relations actanciennes*, BSL, t. 77, p. 177-207
48. ლაზარი 2001 – Lazard G., *Le morpheme –ra en persan et les relations actanciennes. Etudes de linguistique generale: Typologie grammaticale*, Peeters, Leuven-Paris.
49. ლამბტონი– Lambton A.J.S. , *Persian Grammar*, Cambr., 1961
50. მაზუროვა 2000 – Мазурова Ю.В., *Абсолютная ориентация в персидском языке. Вторая зимняя типологическая школа, Материалы Международной школы-семинара по лингвистической типологии и антропологии*, Москва, 2000, 148.
51. მაზუროვა 2002 – Мазурова Ю.В., *НА и НАД - проблема контакта. Третья зимняя типологическая школа, Материалы Международной школы-семинара по лингвистической типологии и антропологии*, Москва, 2002, 196..
52. მაჰმუდოვი – Махмудов Г. Ш. *Огли. Структурные типы и члены предложения совр. перс. яз.*, Докторская дисс., Баку, 1981.
53. მეკარსკა 1984–Mekarska B., *Word Order in Middle Persian*, Folia Orientalia, t. XXII, Krakow, 1981-1984, 23-67.
54. მეკარსკა 1972–Mekarska B., *Some Problems of Syntax in Middle Persian. The Non-final position of the Predicate in the Sentence*, Folia Orientalia, Warszawa-Krakow, v. 13, 1972, 201-207.
55. მე6 – *Языки мира. Иранские языки. I*. Москва 1997.
56. მეშკათოდდინი – Meshkatoddini M., *Persian Transformational Syntax*, Mashhad Ferdousi University, 1996.
57. ნაჯაფი 1378 – Abulhasan Najafi, *Farhange Farsiye Amiane*, 2 tt., Tehran, 1378 (ხალხური სპარსულის ლექსიკონი)
58. ნაჯაფი 1344 – Abulhasan Najafi, „ra“ pas az fe'1, *Nashre Danesh*, Sale 7, Šomareye 6, Mehr o Aban. 1344.
59. ნაჯაფოვი – Наджафов Г. Г., *Персидский язык. Коммерческая корреспонденция и документация*, Москва, 2001.
60. ოვჩინიკოვა 1956 – Овчинникова И. К., *Функция послелога «ра» в современном литературном персидском языке*, Труды института языкознания АН СССР, т. 6, 356-392.
61. ოვჩინიკოვა 1956ბ – Овчинникова И.К., *Использование послелога „ра“ в произведениях таджикских и персидских классических авторов (XI-XV вв.)* Труды Института языкознания АН СССР, т. 6., 392-409.
62. ოვჩინიკოვა-მამედ-ზადე-Овчинникова И. К., Мамед-Заде А. К., *Учебник персидского языка*, чч. 1-2, Москва, 1966-1969.
63. ოვჩინიკოვა 1963– Овчинникова И.К., *Русско-персидский словарь с грамматическим очерком*, Москва, 1963.

64. პალმერი - Palmer A., *The Ezafe-Construction in Modern Standard Persian*, Michigan, 1971.
65. ჰაზოვა 2000 - Панова Ю.Н., *Имплицитивные конструкции в современном персидском языке*, Автореф. канд дисс., М,2000.
66. ჰაზოვა 2002 - Панова Ю.Н., *Условно-уступительные сложные предложения в персидском языке*, Исследования по иранской филологии, Вып. 3, М., 90-107.
67. ჰაზოვა 2004 - Панова Ю. Н., *Ирреалис в персидском языке: прошедшее время, Ирреалис и ирреальность*, Москва, 2004, 330-352.
68. პეისიკოვი 1960 - Пейсиков Л. С., *Тегеранский диалект*, М., 1960.
69. პეისიკოვი 1959 - Пейсиков Л С., *Вопросы синтаксиса персидского языка*, М., 1959.
70. პოლიაკოვი - Поляков К. И., *Практическая грамматика персидского языка*, Москва, 2002.
71. პოლიაკოვი-ნასიროვი - Поляков К.И., Насырев А.А., *Учебник персидского языка*, Москва, 2000.
72. ჟირკოვი-ჯირკოვი - Жирков М., *Персидский язык*, Москва, 1927. -Sidney-San Francisco, 1979, 481-489.
73. რადოვილსკი - Radovilski M.E., *Ma be Farsi Goflegu mikonim*, M., 1972. (ელაჰარაკობთ სპარსულად, სახელმძღვანელო).
74. რაზავი-Razavi Shari, at. *Les prepositions et les locutions prepositives dans le Golestan de Saadi* these de Doctorat, Universite de Paris, 1963.
75. რასტორგუევა 1953-Расторгуева В. С., *Краткий очерк грамматики персидского языка, Персидско-русский словарь*, сост. Б. В. Миллер, М., 1953.
76. რევია - რევია თ., *სპარსულის ნამყო დროების მორფოსინტაქსური დინამიკა (დიაქრონია და ტიპოლოგია)*, საკანდიდატო დისერტაცია და ავტორეფერატი, თბილისი, 2006.
77. რენკინგი-Ranking G.S., *Persian Syntax*, Platts S. T., Ranking G. S. A., *A Grammar of the Persian Language*, Oxford, 1971.
78. რუბინჩიკი 1981 - Рубинчик Ю.А., *Основы фразеологии персидского языка*, Москва, 1981.
79. რუბინჩიკი 1983 - Рубинчик Ю.А., *Грамматический очерк персидского языка, Персидско-русский словарь*, Т.2,М., 1983;
80. რუბინჩიკი 2001 - Рубинчик Ю.А., *Грамматика современного персидского языка*, Москва, 2001;
81. რუბინჩიკი 1960 - *Современный персидский язык*, М., 1960.
82. რუბინჩიკი 1983 - Рубинчик Ю.А., *Персидско-русский словарь*, Т.2,М., 1983;
83. საკ.ნ. - საკითხავი ნიგნი სპარსულ ენაში, შემდგ. ჯ. გიუნაშვილი, თბილისი, 1980.
84. სალტანე - მაჯდ-ოლ-სალტანე, ქალაქ თბილისის აღწერა, გამომც. შაია მამაცაშვილი, თბილისი, 1971. (XX სკ.-ის დასაწყისის სპარსული ტექსტი).

85. სახოკია 1998დის./ავტ.-Сахокия М. М., Дiachроническая типология в морфосинтаксисе индоевропейских и картвельских языков, Автореф. докт. дисс., Тбилиси, 1998. შიპა სახოკია, დიაქრონიული ტიპოლოგია მორფოსინტაქსში: ინდოევროპული/ქართველური. სადოქტორო დისერტაცია და ავტორეფერატი, თბილისი, 1998.
86. სახოკია 1985ოკ-Сахокия М., Двухпредикатные конструкции в истории персидского языка, Типология конструкций с предикатными актангами, Л, 1985.
87. სახოკია 2004 – Sakhokia M., The Principles and Principal Constituents of the Persian Morphosyntax by Diachronic Changes and grammar rules Typology, Proceedings of the First National Congress on Iranian Studies, p. 2, 2004, Tehran, 57-95; Orientalist II, Tbilisi, 2003-2004. 226-258.
88. სახოკია 2003 – Sakhokia M. Object Marking in Persian: Polypersonality and Object Conjugation in Indo-European. Proceedings of the Fifth Tbilisi Symposium on Language, Logic and Computation, Amsterdam-Tbilisi, 2003. 153-160;
89. სახოკია 2004/2005 – Сахокия М., Энклитические морфы в диахронии персидского языка: типология личных маркеров и фрагменты полиперсональности глаголов в индоевропейских языках. პერსპექტივა-XXI, ტ. VI, მიძღვნილი შიპა ანდრონიკაშვილისადმი, თბილისი, 2004\2005, 203-215.
90. სახოკია 1985 – Сахокия М.М., О порядке слов в предложении в классическом персидском, Актуальные проблемы иранской филологии. Душанбе, 1985, 135-142.
91. სახოკია 1982 – Сахокия М.М., Основные вопросы описания структуры предложения в персидском языке (к характеристике проблемы). Вторая Всесоюзная школа молодых востоковедов, Материалы и доклады, М., 1982, 109-111.
92. სახოკია 2005 – Майя Сахокия, О новой грамматике персидского языка на грузинском языке: морфосинтаксис и синтаксис. პერსპექტივა-XXI, Perspective-XXI, VII, Tbilisi, 2006, 184-192.
93. სახოკია 2006 – Сахокия М.М., Вопросы прагматики персидского партаксиса и гипотаксиса, Симпозиум LENCA-3, Прагматика сложного предложения, Томск, Материалы симпозиума, 2 стр., 2006.
94. სტი-*Studia Grammatica Iranica*, Munchen. 1986 (Schmidt-Skjaervo).
95. სეიედი-ვაფაი – Seyedi-Vafai A., Les emplois des prepositions en persan contemporains. these de Doctorat de 3 cycle, de l'Universite de Sorbonne Nouvelle, Paris III, 1974.
96. სის – *Middle Iranian Studies*, Leuven, 1984
97. სპ.საისტ. – სპარსული საისტორო ტექსტები, შემდგ. ჯ. გიუნაშვილი, დ. კაციტაძე, თბილისი, 1963.
98. ტომსონი – Томсон А., Использование и функционирование послелога –*რა* в качестве винительного падежа в современном персидском языке, Доклады Академии наук, АН СССР, Серия Б., №2, 1928. М-Л., 227-232.
99. ფათემი-კალაძე – ფათემი მ., კალაძე ი., ვისაუბროთ სპარსულად, თბილისი, 1973 (სახელმძღვანელო).

100. ფანჯოსთადი – Panj Ostad, Dasture Zabane Farsi, Tehran. 2000.
101. ფაჟევაქი – Nahede Fajvak, Šabe Sarab, Tehran. 1999. თანამედროვე სპარსული რომანი.
102. ფარსნამე – The Farsname of Ibnul Balkhi, edited by G La Strange and R. Nicholson. London, 1921.
103. ფარშიდვერდი – Jomle va tahavvole on dar zabane Farsi, Tehran. 1375.
104. ფარშიდვერდი-2 – Farshidverd H., Gofstarhaye dar bareye dasture zabane Farsi. Tehran. 1375.
105. ფაშანგი – Mostafa Pashang, Farhange Farsi va Risheyabiye Vajegan, Tehran. 1377. (სპარსული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი)
106. ფირდოუსი – Фирдоуси, Шахнаме, М., 1960-1971. ფირდოუსი ა., შაჰნამე, 10 ტომი, მოსკოვი, 1960-1971. (კლასიკური სპ. პოემა, აკადემიური გამოცემა, კომენტარები რუსულად).
107. ფუშეკური-Fouchecour Ch. H., Elements pour un Manuel de Persan, Paris. 1978.
108. ქარიმი 1990 – Karimi Simin, Obliqueness, specificity, and discourse functions: Ra in Persian. Linguistic Analysis 20, p. 139-191
109. ქარიმი 1991 – Karimi Simin, Naqdi bar maqaleye „Piramuine –ra dar zabane farsi „(A critique of About „Ra„ in Persian). Majalleye zabansenasi, 18, (1&2), p 23-41.
110. შამისა – Shamusia S., Dasture zabane Farsi, Ent.Ferdous, Tehran, 2002.
111. შარიათი – Shariat M.G. , Dasture zabane Farsi, Ent Satir., Tehran, 2002.
112. შირაზი- Shirazi M., Farsie Emruz., Tod.P I-II., Shiraz, 1992. 2000.
113. ხადარცევი – Хадарцев О. А., Сложные глаголы с двумя субъектами в персидском языке. Вторая Международная школа по лингвистической типологии и антропологии. Москва, 2000.
114. ხანლარი -ანლარი., დასტურე ზაბანე ფარსი, თეჰრან, შტანდარდ ედ., 1998; (1-2-3).
115. ჯაფარი-Грамматика персидского языка, сост. Мирзою Джафаром. Москва, 1901.
116. ჰაიდერი – Haider H., The Ezafe-Construction from Old to Modern Persian, Historical Syntax, Mouton, 1987, 137-172.
117. ჰაიდერი-ცვანციგერი – Haider H., Zwanziger R., Relatively attributive: The Ezafe-Construction from Old Iranian to Modern Persian, Historical Syntax, ed. by J. Fisiak, Mouton publ., Berlin-New York-Amsterdam, 1987, 137-172.
118. ჰაიმი 1997 – Haim S., The New Persian-English Dictionary, Tehran, Tehran, 1997.
119. ჰაიმი 1374 – Haim S., The Larger English-Persian Dictionary, Tehran, 1-2. 1374/1992.
120. ჰალე – Hale M., Old Persian Word Order, Indo-Iranian Journal, v. 31, N1, 1988, 27-40.
121. ჰენი-Heny, Enclitics in Pahlavi and Early Classical Persian, A Theoretical Analysis, Middle Iranian Studies, Leuven. 1984. 83-94.
122. ჰორნ-ჰიუბშმანი – Horn-Hubshman P., Farhange Asase Eshteqaqe Farsi, Tarjomeye Jahalahafi, Tehran, 1356..

Persian Historical Morphosyntax Data: Theory and Practice

Summary

The world Iranology knows a lot of works connected with the principal foundations of Persian Grammar, namely-of Morphosyntax and Syntax. But it must be stressed that in spite of such works, for a long time the study of Persian Syntax and especially Morphosyntax was not satisfactory. A lot of ambiguous questions and difficulties were not observed. The problems and different special issues of Persian Morphosyntax-Syntax by both diachronic and typological analysis had been the object of my special several researches. The systematization and detailization of morphosyntactic clusters, taxemes and constructions are innovated on the basis of both diachronic and typological analyses and on the synchronic level as well. The present article includes some most important novel views, suppositions and analysis of the data belonging to the principal Constituents of the Persian Language. The subjects and facts mentioned below seem to be of great importance not only to Practice and Language Learning, but also to Theoretical Linguistics and Scientific Historical Grammar Rules. Both aspects – the Scientific Language Study and Theoretical Analysis, on the one hand, and Learning and Practice on the other – are considered here.

The questions such as sequences of taxemes and separate elements represented and observed are the following: 1. Object Marking and Partial Polypersonality; 2. Mobile Clitical Morphs as certain different grammatical and semantic groups; 3. Oblique Subject in different Special Constructions; 4. Prepositional Functions by detailization of Roles; 5. Innovations in functioning of the preposition – TU(Y); directional –TU as synonym of -BE; 6. Alternative and Mixed Object Marking; 7. Nominal phrases - Nominal Style (V Omitted); 8. Postposition – RA as Indirect in Modern Persian; Cycles; Innovations of – RA; Postverbal Mark and Mark Change; 9. Suffix – i and postp. – RA are used together simultaneously; Pragmatic Arguments; 10. S psychological//Pragmatic Subject (Situational Syntax and Pragmatic Semantics); 11. Word Order Problem: Normative Tendency and Free Inverted Versions; Standard and Special Word Orders; 12. Subject Intransitive Mark; Secondary Marking; Cycles and Innovations

ლექსის ფინალური მონაკვეთის ვერსიფიკაციული ინფორმაციის შესახებ

1. ლექსითი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მხატვრული, ტექსტის ფინალურ ნაწილს, საერთოდ, გარკვეული დამატებითი ან განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, პირველ რიგში – სემანტიკური. ლექსში ეს მონაკვეთი ხშირად ფორმალურადაც, მათ შორის ვერსიფიკაციულადაც, არის აღნიშნული და გამოყოფილი, მაგალითად, განსხვავებული მეტრული აგებულების სახით, ან რაოდენობრივად გაზრდილი ან შეკვეცილი სტრუქტურით, ან განმეორების მეშვეობით, როდესაც ეს მონაკვეთი ან მისი ნაწილი პარალელურია, ვთქვათ, დასაწყისი მონაკვეთისა და ა.შ.

ამჯერად ჩემი დაკვირვების საგანი ოდნავ განსხვავებული სახის მოვლენაა, რომელიც, კერძოდ, იმაში გამოიხატება, რომ სალექსო ნაწარმოების ბოლო მონაკვეთი – სტროფი, სტრიქონი ან სტროფის სხვა სახის ნაწილი – იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ტექსტის მთელი წინამავალი ნაწილი შეიცავს ვერსიფიკაციულ ინოვაციას ან უჩვეულო რაღაც მხრივ (მე უკვე მქონდა შემთხვევა გარკვეულ კონტექსტში შევხებოდი ამ მოვლენას – იხ. 1, გვ. 100-101). მექანიზმი ამ დროს ასეთია: ეს, ბოლო, მონაკვეთი პრინციპულად განსხვავებულია დანარჩენი ნაწილისაგან, კერძოდ იმით, რომ მასში არ არის წარმოდგენილი ტექსტში განხორციელებული სიახლე (ან უჩვეულო თუ არამარკირებული ფორმა), არამედ წარმოდგენილია „წნორი“, ფორმა; სხვა სიტყვებით (მე უკვე ვიძლევი წინამდებარე სტატიის დასკვნას): მითითებულია ის ამოსავალი (ეტალონური, ინვარიანტული) სახე, რომლის ტრანსფორმაცია წარმოადგენს ლექსში წარმოდგენილი ახალი (უჩვეულო თუ არამარკირებული) სახე (მიღებული ნორმალურისაგან მასზე რაღაც წესის ან წესების დადებით).

2. ავიღოთ ლექსი, რომელიც შედგება ორი მონაკვეთისაგან – ორი ხუთსტრიქონიანი სტროფისაგან, ერთის სქემაა (გართმვის მიხედვით) $abab$, მეორისა – $abxab$ (ასეთია გალ. ტაბიძის ერთი ლექსი). მარტივი შეპირისპირებითი ანალიზი აღადგენს ქართულისთვის გავრცელებულ და ჩვეულებრივ ოთხსტრიქონიან სტრუქტურას $abab$, რომლიდანაც, როგორც საბაზოდან, მიიღება ორივე ხუთ-

სტრიქონიანი სტრუქტურა: პირველში – ბოლოსწინა სტრიქონის პოზიციის ერთით გაზრდით, მეორეში – მეორე სტრიქონის პოზიციის ერთით გაზრდით. ასევე: თუ ავიღებთ სხვა შემთხვევებს, ვთქვათ, ababa, abxah, abxab სტრიქონებს (ისინი შეგვიძლია ვნახოთ გალაკტიონის სხვადასხვა ლექსში), იგივე ანალიზი მოგვცემს სანყის „ნორმალურ“ სტრუქტურას abab და დაადგენს ტრანსფორმაციის გზას, კერძოდ იმ პოზიციებს ამოსავალ სტრუქტურაში, რომელთა გაზრდა ერთი სტრიქონით იძლევა სამსავე მოცემულ ფორმას. ასევე დადგინდება რომელიმე abcxb და abccb ექვსსტრიქონიანი ფორმებისთვის ოთხსტრიქონიანი abcb როგორც ამოსავალი, და ა.შ.

ყველაფერი ეს არის ინფორმაცია, მოპოვებული ანალიზის შედეგად: ასე შეიძლება დადგინდეს ყოველი მოცემული შემთხვევისთვის ის საბაზო ფორმა, რომლის ტრანსფორმაცია წარმოადგენს ახალი ფორმა ან ფორმები. ახლა ვნახოთ, როგორ გვაძლევს ამ ინფორმაციას თვითონ ტექსტი – მოცემული ლექსითი ნაწარმოები.

გალაკტიონის „ქაჯები, ალები, ჭინკები“ – ხუთმონაკვეთიანი ლექსი, პირველი მონაკვეთი:

გაქრა ლანდების ქარი მრავალი,
ხარხარით ტბიდან ამომავალი
ალი მომალლო,
ქაჯებს არ მალავს მსუბუქი ჯაგი,
მგზავრებს არ უცდის ქარი ვერაგი
მდინარის ახლო.

abccb სტრუქტურა, რომელიც კიდევ სამჯერაა მოცემული ზედიზედ. მაგრამ ლექსის ბოლო, მეხუთე მონაკვეთი წარმოადგენს ჩვეულებრივ ოთხსტრიქონიან abcb სტროფს:

გათენდა, მორჩა, დაიწყო დილამ
სხივების თოვა
და გაიფანტა უსივრცობაში
ჭინკების გროვა.

ბოლო პოზიციაში წარმოდგენილი ეს ოთხსტრიქონიანი სტრუქტურა abcb მიუთითებს იმას, რომ: ა) ყველა სხვა, წინამავალი, მონაკვეთი არის ინოვაცია, ბ) მიღებული ამოსავალი ინვარიანტული abcb სტრუქტურიდან მასზე გარკვეული წესების დადებით (მეორე და მეოთხე პოზიციების გაზრდით). ეს რომ ასეა და მოცემული ბოლო სტროფი არ არის ფუნქციურად ისეთი ავტონომიური აგებულება, რომელიც ჩვეულებრივადაა წარმოდგენილი სხვა, მისგან განსხვავებული, აგებულებების გვერდით, ამაზე მიუთითებს მისი გარითმვის სახე: იგი არის abcb (და არა, ვთქვათ, abab) – სწორედ

ახცხ-გან, პირველი და მესამე პოზიციების ერთით გაზრდით, მიიღება aabccch (ზემოთ წარმოდგენილი პირველი სტროფიდან რომ ამოვიღოთ მე-2 და მე-5 სტრიქონები, მივიღებთ სწორედ ახცხ-ს).

გალაკტიონთან ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა. „სანთლები“: ორსტროფიანი ლექსი, პირველი სტროფი: ababa. მეორე, ბოლო სტროფი – abab; „სროლის ხმა მთაში“: სამი სტროფი, პირველი ორის გარითმვის სქემაა ababac, ბოლო სტროფი „ალადგენს“ „სწორ“ „გარითმვას“ – ababab. ასეთივე შემთხვევები მოიპოვება სხვა ავტორებთანაც. ა. კალანდაძის „დავით გურამიშვილს“: ხუთსტროფიანი ლექსი, პირველი ოთხი სტროფია ababab (ძალიან ნიშანდობლივია, რომ ოთხივეში ბოლო ab არის პირველი ab-ს ზუსტი სიტყვიერი გამეორება, რაც პირდაპირ მიუთითებს იმას, რომ ეს რეალურად არის დამატება, გაზრდა abab ამოსავალი სტრუქტურისა), ბოლო, მეხუთე სტროფია abab. მისივე „შენი ვენახის ქობი“: პირველი ორი სტროფია ababab, ბოლოში გრაფიკულად ერთი სტროფის სახით წარმოდგენილია ორი abab; ამ შემთხვევაში საინტერესო ისაა, რომ ექვსსტრიქონედისათვის ამოსავალ ფორმად მოცემულია არა ოთხსტრიქონედი, არამედ სხვა შესაძლებლობა – რვასტრიქონედი (ექვსსტრიქონედი ორი გზით შეიძლება იქნეს დაყვანილი ჩვეულებრივ სტრუქტურამდე: ოთხსტრიქონედამდე – დაკლების გზით, ან რვასტრიქონედამდე – გაზრდის გზით).

ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ისაა, რომ იგივე შემთხვევები გვაქვს სხვა ეპოქებშიც.

დავით გურამიშვილი – ვერსიფიკაციული სიტუაცია, რომელიც დახვდა გურამიშვილს, პრაქტიკულად მთლიანად ემყარებოდა მონომეტრულ ოთხსტრიქონედს aaaa (თუმცა, გარკვეული განახლებები ამ დროისთვის უკვე იყო დანყებული; თეიმურაზ პირველს, მაგალითად, აქვს ცდები ორშაირიანი სალექსო წყობის უარყოფისა; არჩილი ერთხელ მიმართავს ორსტრიქონედს; სულხან-საბა ორბელიანი ოთხსტრიქონედის გვერდით რამდენიმეჯერ წარმოგვიდგენს სხვა სიგრძის მონაკვეთებს). მას ემყარება გურამიშვილის ტექსტის უმეტესი ნაწილიც, მაგრამ გურამიშვილთანვე ჩნდება სიახლენი. „მესამე დავითის შესხმა“:

ან მე აღვიძრავ ენასა,
ვადიდებ ღმერთსა ზენასა.
ვინყო მე გალობა,
მიყოს მან წყალობა.
მან ქმნა ვაჟ-ქალობა,
მისცა ტრფიალობა.

ეს არის ლექსის პირველი მონაკვეთი, რომელიც ამ სახით ტექსტი 14-ჯერაა გამეორებული. ასეთი კომპოზიცია რადიკალური სიახლეა: ა) იგი არის არა ოთხი, არამედ ექვსსტრიქონიანი აბხბხბ სტრუქტურა; ბ) იგი არ არის მონომეტრული, პირველი ორი სტრიქონი სხვა მეტრია, დანარჩენი ოთხი - სხვა: 5+3/5+3/3+3/3+3/3+3/3+3; გ) მასში წარმოდგენილი სტრიქონის აგებულება 3+3 გურამიშვილამდე ქართულ ლექსთწყობაში არ ყოფილა რეალიზებული.

თეორიულად რა კომპოზიცია შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთად, რომელიც მოხსნის ყველა ამ სიახლეს, სხვა სიტყვებით - რომლისგანაც, როგორც საბაზო (ჩვეული, ტრადიციული) ფორმიდან, მიიღება მოცემული, ახალი სახის, სტროფული მონაკვეთი? თეორიულად ეს უნდა იყოს: 1) რვა სტრიქონი, რომელიც წარმოადგენს ორ ოთხსტრიქონედს (რადგანაც ექვსსტრიქონედი ორ ნაწილადაა გამიჯნული მეტრთა მონაცვლეობით) - ორ მონორიმს; ბ) მონომეტრი; გ) 3+3 აგებულების გარეშე, ე.ი. დამყარებული 5+3 სტრუქტურაზე (მით უმეტეს, რომ ეს სტრუქტურა იწყებს ამ მონაკვეთს).

ზუსტად ამგვარ კომპოზიციას გეთავაზობს გურამიშვილის ტექსტის ბოლო, მეთხუთმეტე, მონაკვეთი, რომელიც არა ექვსი, არამედ რვა სტრიქონისგან შედგება, წარმოადგენს ორ მონორითმულ ოთხსტრიქონედს, აგებულია ერთ, ქართულისთვის ჩვეულ, მეტრზე - დაბალ შაირზე:

დაჯდა სიტყვებრად გოდებად,
თავთა ხლად ხე-ქვა-ლოდებად,
გულსა სახმილის მოდებად,
შესაბრალ-შესაცოდებლად,
ვაი, რა შესაზარია,
მისი მოთქმა და ზარია,
გოდება ანუ არია,
მთქმელთათვის ყველა მწარია.

3. სხვა რიგის მაგალითი შეიძლება იხაზოს სულხან-საბა ორბელიანთან. სხვა რიგის - იმიტომ, რომ „ინოვაციის“ ადგილზე აქ გვაქვს „არსებული, მაგრამ ქართულისთვის არამარკირებული“ (ე.ი. ისეთი ფორმა, რომელიც ქართული პოეზიის სივრცეში გარკვეულ ადგილზე და გარკვეულ დროს ჩანს, მაგრამ ეწინააღმდეგება ქართული ვერსიფიკაციის კანონზომიერებებს). შესაბამისად, ტექსტი ემყარება რა ამ ტიპის სტრუქტურას, ბოლოში გვაძლევს სწორ, ქართულისთვის მარკირებულ, ფორმას. „ქილილა და დამანამი“ სულხან-საბას აქვს იამბიკო, რომლის პირველი ოთხი სტრიქონია:

მრავალთა უამთა მოგებად თემთა იარო,
ვეოდენ ზრუნვა უმეტეს გაიზიარო,
ანგარის თვალი აღვსებად ვერ აღიარო,
სადაფთ მუცელი თუცა არ მოამძიერო.

ტექსტი, იამბიკოს სქემის შესაბამისად, ხუთსტრიქონიანია (მე-ხუთე სტრიქონის შესახებ – ქვემოთ). თითოეული სტრიქონის სტრუქტურის შეიძლება ინტერპრეტირდეს ორნაირად: 5+8 ან 8+5 (ასეთი აგებულებები კლასიკურ იამბიკოებში გვხვდება, თუმცა კანონიკურია 5+7 ან 7+5). მთავარი ისაა, რომ სულხან-საბა მიმართავს იამბიკოს ისეთ ფორმას, რომელიც, როგორც ბიზანტიური 12-მარცვლედის იმიტაცია, არაქართული სტრუქტურაა და წინააღმდეგობაშია ქართული ლექსის რამდენიმე კანონთან, რომელთაგან მიუთითებ ერთს, კრძოდ, 7- ან 8-მარცვლიანი სეგმენტი, როგორც რიტმული ერთეულის (ის შეიძლება სალექსო სტრიქონიც იყოს) დიფერენციალური შემადგენელი, ქართულში არ გვაქვს, 7-ც და 8-ც ბევრად აჭარბებს დასაშვებ მაქსიმალურ სილაბურ სიგრძეს.

როგორი შეიძლება იყოს ამ 8+5 (ან 5+8) აგებულებისთვის „სნორი“ (ამოსავალი) ფორმა, ქართულისთვის მარკირებული, – ისევე დაესვათ თეორიულად ასეთი კითხვა. გამომდინარე იქიდან, რომ ა) ტექსტში წარმოდგენილ სტრიქონებში მონაწილეობს აგებულება 5+3 (ალტერნანტით 3+5), ბ) და, შესაბამისად, სტრიქონი ორნაწილიანია: 5+3 პლუს 3, – ასეთი ამოსავალი ფორმა უნდა იყოს (5+3) + (5+3), რაც გვაძლევს დაბალ შაირს, ქართულისთვის ჩვეულ სტრუქტურას („სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“). სულხან-საბა ზუსტად ასეთ ფორმას წარმოადგენს ბოლო, ყველა დანარჩენისგან განსხვავებულ, სტრიქონად:

მარგალიტს ვერა აიხვამს / რაზომცა მოამცბიერო.

4. ამავე რიგის მოვლენად შეიძლება განვიხილოთ ისეთი შემთხვევაც, როდესაც ტექსტში მოცემულია სალექსო ფორმა, რომელიც ქართულისთვის მარკირებულიცაა და არც ინოვაციას წარმოადგენს, მაგრამ პოეტურ პრაქტიკაში თითქმის დაკარგული აქვს თავისი ადგილი, რადგანაც გაბატონებულია (თითქმის ერთადერთია) სხვა ფორმა. ასეთი ვითარება შეიქმნა ქართულ პოეზიაში რუსთაველის შემდეგ მე-18 საუკუნის ბოლომდე, როდესაც ფაქტობრივად ყველაფერი იწერებოდა ორშაირიანი წყობით და პრაქტიკულად უგულებელიყოფოდა კლასიკური ხანის მეორე ცნობილი მეტრი ფისტიკაური და მასზე აგებული ჩახრუხაული ფორმა:

თეიმურაზ I-ს ერთხელ აქვს ნახმარი ფისტიკაური („ანბანთქება“) და ერთხელ – ჩახრუხაული („შვიდთა კრებათათვის“), არჩილი ერთხელ მიმართავს ჩახრუხაულს შაირის გვერდით („მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“) და ერთხელ მთლიანად აგებს მასზე ლექსს („ანბანთქება“), ვახტანგ VI-ის „ვაი, სიკვდილო“ ასევე შეიძლება ჩაითვალოს ჩახრუხაულად. ამ ვითარებაში გურამიშვილი – ასევე ერთხელ – მიმართავს გრძელ ჩახრუხაულს, ეს არის „დავითის შესხმა პირველი“ – 11 ოთხსტრიქონედი; მაგრამ მიმართავს რა ამ არაპოპულარულ ფორმას (მე-12), ბოლო მონაკვეთად იძლევა დაბალი შაირის ოთხსტრიქონედს – გაბატონებულ ფორმას.

ლიტერატურა:

1. ა. სილაგაძე, ძველი ქართული ლექსი და ქართული პოეზიის უძველესი საფეხურის პრობლემა, თბილისი, 1997.
2. ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათა, ტ.1, თბილისი, 1946.
3. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954.

APOLLON SILAGADZE

ON THE VERSIFICATIVE INFORMATION OF THE FINAL SECTION OF A POEM

Summary

The final section of a poem (envoy, line, part of strophe) gives us information about the fact that the whole preceding part of a text either contains versificative innovation, or is uncommon from a certain point of view. In that case, the mechanism is as follows: this, final, section is entirely different from all the rest of the poem, as it presents not the innovation, uncommon or unmarked form realized in the text, but the 'correct' form. In other words, it indicates at the initial (etalon, invariant) kind, the transform of which is a new kind presented in the given poem.

In the given article the analysis of the aforementioned thesis is illustrated by poetic works of the 18th - 20th centuries.

მხატვრული დროის პრობლემა გოლი თარაყის
ნოველაში „შემირანის ავტობუსი“

„დრო იმდენად ბუნდოვანი რამ არის, რომ ან საერთოდ არ არსებობს, ან ძლივს არსებობს, რაც შეიძლება შემდეგი თავისებურების გამო ვივარაუდოთ: მისი ერთი ნაწილი იყო, მაგრამ უკვე აღარ არის, მეორე იქნება, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის; ამ ნაწილებისაგან ითხზვის უსასრულო დრო და მისი გამუდმებით გამყოფი შუალედი. ხოლო ის, რაც არარსებულთაგან ითხზვის, როგორც ჩანს, შეუძლებელია წილნაყარი იყოს არსებობასთან“.¹ არისტოტელეს ეს სიტყვები ცხადყოფს მიწყვიტებულ დროის ცვალებად და ბუნდოვან ბუნებას. ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული დღემდე დროის ფილოსოფიურ კატეგორიაზე თითქმის ყველა დიდი მოაზროვნე ფიქრობდა. ძველი ელინური სამყარო თუ აღმოსავლური აზროვნება დროს პერიოდულად განმეორებად ციკლთა ერთობლიობად ხედავს². ქრისტიანული მსოფლხედვა ისტორიის მდინარებას ახალ სათავეს მოუნიშნავს და დროს ვექტორულ სიდიდედ გამოაცხადებს, მიმართულს ქრისტეშობიდან აპოკალიპტიური „უდროობისაკენ“. გვიანი რენესანსის ეპოქაში იბადება აზრი, რომ დროის მოძრაობას სპირალის მიმართულება აქვს³. ადამიანის წარმოდგენა დროსა და სივრცეზე მკვეთრად იცვლება აინშტაინის ფარდობითობის თეორიის აღმოჩენით. XX საუკუნეში დროს მოიაზრებენ არა მხოლოდ როგორც ყოფიერების ობიექტურ მოცემულობას, არამედ მის მეოთხე კოორდინატას⁴. მისი შეცნობის ახლებური ნყურვილი ხელოვნებაშიც აისახა. დრო მუდამ მყოფობს შემოქმედის ნახელავში, როგორც ობიექტური რეალობა და როგორც მსოფლმხედველობითი პრობლემა. ჯერ კიდევ ლესინგი საუბრობს მხატ-

¹ ციტირებულია: ბრეგვაძე ბ., დრო და მარადისობა, თბილისი, 2006, გვ. 90;

² ამგვარი გაგება დროისა პოეზიაშიც აისახა: „მარადმედინი დრო არაბულ ლექსსა ჰგავს, რომელშიც მგოსანი ერთსა და იმავე რითმას უსასრულოდ იმეორებს“; აბუ ლ-ალა ალ-მარაი, თარგმანი თ. ჩხენკელისა, მარიოტა, თბილისი, 1986, გვ. 149.

³ Коппел Н. И., Запад и восток, М., 1966, стр. 468,

⁴ Священник Павел Флоренский, Статьи и исследования по истории и философии искусства и археологии, М., 2000, стр. 191.

ვრული ლიტერატურის ხერხებზე, რომელიც დროში შეიგრძნობა. თუმცა ახლა ლიტერატურისათვის საგულისხმო გახდა არა მხოლოდ ის დრო-სივრცული კონტინუუმი, რომელშიც მატერიალურად არსებობს ხელოვნების ნიმუში, არამედ – მისი მხატვრული ასპექტიც.

XX საუკუნის ლიტერატურაში დროის მხატვრული ინტერპრეტაციისათვის ახალი ჰორიზონტია გახსნილი. დრო ლამის „ლიტერატურის მთავარ გმირად იქცა“⁵. მკვეთრად იცვლება მანამდე არსებული წარმოდგენები დროის მდინარების მიმართულებაზე. ყოველ ნაბიჯზე ირღვევა სწორხაზოვანი დროითი თანმიმდევრობა. მას უკვე აღარ აქვს ერთადერთი მიმართულება – წარსულიდან მომავლისაკენ. დრო აქ სიუჟეტზე ზეამაღლებულად წარმოგვიდგება. რეალური, ქრონოლოგიური თანმიმდევრობა მოვლენებისა (ფაბულისა) სიუჟეტს არ ემთხვევა.

„მხატვრული დრო და სივრცე იდეალური და ილუზორულია... იგი ხელოვნების ნაწარმოების სახეთა სამყაროს ახასიათებს, ამიტომაც თვითონაც სახეობრივი ბუნებისაა“⁶. დრო მხატვრულ ლიტერატურაში მოვლენათა კავშირით აღიქმება. თხზულებაში მოვლენები ერთმანეთს უკავშირდებიან მიზეზშედეგობრივად, ფსიქოლოგიურად, ასოციაციურად. გოლი თარაყის ნოველა „შემირანის ავტობუსი“⁷ ამბავთა თანმიმდევრობის რთულ კომპლექსს ქმნის. აქ მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივ კავშირს საგრძნობლად სჭარბობს – ფსიქოლოგიურ-ასოციაციური.

„შემირანის ავტობუსი“ რთული კომპოზიციის ნოველაა. აქ დროის რამდენიმე პლასტი კვეთს ერთმანეთს. სიუჟეტის სტრუქტურის გარე ჩარჩო ასეთია: სამოცდამეათე მარშრუტის ავტობუსი ისე შორდება გაჩერებას, რომ დედა-შვილი მისვლას ვერ ასწრებს. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე პირველად თოვს ასე ხვავიანად პარიზში. ცოტა ხანში შემდეგი ავტობუსიც მოდის. გოგონა ნინ გარბის შესახვედრად, მძღოლს ხელს უქნევს, „თვალები ანცი და იღუმალი ფიქრით აქვს სავსე.“ ამ პატარა ეპიზოდის რეალური დრო სულ რამდენიმე წუთს შეიძლება მოიცავდეს. თუმცა, სიუჟეტის მთელი დანარჩენი ნაწილი – დედის მოგონებები – დროის ამ მცირე მონაკვეთში ეტევა. ავტობუსის მოლოდინიდან მის მოსვლამდე

⁵ Гуревич А. Я., Категории средневековой культуры, М., 1984, стр. 150.

⁶ Каган М. С., Пространство и время в искусстве как проблема эстетической науки, // Ритм, пространство и время в литературе и искусстве, Ленинград, 1974, стр. 30.

⁷ თარაყი გ., შემირანის ავტობუსი/სახლი ზეცაში, თარგმანი მ. ბურჯანაძისა, თბილისი, 2004.

ნოველის მთავარი გმირი ბავშვობაში დაბრუნებას ასწრებს, საკუთარი ქალიშვილის მსგავსად ისიც ათი წლის არის და თეირანის გარეუბანში სკოლაში წასასვლელად, როგორც ყოველთვის, შემირანის ავტობუსს ელოდება. დროს, რომელშიც პარიზული მოვლენები ვითარდება, ასოციაციურად ებმის რამდენიმე ათეული წლის წინანდელი თეირანული ამბების დრო. მთხრობელი და მკითხველი სხვა დრო-სივრცულ განზომილებაში გადადიან: *„მეჩვენება, რომ მინას ვნებები, სივრცეში მივცურავ. მინის ბურთში ვზივარ და უხილავი სიო წარსულში მიმაქროლებს“* (გვ. 11). ამ „უხილავი სიოს“ წყალობით სიუჟეტური დრო წარსულში გადაინაცვლებს. ამ ხერხს მხატვრული დროის მარცხნივ გადაინაცვლებასაც უწოდებენ (ტერმინი წასესხებია ფიზიკოსებისაგან, დროის ისარი კი წარმოდგენილია მარცხნიდან მარჯვნივ მიმართულად)⁸.

ამგვარად, თეირანული წარსული აქტიურად იჭრება პარიზულ ანმყოში. აქ დრო შეჩერებულია, დაგუბებული, რათა ცოცხალ მოგონებათა ნაკადს დაუთმოს გზა. ნოველის ძირითადი მოვლენები თეირანში ვითარდება. ათი წლის გოგონა მარტივი, ბავშვური ენით ავტობუსით მგზავრობის თანადროულ ამბებს გვიყვება. თუმცა არც ეს დრო-სივრცული განზომილებაა მონოლითური და გაუზზარავი. ამ ეპიზოდში ჩართულია „ქვეყნის დასალიერში“ ჩადგმული სახლის, მის მაცხოვრებელთა ამბები. სიუჟეტის ძირითად ეპიზოდში ჩართულ ამ მცირე ფრაგმენტთა დროითი კოორდინატები მთლიანად გაურკვეველია. ეს მოვლენები მრავალჯერ მეორდება. შემირანის ავტობუსის სივრცეში შემოჭრილი ეს ისტორიები მხატვრულად აჩერებს ან „განელილად“ წარმოგვიდგენს დროს.

ავტობუსით მოგზაურობის ამბავს განსაზღვრული, ფიქსირებული ათვლის წერტილი აქვს დროში: *„ოთხ საათზე, როცა გაკვეთილები მთავრდება, ჰასან აყა მაკითხავს და გზაჯვარედინზე შემირანის ავტობუსს ელოდებით“* (გვ. 11). ფიქსირებულია პერიოდიც, რომელშიც ამ მოგზაურობის ეპიზოდი უნდა გაიშალოს: *„ფირუზქუშის სკოლაში ავტობუსი საათზე მეტს ანდომებს“*. თუმცა მას შემდეგ, რაც ნოველის მთავარი გმირი ამ ავტობუსში აღმოჩნდება, მხატვრული დრო ისევ კარგავს რეალურ განზომილებასა თუ კალენდარულ სიზუსტეს. პატარა გოგონას წარმოსახვაში ერთმანეთს

⁸ Медриш Д. Н. Структура художественного времени в фольклоре и литературе // Ритм, пространство и время в литературе и искусстве. Ленинград, 1974, стр 126.

ცვლის ნარსულ მოგონებათა რეალური სურათები თუ ფანტაზიით შექმნილი სამყარო. ზღაპრულ-მითოლოგიური დროის ნაკადს საუკუნეების წინაც კი გადაეყვართ და ლამლამობით ცაზე ვხედავთ „ათასი წლის წინანდელ ადამიანებს“, „ცის სილურჯიდან გამოცურებულ გველეშაპს“, შორეულ დროში გადანაცვლებულნი გავარვარებულ ნაკვერჩხლებზე მოსიარულე „თავეადებული ფალავნების“ გვერდით აღმოვიჩნდებით. ნოველის მთავარი გმირი არა მხოლოდ ქმნის ფანტაზიით ახალ დრო-სივრცულ განზომილებას, არამედ ცხოვრობს კიდევ მასში: „უბნის ულამაზეს ბიჭს ეუზივარ საქესთან და მასთან ერთად „ტარზანის“ სანახავად მიედივარ“ (გვ.14). რეალურ-ირეალური დროის „ნაფლეთების“ ჩართვა, თხრობის ტემპის შენელება ავტორს ეხმარება მოლოდინის ხანგრძლივობის თუ „თოვლის თეთრ უდაბნოში“ დაუსრულებელი მოგზაურობის ილუზია შექმნას. აქ მხატვრული დრო ისეა გაშლილი, რომ თოვლი და ჩაკეტილი გზა მკითხველსაც კი ტანჯავს. იგი არა თუ ფეხს ვერ უწყობს რეალურ დროს, არამედ ბოლოს თითქმის „ჩერდება“, რათა ამ დაუსრულებელი მოგზაურობით მკითხველიც დაღალოს (*„ყველგან თოვლია, ავტობუსში, ქალაქში, მთელ ქვეყანაზე, და მე ამ თეთრი გუმბათის ქვეშ გაყინული ვდგევარ. წლებია თითქოს, რაც ყინულის ქანდაკებად ვქცეულვარ“*) (გვ.16).

ნოველის დიდთოვლობის ეპიზოდი განზოგადებულ დროს ნარმოგვიდგენს. აქ დროითი კოორდინატები მკაცრად ფიქსირებულია და მიუხედავად ამისა, დრო აქაც ვერ ეტევა ჩარჩოში. უსასრულოდ იწელება: „ბავშვობაში თოვას რომ დაიწყებდა, თითქოს უსასრულოდ თოვდა, ბოლო არ უჩანდა. შაბათი, კვირა, ორშაბათი, დღეებს ვითვლიდი... სკოლა ერთი კვირით იკეტებოდა“ (გვ.9). აქ ერთი კვირა კალენდარულ კვირას ბევრად აღემატება, პიპერბოლურია, ეს „მთელი ერთი კვირაა“, რომლის მანძილზე გათამამებულ მოვლენებს რეალურ დროსთან კავშირი თითქოს დაუკარგავს. „ქვეყნის დასალიერში“ ჩადგმულ სახლში დიდთოვლობის გამო ჩარჩენილი ნათესაობა ამ სახლის მარადიული სტუმრები არიან. ეს ეპიზოდი დროს თითქოს მთელი ერთი კვირით აჩერებს. ბების, დეიდისა თუ ბიძების მეტყველი პორტრეტები, ხალიჩებზე გაშლილი ლოგინებისა თუ „ხორაგით სავსე მაგიდების“ ცოცხალი ნატურმორტები, რომელნიც ნამდვილი ფერმწერის ფუნჯით არის შესრულებული, სიუჟეტური დროის ისარს აჩერებს. მხატვრულ დროს აქ ცოტა ხნით შესვენების საშუალება ეძლევა, რათა სულ მალე ათი წლის

გოგონასთან ერთად ქუჩის მოსახვევში იდგეს და აზიზ აყას მოლოდინში წუთებს ითვლიდეს.

თუ ზღაპრული დრო მთლიანად დახშულია, ჩაკეტილია სიუჟეტში, „ის თითქოს არ არის ზღაპრის დაწყებამდე და მისი დასრულების შემდეგ“¹. გოლი თარაყის ამ ნოველის დრო მთლიანად ღიაა. ნოველა ასე იწყება: „სამოცდამეათე მარშრუტის ავტობუსი ჩვენს მისვლამდე იძვრის ადგილიდან და გვშორდება“. სიუჟეტის მოძრაობა მანამდე იწყება, სანამ ფაბულური დროის ნამშობში ჩაირთვება. ნოველის ფინალი კი მომავალი ამბების ცხადი მოლოდინით არის დამუხტული. დრო აქაც ღიაა. სიუჟეტის პარიზული ნაწილი ანუ ჩარჩო ფაბულისა აშკარად დაუსრულებელია – ირთვება მკითხველის დრო, რომელსაც თანაშემოქმედების საშუალება ეძლევა. ღია ფინალი მომავლის კატეგორიაა, რომელიც ხელშესახები რეალობის სახით არ არსებობს, მაგრამ არსებობს, როგორც პოტენცია, როგორც მოსალოდნელი რეალობა. სხვა შემთხვევაში კი მომავლის კატეგორია საგნობრივი უშუალოდ მოგვეწოდება: „დედას მომავალი დღეების სუნი აქვს, ზვალინდელი დღის, ბევრი კარგი რამის, რაც შემდეგ მექნება“ (გვ. 13).

მხატვრულ ლიტერატურაში დრო და სივრცე უშუალოდ უკავშირდება ერთმანეთს. ხელოვნება, ჩვეულებრივ, არ განაცალკევებს დრო-სივრცულ კონტინუუმს, არ ქმნის „წმინდა სივრცულ“ ან „წმინდა დროულ“ მატერიალურ სტრუქტურას². მოქმედებანი, რომელსაც დროის კონკრეტული კოორდინატები გააჩნია, კონკრეტულ სივრცეში გათამამდება. მხატვრული სივრცის დროსთან კავშირი, რომელსაც მ. ბახტინი ქრონოტოპს უწოდებს, სივრცესაც დინამიურად აქცევს³. როგორც აღვნიშნეთ, გოლი თარაყის ნოველის მხატვრული დრო რთული და განშტოებულია, რთულია სივრცობრივი კონტურებიც ნოველისა. სიუჟეტის ის ნაწილი, რომელსაც ასოციაციურად ერთვის ნოველის ყველა დანარჩენი ამბავი, შეზღუდულ სივრცეში იშლება – პარიზის გარეუბნის ერთ-ერთ გაჩერებაზე. სივრცე კიდევ უფრო „ვინროვდება“, როცა სიუჟეტი

¹ Лихачев Д. С., Поэтика древнерусской литературы// Избранные работы в трех томах. Т. 1. Ленинград. 1989, стр. 509

² Сапаров М. А., Об организации пространственно-временного континуума художественного произведения// Ритм, пространство и время в литературе и искусстве. Ленинград, 1974, стр. 89.

³ Бахтин М. М., Формы времени и хронотопа в романе// Эпос и роман. Санкт-Петербург, 2000, стр. 9.

შემირანის ავტობუსის თეთრ კაბინაში გადაინაცვლებს. ავტობუსის სივრცე ერთგვარი მიკროსამყაროა, რომელმაც ანწყოსა და რეალურ-ირეალური ნარსულის უცნაური ლირიზმით გამსჭვალული ნაზავი უნდა დაიტოს; მიკროსივრცეა, რომელმაც ფირუბქუჭის სკოლიდან „ქვეყნის დასალიერამდე“ გაშლილი მანძილი უნდა მოიცვას. ავტობუსის სალონი ჩაკეტილი სამყაროა, სადაც ფანჯრის მიღმა საინტერესო არაფერი ხდება, მკითხველის მზერას არ იტაცებს ჰორიზონტის ხედები თუ ჭრელი პეიზაჟები. ძირითადი მოვლენები სალონის შიგნით ვითარდება. გარე სამყარო კი მხოლოდ მოსაწყენი ერთფეროვნებით იჭრება ავტობუსის თეთრ კაბინაში: „მთელი ქვეყანა ქათქათებს“ (გვ.14).

დროის აღქმა თუ შეგრძნება უაღრესად სუბიექტურია. ეს სუბიექტურობა მეტად თვალშისაცემია გოლი თარაყის ამ ნოველაში. მხატვრული დრო აქ სინქრონულად თითქმის არსად მისდევს რეალურ დროს. იგი უმეტესად „განელილია“ (ავტობუსის ეპიზოდი), ზოგჯერ სულაც გაჩერებული. ზოგჯერ კი დროის დიდი მონაკვეთი მხოლოდ გაიელვებს („ნლები სწრაფად გადის. მე ახალგაზრდა ქალბატონი ვხდები;“ გვ. 19). სუბიექტური დრო ნოველისა შინაგანი წინააღმდეგობებითაა სავსე. მთავარი გმირის ავადმყოფობის პერიოდში დრო სხვადასხვა ტემპით მიდის; ხან სწრაფად: „ძალიან ავად ვარ... დღეები, კვირები ქარივით მიქრიაან“ (გვ.16), ხანაც დრო ინელვება: „გაზაფხულის მოსვლამდე დღეებს ვითვლი“ (გვ.16). ყველაზე მყარი, რაც ამ აფორიაქებულ დროს ანესრიგებს დროის ერთი კოორდინატია - შუადღის ოთხი საათი. ეს ის დროა, როდესაც პატარა გოგონა ავტობუსის ერთ-ერთ მძღოლს, თავის ერთგულ და მოსიყვარულე მეგობარს - აზიზ აყას ელოდება გაჩერებაზე. რიტმული ერთეულების სახით რამდენიმეგზის განმეორებული ეს „ოთხი საათი“ ნოველის რთულ და განშტოებულ დროის კატეგორიას კონკრეტული ასტროლოგიური დროის ჩარჩოს უბრუნებს. ეს განმეორებადობა, რიტმული პულსაცია ერთგვარი საყრდენია დროის ნაკადში. იგი მუდმივცვალებადი პროცესის სტაბილურობის გამომხატველია.

რიტმი ანალოგიურ სტრუქტურათა კანონზომიერ განმეორებას ემყარება და მრავალგვარად შეიძლება გამოვლინდეს. იგი ნანარმოების „შინაგან“ დროს წარმოადგენს¹. გოლი თარაყის ამ ნოველაში

¹ Гейн Н. К., *Время и пространство в структуре произведения* // „Контекст 1974“, М., 1975, с. 214.

რიტმის საფუძვლად შეიძლება მივიღოთ არა მხოლოდ მრავალგზის განმეორებული დროითი კოორდინატები „შუადღის ოთხი საათი“, „მთელი ერთი კვირა“, არამედ ზამთრის თოვლიანი პეიზაჟი თუ უხილავი ადამიანივით ყველგან მყოფი შიშიც.

ნაწარმოების ფინალიც რიტმულ გამომსახველობას ემსახურება. აქ ფინალი არა მხოლოდ ინტონაციურად მიემართება ნოველის დასაწყისს, არამედ ირეკლავს კიდევ მას. ამით მთელ ფორმას რიტმულ ნონასწორობას, თანაფარდობას ანიჭებს.

გოლსუორთი რიტმს უწოდებს „ნანილებსა და მთელს შორის იდუმალ ჰარმონიას, რომელიც სიცოცხლეს ქმნის“¹. გოლი თარაყის ამ ნოველის დრო-სივრცული კონტინუუმი, რიტმული ორგანიზაცია ამ თხზულების სიცოცხლის სანინდარია, კლასიკური ესთეტიკის ენით, მის მრავალგვარ ნანილთა ერთიანობა-მთლიანობას განაპირობებს.

გოლი თარაყის ხელოვნება ძირეულადაა დაკავშირებული წარსულთან. უცხო ქვეყანაში, უცხო ნიადაგზე „გადარგული“ მისი პოეტური სამყარო მაცოცხლებელ ენერგიას სწორედ მშობლიური ქვეყნისა და საკუთარი წარსულიდან იღებს. თუმცა მისი პოეტური პროზის ძალა იმაშიც მდგომარეობს, რომ ეს წარსული მის მხატვრულ სამყაროში მომავლისაკენ იცქირება, მომავალს მიემართება, ხვალინდელ დღეზეა ორიენტირებული. საფრანგეთსა თუ შვედეთში მოხეტიალე მისი გმირები კი საბოლოოდ მაინც დემავენდის თოვლიან მთას ან ბრონეულის ხის მშობლიურ ჩრდილს მიაშურებენ ხოლმე, სადაც სივრცე, მართალია, ვინროვდება, მაგრამ უჩვეულო სიმყუდროვეს იძენს; დრო კი ზედროული ასპექტით გამდიდრებული წარმოგვიდგება.

¹ ციტირებულია სტატიიდან: Спаров М. А., Об организации пространственно-временного континуума художественного произведения // Ритм, пространство и время в литературе и искусстве, Ленинград, 1974, стр. 89.

**The Problem of Artistic Time in the
Short Story *The Shemiran Bus* by Goli Taraki**

Summary

The Shemiran Bus by a modern Iranian writer Goli Taraki is a short story with a complex composition. In the work, artistic time is almost never synchronous with real time. It is mostly 'protracted' or sometimes even stopped. Sometimes a large period of time only flashes past.

Time in this short story by G. Taraki is totally open. The action begins before the stop-watch of the plot is switched on. The final part of the story is charged with an obvious expectation for future events. Time is open here too. The Paris part of the plotline, i.e. the frame of the plot is evidently unfinished – the time of the reader, who is given an opportunity of co-creation, is switched on.

In the work several layers of time overlap and are associated with one another. The Tehran past penetrates actively into the Paris present. Time is stopped, 'damned up' in order to give way to the stream of vivid memories. The temporal coordinates of the small fragments inserted in the main story line are totally indistinct. These events are recurrent and repeated. Entering the space of the Shemiran bus, these stories artistically stop time or represent it as 'protracted.'

The spatial outlines of the short story are complex as well. The part of the plotline to which all the other stories of the given work are associated is set in a limited space – a bus stop on the outskirts of Paris. The space 'narrows' further as the plotline moves to the white cabin of the Shemiran bus. However, the space of the bus is a certain micro-universe comprising a complex mixture of the existing and imaginary space.

ფორუმ ფაროხზადის ტრადიციული ლექსი

ახალმა სპარსულმა პოეზიამ, რომელიც სპარსულ ლიტერატურაში „შე'რე ნოუს“ სახელწოდებით დამკვიდრდა, ის ხანგრძლივი დუმილი დაარღვია, ჰაფეზის შემდგომი პერიოდის სპარსული ლიტერატურა რომ მოიცვა. „შე'რე ნოუს“- ახალი ლექსი, თავისუფალი ვერსიფიკაციის ფორმა, რომელიც XX საუკუნის გარიჟრაჟზე დასავლეთევროპული ლიტერატურიდან იღებს სათავეს, გარკვეული წინააღმდეგობის შემდეგ იმკვიდრებს ადგილს სპარსულ ლიტერატურაში. ეს ის პერიოდია, როცა მუდმივი ნგრევის, ამბოხის და შფოთვის სულისკვეთებით გაჯერებული ახალი ეპოქა ტრადიციულ მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ პრინციპების ამსხვრევს.

სპარსულ ლიტერატურაში ეროვნული, ნოვატორული ტენდენციების შეჭრისა და შემდგომ ეროვნულ-ლიტერატურულ სამყაროსთან შერწყმის პროცესი თანდათან, ეტაპობრივად განხორციელდა. ეს რთული, მტკივნეული და ხანგრძლივი პროცესი, რომელიც ახალი ლიტერატურული ტენდენციების საბოლოო დამკვიდრებით დასრულდა, სრულიად კანონზომიერი მოვლენა იყო და ამას თავად ცნობილი ირანელი მეცნიერები და კრიტიკოსებიც აღიარებდნენ. თავად ზაბიჰოლა საფა - სპარსული ლიტერატურის ისტორიის ცნობილი ირანელი მკვლევარი 1961 წელს ჟურნალში „რაჰნემაიე ქეთაბ“ აქვეყნებს სტატიას: „ახალი, თანამედროვე პოეზიის ფორმა და აზროვნების წესის შეცვლა – ეს ისტორიის კანონია“ [1, 34-35].

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ XX საუკუნის დასაწყისში „ახალი“ იმდენად მკვეთრად დაუპირისპირდა „ძველს“, რომ უარი თქვა წარსულსა და ტრადიციებზე. ჟან კოქტოს ცნობილი სიტყვები: „საკმარისია ცხოვრება მხოლოდ წარსულით, დროა ახალი პოეზიის ახალი ღმერთები შეიქმნასო“ თითქმის ყველა ირანელმა ნოვატორმა პოეტმა აიტაცა [2, 117]. თანამედროვე სპარსული პოეზიის მკვლევარი, ირანელი კრიტიკოსი ს.შამისა განცვიფრებასაც კი გამოხატავს იმის გამო, რომ ამ პერიოდის ლექსებში საერთოდ ქრება სპარსულ პოეზიაში გაბატონებული ისეთი ძლიერი მისტიკურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის ელემენტები, როგორიცაა - „სუფიზმი“ [3, 341].

ძნელი წარმოსადგენი იყო თუ რა მხატვრული ხერხებით შეძლებდა ახალი მიმდინარეობა სპარსულ პოეზიაში საუკუნეების მანძილზე გაბატონებული ათასი წესის, ნორმის, კრიტერიუმის – კლასიკური სპარსული ლექსთწყობის მსხვერვის კომპენსირებას და ჰაფეზის, რუმის, ნიზამის მშვენიერი პოეზიის ფონზე რაიმე ღირებულის შექმნას.

ირანელი კრიტიკოსები ცდილობდნენ დეტალურად განეხილათ კლასიკური და ახალი ეპოქის ლექსს შორის არსებული სახეცვლილებები და ამ ცვლილებების ფონზე მკვეთრად გაემიჯნათ „შე‘რე ნოუ“ და კლასიკური პოეზია, თუმცა, ჩვენი აზრით, შეუძლებელი იყო მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, სწორედ ამ არაჩვეულებრივ კლასიკურ პოეზიას, რომელსაც აღფრთოვანებაში მოჰყავდა არა მარტო ირანელი მკითხველი, არამედ მთელი მსოფლიო, გავლენა არ მოეხდინა ახალი სპარსული პოეზიის ჩამოყალიბების პროცესზე. ამ მოსაზრებას ამყარებს ირანელი კრიტიკოსის მ.ჰაშთრუდის სიტყვები: „მართალია, ქვეყნებს შორის კავშირების განვითარებამ, ლიტერატურულმა თარგმანებმა დაარღვია ეროვნულ ლიტერატურათა ვინრო ჩარჩოები და შექმნა უნივერსალური ლიტერატურა, მაგრამ ლიტერატურულ მემკვიდრეობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომაც ირანელი პოეტები იწარჩუნებენ ენის საკუთარ ეროვნულ ელფერს“ [1, 23-24].

„შე‘რე ნოუს“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ირანელი პოეტი ქალი ფორუყ ფაროხზადი, რომლის პოეზიისათვის დამახასიათებელმა ექსპრესიულობამ და დინამიზმმა განსაკუთრებული ელფერი შესძინა ახალი ეპოქის ლექსს, „შე‘რე ნოუს“ კლასიკური ლექსის ევოლუციურ სახედ მიიჩნევს და ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს: „ლექსი არ შეიძლება იყოს ახალი ან ძველი. ის, რაც თანამედროვე პოეზიას კლასიკური ლექსისგან განასხვავებს და მას სიახლეს ანიჭებს, სწორედ ის სხვაობაა, რომელიც დღევანდელი და გუშინდელი ცხოვრების წესის სულიერ და მატერიალურ ფორმებში ვლინდება“ [4, 30].

ფორუყ ფაროხზადი ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც ყველაზე მძაფრად დაუპირისპირდა არა სპარსულ კლასიკურ პოეზიას, არამედ კლასიკურ ლექსში გაბატონებულ ხელოვნურად შექმნილ ნორმებსა თუ წესებს, შექმნა სრულიად განსხვავებული სტილი, რომელიც ყველაზე ახლოს იდგა დასავლეთევროპელი პოეტების – რილკეს, ცვაიგის, მალარმეს პოეტურ ხელწერასთან, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მისი ლექსი საზრდოს ჰაფეზის პოეზიიდან

იღებს. იგი თავად წერს: „ნეტავ შემეძლოს ჰაფეზის მსგავსად ვთქვა ლექსი, ისეთივე მგრძობიარე და გულუბრყვილო ვიყო და მთელი სიცოცხლე ჩემი ხალხის მომავალს შევწირო“ [5-139]. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ პოეტის მეორე კრებულს „კედელი“ დართული აქვს ციტატები ჰაფეზის, გოეთეს, ხაიამის და მილტონის გამონათქვამებიდან. ფორუყ ფაროხზადის ლექსს „პასუხი“ ჰაფეზის ცნობილი ყაზალის მისრა ასრულებს:

هرگز نمیرد آنکه نلش زنده است از عشق

„არასდროს მოკვდება ის, ვისი გულიც ცოცხალია სიყვარულით“ [6, 220].

კლასიკური პოეზიის გავლენა ფორუყ ფაროხზადის შემოქმედებაზე ამით არ ამოიწურება, მაგრამ საკითხავია, რამდენად შეიძლება გავლენა ეუნოდოთ იმას, რაც თვისებრივად ორგანულია პოეტისთვის და რითაც გაჯერებულია მისი ქვეცნობიერი ბუნება?! პოეტი ლექსების წერას 13-14 წლის ასაკში სწორედ ყასიდებისა და ყაზალების თხზვით იწყებს, თუმცა ეს ლექსები მას არ გამოუქვეყნებია.

„შე'რე ნოუს“ მთავარი პრინციპი მისრათა თანაფარდობის რღვევა იყო, თუმცა საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ფორუყ ფაროხზადი სწორედ თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მეორე პერიოდში მიმართავს კლასიკურ სალექსო ზომებს, „ბაჰრე თონდის“ (بحر آند) სამ მოკლე საზომს, - „რამალე მაჯბუნს“ (كامل مجنون), „მოჯთას“-ა (مجتاز) და „მოზარე“-ს (مزارع). პოეტის ბოლო ორი კრებულიდან („მეორედ დაბადება“ და „ვერნმუნოთ ზამთრის სიცივეებს“) სამი ლექსი ერთი ყაზალის და ორი კი მესნევის ფორმითაა დაწერილი. ირანელი კრიტიკოსი სირუს შამისა ასევე აღნიშნავს, რომ სწორედ იმ პერიოდში, როცა „შე'რე ნოუს“ უკვე დამკვიდრდა და მყარად გაიდგა ფესვები სპარსულ ლიტერატურაში, ახალი და ტრადიციული ლექსის შეჯერებით შეიქმნა „ახალი ყაზალი“ (كازال جديد), „რომლის სტრუქტურა ტრადიციულია, მაგრამ ენა და პოეტური წარმოსახვის ფორმა სრულიად ახალი“ [3, 346]. ავტორი ფორუყის ლექსს - „ყაზალი“ სწორედ ამ ტიპის ყაზალს მიაკუთვნებს, საიეს ერთ-ერთ ყაზალს ადარებს და მათ შორის მსგავსებასაც პოულობს, თუმცა ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში, სიტყვა „მსგავსება“ სწორად არ განსაზღვრავს ამ ორ ყაზალს შორის არსებულ ურთიერთმიმართებას, რადგან ფორუყის „ყაზალის“ პირველი ორი მისრა:

چون سنگها صدای مرا گوش می کنی و ناشنیده فراموش می کنی

[ქვებივით] გაქვავებულებით ისმენ ჩემს ხმას

ქვა ხარ და ისე რომ არც გაგიგონია, ივინყებ [7, 243].

ფაქტობრივად საიეს ლექსის იმ მისრათა პერიფრაზირებაა, რომელიც თავად პოეტს თავისი ლექსისთვის ნაუძმძღვარებია: საიე:

هر شب به قصه دل من گوش می کنی فردا چو قصه فراموش می کنی

ყოველ ღამით უსმენ ჩემი გულის ზღაპარს.

ხვალ მე, როგორც ზღაპარს, მივინყებ [7, 243].

მათ შორის განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ პირველ მისრაში ფორუყმა სიტყვა „قصه“ (ზღაპარი) მისი პოეზიისთვის დამახასიათებელი სიმბოლოთი „صدا“ (ხმა) შეცვალა [უსმენ ჩემს ზღაპარს // უსმენ ჩემს ხმას].

შემდეგ ფორუყი აგრძელებს:

... گریه نوبهاری و خواب در بچه را از ضربه های وسوسه مغشوش می کنی...

ადრე გაზაფხულის თქეში ხარ და სარკმლის სიზმარს

იჭვენული კაკუნით ამფოთებ... [7, 243].

ამ მისრებში უკვე აშკარად ფორუყისეული „შერე ნოუსთვის“ დამახასიათებელი ელემენტები გაცოცხლდა: خواب „სარკმლის ძილი“, گریه های وسوسه „იჭვენული კაკუნი.“

ხოლო ის აუცილებელი პირობა, რომ ყაზალის ბოლოს პოეტს უსათუოდ უნდა ეხსენებინა საკუთარი თავი, ამ ლექსშიც დაცულია. ფორუყი ლექსს ამ მისრებით ასრულებს:

در سینه ها، فروغ تو بنشست و رنگ بلخت او را به سینه از چه سیه پوش می کنی

ჩრდილოვანში დაჯდა შენი ფორუყი და ფერი დაკარგა,

მას ჩრდილით შავად რატომ მოსაე? [7, 244].

ფორუყი თანამედროვე ეპოქის პოეზიაში ძველი კლასიკური ლექსის ფორმის გამოყენების შესახებ წერდა: „ყაზალის ყალიბშიც შეიძლება საკითხის დასმა და მისი განხილვა, სწორედ დღევანდელი დღის საჭირობო საკითხების გაანალიზება და ძალიან ღამაზი ლექსის შექმნა.“ [8, 244]. ამ ყაზალით ფორუყმა თითქოს კლასიკური და ტრადიციული ლექსის მიმდევრების გამოწვევა მიიღო და წარმატებით გაართვა თავი დასახულ მიზანს. მან „ყაზალის“ სახით შესანიშნავი ლექსი შექმნა, რომელიც ტრადიციული, კლასიკური სპარსული ლექსისა და „შერე ნოუს“ სინთეზს წარმოადგენს.

კრიტიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები ხშირად აკრიტიკებდნენ ფორუყს იმის გამოც, რომ პოეტი ტრადიციულ კლასიკურ ფორმებს დაუბრუნდა, რომ პოეტმა მესწვევი „ჭაობი“ – ლექსებში

„ყაზალი“ და „სატრფიალო“ – თავისი გრძნობები ჩაახშო, რომ „ამ ლექსების ყალიბი და ენა წარსულის კუთვნილებაა და ადამიანი აქ რაღაც ხრწნადობის შეგრძნებას განიცდის,“ მაგრამ ფორუყი თვლიდა, რომ „სიტყვა ახალი და სიახლის მატარებელი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფორმისა და ლექსის სტრუქტურის რღვევა მნიშვნელოვანი სულაც არ იქნება“ [8, 248].

ტრადიციული ლექსის, კერძოდ მესნევის, ფორმიტაა დანერილი ლექსი „ჭაობი“ (مرداب), რომლის ზომაც რამალია.

رفت و در من مرگزاری گهنه یافت	هستم را انتظارى گهنه یافت
آن بیلان بید و تنهائم را	ماه و خرسید مقوانیم را..
کو به کو در جست و جوی جفت خویش	می دود، معتاد بوی جفت خوی..
خواب آن بی خواب را یاد اورید	مرگ در مرداب را یاد اورید

ნავიდა და ჩემში ძველი სასაფლაო იპოვა
ჩემი არსება ძველმა მოლოდინმა იპოვა.
ნახა ის უდაბნო და ჩემი სიმარტოვე.
ჩემი მუყაოს მზე და მთვარე ნახა.

...

ქუჩა-ქუჩა თავისი წყვილის ძებნაში
დარბის სატრფოს სურნელით მთვრალი
გაიხსენეთ, სიზმარი იმ უძინარისა,
მოიგონეთ სიკვდილი ჭაობში [6, 357].

აქაც, როგორც ვხედავთ, მკაცრად არის შენარჩუნებული მესნევის აუცილებელი თითქმის ყველა ნიუანსი: ყალიბი, ზომა, რითმა, მაგრამ ლექსის თემატიკა, ლექსიკა სრულიად განსხვავებული და განახლებულია. თუმცა შენარჩუნებულია ფორუყის პოეზიისათვის და, ზოგადად, ახალი სპარსული პოეზიისთვის დამახასიათებელი ლექსიკა: „ჩემი მარტოობა“, مرداب „ჭაობი“, مرگزاری „სასაფლაო“, جفت „წყვილი“ და შედარება-მეტაფორათა განსხვავებული, ახალი ტიპი: انتظارى گهنه „ძველი მოლოდინი“; خواب آن بی خواب „უძინარის სიზმარი.“ და ა.შ.

თავად პოეტი ამ ლექსის შესახებ წერდა: „ამ ლექსის შექმნის მიზეზი გრძნობის დემონსტრირება არ ყოფილა. ის თავისთავად დაიბადა. ამ ლექსს თავისი ფორმა აქვს. „ჭაობს“ სიმშვიდე და ინერტულობა, უმოძრაობა ახასიათებს და იგი ძველი, დაღლილი ტკივილის ნიშანია. მღელვარე და ავტობუსებისა და ქარხნების

ხმაურთან არაფერი აქვს საერთო. არ ვიცი... მხოლოდ ის ვიცი, რომ
ჭაობია“... [8-246,247]

ფორუყ ფაროხზადის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „სატრ-
ფიალო“ (عاشقه) ასევე ტრადიციული ლექსის ფორმით, „რამაღის“
ზომითაა დანერგილი:

در هجوم ظلمت تردید ها	ای در بگشوده بر خورشید ها
هست اگر، جز درد خوشبختیم نیست	با توام دگر ز دردی بیم نیست
های هوی زندگی در قعر گور؟	این دل تنگ من و این بلر نور؟
هر کسی را تو نمی انگلستم. . .	پیش از اینت گر که در خود داشتم
ای مرا از گور من انگیخته	اه ای با جان من آمیخته
حیف از آن صرعی که با من زیستم. . .	این دگر من نیستم، من نیستم
رفته تا اعلق دنیاها من	خفته در لبخند فردا های من
این همه آتش به شمرم ریخته	ای مرا با شور شعر آمیخته
لاجرم شمرم به آتش سوختی	چون تب عشقم چنین افروختی

შენ გზებისკენ კარგახსნილო

ეჭვების წყვდიადის შემოტევაში.

მე შენთან ვარ და უკვე აღარ მაქვს არანაირი ტკივილის შიში
და თუ მაქვს, ბედნიერების ტკივილის გარდა არა არის რა.

...

ესაა ჩემი მწუხარე გული და სინათლის ტვირთი?
ცხოვრების ორომტრიალი სამარის ფსკერზე?

...

აქამდე, რადგან შენ ჩემში იყავი,
სხვაზე არ მიფიქრია, რომ ეს შენ ხარ.

...

ეჭ, ჩემს სულთან შერწყმულო,
ჩემო საფლავიდან აღმდგენელო.

...

ეს უკვე მე არა ვარ, მე აღარ ვარ
ვაი, ცხოვრებაე, საკუთარ თავთან გატარებულო!

...

ჩემს ხვალინდელ დღეთა ღიმილზე მთვლემარეე,
შეჭრილო ჩემი სამყაროს სიღრმეებში,
შენ მაზიარე პოეზიის სიყვარულს
და ამდენი გზნება დაღვარე ჩემს ლექსებზე.
და რადგან სიყვარულის ცეცხლი ასე დაანთე ჩემში,
ეს ჩემი ლექსიც უნებურად ცეცხლს მიეცი [7, 55].

ამ ლექსში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია არა მარტო კლასიკური სპარსული ლექსისათვის დამახასიათებელი ფორმა, არამედ სტილი ლექსისა, რომელიც ასევე კლასიკური სპარსული ლექსის ნიშნებს ატარებს. თუმცა, ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლექსი სიმბოლიზმისა და ეგზისტენციალიზმის ელემენტებს უხვად შეიცავს, რაც ყველაზე მეტად ლექსის შედარებათა და მეტაფორათა ახალ, კლასიკური სპარსულისათვის სრულიად განსხვავებულ ფორმაში გამოვლინდა. მაგალითად: „ეჭვების წყვდიადი“, „ბედნიერების ტკივილის შიში“, „ცხოვრების ორომტრიალის ფსკერი.“ საინტერესოა ლექსის, - პოეზიის ამგვარი განმარტება: *خفته را بختند فردا های من* „ჩემს ხვალინდელ დღეთა ღიმილზე მთვლემარე.“ პოეტი მიზანმიმართულად იყენებს ასევე კლასიკური სპარსული ლექსისთვის დამახასიათებელ სიტყვებს, ტერმინებს, ფრაზებს. მაგალითად: *هجوم* - შემოტევა; *فردا* - საფლავი. „ფსკერი“; წმინდა სუფიურ ტერმინს *شور* - „გზნება“ (*باشور شعر آمیخته*); ფრაზები: *آه آنگخته ای مرا از گور من* (ეჰ, ჩემს სულთან შერწყმულს), *این همه آتش به شمرم ریخته* (ამდენი გზნება დაღვარე ჩემს ლექსებზე).

ლექსის ბოლო ორი მისრა:

چون تب عشقم چنین افروختی *لاجرم شمرم به آتش سوختی*

და რადგან სიყვარულის ცეცხლი ასე დაანთე ჩემში,
ეს ჩემი ლექსიც უნებურად ცეცხლს მიეცე.

ძალიან ჰგავს დიდი ირანელი კლასიკოსის ჯალალ ედ-დინ რუმის ყაზალს „*صورتگر نغمه*“, სადაც შემოქმედი (მხატვარი), რომელიც თავად იწვის შემოქმედებითა და რომელშიც თავად სახლობს შემოქმედი, ცეცხლში წვავს თავის ქმნილებებს.

صد نقش بر انگیزم با روح در آمیزم

چون نقش ترا بینم در آتشش آندم [9-346]

ას ნახატს დაეხატავ და სულს შთაებერავ,
შენს ხატებას რომ ვიხილავ, მათ ცეცხლში ჩავაგდებ.

პოეტი თითქოს ცდილობდა წარსულისთვის და იმ ძველი დიდებისთვის შეეფარებინა თავი, რასაც კლასიკური სპარსული პოეზია ერქვა. იგი წერდა: „იციოთ, მე მესწევიში „სატრფიალო“ (*عشقه*) მსურდა გარკვეულ წილად იმ სიყვარულზე მემამბნა თქვენთვის, დღეს რომ აღარ არსებობს დაერთგვარი აღმატებულის (ღვთიურის) შეგრძნებას ბადებს. მე ეს შეგრძნება განმიცდია და იგი „დღევან-

დელი დღის“ სასიყვარულო განცდებს სრულიად არ ჰგავდა. დღეს ხალხი სიყვარულს საკუთარი საათის ნიკნიკით ზომავს და ბლოკნოტებში აღნიშნავს, რათა, როგორც იტყვიან, ამ სიყვარულს ღირსეული პატივი მიაგოს. ადამიანები მისთვის კანონებსა და ნორმებს ადგენენ, მას ფასს ადებენ, ლალატისა და ერთგულების საზღვრებს ადგენენ, მაგრამ გრძნობას, რომელიც ჩემში იყო, ამ სიტყვებთან არავითარი კავშირი არ ჰქონია. ამ გრძნობამ შემქმნა მე და ვიცი, რომ სრულმყოფს. ყოველი შემთხვევისთვის, ის გრძნობა იმ დროის ჩარჩოში თავსდება და იგი მივიწყებული იყო და არის კიდევ. ზოგჯერ ადამიანი იძულებული ხდება ზოგიერთი მივიწყებული გრძნობის წარმოსაჩენად წარსულს შეაფაროს თავი“ [10-258].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Кляшторина В.Б., Новая поэзия в Иране. М. 1975.
2. محمد حقوقي؛ شعر نو از آغاز تا امروز؛ تهران، 1352.
3. میروس شمیسا؛ سبک شناسی (شعر)؛ جلد دوم؛ تهران، 1375.
4. شهنظر مرانی کرجی؛ شنلخت نامه فروغ فرخزاد؛ تهران، 1379.
5. امیر اسماعلی؛ ابولقلم صادرات؛ جاودانه فروغ فرخزاد؛ تهران، 1374.
6. بهروز جلالی؛ دیوان اشعار فروغ فرخزاد؛ تهران، 1377.
7. فروغ فرخزاد؛ تولدی دیگر (دیوان اشعار)؛ تهران، 1348.
8. میروس شمیسا؛ نگاهی به فروغ فرخزاد؛ تهران، 1376.
9. مولانا، جلال الدین محمد مولوی؛ بلخی رومی؛ کلیت دیوان شمس؛ تهران، 1378.
10. حمید سیاهپوش؛ زنی تنها، باختمه فروغ فرخزاد؛ تهران، 1378.

TEA JANASHIA

The Traditional Verse of Foruk Farokhzad

Summary

The new aesthetic-literary concepts of the beginning of XX century, which penetrated into Persian literature from Western European culture, almost destroyed the characteristic structure of classical the Persian verse and formed the basis for new poetry, the so-called 'Shere Nou.' However, a

phenomenon as strong as the classical Persian verse, with all its characteristic features, is found even in the works of most distinguished innovator poets. The twentieth century Iranian woman poet Foruk Farokhzad, who most strongly opposed the trends dominating in the classical Persian verse, still turned to the principles of classical Persian poetry in the second period of her literary work. Several of her poems belonging to this period are based on three short metres of 'Bahre Tondi' – 'Ranale Majbun,' 'Mojtas' and 'Mozare.' In her two latest collections of poems – 'Rebirth' and 'Let's Believe the Winter Cold' - one poem is written in the form of Kazal and two in the form of Masnavi. The poet sometimes makes use of the terms and phrases characteristic of classical Persian verse. Her poetry is a synthesis of occidental and oriental cultures, where the organic literary concepts of the West have acquired the melody and expression of Persian poetry.

ისლამი და კონფესიათშორისი ურთიერთობანი XIX საუკუნის თბილისში

თბილისის მუსლიმურ თემს ხანგრძლივი და რთული ისტორია აქვს, რომელიც სათავეს VII საუკუნის II ნახევრიდან იღებს, როცა ქართლში არაბები დამკვიდრდნენ. გვიან შუა საუკუნეებში ეს ურთიერთობა დიდწილად იყო დამოკიდებული ორი მძლავრი ისლამური სახელმწიფოს – ირანისა და ოსმალეთის, ხოლო XIX საუკუნეში – რუსეთის იმპერიის პოლიტიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკა ყოველთვის არ უწყობდა ხელს რელიგიურ სიმშვიდეს, სხვადასხვა კონფესიური თემების საუკუნეთა მანძილზე თანაცხოვრებამ თბილისის სპეციფიკურ პირობებში შემწყნარებლური კონფესიათშორისი ურთიერთობები ჩამოაყალიბა. ცხადია, არ იქნება სწორი ვამტკიცოთ, რომ თბილისში საყოველთაო რელიგიური ტოლერანტიზმის (ამ სიტყვების დღევანდელი გაგებით) ატმოსფერო სუფევდა, მაგრამ ფაქტია, რომ თბილისელთათვის უცხო იყო რელიგიური დაპირისპირება და, მით უმეტეს, კონფესიათშორისი შეიარაღებული კონფლიქტები.

ჟ. პ. დე ტურნეფორის ცნობით, XVIII საუკუნის დასაწყისში თბილისში 3000 მუსლიმი ცხოვრობდა,¹ რაც ქალაქის იმდროინდელი მოსახლეობის დაახლოებით 15%-ს შეადგენდა. რუსეთის იმპერიის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ მუსლიმთა რაოდენობა თბილისში მკვეთრად შემცირდა. 1825 წელს აქ სულ 300 მუსლიმი (უმეტესობა შიიტები)². ეს მაჩვენებელი მატულობს XIX საუკუნის II ნახევრიდან. 1864 წელს მუსლიმთა რიცხვი თბილისში უკვე 1500-ს აღწევს (ისევ ძირითადად შიიტები), ხოლო 1876 წელს – 4800-ს, რაც ქალაქის მთელი მოსახლეობის 4,3%-ს შეადგენს, ამათგან 3,6% შიიტია (სპარსელები და აზერბაიჯანელების უმეტესობა), 0,7% – სუნიტი (თურქები, ყაზანელი თათრები, დაღესტნელები და აზერბაიჯანელების მცირე ნაწილი)³.

¹ ჟ. პ. დე ტურნეფორი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბილისი, 1988, გვ. 66.

² Ю. Анчабадзе, Н. Волкова, Старый Тбилиси, Москва, 1990, гл. 45.

³ Тифлис по однопдневной переписи 25-го марта 1876 года. Тифлис, 1880.

სუნიტებსა და შიიტებს თავ-თავიანთი მეჩეთები ჰქონდათ. შიიტური მეჩეთი მტკვრის ნაპირას, მეიდნის სამხრეთით მდებარეობდა. გადმოცემით, ის ირანის შაჰმა ისმაილ I-მა ააშენა 1522-1524 წლებში. 1723-1735 წლებში, როცა თბილისი ოსმალებს ეკავათ, ქალაქში სამი სუნიტური მეჩეთი აშენდა. ისინი სპარსელებმა დაანგრიეს. ერთ-ერთის ადგილას, ნარიყალას ძირში, ახლანდელი ბოტანიკური ქუჩის ბოლოს სუნიტური მეჩეთი ისევ აშენდა 1846-1851 წლებში (ჯ. სკუდიერის პროექტით) და შემდეგ ხელახლა – XIX საუკუნის ბოლოს.

სუნიტებსა და შიიტებს შორის XIX საუკუნის თბილისში რაიმე წინააღმდეგობა არ არსებობდა. ეს დამოკიდებულება შემდგომაც გაგრძელდა. გ. გოცირიძე, რომელიც თბილისელ მუსლიმებში ეთნოგრაფიულ მასალას აგროვებდა, წერს: „რომელ მთხრობელთანაც არ უნდა მივსულიყავი შეკითხვით, შიიტი ხარ თუ სუნიტი-მეთქი, მპასუხობდნენ: „სუნ რაა და შია რაა, ეს თბილისია, აქ ყველა ერთია, სომეხი და ქართველი, ქრისტიანი და მუსლიმანი, შიიტი და სუნიტი“⁴. ქალაქის ორი მუსლიმური კონფესიური თემის თანხმობის იშვიათი გამოვლინება იყო (და ახლაც არის) შიიტების დაშვება სუნიტურ მეჩეთში მას შემდეგ, რაც 1950 წელს, მეტეხის ახალი ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებით, ძველი მეჩეთი დაანგრიეს და შიიტები საკუთარი სალოცავის გარეშე დარჩნენ.

შიიტი პილიგრიმი მირზა მოჰამად ჰოსეინ ფარაჰანი, რომელმაც 1885 წელს ბაქოდან ბათუმში მოგზაურობისას თბილისი გაიარა, თავის „მოგზაურობის წიგნში“ განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ქრისტიანებისა და მუსლიმების მჭიდრო ურთიერთობაზე. ის აღნიშნავს, რომ „მუსლიმებს უყვართ ქართველები. ისინი არ იზღუდებიან მუსლიმური კვების წესებით, ჭამენ ქრისტიანულ საკვებს, მათ მიერ დაკლულ საქონელს და სვამენ ყველა სახის დამატარებელ სასმელს“⁵.

XIX საუკუნის თბილისში კონფესიათშორისი ურთიერთობების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია თბილისელი მუსლიმების მონაწილეობა ქრისტიანულ დღესასწაულებში. ერთ-ერთი ასეთი დღესასწაული იყო მამადავითობა, რომელიც აღდგომის შემდეგ მეშვიდე

⁴ გ. გოცირიძე, მუსლიმანური დღესასწაული „მოჰარამი“ თბილისში, თბილისი, 1988, გვ. 3.

⁵ A Shi'ite Pilgrimage to Mecca 1885-1886: The Safarnameh of Mirza Mohammad Hosayn Farahani, edited, translated and annotated by H. Farmayan and E. L. Daniel, Austin, 1990, სპარსული ტექსტის გვ. 79.

ხუთშაბათს, ამალღების სწორზე იმართებოდა. XIX საუკუნეში ეს რელიგიური დღესასწაული საერთო-სახალხო ზეიმად გადაიქცეოდა ხოლმე. მთაზე ანთებდნენ ფისიან კასრებს, ხოლო მამადავითის ეკლესიისკენ მიმავალ გზაზე – დიდ ჭრაქებს, ისე რომ განათებული მთანმინდა თბილისის ყველა კუთხიდან კარგად ჩანდა⁶. ათასობით ღვთისმოსავი ასრულებდა დადებულ აღთქმას – ფეხშიშველი ადიოდა მთანმინდაზე. ნმ. დავითი გაუთხოვარი და უშვილო ქალების მფარველად ითვლება და ამიტომ აქ შველას ყველა გაჭირვებული ქალი ეძებდა, მიუხედავად კონფესიური განსხვავებისა. თვითმხილველების ცნობით, მამადავითობა თბილისურ დღესასწაულებს შორის იყო ყველაზე ჭრელი, მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური საერთო-სახალხო ზეიმი. მასში ქრისტიანებთან ერთად მონაწილეობდნენ მუსლიმებიც, რომელთაც საამისოდ განსაკუთრებული მიზეზი ჰქონდათ: თბილისურ მუსლიმურ ტრადიციაში ნმ. დავით გარეჯელთან გაიგივდა შეიხი სანაანი და თბილისელ მუსლიმებს სწამდათ, რომ ის მთანმინდაზე, ეკლესიის მახლობლად იყო დაკრძალული. ლეგენდა შეიხ სანაანზე, რომელმაც რუმელი ქრისტიანი ქალის სიყვარულით უარყო ისლამი და გაქრისტიანდა, ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთში. ის არაერთი პოეტის (ფარიდ ედ-დინ ათარი, ალიმერ ნავოი, გოლშაჰრი, ფაკი თეჰრანი და სხვები) შთაგონების წყაროდ იქცა. როგორც ჩანს, ეს ისტორია პოპულარული იყო საქართველოშიც. აქ ჩამოყალიბდა შეიხის ამბის ლოკალური ვერსია, რომელშიც შეცვლილია არა მარტო გეოგრაფიული არეალი (მოქმედება რუმიდან საქართველოშია გადმოტანილი), არამედ ამბის ბოლოც: თუ სპარსულ ვერსიაში შეიხი სანაანი ისლამს დაუბრუნდა, ქართულ ვერსიაში გაქრისტიანებული შეიხი მღვდელმსახური მამა დავით გარეჯელი გახდა და იგი ეკლესიის ეზოში დაკრძალეს⁷.

თბილისური გადმოცემა შეიხ სანაანის შესახებ აღნიშნულია XIX საუკუნის ირანელ მოგზაურთა ნაწერებში. ფარაჰანის თქმით, „ქალაქის შუაგულში, მთის სამხრეთ კალთაზე არის ეკლესია, სადაც

⁶ მთანმინდის დღესასწაულის შესახებ იხ. გაზეთი "Кавказ". 1851, №4: 1888, №152.

⁷ ვრცლად შეიხ სანაანსა და მის კავშირზე თბილისთან იხ.: მ. ალექსიძე, აღმოსავლეთი და დასავლეთი დავით ბატონიშვილის „ახალ შიხში“, XVIII-XIX საუკუნეების ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 2001, გვ. 67-90; მისივე, Sheikh Sana'an and Tbilisi, Georgie et sa capitale Tbilissi entre Perse et Europe, Tbilissi-Paris, 2006, უკ. 15-23.

გადმოცემით შეიხ სანაანის საფლავია. ქართველებს შეიხ სანაანის ძალიან სწამთ და ეს აკლდამა მათთვის სალოცავი ადგილია. ნელინადში ერთხელ ქალაქის და ახლო სოფლების მოსახლეობა ჯგუფ-ჯგუფად მოდის შეიხის საფლავზე სალოცავად და თან შესანიშნავი მოაქეთ⁸. დაახლოებით ასეთსავე ცნობებს გვანდის გენერალი მაჯდ-ოს-სალტანე, რომელმაც 1894 წელს იმოგზაურა თბილისში და მისი აღწერა დაგვიტოვა. იგი გვამცნობს, რომ „ერთი მთის ძირას ეკლესიაა გაშენებული. იქვეა საფლავი ცნობილი შეიხ სენანის. ეს საფლავი მუსლიმანთათვის და ქრისტიანთათვის ზიარების ადგილია. შეიხ სენანის საფლავს ახლაც პატივს სცემს ხალხი და წმინდა ადგილად რაცხს მას“⁹. როგორც ვ. ფუთურიძე აღნიშნავს, „ჩანს, XIX საუკუნის დამლევს ცოცხალი ყოფილა ისევე ლეგენდა, რომელიც შეიხ სანანის სახელს უკავშირებს მამა დავით გარეჯელს“¹⁰. შეიხ სანანის თბილისთან კავშირი აისახა აზერბაიჯანელი პოეტის ვაგიფის¹¹ და სპარსელი პოეტის შეიბანის¹² თბილისისადმი და ქართველი ქალისადმი მიძღვნილ ლექსებში. შეიხ სანანისა და ქართველი ქალის სიყვარულის ისტორია საფუძვლად დაედო დავით ბატონიშვილის რომანს „ახალი შიხი“¹³.

მუსლიმი შეიხის სანაანის და ქართული ეკლესიის წმინდანის დავით გარეჯელის იდენტიფიკაციის ფაქტი თავისთავად ძალიან საინტერესო და მრავლისმეტყველია. ვფიქრობ, ის ცოცხლად ასახავს XVIII-XIX საუკუნეების თბილისის მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური საზოგადოების ხასიათს. უეჭველია, რომ ქრისტიანი წმინდანის და მუსლიმების მიერ სათაყვანებელი შეიხის გაიგივება შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ისეთ საზოგა-

⁸ A Shi'ite Pilgrimage to Mecca 1885-1886: The Safarnameh of Mirza Mohanmad Hosayn Farahani, სპარსული ტექსტის გვ. 79. ფარაჰანის თხზულების ინგლისურ ენაზე შთარგმნელები ვარაუდობენ, რომ „სანანი“ შესაძლოა სიონთან იყოს კავშირში, რაც, ცხადია, შეცდომაა (იქვე, ინგლისური ტექსტის გვ. 82, შენ. 121).

⁹ მაჯდ-ოს-სალტანე, ქალაქ თბილისის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მ. მამაცაძემილმა, თბილისი, 1971, გვ. 40.

¹⁰ იქვე, გვ. 10; აგრეთვე გვ. 52, შენ. 96 (გამომცემლის კომენტარი).

¹¹ ქ. Аминов. Из истории Азербайджанско-грузинских литературных связей. Баку, 1958. გვ. 38 ვაგიფის ჩვენთვის საინტერესო ლექსის შესახებ იხ. G. Bellingieri, La puezia "georgiana" di Vagif, Georgica I, a cura di L. Magarotto e G. Scarcia, Roma, 1985, გვ. 86-89.

¹² Moniakhabi Scheibani, Imprimé pas Mirza Riza Khan, Istanbul, 130R/1890-1891, გვ. 3-4.

¹³ დავით ბატონიშვილი, ახალი შიხი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, №1496.

დობეაში, რომლისთვისაც უცხო იყო მძაფრი რელიგიური დაპირისპირება და შეუწყნარებლობა.

ფარაჰანის „მოგზაურობის ნიგნში“ არის კიდევ ერთი საინტერესო ცნობა, რომელიც მოწმობს ხალხურ ცნობიერებაში ქრისტიანი და მუსლიმი წმინდანების გაიგივების პრაქტიკას. იგი ჰყვება თბილისის ეკლესიების შესახებ და წერს: „ერთ-ერთი ეკლესია ხიზრის (ჰეზრ) სახელობისაა. ადგილობრივთა რწმენით, ის ხიზრის სამყოფელია“¹⁴.

ხიზრი (ალ-ხადირი) ისლამამდელი მითოლოგიური პერსონაჟია, რომელიც ინტეგრირდა მუსლიმურ წარმოდგენათა სისტემაში. კომენტატორთა უმეტესობა მას ყურანის უსახელო „ალაჰის მონად“ მიიჩნევს (18:59-81). ხიზრის სახელთან არის დაკავშირებული უამრავი გადმოცემა ისლამური სამყაროს სხვადასხვა კუთხეში. ხალხურ წარმოდგენებში იგი ხშირად იდენტიფიცირდება ელია წინასწარმეტყველთან და წმ. გიორგისთან. ხიზრისა და წმ. გიორგის გაიგივების საფუძველია მათი კავშირი ბუნებასთან, მინასთან, წყალთან, მსგავსი თვისებები (მორწმუნეთა მფარველი, უშიშარი მეომარი), სახელების ეტიმოლოგიური ნათესაობა („ხიზრი“, „ხადირი“ მოდის არაბული სიტყვიდან „ხადარ“ – მწვანე, ხოლო „გიორგი“ უკავშირდება ბერძნულ სიტყვას „გე“ – მინა და მისგან მომდინარე ცნებებს, რომლებიც მოიცავს „სიმწვანესაც“), იკონოგრაფიული დეტალები (მოსასხამის ფერი, ცხენის ფერი და სხვა). ამდენად, საფიქრელია, რომ ფარაჰანი გულისხმობს წმ. გიორგის ერთ-ერთ ეკლესიას¹⁵, რომელსაც თბილისელი მუსლიმები ხიზრთან აკავშირებდნენ. საინტერესოა, რომ ეს დაკავშირება ფარაჰანის უჩვეულოდ არ მოეჩვენა. ჩანს, მისთვის და მისი ინფორმატორისათვის, რომელიც თბილისელი მუსლიმი უნდა ყოფილიყო, წმ. გიორგი თავისთავად იგივედებოდა ხიზრთან.

საქართველოს მუსლიმების განსაკუთრებული პატივისცემა წმ. გიორგისადმი კარგად ჩანს 1868 წელს გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილ ინტერვიუში, რომელიც კორესპონდენტმა არა რიგითი მუსლიმისგან, არამედ სასულიერო პირისგან – მოლასგან აიღო:

¹⁴ A Shi'ite Pilgrimage to Mecca 1885-1886. The Safanumeh of Mirza Mohammad Hosayn Farahani. სპარსული ტექსტის გვ. 79.

¹⁵ 1885 წელს, როცა ფარაჰანი თბილისში ჩამოვიდა, ქალაქში წმ. გიორგის სახელობის რამდენიმე ეკლესია იყო: ქართული – კალიუბნისა, კარისა, სომხური – კლდისუბნისა, ციხის დიდი საყდარი, ძორაბაში. ძნელი სათქმელია, რომელ მათგანს გულისხმობს ფარაჰანი.

„მოლამა სთქვა: შვილი შირიმით მიკვდებოდაო, ექიმებმა ვერა უშველეს რა. ერთი მადლიანი მარჩიელი ვნახე. ასე მირჩია: წადი და თქვენ წმინდა გიორგის ცხვარი დაუკალ, სანთელ-საკმელი აუნთე და საღამოზე საყდარში კუტალით წყალი შედგი. ის წყალი დილით უზმოზე დააღვინე და სადილისთვის სამარხო საჭმელი მოუმზადეო. მეც, როგორც მირჩია, ისე მოვიქეცი და შეიღმა საღამოზე სირბილი დაიწყო. ამ ჩვენი წმინდა გიორგისთანა ვეჭობ არ იყოს ქვეყანაზე ხატიო“¹⁶ (როგორც ჩანს, ამ „ჩვენში“ იგულისხმება იმ უბნის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელშიც მოლა ცხოვრობდა, და ეს სიტყვა გამოხატავს უფრო ტერიტორიულ კუთვნილებას, ვიდრე კონფესიურს). მსგავსი მოვლენა თბილისში ჯერ კიდევ უ. პ. დე ტურნეფორს (1701 წელი) აქვს აღნიშნული. მისი თქმით, ავადმყოფობისას „მაჰმადიანები დახმარებისათვის ქართველ წმინდანებს მიმართავენ, ქართველები – სომეხ წმინდანებს, ხოლო სომხები ზოგჯერ შევლას მაჰმადიან წმინდანებსაც შესთხოვენ“¹⁷.

ნ იანვარს თბილისის მოსახლეობა აღნიშნავდა ნათლისღების დღესასწაულს. მისი არსებითი ნაწილი იყო ჯვრით მსვლელობა მტკვარზე, რომელიც იორდანს სიმბოლიზირებდა და წყალკურთხევა. თვითმხილველები აღნიშნავდნენ ნათლისღების დღესასწაულის საერთო-სახალხო ხასიათს. მსვლელობებში ქრისტიანებთან ერთად მუსლიმებიც მონაწილეობდნენ¹⁸.

თბილისელი მუსლიმები მონაწილეობდნენ ასევე წმ. სერგის (სურბ-სარქისის) დღესასწაულში, რომელსაც აღნიშნავდა ქალაქის სომხურ-მონოფიზიტური მოსახლეობა თებერვლის დასაწყისში. ამ დღეს სურბ-სარქისის ეკლესიასთან ხარფუხში (ძველ სეიდაბადში) სომხებთან ერთად ქართველები და მუსლიმებიც გროვდებოდნენ¹⁹. სურბ-სარქისის დღესასწაულის აქტიური ხსოვნა (ამინდის გარკვეულ ცვლილებებთან დაკავშირებით) დღემდე შემორჩათ თბილისელებს, განურჩევლად მათი აღმსარებლობისა.

ეს დღესასწაულები დაკავშირებული იყო არა მხოლოდ სპეციფიკურად ეკლესიურ ქმედებასთან, არამედ ასევე მსვლელობებთან და გარკვეულ (არსებითად ყოფითი ხასიათის) რიტუალებთან. ამ შემთხვევებში თბილისელი მუსლიმები მონაწილეობდნენ არა ქრისტიანულ, არამედ „სათბილისო“ საერთო-სახალხო ზეიმებში.

¹⁶ „დროება“, 1868, №33.

¹⁷ უ. პ. დე ტურნეფორი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 69.

¹⁸ Ю. Аничандзе, Н Волкова, Старый Тбилиси, გვ. 222-224.

¹⁹ იქვე, გვ. 224-225.

XIX საუკუნის თბილისში, ქრისტიანული დღესასწაულების გარდა, საერთო-სახალხო ზეიმის სახეს მუსლიმური დღესასწაულებიც იღებდა. ნოურუზ-ბაირამი (ახალი წლის დღესასწაული) გაზაფხულზე იმართებოდა. დღესასწაულის მოახლოებას რამდენიმე დღით ადრე იტყობინებოდნენ თბილისის გაზეთები²⁰. ამ დღეს ყველა თბილისელი მუსლიმი იკრიბებოდა სპარსეთის კონსულის რეზიდენციასთან, სადაც კონსული ახალ წელს ულოცავდა შეკრებილებს და უმასპინძლდებოდა. მოწვეული მუსიკოსები ასრულებდნენ სპარსულ სიმღერებს და მელოდიებს. დღესასწაული სამ დღეს გრძელდებოდა, რომლის განმავლობაშიც ქალაქში არ წყდებოდა ქეიფი და სეირნობები. ასეთივე ზარ-ზეიმით ტარდებოდა რამაზან-ბაირამი და ყურბან-ბაირამი. განსაკუთრებული მასშტაბით და ხმაურიანად კი თბილისში მოჰარამი იმართებოდა.

თბილისური ისლამური დღესასწაულების სპეციფიკას მათზე არამუსლიმების დასწრება წარმოადგენდა. XIX საუკუნეში ეს შედარებით იშვიათად ხდებოდა, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისიდან ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ქრისტიანები არა მარტო ქუჩის მსვლელობებში, არამედ ერთმანეთთან სტუმრად სიარულის რიტუალშიც იღებდნენ მონაწილეობას. თვითმხილველთა ცნობით, თბილისურ როუზეს ესწრებოდნენ როგორც მუსლიმები, ისე ქრისტიანები, რაც ინვევდა ტრადიციული თემატიკის ერთგვარ ცვლას: შიიტი წმინდანების თავგადასაველების და ყურანის კითხვის ნაცვლად, იგი საერთო სჯა-ბაასსა და აზრთა ურთიერთგაზიარების ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

მშვიდობიანი თანაარსებობის თბილისურმა მტკიცე ტრადიციამ თავი იჩინა 1905 წლის ბოზოქარი მოვლენების დროს. მაშინ, როცა ბაქოში, ელიზავეტპოლში, ნახიჭევანში, შუშასა და ერევანში სომხებისა და აზერბაიჯანელების (თათრების) დაპირისპირებას ათასობით ადამიანი შეეწირა, თბილისის საზოგადოებამ და პოლიტიკურმა პარტიებმა (პირველ რიგში – სოციალ-დემოკრატიებმა) მოახერხეს, რომ კონფლიქტი ქალაქის ორ თემს შორის მასშტაბურ ხოცვა-ჟლეტაში არ გადაზრდილიყო. დამახასიათებელია, რომ ის რამდენიმე შეტაკებაც, რომელსაც 1905 წლის ნოემბერ-დეკემბერში მსხვერპლი მოჰყვა, სომხებს თბილისში ჩამოსული ბორჩალოელი თათრების რაზმებთან მოუხდათ. საკუთრივ თბილისელ სომხებსა და თათრებს შორის სერიოზული სისხლისმღვრელი კონფლიქტი არ

²⁰ იხ. მაგალითად, "Кавказ", 1851, №43.

ყოფილა – პროვოკატორების ნაქეზების მიუხედავად, ადამიანებს ერთმანეთზე თავდასხმა არ სურდათ²¹. სომხურ-თათრული დაპირისპირება წმინდა ეთნიკურ პრობლემად დარჩა და რელიგიური კონფრონტაციის ელფერი პრაქტიკულად არ მიუღია. მასში არ მონაწილეობდნენ თბილისში მცხოვრები სხვა მუსლიმები, კერძოდ ირანელები²². ტრადიციულმა ტოლერანტიზმმა იჩინა თავი თითქმის ასი წლის შემდეგაც, როცა ყარაბახის ომს თბილისის სომხურ და აზერბაიჯანულ მოსახლეობას შორის ურთიერთობების გართულება არ მოჰყოლია.²³

MARINA ALEXIDZE

Islam and Cross-Confessional Relations in the Nineteenth-Century Tbilisi

Summary

In 1876, 4,3% of the residents of Tbilisi were Muslims, both Shiites (3,6%. Iranians and Azerbaijanians) and Sunnites (0,7%. Kazan Tatars, Dagestan peoples and Turks). In spite of a comparatively closed character of those communities, they were actively taking part in the common urban life and, to a certain extent, were being influenced by Christian population. Sources denote common holy places of Christians and Muslims in the nineteenth-century Tbilisi, such as the Georgian Church of St David of Gareja (Mamadaviti) on the slope of Mt Mtatsminda. Muslims considered it to be the site of the tomb of Sheikh Sana'an highly venerated on the Muslim East. According to the local version of the Sheikh Sana'an's story, he died in Tbilisi and was buried in the yard of the Church of St David. Moreover, in

²¹ ამასთან დაკავშირებით იხ.: L. Villari, *Fire and Sword in the Caucasus*. London, T. F. Unwin, 1906, გვ. 331-335; П Шехтман, *Планиа давних пожаров: Тифлис, ноябрь*, Pro Armenia, Москва, 1993, I. გვ. 24-25; M. C. Ордубады, *Кровавые годы*. <http://www.karabakh-doc.azerall.info/ru/azerpeople/ap061-1.php>.

²² ლ. ვილარი ამას თბილისში ირანის კონსულის ფარაჯოლა ხანის დამსახურებად მიიჩნევს (L. Villari, გვ. 117).

²³ ამ ფაქტს საგანგებოდ აღნიშნავს ირანული ისლამური ენციკლოპედია სტატიიში „თბილისი“ (სტატიის ავტორი ლ. ქერიმიანი): *Daneshname-ye jehan-e eslām, shomarc-ye V, zir-e nazar-e Qolam'ali Heddad 'del*, Tehran, 1382/2003, გვ. 736.

folk conception Sheikh Sana'an was identified with St David himself. Another amazing case of blending of Christian and Muslim holy persons in Tbilisi is the record of Persian pilgrim Farahani about the church dedicated to Khizri, a pre-Islamic mythological hero, incorporated into the system of Muslim beliefs. Folklore tradition often identified Khizri with Prophet Elias and St George. Apparently, Farahani also meant one of the churches of St George in Tbilisi.

The climate of tolerance and mutual confidence was reflected in religious festivals, both Christian and Muslim. Muslims used to join ceremonial processions on the Orthodox Epiphany celebrated in commemoration of the Baptism of Christ, and the Armenian holy day of St Sergios (Surb Sarkis). On their part, Christians also participated in Muslim feasts.

The tradition of peaceful co-existence prevented Azerbaijanian and Armenian communities of Tbilisi from bloody conflicts in 1905, during massacres in Baku, Elizavetpol, Shusha, Yerevan, and other towns, and again in the 1990s, during the Karabakh war.

იაკობი და ესავი

ქორწინებიდან ოცი წლის შემდეგ რებეკა დაფეხმძიმდა. ღმერთი ასრულებს აბრაამის მიმართ დადებულ აღთქმას, შეისმენს ისაკის ვედრებას და აძლევს შთამომავლობას. წერილი აქვე გავანდობს რებეკას უჩვეულო ორსულობის ამბავს. დედის მუცელში ერთმანეთს ეჯაჯგურებოდნენ ვაჟები. **יָאֵל הִזְזָה יָדָא, -** თუ ასეა, რად ვარ ცოცხალი (რისთვის ვლოცულობდი?) - აღმოხდება გამწარებულ ქალს. ღმერთი ამცნობს რებეკას მისი განსაკუთრებული მდგომარეობის მიზეზს: "ორი ხალხია შენს მუცელში, და ორი ერი განიყოფა შენი საშოდან; და ერი ერზე იმძლავრებს, და უფროსი ემსახურება უმცროსს." ეს უცნაური წინასწარმეტყველება ქალის ხსოვნაში ჩარჩება. შესაძლოა ეს საიდუმლო თავად რებეკასთვისაც ბუნდოვანი დარჩა და საჭიროდ არ ჩათვალა, იგი ქმრისათვის გაენდო.

მშობიარობის დროც დადგა. პირველი ტყუპისცალი იყო წითელი და მთლად ბენვის მოსასხამს ჰგავდა, - მას ესავი უწოდეს, ხოლო მეორე - ძმის ქუსლს იყო ჩაჭიდებული და მას იაკობი, - სიტყვიდან **אָבָה** დაარქვეს. წერილში ახალშობილთა დახასიათებისას სიმეტრიულობა დარღვეულია, პირველი წარმოდგენილია გარეგნული ნიშნით, ხოლო მეორე - თავისი მოქმედებით ხასიათდება. ზოგადად, ცნობილია ტყუპების განსაკუთრებული ფსიქოლოგიური ბუნება. ერთი მხრივ, ისინი ძალზე დამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე, მეორე მხრივ, მუდმივ ქიშპსა და წინააღმდეგობაში არიან. მათ აქვთ მუდმივი ლტოლვა გამთლიანებისაკენ, ერთ ინდივიდად ქცევისაკენ, გარემო კი ცდილობს გამოარჩიოს ისინი ინდივიდუალური ნიშნით და კონფლიქტიც ამ დროს იწყება¹. წერილი გვამცნობს, რომ მამას გამორჩეულად უყვარდა ესავი, უფროსი ვაჟი, ხოლო დედას - უმცროსი - იაკობი. ესავიც ცდილობს მამას ააშოს, თავისი ნანადირევით კვებავს, ბაძავს მამას, თავადაც ორმოცი წლის ასაკში შეირთავს ცოლებს, ხეთელ ქალებს. რებეკასა და იაკობის ურთიერთსიყვარულის მიზეზების შესახებ წიგნი დუმს, როგორც ჩანს, აქ ზედმეტია სიტყვები, მკითხველისათვის ყვე-

¹ Аллан Фром, Алфавит для родителей. Ленинград. 1992, гл. 25.

ლაფერი უსიტყვოდაც ნათელი უნდა იყოს. ტყუპების შობის ამბის შემდეგ წერილი მამის მიერ ძმების კურთხევის ამბავს მოგვითხრობს. ისაკმა საყვარელი პირმო - ესაეი უნდა აკურთხოს, კონფრონტაცია ძლიერდება, ასპარეზზე გამოდის ქალი, დედა - რებეკა, რომელმაც იცის ლეთიური წინასწარმეტყველება, იცის ნება ლეთისა, რომლის თანახმადაც კურთხევა უმცროსმა იაკობმა უნდა მიიღოს. ერთი შეხედვით, ისაკი თითქოს ქიშპს აგდებს ძმათა შორის, ერთს გამოარჩევს და სრულუფლებიან მემკვიდრედ წარმოადგენს, ხოლო მეორეს ლეთის ანაბარა ტოვებს. მაგრამ ისაკის პიროვნებას არ შეეძლო ამგვარი დაპირისპირების ინიციატორი გამხდარიყო, მისთვის, საერთოდ, უცხო იყო ინიციატივის გამოჩენა. როგორც ვიცით, ორმოცი წლის ისაკს ცოლსაც მამა დაუსვამს შინ. ისაკი წიგნში ლეთის მიმართ ადამიანის უსიტყვო მორჩილებას განასახიერებს, იგი ფიზიკურად გადარჩა მორიას მთაზე, მაგრამ სულიერად უფალს შეენირა მსხვერპლად, მისი ფერფლიც ისევე აიჭრა ცად, როგორც ლეთის ბოძებულნი, ბუჩქებში გახლართული სამსხვერპლო ვერძისა. ამიტომაც ხშირად წერილი ახსენებს ძველი აღთქმის ღმერთს, როგორც ისაკის შიშის ღმერთს (*ელოჰი ფახად იცბაე*). როგორც ჩანს, ისაკი სრულებით არ მოელის ვითარების დრამატიზებას და მისი ეს სიმშვიდე სავსებით ლოგიკურიც იყო. აბრაამის ღმერთმა იგი აკურთხა და, მოსალოდნელია, რომ აკურთხებს მის შთამომავლობასაც, მეტადრე ერთი დედის საშოდან ერთ დღეს გაჩენილ ტყუპებს. აქ ჩვენ ხომ არა გვაქვს საქმე ისმაელის შემთხვევასთან, რომელიც აბრაამს მხეელისაგან შეეძინა. ლეთისგან ხელდასხმული იქნება ესაეიცა და იაკობიც. მამის კურთხევას რაც შეეხება, ისაკი კურთხევის გარეშე, რასაკვირველია, არც იაკობს დატოვებდა. გავიხსენოთ როგორ აკურთხა ნოემ თავისი ვაჟები, ან შემდგომ თავად იაკობმა თორმეტივე ვაჟი თითოეული თავისი ბუნებისა და მონოდების მიხედვით.

ისაკსაც თითოეულისათვის თავისი წილი კურთხევა ჰქონდა გამზადებული, რა თქმა უნდა, თითოეულის შესაძლებლობის შესაფერისად. მონადირე, მამაც ესავს, რომელიც აგრეთვე მამისეულ საქმიანობას - მიწათმოქმედებას მისდევდა, ძალაუფლება და სიმდიდრე უნდა რგებოდა, ხოლო კარავში მჯდომი, თორას დანაფებული (მიდრამის მიხედვით)² მართალი იაკობი ერის სულიერი მამა შეიქნებოდა, ლეთისმსახურებას ჩაიბარებდა, ლევიანელთა მსგავსად. სხვათა შორის, წერილში თითქოს კიდევ ერთხელ

² Курс лекций 3. Дашевского Герой ТаНаХа в мидрашах мудрецов. WWW.machanaim.org

დაირღვა სიმეტრიულობა,³ ახლა უკვე ზრდასრული ძმების დახასიათებისას: "ვაიეჰი ესავ იმ იოდეა ცაიდ იმ სადე ვეიააკოვ იმ თამ იოშეე ოჰალიმ" ("და იყო ესავი ნადირობის მცოდნე, მინდვრის კაცი, ხოლო იაკობი მშვიდობიანი, კარვებში მოსახლე".) "მინდვრის კაცი" მინათმოქმედს უნდა ნიშნავდეს. "კარვებში მოსახლე" მწყემსს. აქ პერსონაჟები პარალელურ რიგში ხასიათდებიან, მაგრამ სხვაობა დასაწყისში გვაქვს: ესავი აქაც პროფესიული ნიშნით ხასიათდება, იაკობი კი არის "იმ თამ". "თამ" ნიშნავს უბინოს, უმნიკვლოს, ასევე მართალს, სამართლიანს. ეს სტილისტური ასონანსები ზევითაც და ამ შემთხვევაშიც ნიგნში, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის და საყურადღებო მოვლენათა გამოკვეთას ემსახურება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტყუპების ზემოხსენებული დახასიათება მიუთითებს ძველი მსოფლიოს კულტურული ყოფის ცენტრალურ კონტრასტსა და წინააღმდეგობას მომთაბარე და ბინადარ ცხოვრებას შორის. ეს დაპირისპირება აბელიდან და კაენიდან იღებს სათავეს. აბელისა და კაენის ამბავი არის სწორედ იაკობისა და ესავის ამბის ძირითადი ინტერტექსტიც. პერსონაჟთა დაწყვილება მარტივია: აბელი - იაკობი, კაენი - ესავი. აბელი და იაკობი მწყემსები არიან, კაენი და ესავი - მინათმოქმედნი. აბელი და იაკობი მშვიდობიანები არიან, ხოლო კაენი ძმის მკვლეელია და ესავიც იაკობს მოკვლით ემუქრება. ნარღვნამდელი ამბავი მეორდება, მაგრამ, ცხადია, გმირთა ვარიაციულ პორტრეტებში გარკვეული მეტამორფოზები ვლინდება და მოქმედებაც შესაბამისად ვითარდება. როლები თითქოს იცვლება. იაკობი კაენური ცივილიზაციის მონაპოვრით - კარვით სარგებლობს (კარავი იაბალმა - კაენის მე-5 თაობის წარმომადგენელმა გამოიგონა), მოხვეჭისა და შეძენის კაენური წადილი თუ როგორ გამოიხატა იაკობსა და მის შთამომავლობაში, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ესავის სახე კი აბელური ხასიათის შტრიხებს იძენს. ის ნადირობის მცოდნეა, ანუ ცხოველთა სამყაროს ისიც პროფესიულად უკავშირდება, ესავიც მარცხდება ძმასთან ბრძოლაში (სხვათა შორის, მდინარე იაბოკის პირას გამართულ ორთაბრძოლაში იაკობის მეტოქედ ესავს ან ესავის ვეზირს (ხაზალი) მიიჩნევენ⁴. ესქატოლოგიური სცენა იაბოკთან [ქართულში საინტერესო სიტყვათა თამაშს ვიღებთ: იაკობი-იაბოკი] ორთაბრძოლისა არის ვარიაცია ველად გასული

³ עבשו תושף ,טמו ינחלא ררה www.vbm-torah.org.

⁴ Jack Miles, Jacob's Wrestling Match, *Was It an Angel or Esau?* <http://fontes.lsic.edu/~rklein/Documents/Peniel.htm>.

ძმების - აბელისა და კაენის - საბედისწერიო ქიდილისა), მისი მოდგმა აბელივით გაქრება ისტორიის ასპარეზიდან.

ძველი სცენარი ღვთის ხელმა შეცვალა. 20 წლის ხიზნობიდან დაბრუნებული, ღვთის მადლით, გამრავლებული და გამდიდრებული იაკობი ესავეს ეუბნება: "შენი სახე რომ დაეინახე, გინდ ღვთის სახე დამენახოს", ამ შეხვედრამდე კი იაკობი ლოცვას ამბობს: "თქვა იაკობმა: ჩემი მამის, აბრაამის ღმერთო! ჩემი მამის, ისაკის ღმერთო! უფალო, რომელმაც მითხარი, შენს ქვეყანაში, შენს სამშობლოში, დაბრუნდი და სიკეთეს გიყოფო. ღირსი არა ვარ ყველა იმ სიკეთისა და ნყალობისა, შენს მორჩილს რომ უყავი; მე ხომ ჯოხის ამარამ გადავლახე ეს იორდანე, ახლა კი ორ ბანაკად ვდგავარ. მიხსენი ესავისაგან, ჩემი ძმისაგან, რადგან მეშინია მისი, არ დამეცეს და დედანუღიანად არ ამომწყვიტოს. აკი მითხარი: სიკეთეს გიყოფ, ზღვის ქვიშასავით აურაცხელს გავხდით შენს შთამომავლობას!" უფალმა ისევე შეისმინა იაკობის ვედრება, როგორც აბელის სისხლის ღალადისი. იაკობში აბელის "გენეტიკური კოდი" ცოცხლობს, რომელსაც ახლა უკვე ღმერთი იფარავს წარღვამდელი წარუმატებელი ექსპერიმენტის შემდეგ.

დავუბრუნდეთ ძმების კურთხევის ამბავს. იაკობმა პირველი ნაბიჯი კურთხევისაკენ გადადგა, როცა დაღლილ ესავეს პირმშობა ცერცვის წენიანის ნილ დასტყუა. ზოჰარი ამბობს, რომ ეს გარიგება არ ყოფილა ასე მომენტალური, იაკობი წლების მანძილზე ურიგდებოდა ესავეს პირმშობის მისაღებად. რაბინების თქმით, ესავისათვის სარისკო იყო პირმშობის ტვირთის ზიდვა. "ანოხი ჰოლეს ლამუთ ველამა ზე ლი ბეხორა" (სიკვდილს თვალეში ეუმზერ და რად მინდა პირმშობა\სიკვდილის პირისპირ დავდივარ..., სიკვდილი მელის...). ესავის ამ ნათქვამს რაბინები არ უკავშირებენ მის შიმშილს. ესავის შიში უკავშირდებოდა მის მოლოდინს პასუხისმგებლობისა, რაც მას, როგორც პირმშოს, დაეკისრებოდა. როგორც ჩანს, იაკობმა არაერთხელ განუმარტა მას ამ საშიშროების შესახებ. ესავეს მოუწევდა მღვდელმსახურის მოვალეობის შესრულება, რაც საფრთხეში აგდებდა მასაც და მთელ ოჯახსაც. ცნობილია, რომ ზეციურ რისხვას დაითევდა მღვდელმსახური, რომელიც სათანადოდ არ აღასრულებდა ღვთისმსახურებას. იომ ქიფურის დღეს, ტაძარში, ნმიდათა ნმიდაში შემავალ მღვდელმთავარს ფეხზე თოკი ჰქონდა გამობმული. იმ შემთხვევაში, თუ უფლის თვალში არ აღმოჩნდებოდა ღირსი თავისი პატივისა სასიკვდილო განაჩენს დაიმსახურებდა და გარეთ ამ თოკით გამოათ-

რევდენენ.⁵ დანაყრებული ესავი მშვიდად შორდება იაკობს, მან "არად ჩააგდო პირმშობა", ასკვნის ნერილი. რებეკას გეგმის მიხედვით, ბენვის სამოსელში გახვეული "ქოსატყუილა" (ეს ქართული სიტყვა, ალბათ, იაკობის ნიშან-თვისებას ეხმიანება) იაკობი მამას ეახლება, თავს ესავად გაასაღებს და კურთხევას გამოსტყუებს. შინ დაბრუნებულმა ესავმა ეს რომ შეიტყო, "ხმამაღლა და მწარედ ამოიგმინა; უთხრა მამას: "მეც მაკურთხე, მამაჩემო!" უთხრა ისაკმა: "მოტყუებით მოვიდა შენი ძმა და წაიღო საშენო კურთხევა". თქვა ესავმა: "ტყუილად კი არ ჰქვია იაკობი. ორჯერ გამაცურა: ჯერ პირმშობა წამართვა, ახლა კურთხევა წაურთმევია. ნუთუ არ შეგინახავს ჩემთვის კურთხევა?" გოროზი ესავის რეაქცია უმცროსი ძმის საქციელზე ძალზე რბილი მოსჩანს, ესავი მოთვინიერებულ მხედს ჰგავს. როგორც ჩანს, იგი საკუთარ თავზე უფრო ბრაზობს, ვიდრე იაკობზე. ის იწყებს ბრძოლას საკუთარ თავთან, საბოლოოდ ამ პიროვნებაში ვეებერთელა სულიერი მეტამორფოზა მოხდა. როგორც ზურაბ კიკნაძე აღნიშნავს, "თუ იაკობმა სძლია ესავს, ესავმა საკუთარ თავს სძლია"⁶ (*სხვათა შორის, რაბინული ტრადიცია ესავს ანუ ედომს უფრო ეთოსის მამად განიხილავს, ვიდრე ეთნოსისა. ხშირად ესავის სახელს სიმბოლოურად რომის იმპერიასთან აიგივებდნენ, მოგვიანებით, იმპერიის რღვევის შემდეგ, მის სახელს ქრისტიანულ ეკლესიას უკავშირებდნენ, თანამედროვე იუდაურ სამყაროში კი არაიშვიათად ესავი გაიგივებულია მთელს ევროპულ ცივილიზაციასთან. ერთგვარ ლოზუნგადაც კი ჟღერს დაეჭვებული ისაკის სიტყვები: "ხმა იაკობისა, ხელები - ესავის" ანუ რწმენა იაკობისა, ტექნოლოგიები - ესავის*).⁷ მოკლედ, ესავი არ ცდილობს იაკობის მიერ უკანონოდ, მოტყუებით მოპოვებული უფლებების დეზავუირებას, ისაკიც მშვიდადაა, მან თითქოს ხელი დაიბანა ესავის წინაშე, ესავის მდგომარეობა ნამდვილად აღძრავს მკითხველში სიბრალულს. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ისაკი დაჰყვა რებეკას ნებას, შესანიშნავად შეასრულა მის სცენარში თავისი როლი და "შეთქმულების" პასიური თანამონაწილე შეიქნა. ისაკისათვის ნათელი ხდება, რომ აბრაამის მოდგმის სელექცია გრძელდება, მხოლოდ იაკობს გამოარჩევს ღმერთი და იგი ფადან-არამში მიმავალ იაკობს ღვთიურ რჩეულობას (ბხირა)

⁵ Курс лекций 3. Дашевского, Герой ТаНаХа в мицрашах мудрецов, WWW.machanaim.org.

⁶ ხ. კიკნაძე, ხუთწიგნეულის თარგმანება, თბილისი, 2004, გვ. 85.

⁷ Теология доиспительности, Иаков и Эсав. www.abaratz.com/teol.htm.

ანიჭებს, რაც სრულიად განსხვავდება ესაეისათვის გამზადებული, მოტყუებით მოპოვებული კურთხევისაგან (ბხორა): "ყოველად-ძლიერი ღმერთი გაკურთხებს, ნაყოფიერს გაგზდის, გაგამრავლებს და ხალხთა კრებულის მამამთავარი შეიქნები. მოგცემ აბრაამის კურთხევას შენ და შენს შთამომავლობას შენთან ერთად, რათა დაიმკვიდრო შენი მდგმურობის ქვეყანა, რომელიც მისცა ღმერთმა აბრაამს."

უდავოდ, დიდი სულიერი საიდუმლოა დაფარული ტყუპების შობის პროვიდენციულ აქტში. მათი ბუნება არის გასაღები შემგომი მოვლენებისა, რაც ღვთის ხატად და სახედ ქმნილი ადამიანის, ღვთისგან რჩეული ერისა და ნარღვნას გადარჩენილი კაცობრიობის ფორმირებასა და განვითარებას უკავშირდება.

MAMUKA BUTSKIRIKIDZE

JACOB & ESAU

Summary

According to the formation and development of mankind, Jacob and Esau's birth involves a number of critical events. Their story is a variation of Abel and Cain's tragic life. Antediluvian unsuccessful experiment successfully repeated after the flood. As for Jacob and Esau's relationship, the psychology of the twins can be used as a key to understanding the attitudes of people, nations, states, religious societies, cultures and civilizations.

⁸ (שׂרָת תּוֹלְדוֹת (שׂרָת וְעֵשָׂו) שֶׁל הַרְבֵּי מַנְחֵם לִיבְנָא בִּפ"שׁ בַּמּוֹפֵי חַיִּינְרַחֲרָה)

სპარსული მინიატურის განვითარების ტენდენციები XVII საუკუნეში

დიდი ტრადიციების მქონე მრავალფეროვანმა ირანულმა სახვითმა ხელოვნებამ სამართლიანად დაიმკვიდრა საპატიო ადგილი მსოფლიო კულტურის საგანძურში. მან განვითარების საკმაოდ გრძელი და რთული გზა განვლო. მე-10 საუკუნის არაბი ავტორის ალ-მასუდის ცნობით, ჯერ კიდევ პართიის ხანაში (ძვ. წ. III-ახ. წ. III სს) არსებობდა ფერწერა, სასანური ირანის პერიოდში (III-VII სს) კი – ნიგნის მინიატურაც [1, 18; 2, 5], თუმცა სრულფასოვან განვითარებას მან შემდგომ ხანებში მიაღწია. საუკუნეთა მანძილზე სპარსულ სამინიატურო ხელოვნებას ჰქონდა როგორც აღმავლობა-აყვავების, ისე დაქვეითება-დაცემის პერიოდები, განიცდიდა აღმოსავლური (განსაკუთრებით ინდური და ჩინური), უფრო მოგვიანებით კი დასავლეთ ევროპული ფერწერის გავლენას. მიუხედავად ამისა, მთლიანობაში მან მყარად შეინარჩუნა თავისი ტრადიციულობა და თვითმყოფადობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილი ჰქონდა პირუკუ პროცესსაც ანუ სპარსული მინიატურა თავადაც ახდენდა ზეგავლენას არა მხოლოდ ირანის მეზობელი ქვეყნების, არამედ შუა საუკუნეების სახვითი ხელოვნების განვითარებაზე ზოგადად. ურთიერთგავლენის პროცესები უშუალო კავშირში იყო კონკრეტულ ისტორიულ ვითარებასთან ამა თუ იმ ეპოქაში [3, 106-107].

როგორც ცნობილია, მინიატურა ხელნაწერი ნიგნის აუცილებელ კომპონენტს – მის ერთგვარ სამკაულს წარმოადგენდა, ლიტერატურულ ტექსტს ახლდა თან და, ამდენად, მის შინაარსზე იყო დამოკიდებული. სპარსულ მინიატურაზე, ისევე როგორც საერთოდ შუა საუკუნეების აღმოსავლურ მინიატურაზე, სინამდვილის ხატოვნად გამოსახვის განსაკუთრებული, სპეციფიკური სისტემა იყო შემუშავებული. უპირველეს ყოვლისა, მისი მახასიათებელი იყო ზომის სიმცირე, პირობითობისა და დეკორაციულობის პრინციპი. ეს ეხება არა მხოლოდ ნახატის გარეგნულ ფორმას, არამედ მის აგებულებას და სტრუქტურას. ამგვარ ნახატებზე ფიგურები სიბრტყობრივადაა განლაგებული, სივრცობრიობის გამოსახატავად კი სხვადასხვა ხერხები არსებობდა; მაგალითად, ხედების გამოსახვა

ქვემოდან ზემო მიმართულებით მათი სიშორის მიხედვით, პერსპექტივის კანონების უგულებელყოფით [4, 177-178]. მხატვარ-მინიატურისტის დახვეწილი ოსტატობა განსაკუთრებით სურათის კომპოზიციის აგებაში, ცოცხალი ფერადოვანი გამის შერჩევასა და მის ურთიერთშეხამებაში მჟღავნდებოდა.

ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ სეფიანთა ეპოქის (1501-1722), კონკრეტულად XVII საუკუნის ირანული მინიატურის განვითარების ტენდენციებზე და სპეციფიკაზე. სპარსულმა მინიატურამ სრულყოფილებას და აყვავების ზენიტს სწორედ ხსენებულ ხანაში მიაღწია, რაც XVI საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო და XVII საუკუნის მიწურულამდე გაგრძელდა. სანამ უშუალოდ აღნიშნულ პერიოდს შევეხებოდეთ, უპრიანია სპარსული მინიატურის განვითარების მოკლე ისტორიული ნიაღვრის გაკეთება. შუა საუკუნეების ირანული მხატვრობა ოთხ ძირითად ჯგუფად იყოფა: XIII-XIV სს. მხატვრობა – მონღოლური სკოლა, XV საუკუნე – თემურელების სკოლა, XVI-XVII სს. – სეფიანთა სკოლა და XVIII-XIX სს. – ევროპული ყაიდის მიმდინარეობა [1, 34]. ამ დაჯგუფებებში, თავის მხრივ, არსებობდა სხვადასხვა ლოკალური სკოლები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: შერათის, ბუხარის, თავრიზის, შირაზის, ისფაჰანის სამხატვრო სკოლები.

XVI საუკუნის დამდეგიდან ირანული კულტურის ახალი ხანა დაიწყო, რაც ხელისუფლების სათავეში სეფიანთა დინასტიის მოსვლას უკავშირდება. ამიერიდან ქვეყნის როგორც პოლიტიკურმა, ისე კულტურულმა ცენტრმა შერათიდან თავრიზში გადაინაცვლა, სადაც სწავლულთა, პოეტთა, ხუროთმოძღვართა და მხატვართა საუკეთესო ძალებმა მოიყარეს თავი. ხაზგასასმელია, რომ სწორედ შერათის მდიდარმა კულტურულმა ტრადიციებმა განსაზღვრეს სეფიანთა ხელოვნების, მათ შორის მინიატურის განვითარების გეზი. XVI საუკუნე მთლიანობაში სამხატვრო სკოლების და მიმდინარეობების სიმრავლით ხასიათდება; თავრიზის შემდეგ გამორჩეული ადგილი ეჭირათ მემშედის, ყაზვინის და შირაზის სამინიატურო სკოლებს. თითოეულ მათგანს ინდივიდუალური, სპეციფიკური ნიშან-თვისებები გააჩნდა. სამხატვრო სკოლების სიმრავლე მხატვრული სტილების მრავალფეროვნებას და ცვალებადობას, სხვადასხვა მიმდინარეობის მხატვართა შემოქმედების ურთიერთგავლენას განაპირობებდა [5, 463]. საბოლოო ჯამში, განსხვავებული ტრადიციების ჰარმონიულმა სინთეზმა, ზოგ შემთხვევაში კი შერწყმამ, შესანიშნავი შედეგი გამოიღო; ეს თანაბრად შეეხო როგორც

სურათის კომპოზიციის აგებას, ისე პეიზაჟის გამოსახვას, ფერადოვანი გამის შერჩევას, მხატვრულ გაფორმებას და სხვ. რაც შეეხება მინიატურების სიუჟეტებს, თემატიკა ძირითადად საერთო იყო. ამას მონმობს მსოფლიოს სხვადასხვა სიძველეთსაცავებში, სამეცნიერო ცენტრებსა და კერძო კოლექციებში დაცული მათი ნიმუშები. კერძოდ, ირანელ მხატვარ-მინიატურისტთა შემოქმედების უშრეტ წყაროს წარმოადგენდა საადის, ფირდოუსის, ჰაფეზის, ჯამის, ნიზამის და სხვა სახელოვან კლასიკოსთა პოეტური ქმნილებები.

XVI საუკუნე ირანული მინიატურისთვის იყო ის ხანა, როდესაც ვითარდებოდა, ევოლუციას განიცდიდა ძველი ტრადიციები და ყალიბდებოდა ფერწერის ახალი მიმართულებები. ამასთან, ნოყიერი ნიადაგი მომზადდა სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარება-აყვავებისათვის მომდევნო ასნლეულში. ირანის განსაკუთრებული პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა შაჰ აბას I-ის (1587-1629) სახელს უკავშირდება. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1598 წელს დედაქალაქის გადატანას ყაზვინიდან ისფაჰანში – ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, რაც პოლიტიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი (ამ რეგიონში გაცილებით ძლიერი იყო სპარსული ეთნიკური ელემენტი ყიზილბაშურთან შედარებით). შაჰ აბასმა ძალისხმევა არ დაიშურა ახალი დედაქალაქის დასამშენებლად: რჩეული ხუროთმოძღვრები, მხატვრები და სხვა ოსტატები შემოიკრიბა სასახლის კარზე, რომელთა თაოსნობით ჭეშმარიტად მსოფლიო მნიშვნელობის შედეგები შეიქმნა. შაჰ აბასი თავისი პაპის, შაჰ თამაზისგან განსხვავებით, ხელოვნების მხოლოდ ერთი დარგით – მხატვრობით არ იყო გატაცებული, ის უფრო მეტ მზრუნველობას იჩენდა არქიტექტურის, კერამიკის, მეხალიჩეობის, საფეიქრო წარმოების განვითარებაზე, გზების გაყვანაზე, პარკების და ბაღების მოწყობაზე. თუმცა, იმავდროულად, შაჰ აბასი დიდ პატივს სცემდა სასახლის კარის მხატვრებს, ზოგიერთ მათგანთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა და მეცენატობას უწევდა მათ [6, 131]. XVII საუკუნის დამდეგს შაჰ აბას I-ის მიერ ჩამოყალიბებულ სამხატვრო სახელოსნოს ბაზაზე ისფაჰანის ხელოვნების სკოლის ფორმირება მოხდა. ცნობილი ფაქტია, რომ პირველად ირანის ისტორიაში შაჰ აბას I-მა გაგზავნა მხატვრები რომში იქაური ფერწერის შესასწავლად. კიდევ უფრო მეტ ინტერესს დასავლური ხელოვნების მიმართ მისი მემკვიდრეები ამჟღავნებდნენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით შაჰ აბას II (1642-1666) გამოირჩეოდა, რომელმაც გამოჩენილი მხატვარი მუჰამად ზამანი და კიდევ

რამდენიმე ახალგაზრდა იტალიაში გაგზავნა ოსტატობის დასახვეწად. თავად შაჰი იმდენად ყოფილა გატაცებული ევროპული ფერწერით, რომ საგანგებოდ სწავლობდა ხატვას პოლანდიელ მხატვრებთან [1, 146]. აღსანიშნავია ისიც, რომ შაჰ აბას II-ის ზეობის ხანაში ისფაჰანის ჩვეულ სოთუნის სასახლის კედლები დანიელი მხატვრების და მათი ირანელი მოწაფეების მიერ მოიხატა [7, 168].

ევროპული კულტურით და კონკრეტულად სახვითი ხელოვნებით დაინტერესება ირანში, თავდაპირველად, შაჰ აბას I-ის ზეობის ხანაში გამოიკვეთა, როდესაც ირანსა და დასავლეთ ევროპას შორის პოლიტიკურმა, სავაჭრო-ეკონომიკურმა და კულტურულ-დიპლომატიურმა ურთიერთობებმა მეტად ინტენსიური სახე მიიღო. იმ დროიდან მოყოლებული, ირანის სამეფო კარზე ხშირად ჩნდებოდნენ ევროპის სახელმწიფოთა ელჩები, კათოლიკე მისიონერები, ვაჭრები, მოგზაურები. სწორედ მათი ხელით ხვდებოდა ირანში ევროპელ ოსტატთა მიერ შესრულებული სხვადასხვა ნამუშევრები, გრავიურები, ჭურჭელი, ფერწერული ტილოები, რომლებიც იქ დიდი მონონებით სარგებლობდა. ამის თაობაზე გვაუწყებენ ევროპელი ავტორები პიეტრო დელა ვალე, ტავერნიე და სხვ. სხვადასხვა მისიათა შემადგენლობაში მხატვრებიც ხვდებოდნენ ხოლმე, რომელთაგან ზოგიერთი ეგზოტიკურ გარემოში შემოქმედებითი მოღვაწეობის გასაგრძელებლად ირანში რჩებოდა. ეს ყველაფერი მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს სეფიანთა სამეფო კარის და არისტოკრატიის ევროპული ფერწერით გატაცებას, რაც იმხანად მოდად იყო ქცეული. ამდენად, ბუნებრივია, ირანელ მხატვარ-მინიატურისტთა გარკვეულმა ნაწილმა მხარი აუბა ამ გატაცებას და მათ ევროპული ორიგინალებიდან კოპირება დაიწყეს. მართალია, გაჩნდა ახალი სიუჟეტები ევროპელთა გამოსახულებებით, მაგრამ ისინი ირანული ფერწერისთვის დამახასიათებელი სტილითა და მეთოდებით სრულდებოდა. ასე რომ, XVII საუკუნის პირველ ნახევარში ევროპული ფერწერის გავლენა ირანელ მხატვართა შემოქმედებაზე ვლინდებოდა არა მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებში, არამედ მხოლოდ ახალ სიუჟეტებში [8, 136; 4, 184].

XVII საუკუნის დამდეგიდან ირანელ მხატვართა შორის ყველაზე მეტად აღიარებული და პოპულარული რეზაი აბასი (1565-1635) გახდა, რომელიც ისფაჰანის სასახლის კარის ხელოვნების სკოლას ედგა სათავეში. მან ხატვის პირველი გაკეთილები მამისგან – ალი აღასგან მიიღო ადრეულ ასაკში, შემდგომ, როგორც ნიჭიერმა დამწყებმა მხატვარმა, შაჰ აბას I-ის კარზე დაიწყო მოღვაწეობა,

მოგვიანებით თავისი მფარველი შაჰის პატივსაცემად „აბასის“ ტიტული მიიღო. რეზაი აბასი შაჰის განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობდა. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ რეზაის მიერ დახატული პორტრეტით შაჰ აბასი ისე მოხიბლულა, რომ მხატვრისთვის ხელზე უკოცნია [9, 458]. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მაძიებელმა მხატვარმა გარკვეული ხნით სასახლის კარის მხატვრის თანამდებობა მიატოვა და მოგზაურობა დაიწყო, 1610 წელს კი დაბრუნდა და სიცოცხლის ბოლომდე შაჰის სამსახურში იმყოფებოდა. რეზაი აბასი, უწინარეს ყოვლისა, იმით არის საყურადღებო, რომ თავისი შემოქმედებით ის რეფორმატორად გვევლინება არა მხოლოდ გამომსახველობითი მეთოდების თვალსაზრისით, არამედ სინამდვილის აღქმისა და გადმოცემის ახლებური პრინციპებით. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს მხატვრის პორტრეტული ნამუშევრებიდან, რომელთაგან თითოეული განუმეორებელი ინდივიდუალიზმით გამოირჩევა. რეზაი აბასის ნამუშევრებში აღარ ჩანს მინიატურისთვის დამახასიათებელი ხალიჩისებურად მოხატული ჩარჩოები, მეორე პლანზე გადადის დეკორაციულობის პრინციპი, იცვლება ხაზისადმი დამოკიდებულება – მსუბუქი და ოდნავ შესამჩნევი შტრიხები მძიმე კონტურულ ხაზებს ენაცვლება, რომელთა მეშვეობით ამა თუ იმ ფიგურის მოცულობა და მოძრაობაა მინიშნებული [10, 138-139; 11, 99-100].

აღსანიშნავია, რომ რეზაი აბასის ნამუშევრებში უხვად მოიპოვება ახალგაზრდა მამაკაცთა პორტრეტები, სადაც მთელი სისრულითაა წარმოჩენილი მათი „მშვენიერება“. სხვათა შორის ასეთი თემატიკა სპარსული ტრადიციებისთვის უცხო არ არის, სადაც წინაა წამოწეული ზოგადად სასიყვარულო და ასევე მამაკაცთა სასიყვარულო სცენები, ლამაზმანთა გამოსახულებები და სხვ. მრავლად შემონახული რეზაი აბასის ნამუშევრები არა მხოლოდ ირანის, არამედ ევროპისა და ამერიკის ხელოვნების მუზეუმებს ამშვენებს. ქართველი საზოგადოებისათვის ის საყურადღებოა მის მიერ შესრულებული შესანიშნავი პორტრეტული ნამუშევრით – „საქართველოს პრინცი მუჰამად ბეგი“, რომელიც 1620 წლითაა დათარიღებული და ბერლინის ისლამის მუზეუმშია დაცული [12, 126-127; 13, 135]. რეზაი აბასის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ XVII საუკუნის 30-იან წლებში მისი ნამუშევრები ცნობილი გახდა ევროპაში და დიდი მონონებით სარგებლობდა. მას ბევრი მონაფე და მიმდევარი ჰყავდა, რომლებმაც, თავის მხრივ, ახალი შტრიხები შემატეს ირანულ სახვით ხელოვნებას. მათგან

დავასახელებთ რამდენიმე განსაკუთრებით გამოჩენილ ოსტატს. ასეთები იყვნენ: მუინ მუსავირი, მუჰამად ქაზიმი, შაფიი აბასი და სხვ. ეს უკანასკნელი, ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისით, რეზაი აბასის შვილი იყო. ის ყვავილების და ფრინველების გამოსახვის უბადლო ოსტატად იყო მიჩნეული [7, 168].

ზემოხსენებული მხატვრები, რომლებიც კარგად იცნობდნენ ევროპულ ხელოვნებას, შუა საუკუნეების შემოქმედებითი მეთოდების ტრანსფორმირებით, ირანული მხატვრობის ახალ საფეხურზე აყვანისკენ ისწრაფოდნენ, თუმცა არც ეროვნულ ტრადიციებს ღალატობდნენ. ზოგადად, ამ პერიოდის სპარსული მინიატურისათვის დამახასიათებელია ფიგურათა წაგრძელებული პროპორციები, მკვეთრი ფერები, დინამიზმი ფიგურებისა და პეიზაჟის გამოსახვაში. ეს განსაკუთრებით მრავალფიგურიან კომპოზიციებში ვლინდება, სადაც ყველა და ყველაფერი დინამიკაშია გამოსახული. თუ უფრო ადრინდელი ხანის სურათებში მხატვართა მთელი ყურადღება პერსონაჟთა გარემომცველ ბუნებაზე იყო ფოკუსირებული, აღნიშნული პერიოდის ოსტატთათვის მთავარი ხდება პერსონაჟთა სულიერ-ემოციური მდგომარეობის წარმოჩენა, ამასთანავე ნინ წამოინია თამამმა სასიყვარულო სიუჟეტებმა, თანდათან ფეხს იკიდებს ცალკეულ ფურცლებზე შესრულებული მინიატურა ლიტერატურული ნაწარმოებისგან დამოუკიდებლად. რაც შეეხება თემატიკას, მხატვარ-მინიატურისტთა უმეტესი ნაწილისათვის შთაგონების წყაროდ უწინდებურად ირანელ კლასიკოსთა ნაწარმოებები რჩებოდა.

ირანულ მხატვრულ სინამდვილეში მიმდინარე ცვლილებების ფონზე XVII საუკუნის შუა ხანებში ფერწერის სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის 2 ძირითადი მიმართულება დომინირებდა: ტრადიციონალისტების და ევროპულ ყაიდაზე ორიენტირებულ მხატვართა შემოქმედება, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ფლამანდიურ და იტალიზირებულ ჰოლანდიურ სტილად მოიხსენიება [14, 905]. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები, უმეტეს ნილად, ევროპული ორიგინალებიდან აკეთებდნენ კოპირებას. ხსენებული ტენდენციის დამკვიდრება ირანულ მხატვრობაში კრიზისის დასაწყისს მოასწავებდა. ამის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო არსებული მხატვრული შემოქმედებითი მეთოდების არა ზედაპირული, არამედ სიღრმისეული შეცვლა, მათ მიმართ ახლებური მიდგომა. ამიტომაც იყო, რომ მხატვარ-მინიატურისტთა რჩეულ ნაწილს უკვე აღარ აკმაყოფილებდა ტრადიციული გამომსახველობითი მეთოდე-

ბი და ინტენსიური შემოქმედებითი ძიების შედეგად, მათ ნამუშევრებში ინოვაციები გამოჩნდა, რაც მთლიანობაში კლასიკური მინიატურის დეკორაციულ იერ-სახეს არღვევდა. ამ მიმართულებით გარკვეულ სიძნელეთა გადალახვის შემდეგ ირანულ სახვით ხელოვნებაში აღმავლობის ახალი ეტაპი დაიწყო, რომლის სათავეებთან გამოჩენილი მხატვრები მუჰამად ზამანი და ალიყული-ბეგ ჯაბადარი იდგნენ. მათი ნამუშევრები აღმოსავლური და დასავლური ხელოვნების ტრადიციების ნაზავს წარმოადგენს, რის საფუძველზეც გაჩნდა ისეთი გამომსახველობითი მეთოდები, რაც მანამდე უცნობი იყო სპარსული სამინიატურო ხელოვნებისათვის. კერძოდ, ნახატი უკვე აღარ იყო დაკავშირებული ლიტერატურული ნაწარმოების სიუჟეტთან, ანუ ეს იყო დამოუკიდებელი შინაარსის მქონე სურათი. ამასთანავე დამკვიდრდა ზეთის საღებავები, მუქრდილით მოდელირება, სიბრტყობრიობის ნაცვლად, უკვე გამოიყენებოდა პერსპექტივის კანონები (თუმცა, ზოგ შემთხვევაში, არათანმიმდევრულად), ფიგურები სხვადასხვა რაკურსში გამოისახებოდა. ყოველივე ამისათვის პირობები თვით ირანულ მხატვრულ სინამდვილეში მნიფდებოდა, თუმცა დასავლეთ ევროპულმა გავლენამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო ამ პროცესის დაჩქარებას. ასე რომ, განსახილველ პერიოდში ირანულმა მხატვრობამ თავისი ორგანული განვითარების შედეგად იმ ზღვარს მიაღწია, როდესაც იგივე შემოქმედებითი პრობლემების გადაჭრა უნდა მომხდარიყო, რაც გაცილებით ადრე დაიწყო ევროპაში [11, 108].

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოჰამად ზამანი რამდენიმე სხვა მხატვართან ერთად (შესაძლოა მათ შორის ალიყული-ბეგ ჯაბადარიც იყო) რომში გაიგზავნა ევროპული ფერწერის გასაცნობად. იქ მან ქრისტიანობა მიიღო, ბევრი იმოგზაურა, გარკვეულ ხანს ინდოეთში მოღვაწეობდა ჯაჰან შაჰის კარზე და ირანში 1675 წელს დაბრუნდა. იმ პერიოდის მისი ნამუშევრების უმეტესი ნაწილი ფლამანდიური გრავიურებიდან არის კოპირებული, თუმცა უნიკდებურად ტრადიციულ აღმოსავლურ თემებზეც ხატავდა [10, 143]. მისი თანამედროვე მეორე დიდი მხატვარი ალიყული-ბეგ ჯაბადარი შაჰ აბას II-ის და შაჰ სულეიმანის (1666-1694) კარზე მოღვაწეობდა ქ. ყაზვინში. ცნობილია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ის წარმოშობით ქართველი იყო [15, 390; 14, 907]. არსებობს სხვა მოსაზრებაც, კერძოდ ის, რომ ჯაბადარი ევროპელი იყო, რომელმაც შემდგომ ისლამი მიიღო [16, 58; 17, 188-190; 18]. ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ამ საკითხის გაე-

რცობა, ეს საუბრის ცალკე თემაა, რომელსაც შესაბამისი პუბლიკაციები მივუძღვევით [4, 186; 19, 226-234; 20, 549-554]. დასამკვირვებია, რომ ჯაბადარი მართლაც ქართული წარმომავლობის, მაგრამ ირანულ მხატვრულ ტრადიციებზე აღზრდილი მხატვარი იყო, უფრო მეტიც – აღმოსავლური სამინიატურო ფერწერის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი. ჯაბადარის მწირო ბიოგრაფიული მონაცემების მიუხედავად, შემონახულია მისი მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებში, სამეცნიერო ცენტრებში და კერძო კოლექციებშია მიმობნეული. ჯაბადარის ნამუშევართა დიდი ნაწილი (ასევე მოჰამად ზამანისა) თავმოყრილია პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცულ XVI-XVIII საუკუნეების ინდო-ირანული მინიატურების ალბომში (E-14), რომელიც გამოცემულ იქნა სათანადო კომენტარებით რუს მკვლევართა მიერ [16].

ამასთან დაკავშირებით, აღნიშვნას იმსახურებს ჯაბადარის ის ნამუშევრები, რომლებიც ქართული საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი. ასეთებია: პარიზის „ისლამური ხელოვნების“ გამოფენის (1982 წ.) კატალოგში არსებული რამდენიმე შესანიშნავი მინიატურა [21], ასევე ლონდონში სოთბის აუქციონზე 1998 და 2002 წლებში წარმოდგენილი და საკმაოდ მაღალ ფასად გაყიდული ორი ნახატი. ერთი მათგანი გამოსახავს მდიდრულად ჩაცმულ ახალგაზრდას ფორთოხლით ხელში, მეორე სურათზე კი გამოსახულია შაჰ სულეიმან I და ორი პიროვნება. ორივე ნახატი 1670/1680-იანი წლებით თარიღდება. საერთო ჯამში, ჯაბადარის ნამუშევრების გაცნობა ცხადყოფს, რომ მის შემოქმედებაში ჰარმონიულადაა შეზავებული აღმოსავლური და დასავლური გამომსახველობითი მეთოდები, თემატიკა, მასში ნაკლები დოზითაა მოცემული კლასიკური აღმოსავლური მინიატურის თანმხლები პირობითობის ელემენტები (რაზეც ზემოთ იყო საუბარი). ამის დასტურია ჯაბადარის არაერთი ნამუშევარი, მაგალითად „ორი ბანოვანი და მსახური“, რომელიც 1674 წლითაა დათარიღებული [4, 186-187; 20, 549-550] და „ქალი შადრევანთან“, რომელიც 1650/1660 წლებშია შესრულებული [22, 126]. ეს ნახატები, რომლებიც შუა საუკუნეების ევროპული კლასიკური ფერწერის ნიმუშებს განასახიერება, კიდევ ერთხელ მოწმობს განსახილველი პერიოდის ირანისა და დასავლეთ ევროპის კულტურულ კავშირ-ურთიერთობებზე.

მიუხედავად ბევრი სიახლისა, ჯაბადარმა და მისმა თანამედროვე მხატვრებმა ტრადიციულობის ელემენტები მაინც შეი-

ნარჩუნეს, ვინაიდან სპარსულ მინიატურას ღრმა და უაღრესად მყარი ფესვები ჰქონდა. მართალია, მხატვარ-რეფორმატორთა ძალისხმევით ირანულმა სამინიატურო ხელოვნებამ ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიწია, მაგრამ მომდევნო პერიოდში აღმასვლა ამ სფეროში შეჩერდა. XVII საუკუნის მინურულიდან მინიატურის ხელოვნებამ დაქვეითება დაიწყო, ახალი და ორიგინალური არაფერი შექმნილა, მხატვრები თავიანთი წინამორბედების ნამუშევრების მექანიკური გამეორებით და კოპირებით კმაყოფილდებოდნენ. ამის პირდაპირი შედეგი ის იყო, რომ მინიატურა, როგორც ხელოვნების ცალკე დარგი, ფაქტობრივად გაქრა [1, 147]. ანალოგიური ტენდენცია ირანული კულტურის ყველა სფეროზე გავრცელდა, რაც ქვეყანაში იმხანად შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარებით იყო გამოწვეული. კერძოდ, როგორც ისტორიიდან ცნობილია, XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე სეფიანთა დინასტიის კრიზისული პერიოდი დაიწყო. ეს ავლანთა ინტენსიურ შემოტევებთან იყო დაკავშირებული, რაც საბოლოოდ - XVIII საუკუნის 20-იან წლებში ირანში სეფიანთა დინასტიის დამხობით დასრულდა.

ბიბლიოგრაფია

1. Дешке Б. И., Живопись Ирана, М., 1938.
2. Персидские миниатюры XIV-XVII вв., Вспомогательная статья О. Ф. Акимушкина и А. А. Иванова, М., 1968.
3. ნ. გელაშვილი, ურთიერთგავლენის საკითხისათვის აღმოსავლურ კულტურაში, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXII, თბ., 2005.
4. ნ. გელაშვილი, სეფიანთა ირანის კულტურის ისტორიიდან (მინიატურის ხელოვნება), ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, III, თბ., 2002.
5. Ашрафи М. М., К вопросу о периодизации и эволюции живописных школ Ирана в XVIв. Страны Ближнего и Среднего Востока М 1972
6. R. Savory. Iran Under the Safavids. Cambridge University Press. 1980
7. Basil Gray. Persian Painting. London. 1961
8. Дешке Б. И. Искусство Востока. Казань. 1925.
9. Anton Welch. Painting and Patronage under Shah Abbas I. Iranian studies. vol 7. 1974. Studies of Isfahan. Part II
10. Веймарн Б. В., Искусство арабских стран и Ирана VII-XVII вв., М., 1974.
11. ი. ხუსკივაძე, ირანული სამინიატურო ხელოვნების საკითხისათვის, მაცნე (ისტორიის სერია), № 3, თბ., 1973.
12. Kühnel E., Arbeiten des Riga Abbasi und seiner Schule. Forschungen und Berichte. Bd I. Berlin. 1957. s. 126-127



ალიყული-ბეგ ჯაბადარის „შაჰ სულეიმან I“



რეზაი აბასის „საქართველოს პრინცი – მუჰამად-ბეგი“



ალიყული-ბეგ ჯაბადარის „ქალი შადრევანთან“

13. ი. კოშორიძე, XVI-XVII სს. ირანში მოღვაწე სამხედრო არისტოკრატთა ქართული სამოსი, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი, ნარკვევები, X, თბ., 2005.
14. The Cambridge History of Iran, vol. VI The Timurid and Safavid Periods ed. by P. Jackson and L. Lockhart. Cambridge University Press, 1986.
15. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.
16. Альбом иллюстрированных миниатюр XVI-XVIII вв., Вступительные статьи А. А. Иванова, Т. В. Грек, О. Ф. Акимюшкнна. М., 1962.
17. მოკამად ალი ქერიმ-ზადე თავრიზი, აჰვალ ო ასარ-ე ნაყაშან-ე ყადიმ-ე ირან, I-II, ლონდონი, 1985-1990 (სპარსულ ენაზე).
18. E. Sims. Perles Images of Persian Painting and Its Sources, Yale University Press, 2002.
19. ნ. გელაშვილი, მეფე არჩილ II-ის შეხვედრა ირანის შაჰთან (1663), ქართული დიპლომატია, ნელინდეული, 7, თბ., 2000.
20. ნ. გელაშვილი, კულტურათა სინთეზი ალიყული-ბეგ ჯაბადარის ერთი ნამუშევრის შუქზე, ქართული დიპლომატია, ნელინდეული, 10, თბ., 2003.
21. Art Islamique, Inde-Perse-Turquie. Vete a Paris, Nouveau Drouot, Juin, 1982.
22. ი. კოშორიძე, ზოგიერთი ახალი ცნობა საქართველო-ირანის ურთიერთობის შესახებ, ნარკვევები, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი, ნარკვევები, VIII, თბ., 2003.

NANA GELASHVILI

Tendencies of Development of Persian Miniature in the 17th Century

S u m m a r y

The article deals with the Persian art of miniature painting of the 17th century. This period signifies the beginning of the new stage in Persian miniature art, during which it suffered the European influence. After overcoming certain difficulties in this direction, in the second half of the 17th century a new era of flourishing began in Persian painting, the founders of which were the acknowledged artists Aliquli-beg Jabadar and Mohamad Zaman. Their works represent the result of synthesis of Eastern and Western fine arts traditions.

ქალები ფატიმიანთა დინასტიის პოლიტიკურ ასპარეზზე

ქალები სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდნენ მუსლიმური საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისლამის ისტორიაში ყოველთვის იყვნენ ქალები, რომლებიც ხელისუფლების სათავეში მყოფი ქმრების ან ვაჟების საშუალებით აქტიურად ერეოდნენ სახელმწიფო საქმეებში. მაგრამ ქალები, რომლებიც თვითონ იყვნენ ხელისუფლებაში, ყოველთვის წარმოადგენდნენ კრიტიკის ობიექტს. უმაიანთა დროს, როცა ჰარემის სტრუქტურამ ჯერ კიდევ ვერ მიიღო ფართო განვითარება (წყაროებში არა გვაქვს ასეთი ფაქტები), რამდენიმე უმაიან ქალბატონს მაინც დიდი გავლენა ჰქონდა თავის ქმარზე, სხვები კი დიდებას და ბრწყინვალეობას მატებდნენ სასახლის კარს. წყაროთა ანალიზი ადასტურებს, რომ არაბთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა – ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ, საზოგადოების დიფერენციაციამ არაბთა ექსპანსიის შედეგად მიღებული შემოსავლების ხარჯზე, ობიექტური პირობები შექმნა აბასიანთა სახალიფოში ისეთი ინსტიტუტების დასამკვიდრებლად, როგორიცაა პოლიგამიური ოჯახი, ჩადრი, ჰარემის სტრუქტურა. ამის მიუხედავად, აბასიანთა სასახლეში მრავალი ქალი იყო, რომელიც ჩანდა ტახტის მიღმა. სასახლის კარზე დიდი ძალაუფლება მოიპოვეს მონა ქალებმაც. ისინი ხდებოდნენ ხალიფების ცოლები ან დედები მათი ბავშვებისა და შეეძლოთ ნებისმიერი პიროვნების აღზევება ან დაქვეითება, თუ მოისურვებდნენ. თუმცა, საუკუნეების მანძილზე ქალის მმართველობისადმი მუსლიმური სამყაროს დამოკიდებულება უარყოფითი იყო.

ფატიმიანთა სახალიფოში იყო რამდენიმე ქალი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფოს მართვაში¹. ამის მიზეზად

¹ ფატიმიანები – შიიტი (ისმაილიტი) ხალიფების დინასტია (909-1171) ჩრდილოეთ აფრიკაში, შემდეგ კი ეგვიპტესა და სირიაში. წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია სითთ ალ-მულქზე, ხალიფა ალ-ჰაქიმის დაზე. ხალიფა ალ-მუსთანსირის მმართველობის (1036-1094) პირველ წლებში რეგენტი გახდა მისი დედა, რომელმაც 1044 წლიდან მთელი პოლიტიკური ძალაუფლება მოიპოვა. აღსანიშნავია აგრეთვე ის

დასახელებულია ფატიმიანთა საგანმანათლებლო პოლიტიკა და, ზოგადად, ფატიმიანთა ტოლერანტული დამოკიდებულება. სასახლის კარზე იყო მრავალი განათლებული ქალი, რომელთაგან ზოგიერთმა პოლიტიკური ძალაუფლება მოიპოვა. ფატიმიანებმა შეიმუშავეს გარკვეული მითითებები ქალებისათვის და ალ-მუიზის (953-975) დროს ქალთა საკითხი განხილულ იქნა „მაჯალის ალ-ჰიქმაზე“². ამის შემდეგ სპეციალური ლექციების კურსი განისაზღვრა ქალებისათვის, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფატიმიანთა და'ი (მისიონერი, მქადაგებელი). შეკრებები ტარდებოდა კვირაში ერთხელ, პარასკეობით ალ-აზჰარის მეჩეთში, ხოლო სასახლის კარის ქალბატონებისათვის – ფატიმიანთა სასახლეში³ [4,106-107; 8,98-104; 15,102-103].

ფაქტი, რომ ხალიფა ალ-მუსთანსირმა სცნო საიიდა პურრას პოლიტიკური ძალაუფლება სულაიჰიანთა იემენში და მისი რელიგიური ავტორიტეტი იემენის და გუჯარათის ისმაილიტურ თემებზე. ხალიფამ ის დანიშნა იემენის პუჯაჟად (მაღალი რანგი ისმაილიტურ იერარქიაში). ხუტბა აღეწლინებოდა მის სახელზე. [იხ. ჩვენი სტატია „ქალი და ხელისუფლება შიიზმში“, პერსპექტივა XXI, VIII (2), თბ., 2006, გვ. 81-87].

² ფატიმიანი იმამ-ხალიფები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ისმაილიტური მოძღვრების პროპაგანდას და, შესაბამისად, დიდ ყურადღებას უთმობდნენ და'იების (მქადაგებლების) მომზადებას, ცდილობდნენ აგრეთვე ახალი წევრების განათლებას და მათთვის სიბრძნის (ჰიქმა) გადაცემას. შესაბამისად, სხვადასხვა ლექციები ან სასწავლო შეკრებები იმართებოდა ფატიმიანი ხალიფების მფარველობით. ეს შეკრებები სპეციალიზირებული იყო და განკუთვნილი იყო სხვადასხვა აუდიტორიისათვის, განსაკუთრებით ფატიმიანთა დედაქალაქში. ისმაილიტთა დოქტრინიდან გამომდინარე, ძირითადად ორი ტიპის სწავლება მიმდინარეობდა: 1. საჯარო ლექციები, რომლებიც ცათვალისწინებული იყო ფართო აუდიტორიისათვის და ეძღვნებოდა გარეგან, ეკზოთერიულ მოძღვრებას. 2. დახურული ლექციები ისმაილიტთა ეზოთერიული, ფარული მოძღვრების შესახებ, რომლებიც იკითხებოდა მხოლოდ ხელდასხმული ისმაილიტებისათვის. ლექციების კურსი ცათვალისწინებული იყო აგრეთვე სპეციალურად ქალებისათვის კვირაში ერთხელ და მას ხელმძღვანელობდა ფატიმიანთა და'ი. ჯგუფები დაყოფილი იყო მონაწილეთა ცოდნის დონიდან გამომდინარე. ფატიმიანთა მეორე გახსნილი მეორე სასწავლო ცენტრი იყო „დარ ალ-ილმ“ (ცოდნის, მეცნიერების სახლი), რომელიც დაარსა ხალიფა ალ-ჰაქიმმა 1005 წელს ფატიმიანთა სასახლეში. აქ ასწავლიდნენ სხვადასხვა რელიგიურ და სამოქალაქო დისციპლინებს. აქვე იყო გახსნილი უზარმაზარი ბიბლიოთეკა, რომლითაც სარგებლობდნენ სხვადასხვა რელიგიური მრწამსის მეცნიერები. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ფატიმიანთა დროს განვითარდა მეცნიერების სხვადასხვა დარგები. ქალთა სპეციალური განათლება გააძეულა 1171 წლამდე [4,106-107; 15,102-103].

³ ეს ინფორმაცია შემოგვინახა ალ-მაკრიზმი (გარდ. 1442წ.), რომელსაც ხელი მიუწვდებოდა იმ დროის უნიკალურ ქრონიკაზე, რომელიც შედგენილი იყო სასახლის კარის ისტორიკოსის ალ-მუსაბიჰის (გარდ. 1029წ.) მიერ.

ეგვიპტის ფატიმიანთა დინასტიის ერთ-ერთი ქალბატონი⁴ იყო სითთ ალ-მულქი [„სითთ ალ-მულუქ“ - „ძალაუფლების ქალბატონი“] – ფატიმიანთა მეხუთე ხალიფა ალ-‘აზიზის (975-996) ქალიშვილი⁵ და ალ-ჰაქიმის (996-1021) ნახევარდა, რომელიც ფაქტობრივად მართავდა სახალიფოს ოთხი წლის განმავლობაში. მან ძალაუფლება მიიღო 411/1021 წელს თავისი ძმის – ხალიფა ალ-ჰაქიმის გაუჩინარების შემდეგ.

ხალიფა ალ-‘აზიზი მოულოდნელად გარდაიცვალა 996 წელს ბილბაისში. 26 წლის სითთ ალ-მულქი ყადი მუჰამად ბ. ალ-ნუ‘მანთან ერთად გაემართა კაიროში, რათა დაეკავებინა სასახლე და ხელისუფლება გადაეცა თავისი ბიძაშვილისათვის (‘აბდ ალ-ლაჰ ბ. ალ-მუ‘იზის ვაჟისათვის). მაგრამ ის არ შეუშვეს სასახლეში. საჭურისმა ალ-ბარჯავანმა ის შინაპატიმრობაში აიყვანა და ხალიფა გახდა მცირეწლოვანი აბუ ‘ალი ალ-მანსური (ალ-ჰაქიმი) [9, 685].

წყაროთა მონაცემებით, ბარჯავანის მკვლელობის შემდეგ, 1000 წელს სითთ ალ-მულქმა გარკვეული გავლენა მოიპოვა თავის ძმაზე, რაც დასტურდება მისთვის იკტას⁶ გადაცემით, რომლის შემოსავალი წელიწადში 100,000 დინარს შეადგენდა⁷. ალ-ჰაქიმის მმართველობის ბოლო პერიოდში, როგორც ჩანს, მათ შორის კვლავ მოხდა უთანხმოება. ალ-ჰაქიმმა 1013 წელს ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა თავისი ბიძაშვილი – ‘აბდ არ-რაჰიმ ბ. ილიასი, ხოლო სითთ ალ-მულქმა ალ-ჰაქიმის მხევალი (უმმ ალ-ვალად) რუკაია და მისი ვაჟი – მომავალი ხალიფა აზ-ზაჰირი (არაბ. ზაჰირ - კამკაშა) სასახლეში გადაიყვანა, რათა დაეცვა ისინი. 1014 წელს ალ-ჰაქიმმა მოაკვლევინა უმაღლესი ყადი (კადი ალ-კუდათ) – მალიქ ბ. სა‘იდი, რადგანაც ეჭვი შეიტანა მის ფარულ გარიგებაში სითთ ალ-მულქთან [9, 685].

⁴ არაბები ლიტერატურულად ქალბატონის აღსანიშნავად იყენებენ სითთ-ს.

⁵ ის დაიბადა 970 წელს კაირავანის ახლოს, ალ-მანსურიანში. მისი დედა იყო ქრისტიანი ჯარია (მონა ქალი) ბიზანტიური წარმოშობის, დარჩა ქრისტიანად. წყაროებში ის იწოდება როგორც საიდა ალ-‘აზიზია. მამა აიდილებდა სითთ ალ-მულქს, ითვალისწინებდა მის რჩევებს, საშუალებას აძლევდა თავისუფლად გამოეხატა თავისი აზრი და მონაწილეობა მიეღო სახელმწიფო გადაწყვეტილებებში. ალ-ჰაქიმი, მამისაგან განსხვავებით, ტანჯავდა მას თავისი ეჭვიანობით [9, 686].

⁶ ეს იყო “იკტა’ ათ-თამლიქ” – იკტა საკუთრების უფლებით, რომელიც მიზნად ისახავდა მინის დამუშავებას [13, 38].

⁷ წყაროთა მონაცემებით, სითთ ალ-მულქი დიდ ქონებას ფლობდა (მამულები, სახლები, სხვადასხვა შემოსავლები). დიდ ქონებას ფლობდნენ ფატიმიანთა სამეფო ოჯახის სხვა ქალებიც [13, 38-39].

ალ-ჰაქიმი 1021 წელს გაუჩინარდა. ბევრი ისტორიკოსი თვლის, რომ ის გახდა შეთქმულების მსხვერპლი, რომელიც მოამზადა მისმა დამ – სითთ ალ-მულქმა. ცნობილია აგრეთვე, რომ ალ-ჰაქიმს უთანხმოება ჰქონდა თავის დასთან: სითთ ალ-მულქი აფრთხილებდა ხალიფას, რომ მისი უცნაური ქცევა და ბრძანებები დინასტიის დაცემას გამოიწვევდა, ხოლო ალ-ჰაქიმი საჯაროდ ადანაშაულებდა მას ამორალურ საქციელში და სიკვდილით ემუქრებოდა [2, V, 298].

ახალგაზრდა ხალიფა ალ-ჰაქიმმა თავისი გამგებლობის დასაწყისშივე გამოამჟღავნა უცნაური თვისებები. ის ყოველ ღამე ფელაჰის ტანსაცმელში გადაცმული დახეტილობდა ქალაქის ქუჩებში, აკვირდებოდა ციურ მნათობებს და შემდეგ თავის მიმდევრებს გადასცემდა მითითებებს, რომლებსაც ვითომდა ვარსკვლავებისაგან იღებდა. თვით დრუზების რელიგიური მეთაურებიც არ უარყოფენ ჰაქიმის ექსცენტრულობას. ჰაქიმის ეს უცნაურობანი იმ პერიოდის ზოგიერთი ექიმის მიერ განიხილებოდა, როგორც „შავი მელაქლიით“ დაავადებული ავადმყოფის მოქმედება.

ევროპულ ლიტერატურაში ალ-ჰაქიმი ცნობილია, როგორც „ქალთმოძულე“ ხალიფა. ქალები და ყველაფერი, რაც სიამოვნებას უკავშირდებოდა, სძულდა ხალიფას. ის ქალებს თვლიდა „ფითან“-ს (არეულობა, ქაოსი) მიზეზად. თავდაპირველად მან ქალებს საზოგადოებრივ ადგილებში გამოჩენის უფლება მისცა მხოლოდ პირსაბურავით. მერე უკვე მათი მორთულობა გახდა განსაკუთრებული ყურადღების საგანი. ამიტომ მოისურვა ევლოთ სამკაულების გარეშე. ხალიფას ჰყავდა საიდუმლო პოლიცია, რომლის აგენტებიც იყვნენ ორივე სქესის წარმომადგენლები. ისინი დადიოდნენ ქალაქის ქუჩებში და ბაზრებში და ინფორმაციას ანვდიდნენ ხალიფას. „ასაკოვან ქალებს დაევაღათ ამავე სქესის წარმომადგენელთა თვალთვალი: ისინი დადიოდნენ ერთი სახლიდან მეორეში და უყვებოდნენ ხალიფას სიმართლეს და სიცრუეს მათ შესახებ, ვინც ატარებს ჩადრს. ამ საბაბით ხალიფამ მრავალი ქალი დასაჯა სიკვდილით“ [12, ა-656; ბ-475-476]. 1014 წელს ხალიფას ბრძანებით, კაიროში მცხოვრებ ქალებს საერთოდ აეკრძალათ სახლიდან გამოსვლა. მენალებს აეკრძალათ ფეხსაცმლის დამზადება ქალებისათვის⁸. ქალთა აბანოები დაიხურა. ქალებს აეკრძალათ მიცვალებულთა დატირება, რის გამოც ქალები არ ჩანდნენ საფლავებზე სამგლოვიარი დღეებშიც კი [11, 128-129; 4, 150]. „ქალები აღმოჩ-

⁸ ალ-ფუჟეინის ცნობით, ქალებს აეკრძალათ მენალებთან სიარული [12, ა-656; ბ-475].

ნდნენ ტუსალები და ქუჩაში ფეხს ვერ ადგამდნენ 7 წელი და 7 თვე, ალ-ჰაქიმის სიკვდილამდე" [14,169]. ქალებმა თავიანთი წარმომადგენლები გააგზავნეს ხალიფასთან და პრეტენზიები წაუყენეს მას. აუხსნეს, რომ ყველას არ ჰყავდა ოჯახში მამაკაცი, რომელიც იზრუნებდა მათზე და, შესაბამისად, სჭირდებოდათ ქუჩაში გამოსვლა. ამის საპასუხოდ, ხალიფას დაებადა „არაჩვეულებრივი“ იდეა, რომელსაც ისტორიკოსები მთელი სერიოზულობით იმეორებენ. მან უბრძანა ვაჭრებს მიეტანათ ქალებისათვის სახლში ყველაფერი, რაც იყიდებოდა ბაზარში და ქუჩებში, რათა ქალებს შეძლებოდათ საჭირო საქონლის შეძენა. ამასთან მან მისცა მითითებები ვაჭრებს: მათ უნდა ჰქონოდათ გრძელი სპეციალური ინსტრუმენტი, ღრმა ჩაშრის მსგავსი და ამის საშუალებით უნდა ჩაენოდებინათ სავაჭრო საქონელი ქალებისათვის, რომლებიც დამალული უნდა ყოფილიყვნენ კარის უკან. ქალს შეეძლო ეკითხა ფასი, თუ სურდა რაიმეს ყიდვა. მოვაჭრეს არ უნდა დაენახა თავისი კლიენტი [11,129-30]. ალ-ჰაქიმის ამ მითითებების წინააღმდეგ პროტესტი გამოხატეს მამაკაცებმაც. წყაროებში აღნიშნულია აგრეთვე, რომ ქალები არ ემორჩილებოდნენ ხალიფას და მათ ხოცავდნენ [11,129].

თანდათან ხალიფას ღონისძიებებმა⁹ ქვეყანაში უკმაყოფილება გამოიწვია, დაიწყო აჯანყებები სახალიფოს სხვადასხვა კუთხეში. ამ გარემოებამ აიძულა სითთ ალ-მულქი, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობდა დიდებულებს შორის და ესმოდა სადამდე შეეძლო მიეყვანა ქვეყანა ხალიფას ქმედებებს, მიეღო აუცილებელი ზომები. თავდაპირველად მან გამოუცხადა თავის ძმას, რომ ყველა მისი ქმედება გაუმართლებელია და თუ ასე გაგრძელდება, ის იქნება დამნაშავე ფატიმიანთა დინასტიის დაცემაში. ამის საპასუხოდ ალ-ჰაქიმი სიკვდილით დაემუქრა სითთ ალ-მულქს და აუკრძალა შეხვედროდა ავტორიტეტულ სახელმწიფო მოხელეებს [14, 166-167].

⁹ განსაკუთრებით მკაცრი იყო ბრძანებები ქრისტიანებისა და იუდეველების მიმართ. ალ-ჰაქიმმა დაანესა შეზღუდვები მათ მიმართ, დაანგრიო არამუსლიმთა საკულტო ნაგებობები. მან დაარღვია ფატიმიანთა ტოლერანტული დამოკიდებულება სხვა რელიგიურ თემებთან დაკავშირებით. ფატიმიანები ნებას რთავდნენ არამუსლიმებსაც კი დაეკავებინათ ვეზირის ან სხვა რაიმე მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობა [6,150]. თვითონ მამაკაცებსაც აეკრძალათ სადამოს ნილოსის ნაპირზე სეირნობა და სხვ.

წყაროთა მონაცემებით, როდესაც სითთ ალ-მულქი მიხვდა, რომ ძმას ვერ გარდაქმნიდა, მან დახმარება სთხოვა ეგვიპტის ჯარების მთავარსარდალს – საიფ ად-დაულა იბნ დავვასს¹⁰. მან ერთგულება აღუთქვა სითთ ალ-მულქს, რომელმაც თავისი ქმედება იმით გაამართლა, რომ ალ-ჰაქიმის დაავადება პროგრესირებადი იყო, რასაც მოჰყვებოდა მოსახლეობის აჯანყება და დინასტიის დაცემა. მათ შეიმუშავეს გეგმა ალ-ჰაქიმის წინააღმდეგ. იბნ დავვასმა როდესაც ჰკითხა მას აუცილებელ ზომებზე, სითთ ალ-მულქმა განაცხადა, რომ ალ-ჰაქიმი უნდა მომკვდარიყო, ხოლო მის ადგილზე ტახტზე უნდა ასულიყო მისი ვაჟი, ხოლო ჯარების მთავარსარდალი და ვაზირი იქნებოდა იბნ დავვასი. სითთ ალ-მულქმა, ამ დახმარების სანაცვლოდ, აღუთქვა იბნ დავვასს მიწები, ფული, ღირსება, ძვირფასი საჩუქრები. შემდეგ მათ შეარჩიეს 2 სანდო შავი მონა, მისცეს მათ 1000 დინარი. მეორე დღეს (ჰიჯრით 411 წლის 27 შავვალს/1021 წ. 13 ან 24 თებერვალს) მონები მოულოდნელად თავს დაესხნენ ალ-ჰაქიმს, მოკლეს, გვამი მიიტანეს სითთ ალ-მულქის მამულში და იქ დამარხეს [5, 132; 10, 621; 12, ა-656; ბ-475]. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გაავრცელეს ხმები ხალიფას გაუჩინარების შესახებ.

ძმის გაუჩინარების შემდეგ სითთ ალ-მულქმა ფაქტობრივად ხალიფას თანამდებობა დაიკავა. ეს მოულოდნელი იყო რელიგიური ექსპერტებისათვისაც (ფუკაჰა). წყაროებში ხაზგასმულია, რომ მათ შეეშინდათ არეულობისა სახალიფოში. ამასთან, შექმნილ ვითარებაში სითთ ალ-მულქი იყო ყველაზე მისაღები ალტერნატივა [2, V, 375]. არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის განმარტებით, „კაიროს მოსახლეობას სძულდა ხალიფა მის მიერ ჩადენილ იმ უბედურებათა გამო, რომლებიც მათ დაატეხა თავს“ [11, 128]. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ ხალიფას გაუჩინარების შემდეგ, ეგვიპტელებს არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ სითთ ალ-მულქისათვის. პირიქით, ისინი გახდნენ მისი მოკავშირეები და თავიდან აიცილეს ის არეულობა, რაც შეიძლებოდა ჩვეულებრივ მოჰყოლოდა ხალიფას გარდაცვალებას. ალ-ჯუვეინის ცნობით, სითთ ალ-მულქი „მარტო მართავდა სახელმწიფოს და მას არ ჰყავდა მოწინააღმდეგეები. მის მიმართ შიში გაღრმავდა უმაღლესი მოხელეების და დიდებულების გულში“ [12, ბ-476].

¹⁰ ჯუვეინის ცნობით, მან ბრალი წაუყენა სითთ ალ-მულქს იბნ დავვასთან. ამის შემდეგ სითთ ალ-მულქი შეუთანხმდა იბნ დავვასს და მოკლეს ხალიფა [12, 656].

წყაროთა მონაცემებით, სითთ ალ-მულქმა მოაკვლევინა ალ-ჰაქიმის მკვლელი იბნ დავვასი¹¹ და ალ-ჰაქიმის მიერ მემკვიდრედ განსაზღვრული 'აბდ არ-რაჰიმ იბნ ილიასი, რომელიც იყო სირიის გამგებელი [3,290]. სითთ ალ-მულქმა აიძულა დიდებულები ფიცი მიეცათ მისი ძმისშვილისათვის – აბულ-ჰასან ალი (აზ-ზაჰირ ბი-ლლაჰ). იმ დროს ზაჰირი იყო 16 წლის გამოუცდელი ახალგაზრდა. სითთ ალ-მულქი გახდა რეგენტი და 4 წელი (1021-1024) ჰქონდა ძალაუფლება თავისი ძმისშვილის – აზ-ზაჰირის სახელით. რამდენიმე ხნის შემდეგ ქვეყანაში მშვიდობა ჩამოვარდა. 4 წლის განმავლობაში სითთ ალ-მულქი იყო ფატიმიანთა სახელმწიფოს ფაქტობრივად ერთადერთი მეთაური, თუმცა ხუტბა არ წარმოითქმებოდა მის სახელზე და არც მალიქა-ს ან სულტანა-ს ტიტულზე განუცხადებია პრეტენზია. მის დროს სახელმწიფომ აყვავებას მიაღწია. მან მოაწესრიგა სახელმწიფო საქმეები, გააუქმა იკტა და ხელფასები, რომლებიც ალ-ჰაქიმმა დაუნიშნა თავის ახლობლებს. მან აღადგინა აგრეთვე საგადასახადო ვალდებულებები (მუქუს), რომელიც გააუქმა ხალიფამ. მან ნება დართო უცხოეთში ემიგრირებულ ქრისტიანებს უკან, ეგვიპტეში დაბრუნებულიყვნენ. ის აქტიურად იყო ჩაბმული საგარეო პოლიტიკურ საქმეებშიც. იაჰია ანტიოქიელის ცნობით, 414/26.III.1023-14.III.1024 წელს სითთ ალ-მულქმა კონსტანტინოპოლში იერუსალიმის პატრიარქი ნიკიფორე წარგზავნა მოსალაპარაკებლად. მან იმპერატორს შეუთვალა, რომ განაახლებდა ეკლესიებს ეგვიპტესა და სირიაში, დაუბრუნებდა მათ ქონებას, სამართლიანად მოეპყრობოდა ქრისტიანებს და იზრუნებდა მათზე. სითთ ალ-მულქი ბასილ II-ს (976-1024) სთხოვდა „თავისუფლება მიეცა ვაჭრობისათვის ბიზანტიასა და ფატიმიანებს შორის, დაეწყოს ამ საკითხის მოგვარება და შერიგება“ [1,56-57]. სითთ ალ-მულქი გარდაიცვალა 415/1024 წელს. მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა განუკურნებელი სენი, შესაძლოა ეს იყო ქოლერა, მაგრამ წყაროებში არაფერია ნათქვამი.

სითთ ალ-მულქი მოხსენიებულია წყაროებში როგორც „ას-საიიდა ალ-'ამმა" (ქალბატონი მამიდა), „ას-საიიდა აშ-შარიფა" (დიდებული ქალბატონი) და „ას-საიიდა ალ-'აზიზა" (ძღვეამოსილი ქალბატონი).

¹¹ ჯუვეინის ცნობით, სითთ ალ-მულქმა მისი მოკვლა დაავალა ნაზიმ ხადიმს, რომელიც იყო სასახლის მმართველი და მონების ზედამხედველი. ნაზიმს ყოველთვის თან ახლდა 100 შეიარაღებული მონა, რომელთა დახმარებით მოკლა იბნ დავვასი [12, ა-658; ბ-476].

დამონმებული ნყაროები და ლიტერატურა

1. ბუჩიძე გ., საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო (დიპლომატია და პოლიტიკური ბრძოლა 1014-1-23 წლებში) – ქართული დიპლომატია. ნელინდუელი, IV, თბ., 1997, გვ. 39-58.
2. იბნ ხალლიქან, აჰმად ბ. მუჰამმად. *ვაფაიათ ალ-ა'იან ვა-ანჰა' აჰნა'* აზ- ზაჰან. ბაირუთ. I-VIII, 1398/1978.
3. Алтунтаде А., Хроники мусульманских государств I-VII веков хиджры. М., 2004.
4. Ф. Дафтари, Краткая история исма'лизма. Традиции мусульманской общины, Пер.с англ. Л.Р.Додхудоевой, Л. Н. Додхудоевой. М. 2004.
5. Учок Б., Женщины-правительницы в мусульманских государствах. М 1982.
6. Шираты, султанты, дервиши: вечные тайны ислама. М., 2005.
7. Canard M., Al-Hakim – E.J.Brill's First Encyclopaedia of Islam. Edited by M.Th. Housuna, A.J.Wensinck, H.A.R.Gibb, W.Hetening and A. Lévi-Provancal. Reprint Edition. Leiden, 2001, III, 76-81.
8. Halm H., The Ismaili Oath of Allegiance ('ahd) and the Sessions of Wisdom (majalis al-hikma) in Fatimid Times. – Medieval Isma'ili History and Thought. ed. F. Daftary, Cambridge, 1996.
9. Halm H., Sitt al-Mulk. – E.J.Brill's First Encyclopaedia of Islam. Edited by M.Th. Housuna, A.J.Wensinck, H.A.R.Gibb, W.Hetening and A. Lévi-Provancal. Reprint Edition. Leiden, 2001, IX, 685-686.
10. Hitti Ph. K., History of the Arabs. Seventh ed., London-New York, 1961.
11. Ibn el-Athiri, Al-Kāmil fī al-ta'rikh , vol.VIII., Beirut (n.d.).
12. [Juvaini] ა)Genghis Khan. The History of the World-Conqueror by 'Ala-ad-Din 'Ata-Malik Juvaini. Translated from the text of Mizra Muhammad Kazvini by J. A. with an introduction and bibliography by David O. Morgan. Manchester University Press, 1997; б)Чингисхан. История Завоевателя Мира записанная Ала-ад-Дином Ата-Меликом Джувейни. М., 2004.
13. Lev Y., State and Society in Fatimid Egypt. Leyden, New York, Kovenhavn, 1981.
14. Mernissi, Fatima. The Forgotten Queens of Islam. University of Minnesota Press. 1993.
15. Stern S. M., Studies in Early Ismailism. Jerusalem-Leiden, 1983.

Women in the Fatimid Dynasty

Summary

There were many educated women in the Fatimid royal household and some among them did manage to acquire political supremacy. In this regard, particular mention should be made of the Sitt al-Mulk, the sister of the Fatimid caliph imam al-Hakim (996-1021) who disappeared in 1021. Sitt al-Mulk occupied the position of caliph and fulfilled his duties for several years. She did not even claim the title of malika or sultana. The Khutba was never preached in her name. It was in the name of the third caliph, her nephew al-Zahir, that she exercised power for four years until her death in 415/1024. She was involved in the murder of al-Hakim. According to the Arab historian Ibn al-Athir, the inhabitants of Cairo hated al-Hakim for all the misfortune he had brought upon them. Al-Hakim is known to have issued endless series of the most extraordinary decrees which were later abolished or reversed. This is the reason why, after caliph's disappearance, the Egyptians made no difficulty for Sitt al-Mulk. She tried to restore order in state affairs following the mismanagement of al-Hakim's last years. Sitt al-Mulk died in 415/1024, having brought order and stability to the state.

ფასიპი ხაფის ცნობები საქართველოს შესახებ

(XIV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი –
XV საუკუნის პირველი მეოთხედი)

აჰმედ ბენ მუჰამად ალ-ხაეაფი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია თემურიანთა პერიოდის მდიდარი სპარსული (სპარსულენოვანი) ისტორიოგრაფიისა. იგი დაიბადა ქ. რუიში (ხაფის ოლქის ცენტრი), სხვა ცნობით, პერათში. შემდეგ იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა შაჰრუხთან, ბაისონღორ მირზასთან, ხოლო 1433 წლიდან ჩამოაცილეს სამსახურს. 1439/40 წელს ფასიპი ხაფის რალაციით გაუნაწყენებია სულთან შაჰრუხის ცოლი გოუჰარშად ალა, რის გამოც იგი დააპატიმრეს. 1442 წლის ბოლოსათვის მისი მდგომარეობა, როგორც ჩანს, გამოსწორდა: იგი მიიღო სულთანმა შაჰრუხმა, რომელსაც მან მიართვა თავისი ნაშრომი ---- („მაჯმალე ფასიპი“) - „ფასიპის კონსპექტი“. ფასიპი ხაფის გარდაცვალების წელი უცნობია.

ფასიპი ხაფის ნაშრომი თავისი ფორმის მხრივ ძალიან ახლოა ქრონიკასთან: ნაშრომი მოიცავს მოკლე ჩამონათვალს ქრონოლოგიის მიხედვით მთელი რიგი მოვლენებისას მუსლიმური ერის დასაწყისიდან ავტორის დრომდე (XV ს-ის 40-იანი წლები). მიუხედავად თხრობის სიმოკლისა, ფასიპის ნაშრომი ძვირფასია მოვლენების ქრონოლოგიის სიზუსტის თვალსაზრისით. ამასთანავე, მას გამოუყენებია პირველწყაროებიც, რომლებიც ჩვენამდე არაა მოღწეული (1).

ფასიპი ხაფის თხზულებაში დაცულია ცნობები საქართველოს შესახებაც. ამაჰმად ჩვენ გვაინტერესებს, თუ როგორაა გადმოცემული სპარსულ წყაროში XIV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XV საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ფაქტი, კერძოდ, თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში და „შავბატკნიან“ თურქმანებთან ქართველების ბრძოლა. ვიმეორებთ, ფასიპი ხაფის ცნობები მოკლეა, მაგრამ თუ მოვიგონებთ, რომ XIV-XV საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის ქართული ნარატიული თხზულებები თითქმის არ მოგვეპოვება და ზოგჯერ იძულებულნი ვართ მხოლოდ უცხოური წყაროები

გამოვიყენოთ, ზემოხსენებული ნყაროს ცნობებსაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება (2).

ფასიში ხაფის ცნობებისადმი ინტერესი იზრდება იმიტომაც, რომ თემურიანთა პერიოდის სპარსულენოვანი ისტორიოგრაფიის სხვა ცნობილი წარმომადგენლები, ისევე როგორც იმდროინდელი ქართული ქრონიკები, ქრონოლოგიის სიზუსტის თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად სცოდავენ.

ფასიში ხაფის ნაშრომში დაცულია ცნობები საქართველოში თემურ-ლენგის შემოსევების შესახებ. ეს ცნობები ძალიან მოკლეა და ძირითადად მისდევს თემურის ოფიციალური ისტორიოგრაფების ნიზამ ად-დინ შამისა და შერეფ ად-დინ ალი იეზდის მონათხრობს. როგორც ჩანს, ფასიში ხაფი ძირითადად შერეფ ად-დინ ალი იეზდის „ზაფარ-ნამეტი“ სარგებლობდა (3). ამგვარი მოსაზრების საფუძველს გვაძლევს „მაჯმალე ფასიშის“ ზოგიერთი დეტალი.

ფასიში ხაფი, ისევე, როგორც თემურიანთა პერიოდის სხვა ისტორიკოსები, მოგვითხრობს 1386 წელს თემურ-ლენგის ლაშქრის მიერ თბილისის ალებისა და ბაგრატ მეფის დატყვევების შესახებ. ბაგრატ მეფემ მუსლიმობა მიიღო, თემურ-ლენგს უხვი საჩუქრები და მრავალი ძვირფასი ნივთი მიართვა, რომელთა შორისაც „დავითის აბჯარიც“ იყო (4). ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ის გარამოება, რომ დავით წინასწარმეტყველის აბჯარი იხსენიება შერეფ ად-დინ ალი იეზდის „ზაფარ-ნამეში“ (5), რომელსაც ფასიში ხაფის ეს ცნობა გადაუტანია თავის თხზულებაში.

კიდევ: ფასიში ხაფი მოგვითხრობს, რომ თემურ-ლენგის ლაშქარმა დიდი ბრძოლის შემდეგ აიღო გართინის ციხე, რომელიც საქართველოს ციხეებს შორის უმნიშვნელოვანესი იყო (4, ფ. 3915).

თემურ-ლენგის ლაშქრის მიერ მიუვალი ციხის ალების ამბავი მოთხრობილი აქვთ ნიზამ ად-დინ შამის, შერეფ ად-დინ ალი იეზდის, ჰეფეზ-ე აბრუს, მუინად ად-დინ ნათანზის, აბდ არ-რეზაყ სამარყანდის და სხვ. ფასიში ხაფის წინამორბედ ისტორიკოსთაგან ამ ციხეს „გართინ“-ს უწოდებს შერეფ ად-დინ ალი იეზდი (5, II, 374). ციხის სახელი დამახინჯებულია. ციხის სახელის დადგენა შესაძლებელია ნიზამ ად-დინ შამის „ზაფარ ნამეს“ ცნობით. ნიზამ ად-დინ შამი ამ ციხეს ბირთვისს უწოდებს (6, 200). ეს ციხე ბირთვისის სახელით იხსენიება ჰეფეზ-ე აბრუს თხზულებაშიც (7, 86). საფიქრებელია, რომ იგი ამ შემთხვევაშიც შერეფ ად-დინის თხზულებით სარგებლობდა.

ფასიპი ხაფი მოკლედ მოგვითხრობს თემურ-ლენგის წინააღმდეგ გიორგი მეფის ბრძოლის, თემურის მიერ ჯანიბეგ ქართველის შეპყრობის შესახებ და სხვ.

განსაკუთრებით საინტერესოა ფასიპი ხაფის ქრონიკის ცნობა (მინიშნება) 1387წ. თემურ-ლენგის საქართველოში შემოსევის შესახებ. ქართულ წყაროებში (ბერი ევნატაშვილის „ქართლის ცხოვრების გაგრძელება“, ვახუშტი ბატონიშვილის თხზულება....) არის ცნობა ბაგრატ V-ის მიერ თემურის მოტყუების და მისი ლაშქრის ამონყვეტის შესახებ. დაახლოებით ანალოგიური ცნობაა სომეხი ისტორიკოსის თომა მენოფელის თხზულებაშიც. არც ერთ სპარსულ წყაროში ასეთი ცნობა არ გვხვდება, ასე რომ ივანე ჯავახიშვილი ქართული წყაროების და თომა მენოფელის მონათხრობს სანდოდ არ მიიჩნევდა (8, 278-292) (208, 209).

ასეთივე აზრის იყო პროფ. დ. გვრიტიშვილიც: თემური 1393 წლამდე საქართველოში აღარ გამოჩენილა (9, 347).

ასეთი მოსაზრება გექონდა ჩვენც (10, 163-175).

1974 წელს პროფ. კარლო ტაბატაძემ გამოაქვეყნა ნაშრომი „ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე“, რომელიც ეხება თემურ-ლენგის შემოსევებს საქართველოში. ამ ნაშრომში ავტორმა ყურადღება მიაქცია ფასიპი ხაფის მინიშნებას 1387 წ. თემურ-ლენგის შემოსევის შესახებ (11, 74-85), რომლითაც თითქოს დასტურდება ქართული წყაროების და თომა მენოფელის მონათხრობი.

მაგრამ მოვიგონოთ, რომ თომა მენოფელი თითქმის ნახევარი საუკუნითაა დაშორებული მის მიერ მოთხრობილი ამბებისაგან! საბედნიეროდ, ამასაც მოველო: უკანასკნელ ხანებში შესწავლილი სომხური წყაროების საფუძველზე ახალგაზრდა არმენისტმა ქ-მა თინათინ ევდოშვილმა დაამტკიცა, რომ თომა მენოფელი 1386-1387 წლების სომხეთის და საქართველოს ისტორიის აღწერისას სარგებლობდა სტიფანე და ნერსე მენოფელების ქრონიკით, ე.ი. ამბების თანამედროვე ავტორთა წერილობითი წყაროთი.

ამრიგად, ფასიპი ხაფის და სომხური წყაროების (სტიფანე და ნერსე მენოფელების ქრონიკის) მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ვიფიქროთ, რომ თემურს დატყვევებული ბაგრატისთვის მართლაც გამოუყოლებია ჯარი, რომელიც ქართველებს ამოუნყვეტია, რასაც მოჰყვა თემურ-ლენგის ახალი შემოსევა 1387 წელს (12, 12, 13).

საინტერესოა ფასიპი ხაფის ცნობა „შავბატკნიან“ თურქმენებთან კონსტანტინე მეფის ბრძოლისა და მისი სიკვდილის თაო-

ბაზე. ფასიპი ხაფის მონაცემებით ზუსტდება ამ ბრძოლის და კონსტანტინე მეფის დაღუპვის თარიღი, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ალექსანდრე მეფის ტახტზე ასვლის თარიღის დადგენასთან. ეს ცნობა საინტერესოა აგრეთვე ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის თვალსაზრისითაც (10, 162, 163).

ფასიპი ხაფის ქრონიკა გამოცემულია მაჰმუდ ფარუხის მიერ მეშვედში 1962 წელს ცნობები საქართველოს შესახებ ჩვენ მიერ ამოკრეფილია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილების ხელნაწერადან B 709.

შვიდას ოთხმოცდარვა წელი (1386)

ფ. 385 ხ.

გალაშქრება ამირა საჰებ ყერანისა (13) ნახიჩევანის მხარეს და იქიდან საქართველოზე, დაჰყრობა საქართველოსი და იქიდან დაბრუნება. არანის ყარაბაღში ყიშლაღად დადგომა. შეჰყრობა საქართველოს მბრძანებლის ბაგრატიისა (14) და მისი გამუსლიმება და ხსენებულმა ბაგრატიმა ურიცხვი თოჰაფი (15) და ჰადიე (16) მიართვა [თემურს], მათ შორის განსაკუთრებული დავითის აბჯარი იყო. ამირა შეიხ იბრაჰიმ დერბენდის (17) მოსვლა ამირა საჰებ ყერანთან. [მან] საჩუქარი და ძვირფასიულობა მიართვა და დიდი მზრუნველობა და ალერსი მოიპოვა. დამორჩილება გილანების ხელმწიფეებისა. [მათ] ფეშქაში, სიმდიდრე და თავისი ვაჟები ამირა საჰებ ყერანის სასახლეში გააგზავნეს.

შვიდას ოთხმოცდაცხრა წელი (1387)

„თემურის გალაშქრება არანის ყარაბაღიდან საქართველოსკენ. თოლთამიშ ხანის ბედშაობის, უმადურობის, წესგადასულობისა და ამბოხის შეტყობა; ბატონიშვილ ამირანშაჰის შებრძოლება თოლთამიშ – ხანთან და მისი გაქცევა; თემურის წასვლა გოგჩის ტბისკენ... თემურის თავდასხმა ყარა მოჰამედ თურქმანის ჯამაათზე და მათი დარბევა ალათაღში“ (18, 83).

რვაას ორი წელი (1399/1400)

ფ. 391 a

ამირა საჰებ ყერანის გალაშქრება საქართველოსკენ საღეთო მოით და გიორგის (19) გაქცევა. ჯანიბეგ ქართველის შეპყრობა (20), დახოცვა და დატყვევება ქართველებისა და განთავისუფლება მუსლიმთა ჯგუფისა, რომელნიც ქართველთა ხელით ტყვედ იყვნენ.

რვაას ექვსი წელი (1403/1404)

ფ. 391 b.

დაპყრობა გართინის ციხისა (21), რომელიც საქართველოს უმნიშვნელოვანესი ციხეთაგანი არის. ამირა საჰებ ყერანის ბრძანებით საქართველოსა და სომხეთის დალაშქვრა, რბევა და თარეში. მათი ამონყვეტა და მუსლიმების განთავისუფლება მათი ხელიდან.

რვაას თხუთმეტი წელი (1412)

ფ. 402 a

ილლარი ყარა იუსუფისა (22) თავრიზიდან. შაბანის თვის 22 (23) არანის ყარაბაღში ჩამოხტომა. ამირა ყარა იუსუფის გადასვლა მდინარე მტკვარზე და მისი ბრძოლა შეიხ იბრაჰიმ დერბენდისთან, სიდი აჰმად შაქისთან (24), კონსტანტინე ქართველთან (25) და ქართველ ამირებთან რამაზანის (26) თვის შუახანებში და შეპყრობა ამირ შეიხ იბრაჰიმის, მისი ძმის შეიხ ფოჰლულის, კონსტანტინე ქართველის, მისი ძმის და ქართველი სარდლების უმეტესობის. ყარა იუსუფმა ბრძანა, რომ კონსტანტინე ქართველი, მისი ძმა და სამასი სული ქართველ სახელოვანთაგან არარაობის მინაზე დასცენ, უზრუნველობის ქარს გაატანონ და ჯოჯოხეთის ცეცხლში გაგზავნონ. დაბრუნება ყარა იუსუფისა შავალის (27) თვის მეორე ხუთშაბათს და თავრიზში ჩამოხდომა.

შენიშვნები

1. В. В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия. Сочинения, I, Москва, 1963, стр. 104. Ч. А. Стори, Персидская литература. Био-библиографический обзор, I, Москва, 1972, стр. 356, 357. Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушенский, Л. В. Строева, А. М. Беленицкий, История Ирана

с древнейших времен до конца 18 века, Ленинград, 1958, стр. 212. A History of Persian Literature under later dominion (A. D. 1265-1502) by Eduard Y Browne, Cambridge, 1920, pp. 426-428.

2. ასეთი თხზულებები ან თავის დროზე არ შექმნილა ავბედიით ვითარების გამო, ანდა XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისისათვის უკვე დაკარგული ყოფილა. ამიტომაც იყო, რომ საქართველოში თემურ-ლენგის შემოსევების აღწერისას ფარსადან გორგიჯანიძე და „სნაველუნი კაცი“ ძირითადად სპარსულ (სპარსულენოვან) წყაროებს იყენებდნენ. ამის შესახებ, ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1945, გვ. 293; 322; სარგის კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, II, თბილისი, 1925, გვ. 203; ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბილისი, 1958, გვ. 27, 28; დ. კაციტაძე, ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებისა და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების XV საუკუნის სპარსული წყაროები, აღმოსავლური კრებული, I, თბილისი, 1960, გვ. 149-166; მისივე, ისევ ფარსადან გორგიჯანიძის ერთი სპარსულენოვანი წყაროს შესახებ, აღმოსავლური ფილოლოგია, II, თბილისი, 1972, გვ. 197-152; კ. ტაბატაძე, ისევ ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების XV საუკუნის წყაროების საკითხისთვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, IV, თბილისი, 1973, გვ. 41-55.

3. შერეფ ად-დინ ალი იეზიდმ 1424/25 წ. დაამთავრა თავისი მოზრდილი თხზულება „ზაფარ-ნამე“. იგი ძირითადად ნიჰამ ად-დინ შამის „ზაფარ-ნამეს“ ემყარებოდა, მხოლოდ აერცობდა მას ახალი ცნობებით, ამძიმებდა ყურანიდან მოტანილი ციტატებით, ლექსებით და ძნელად საკითხავს ხდიდა ნინამორბედის ნაშრომს.

4. ფასიპი ხაფი, მაჯმალ-ე ფასიპი, - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილების ხელნაწერი B 709, ფ. 385 b.

5. შერეფ ად-დინ ალი იეზიდი, „ზაფარ-ნამე“, მავლანა შერეფ ად დინ ალი იეზიდი, თარხი-ე ომუმიე მოფასალე ირან დარ დოურეფ თეიმურიან, ჯელდე ავეალ, თეჰრან 1957, გვ. 297 (სპ. ენაზე). ამგვარი ცნობა არის აგრეთვე ბუდაყ ყაზვინის (XVI ს.) თხზულებაშიც. იხ. ბუდაყ ყაზვინი, ჯავაპირ ალ-ახბარ, პეტერბურგის სალტიკოვ - შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, Dorn 288. ფ. 223 a (სპ. ენაზე).

6. Histoire des conquetes de Tamerlan intitulee Zafarnama par Nizamuddin Sami. Edition critique par F. Tauer, 1937, I, p. 280.

7. Histoire des conquetes de Tamerlan intitulee Zafarnama par Nizamuddin Sami. Edition critique par F. Tauer, II, 1956, p. 86.

8. ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბილისი, 1966, მისივე, საქართველოს ისტორია, XI-XVსს., თბილისი, 1949.

9. დავით გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, თბილისი, 1962.

10. დავით კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით), თბილისი, 1975.

11. კარლო ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბილისი, 1974.

12. თინათინ ევდოშვილი, სომხური წყაროები თემურ-ლენგის საქარ-თველოში ლაშქრობის შესახებ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 2006.

13. საპებ ყურანი - ბედნიერი, ძღვეამოსილი, დაბადებული ვენერასა და იუპიტერის, ან ვენერასა და მზის ნიშნის ქვეშ, თემურ-ლენგის ეპითეტი. Л. З. Будагов. Сравнительный словарь турецко-татарских наречий. т. I. Санкт-Петербург. 1869, стр. 684. М. А. Гаффаров. Персидско-русский словарь, II, Москва, 1974, стр. 521.

14. ბაგრატი - ბაგრატ V, დიდი (1360-1393). იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბილისი, 1966, გვ. 275-299.

15. თოპაფი - ا. تحف - მრ. - تحف საჩუქარი, მისართმეველი, ფეშქაში. Л. З. Будагов. Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I. Санкт-Петербург, 1869, стр. 344. М. А. Гаффаров. Персидско-русский словарь, II, Москва, 1974, стр. 150.

16. - ზაა მრ. کزاه - საჩუქარი, ძღვენი. გიორგი წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1951, გვ. 272.

17. შიხი იბრაჰიმ დერბენდი (1382 - 1417) - შირვანშაჰების დერბენ-დული დინასტიის (1382-1538) დამფუძნებელი. იხ. И. П. Петрушевский. Государства Азербайджана в XV веке, ССИА. вып. I, Баку, 1949, стр. 159-161. А. А. Али-заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII-XIV вв., Баку, 1956, стр. 383-389, 393-398.

18. კარლო ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბილისი, 1974.

19. გიორგი - საქართველოს მეფე გიორგი VII (1393 - 1407), ძე ბაგრატ V-ისა. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბილისი 1966, გვ. 424.

20. ჯანიბეგი - ივანე ჯავახიშვილის აზრით, ეს ჯანიბეგი შესაძლოა ზედგენიძე ყოფილიყო - მუხრანის ველის დასავლეთით მდებარე ხეობის მმართველი. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბილისი, 1941, გვ. 202; მისივე, ქართველი ერის ისტორია, III, თბილისი, 1966, გვ. 416. ჯანიბეგი იხსენიება ავთანდილ ამილახორის მიერ დარბაზისადმი მირთმეულ მოხსენებაში. ავთანდილს მოჰყავს ზედგენიძეების წინაპართა სია XIV საუკუნეებში, სადაც დასახელებულნი არიან „... მამისა და თაყა მამისას შვილი, თაყას შვილნი ავთანდილი და ჯანიბეგ“. ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბილისი, 1937 გვ. 5, 40. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, საბუთში ნახსენები ჯანიბეგ ზედგენიძე - ამილახორი „შიძლება იყოს თემურ-ლენგის წინააღ-მდეგ ბრძოლაში განთქმული პირი“ დასახ. ნაშრ. გვ. 5. ჯანიბეგ ზედგენიძე მოხსენიებულია ავგრის მონასტრის ალაპებში: „ქრისტეს შობისა დღესა ალაპი ზედგენიძისა ჯანიბეგისა“; „სულსა ზედგენიძე ჯანიბეგისა, შეუნდვენ ღმერთმან“. იხ. ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქარ-თული კოლონიის ისტორიისათვის, თბილისი, 1962, გვ. 74, 76. ჯანიბეგ ქართველის შესახებ იხ. აგრეთვე, კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 130- 134,

230; დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 120, 131, 145, 164, 172, 178, 179, 195-198, 266.

21. გართინის ციხე – ციხის სახელი დამახინჯებულია. ესაა ბირთვისის ციხე. ამის შესახებ იხ. ზევით.

ყარა- იუსუფი (1410-1420) „შაეზბატკინიან“ თურქმენთა მბრძანებელი. И. П. Петрушевский. Государства Азербайджана в XV веке. ССИА. вып. I. Баку. 1949 стр. 158-167.

23. შაბანი – მუსლიმური მთვარის წლის VIII თვე. რვაას თხუთმეტი წლის შაბანის 22 უდრის 1412 წლის 27 ნოემბერს.

24. სიდი აჰმედ შაქი – შაქის მბრძანებელი, შვილი სიდი ალი ორ-ლათისა, რომელიც 1397 წ. თემურთან ბრძოლაში ალინჯის ციხესთან მოკლეს. 1398 წ. შიხ იბრაჰიმ შირვანის შუამდგომლობით თემურმა შაქი სამფლობელოდ მისცა სიდი აჰმადს. იხ. И. П. Петрушевский. Государства Азербайджана в XV веке. ССИА. вып. I, Баку. 1949. стр. 184. I.

25. კონსტანტინე – საქართველოს მეფე (1407-1212), ბაგრატის ძე, ძმა გიორგი მეფისა. ივ. ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორია, III, თბილისი, 1966, გვ. 424, 425. იხ. დავით კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბილისი, 1975, გვ. 162, 163.

26. რამაზანი – მუსლიმური მთვარის წლის IX თვე. რვაას თხუთმეტი წლის რამაზანი უდრის პერიოდს 1412 წლის 5 დეკემბრიდან 1413 წლის 4 იანვრამდე.

27. შავალი – მუსლიმური მთვარის წლის X თვე. რვაას თხუთმეტი წლის შავალი უდრის პერიოდს 1413 წლის 4 იანვრიდან 2 თებერვლამდე.

ფ. 385b (1386) سنه ثمان و ثمانين و سبعمائة

رفتن امير صاحب قران بطرف نخچوان و از آنجا بگرجستان و گرفتن گرجستان و مراجعت از آنجا و قسلاق فرمودن بقرا باغ اران گرفتار شدن بقراط حکم گرجستان و مسلمان شدن و بقراط منکور تحف و هدايات بی شمار بعرض رسقيد از آن جمله یکمست زره داودی بودی آمدن امير شيخ ابراهيم دربندی پیش امير صاحب قران و پیشکش و نشان نیکو بعرض رسقيد و تربيت و نواخت بسیار تافت اطاعت نمودن ملوک گیلانک و پیشکش و مل و فرزندان خود بدرگاه امير صاحب قران فریتانند.

تسع و ثمانين و سبعمائة (1387)

عزيزت امير صاحب قران از قسلاق قراباغ اران بجناب گرجستان آمدن خبر بطر و كقران و نعمت و طخان و عصيان كه تختمش خان نموده حرب اميرزاه اميرانشاه كوركان تختمش خان و فرار تختمش رفتن امير صاحب قران بگوگجه تنگسز تاخت گردن حضرت امير صاحب قران در سر مردم قرآ محمد و غارت كردن ایشان در الاطلاق.

ع. 391 a

منه اثنا و ثمانمیه (1400/1399)

عزیمت امیر صاحب قران بعزو گرجستان و فرار نمودن گرگین و گرفتاری جلی بیگ گرجی و قتل و اسیر گرجستان و خلاص جماعت مصلحان که در دست گرجیان اسیر بودند.

ع. 391 b

منه ست ثمانمیه (1404/1403)

فتح قلعه گرگین که در معضات قلاع گرجستانست و تلخت و غارت و تراج فرمودن امیر صاحب قران ارمنیستان و گرجستان و استیصال ایشان و خلاص مصلحان از دست ایشان.

ع. 402 a

منه خمس عشره و ثمانمیه (1412)

ایلغار کردن قرا یوسف از تبریز و ثلی عشرین شعبان بقرا باغ اران نزول فرمود گنشتین امیر قرا یوسف از آب کرو و قرب او با امیر شیخ ابراهیم در بندی و سیدی احمد شکی و کستندل گرجی و امراء گرجستان در منتصف رمضان و گرفتار شدن امیر شیخ ابراهیم و شیخ پهلول برادر او و کستندل گرجی و بیشتری از سرداران گرج و قرا یوسف بفرمود تا کستندل گرجی و برادر او با سیصد نفر از نامداران گرج بقیع آبدار بر خاک منگلت انداخته ببادی بی نیازی بر دانند و بقش دوزخ فرستادند و امیر قرا یوسف مراجعت نمودن در پنجشنبه ثلی شوال بتبریز نزول فرمود.

DAVIT KATSITADZE

Pasihi Khapi's Data about Georgia

(The last quarter of XIV century – the first quarter of XV century)

Summary

Pasihi Khapi is an outstanding representative of the Persian-language historiography of the Temurid period of. His "Majmal-e Pasihi" ("The Notes of Pasihi") is an essay of the chronicles type, based on the works of his

preceding historians (especially "Zafar-Name" by Sheref Ad-din Ali Yezdi). The chronicles are of great chronological precision. Pasihi gives information about Tamerlane's raids on Georgia in 1386, 1387, 1399/1400, 1403/1404. Special mention should be made of a short note about Tamerlane's raid on Georgia in 1387, which proves the correctness of the analogous information earlier doubted by Georgian and Armenian sources. It should be stressed that no other Persian source makes mention of such information.

ირან-ერაყის ომის ზოგიერთი პოლიტიკურ- იდეოლოგიური ასპექტი

ირანულ და ერაყულ ნაციონალიზმს შორის კონკურენცია ისეთივე ძველია, როგორც თავად ეს ორი ქვეყანა და გამონეუღია მათი მთავრობების მიერ ქვეყნის შიგნით ძალაუფლების კონსოლიდაციისა და სპარსეთის ყურის რეგიონში ლიდერობის ამბიციით.

1979წ. ხელისუფლებაში რევოლუციური მთავრობის მოსვლის შემდეგ ირანის ახალი ხელისუფლება ახალი სახელმწიფოს მშენებლობით თავისი უსაფრთხოებისა და ინტერესების საერთაშორისო არენაზე გაფართოებას ცდილობდა. შესაბამისად, ნაციონალური საკითხებისადმი დამოკიდებულება ისლამური რევოლუციის შემდეგაც თითქმის არ შეცვლილა. მიუხედავად ნაციონალიზმის კატეგორიული უარყოფისა, ირანის ხელისუფლება ისლამურ ერთიანობაში ირანელი ერი სახელმწიფოს შენარჩუნებასთან ერთად ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ ერთიანობაზე ზრუნავდა.

ირანელი რევოლუციონერები დასავლეთის ექსპლოატაციის, მისგან გამონეუღი ისლამური სამყაროს დასუსტებისა და დანაწევრების წინააღმდეგ „ჩაგრულთა“ უფრო დიდი აჯანყების ნაწილად თვლიდნენ თავს და მიაჩნდათ, რომ ირანს განსაკუთრებული ვალდებულება ეკისრებოდა, გაეგრცელებინა თავისი გზავნილი – მთელ „ჩაგრულ“ ისლამურ სამყაროში. ამ „ვალდებულების“ შესრულებას ისახავდა მიზნად ისლამური რევოლუციის ექსპორტი. როდესაც დროებითი რევოლუციური მთავრობის სპიკერმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „რევოლუცია მხოლოდ ჩვენთვის გვინდა და არ ვაპირებთ მის ექსპორტს“, აიათოლა ხომეინი არაერთ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნავდა: „ჩვენს რევოლუციას მთელ მსოფლიოში გავიტანთ“ [7,9]. რევოლუციის ექსპორტის შესახებ ირანის ისლამური რესპუბლიკის სურვილი ჯერ კიდევ 1979 წლის 25 თებერვალს გახდა ცნობილი, როდესაც ვიცე-პრემიერმა რევოლუციის საკითხებში ებრაჰიმ იაზდიმ განაცხადა: „ირანის ისლამური რევოლუციის წარმატებამ ჩვენს არაბ მეზობლებს აჩვენა, რომ ისლამი წარმოადგენს იდეოლოგიურ საფუძველს

ისლამურ ქვეყნებში ყოველგვარი ცვლილებისათვის და მას ასევე შეუძლია ჩაანაცვლოს არაბული ნაციონალიზმი, როგორც არაბი ერების გამაერთიანებელი; დღეიდან ყველა პასიური ისლამური მოძრაობა ღიად უნდა გამოვიდეს» [9,52-53].

იაზდი ეხმარებოდა ხომეინის მონოდებას ნაშრომში *„ისლამური მმართველობა“*: „ჩვენ არ გვაქვს ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ ვეცადოთ, დავამსხვრიოთ ლალატისა და უსამართლობის კერპები ხალხის მჩაგვრელებს შორის. ეს არის მოვალეობა, რომლისაც ყველა მუსლიმს სწამს, სადაც არ უნდა იყოს ის. მოვალეობა, რომ დაინყოს გამარჯვების ისლამური პოლიტიკური რევოლუცია» [9,16].

აღსანიშნავია, რომ აიათოლა ხომეინის განმარტებით, ყველა მმართველი უსამართლოდ ითვლებოდა, „სამართლიანი იმამის„ არყოფნის პერიოდში; იგი ასევე განმარტავდა, რომ „კანონი და მიზეზი – ორივე მოითხოვს, არ იქნას დაშვებული არაისლამური ან ანტიისლამური ხასიათის ხელისუფლებები» [6,48].

ირანის რევოლუციური ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ რეგიონის „ჩაგრული“ მასები – *მოსთაზაფინ* – მხარს დაუჭერდნენ ისლამურ რევოლუციას, შიიტური მოსახლეობა არსებულ „უსამართლო„ მთავრობებს დაუპირისპირდებოდა. შესაბამისად, რეგიონის შიიტებს ერაყში, ბაჰრეინში, საუდის არაბეთსა და ლიბანში „ირანული სტილის“ ისლამური რევოლუციებისაკენ მოუწოდებდა და მეზობელ ქვეყნებში რევოლუციის ექსპორტს გეგმავდა, რომლის საფუძველი ქვეყნის კონსტიტუციის პრეამბულაში იყო მოცემული.

1979-1980 წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა ერაყში შიიტური იატაკქვეშა ორგანიზაცია *„ალ-და'ვა ალ-ისლამიია“*, რომელმაც ირანის ეს მონოდება გაახმოვანა და ერაყის ქალაქებში პარტიზანული მოძრაობა წამოიწყო ბაასისტური რეჟიმის ისლამური რევოლუციური ხელისუფლებით შეცვლის მიზნით. პარტიის შიიტი ლიდერი აიათოლა ბაყერ ალ-სადრი აიათოლა ხომეინის ახლო მეგობარი იყო და რევოლუციური ირანი ამ იატაკქვეშა შიიტურ პარტიას მორალურად და მატერიალურად ეხმარებოდა. ანტიბაასისტური შეთქმულების გამოაშკარავებას 1980 წელს მოჰყვა ათასამდე ირანული წარმოშობის ერაყელის ირანში გასახლება.

სადამ ჰუსეინმა წინასწარ იგრძნო თეირანიდან საფრთხე – ირანული რევოლუციის გავლენა საკუთარ ხალხზე, კერძოდ, ერაყელ ქურთებსა და შიიტებზე. იგი შიშობდა, რომ ირანის ექსპანსიონიზმი ფართოდ გავრცელდებოდა. ამასთან, ბალდადიდან

ხშირად ისმოდა განცხადებები პალესტინის ტიპის ახალი პრობლემის სავარაუდო შექმნის შესახებ. ერაყი, თავის მხრივ, ქურთისტანის პარალელურად ირანის პროვინციებში – ხუზისტანსა და ბელუჯისტანში ეთნიკური კონფლიქტების პროვოცირებას ცდილობდა. ერაყის რეჟიმმა ირანის რევოლუციის პასუხად გადაწყვიტა ესარგებლა მისი დასუსტებული მდგომარეობით იქ წელიწადნახევრით ადრე მომხდარი რევოლუციის გამო და წინა პლანზე წამოეწია თავისი ინტერესები სპარსეთის ყურის რეგიონში. ბალდადი ვარაუდობდა, რომ შესაძლებლობა ეძლეოდა რეგიონში ლიდერობა ჩამოერთმია ირანისათვის და უშუალოდ ნაეყენებინა მისთვის თავისი ტერიტორიული თუ სხვა მოთხოვნები. რეგიონში ძალის დემონსტრირების მიზნით ერაყი გეგმავდა 1975 წელს გაყოფილი შატ ალ-არაბის აუზის დაუფლებას. სადამ ჰუსეინმა განაცხადა, რომ ერაყი აღადგენდა თავის უფლებას შატ ალ-არაბზე, ის თავის „კანონიერ მფლობელს დაუბრუნებოდა“. ირანის უარი, აღდგენილიყო საზღვარი მდ. შატ ალ-არაბის ზონაში, მან ომის საბაბად გამოიყენა* [1,276]. ბალდადის ფარული მიზანი იყო ირანის სამხრეთ-დასავლეთი პროვინციის, ნავთობით მდიდარი, უმეტესად არაბებით დასახლებული ხუზისტანის ანექსია, აგრეთვე აღედგინა კონტროლი აბუ მუსასა და თუნბის კუნძულებზე სპარსეთის ყურეში. უფრო შორს მიმავალი მიზანი კი ირანში რევოლუციური ხელისუფლების დამხობა და რევოლუციური შიიზმის „ძირგამოშრელი საქმიანობისაგან“ ყურის არაბული ქვეყნების გადარჩენა, სადამ ჰუსეინის აღიარება არაბთა „მხსნელად“ და სპარსეთის ყურეში ერაყის ჰეგემონია იყო. ამრიგად, ზემოაღნიშნული ფაქტები მოწმობს, რომ კონფლიქტს წმინდა პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა [8,359-360].

ორივე ქვეყანაში იყო ჯგუფები, რომლებიც ირანის რევოლუციას საკუთარი გააქტიურების საშუალებად აღიქვამდნენ. ესენი იყვნენ ქურთები და შიიტები ერაყში და ქურთები და არაბები ირანში. შესაბამისად, ორივე სახელმწიფოს დაუბრუნდა ძველი შიში შიდა ოპოზიციის გარედან მხარდაჭერისა.

ომი, ორივე შემთხვევაში, საშინაო ფაქტორებმა გამოიწვია. ირანის შემთხვევაში – რევოლუციის შემდგომი პროცესები, პოლი-

* აღსანიშნავია, რომ 1975წ. ერაყმა და ირანმა ხელი მოაწერეს საზღვრის ამ მონაკვეთის დელიმიტაციის შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც საზღვარი მდინარის ტალეჯს (მუახაზს) უნდა გაჰყოლოდა.

ტიკური სისტემის ფორმირება და რევოლუციური მოწოდებების საზღვარგარეთ გატანა იყო. ირანის რევოლუციის იდეოლოგიაც, ისე როგორც სხვა რევოლუციებისა, ითხოვდა მისი მოდელის მნიშვნელობის აღიარებასა და ლეგიტიმაციას ინტერსახელმწიფოებრივ დონეზე. იდეალები, რომლის სახელითაც დამხოვილ იქნა ძველი და იქმნებოდა ახალი რეჟიმი, ლეგიტიმური ვერ იქნებოდა მხოლოდ შიდა საზღვრებში და მას საერთაშორისო აღიარება ესაჭიროებოდა [4,121].

1980 წ. 22 სექტემბერს ერაყი თავს დაესხა ირანს, რასაც შედეგად მოჰყვა რვანლიანი ომი. ომის დროს ერაყმა რამდენჯერმე გამოიყენა ქიმიური იარაღი როგორც ირანის, ისე საკუთარი ქურთი მოქალაქეების წინააღმდეგ. მოგვიანებით გამოაშკარავდა მასალები, რომლებიც მონშობს, რომ 1982 წლიდან, როდესაც ირანმა ძალები მოიკრიბა და კონტრშეტევაზე გადავიდა, დასავლეთის ქვეყნები ერაყს ეხმარებოდნენ სადაზვერვო ინფორმაციით და ხელს არ უშლიდნენ შეეძინა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის ელემენტები და თვალს ხუჭავდნენ სადამ ჰუსეინის რეჟიმის ქმედებებზე, რადგან ირანის რეჟიმი კიდევ უფრო საშიშად მიაჩნდათ. როგორც იმდროინდელმა ამერიკის ელჩმა ერაყში მოგვიანებით განაცხადა, „ამერიკა დაინტერესებული იყო ერაყს არ წაეგო ომი ირანთან, რადგან ეს საფრთხეს შეუქმნიდა საუდის არაბეთსა და სპარსეთის ყურის ქვეყნებს“ [1,277-278].

შეუმჩნეველი არ დარჩენილა ირანსა და ერაყს შორის იდეოლოგიური ბრძოლაც. როდესაც სადამ ჰუსეინმა თავი პან-არაბიზმისა და არაბთა უფლებების დამცველად გამოაცხადა, და რეგიონის არაბული ქვეყნების ირანის კონტროლისაგან „გათავისუფლების“ პასუხისმგებლობა აიღო, ხომეინიმ მას „ურნმუნო“ უწოდა, „რომელიც შაჰს აგონებდა“ და ირანელ ხალხს მოუწოდა არაფრის შეშინებოდათ:

„თქვენ იბრძვით ისლამის დასაცავად, და ის [სადამ ჰუსეინი] იბრძვის ისლამის გასანადგურებლად. ისლამი უპირისპირდება ღმერთის გმობას და თქვენ უნდა დაიცვათ ისლამი. ჩვენ არასოდეს განვიხილავთ ზავისა და კომპრომისის საკითხს მათთან [ერაყელებთან]. . . ჩვენი იარაღი რწმენაა,“ [10].

ეს წმინდა ნაციონალისტური ხასიათის მოწოდება იყო.

მალე ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა და ერაყმა ირანში სამღვდლოების მმართველობა თანდათან შუასაუკუნეებრივ პოლიტიკასთან დაბრუნებად, ხოლო ისლამური იდეალებისაკენ ხომეინ-

ნის მონოდება ირანული ნაციონალიზმის სახეშეცვლილ გამოვლინებად აღიქვა, რაც თავისთავად უსაფუძვლო არ იყო.

თვით შიიტებს შორისაც აიათოლა ხომეინის პოზიციას, განსაკუთრებით *ველაიათ-ე ფაყიბის* მისეულ კონცეფციასა და სამღვდელოების უშუალო მონანილეობას სახელმწიფო საქმეებში, ზოგიერთი ღვთისმეტყველი არ ეთანხმებოდა. გარდა ამისა, მისი „იმამად“ მოხსენიება ნიშნავდა უპირატესობას სამღვდელოების სხვა წარმომადგენლებზე, რაც ბოლომდე არ აღიარა დიდი აიათოლების ნაწილმა; ამ საკითხმა თავისთავად განხეთქილება წარმოშვა შიიტურ თემში. ერაცის სამღვდელოების გალიზიანებას ინვევდა აიათოლა ხომეინის განცხადებები ირანის მიერ შიიზმის მსოფლიო არენაზე წამოწევის შესახებ. მათი აზრით, ბოლოს და ბოლოს მილიონობით შიიტის ორი ნმინდა ქალაქი ქერბალა და ნაჯაფი ხომ მათ ტერიტორიაზე იყო. მით უფრო, რომ ისმოდა განცხადებებიც, რომ ნაჯაფისა და ქერბალას მოლოცვა გაცილებით მნიშვნელოვანი იყო. ერაცელები აცხადებდნენ: სპარსელები არ უნდა ასწავლიდნენ ერაცელებს, როგორ უნდა ისლამის თაყვანისცემა ან მისი „განმმენდა გვიანდელი შენარევებისაგან“ [10].

ხომეინი ამ ომს „ჯიჰადის“ ტერმინითაც მოიხსენიებდა. როგორც ჩანს, ჯიჰადის სხვადასხვაგვარი გამოყენება არსებობს და ხომეინის „ჯიჰადი“ მის წინა მნიშვნელობაზე ნაკლებ აგრესიული იყო და მას უფრო შიდა დამცველის მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაშინ როცა ირანელები სადამს „სადამ იაზიდს“ და ხომეინი ჰუსეინს *ქაფერს* (ურნმუნოს) უწოდებდა, ხოლო სადამი ხომეინის „წვერებიან შაჰს“, ეს ორი ლიდერი არასოდეს მოიხსენიებდა კონფლიქტს სუნიტებსა და შიიტებს შორის ბრძოლად. ხომეინი ყოველთვის მოუწოდებდა ისლამური და არაშიიტური რევოლუციისაკენ. სადამი კი ამტკიცებდა, რომ სპარსელების წინააღმდეგ იგი იბრძოდა არაბთა მომავლისათვის. მხარეთა შეიარაღებული ძალებიც ერთმანეთთან იბრძოდნენ არა რელიგიური დაპირისპირების, არამედ ქვეყნების სახელით და მათ დასაცავად.

ნაციონალისტური ტენდენცია, ამჯერად ისლამური ტონით, ირანელი შიიტი უღემების გამოსვლების განუყოფელი ნაწილი გახდა. ამ დროს ხომეინიმ სრულიად ამკარად გამოაცხადა ისლამური რესპუბლიკის თავდადება ირანული ნაციონალიზმისათვის. ერაცის შემოჭრის შემდეგ მისი მიმართვები გაჯერებული იყო ეროვნული მონოდებებით დამოუკიდებლობისათვის და უცხოური აგრესიის წინააღმდეგ. იგი ისლამური ტერმინების გამოყენებით

აღვივებდა ირანელთა პატრიოტულ გრძნობებს და მოუნოდებდა ძვირფასი ისლამური ქვეყნის – *(ქეშეარ-ე აზიზ-ე ესლამ)* და სამშობლოს – *(მიჰან)* დასაცავად. მას აგრეთვე სწამდა ირანელი „დიდი ერის“ – *მელათ-ე ბოზორჯ* და სიამაყით აცხადებდა:

„ჩვენ გვყავს მილიონი ადამიანი ფრონტზე და ისინი ერაყში ბაასისტური რეჟიმის დამხობამდე იბრძოლებენ. ჩვენ მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ვართ. ჩვენ პატარა 40 მილიონიანი ერი ვართ, მაგრამ 1 მილიონი გვყავს ფრონტზე, მათი უმეტესობა 20 წლამდე ასაკისაა. ჩვენ სპარსულში ახალი სიტყვა გვაქვს – „ცოცხალი ნალმმტყორცნი,“ *(RPG-ზენდე)*. ერაყის ტანკებმა იციან, რომ უნდა ეშინოდეთ მათი, რადგან შესაძლოა მათ [ერაყელებმა] მოკლან თექვსმეტი, მაგრამ მეჩვიდმეტი აიღებს რაკეტას და ააფეთქებს მათ. თქვენ უნდა გაიგოთ, რას ნიშნავს შაჰიდის *(რნმენისათვის წამებულის)* კულტურა ჩვენს ქვეყანაში,“ [4,167].

ნაციონალისტური თემების ისლამურ ტრადიციასთან შერწყმა არა მარტო მნიშვნელობით, არამედ ლექსიკონშიც მოხდა. ერისადმი მიმართვები იყო როგორც ირანისადმი, ისე მუსლიმებისადმი, *ვათან* – სამშობლო იხმარებოდა როგორც კონკრეტული სახელმწიფოს, ისე ისლამური სამყაროს აღსანიშნავად [5,32-34]. ერაყის წინააღმდეგ მობილიზაციის მონოდებები გაჯერებული იყო რელიგიური სიმბოლიკით: ირანელი მებრძოლები აწარმოებდნენ ჯიჰადს და შიიტი წამებულის ჰოსეინის შესაფერისი სულისკვეთებისაკენ ისწრაფვოდნენ, მაშინ როცა ერაყის მცხოვრებლები ისლამის მტრები და VII საუკუნის სუნიტი „ტირანი იაზიდის შთამომავლებად“ იწოდებოდნენ [3,15].

ირანელი სახელმწიფო მოხელეები თავიანთ პატრიოტიზმს ისლამური უნივერსალიზმის ქვეშ გამოხატავდნენ. საინტერესოა, 1981 წ. სექტემბერში აიათოლა არდებილის მიერ იმამ ალის სიფინის ბრძოლის (657წ.) წინა ქადაგების ციტირება, რომელიც, მართალია, თავისი შინაარსით ნაციონალისტურ მიზანს ისახავდა, მაგრამ კონფლიქტის გარშემო ისლამური აურის შექმნას ითვალისწინებდა:

„ნუთუ ვერ ხედავთ, რომ თქვენი სახელმწიფოს საზღვრები სულ უფრო ვიწროვდება და მის ნაწილებს იტაცებენ... თქვენს ქალაქებს იტაცებენ? ნუთუ ვერ ხედავ, აბადანო? ნუთუ ვერ ხედავ, ყასრ-ე შირინ?.. ნუთუ ვერ ხედავთ სხვა ქალაქებო, [ერაყელები] როგორ ღვრიან თქვენი ახალგაზრდების სისხლს. თქვენ წინ უნდა აღუდგეთ აგრესიას, რომელიც თქვენი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიუ-

ლი მთლიანობის წინააღმდეგ გლობალურ ზენოლასა და იმპერიალიზმში ელინდება“ [3,15].

ისლამური უნივერსალიზმის ქადაგებით აღვივებდა ნაციონალისტურ გრძნობებს ჰოჯათოლესლამი ჰასან რუჰანიც 1984 წლის იელისში, როდესაც აცხადებდა, რომ ისლამი ყველა მუსლიმს ავალდებულებს „დაცვასა და ჯიჰადს იმისათვის, რომ მათ შეძლონ გააგრძელონ ყოველდღიური ცხოვრება და დაიცვან საკუთარი რელიგია“. იგი მაშინ ირანს მოიხსენებდა სამშობლოდ – *მიჰან*, თუმცა ისიც და სხვებიც შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ ამ სიტყვაზე „ისლამურის“, დამატებით ირანი „ისლამურ სამშობლოდ“ გადაექციათ. ერთი წლის შემდეგ რუჰანი აღიარებდა, რომ „თუ ომი მიზნად ისახავს მიწა-წყლისა და ადამიანთა სიცოცხლის დაცვას, ის წმინდაა; ხოლო რელიგიის დაცვა წმინდათა წმინდაა“ [3,15].

თავდაპირველად ხელისუფლება შეეცადა, კონფლიქტისათვის ისლამური ხასიათის მინიჭებით მისი ნაციონალური საზღვრები გაეფართოვებინა და მას წარმოადგენდა, როგორც წმინდა ომს, ჯიჰადს, რომელსაც ირანი ანარმოებდა ყველა მუსლიმის სახელით, ომს ისლამსა და ურწმუნოებას შორის. მაგრამ ხელისუფლებამ მასების მობილიზაციისთვის მიზანშეწონილად ჩათვალა ყურადღება მიემართა ირანულ ნაციონალისტურ გრძნობებზე. შესაბამისად, 1982 წლის შემდეგ საყოველთაო მღელვარება იმის შესახებ, რომ ეს ომი ისლამური რეჟიმის განმტკიცებას ემსახურებოდა, საკმაოდ შემცირდა [2,246].

1982 წელს, როდესაც ირანის ძალებმა უკან დაახვეინეს ერაყის ჯარს, ბრძოლაში პაუზა გაჩნდა. ირანი არჩევანის წინაშე იდგა: კონფლიქტის დარეგულირებისათვის დიპლომატიური მეთოდებისათვის მიემართა, თუ გაეგრძელებინა ომი ერაყის ტერიტორიაზე. შიდა ინტენსიური დებატების შემდეგ ირანმა განაცხადა, რომ მისი ძალები ბალდადის გავლით იერუსალიმისაკენ მიემართებოდა. ეს მოულოდნელი გადანყვეტილება იყო, რომლითაც სავარაუდოდ ირანი უპირატესობას ფლობდა ბრძოლის ველზე. შედეგად, ერაყის ძალებმა ქვეყნის ტერიტორიის დაცვა გააძლიერეს და ირანის „ცოცხალი ტალღის“ ტაქტიკაც ნაკლებეფექტური აღმოჩნდა ერაყის შეიარაღებასთან.

საბოლოო დაზავება 1988 წელს დიდად არ განსხვავდებოდა 1982 წლის პირობებისაგან [2,360] და აიათოლა ხომეინიმ ის გაამართლა, როგორც ისლამისა და მუსლიმების ინტერესებიდან გამომდინარე.

ომს უზარმაზარ ზარალთან ერთად ირანისთვის მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა. ერაყთან ომის შემდეგ კი უნივერსალური ისლამური მიზნები გაცილებით მცირე მასშტაბის ნაციონალიზმით შეიცვალა [8,360]. ომმა არა მარტო ალაღვინა რეგულარული არმია, არამედ განავითარა გასამხედროებელი დანაყოფები, რასაც სულ უფრო მეტი ახალგაზრდის მობილიზაცია მოჰყვა. ერაყის იერიშმა, რომელიც ძალზე შორს იყო ირანული რეჟიმის კოლაფსის შესაძლებლობიდან, ხელი შეუწყო პოლიტიკური და ადმინისტრაციული ძალაუფლების კონსოლიდაციას ისლამურ რესპუბლიკაში. რეჟიმმა შეძლო ქვეყანაში შიდა ოპოზიციის ნინაალმდეგობის დაძლევა და იდეოლოგიის დონეზე რევოლუციურ ხელისუფლებას საშუალება მისცა მკაცრად განსაძღვრულ ისლამურ ტერმინებთან ერთად ნაციონალისტურ-პატრიოტული ელემენტები შეეტანა ლექსიკონში: თუ ხომეინი რევოლუციის პირველ დღეებში მხოლოდ „ისლამის ერზე“ ლაპარაკობდა, ომის პერიოდში იგი სამშობლოს [მიჰან] და განსაკუთრებით ირანის დაცვაზე ალაპარაკდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაჩეჩილაძე. რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბ., დიოგენე, 2003.
2. Digard J., Hourcade B., Richard Y., Irān dar qam-e bistom, Tehrān, Alborz, 1377/1998.
3. Haggay R., Exporting Iran's Islamic Revolution: Steering a Path between Pan-Islamism and Nationalism in *Religious Radicalism in the Greater Middle East*, ed. by B. Meddy-Weitzman & E. Inbar, London-Portland, OR, 1996. pp.9-24.
4. Halliday F., Nation and Religion in the Middle East, London, 2000.
5. Halliday F., The Politics of the Umma: States and Community in Islamic Movements, in *The Shaping of the Current Islamic Reformation*, ed. by B.A. Roberston, London-Portland, Oregon, 2003, pp.22-43.
6. Islam and Revolution: Writings and Declarations of Imam Khomeini, translated and annotated by Hamid Algar, Berkley: Mizan Press. 1981. p.302.
7. Mansuri M., Jang-e farhangi aleih-e enqelab-e eslami, ghods-e razavi, mashad, 1374/1995.

8. Sick, G., *Iran's Foreign Policy: A Revolution in Transition in Iran and the Surrounding World*, University of Washington Press, 2002, pp. 355-374
9. Wright M., *Iran: The Khomeini Revolution: Countries in Crisis*. Harlow, Essex: Longman, 1989.
10. <http://course1.winona.edu/aclafandi/polsci270/iran-iraq-war.htm>.

TIEA PIFIURISIVILI

Some Political and Ideologic Aspects of the Iran-Iraq War

Summary

The new revolutionary government of Iran was trying, like the other revolutionaries, to promote the security and interests of the State. The attitude to the national problems had been almost unchanged since 1979 when the Revolutionary Government came to power. Despite complete rejection of nationalism, the Islamic Government was concerned with not only keeping Iranian Nation-State in the Muslim Unity but also retaining its territorial and political unity.

Iraq feared that Iran expansion would spread widely and Baghdad often mentioned the danger of creation of another problem like Palestine.

Iran has the opportunity of directing its revolutionary message against Iraqi and other Arab leaders. The Iranian leaders called the Shi'ites in Iraq, Bahrain, Saudi Arabia and Lebanon to the Islamic Revolutions of "Iranian style" and planned its export to those countries. An illegal Iraq Shi'a organization '*al-da'wa al-islamia*' was especially active in 1979-1980. It declared about Iran's call and commenced partisan activities in Iraqi towns for replacing the Ba'ath Regime by the Islamic Revolutionary government. The Revolutionary Iran supported this shi'a party financially and morally. After revealing the anti Ba'athist plot in 1980, about a thousand Iranian residents of Iraq were exiled to Iran.

Iraq, in its turn, tried to cause ethnic revolts in Iran's provinces of Kurdistan, Khuzestan and Baluchestan. In response to Iran's Revolution Saddam Hussain decided to take advantage of Iran's weak points, namely the demoralization of the Army caused by the Revolution which had taken place a year and a half before and to fight for its interests in the Persian Gulf region. Baghdad supposed that time had come to draw Iran back from its leadership in the region and to forward its regional demands. To demonstrate its military force, Iraq planned to seize the basin of the divided river Shatt al-

Arab. Iran's demand for the restoration of the border in the Shatt al-Arab zone became the cause of the war. Baghdad intended to annex Khuzestan – the South-West province of Iran rich in oil and populated mostly by Arabs, and to restore its control over the islands Abu Musa and Tunbs. The further plan of Baghdad was overthrowing the Revolutionary Government of Iran, thus saving the Arabic countries of the Persian Gulf from the 'undermining' activities of the Revolutionary Shi'ism, presenting Saddam Hussain as 'a savior' of Arabs and establishing Iraq's hegemony in the Persian Gulf. The stated facts prove that the Conflict had its mere political reasons.

Khomeini named this war '*jihad*' which has a less aggressive meaning than the previous one. The two leaders Saddam and Khomeini never mentioned the conflict as the one between Sunna and Shi'a Muslims, though Iranians called Saddam – 'Sadam Yazid' and Khomeini called him – '*kafir*,' Saddam, in his turn, named Khomeini a 'bearded Shah.' Khomeini always called for Islamic not Shi'a revolution and Saddam was proving that he fought the Iranians to change the Arabs' destiny. The armed forces fought each other not for religious purposes but in the name and for the defence of their countries.

ოთხი დოკუმენტი „მუჰიმე დავთრიდან“ თბილისის შესახებ

„მუჰიმე დავთრები“ ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა როგორც ოსმალეთის იმპერიის, ასევე მისი მომიჯნავე ქვეყნების მთელი რიგი პრობლემების შესასწავლად. ამ ძეგლებში დაცული ცნობები მრავალმხრივია საყურადღებო. ამ წყაროში დანვრილებითაა აღწერილი ამბები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში, ამასთან მასში წარმოდგენილია ისეთი ცნობები, რომლებიც სხვა წყაროებში არ მოიპოვება.

ამჯერად ჩვენ ვაქვეყნებთ ოთხ დოკუმენტს, რომელიც XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს ეხება. პირველ დოკუმენტში საუბარია ქუთაისის ციხის ბეგლარბეგზე, რომელიც ითხოვს ჯარისკაცების გაგზავნას: თბილისიდან 50 ჯარისკაცი, ჩილდირიდან 150, დმანისიდან 50, სულ 350 ჯარისკაცი. ჩილდირის ბეგლარბეგს ეკითხება, დაასახელოს თუ რამდენი ჯარისკაცის გამოყვანა შეუძლია, საამისოდ შეთანხმება მირმირანთან იდება. აღნიშნული რაოდენობის ჯარისკაცები, თავიანთი შეიარაღებით მივიდნენ ქუთაისის ციხეში და ყველა საჭირო ადგილი დაიკავეს, მათ აგრეთვე გაამაგრეს და დაიცვეს მოსაზღვრე ტერიტორიები.

მომდევნო დოკუმენტშიც იმავე საკითხებზეა საუბარი. ამჯერად თბილისის ბეგლარბეგია ვინმე მეჰმედი, ხოლო ქუთაისისა ფერჰადი, ამ დოკუმენტშიც მეორდება ჯარისკაცთა ზემოხსენებული რაოდენობის გადმოყვანა ქუთაისში. ამ რეგიონის გასაძლიერებლად ერევნის ბეგლარბეგს დაევალა გამოაგზავნოს 200 ჯარისკაცი, დმანისის ბეგლარბეგს 50 ჯარისკაცის გადმოყვანა, ჩილდირის ბეგლარბეგს კი 150 კაცის. ეს დოკუმენტები დათარიღებულია 1590 წლის 2 სექტემბრით. მესამე დოკუმენტი კი შედგენილია 1591 წლის 16 მაისს. დოკუმენტში საუბარია ზაგემის გამგებელზე ალექსანდრე კახთა მეფეზე, რომელიც ოსმალეთის ხელისუფლებას ემორჩილება, პატიოსნად იხდის გადასახადებს და ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას. იხდის ხარაჯას, თავად აჯანყებასა და არეულობას არ ეწევა, ციხის გარშემო ფერჰად ფაშამ მოახდინა თავდასხმა, საქონელი გაანადგურა, ხალხიც დახოცა, ბევ-

რი დაატყვევა კიდევ, მას მკაცრი ღონისძიებები გაუტარებია. ადგილობრივ მკვიდრთ ხარაჯაც გადაუხდიათ და მორჩილებაც გამოუცხადებიათ. გამოვიდა სათანადო ბრძანება, რომლის თანახმად იკრძალება ყოველგვარი მსგავსი მოქმედებანი და ადგილობრივ მკვიდრთ სიმშვიდისაკენ მოუწოდებენ.

მეოთხე დოკუმენტი შედგენილია 1591 წლის ივნისის პირველ ნახევარში, კერძოდ 5-15 ივნისს, დოკუმენტში საუბარია თბილისის ბეგლარბეგისადმი გაგზავნილ ცნობაზე, სადაც ერევნის ბეგლარბეგი აუწყებს ოსმალეთის ხელისუფლებას იმის შესახებ, რომ თბილისის, განჯის, დმანისის, ლორის, გორისა და ახალციხის ჯარისკაცებს სარგოები ერევნიდან გაეგზავნათ და ეს პროვიანტი გადანახულ იქნა სანყოფნებში. გარდა ამისა პროდუქტები სხვა ადგილებიდანაც იქნა მიღებული, დოკუმენტი ძალიან საინტერესოა.

ამრიგად, ქვემოთ მოტანილი საბუთები მეტად საყურადღებოა ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობის უკეთ შესასწავლად.

საბუთი #1. დოკუმენტი ინახება სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში „მუჰიმე დავთრების“ დამატების მეოთხე ტომში. გვ. 76-77. შედგენილია 1590 წლის ორ სექტემბერს.

ქართული თარგმანი

„თბილისის ბეგლარბეგად ყოფნისას, ამჟამად ქუთაისის ბეგლარბეგმა ფერჰადმა, იყოს იგი მუდამ ილბლიანი, ჰუქმი² გამოსცა. ბედნიერების კარზე წერილი გააგზავნა, ქუთაისის ციხის დასაცავად საჭიროაო ლაშქრის ყოლა, გამოცემული არზის³ მიხედვით, საჭიროა სასწრაფოდ თბილისიდან 50 ჯარისკაცის, ჩილდრიდან 150 კაცის, დმანისიდან 50 კაცის, საერთოდ სულ 350 კაცის, ხსენებულის დასაცავად, დანიშვნა. შენ რომ ქუთაისის ციხისთვის გასაგზავნად ბერათით⁴, ჩილდრის ბეგლარბეგის ქედხუთას⁵ შესაძლებელი ოდენობა ხალხი მიაშველოს, მის გასაგზავნად მირმირანთან⁶ ცალკე სამეუფეო ბრძანების გაგზავნა აუცილებელია.

აქედან გამომდინარე ვბრძანებ, რომ როდესაც მოაღწევს იგი, შენც, შენი მხრივ, მირმირანს წერილი და კაცი გაუგზავნე. აღნიშნული ჯარისკაცები სახელმწიფოში მივლენ, შეიკრიბებიან, დაინიშნებიან, ისინი იმ რაიონში იქნებიან მიპატიჟებულნი. სუყველანი მოვიდნენ, შეკრების შემდეგ ყველამ თადარიგი დაიჭირა, ქუთაისის

ციხეში მივიდნენ, მშვიდობიანად. ხსენებული ციხე და გარშემო ადგილები მისი მოსაზღვრე ტერიტორიები დაიკავეს და დაიცვეს. დასაცავად დანიშნული ჯარისკაცები ციხეში მივიდნენ. თუ ერთად შეიკრიბებოდნენ, დაინიშნებოდნენ, არზა გამოვიდოდა. დამოუკიდებელნი ხდებოდნენ, იმ ციხისკენ გაიგზავნებოდნენ. შენც საკმარისი ოდენობის ხალხით ქუთაისის ციხეში გაიგზავნები. ნაბრძანები იქნა, რომ მათი სარგოდან გაცემულიყო (გასამრჯელო), ფრთხილად მოქცეულიყვნენ, არსებული ვილაიეთის⁷ პირობების მიხედვით ემოქმედათ. ხსენებულ ციხეს რა ოდენობის ჯარისკაცი განესაზღვრებოდა, იმდენი ჯარისკაცი ებოძებოდა. უმაღლეს სამეუფეო კარზე არზა იქნა გაგზავნილი. შენ რომ მის მიხედვით, ზოგიერთი ციხიდან ჯარისკაცები გამოგყავს, არსებითად ქუთაისის ციხეში მიდიან. დაცვაში მყოფ ჯარისკაცებზე მაღალი უღუფებია, მათ ბოლუქებზე⁸ დავთარი დგება. ისინი ბედნიერების კარზე იგზავნებიან. მის მიხედვით მათ სარგოები ებოძებათ. არ არსებული პირები დავთარში ჩანანერისაგან თავისუფლდებიან.

თბილისის ბეგლარბეგს მეჰმედს, მუდამ იყოს იღბლიანი, ჰუქში ებოძა, როდესაც თბილისის ბეგლარბეგი იყო, რითაც ქუთაისის საბეგლარბეგო გადაეცა. ემირთა შორის უპირველესს ფერჰადს, იყოს იგი იღბლიანი, წერილი გაეგზავნა, რომელშიც ითქვა, აჩიკ ბაშის⁹ ვილაიეთში ამჟამად დაპყრობილი ქუთაისის ციხის დასაცავად ჯარიო საჭირო. ცნობილი გახდა აგრეთვე, რომ ხსენებული ციხის დასაცავად თბილისიდან გამოყვანილ იქნა 50 ჯარისკაცი, ჩილდირიდან 150, დმანისიდან 50 და ისინი დაინიშნენ.

აქედან გამომდინარე ვბრძანებ, რომ როდესაც მოაღწევს ამბავი, რომ ქუთაისის ციხისთვის განსაზღვრულია გარკვეული ოდენობის ჯარისკაცები და ისინი როგორც კი დაინიშნებიან ქუთაისის დასაცავად, რჩეული და დამსახურებული პირების ბაშ-ბულად¹⁰ დანიშვნის შემდეგ, ჩემი ზემოხსენებული ბეგლარბეგებთან ერთად ბჭობა გამართონ. ხსენებული ციხის დასაცავად დანიშნული ჯარისკაცების რეგიონში შესაკრებად თუ გადაწყდებოდა საკითხი, შენც იმ რაიონში გაიგზავნებოდი. ხსენებული ფერჰადი იყოს იღბლიანი, არსებითად თუ დაინიშნებოდა ქუთაისის ციხისა და მის მიმდებარე ტერიტორიების მმართველად, ჯარისკაცები დაინიშნებოდნენ.

ერევნის ბეგლარბეგს დავვალა 200 ჯარისკაცი;

დმანისის ბეგლარბეგს 50 ჯარისკაცი;

ჩილდირის ბეგლარბეგს 150 ჯარისკაცი.

ამ ჰუქმის ველზე მინანერი იმ მხარის გარკვეული ნაწილისათვის თავშესაფარია“.

საბუთი #2. დოკუმენტი ინახება სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში, „მუჰიმე დავთრების“ დამატების მეოთხე ტომში. გვ. 79. შედგენილია 1590 წლის 2 სექტემბერს.

ქართული თარგმანი

„წინათ თბილისის ბეგლარბეგი იყო. ამჟამად ხუდავენდიგარიის საჩჯაყში მუთასარიფად¹¹ დანიშნული საერთოდ მუდმივ ულუფას იღებს. ამასთან დაკავშირებით ჰუქმი გამოვიდა. ბედნიერების დედაქალაქში წერილი გააგზავნეს. იგი ბალი ქერსას ნაჰიედან იყო. უმაღლესი სამეუფეო კარის მუთეფერიკათაგან¹² მეჰმედმა მნიშვნელოვანი, პატიოსანი ბრძანება გამოსცა. ხსენებულ ლივაში¹³ ყაჩაღები დაიჭირა და სხვა კაზაში¹⁴ წაიყვანა და წავიდა. გარკვეულ პირთაგან ახჩებიც აიღო, ყოველ სოფელში დაჭერები იყო, ხსენებულ ლივაში ვინმემ სხვა ხარჯის გარდა რამე არ აიღოს, საამისოდ იყო თხოვნა. აქედან გამომდინარე სასწრაფოდ ვბრძანებ, რომ როდესაც ამას ჩაიდენენ, ხსენებული მეჰმედი ამის შემდგომად ამ საქმეებზე არ მიუშვან. მის ხელთ არსებული ბრძანება ჩამოართვან და სხვას გადასცენ. იგი ბედნიერების კარზე გამოაგზავნონ“.

საბუთი #3. დოკუმენტი ინახება სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში, „მუჰიმე დავთრების“ დამატების მეხუთე ტომში. გვ. 129. შედგენილია 1591 წლის 16 მაისს.

ქართული თარგმანი

„კარა მეჰმედ ჩაუში დაინერა 22 რეჯებს 99 წლისა. თბილისის ბეგლარბეგს ჰუქმი ებოძა მასზე, რომ ზაგემის გამგებელმა ალექსანდრე ხანმა ბედნიერების კარზე წიგნი გააგზავნა, ხსენებული 15 წელზე მეტია, რაც ჩემს ბედნიერების კარს ემორჩილება და ექვემდებარება, ხარაჯას¹⁵ იხდის, მის სამსახურშია და სამსახურს უწევს, საერთოდ თავად და თავის რეაიათი¹⁶ აჯანყებასა და არეულობას არ ეწეოდა. ციხის გარშემო მყოფი ცხვარი განადგურდა. 16 კაცი მოკლულ იქნა, 3000-ზე მეტი ცხვარი და 250 ხარი ხელთ იგდეს და 9 კაცი დაატყვევეს. პროვიანტი აიღეს. გაქცეულებიც დააპატიმ-

რეს. უწინდელმა თბილისის ბეგლარბეგმა ფერჰადმაც ციხის გარშემო არსებული სოფლები გაანადგურა, 5000 ცხვარი, 565 ხარი აიყვანა, 5 კაცი დაატყვევა, 30 კაცი მოკლა. მათზე თავდასხმის შემდეგ ცარიელი ადგილები აღარ დარჩაო, ითქვა. ბრძანება გამოვიდა და თავდასხმები და მკაცრი ღონისძიებები გატარდა. არზაც გაიცა. ასეთი საქციელით ბედნიერების კარს მორჩილება გამოუცხადა. ხარაჯა გადაიხადა, მას დაემორჩილა და მის მსახურად გამოაცხადა თავი. ამრიგად მას დაექვემდებარა.

აქედან გამომდინარე, ვბრძანებ, როდესაც ეს ცნობა მოაღწევს, იცოდეთ, რომ ვინც ასეთ სისაძაგლეს ჩაიდენს, იგი თავისი ადგილიდან უნდა იქნეს აყრილი, განადგურებული და დატყვევებული. ანდა ცხვარი, ხარი და რაც არ უნდა იქნეს გაყვანილი. ამის შემდგომად ამისთანა უმსგავსოებას და სისაძაგლეს ადგილი არ უნდა ექნეს, და ეს ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, ხსენებულ ქვეყანას თავს ესხმიან. ასეთი საქციელი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაიდინონ: უწინ არსებულის მსგავსად, ასეთი საქმეებისაგან თავი უნდა შეიკავონ. ასეთი შემთხვევები უნდა აიკრძალოს. აღნიშნულ ვილაიეთში თავდასხმები არ უნდა გაგრძელდეს“.

საბუთი #4. დოკუმენტი ინახება სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში „მუჰიმე დავთრების“ დამატების მეხუთე ტომში. გვ. 5 შედგენილია 1591 წლის 5-15 ივნისს.

ქართული თარგმანი

„თბილისის ბეგლარბეგს ჰუქში გაეგზავნა იმაზე, რომ ერევნის ვილაიეთის ნარჩინებულებმა და დიდებულებმა უმაღლეს სამეუფეო კარს სასიამოვნო ამბები აუწყეს. თბილისის, განჯის, დმანისის, ლორის, გორისა და ახალციხის ჯარისკაცებს სარგოები ერევნიდან გაეგზავნათ. პროვიანტის საწყობებში მიზარების შემდეგ, მათი სარგოების გასაცემად ერევნის ვილაიეთიდან გონულლიანებს¹⁷ სამსამი, ოთხ-ოთხი სარგოთა გაუცემლობის გამო, იგი სხვა მხარეებიდან იქნა მიღებული. სარგოთა უსასყიდლოდ მიღებით თითოეულ მათგანს ორასი და სამას-სამასი ცხენის ოდენობით დაუდგინეს. რადგანაც საჭმელ-სასმელი და ზედმეტი ხარჯი იყო, რეაია დაიფანტა და მათ აუწყეს, რომ უწინ სამეუფეო ჰუქში იქნა გაგზავნილი, სარგოსთვის ზედმეტი ჯარისკაცი ნუ იქნება გამოგზავნილი, ითქვა. რადგანაც ჩემი ფირმანი¹⁸ გამოსულია. ამ წინააღმდეგობის მიზეზი რა არისო.

აქედან გამომდინარე, ვბრძანებ, რომ როდესაც ეს ბრძანება მოაღწევს, ამის შემდეგ ამ სარგოთა საქმისათვის ოთხ-ოთხ ანდა ხუთ-ხუთ ჯარისკაცზე მეტის გაგზავნა საფრთხილოა. ხსენებულ საკითხზე ხელახლა საჩივარი ზედმეტი უბედურება იქნებოდა”.

საბაჟო № I

تفلیس یکلریکسی ایکن حالا کوتاتس یکلر بکسی اولان لرهاد نام اقبلاهه حکم که
سده ت ساحتمه مکتوب کوندروپ
قلعه ت کوتاتس محافظه ایچون عسکر لازمه دبو عرض ایلدوکک اجدس تفلیده الی
نفر و چلردن
بوز الی نفر و توماسدن الی نفر جمله اوجهوز الی قلعه ت مزیره
محافظه تمیمن اولتوب و سن کوتاتس قلمسه ایماک ایچون براتیله و چلدر
یکلریکسی کتفداسنه کفایت مقداری ادم قوشوب کوندرمک ایچون مهرباره مستقلا
امر مایونم کوندرلمتدر بیوردومکه
وصول یولدفده سفاخی کتتو جانیکدن مهربانه مکتوب و ادم کوندروپ ذکر اولنان
نفرات مهربانه سطله
یانکه کلوب جمع اولمک مناسبه به اول محله دفون ایچوب جمله سی کلوب جمع
اولدقلمتدر مکره جسده تعارکله
کوتاتس قلمسه واروپ لیکر نهار قلعه ت مزیره لن و اطراف و جویبتی حفظ
و حرارت ایلدین
و محافظه به تمیمن اولنان نهارداک علوفه لری قفسی قلمسه واروپ جمع اولمک
مناسب به عرض ایلدین که
مستحق اولدقلمتدر مومک جیالری اول قلمسه کوندریله و سن قفسی اول قلمسه
کفایت مقداری ادم کوتاتس قلمسه کتوردوب بیوندر اولدقلمته مواجیلرهد
وهروپ استعد به ایلدین
اولان ولایتک احوالده کوروپ قلعه ت مزیره به نعتقار مقرر قول کفایت ایچر علی
المصمیله
بازوب در گاه ملامه عرض ایلدین سنکه اکا کوره به بعضی قلمه لردن نفرات اغراض
اولتوب
کوندریله و بالغمدوکله کوتاتس قلمسه واروپ محافظه اولانلری
علی کوسای
علوفه لری و یلوکلری اهله
اکا کوره مواجیلری
کوندریله انده موجود اولمایانلری بقتره یازمقدن حرر ایلدین

تفليس بىكلرىكىسى محمد دام اقبيله به حكم كه تفليس بىكلرىكىسى اهنك حالا کوتاتس
بىكلرىكىلىكى عفايت
اولئان امر الامراء الكرام فرهاد دام اقبيله مکتوب كوندروپ اهل ياش ولايتنده
حالا قفس مهتر اولان کوتاتس قلممه صحافتمده عسکر لازمدر دبو بلدرمكده
قلمه مزبوره
ساقظمنه تفليسدن اللى نفر و چلدردن بوز اللى نفر و تماندن اللى نفر
تعيين اولنمقتر ييوردومكه
صوك يولدنده قلمه کوتاتسغه مقرر قول نصيب اولغنيه کوتاتس صحافتمهجون
تفليس قوللترندن اللى نفر تعيين ايدوب وجه مناسب كوردوكك بر برار و
احتياط كسندهلى ياش يوغ
تعيين اهلدكسكده حارالمهم بىكلر بىكلر ايله معاشرت ايدوب قلمه مزبوره
ساقظمنه تعيين
اولئان نفراتنه صلده جمع اولمق مقرر اولورسه سناغى اول صلده كوندرسن
سنگى سره اتفاق
و اتحاد ايله کوتاتس قلممنه واروب حاراليله فرهاد دام اقبيله زك وجه
و مناسب
كوردوكى اوزره قلمه کوتاتسك و اطراف و خواهنديك حيط و حراستنده دقيقه
قلمه ايله
روان بىكلر يكنه بازيله ايكيوز نفر بازيله
تومان بىكلر بىكىمنه اللى نفر
چلدر بىكلر يكنه اللى نفر
بو حكمدن قلمه اوتته جانينده ير مقار شميس واردر

ملاحظه شود که این کتاب در کتابخانه...

کتابخانه مکتبته که در علم اربعه به جا رسیده است...
اولاً در علم اربعه که در علم اربعه است...
حالا فی مکتبته اولاً که در علم اربعه است...
ملاحظه شد که این کتاب در کتابخانه...

در کتابخانه مکتبته که در علم اربعه به جا رسیده است...
اولاً در علم اربعه که در علم اربعه است...
حالا فی مکتبته اولاً که در علم اربعه است...
ملاحظه شد که این کتاب در کتابخانه...

کتابخانه مکتبته که در علم اربعه به جا رسیده است...
اولاً در علم اربعه که در علم اربعه است...
حالا فی مکتبته اولاً که در علم اربعه است...
ملاحظه شد که این کتاب در کتابخانه...

مکتبته که در علم اربعه به جا رسیده است...
اولاً در علم اربعه که در علم اربعه است...
حالا فی مکتبته اولاً که در علم اربعه است...
ملاحظه شد که این کتاب در کتابخانه...

مکتبته که در علم اربعه به جا رسیده است...
اولاً در علم اربعه که در علم اربعه است...
حالا فی مکتبته اولاً که در علم اربعه است...
ملاحظه شد که این کتاب در کتابخانه...

سابقاً تغلیب بکلریکیسی اولوب حال اعداوندکار سنجاغده متمرناً اولان درونی
 نام غلظه به حکم که
 سده سادتمه مکتوب کوندروب بالی کرنا کنارندن اولوب در کاه سلام
 متفرقا لرندن محمد عزتلو سب
 بیر طرفه امله امر هرینه اخراج ایدوب لوان مذکورده واقع اولان اعقبای
 طوتوب اخر قضایه الوی
 کهدوب بیردن نهجه اقمه الوی اطلاق اتمکله حر قراده اخص بولمقدار لوان
 لذکورده خارجدن
 کسنده نعل اتمامک ریاضده عرض ایتدوکک اجلدن بیوردومکه
 وصول بولمقدار مزبور محقق من بعد اول عرصه
 نعل ایتدومیب و الله اولان امر الوی در کسنده ایدوب استانه و
 سادتمه کونفرمن

153

بسم الله الرحمن الرحیم
 این نامه من کس ادره عاقله از سرکار سنجاغده در وقت اولان درونی
 سادتمه مکتوب کوندروب بالی کرنا کنارندن اولوب در کاه سلام
 متفرقا لرندن محمد عزتلو سب
 بیر طرفه امله امر هرینه اخراج ایدوب لوان مذکورده واقع اولان اعقبای
 طوتوب اخر قضایه الوی
 کهدوب بیردن نهجه اقمه الوی اطلاق اتمکله حر قراده اخص بولمقدار لوان
 لذکورده خارجدن
 کسنده نعل اتمامک ریاضده عرض ایتدوکک اجلدن بیوردومکه
 وصول بولمقدار مزبور محقق من بعد اول عرصه
 نعل ایتدومیب و الله اولان امر الوی در کسنده ایدوب استانه و
 سادتمه کونفرمن

له محمد جاوید فیروز کہ زکرم حاکم الکندر عا دہ ساداتہ مکتوب
کوندوب

معارالہ اون ہی بیلدن برو دہ ساداتہ
اطاعت انقیاد اہدوب عرایت و ہر و پ مامور اولدوغی حزمتملی ادا اہدوب بر
وجہ کندی و رعایا سذک

عبان طنبا لری ہوشیکہ قلمسی جوارندہ مرعہ اولان اغناسی غارت اولدوب
و اون القی نفر کسدہ

قتل اولدوب اوج یبندن زیادہ فہون و اہکوز الی عدد ستر و طلوز عدد
اسہرالنوب و خیرہ الوب کھدن اطلری

حیی اولدوب و ساقیا تغلیس بکلریکیچی لمرہاد باغی جوارندہ اولان قرہ لری
غارت اہدوب ہی بیگ حقارن

قیون و بیجوز الی ہی سفرداہ ہی نلر اسیر اہدوب و اوتوز نلری نین
نقل اہدوب یو مقولہ تغنی و تجاوز اولنماقدن

عالی اولمیان یولہ اتکلری امرایلہ صفر توجہ فضولی صفر دیو عرض ایلدی
یلہ انقی حزمور دہ ساداتہ اطاعت اہدوب ہراجن

و ہر و پ مامور اولدوغی حزمتمنا اما اہدکن یولہ اتسذک اسال یوبایدہ ہ ہر سول
اولمصلنفر ہجورومکہ

وارقدہ کورمن یولسادلری ہر کہم رتمہ ہہ ہرلو ہرندن تلخہشو و تخص
اہلہوب غارت اولنان اکر اسہرلی

و اکر فہون و اکر ستر و یازی ہر نہ ہہ ہجلمور کرو الیوہر و پ ساقین اولان
مقولہ اولاندن اجمالنا تدروب

من بعد یو وجہ رنجیدہ و رحیدہ اتفریمین شوبلہ کی بعد الہوم کزولی
یہلوی مزبورک مملکتینہ دخل و تجاوز اولدہ اصلا بر وجہیلہ عزک

مقبول اولماسن سبفا کرکی کی منسن اولدک مقررر اکل کون تدارک اہدوب
سنع بر وجہلہ معارالہذک ولاہتہ نکل رکاور اہدومہ سذر

تفلیس بکتری یکمده حکم که ولایت روان اقبان و اخرافه در کاه سلاسه سفر
 کونروپ تفلیس و کنجه و تومانس ولورس و کوری و اشدسک
 نمراتک مواجیلری رواندن حواله اولنوب انیرا مسول اتار مواجیلرینه و هرلحکه
 ولایت روان کوکوللورینک اوچر و سرور
 مواجیلری و هرلحکدن شهره اطرافدن کلوب مواجیلر بیلی هر برهسا ایگهر و اوچر
 یوز اتلو ایله اسط اوزرینه قونوب
 بیچ و بتکم و زهاده عریلری اولماقله رعایا مراکنده اولقلرین یلدریدلر ایمنک
 فقط حکم صلیونوم ارسال اولنوب مواجیلر ایچون
 زهاده نمر ارسال اتمیدن دیو فرمانی اولمکنک مخالفته باعث ندر بیوردومکه
 وارنقده صلیومد مواجیلر ایچون
 فرس و باعود بفر نمرین زهاده من ارسال اتمکون احتیاط ایلمویب عوص مزبور
 ایچون تکرار عکون اوان قرن
 زهاده حزر ایلمیدن

تفلیس بکتری یکمده حکم که ولایت روان اقبان و اخرافه در کاه سلاسه سفر
 کونروپ تفلیس و کنجه و تومانس ولورس و کوری و اشدسک
 نمراتک مواجیلری رواندن حواله اولنوب انیرا مسول اتار مواجیلرینه و هرلحکه
 ولایت روان کوکوللورینک اوچر و سرور
 مواجیلری و هرلحکدن شهره اطرافدن کلوب مواجیلر بیلی هر برهسا ایگهر و اوچر
 یوز اتلو ایله اسط اوزرینه قونوب
 بیچ و بتکم و زهاده عریلری اولماقله رعایا مراکنده اولقلرین یلدریدلر ایمنک
 فقط حکم صلیونوم ارسال اولنوب مواجیلر ایچون
 زهاده نمر ارسال اتمیدن دیو فرمانی اولمکنک مخالفته باعث ندر بیوردومکه
 وارنقده صلیومد مواجیلر ایچون
 فرس و باعود بفر نمرین زهاده من ارسال اتمکون احتیاط ایلمویب عوص مزبور
 ایچون تکرار عکون اوان قرن
 زهاده حزر ایلمیدن

შენიშვნები

1. ბეგლარბეგი - ბეგთა-ბეგი, ფაშა, ვილაიეთის სამოქალაქო და სამხედრო-ადმინისტრაციული საქმეების განმგებელი იხ. Pakalin M. Z. Osman Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü I. fas. III, 1947, გვ. 216-221.
2. უუქმი - სასამართლო გადაწყვეტილება, განაჩენი, უმაღლეს განკარგულებათა და ბრძანებათა შემცველი სიგელი. ზოგჯერ ბერათისა და ფირმანის სინონიმდაც იხმარებოდა. იხ. ს. ჯიქია, XVIII საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ. თსუ-ს შრომები, 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II. თბ., 1960, გვ. 170.
3. არზა - არზუპალი, განცხადება, თხოვნა, ვედრება, ოსმალური საფინანსო დოკუმენტის გარკვეული კატეგორია.
4. ბერათი - ქართული ბართი, სიგელი, გაცემული სახელმწიფოს უმაღლესი ინსტანციის მიერ ამა თუ იმ პირისათვის მიწის მფლობელობის უფლებისათვის ან სხვა საქმეების გამო.
5. ქეთხუდა - მამასახლი, მოურავი, მაღალი თანამდებობის პირების დავალებათა შემსრულებელ სხვადასხვა კატეგორიის მოხელეებს ქეთხუდა ეწოდებოდა. იგი ხალხში „ქაჰიას“ სახელითაც იყო ცნობილი. მათ ძირითადად სამეურნეო საქმიანობა ევალებოდათ. იყო ხაზინის ქეთხუდა, გემსაშენის ქეთხუდა. დავთრის ქეთხუდა, ჩაუშების ქეთხუდა და სხვ.
6. მირმირანი - იგივე ბეგლარბეგი, ვალი, ვილაიეთის განმგებელი.
7. ვილაიეთი - ადმინისტრაციული ერთეულის სახელწოდება.
8. ბოლუქი - სამხედრო ნაწილი, რაზმი, იმთავითვე იანიჩართა კორპუსი შედგებოდა 10 ბოლუქისაგან (ნაწილისაგან) და თითოეულ მათგანში შედიოდა 100 კაცი, ბოლოს ბოლუქთა რიცხვი 101-მდე გაიზარდა. თითოეული ბოლუქის რაოდენობა შეიცვალა. Pakalin M. Z. Osman Tarih. Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. I. Fas. III, 1947, გვ. 242.
9. აჩიკ-ბაში - თავლია. უჭუდო, ასე იწოდებოდა იმერეთი ოსმალურ წყაროებში. იხ. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ნ. III, თბ., 1958, გვ. 80-83.
10. ბაში-ბული - ოსმალთა სახელმწიფოში ლაშქრობის დროს გარკვეული გავრთიანების, ჯგუფის, რაზმის, ერთგვარი პოლიციის მეთაური. სახელმწიფოს წინააღმდეგ ამხედრებული ძალების მეთაურებსაც ბაში ბულს უწოდებდნენ.
11. მუთასარიფი - განმგებელი, ქონების მფლობელი, სანჯაყბეგისა და ვილაიეთის ბეგლარბეგის (მირმირანის, ვალის) სინონიმი.
12. მუთეფერიკა - ნაწილი სულთნის პირად დაცვაში მსახურობდა. მათ ევალებოდათ სულთნის სხვადასხვა ბრძანებების შესრულება. იყვნენ იანიჩართა კორპუსის მუთეფერიკები. ისინი სოლაკებისა და მონადირეების ბოლუქებში ითვლებოდნენ და მათ სამსახურს მეთვალყურეობდნენ. ისინი ემსახურებოდნენ დიდვეზირებს, ვეზირებს, ბეგლარბეგებსა და სანჯაყბეგებს ამაღალში ახლდნენ. მათ ახლდნენ ლაშქრობაში, ფაშების დროშები მიჰქონდათ. ბრძანებებს დანიშნულები-სამებრ გადასცემდნენ.

13. ლივა – იგივეა, რაც სანჯაყია.
14. კაზა – ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფით სანჯაყში შემავალი მცირე ადმინისტრაციული ერთეული, კაზას თანამედროვე სახელწოდებაა ილჩე.
15. ხარაჯა – ოსმალური გადასახადია. მასში არაერთი გადასახადია გაერთიანებული.
16. რაიათი – გლეხი, ქვეშევრდომი. გადასახადის გადამხდელი. ფეოდალურად დამოკიდებული სოფლის მოსახლეობის აღმნიშვნელი ტერმინი.
17. გონულლიანები – ოსმალეთის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი კატეგორია, რომელიც თავისი სურვილისამებრ, თავისუფლად მოქმედებდა. როგორც ომიანობის ასევე მშვიდობიანობის დროსაც, ციხესიმაგრეებში სხვადასხვა სახეობის ლაშქართან ერთად გონულლიანებიც იყვნენ ჩაყენებულნი და მნიშვნელოვან სამსახურს ასრულებდნენ.
18. ფირმანი – ბრძანება, განკარგულება, წერილობითი დოკუმენტი, გაცემული უმაღლესი კარის მიერ. გარკვეული კატეგორია ოფიციალური დოკუმენტისა.

NODAR SIHENGELLA

Four Documents from the “Muhime Defters” on Tbilisi

Summary

The “Muhime Defters” is among the best sources concerning the problems of both the Ottoman Empire and its neighbouring countries. The four documents below concern the Tbilisi of the last quarter of XVI century.

მნიშვნელოვანი ნიშნი

(მანანა კვაჭაძე, ქეთევან მეგრელიშვილი „საკითხავი წიგნი სპარსულში“, თბილისი, გამომც. „უნივერსალი“ 2005, 172 გვ.)

მომავალი ქართველი ირანისტები უსათუოდ საჭიროებენ ქართულენოვან სტუდენტზე ორიენტირებულ კარგ პროფესიულ დონეზე დანერჩლ სახელმძღვანელოებსა და დამხმარე სახელმძღვანელოებს. ამგვარ სახელმძღვანელოთა ნაკლებობას ვერ აანაზღაურებს სპარსული ენის ირანში გამოცემული კურსები მიუხედავად მათი განუზომლად მნიშვნელოვანი როლისა. ირანული სახელმძღვანელოები წარმატებით გამოიყენება ქართულ უმაღლეს სკოლებში სპარსული ენის სწავლებისას, მაგრამ მათ პარალელურად აუცილებელია უშუალოდ ქართული ენის მატარებელზე მიმართული სასწავლო წიგნები. ამას ადასტურებს ლინგვოდიდაქტიკის ხანგრძლივი გამოცდილება – ამა თუ იმ ენის მატარებელთათვის დანერჩლი უცხო ენათა სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები უკეთ ითვალისწინებს სპეციფიკურ ტიპოლოგიურ ფაქტორებს როგორც წმინდა ენობრივი, ასევე არაენობრივი სინამდვილის თვალსაზრისით და სწავლების პროცესში კარგად ავსებს ერთენოვან სახელმძღვანელოებს.

სპარსული ენის შემსწავლელებმა და ლექტორებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს მანანა კვაჭაძისა და ქეთევან მეგრელიშვილის მიერ შედგენილი დამხმარე სახელმძღვანელოს სახით – „საკითხავი წიგნი სპარსულში“, თბილისი, 2005. ამ წიგნმა გარკვეულწილად შეავსო ბოლო ათწლეულების განმავლობაში გაჩენილი სიცარიელე. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ირანისტების მიერ დღემდე არაა მომზადებული ქართულთან შეპირისპირების საფუძველზე აგებული სპარსული ენის ესოდენ საჭირო და აუცილებელი სხვადასხვა სირთულის დონის შემცველი ფუნდამენტური კურსი, 1930 წლიდან მოყოლებული საქართველოში გამოიცა არაერთი დამხმარე სახელმძღვანელო გრამატიკის, საკითხავი წიგნის, ქრესტომათიისა თუ სასაუბროს სახით. უმეტესი მათგანი მოხსენიებულია რეცენზირებული დამხმარე სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში. ამ წიგნებზე თაობები აღიზარდა, მაგრამ ენაში მიმდინარე ნეოლოგიზაციისა

თუ სხვა სახის დინამიური პროცესები, ასევე ლინგვოდიდაქტიკის ახლებურ მეთოდთა შემუშავება განაპირობებს ახალ სახელმძღვანელოთა და დამხმარე სახელმძღვანელოთა მომზადების საჭიროებას. სწორედ ამ საჭიროებამ უბიძგა მ. კვაჭაძესა და ქ. მეგრელი-შვილს სპარსული საკითხავი ნიგნის შედგენისკენ. გასული საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ საქართველოში პირველად გამოიცა გაბმულ ორიგინალურ ტექსტებზე დაფუძნებული სპარსული ენის სახელმძღვანელო.

ავტორების ხანგრძლივი პედაგოგიური გამოცდილება, მათი მაღალი პროფესიონალიზმი აისახა ნიგნის ხარისხზე. მათ მიერ შედგენილი დამხმარე სახელმძღვანელოს უპირველესი ღირსება მისი თემატური მრავალფეროვნებაა. ავტორებმა კარგად უწყიან ერთ ნიგნში წარმოდგენილი ამგვარი მრავალფეროვნების სასიკეთო შედეგები. ტექსტთა მრავალფეროვნება მთარგმნელობით და სათარჯიმნო ჩვევათა გამომუშავების, მყარი სამეცყველო ბაზის შექმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწინდარია.

საკითხავ ნიგნში წარმოდგენილი ტექსტები ეხება ისტორიულ, ფილოლოგიურ, ეთნოგრაფიულ-ქვეყანათმცოდნეობით, გეოგრაფიულ, სოციალურ-კულტურულ, პოლიტიკურ და სამრეწველო საკითხებს. თემატური მრავალფეროვნება სტილისტურ ერთგვაროვნებასთანაა შეთავსებული. თუ არ ჩავთვლით პირველ ნაწილში წარმოდგენილ ფოლკლორულ ტექსტებს, ნიგნში გეზი ძირითადად პუბლიცისტურ სტილზეა აღებული. პუბლიცისტურ სტილში გათვიცნობიერება, მისი დაუფლება საფუძველს იძლევა ნიგნიერი თარგმანის ჩვევათა გამოსამუშავებლად და თემატურ მრავალფეროვნებასთან ერთად წინაპირობას ქმნის შემდგომში სპეციალიზებულ თარგმანზე სამუშაოდ.

ტექსტების შერჩევისას ავტორები სარგებლობდნენ აუთენტურობის პრინციპით – ყოველი ტექსტი ორიგინალურია. სავსებით გამართლებულად მიგვაჩნია მასალის ადაპტაციაზე, მის გამარტივებაზე უარის თქმა, რადგან სტუდენტი თავიდანვე უნდა მიეჩვიოს ბუნებრივ სპარსულს. ამგვარი მიდგომა ნაყოფიერია მხოლოდ ტექსტთა თანდათანობით გართულების პრინციპის გამოყენებით. ამ პრინციპის გათვალისწინება დიდ ღირსებას ჰმატებს განსახილველ დამხმარე სახელმძღვანელოს. ნიგნი არ წარმოადგენს მასალის მექანიკურ კომპილაციას არც შინაარსობრივი და არც ენობრივი თვალსაზრისით. ავტორები მოქმედებენ პრინციპით – მარტივიდან რთულისაკენ, სამწუხაროდ, ეს პრინციპი ზოგჯერ უგულებელ-

ყოფილია საკითხავი წიგნების შედგენისას, ამით კი ზარალდება ამ წიგნთა სისტემურობა, სწავლების პროცესში მათი მოხერხებულად გამოყენების შესაძლებლობა.

წიგნი სამ ნაწილად იყოფა: პირველი ნაწილი დამწყებთათვისაა განკუთვნილი და იქ შეტანილი ტექსტები საბავშვო და საყმანვილო გამოცემებიდანაა ამოკრებილი, ამავე ნაწილში გამოყენებულია ნაკითხვის ნიშნები, რაც აადვილებს და აჩქარებს ორიგინალურ ტექსტთა დაძლევის პროცესს. სწორედ ამ ნაწილშია წარმოდგენილი იგავ-არაკები, რაც გარკვეულწილად არღვევს პუბლიცისტური სტილის ერთგვაროვნებას, თუმცა ამგვარი „დარღვევა“ სანყის ეტაპზე მარტივი მასალის წარმოდგენის მიზნითაა ნაკარნახევი; ენის ცოდნის საშუალო დონისათვის გათვალისწინებული მეორე ნაწილის ტექსტები როგორც უცხოელი, ასევე ირანელი სტუდენტებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებსა და გამოკვლევებშია მოძიებული; ძალზე მნიშვნელოვანია მესამე ნაწილი, იქ წარმოდგენილი მასალა მოიცავს სხვადასხვა ავტორის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებს როგორც ირანის, ასევე საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, კულტურისა და ყოფის საკითხებზე.

საქართველოს შესახებ წარმოდგენილ ტექსტთა დაუფლება დიდად ესაჭიროება ქართველ სტუდენტს, როგორც პირველი საუბრების ზოგადი სქემა ქართული ისტორიული თუ თანამედროვე სინამდვილის წარმოსაჩენად სპარსულენოვან საზოგადოებაში. ამ ტექსტებზე მუშაობას მაქსიმალურად შემოქმედებითი ხასიათი უნდა მიეცეს. სწორედ საქართველოს შესახებ წარმოდგენილი მასალა ქმნის საუკეთესო ნიადაგს არა მხოლოდ მთარგმნელობით ჩვევათა გამოსამუშავებლად და დასახევნად, არამედ საკუთარი ტექსტების მოსამზადებლადაც დასწავლილი მასალის გავრცობითა და სალექსიკონო ბაზის გაფართოებით.

ფიქრობთ, წიგნის პირველი და მეორე ნაწილების დამუშავების შემდეგ ლექტორმა სტუდენტთა ძალისხმევა არა მხოლოდ მთარგმნელობით და სათარჯიმნო მხარეზე, არამედ რეფერირებასა და სხვადასხვა თემების შესახებ ზეპირ და წერილობით მსჯელობაზე უნდა მიმართოს. წიგნს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირსებას სწორედ ის გარემოება სძენს, რომ იგი თავისი მრავალფეროვანი და ამავდროულად საფეხურბრივი ხასიათიდან გამომდინარე ენაზე მრავალმხრივი მუშაობის საშუალებას იძლევა.

დამხმარე სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით გვაქვს შემდეგი სურვილი – თითოეულ ტექსტს დაერთოს ლექსიკურ-ფრაზეო-

ლოგიური და ქვეყანათმცოდნეობითი ხასიათის კომენტარები. ამ კომენტარებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს პირის, გეოგრაფიულ თუ სხვა საკუთარ სახელთა შესახებ ინფორმაციაზე, ასევე ამ სახელების წარმოთქმაზე. წარმოდგენილი რეცენზიის ავტორის სააუდიტორიო მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება ადასტურებს, რომ სტუდენტები ხშირად სიძნელებს ამ სახელებთან დაკავშირებით აწყდებიან. ამის მიზეზი სპარსულ-არაბული დამწერლობის თავისებურებაცაა, კერძოდ, სიტყვათა ნაწილობრივი გაუხმოვანებლობა, სირთულეს ქმნის ასევე ქვეყანათმცოდნეობითი ინფორმაციის ნაკლებობაც.

მანანა კვაჭაძისა და ქეთევან მეგრელიშვილის მიერ შედგენილი „საკითხავი წიგნი სპარსულში“ ძალზე საგულისხმო შენაძენია ქართული უმაღლესი სკოლების ლექტორთა და სტუდენტთათვის. უკვე ორი წელია, ეს წიგნი ერთ-ერთ საუკეთესო დამხმარედ გვევლინება სწავლების პროცესში.

ვიმედოვნებთ, რომ ავტორები სამომავლოდ შემოგვთავაზებენ კიდევ უფრო მრავალფეროვან და გავრცობილ გამოცემას. ამის საჭიროებას ორი ძირითადი მიზეზი აქვს - თანამედროვე ეპოქის რიტმი, კერძოდ, ახალ-ახალ რეალიათა ასახვა სამწერლობო ენებში და სულ უფრო გაცხოველებული ურთიერთობა თანამედროვე ირანსა და საქართველოს შორის. ეს გარემოებები კი მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებულ სახელმძღვანელოთა, დამხმარე სახელმძღვანელოთა და სხვადასხვაგვარ ლექსიკონთა მომზადების, პერიოდულად მათი შევსება-განახლების აუცილებლობას გვკარნახობს.

PATI ANTADZE

A Significant Book

(Manana Kvachadze, Ketevan Megrelishvili, 'A Book of Readings in Persian,' Tbilisi, 'Universal,' 2005, 172 pages)

Summary

“A Book of Readings in Persian” compiled by Manana Kvachadze and Ketevan Megrelishvili is an important tool for high-school students. The book, to a certain extent, has filled the gap which appeared in recent decades. Since the 80s of the 20th century no textbook or workbook of Persian

language has been published that would be based on the continuous original texts.

The large pedagogical experience and high-class professionalism of the compilers is reflected on the quality of the book. The main value of the book is its thematic variety, focus on authentic texts, stage-by-stage attitude, i.e. the principle of gradual complication of texts.

The addressees of the book are, above all, Georgian students. Taking into account these specifics, the compilers of the book have also included texts about Georgia. The book of readings forms a favourable basis for the development of translation and interpretation skills and for the formation of a solid speech basis. The book is informative from the point of view of Persian studies. Its additional value is that the book enables systematic and multisided approach to the language.

We hope that in the future the authors will provide us a more versatile and commented edition. The need for the expansion of the book is conditioned by the rhythm of the modern epoch, namely, the reflection of new realities in the literary language and the intensification of the relationships between Iran and Georgia.

ნარმატივული დასაწყისის კარგი გაგრძელება

2006 წელს გამომცემლობა „უნივერსალმა“ დასტამბა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების მარინა ალექსიძის, მზია ბურჯანაძის, ლილი ყორყოლიანისა და თეა შურლაიას მიერ შედგენილი „სპარსული ქრესტომათიის“ III ტომი, რომელიც XX საუკუნის II ნახევრიდან დღემდე შექმნილ სპარსული ლიტერატურის ნიმუშებს მოიცავს.

ნიგნი პროფესორ დავით კობიძის ხსოვნას ეძღვნება და არსებითად განაგრძობს ამ შესანიშნავი ირანისტიკის მიერ თავის დროზე შედგენილ და გამოცემულ სპარსული ლიტერატურის ქრესტომათიის ორ ტომს, რომელთაგან ერთმა (I, 1963, ხელახალი გამოცემა 1981) კლასიკური სპარსული ლიტერატურის ძეგლები, ხოლო მეორემ (II, 1967) ახალი სპარსული ლიტერატურის ნიმუშები გააერთიანა.

როგორც მესამე ტომის შემდგენლები სამართლიანად აღნიშნავენ, „უნივერსიტეტის პროფესორის, სპარსული ლიტერატურის მკვლევრის ბატონ დავით კობიძის (1906-1981) მიერ საქმის ცოდნითა და სიყვარულით შედგენილმა ორმა ტომმა ქართველ (და არა მარტო ქართველ) ირანისტთა რამდენიმე თაობას გაუწია მეგზურობა სპარსული ლიტერატურის შესწავლის საქმეში.“

დავით კობიძის მიერ შედგენილი ორი ტომი თავისთავადაა საქმის ცოდნის, მეცნიერული კეთილსინდისიერებისა და მაღალი ლიტერატურული გემოვნების ბრწყინვალე დასტური, ამიტომაც ამ საქმის გაგრძელება მორიგი, III ტომის შემდგენლებს ორმაგ პასუხისმგებლობას აკისრებდა, რათა მათი ნამუშევარი უახლესი სპარსული მწერლობის უაღრესად ჭრელი და მრავალფეროვანი მასალიდან ცალკეული ნაწარმოებების მექანიკური ნაკრები კი არა, დავით კობიძის ტომთა მსგავსად, კონცეპტუალურად გააზრებული და მხატვრულად მოტივირებული სახელმძღვანელო ყოფილიყო.

III ტომის შემდგენლებმა, რომელთაგან თითოეული სპარსული ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე, მკვლევარი თუ მთარგმნელია, ამ ამოცანას თავი ნარმატებით გაართვეს და ამაში ალბათ გადამწყვეტი როლი შემდგენელთა მასწავლებლის, ბრწყინვალე ირანის-

ტისა და პედაგოგის, განსვენებული ალექსანდრე გვახარიას პროფესიონალიზმმაც ითამაშა, რომელიც ამ ტომის რედაქტორი ბრძანდებოდა.

წიგნი დაიბეჭდა საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს მხარდაჭერით და შემდგენლებს არც იმ კონკრეტულ პიროვნებათა თუ ორგანიზაციათა საგანგებო აღნიშვნა დაეინყებიათ, რომელთაც ქრესტომათიის მომზადების სხვადასხვა ეტაპზე მათ გარკვეული დახმარება გაუწიეს. კერძოდ ისინი მადლობას უხდებიან საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოსა და პირადად ელჩს, მის აღმატებულებას ბატონ ჰოსეინ ამინიან თუსის, საელჩოს კულტურის ატაშეს მოჯთაბა საფიხანის, აგრეთვე ყოფილ ელჩს ბატონ აბოლფაზლ ხაზაისა და ყოფილ მრჩეველებს მოჰამად ნაჯაფისა და მაჰმუდ საფარის; ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამომცემლობის თანამშრომლებს.

გარდა ელემენტარული თავაზიანობისა, კონკრეტულ პირთა მისამართით გადახდილი მადლობა იმასაც მოწმობს, რამდენად რთული იყო წიგნის გამოცემა თუნდაც ტექნიკური თვალსაზრისით. აქ იგულისხმება როგორც ტექსტის აკრეფა, ასევე მისი რედაქტირება და, რაც მთავარია, კორექტურა, რაშიც ხშირად ძალიან „სცოდავენ“ თვით ირანში დასტამბული, ირანელ ავტორთა მიერ მომზადებული წიგნები და კრებულები. ჩვენი „სპარსული ქრესტომათიის“ III ტომის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ამ მხრივაც სანიმუშოა და რამდენიმე კორექტურის გარდა თვალში არსად მოგხვდებათ უნებლიე ან, მით უფრო, უხერხული შეცდომები.

რაც შეეხება შინაარსობრივ და კონცეპტუალურ მხარეს, ქრესტომათიის მესამე ტომი წარმატებით აგვირგვინებს ბატონი დავით კობიძის მიერ დაწყებულ ძიებებს და წინასწარ მონიშნული დროის ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვან ავტორს წარმოგვიდგენს.

შეიძლებოდა, გვეკამათა იმაზე, რამდენად საუკეთესოა ამა თუ იმ ავტორის „ქრესტომათიაში“ დასტამბული კონკრეტული ნიმუში და ხომ არ ჯობდა, ვთქვათ, იმავე ავტორის სხვა, უკეთესი ნაწარმოების გამოყენება, მაგრამ შემდგენლები წინასიტყვაობაში ამის თაობაზეც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „ქრესტომათიაში“ შესული ყველა თხულება არ გახლავთ ავტორის საუკეთესო ნაწარმოები, მაგრამ გასათვალისწინებელია შემდგენელთა ხელთ არსებული მასალის გარკვეული შეზღუდულობაც. ვფიქრობთ შემოთავაზებული

თხზულებებიც შეუქმნიან მკითხველს ნარმოდგენას ავტორის სტილზე, ოსტატობასა და ენის თავისებურებებზე."

ბუნებრივია, არავინ იდავეებს დამონმებული ციტატის მეორე წინადადებაზე, რომელიც ოსტატურად მოსდევს ავტორთა ერთგვარ თავის მართლებასა თუ თავის დაზღვევას მათ „ხელთ არსებული მასალის გარკვეული შეზღუდულობის" თაობაზე. მაგრამ თუ ეს ბუნდოვანი „გარკვეული შეზღუდულობა" არ აიხსნა, შესაძლოა მკითხველს კრებულის სპეციფიკასა და შერჩევის კრიტერიუმებზე არასწორი ნარმოდგენა შეექმნას.

საქმე ისაა, რომ დღევანდელ ირანში ლიტერატურული ცხოვრება ჩქეფს და ამ რთული და მრავალშრიანი პროცესის ყველა შენაკადისა თუ ნყალქვეშა დინებისათვის თვალის მიდევნება თვითონ ადგილზე, ირანშიც კი გაძნელებულია.

სირთულეს ქმნის თვით ორიგინალური კრიტიკის დაბალი დონეც, რომელიც ხშირად სრულიად უუნაროა სათანადოდ გააანალიზოს და შეაფასოს მშობლიურ, სპარსულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესები და სიახლეები. თანამედროვე ირანული კრიტიკა მხოლოდ პანეგირიკული, უაღრესად ექსპრესიული რეცენზიებით კმაყოფილდება და, არც თუ იშვიათად, შეფასების ერთადერთ კრიტერიუმს, კრიტიკოსისა და მის მიერ განხილული მწერლის პირადი ნაცნობ-მეგობრობა ნარმოადგენს.

ვითარებას ოდნავ ამსუბუქებს ამა თუ იმ კრიტიკოსის, ზოგჯერ კი თვითონ რომელიმე მწერლის მიერ შედგენილი ცალკეული კრებულები, ერთგვარი ანთოლოგიები, სადაც არაერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებს წააწყდებით, მაგრამ ამ ანთოლოგიათა შემთხვევაშიც თვალშისაცემია სუბიექტურობა და უსისტემობა, რაც ძალიან აძნელებს მკვლევრის მისიას - ესა თუ ის ტექსტი დაინახოს და შეაფასოს ერთიან კონტექსტში.

ალბათ ამას გულისხმობდნენ „სპარსული ქრესტომათიის" შემდგელები „მათ ხელთ არსებული მასალის გარკვეულ შეზღუდულობაში", თორემ საქართველოში დღეს თუ ვინმემ იცის თანამედროვე სპარსული მწერლობა და ორიგინალში კითხულობს ამ ენაზე შექმნილ ყველა მნიშვნელოვან ნაწარმოებს, რა თქმა უნდა, სარეცენზიო ქრესტომათიის შემდგენლები ბრძანდებიან.

სარეცენზიო ტომი უაღრესად მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, უნიკალურია რამდენიმე თვალსაზრისით. კერძოდ, ეს არის გარედან, ობიექტური თვალით დანახული თანამედროვე სპარსული მწერლობა და ამ ნივთში მხოლოდ მინიმალურად შეინიშნება ის

პირობითი კონიუნქტურა, რასაც მსგავსი ტიპის კრებულთა ირანელი ავტორები, ნებისთ თუ უნებლიეთ, ანგარიშს უწევენ.

გარდა ამისა, შესაძლოა თვითონ ირანელებისათვის რალაცა ნანარმოები ან კონკრეტული ავტორი მნიშვნელოვანი იყოს ერთი თვალსაზრისით, მაგრამ ამ ნანარმოებსა თუ ავტორს მსოფლიო ღირებულება არ გააჩნდეს.

ამ მხრივ, ჩვენი ქრესტომათია თვითონ ირანელებსვე შეიძლება საიმედო ორიენტირად გამოადგეთ, რადგან ნიგნში მხოლოდ ის ავტორებია თავმოყრილი, ვინც არა მარტო ირანის, არამედ მსოფლიო ან რეგიონის მასშტაბითაც საინტერესოა.

გარდა ამისა, „სპარსული ქრესტომათია“ ყურადღებას იქცევს უანრობრივი მრავალფეროვნებით. აქ წარმოდგენილია 12 პოეტისა და 23 ბელეტრისტის თითქმის ყველა ჟანრის ნიმუში. აღსანიშნავია, რომ აქვე გვაქვს დრამატურგიული ნანარმოებებიც.

ქრესტომათიას ისევე, როგორც დავით კობიძის მიერ შედგენილ წინა ორ ტომს, ქართულ ენაზე ერთვის ავტორთა მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და მათი შემოქმედების ძირითადი მახასიათებლები. თუმცა სასურველი გახლდათ, ეს ცნობები არა მხოლოდ ქართულად, არამედ რომელიმე ევროპულ ენაზე ან თუნდაც სპარსულად ყოფილიყო. ეს, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო გაზრდიდა ნიგნის მნიშვნელობას, რომელსაც ასეთ შემთხვევაში არა მარტო ქართველი სტუდენტების, არამედ მსოფლიოში სპარსული ლიტერატურით დაინტერესებული პირებისთვისაც შეეძლო გაენია კარგი სამსახური. ხელახალი გამოცემისათვის ამ ბოლო შენიშვნის გათვალისწინება საშურ და აუცილებელ საქმედ გვესახება.

სხვა მხრივ, სპარსული ქრესტომათიის III ტომი მართლაც სანიმუშოა და ეჭვი არ გვეპარება წარმატებით შეასრულებს ყველა იმ ფუნქციას, რისთვისაც არის ჩაფიქრებული.

GIORGI LOBZHIANIDZE

A Good Sequel of the Successful Start

Summary

The present article is a review of the third volume of "The Persian Reader" (Patterns of Persian literature from II half of XX century up today)

compiled by M. Alexidze, M. Burjanadze, L. Zhorzholiani and T. Shurghaia. In the author's opinion, "The Persian Reader" covers all distinguished Iranian writers and poets of the named period. Thus, it may be regarded as a good sequel of the volumes I and II edited by a well known Georgian scholar Prof. David Kobidze. G. Lobzhanidze stresses that the collection may serve as a factual picture of the modern Persian literature viewed externally, from the outside of Iran. Therefore, in "The Persian Reader" a conventional conjecture is less sensible. An Additional point to emphasize is that "The Persian Reader" attracts attention for its variety of genres.

საინტერესო თარგმანი

(ნასროლა ფალსაფი, „შაჰ-აბას პირველის ცხოვრება“, შერჩევითი თარგმანი (ფრაგმენტები საქართველოსა და ქართველების შესახებ), სპარსულიდან თარგმნა ლ. ყორყოლიანმა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ჯ. სტეფნაძემ, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, 96 გვ.)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ 2003 წელს გამოსცა ცნობილი ირანელი მეცნიერის ნასროლა ფალსაფის ნაშრომის „შაჰ-აბას პირველის ცხოვრების“ იმ ფრაგმენტების თარგმანი, რომლებიც საქართველოსა და ქართველებს ეხება. თარგმანი შესრულებულია ირანისტ ლ. ყორყოლიანის მიერ, ხოლო შესავალი ნერილი და შენიშვნები ისტორიკოს ჯ. სტეფნაძეს ეკუთვნის.

ნ. ფალსაფის მონიგრაფია ხუთი ტომისგან შედგება და იგი ყველაზე ვრცელი და საფუძვლიანი გამოკვლევაა მათ შორის, რაც კი დღემდე დანერილა ამ პოლიტიკური მოღვაწის შესახებ. ნაშრომის პირველი ტომი 1953 წელს გამოიცა თეირანში, შემდგომ გამოქვეყნდა დანარჩენი ტომებიც, ხოლო წიგნი რამდენჯერმე განმეორებითაც დაისტამბა. წინამდებარე თარგმანი სხვადასხვა გამოცემიდანაა შესრულებული. ასე მაგალითად, I და II ტომის ფრაგმენტები ნათარგმნია მეოთხე გამოცემის, III და IV ტომისა მეორე გამოცემის, ხოლო V ტომისა 1992 წლის გამოცემის მიხედვით.

ნ. ფალსაფი თვისი წიგნის პირველ ტომში მოგვითხრობს შაჰ-აბას პირველის ცხოვრებას ბავშვობიდან ტახტზე ასვლამდე. მეორე ტომში საუბრობს მისი ფიზიკური, სულიერი, მორალური და ესთეტიური თვისებების შესახებ. მესამე ტომში განხილულია შაჰ-აბასის ღვთისმოსაობის, რელიგიური დიპლომატიის, საშინაო პოლიტიკის საკითხები, ასევე მისი სამართალი და ქონებრივი მდგომარეობა. მეოთხე ტომი ეხება შაჰის საკრებულოს, აბასის დამოკიდებულებას უცხოელი ელჩებისადმი და ზოგადად უცხოელებისადმი, აქვე საუბარია მის საგარეო პოლიტიკაზეც. მეხუთე ტომი კი მხოლოდ შაჰ-აბას პირველის საგარეო პოლიტიკის დახასიათებას ეძღვნება. ამ ტომში ცალკე თავი აქვს დათმობილი შაჰ-აბასის

საქართველოზე თავდასხმას, რომლის შესახებ ამ ნიგნის მეორე ტომშიც არის საუბარი. მკვლევარს განზრახული ჰქონდა, რომ ამ პერიოდის ირან-საქართველოს ურთიერთობა უფრო ვრცლად განეხილა ცალკე კარში – „შაჰ-აბასი და საქართველო“. მის შესახებ ფალსაფი არაერთგზის მიუთითებს თავის ნიგნში, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩანაფიქრის განხორციელება არ დასცალდა, თუმცა ხუთტომეულის ამონარიდთა თარგმანი გარკვეულ ნარმოდგენას გვიქმნის, თუ რის თქმას აპირებდა ამ კარში ირანელი მეცნიერი. ჩვენი ქვეყნის ნარსულის შესწავლისათვის, როგორც ცნობილია, ძალზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სათანადო უცხოენოვანი ნყაროები, არამედ უცხოელ მეცნიერთა ის გამოკვლევებიც, რომლებშიც საქართველოს ისტორიის ესა თუ ის საკითხია გაშუქებული. ამ თვალსაზრისით, ნ. ფალსაფის მონოგრაფია „შაჰ-აბას პირველის ცხოვრება“ საყურადღებო და გამორჩეული ნაშრომია და ამ ნიგნის იმ ფრაგმენტთა თარგმნა, რომლებიც საქართველოსა და ქართველებს შეეხება უდავოდ მეტად საჭირო საქმეს ნარმოდგენს.

აღსანიშნავია, რომ ამ მონოგრაფიის მეოთხე ტომის თარგმანი სათანადო შენიშვნებით ლ. ყორყოლიანმა და ჯ. სტიფნაძემ ჯერ კიდევ 1978 წელს გამოაქვეყნეს. იგი დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საინფორმაციო სექტორის ბეჭდითი ორგანოს – „უცხოური ლიტერატურის რეფერატული კრებულის“ მეექვსე ნომერში, მაგრამ ეს კრებული მხოლოდ სამსახურეობრივი სარგებლობისთვის იყო გამიზნული და ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის იგი უცნობი დარჩა. სამეცნიერო, ახალი (2003 წლის) გამოცემა ფალსაფის ნაშრომის V ტომის მასალებითა და სათანადო კომენტარებითაც არის შევსებული. ძალზე დასანანი, რომ იგი ასეთი მცირე ტირაჟით (200 ეგზემპლარი) გამოიცა.

მთარგმნელს დიდი და შრომატევადი სამუშაო ჩაუტარებია. მას ამ დიდტანიანი ნაშრომის ტექსტიდან ამოუკრებია და მშვენივრად უთარგმნია ყველა ნანყვეტი და ფრაგმენტი საქართველოსა და ქართველების შესახებ, უთარგმნია ასევე შესაბამისი სქოლიოები, განმარტებები და დანართები. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ფალსაფის მონოგრაფიის ფრაგმენტებში აღწერილი მოვლენების და ფაქტების არსში უკეთ გარკვევის მიზნით მთარგმნელი ზოგჯერ მათი განმაპირობებელი ამბების მოკლე შინაარსაც სთავაზობს მკითხველს. ამავე მიზანს ემსახურება თარგმანზე დართული ჯ. სტიფნაძის შენიშვნები.

ისიც აღსანიშნავია, რომ ჯ. სტეფნაძე თარგმანზე დართულ შენიშვნებში ირანელი მეცნიერის ზოგიერთ მოსაზრებას აკრიტიკებს და აბათილებს. ასე მაგალითად, ნ. ფალსაფი თავისი ნაშრომის პირველ ტომში წერს, რომ შირაზის ბეგლარბეგი ალავერდი-ხან უნდილაძე საქართველოში დაბადებული სომეხი იყო. ჯ. სტეფნაძე, სათანადო წყაროებსა და მეცნიერულ გამოკვლევებზე დაყრდნობით, ალავერდი-ხანის ქართველობას ასაბუთებს. ირანელი მეცნიერის ნაშრომში გამოთქმულ მოსაზრებათა ამგვარი კომენტირება არც ისე მცირეა.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ლ. ჟორჟოლიანის მიერ შესრულებული და გამოქვეყნებული ნ. ფალსაფის „შაჰ-აბას პირველის ცხოვრების“ შერჩევითი თარგმანი, მართალია, ანოტაციის მიხედვით სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოდაა განკუთვნილი, მაგრამ იგი უეჭველად დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს, ირანისა და თურქეთის ისტორიის ამ პერიოდის მკვლევრებსაც და უდავოდ დაინტერესებს ფართო მკითხველ საზოგადოებას.

MIRIAN MAKHARADZE

An Interesting Translation

Summary

The review deals with Lily Zhorzholiani's translation of a five-volume monograph by the Iranian scholar N. Falsafi on "The Life of Shah Abbas I." This translation (published in 2003 by Tbilisi State University publishing-house with an introduction and comments by J. Stepnadze) embraces the fragments of the above-said work which make mention of Georgia and Georgians. The review stresses the importance of the translation for the study of the history of Georgia, Iran and Turkey.

მნიშვნელოვანი ნაშრომი სპასრული ენის შესახებ

(ლეილა თუშიშვილი, კლასიკური სპარსული ენის ელემენტარული გრამატიკა, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000, 81 გვ.)

ქართულ-სპარსულმა ისტორიულმა, ლიტერატურულმა და ენობრივმა ურთიერთობებმა იმთავითვე განაპირობა ქართული ირანისტიკის პროფილი – მუშაობა ძირითადად ისტორიული წყაროებისა და კლასიკური სპარსული ლიტერატურული ძეგლების კვლევის მიმართულებით გაიშალა. თანამედროვე ყოფის ფონზე ჩამოყალიბებული ახალი ინტერესები ოდნავადაც ვერ ანელებს ტრადიციულ ინტერესს, ე.წ. კლასიკური პერიოდის მიმართ. იგი ქართველ ირანისტთა კვლევის სფეროში რჩება როგორც საკუთრივ სპარსული ენისა და ლიტერატურის შესწავლის, ისე ქართულ-სპარსული ენობრივ-ლიტერატურული ურთიერთობებისა და ზოგადკულტუროლოგიური შესწავლის თვალსაზრისით.

სპარსული ენა, თავისი სტრუქტურითა და ხასიათით ქართულსაგან დიდად დაშორებული ენაა. იგი მიეკუთვნება ირანულ ენათა ჯგუფს, რომელიც, თავის მხრივ, ინდოევროპულ ენათა დიდ ოჯახში შედის. გრამატიკული წყობის მიხედვით, სპარსული ენა ანალიზური ტიპის ენაა, მეტყველების ნაწილთა განსაზღვრისას მნიშვნელობა ენიჭება სახელის სემანტიკასა და მის სინტაქსურ ფუნქციებს. სინტაქსური ფუნქციები ძირითადად გამოიხატება იზაფეთით, წინდებულებით, თანდებულებით; გარკვეულ სირთულეებს ქმნის სპარსულ ენაში შესული და დამკვიდრებული არაბული ელემენტებიც და ა.შ. კლასიკური სპარსული ტექსტის გაგებასა და წვდომას სპეციალური მომზადება სჭირდება, ამ მომზადებას კი – სპეციალური სახელმძღვანელო.

მიუხედავად დარგის ხანდაზმულობისა, ქართულ ენაზე დაწერილ სპეციალურ სახელმძღვანელოთა აშკარა ნაკლებობას განვიცდით. სპარსული ენის შესახებ არსებობდა: პროფ. ი. აბულაძის „სპარსული ენის სახელმძღვანელო“ (1953) და პროფ. ჯ. გიუნაშვილის „სპარსული ენის სახელმძღვანელო“ (1987); საკუთრივ სპარსული ენის გრამატიკის შესწავლისათვის განკუთვნილი ნაშრომი კარგა ხანს საერთოდ არ მოგვეპოვებოდა. ეს ნაკლი მნიშვნელოვანწილად შეავსო 2000 წელს დასტამბულმა ნიგნმა – „კლასიკური

სპარსული ენის ელემენტარული გრამატიკა", რომლის ავტორიც გახლავთ პროფ. დავით კობიძის ერთ-ერთი პირველი და გამორჩეული მოწაფეთაგანი, ცნობილი ირანისტი, ირანისთა არაერთი თაობის აღმზრდელი ქალბატონი ლეილა თუშიშვილი.

ნიგნის მიზანია სპეციალური ფაკულტეტების სტუდენტებს და სპარსული ენით დაინტერესებულ პირებს დაეხმაროს ამ ენის შესწავლაში და მიანოდოს მათ გრამატიკის ძირითადი ელემენტები.

შესავალში მოცემულია მოკლე ცნობები სპარსული ენის ისტორიისა და პერიოდიზაციის შესახებ, განსაზღვრულია მისი ადგილი ინდოევროპულ ენათა ირანულ ჯგუფში, აღნიშნულია სპარსული ენისა და ლიტერატურის კლასიკური პერიოდის (X-XVსს.) მნიშვნელობა.

ზოგად შენიშვნებში მოკლედ არის დახასიათებულია სპარსული, როგორც ანალიზური წყობის ენა – მიქცეულია ყურადღება სახელის ლექსიკურ მნიშვნელობაზე და წინადადებაში მის სინტაქსურ ფუნქციაზე; დახასიათებულია მეტყველების სხვა ნაწილებიც: აღნიშნულია არაბულ ნასესხობათა საკითხები და სხვ.

თავში „გრამატიკა და ფონეტიკა“ განხილულია სპარსულ მწერლობაში გამოყენებული არაბული ანბანი, ვოკალიზაციისათვის საჭირო ნიშნები და ნაკითხვის ძირითადი წესები; დახასიათებულია ხმოვნები და თანხმოვნები, მარცვალი და მახვილი.

მორფოლოგიის განყოფილებაში დახასიათებული მეტყველების ნაწილები: არსებითი სახელი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელები; ზმნა, ზმნიზედა, განხილულია იზაფეთი, წინდებულები, თანდებულები, არტიკლი, კავშირები, შორისდებულები.

მორფოლოგიურ საკითხთა განხილვისას, მეტყველების ნაწილთა სინტაქსურ ფუნქციებზე მსჯელობის დროს, ავტორი სისტემურად ეხება სინტაქსის საკითხებსაც; ამას გარდა, საგანგებოდ არის განხილული წინადადება, წინადადების ნევრთა რიგი, შეთანხმება, მართვა, მირთვა, ინფინიტიური, გერუნდიული, აბსოლუტური კონსტრუქციები; საგანგებოდ ადგილი ეთმობა კომპოზიციისა და დერივაციის საკითხებს. ნაშრომს დართული აქვს ძირითადი ლიტერატურის სია.

როგორც ვხედავთ, ნიგნში თავმოყრილი და აღნუსხულია კლასიკური სპარსული ენის, ფაქტობრივად, ყველა გრამატიკული საკითხი, გათვალისწინებულია ყველა ძირითადი მომენტი; განხილულია ყოველი ენობრივი ფაქტი, აღწერილი და დახასიათებულია ყოველი ენობრივი მოვლენა. ყოველ ქართულ გრამატიკულ ტერმინს ახლავს სპარსული შესატყვისი. ნაშრომი უხვად არის აღჭურვილი სათანადო საილუსტრაციო მასალით. კონკრე-

ტულ საკითხებზე მსჯელობისას მოხმობულია სხვადასხვა თეორიული შეხედულებანი, რომელნიც ავტორის აზრისა და პოზიციის შესაბამისად მიენოდება მკითხველს.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ნაშრომის შენიშვნები, სადაც მოცემულია დამატებითი ცნობები და განმარტებები, განხილულია ენობრივი ნორმებიდან გადახრის შემთხვევები, დაზუსტებულია ენობრივი ნიუანსები; გავლებულია პარალელები ძველ სპარსულთან, საშუალო სპარსულთან; ყოველ საჭირო შემთხვევაში მითითებულია განხილული გრამატიკული მოვლენისა თუ ნორმის ხმარების წესები თანამედროვე სალიტერატურო და სასაუბრო სპარსულში. ამ მხრივ იგი მყარი საყრდენი და საიმედო ორიენტირია თანამედროვე სპარსული ენითა და ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველისა თუ მკვლევრისათვისაც.

ნიგნის სათაურში აღნიშნული დაზუსტება „ელემენტარული გრამატიკა“, ვფიქრობთ, ერთგვარი მოკრძალებული შეფასებაა ამ, ფაქტობრივად, სრული, ძალზე ტევადი და მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო ნაშრომისა, რომელშიც ასახულია ავტორის მრავალწლიანი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგები.

აქვე შევნიშნავთ, რომ ნიგნი ძალზე მცირე ტირაჟით (200) გამოიცა და მაშინვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ლეილა თუშიშვილის „კლასიკური სპარსული ენის ელემენტარული გრამატიკა“ მნიშვნელოვანი შენაძენია ქართველი ირანისტებისათვის და მისი ხელმეორედ გამოცემა დიდ სარგებლობას მოუტანს საზოგადოდ სპარსული ენით დაინტერესებულ მკითხველს.

MANANA KVACHADZE

An Important Work About the Persian Language

**(Leila Tushishvili, Elementary Grammar of the Classical Persian Language.
Tbilisi, TSU, 2000, 81p., published in Georgian)**

Summary

The review makes the analysis of an interesting work by L. Tushishvili dedicated to the classical Persian Language.

The author of the review assesses the book as a very important and helpful work for both students and specialists.

შ ი ნ ა ა რ ს ი

მანანა კვაჭაძე

პროფესორი დავით კობიძე (დაბადების 100 წლისთავის გამო)	7
ლილი შორაშოლიანი	
დავით კობიძე „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების მკვლევარი	21

მ ო გ ო ნ ე ზ ე ბ ი

ჯემშიდ გიუნაშვილი

კიდევ ერთი მოგონება	25
ლეილა თუშიშვილი	
მოგონება	27
† ვახუშტი კოტატიშვილი	
ერთი მოგონება	30
ბელა შალვაშვილი	
ბედნიერებაა, დავით კობიძისთანა მასწავლებელი რომ მყავდა	32
დავარ ომანიძე	
ბატონ დავით კობიძის მოსაგონარი	35

ფ ი ლ ო ლ ო ბ ი ა

ფატი ანთაძე

ნასესხობათა სინონიმისა და ომონიმისათვის (სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა მასალაზე)	36
ნოზაძე ბართაია	
ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან, - აბჯარი თუ ავშარი?	49
მზია ბურჯანაძე	
ემოციურ-ასოციაციური ფენომენი გოლი თარაყის ლირიკულ პროზაში	53
თამარ გასიტაშვილი	
ლექსემა „ლანგარი“ „რუსუდანინაში“	65
ჯემშიდ გიუნაშვილი	
თარიხე სისთანის ერთი ადგილის გაგებისათვის“	71

ეკატერინა გომალაძე

ზოგიერთი ეტიკეტური ნორმის შესახებ ქართულსა და სპარსულში
(საჩუქარი) 75

ინგა ქალაძე

კვლავ „ვეფხისტყაოსნის“ *ქაჯთა* სემანტიკისთვის (80)

ნანა ქაჭარავა

სომატური ლექსიკა თურქულში
(კომპოზიციის გზით *el-„ხელი“* ლექსემის სიტყვანარმოებით
შესაძლებლობები) 100

მანანა კვაჭავაძე

ეტიკეტური სიტუაციისა და ლიტერატურული ეტიკეტის შესახებ
(ნიზამი, „ლეილი და მაჯნუნი“) 113

ქეთევან მებრეღვიანი

„ვისრამიანის“ ცხოველთა სამყაროდან 121

ვაკა ნათაძე

რთული ზმნები საშუალო სპარსულ ენაში
(უნიდებულო რთული ზმნები) 132

დავარ ოშიაძე

ხალხური „როსტომიანის“ ქართული და სპარსული ვარიანტები 138

ლილი ჟორჟოლიანი

„შაჰ-ნამე“ საქართველოში 144

თამაზ რაჰვიანი

ძველი ინდურისა და სანსკრიტის ზმნური უღლება სპარსულის ნამყო
დროების დიაქრონიის შუქზე 150

მერაბ რუბაქიძე

პიროვნების შინაბუნების აღმნიშვნელი ცნებები ქართულ ენაში 173

მანია სახოკია

სპარსული ენის ისტორიული მორფოსინტაქსის მასალები
(თეორია და პრაქტიკა) 184

ააოლონ სილაგაძე

ლექსის ფინალური მონაკვეთის ვერსიფიკაციული ინფორმაციის
შესახებ 210

თამთა ფარულაშვილი

მხატვრული დროის პრობლემა გოლი თარაყის ნოველაში „შემირანის
აეტობუსი“ 216

თეა ჯანაშია

ფორუყ ფაროხზადის ტრადიციული ლექსი 224

ი ს ტ ო რ ი ა , ხ ე ლ ო ვ ნ ე ა ზ ა , რ ე ლ ი ბ ი ა

მარინა ალექსიძე

ისლამი და კონფესიათშორისი ურთიერთობანი XIX საუკუნის
თბილისში 233

მამუკა გუცხრიკიძე

იაკობი და ესავი 242

ნანა ბელაშვილი

სპარსული მინიატურის განვითარების ტენდენციები 248

ნანი ბალოვანი

ქალები ფატიმიანთა დინასტიის პოლიტიკურ ასპარეზზე 258

† დავით კაციტაძე

ფასიპი ხაფის ცნობები საქართველოს შესახებ

(XIV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი – XV საუკუნის პირველი
მეოთხედი) 267

თეა აბტიურიშვილი

ირან-ერაყის ომის პოლიტიკურ-იდეოლოგიური ასპექტები 277

ნოდარ შენგელია

ოთხი დოკუმენტი „მუჰიმე დაეთრიდან“ თბილისის შესახებ 287

კ რ ი ტ ი კ ა დ ა გ ი ზ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ზატი ანთაძე

მნიშვნელოვანი წიგნი 302

გიორგი ლოგუანიძე

წარმატებული დასაწყისის კარგი გაგრძელება 307

ვირიან მახარაძე

საინტერესო თარგმანი 312

მანანა კვაჭაძე

მნიშვნელოვანი ნაშრომი სპარსული ენის შესახებ 315

Contents

Manana Kvachadze Prof. David Kobidze	7
Lily Zhorzholiani David Kobidze - An Investigator of Georgian Versions of "Shahnameh"	21

Memores

Jemshid Giunashvili One Memory	25
Leila Tushishvili Memory	27
† Vakhushti Kotetishvili One More Memory	30
Bela Shavlashvili What Happiness to Have Had a Teacher like David Kobidze	32
Davar Omiadze Remembrance of David Kobidze .	35

Philology

Fati Antadze On the Synonymy and Homonymy of Borrowings (On the material of Persian-Georgian language contacts)	36
Nomadi Bartaia <i>A b j a r</i> (<i>armour</i>) or <i>Avshar</i> (<i>bridle</i>)?	49
Mzia Burjanadze Emotional-Associative Phenomenon in Goli Taraki's Lync Prose . .	53
Tamar Gasitashvili Lexeme 'langari' in the "Rusudaniani"	65
Jemshid Giunashvili On the Interpretation of a Fragment of the "Tārikh-e Sistān"	71

Ekaterine Gogaladze On Some Norms of Etiquette in Georgian and Persian Languages (Gift)	75
Inga Kaladze On the Semantics of the <i>Kujis</i> in Rustaveli's "The Man in The Panther's Skin"	80
Nana Katcharava Somatic Vocabulary in Turkish (Possible collocations with lexeme el 'hand')	100
Manana Kvachadze On Etiquette Situation and Literary Etiquette (<i>Nezami. "Leyli and Majnun"</i>)	113
Ketevan Megrelishvili On the Animal World in "Visramiani"	121
Maka Antadze Complex Verbs in Middle Persian Language (Non-prepositional complex verbs)	132
Davar Omiadze Georgian and Persian Variants of the Folk Story "Rostomiani"	138
Lily Zhorzholiiani "Shahnámeh" in Georgia	144
Тимаз Ревиа Verbal Conjugation of the Old Indian and Sanskrit in the Light of the Diachrony of the Persian Past Tenses	150
Merab Robakidze On the Semantic Field of Psychological Concepts in Georgian .	173
Maia Sakhokia Persian Historical Morphosyntax Data: Theory and Practice	184
Apollon Silagadze On the Versificative Information of the Final Section of a Poem . .	210
Tamta Parulava The Problem of Artistic Time in the Short Story <i>The Shenuran Bus</i> by Goli Taraki	216
Thea Janashia The Traditional Verse of Foruk Farokhzad	224
History, Religion, Culture	
Marina Alexidze Islam and Cross-Confessional Relations in the Nineteenth-Century Tbilisi	233

Mamuka Butskhrikidze	
JACOB & ESAU	242
Nana Gelashvili	
Tendencies of Development of Persian Miniature in the 17th Century	248
Nani Gelovani	
Women in the Fatimid Dynasty	258
† Davit Katsitadze	
Pasihi Khapi's Data about Georgia	
(The last quarter of XIV century – the first quarter of XV century)	267
Thea Pitiurishvili	
The Political and Ideologic Aspects of the Iran-Iraq War 277
Nodar Shengelia	
Four Documents from the "Muhime Desters" on Tbilisi	287

B i b l i o g r a p h y

Fati Antadze	
A Significant Book	302
Giorgi Lobzhanidze	
A Good Sequel of the Successful Start	307
Mirian Makharadze	
An Interesting Translation	312
Manana Kvachadze	
An Important Work about the Persian Language	315

გამომცემლობის რედაქტორი
გარეკანი
დაკაბადონება

მარინე გიორგობიანი
თინათინ ჩირინაშვილი
ნათია დვალი

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

0128, Tbilisi, I. Chavchavadze Av.

www.press.tsu.ge (25-14-32)